

MP  
K 88946  
2

ବ୍ୟକ୍ତିଗତିଶିଳ୍ପିଲୋଦ

ମେଲ୍ଲା

ଶାନ୍ତାରତ୍ୟାଙ୍ଗିନୀ

ରୂପରାଜୁ ରା

XI-XV

ପ୍ରକାଶିତ

୧

ଶାନ୍ତାରତ୍ୟାଙ୍ଗିନୀ

ତଥାର୍ଥ

1949



03. ՀԱՅԱԽՈՑՈՂՈ

# ՍԱՐԿԱՆԾՅԵՐԸ ՈՒՏՐԻԴՈՎ

(XI-XV ՀԱՅԱՀԵՐՑՈՒ)

(ՁԵՐԱՅԻ ՁՆԵՐՆԵՐԸ)

Ք. 3. 2019-12342  
Հ. 88946 Ա/Բ  
2

Թ Ց Ո Ղ Ո Տ Ո  
ՍԱՐԿԱՆԾՅԵՐԸ ՍՏԵ ՏԵՇԵՐՄԵՆՑ: ԲԱՐԱՎԱՐԸ  
1919



೧೩. ಇಂದ್ರಾಜಿತ್ ಶ್ರವಣಿಸ. ಅರ್ಹಿಗಳು ಇಂತ್ಯಾ-  
ಲ್ಲಿ ಬ್ರಹ್ಮಾಂಡದಲ್ಲಿ ಸಾರ್ಥಕರಾದ ಗಾಂಥಿಂದಾ  
ಸಿಂ. ಪ್ರಾಣ ಕೀರಿಶ್ರವಿಂಘ

## საქართველოს საშეფოს კოლიტიკური და კულტურული გაძლიერების ხანა

გაზრდა III (975, 980—1014) და საქართველოს საბოლოო  
გაერთიანება

ქართველთა სამეფოებს შორის X საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლა ეგრეთწოდებულ აფხაზთა მეფის, დასავლეთ საქართველოს მფლობელის გამარჯვებით დამთავრდა: მან აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის თემის, უდიდესი ნაწილის ხელში ჩაგდებაც შესძლო. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც აფხაზთა სამეფო ტახტზე უსინათლო თევზდოს ავიდა პოლიტიკური საქმეების სრული არევდარევის გამ, დიდგვარინ აზნაურებმაც-კი შეიგხვის, რომ სუსტი მმართველი ქვეყნას უბედურების მეტს არაფერს უქმდდა. ამიტომ, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ითანე მარტ უში ის ძის თაოსნობით, მათ მიმართეს ტაოს თემის იმღრიონდელს განთქმულ მბრძანებელს დავით დიდ კურაპალატს თხოვნით, რომ ან მას საქართველოს მართვა-გამგეობის ტვირთი თვითონ ეკისრა, ან არა და აფხაზთა და ქართველთა სამეფოს ტახტზე თავის მახლობელი ნათესავი, შვილობილი ბაგრატ მესამე, დაესვა.

დავით დიდი კურატალატი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო: მისი სამფლობელოს მთავარ ნაწილს ტაო შეადგენდა, მაგრამ მას სხვა მიწებიც ეკუთვნოდა. მაგრამ დავით კურაპალატმა პირადად ასეთი მოვალეობის თავის თავზე აღება, არ მოინდომა, არამედ დათანხმდა, რომ სამეფო ტახტზე ბაგრატ მესამე დაესვა, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს გააერთიანებდა: 974—975 წელს დავით დიდი კურაპალატი თავისი ჯარით ქართლში მოვიდა და თან ბაგრატ შენამეც მოიყვანა. ხოლო რაჯი ის იმ დროს ჯერ კიდევ სრულწლოვანი არ იყო და თვითონ ქვეყნის მართვა-გამგეობა არ შეეძლო, ამიტომ მას მზრუნველად მისივე მამა გურგენი დაუნიშნა.

ბოანე მარცის ძის პოლიტიკური გეგმა იმაზე იყო დაშავარებული, რომ ბაგრატ III მამით ქართველთა მეფის შთამომავალი იყო, დედის მხრით-კი ის „აფხაზთა მეფების“ მექვიდრედ ითვლებოდა. უსინათლო მეფე თევდოსის-კი შთამომავლობა არა ჰყავდა და, ამგვარად, ერთადერთი პირი, რომელსაც იურიდიულადაც უფლება ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთი საქართველოს სამეფოები გაერთიანებინა, მართლაც მხოლოდ ბაგრატ მესამე იყო.

თვით ბაგრატ მესამის, მისი დედასა და მამის საჯდომი ქალაქიდ იმ დროს უფლის ციხე იყო: უსინათლო თევდოსი, რომელიც ამის შემდგომაც მეფობის მოვალეობის ასრულებას ისევე განაგრძობდა, დიდგვარიან აზნაურთა სათამაშო ბურთად იქცა: ქვეყანა იმდენად აირია, რომ სახელმწიფო საქმეების წესიერად მართვა-გამგეობა სრულებით შეუძლებელი შეიქნა. ამიტომ აფხაზეთის, ე. ი. დასავლეთ საქართველოს დიდგვარიანმა აზნაურებმა სთხოვეს ბაგრატ III-ს, აფხაზეთში გადასულიყო და აქაური საქმეების მოწესრიგებაც მასვე ეკისრა. 978 წ. მართლაც ის დასავლეთ საქართველოში მივიდა, თავისი უსინათლო ბიძა მეფე თევდოსი თავის პაპა დავით დიდ კურაპალატან გაგზავნა, დედა-კი აღმოსავლეთ საქართველოში, უფლისციხეში, დასტოვა აღმოსავლეთ საქართველოს საქმეების განსაგებლად. მაგრამ მხოლოდ 980 წლის შემდეგ, როდესაც ის სრულწლოვანი შეიქნა, მას საშუალება ჰქონდა მთლიანად მეფური მოვალეობის ასრულებას შესდგომოდა.

სანამ ქვეყანაში უწესობა მდგრადი გვიჩვენ, რომ ძლიერ ხელისუფლებას საქართველოში წესიერება დაემყარებინა, მაგრამ, როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ ბაგრატ მესამე იმდენად მტკიცე ნებისყოფის პიროვნება აღმოჩნდა, რომ მათ თვითნებურ მოქმედებას უმაღლ საზღვარს უდებდა, მაშინ-კი აშე დიდგვარიან აზნაურთ თავიანთი მოქმედების წინანდელი თავისუფლება ისევ მოენატრათ და პრივილეგიების დათმობა უკვე აღარ სურდათ. ამის გამო, როდესაც ბაგრატ მესამემ საქმეების მოსაწესრიგებლად აღმოსავლეთ საქართველოში მოინდომა გაღმოსვლა, ქართლის დიდგვარიანი აზნაურები მას საზღვარზე დაუხვდნენ, რომ მისთვის გზა შეეკრათ და აღმოსავლეთ საქართველოში აღარ გაღმოეშვათ: ქართველი დიდგვარიანი აზნაურები უმეფობის ხანაში თვითნებურ მოქმედებასა და თავისუფლებას იმდენად იყვნენ მიჩვეულნი, რომ მათთვის პარპაშის უწინდელი შესაძლებლობის შეზღუდვა, რასაკვირველია, ძალიან უსიამოვნო იყო და ის საქციელიც, რომელსაც მათ მიჰმართეს, სწორედ ამითვე იისნება.

ბაგრატ მესამე ისეთი ადამიანი არ იყო, რომ ამნაირი დაბრკოლების წინაშე უკან დაეხია: ის მაშინვე თავის ჯარითურთ დაიძრა, დიდგვარიან აზნაურებს შეებრძოლა, დაამარცხა ისინი, ქართლში გაღმოყვიდა და ქალაქ უფლისციხიდან თავისი დედა გმოიყვანა და იმ დროიდან მოყო-

ლებული ქვეყნის მართვა-გამგეობას ქართლშიც უკვე თვითონ შეუდგა. ამრიგად, აფხაზეთის, ე. ი. დასავლეთ საქართველოს, და აღმოსავლეთ საქართველოს შუაგულის, ქართლის, აღმინისტრატიული მართვა-გამგეობის გაერთიანება ამიერითგან ბაგრატ III-ს უკვე მთლიანად განხორციელებული ჰქონდა.

მხოლოდ ქართლში იყო კიდევ ერთი უძლიერესი ფეოდალი, ეგრეთ წოდებული კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი დარჩენილი, რომლის სამფლობელო თრიალეთიდან მოყოლებული მანგლისის ხეობამდე იყო გადაჭიმული; თრიალეთი, ატენის, სკვირეთისა და მანგლისის ხეობანი მის საგამგეოს წარმოადგენდა. კლდეკარის ერისთავმა რომ იგრძნო ის განსაკუდილი, რომელიც მას ბაგრატ III-საგან მოელოდა, მაშინვე ისეთ საშუალებას მიამართა, რომელიც, მისი წარმოადგენით, მას ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლას გაუადვილებდა: დავით დიდ კურაპალატს ჩააგრინა. ვითომ ბაგრატ მესამე სწორედ პირადად მასთან საბრძოლველად ემზადებოდა. დავით კურაპალატმა ეს ამბავი დაიჯერა და თვითონაც ჯარშეყრილი ბაგრატის წინააღმდეგ დაიძრა იმ დროს, როდესაც ბაგრატი კლდეკარის ერისთავის დასამორჩილებლად მიდიოდა. ამით უკვე მდგომარეობა იმდენად გართულებულა, რომ შესაძლებელი იყო ნაშეილიშვილებსა და პაპას შორის შეტაქება მომხდარიყო, მაგრამ ბაგრატ მესამე ბრძნელი წინდახელულებით სისხლის ღვრა თავიდან აიცილა: ის მარტოდ მარტო წარუდგა დავით კურაპალატს და საქმის ნამდვილი ვითარება, თავისი შეიარაღების მიზეზი, მოახსენა. მან განუმარტა, რომ მის ერთადერთ მიზანს კლდეკარის ერისთავთ-ერისთავის თვითნებობის აღაგმვა წარმოადგენდა. მაშინ დავით კურაპალატმა შვილობილს დაუჯერა: ურჩ მოხელეზე მიანება და დასახული ამიცანის შესრულებისათვის სრული საშუალება მისცა. ამგვარად, 989 წელს ბაგრატ მესამემ კლდეკარის ერისთავთ-ერისთავის დამორჩილებაც შესძლო.

1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა. დავით კურაპალატის სამფლობელოს, ტაოს, რომელიც ქართველ ტომთა მოსახლეობის განფენილობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს წარმოადგენდა. თავისთავიდ ცხადია, საქართველოს გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დავით კურაპალატს იმედი ჰქონდა, რომ მისი სიკეთილის შემდგომ ეს მისი საბრძანებელიც საქართველოს შეუერთდებოდა. ვაგრატ მესამე, ვითარცა მისი შვილობილი, მისი მფლობელი გახდებოდა. მაგრამ, გაიგო თუ არა ბიზანტიის ქეისარმა ბასილ II ბულგართმმუსვრელი დავით კურაპალატის სიკეთილის ამბავი, მაშინვე შრავალ-რიცხვები ჯარითურთ ტაოსაკენ წამოვიდა. ბაგრატ III და მისი მამა გურგენ მეფეც ტაოსაკენ გაეშურნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ თავიანთ პოლიტიკურ წალილს მიაღწევდნენ და დავით კურაპალატის შემკვიდრეობას მიიღებდნენ. ამიტომაც ბიზანტიის კეისარზე დახვდნენ და მიესალმნენ.

თუმცა ბასილმა ორივენი პატივისცემით მიიღო, მაგრამ, ვერაგული განზრასხვით, ბაგრატ მესამეს კურა პალ ტობის წოდებულობა მიანიჭა, მის მამას გურგენ მეფეს-კი, დასამცირებლად და მამაშვილს შორის უსიამოვნების ჩამოსაგდებად, ბიზანტიის უფრო დაბალი საკარისკაც წოდებულება, მაგისტრის კეისარს იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით ის მამაშვილს შორის ისეთს შულს ჩამოაგდებდა, რომელიც თავის მიზნის მიღწევას გაუადვილებდა. ბიზანტიის კეისარის მიზანი-კი იმში მდგომარეობდა, რომ თავის სამფლობელოებისათვის საქართველოს თემებიც შეერთებინა. რაკი საქართველოს პოლიტიკური მსწრაფებანი და ბიზანტიის პოლიტიკური გეგმა ერთოერთმანეთს ძირითადად ეწინააღმდეგებოლნენ, თუ არა შებრძოლებით, სხვა არავითარი საწუალებით ამ ორი ერთმიერობის საწინააღმდევონ წალილის მოგვარება არ შეიძლებოდა. ამიტომაც ამ მემკვიდრეობის გამო საქართველოს და ბიზანტიის შორის შემდეგშიც კარგა ხნის განმავლობაში იყო კიდევ ბრძოლა.

1008 წელს ბაგრატ მესამის მამა, გურგენ მეფე, გარდაიცვალა, მის უშუალო გამგებლობაში სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ე. ი. შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი იყოთებოდა. ამიერიდან ბაგრატ მესამე-საქართველოს ამ ნაწილის უშუალო გამგედაც იქცა.

რაკი სამხრეთის ამ თემების შემოერთებაც უკვე განხორციელებული ჰქონდა, ერთადერთი თემიდა დარჩა, რომლის ხელში ჩაგდებაც ბაგრატ III-ს საშუალებას მისცემდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ტომობრივი განვითარებისათვის აღმოსავლეთის კიდემდე მიეყვანა: კახეთ-ჰერეთი იმ დროს ისევფალკე სამეფოს წარმოადგენდა. ბაგრატ მესამე 1010 წლის ახლო ხაზი ჯარითურთ კახეთის შეესია, მისი მეფე დაიჭირა, აფხაზეთში წაიყვანა, თვით ჰერეთსა და კახეთში-კი თავისი მოხელე აზნაურები ჩააყენა. ამგვარად, კახეთიცა და ჰერეთიც უკვე შემოერთებული იყო. საქართველოს კიდევ მხოლოდ თბილისის სამიროდა აკლდა, მაგრამ მისი დაპყრობისათვის ჯერ კიდევ შესაფერისი პოლიტიკური პირობები არ იყო.

მართალია, უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთს კუთხეშიც, კლარჯეთშიც, აუგილიბრივი მთავრების წარმომადგენლები ჯერ კიდევ იყვნენ, სახელმობრ, ე. წ. „კლარჯეთ ხელმწიფები“ სუმბატ და გურგენი, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, მაგრამ რაკი ბაგრატ მესამეს-კარგად უსმიდა, რომ, სანამ საქართველოს თითოეულ თემში მმართველთა ცალკალკე წარმომადგენლები იქნებოდნენ, განდ იბოგინებდნენ, საქართველოს საბოლოო პოლიტიკური გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ 1011-12 წ. მდინარეებთა ეს ხელმწიფები, სუმბატ და გურგენი ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, ფანასკერტის ციხეში მიიწვია და იქვე დააჭირინა. ორივე სიკვდილამდე მას ციხეში ჰყავდა, სამფლობელო-კი ჩამოართვა.

ამგვარად, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების გეგმის უდიდესი ნაწილი უკვე განხორციელებული იყო. მხოლოდ განძის ამირა ფალანგი არ აძლევდა საქართველოს მოსვენებას; დროგამოშეგებით ის კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შემოესერდა და აოხერებდა ხოლმე. ამიტომ ბაგრატ მესამემ მისი სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა: 1011—12 წ. მან ფადლონის წინააღმდევ გაილაშვილი, მაგრამ წინასწარ სომეთა მეფეს გაგიქს მიჰმართა, რომ ამ ლაშქრობაში მასაც მიეღო მონაწილეობა. სომეთა მეფე გაგიყი თვითონაც იყო მოწალინებული, რადგან არც სომხეთს ქვენდა მისგან მოსვენება. ბაგრატ მესამე და გაგიყი შეერთებული ძალით ფადლონის სამფლობელოს, რანს, შეესივნენ, ქალაქებს, შანქორს, მიადგნენ, ეს ქალაქი აიღეს და თვით ფადლონი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს, რომ იძულებული იყო დაპორჩილებოდა და ზავი ეთხოვა. ბაგრატ მესამე თავის სამხედრო საბჭოს შეექითხა, მიეღო თუ არა ეს წინადაღება და, დასტურის შემდეგ, ფადლონთან ზავი შექმნა: ფადლონმა სრული მორჩილება და ყოველწლიური ხარჯის ძლევა იყისრა.

ამრიგად, არამც თუ ბაგრატ მესამემ თბილისის საამიროს გარდა მთელი საქართველოს გაერთიანება მოახერხა, არამედ მან განძის ამირას უმაღლაფიცად ქცევაც შესძლო. თბილისის საამიროც, მართალია, ჯერ ქიდევ დაპყრობილი არ იყო, მაგრამ, მტრით გარშემორტყმული ციხის შეგავსად, მისი საბოლოო ბედი მაინც უკვე განწირული იყო.

36 წლის მეოთხის შემდეგ, საქართველოს ამ ენერგიულმა პირველმა კამაერთიანებელმა ბაგრატ მესამემ 1014 წელს თავისი დღენი ფანასკერტის ციხეში დალია. მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა და საქართველოს განთქმულმა სარდალმა ზე იაღ ერთ თავ მა ბაგრატ მესამის ცხედარი იქნიგან წაასვენა და ბაგრატ მესამისგანვე აგებულს ბედიის ტაძარში მიაბარა მიწას.

### გიორგი I (1014 — 1027)

შენაური და საგარეო ბრძოლა საქართველოსა და გიუანთიას შორის დავით კურაპალატის სამფლობელოს გამო

გიორგი I მცირეწლოვანი იყო, როდესაც მას ბედმა სამეფო ტახტი არგუნა. გაერთიანებული საქართველოს მეფის ხელისუფლების ტვირთის ასაღებად ის, რასაკვირველია, შესაფერისად მომზადებული ვერ იქნებოდა. ქართლ-კახეთის აზნაურებმაც უმაღ ამ გარემოებით ისარგებლეს და აუჯანყდნენ: კახეთიდან გააქვეს ბაგრატ მესამის დაყენებული აზნაური მოხელეები და თავიანთი წინანდელი მმართველი მოიწვიეს. ამგვარად კახეთიც და პერეთიც გაერთიანებულ საქართველოს ისევ ჩამოჰურდნენ.

ასეთ პირობებში გიორგი I-მა გადასწუყიტა, რომ ის, რაც მის მამას ბაგრატ მესამეს გაუერთიანებელი დაურჩა, იმისი დასაკუთრება მაბრუ მოქერხებინა. მან ისარგვებლა შემთხვევით, რომ ბიზანტიის კეისარი ბასილი II, ბულგართამშესვრელად წილებული, 1014 წ.-და 1016 წლამდე ბულგარებს ეომებოდა, და იმ მიზნით, რომ დავით დიდი კურაპალატის ყოფილი სამფლობელო საქართველოსათვის შემოეერთებინა, ბიზანტიის საზღვარი გადალახა და ტათ დაიპყრო.

როდესაც ბასილი II ბულგარელთა წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობიდან ძლევამოსილი დაბრუნდა, გიორგი I-ს შემოუთვალა, დაპყრობილი ქვეყანა თავისივე ნებთ დატოვებინა და იმ სამფლობელოთი დაკმაყოფილებულიყო, რომელიც მას პირადად ეკუთვნოდა. გიორგი I-მა ეს წინადაღება უარყო, ამაზე მეტიც, მან მაკმაღიან მფლობელ ალ-ჰაკიმ მთა ან საიდუმლო მოლაპარაკებაც-კი დაიწყო, რომ მათ შეერთებული ძალით ბიზანტიის წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბასილ II კეისარს არც ეს საიდუმლოება და არც სამზადისი არ გამოპარვია, ამიტომ 1021 წელს მან თითონევე საპასუხო ლაშქრობა მოაწყო, მაგრამ ისე-კი, რომ გიორგი I-ს წინასწარ არავითარი ეცვი არ აღუძრა, რომ სწორედ საქართველოში შემოსახული ემზადებოდა.

ლაშქრის შესაფერისად მომზადების შემდგომ, თავისი მრავალრიცხოვანი ჯარითურთ ის უეცრად დაიძრა. გიორგი I იძულებული იყო, საჩეროდ მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. ბრძოლა ბასილში მოხდა. რამდენიმე წესის განმავლობაში ქართველები და ბიზანტიილები ერთი-ერთმანეთის პირისპირ იღენენ, მაგრამ არც ერთი მხარე ბრძოლის დაწყებას არ აპირებდა. ბოლოს ქართველებმა უბრძოლეველად უკან დაიხიეს და გიორგი I-მა ოლთისში მოსკოვის შემდგომ, თლოთვის დასწრება, ხოლო აქედან კოლას გადაიდა. რაკი ბიზანტიის კეისარის ჯარი უკან მოსდევდა, სოფელ შირიმნეში დიდი ბრძოლა მოხდა. ამ ბრძოლაში ბევრნი დაიხოცნენ, მათ შორის ქართველთა გამოჩენილი სარდლები რატი ძე ლიპარიტისა და ხურციც. კეისარის ჯარმა გაიმარჯვა, ქართველები-კი დამარცხდნენ.

გიორგი პირველმა აქედანაც დაიხია, ქალაქ არტაანში მივიღა. მაგრამ კეისარიც კვალდაკვალ დადევნებული მისდევდა მას. მან ქალაქი არტაანი გადაწვა. ამის შემდგომ გიორგიმ სამცხეში დაიხია. ბასილი II ჯავახეთის გზით ცდილობდა მას დასწრეოდა და გზადაგზა გავლილ ქვეყანას აოხრებდა-ამას შემდგომ გიორგი იძულებული იყო უკვე თრიალეთში გადასულიყო. აქ მას წანართა და შაქელთა მეშველი ჯარი მოუვიდა და ეხლა-კი ბრძოლის განახლება შეეძლო, მაგრამ მაშინ უკვე ბიზანტიის კეისარმა გადაწყვიტა უკან დახევა და შინ დაპრუნება. ზამთარი მოახლოვებული იყო და საზამთროდ იგი თავის სამფლობელოში, ხალციაში, გადავიდა და ქალაქ ტრაპიზონის მახლობლად დაიბანაკა. ქალაქ ტრაპიზონის მახ-

ლობლად მდგრმი ბიზანტიის კეისარი, დიდ სამზადისში იყო: მას გადა-  
წყვეტილი ჰქონდა, აფხაზეთში შესასევად ხომალდები გაეგზავნა.

გიორგი I-მა რომ ეს ამბავი გაიგო, გადასწყვიტა საზავო მოლაპარა-  
კება განეახლებინა და კეისარს ამ მიზნით დაზავების პირობების გამო-  
სარკვევად თავისი მოცულული მოუგზავნა ქრისტიანული მაგრამ იმავე დროს, რო-  
დესაც გიორგი I-ის დესპანები ბიზანტიის კეისართან მოლაპარაკებას აწარ-  
მოებრნენ, ქსიფე მ ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ აჯანყება და  
იწყო. ამით გიორგი I-მა უმარტინებლა და აჯანყებულ ქსიფესა და  
ფოკასთან მოლაპარაკება გააძა, ბიზანტიის კეისარს ჭარი შეუთვა-  
ლა. მაგრამ ბასილ II-მ აჯანყების ჩაქრობა მოახერხა და გიორგი I-ს და-  
მარცხებული ფოკას მოჰკრილი თავი გამოუგზავნა, რათა მისთვის ეგრძნო-  
ბინებინა, რომ მისი ყველა საიდუმლოება მან კარგად იცოდა. კეისარმა  
ამასთანავე შემოუთვალა, რომ დაპყრობილი ქვეყანა უკან დაებრუნებინა.



იშხანი (აშეამად თურქეთის საზღვრებშია), სარკმელი, ქართული  
ასომთავრული წარწერებით, XI ს.

გიორგი I-მა ბიზანტიელებთან მოსალაპარაკებლად ზე ვიად ერთ ის-თავი წარგზავნა, მაგრამ ამავე დროს ის ცდილობდა, მოლაპარაკება როგორმე გაეჭიანურებინა. მაშინ ბიზანტიის კეისარმა დაასწრო და კვლავ ომი ატყდა. ომის დროს ქართველები დამარცხდნენ და 1023 წელს გიორგი I იძულებული გხდა უკვე მეტად მძიმე ზავის პირობებს დასთანხმებოდა. ამ ზეჭის პირობების მიხედვით, გიორგი I-ს უნდა დავით ქურაპალატის ნაქონები მთელი ქვეყანა, კველა ციხეებითურთ, ტაოსა, კოლა-არტანსა და ჯავახეთში დაებრუნებინა; ამას გარდა, იგი იძულებული იყო თავისი მცირებულოვანი შეილი შაგრატიც მძევლად მიერა, რომელიც ზავის დაურღვევლობის საწინდრად სამი წლის განმავლობაში ბიზანტიაში უჩდა ყოფილიყო.

ბასილ II-მ მცირებულოვანი ბაგრატი თან წაიყვანა და სამი წლის შემდგომ, 1025 წელს, მართლაც მამას უკან დაუბრუნა. ამ წელს თითონ ბიზანტიის კეისარიც გარდაიცვალა და, თუმცა კონსტანტინე კეისარმა, სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, მცირებულოვან ბაგრატის დასაბრუნებლად თავისი მოხელეები დაადევნა, მაგრამ ბაგრატი უკვე საქართველოში იყო შემოსული და მისი უკან წაყვანა შეუძლებელი შეიქმნა. გიორგი პირველი 1027 წელს გარდაიცვალა და მის მაგიერ სამეფო ტახტზე მცირებულოვანი ბაგრატი იქმნა აყვანილი.

#### ბაგრატ IV (1027—1072)

პროცეს საქართველოს გარეთიანების დასამთავრებლად, აგრეთვა ბარეში მოიხსენიეთ და დოლგგარიბი აზნაურების ზინააღმდეგაც

ბაგრატს მძიმე სახელმწიფო ტვირთი ერგო მემკვიდრეობად: დამარცხებული ქვეყანა და შინაურობაში აწეშილ-დაწეშილი საქმეები. კველა ამის მოსაწესრიგებლად საჭირო იყო ძლიერი ხელისუფლების პატრონი მეფე-მმართველი. იმ დროს მცირებულოვანი ბაგრატი-კა, რასაკვირველია, ასეთი მოვალეობის ასრულებას ვერ შესძლებდა. საქართველოს მაშინდელ მეფეს საქმეს ის გარემოებაც ურთულებდა, რომ ბიზანტია თავისი საზღვრების გასაფართოებლად აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა და საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური მიზნები ამ მხრივ ერთი-ერთ მანეთს ეწინაღმდეგებოდა. ამავე დროს დიდგვარიან აზნაურთა ორჭოფული და ვერაგული მოქმედება ისედაც რთულ მდგომარეობას უფრო აუარესებდა. ტაოელი აზნაური პირდაპირ განდგომილებასაც კი არ უკადრისობდნენ. 1027 წელს ისინი ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ და მათ ხელში მყოფი კველა ციხეები გადასცეს.

1028 წელს საქართველოს ბიზანტიის სარდალი შემოესია დიდი ჯარი-თური და ქვეყნის აოხრება დაიწყო. ასეთი განსაცდელის დროსაც აზნაურებმა თავიანთი ორჭოფული მოქმედებით ბიზანტიელებს საქმე გაუად-

ვიღეს: ბიზანტიის სარდალმა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება იშ-  
დენად სამხედრო მოქმედებით არა, რამდენადაც აზნაურთა გადაბირებით  
მოახერხა. მათი მოქმედებით ქვეყანა და ბაგრატ IV დიდ განსაკუდილში  
იყო ჩავარდნილი და მხოლოდ ს ა ბ ა მ ტ ტ ბ ე ვ ა რ ი ს თავგამოდე-  
ბულმა მოღვაწეობამა და შავშეთის ენერგიულმა დაცვაშვილმა გადაბარინა მოუ-  
ლი ეს კუთხე ბერძენთა მძლავრობისაგან. მან თავისი საეპისკოპოსოს  
შეწოვერებლებინაგან ჯარი შექმნა და ბიზანტიილთა და მოღალატე აზნა-  
ურთა სამხედრო ძალას თავისი სამშობლოს ერთგული, ქართველი ხალხის  
სამხედრო ძალა დაუპირისპირა. ამან ბაგრატ IV-ს ბრძოლა გაუადვილა.  
რაკი ამ გზით მიზნის მიღწევა უკვე შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ ბიზან-  
ტიის მთავრობამ მდაბით ხალხის შესაცდენად და გადასაბირებლად დ ე-  
შეტრე უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი შემოიყვანა საქართველოში: ბიზანტიის  
მთავრობას უნდოდა ამით ხალხისათვის მოექვენებინა, ვითომცდა გას  
დამპყრილებლობითი მიზანი-კი არ ჰქონდა დასახული, არამედ მხოლოდ  
ქართველი უფლისწულის გამეფება სწადდა.

კონსტანტინე კეისრის 1028 წ. გარდაცვალებამ საქართველოს საშუა-  
ლება მისცა ოდნავ დამშვიდებულიყო: ბიზანტიილების მხრით მაინც ასე  
მედგრად მოტანილი იერიშები ოდნავ შესუსტდა. ბაგრატ IV-ის დედამ  
ამით ისარგებლა და ასეთი დამღუპველი ბრძოლა, რომელიც ორ მეზო-  
ბელ სახელმწიფოს შორის მიღენის ხნის განმავლობაში იყო ატენილი.  
შემდეგშიც რომ აღარ განმეორებულიყო, ბაგრატის დედა, მარიამ დედო-  
ფალი, 1030—1031 წ. ბიზანტიიშვილი და ბიზნენტიის კეისართან  
ბერძენთა და ქართველთა შორის მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოგდება-  
ზე დაიწყო მოლაპარაკება. დასახული მიზნის მიღწევა მან მოახერხა კი-  
დეც: ზავი დადგებულ იქმნა. საზავო პირობები და მშვიდობიანი ურთიერ-  
თობა რომ განმტკიცებულიყო, მან ბიზანტიის კეისარს ბაგრატისათვის  
საცოლოდ ბერძენთა უფლისწული ე ლ ე ნ ე სთხოვა, რაზედაც თანხმო-  
ბა მიიღო კიდეც. ამას გარდა ბიზანტიის კეისარმა ბაგრატ მეოთხეს კუ-  
რა პალ ა ტ რ ბ ი ს პატივიც მისცა. ამ გარემოებამ, დაზავებამა და  
დამოყრებამ, ბიზანტიისა და საქართველოს შორის მშვიდობიანი ურთი-  
ერთობა დამყარა.

სამწუხაროო, ამ ელენე დედოფლის სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა:  
ის მალევე გარდაიცვალა. ბაგრატმა მეორე ცოლად ბ ო რ ე ნ ა შეირ-  
თო. ელენეს გარდაცვალება და ბიზანტიის აქტიური პოლიტიკის განახ-  
ლება თითქოს ერთი და იგივე იყო. 1032 წელს ბიზანტიილებმა დაიწყეს  
ინტრიგები ბაგრატის ნახევარმის დემეტრეს ასაჯანყებლად: ის კეისარ-  
თან გაიქცა და ანაკოლის ციხე აფხაზეთში ბერძნებს გადასცაუს გარე-  
მოება იმას უდრიცა, რომ აქამდის სამხრეთითგან მეზობლად მყოფ ბი-  
ზანტიილებს, ამდროიდან საქართველოსთვის ჩრდილოეთიდანაც ალყის  
შემორტყმის საშუალება მისცემდათ. ბაგრატს უფლება არ ჰქონდა,  
ამისათვის პასუხი არ გაეცა, მაგრამ მას საამისოდ მაშინ არ ეცალა.

რადგან იმ დროს მას თბილისის ამირას ჯაფარის წინააღმდეგ ჰქონდა ბრძოლა დაწყებული.

ლიპარიტ ამირაქანდა ქართლის ერისთავის ივანე აბასისძის თაოსნობით დაწყებული ეს ბრძოლა თბილისის საამიროს მოსასპობად ამირა ჯაფარის შეპყრობით დამთავრდა: 1032-წელს ლიპარიტმა და ივანე აბასისძემ მისი ხელში ჩაგდება და ბირთვისის წართმევა მოახერხეს. მაგრამ ამ დროს ლიპარიტის მოწინააღმდეგ დიდგვარიანი აზნაურები ბაგრატ IV-ს შეუჩნდნენ და მაშინ ჯერ კიდევ მცირეწლოვანმა ბაგრატ IV-მ ამირა განათავისუფლა. ამგვარად, ქართველთაგან ხელში ჩაგდებული თბილისი ისევ თბილისის საამიროდ დარჩა.

მხოლოდ 1037 წ.-თველავ შესაძლებელი განდა, რომ თბილისის დაპყრობის გეგმის განხორციელებას ისევ შესდგომოდნენ. ბაგრატ IV-მ ამისათვის კახთა მეფეც მოიშველია თავის ჯარითურთ და თბილისის ორი მხრით ალყა ჰქონდა ორი წლის განმავლობაში შემორტყმული. თბილის სრულები საშინელ გაჭირვებაში იყვნენ ჩაგრაზნილი: სიცეირე და შიბიშილობა მძვინვარებდა ქალაქში. ისეთი მღღომარეობა შეიქმნა, რომ თბილისის ამირას გადაწყვეტილი ჰქონდა, ან დაპზავებოდა, ან გაქცეულიყო, მაგრამ სწორედ ასეთ გარემოებაში ბაგრატმა 1039—40 წ. მოულოდნელად ამირასთან ზავი დასდო, ისე-კი, რომ ლიპარიტ ამირასთვის ამის შესახებ წინასწარ არც-კი შეუტყობინებია. რასაკირველია, ამ მოქმედებას შეუძლებელია ლიპარიტის უკმაყოფილება არ გამოეწვია, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაშიც ბაგრატ IV-ის საქციელი ლიპარიტის მოწინააღმდეგ დიდგვარიან აზნაურთა ჯვეფის თანამდებობა და გავლენის შედეგი ყოფილა.

ცხადია, რომ ასეთს პირობებში დამოკიდებულება ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს შორის უნდა გამწვავებულიყო. მართლაც, თუმცა ამის შემდეგ ბაგრატმა კახეთში გაიღამდება და იქ ძლევამოსილი ომი გადაიხადა კიდეც, მაგრამ, შინაური მტრების შიშით, ბაგრატი იძულებული გახდა კახეთიდან უქან დაეხია, რადგან სწორედ იმ დროს 1044—5 წ. ბაგრატ-ლიპარიტს შორის დაუნდობელი ბრძოლა ატყდა, რომლის დასასრული საქართველოს მხოლოდ თვით ლიპარიტის შეპყრობამ აღირსა. ლიპარიტი უკმაყოფილო იყო იმ დამოკიდებულებით, რომელიც ბაგრატს ჰქონდა მასთან.

ლიპარიტ ამირა რომ კიროვება საქართველო-ში და განთქმული სარდალი, კარგად იყო ცნობილი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში: ბიზანტიელებიც, მაკმადიანი. მმართველებიც მას: დოდის პატივისცემით ეპყრობოდნენ, მაგრამ ბიზანტიის მთავრობა. ცდი-ლობდა, რომ ის თავის სასაჩვენებლოდ და საქართველოს მეფის წინააღმდეგ გამოეყენებინა, მეტადრე მას შემდგომ, რაც გამოირკვა, რომ ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს შორის ესოდენ დიდი პოლიტიკური უთან-ზმოება იყო. ჩამოვარდნილი, ამის გამო ლიპარიტსა და ბაგრატს..შორის

ატეხილ ბრძოლაში ბიზანტიულები ლიპარიტის მხარეზე იყვნენ. ბიზანტიულებთან შეთანხმებით, ლიპარიტმა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბიზანტიიდან და მეტრაჟ უფლის წული გამოიყვანა გასამეფებლად.

ასეთ პირობებში ბაგრატმა გადასწყვიტა, რომ სჯობდა ლიპარიტს შეპრივებოდა და ამ გზით შშვიდობიანობა დაემყარებინა: ის. მართლაც შეურიგდა ლიპარიტს, ქართლის ერისთავად დანიშნა და ამ დროიდან მოყოლებული მასა და ამ ძლიერ ერისთავს შორის მცირე ხნით მაინც ნორმალური ურთიერთობა დამყარდა.

1045 წელს ქალაქ ანისის „ბერებშა“ (მოქალაქეთა უფროსებმა) ბაგრატისა და მის დედას, სომეხთა მეფის ასულს, ანისი და ცხრა ციხე შესთავაზეს. ბაგრატი დაიძრა თავის ჯარითურთ, სომხეთის სამეფოს ყოფილი დედაქალაქი ანისი ცხრა ციხითურთ ჩაიბარა და სათანადო ხელისუფლების მეთაურობით ანისში თავისი მეციოვნე ჯარი ჩააყენა.

ბაგრატმა გადასწყვიტა, რომ ამის შემდეგ მას უკვე შეეძლო ბიზანტიისათვის ანაკოდის ციხეც წაერთმია. 1046 წელს ის თავის ჯარითურთ გაემგზავრა და ანაკოდის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ სწორედ ამ დროს თბილისის ამირა გარდაიცვალა და ქალაქ თბილისის მარმომადგენლებმა ბაგრატს. მოციქული მოუგზავნეს, რომ თბილისში ჩამობრძანებულიყო და საქართველოს დედაქალაქი ჩაებარებინა. ეს წინადაღება იმდენად ხელსაყრელი იყო, რომ ბაგრატ IV-მ გადასწყვიტა ანაკოდის ციხისათვის დროებით თავი მიენებებინა და უმაღ თბილისისაკენ გამოეშურა. ქალაქ თბილისის წარმომადგენლები დილომთანვე დახვდნენ და დედაქალაქში დიდის ამბით შეიყანეს. მხოლოდ ისნის ციხეში გამაგრებული უწევდნენ წინააღმდეგობას. ამგვარად, თბილისი საქართველოს შემთხვერთდა. ესოდენ აღზევებულს ბაგრატ IV-ს კახთა მეფე გაგვიცეკი ეწვია საღარბაზოდ, მაგრამ სწორედ იმ დროს ლიპარიტი კვლავ ბაგრატ IV-ს აუჯანყდა და ბაგრატის მიერ ანისის შმართველად დანწენული ერისთავი აბუს სერი და უკველია, ბიზანტიელთა ინტრიგების წყალობით, შეისყრო. ლიპარიტის ამ მოღალატურმა მოქმედებამ საქართველოს ანისიც დააკარგვინა და თბილისიც უნდა ხელიდან გამოსცლოდა.

მეფესა და ლიპარიტს შორის გაჩაღდა დაუნდობელი, გამწვავებული ბრძოლა, რომელიც მთელი 1046—1047 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელშიც კახეთისა და ქართლის დიდგვარიანი აზნაურებიცა და დიდი სამღვდელო პირებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. რაც ლიპარიტს ბიზანტიის მთავრობა უჭერდა მხარს, ბაგრატი მეტად გაჰირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა: ამიტომაც ბაგრატმა სცადა, თავის ძლიერ ქვეშევრღომს როგორმე შეპრივებოდა, მაგრამ ლიპარიტმა ეს წინადაღება უარყო. ამის შემდეგ ბაგრატი ლიპარიტის წი-

ნააღმდეგ ბრძოლისათვის მზადებას შეულგა, მაგრამ ლიპარიტმა და-  
ასწრო და შეფე დაამარცხა.

ლიპარიტმა გამარჯვება უმთავრესად ბიზანტიის მძლავრი დახმარების  
წყალობით შესძლო. ბიზანტიის დახმარება-კი ორი გარემოებით აიხსნე-  
ბოდა: ლიპარიტი განთქმული მოლაპქერე იყო და მას, როგორც ცნობილ  
სარდალს, მტრებიცა და მოწინააღმდეგებიც აფასებდნენ. ბიზანტიისა-  
თვის ის ძვირფასი იყო აგრეთვე, როგორც საქართველოს შინაურობაში  
შულლანობის ჩამოსაგდებად მათვის გამოსალეგი საუკეთესო იარალი.  
ლიპარიტმა სამაგიეროს გადასახდელად ბიზანტიელებთან ერთად თურ-  
ქების წინააღმდეგ ლაშქრობა იყისრა: ამას მათთვის, რასაკირველია,  
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდ სამასახურსაც წარმოადგენდა.

სწორედ ერთს ასეთ ლაშქრობაში ლიპარიტი თურქებმა 1048 წელს  
დაატყვევეს და საქართველოსაც ბაგრატ IV-ის დაუძინებელი მტრის  
თავებური და მოღალატური ქცევისაგან ოდნავ მოისვენა. ბაგრატ  
IV-ს ამ ტყვეობამ საშუალება მისცა გაძლიერებულიყო; ძალა მოეკრი-  
ბა და შინაურობაში წესრიების დამყარებას შესდგომოდა.

ბიზანტიელებისათვის ცხადისაყოფელად, რომ ულიპარიტოდაც მას  
მარტო პირადადაც მათვის ძვირფასი დახმარების გაწევა შეეძლო,  
ბაგრატი ბიზანტიელებს თურქების წინააღმდეგ მიეშველა ბრძოლაში:  
საქართველოს მეფის ისევე გაძლიერების გამო და ამ ხელსაყრელ პი-  
რობებში თბილისელებმა ბაგრატის საქართველოს დედაქალაჭი კვლავ  
შემოსთავაზეს და ბაგრატმა შემოირთა კიდეც თბილისი.

ამრიგად, საქართველოს სრულიადი გაერთიანება თითქმის უკევ დამ-  
თავრებული იყო, რომ 1051 წელს, ბიზანტიის მთავრობის გულმოღვინე,  
ცდით, ლიპარიტი თურქთა ტყვეობიდან განთავისუფლდა. მის მოსვლის-  
თანავე-მრგვამასებობა საქართველოში ძირიანად შეიცვალა: ბაგრატ-  
მა მაშინვე თბილისი მიატოვა და წავიდა. დაბრუნებული ლიპარიტი  
კვლავ გაძლიერდა, ბაგრატ მეფე-კე ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა,  
რომ მას სხვა აღარავითარი საშუალება არ ჰქონდა იმას გარდა, რომ  
ბიზანტიაში წასულიყო და ბიზანტიის მთავრობასთან მოლაპარაკების  
გზით თავისი და ლიპარიტის გამჭვევებული ურთიერთობის მოწესრიგება  
ეცადნა.

1054 წელს ბაგრატ IV მართლაც ბიზანტიაში გაემგზავრა, მაგრამ  
ლიპარიტს ბიზანტიის საშეფლოს კარზე იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა,  
რომ ბაგრატ IV-ს კარგა ხანს დასკირდა მოცდა, სანამ მას საქართველოს  
საზღვაოს იქით მყოფს, ბიზანტიის დედაქალაჭი კონსტანტინოპოლში ჩა-  
სვლის ნებართვა მოუვიღოდა. ბიზანტიის მთავრობას ცხადად ლიპარი-  
ტის მხარე ეჭირა და ის არ მალავდა, რომ ბაგრატის უკმაყოფილო იყო.  
როდესაც ბაგრატმა კონსტანტინოპოლში ჩასვლა მთავრება და მოლა-  
პარაკება დაიწყო, ბოლოს როგორც იყო დაზავების პირობების დადება  
მოხერხდა. ეს მოლლოდ ბიზანტიის კეისრის უშუალო მონაწილეობით

მოხერხდა. ბაგრატ-ლიპარიტს შორის ასეთი შეთანხმება იყო დადებული: ლიპარიტი სცნობდა ბაგრატის მეფობას მთელ საქართველოში, ლიპარიტი-კი, სანამ ცოცხალი იქნებოდა, უნდა მესხეთის ნახევრის მთავრადი ყოფილიყო. მაგვარად, ბაგრატის ურჩი ფეოდალი, მაგრამ კეისრის პოლიტიკურ ზრახვათა ერთგული განმახორციელებელი ბიჭანტიის მთავრობის წყალობით უხვად იქმნა დაჯილდოებული.

როდესაც ბაგრატ IV ჯერ კიდევ ბიზანტიაში იმყოფებოდა, ლიპარიტი მცირეშილოვანი გიორგი უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი ს აღმზრდელად იყო დანიშნული. გიორგი უფლისწული მეფედაც-კი აკურთხეს, ლიპარიტი-კი მის მზრუნველად იქცა. ამგვარად, საქართველოს სახელმწიფო საქმეების მართვა-გმიგობა მთლიანად ლიპარიტს ჩაუვარდა ხელში.

ბიზანტიის სატახტო ქალაქში ზავის დადების შემდგომ, ბაგრატ მეფეს საშუალება ჰქონდა 1057 წელს საქართველოში დაბრუნებულიყო. აშშროოდან მოყოლებული ბაგრატ-ლიპარიტის ურთიერთობა გარევნულად მაინც მოწესრიგებული ჩანდა, მაგრამ ასეთი გზითა და ასეთი საშუალებით დადებული შეთანხმება, რასაკირველია, ვერ იქნებოდა ვერც ხანგრძლივი და არც სახეირო. ბოლოს ლიპარიტის ბატონობასა და მედიდურს მოპყრობას მისი ქცევით მობეზრებულმა თვითვე დიდებულმა აზნაურებმა დაუდეს საზღვარი. გათამამებულმა ლიპარიტმა თავისი კაღნიერი ქცევით სეთი დიდგვარიანი აზნაურებიც-კი აალევა, რომლებიც წინათ მისი მომხრენი იყვნენ და მას თანაურებინობდნენ. ამ უქმაყოფილოთა შეთაურმა ს უ ლ ა კ ა ლ მ ა ხ ე ლ მ ა ლიპარიტ ამირა შეიძყრო და ბაგრატი შეუთვალია, რომ მისი დაუძინებელი მოწინააღმდეგე მის ხელთ იმყოფებოდა. ბაგრატი მივიდა და დატყვევებული ლიპარიტი ჩაიბარა. მაგრამ ლიპარიტის დაჭრა და მისი სამფლობელოს ხელში ჩაგდება ერთი და იგივე არ იყო: მას ერთგული მომხრენი ჰყავდნენ:—მისი მეციხოვნენ, რომლებიც მის სამფლობელოში იმყოფებოდნენ, არ აპირებდნენ დათმობას და მანამდე უწევონენ წინააღმდეგობას ვიღრე მეფისაგან ლიპარიტის უვნებლად გაშვების აღქმა არ მიიღეს. მხოლოდ ამის შემდეგ ლიპარიტის მეციხოვნებმა კლდექარი გადასცეს.

ბაგრატის ტყვეობაში მყოფი ლიპარიტი იძულებული იყო პოლიტიკური საქმიანობისა და მოღვაწეობისათვის საბოლოოდ თავი დაენებებინა: ლიპარიტმა აღთქმა დასდო, რომ საქართველოდან წავიდოდა და ბერად შედგებოდა. მართლაც, მან თავისი სამშობლო მიატოვა და ათონის ქართველთა მონასტერში, ან ჩანა და სახელდებული, ბერად იღივეცა.

ბიზანტიაში წასული იყო ლიპარიტის ვაჟიშვილი ივანე ც. მისი იქ ყოფნა საქართველოს პოლიტიკური მიზნებისათვის სახიფათო იყო. მისი მამა ლიპარიტიც მოწადინებული იყო და მით უშეტეს ბაგრატ IV-ც, რომ ის თავის სამფლობელოში დაებრუნებინა. 1059 წელს ის

მართლაც საქართველოში ჩამოვიდა და ბაგრატ IV-მ მას საგვარეულო მამული მთლიანად დაუბრუნა. ბაგრატ IV-ის მიზანი იყო, რომ ბიზანტიის მთავრობას საშუალება არ ჰქონდა, მძლავრი ლიპარიტის შვილი ივანე თავისი მიზნებისათვის საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებინა.

რაյო ლიპარიტი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებული იყო და ათონის მონასტერში მწიგნობრობის მოღვაწეობას შეუდგა, ბაგრატს ასეთი უძლიერესი მეტოქე და მოწინააღმდეგე ჩამოსცილდა, მას შეეძლო პოლიტიკური გეგმის განხორციელებას უკვე თავისუფლად შესდგომოდა. მართლაც, 1060 წელს მან კახეთის დაყრობაც მთახერხა, ბიზანტიის კეისრისაგან ს ე ვ ა ს ტ ი ს ი ს წილებულება და პატივი მიიღო. ეს ბაგრატის საგარეო ურთიერთობაშიც გაძლიერების ცხადად მომასწავებელი გარეგნული ნიშანი იყო.

საქართველოში მშეიძლიანობის დამყარებამ ბაგრატს საშუალება მისცა წესიერების დამყარებას შესდგომოდა, მაგრამ ეხლა გამსაცდელი უკვე სხვა მხრიდან მოადგა ქვეყანას: 1065 წელს ალფარ ს ლ ა ნ ს უ ლ ტ ა ნ ი დაიძრა და საქართველოს შემოესია. სელჯუკიანელთა საგვარეულოს ამ ძლიერმა წარმომადგენელმა საქართველოს აოხრება შესძლო და ჯავახეთის ახალქალაქი იღო, გაცარცვა და დიდალი ხალხი ამოხოცა. საქართველო უნდა დაპზავებოდა შემოსეულ მტერს. ზავის ერთი პირობათაგანის თანახმად, ბაგრატ IV-ის დისტული კეთილშეწობლობის დასამყარებლად ალფარსლან სულტანზე იქნა მითხოვებული. ამავე დროს 1065 წ. ბაგრატის ასული მ ა რ თ ა ბერძენთა მეფე-ზე გათხოვდა და ამ მხრივაც ბიზანტიისთან ურთიერთობა გაუმჯობესდა.

რაიო, ამრიგად, ალფარსლანთანაცა და ბიზანტიისათანაც დამოკიდებულება გამოკეთდა, შესაძლებელი იყო საქართველოს გაერთიანებისათვის შრომლა კვლავ განახლებულიყო და ბაგრატიც 1068 წელს კახეთს შეესია. მაგრამ გარეშე პოლიტიკურმა გარემოებამ ბაგრატ IV ისუკ განსაცდელში ჩააგდო: სულტანი კვლავ შემოესია საქართველოს, კახეთ ბატონი მტერს მიექმნო და ბაგრატი იძულებული გახდა კახეთიდან უკან დაუხია. 1068 წელს სულტანმა ჯერ ქართლი ა.აოხრა, შემდეგ არგვეთიც აოხრების გამო საქართველოში შემშენობა ჩამოვარდა. მხოლოდ ზამთრის სიფიცემ აიძულა სულტანი ზავის დაუდებლივ საქართველოდან წასულიყო, მაგრამ სულტანმა წასვლის წინ თბილის და რუსთავი განდის პატრიონს ფ ა ლ ლ რ ნ ს მისცა. გათამამებული ფალლონი საქართველოს შონვენების არ აღლევდა. ამიტომ ბაგრატმა თბილისის სანახებში მოთარეშე ფალლონს ჯარი მიუსია. აქ დამარცხებული და გაქცეული ფალლონი ფალლეთის მახლობლად შეპყრობილ იქნა.

ამის შემდეგ ბაგრატ IV თბილის მიადგა და იღო, საამიროს ციხეებიც ჩამოართვა. მაგრამ იმის მაგიერ, რომ თბილისი მთლიანად შემოეერთებინა საქართველოსათვის, მან ქალაქი და საამირო თბილისის ამირე-

შის ერთ მემკვიდრეთაგანს გადასცა იმ პირობით, რომ ის ვითარცა ყმად-ნაფიცი წლიურად 44000 ლრაპენას გადაიხდიდა.

ბაგრატ I V-ელექტროლი ფადლობი, დიდი ხევწისა და დიდი სულტანის შუამდგომლობის შემდგომ, განათავისუფლა, რასაკვირევლია, სამა-გიეროდ გაგიკეთისა და გავის მიღებით, მაგრამ, ტყვეობითგან თავის დახწევის უმაღლეს ფადლონმა მაშინვე თავისი უპირობა გამოიჩინა და და-დებული ფიცი გასტეხა. ამის საპასუხოდ ბაგრატმა განდა ააოჩრა.

ასეთ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობაში ერანის მმართველი სულტანი ყოველნაირად ცდილობდა, რომ საქართველო, რომელიც მან ორჯერ ააოსრა, იურიდიულადაც, ხელშეკრულებითაც, დაემორჩი-ლებინა. ის სთხოვდა ბაგრატ IV-ს, რომ საქართველოს ხარჯის გადახდა ეკისრა ყოველწლიურად, მაგრამ ბაგრატი არს გზით ამაზე არ თან-ზმდებოდა. ამის მაგიერ მეფე ყოველწლივ ძღვენს უგზავნიდა, ხარჯის დადებაზე-კი უარს ამბობდა, ასეთი დიპლომატიური ხერხით ბაგრატი საქმეს აჰიანურებდა ისე, რომ ხარჯის დადება. საქართველოზე ვერც სულტანმა მოახერხა და ასეთი მონობის იურიდიულად დაკანონება არც ბაგრატმა მოისურვა.

ორმოცდახუთი წლის განმავლობაში მღელვარებითა და ბრძოლით სავსე მეფობის შემდეგ ბაგრატი 1072 წელს ავად გახდა და გარდაიცვა-ლა.. ბაგრატი რთული პიროვნება იყო და ამიტომაც მისი მოღვწეობის პირუთვნელად დახასიათებაც ადვილი არ არის. პირად ღირსებასთან ერთად, რომელიც მას, როგორც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეს, ჰქონ-და, არაერთი დიდი ნაკლიც მოეპოვებოდა. მართალია, ბაგრატ IV-ის დროს საქართველოს გარეშე მტრებისაგან მოსვენება არ ჰქონდა, მაგ-რამ საქართველოს მაშინდელი შედარებითი სისუსტეის მთავარ მიზეზს შაინც ის შინაური ბრძოლა წარმოადგენდა, რომელიც იმ ხანაში სა-ქართველოში დიდგვარიან აზნაურთა წყალობით წარმოებდა.

## გიორგი II (1072—1089)

ბაგრატ IV-ის მაგიერ სამეფო ტახტზე საქართველოში 1072 წელს ჭაბუკი ვაჟიშვილი გიორგი II ავიდა. პირადად მას არაერთი კარგი თვი-სება ჰქონდა: რჩეულ ცხენოსნ-შვილდოსნად ითვლებოდა, უხვ მწყა-ლობელადაც იყო ცნობილი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო და სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისათვის მესამედ არ ვარგო-და. მას უფრო გართობა და ნაღირობა იტაცებდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა. ამავე დროს მის მეფობაში საქართველოში ფრიად შნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო ამბები მოხდა, რომელთათვის სწო-რედ ძლიერი ნებისყოფის პატრონი და კარგი სახელმწიფო მოღვაწე იყო საჭირო.

გიორგი II-სს ხასიათის სისუსტით უპირველესად, რასაკვირველია, საქართველოს დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს, რომელთა თვითნებობის ალაგმვა მან სრულებით ვერ მოახერხა. უკვე ერთი წლის შემდგომ, 1073 წელს, ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ძე ლიპარითისა და ვარდან ნიანია ნიანთა ერთისთვით განუდგნენ მეფეს და ქვეყანას. არის. ნიანიამ ხომ იმდენი კადინიერება გამოიჩინა, რომ სატაცტო ქალაქი ქუთაისიც-კი დაიპყრო და სახელმწიფო საჭურჭლე ჩაიგდო ხელში. გარდანმა სვანები ააჯანყა, მათთან ერთად საეგრის შეესია და მის დარღვევას შეუდგა. ზუმცა გიორგი II-მ აჯანყებული. დაიმორჩილა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ სხვებისათვის სასწავლებლად სამაგალითოდ დაესაჯა, მაინც მან კველანი წყალობით დაფარა: თითოეულს მათგანს სამფლობელო გაუდიდა.

რასაკვირველია, ასეთ პირობებში დიდგვარიან აზნაურ მოხელეებს ადვილად შეეძლოთ დაესკვანათ, რომ მათთვის ურჩიობა უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე მორჩილება, რადგან ასეთი ურჩიობა მათ სამფლობელოს გადაიდებას უქადა. მართლაც, ივანე ძე ლიპარიტისა გიორგი მეფეს ისევ აუჯანყდა. თუმცა გიორგი II-მ ივანე მეორეჯერაც დაამარცხა, მაგრამ საქმის გათავება ამისდა მიუხედავად მაინც შეთანხმება-შერიკებით ირჩია. ამავე ივანე ლიპარიტის-ძემ შემდეგ გიორგი მეფის ციხოვანიც კი მოატყუა, ამნაირად გაგის ციხე ხელში ჩაიგდო და საქართველოს დაუძინებელ მტერს, განძის პატრიონს ფალლონს, მიჰყიდა. ასეთი კადინიერებისათვის, ცხადია, ის სამაგალითოდ უნდა ყოფილიყო დასჯილი; მაგრამ გიორგი II-მ ვერც ამ შემთხვევაში გამოიჩინა გამბედობა.

სულტან მელიქ-შაჰი რომ 1073 წელს საქართველოსაკენ გამოემგზავრა, იმავე ივნებმ გზაზევე თავისი შვილი ლიზარი ტი მიაგება. ამგვარად, საქართველოს ერთი უძლიერესი ფეოდალთაგანი საქართველოს მოსისხლე მტერს მიემხრო. ივანე ლიპარიტის-ძემ მელიქ-შაჰთან მაინც დიდხანს ვერ შესძლო დარჩენა და იქიდან გამოიპარა. ამის საბასუხოდ მელიქ-შაჰი გამოილაშერა და სამშვილდე, რომელიც ივანე ლიპარიტის-ძეს გიორგი მეორისაგან პეტრი ნაწყალობევი, წართვა, შთელი ეს ქვეყანა ააოხრა და შემდეგ უკან გაბრუნდა.

1073—74 წ. უკვე მელიქ-შაჰის სარდალი მოვიდა, მაგრამ მას გიორგი შეფე დახვდა საქართველოს ჯარითურთ და ფარცხის თანა დიდი ბრძოლა მოხდა. ამ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა გაიმარჯვა და მელიქ-შაჰის სარდალი დამარცხებულ იქმნა.

ამის შემდეგ გიორგი მეფე ტაოში გადავიდა. აქ ტაოში, როგორც ჩანს, წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, მას ბიზანტიის სახელმწიფოს დიდი მოხელე, აღმოსავლეთის, ანუ ანატოლიის მხედართმთავრისა და ერისთავთ-ერისთავის თანამდებობის მქონებელი გრიგოლ ბაკური ივანი ს ძე ესტუმრა. იგი საქართველოს ისტორიაშიც განთქმულია იმ თავისი ლვაჭლით, რომელიც მას მოუძღვის პეტრიწონის ქართველთ

მონასტრის დარსებით. პეტრიწონის მონასტერი ცნობილი იყო, როგორც ქართული ფილოსოფიური აზროვნების კერა და ოთანე პეტრიწის სავანე. გრიგოლ ბაკურიანისძის მოსვლა უბრალო დარბაზობას არ წარმოაღენდა: გიორგი მეფეს გრიგოლ ბაკურიანისძემ მის განკარგულებაში მყოფი კარის ციხე გადასცა ყველა მისი მიმღობი ქვეყნებით, ე. ი. შახლობელი სანახებით. გიორგი II-მ გაღმოცემული ტერიტორია, რასაცირელია, სიხარულით მიღო და კარის ციხე-ქალაქი შავშელ აზნურთაგან მეციხოვნე ჯარი ჩატენა.

გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ გადაღვეული პოლიტიკური ნაბიჯი შემთხვევითი არ იყო: სწორედ ამ ხანაში მახლობელ აღმოსავლეთში დაიწყო თურქების დიდი გაძლიერება და ის ბრძოლა, რომელიც უკვე კარგა ხანია ბიზანტიასა და თურქებს შორის დადგებული ხელშეკრულებით დამთავრდა. ამ შეთანხმების ძალით ბიზანტიელებმა აღმოსავლეთის ქვეყნის უღილესი ნაწილი, რომელიც მათ მფლობელობაში იმყოფებოდა, დასთმეს. ეს, რასაცირელია, უპირველესად ბიზანტიის დაუძლურების მაჩვენებელი იყო, მაგრამ ამავე დროს საქართველოსათვისაც ეს ფრიად სამშუხარო მოვლენა იყო, რამდენადაც ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს, წინანდელ ბიზანტიის მაგიერ, სამხრეთ-დასავლეთითაც მოსაზღვრედ უკვე თურქთა სამფლობელო აღმოუჩნდა.

ამ პოლიტიკური ცვლილებების შედეგი საქართველოსათვის მაღვე საგრძნობი განდა: თურქებმა კარის ციხე-ქალაქი ჩაიგდეს ხელში, რომელიც საქართველოს გრიგოლ ბაკურიანისძისაგან ჰქონდა მიღებული. ასეთ განსაკუდელის უამს, ზოგ დიდგვარიან აზნურთა შინათვამცემლობით, სხვა თურქებმა ტომებმა დასავლეთ საქართველოში შეჭრა შესძლეს და ყველის ციხეში მდგომ გიორგი II-ს თავს დაესხნენ. მტრის ეს შემთხვევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გიორგი II მას სრულებით მოუმზადებელი დახვდა. ამის წყალობით თურქებმა აღვილად მოიპოვეს გამარჯვება. მათ დიდაღლი ქონება ჩაუვარდათ ხელში, მათ შორის ძვირფასი ოქროს და ვერცხლის ჰურქელიც, რომელიც ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის დროს იყო გაეთებული. დამარცხებული გიორგი II იძულებული იყო აჭარიდან აფხაზეთში გადასულყო.

თურქების გათამამებას უკვე ოღარეთარი საჩილგარი არ ჰქონდა და 1080 წელს მათი დიდი შემოსევა დაიწყო, რომელსაც ქართულს საისტორიო იმდროინდელს წყაროებში „დ ი დ ი თ უ რ ქ ი ბ ა“ ეწოდებოდა. ამ დიდი შემოსევის დროს კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, შემდეგ სამოქალაქო, აღვეთი და თვით ქართლიც-კი დარბეული და ოხორებული იქმნა. იმას გარდა, რომ მტერთან ბრძოლაში დიდაღლი ხალხი დაიხოცა, სოფლები და ქალაქები განადგურებული იყო, ქვეყანა მტრის თანაშინისაგან აოხრდა და ნორმალური სასოფლო-სამეურნეო მუშაობაც სრუ-

ლებით შეუძლებელი შეიქმნა: სადაც კი მტრებს ხელი მიუწვდებოდათ, ყველგან ხნა და ოესეა შესწყდა.

ამ თურქების შემოსევამ საჭართველო საშინელ გაქირვებაში ჩაგდოდა და ხალხი უკიდურეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. გიორგი II-ს არა-ჟითარი არც ნებისყოფა და არც გამბედაობა არ აღმოაჩნდა, რომ გათქმამებული მტრისათვის სამხედრო წინააღმდეგობაზ გაეწია. გიორგი II-მ გადასწყვიტა, რომ დამორჩილების გარდა მას სხვა არავითარი გამოსავალი არ ჰქონდა. დიდგვარიან აზნაურებთან ბჭობის შემდგომ, მეფემ ეს საერთო გადაწყვეტილება განახორციელა კიდევ შელიქ-შაპთან წავიდა და მასთან დაზავებაზე დაიწყო მოლაპარაკება.

თუმცა მელიქ-შაპთა გიორგი II დიდი პატივისცემით მიიღო, მაგრამ ყველაფერი, რაც კი მას თავისი მიზნის მისაღწევად საჭიროდ მოაჩნდა, გამოიყენა. კერძოდ, მან გიორგი II-ს კახეთი და ჰერეთი შეაძლია, რომელიც მის სამფლობელოს არ შეაღებდნენ და რომელთა მიცემაც ამიტომ მას არც შეეძლო. მაგრამ მელიქ-შაპს ეს ხერხი პოლიტიკური ჯერადბის მიზნით ჰქონდა გამოყენებული, რომ ერთი მხრით ამ გზით სუკართველოში უთანხმოება და მტრობა ჩამოეგდო, მეორე მხრით-კი ასეთი უხვი „სასუქრით“ გიორგი მეორე ყოველწლიური ხარკის გადახდაზე დაეთანხმებინა. პოლიტიკური სიბეჭით გიორგი II-ს მართლაც მოსჩვენებია, რომ კახეთისა და ჰერეთის გადმოცემა ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა.

როდესაც მელიქ-შაპთა, საზაფო პირობების მიღების შემდგომ, ჰერეთისა და კახეთის საქართველოსთან შესაერთებლად მას თავისი საკუთარი ჯარი გამოაყოლა, გიორგი II-ს ეგონა, რომ ამით მართლაც მიზანი შილწეული იქნებოდა. ამ მტრის ჯარი და ქართველთა შეერთებული ძალა მართლაც კახეთის და ჰერეთის სამეფოს შეესრა და გიორგი II-მ ვ-ე-კ-ი ნ ი ს ციხის გარემოცვა დაიწყო, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ იქ საკმაოდ მრავალრიცხვობი მხედრობა იღვა, გიორგი II-მ ამ ციხის აღება მაინც ვერ მოახერხა. ამავე დროს უკვე შემოდგომა დაიწყო და დაზიანებული, თოვლიც მოვიდა. დადგა, როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, ნადირობის ხანა და გატაცებულმა მონადირემ გიორგი II-ში ამ ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს თავი მიანება და სანადიროდ გაეშურა, ვევინის გარემოცვის დამთავრება-კი თავის ხელქვეით მოხელეებს და სამხედრო პირებს მიანდო.

ამ ცხადი პოლიტიკური ქარაფშუტობის წყალობით, კახთა მეფეს აღმართან სრული საშუალება ჰქონდა გიორგი II-ს უსუსური ზრახვა გაეჭარწყლებინა იმავე გზით, რომლითაც გიორგი II-ს თავისი პოლიტიკური გეგმის განხორციელება ჰსურდა, აღსართანია მისთვის სამაგიეროს გადახდა გადასწყვიტა: კახთა მეფე აღსართანი მელიქ-შაპთან წავიდა და შეევედრა, კახთა სამეფო კვლავ მის ხელში დაეტოვებინა. ამ საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა მელიქ-შაპთათვის ფრიად ხელსაყრელ გა-

რემონას წარმოადგენდა, რადგან ამ შემთხვევაშიც პირობის დამდებარებას უნდა ყოფილიყო: თუ გიორგი II-ს მან ყოველწლიური ხარჯის გადახდა მოსთხოვა, აღსართანის ამის საფასურად წინასწარ პირობად დაუდო, გამაპმადიანებულიყო. აღსართანმაც ეს პირობა მიიღო, გამაპმადიანდა და იმავე სულტან მელიქ-შაპის დასტურითა და ბრძანებით გაძლიერებული ისევ თავის სამფლობელოში დაბრუნდა. ამით გიორგი II-ს გულუბრყვილო პოლიტიკური გეგმა მთლიანად ჩაიშალა.

შინაურ უმწეო პოლიტიკურ მდგომარეობას, საქმეების ასეთს აწერდაწერას ზედ სტიქიური უბედურებაც დაერთო: 1088 წელს საქართველოში კატასტროფიული მიწისძერა დაიწყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ კატასტროფიულმა მიწისძერამ დიდძლი ციხე-ქალაქები და სოფლები იმსხვერპლა. მა დროს მთლიანად დაინგრა განთქმული თმოვი ციხითურთ, მრავალი ხალხიც დაიღუპა და გადარჩენილნიც უსახლკაროდ დარჩენენ. ამას ჯერ ზედ მკაცრი ზამთარი, ხოლო შემდეგ, გაზაფხულზე, საშინელი წყალდიდობა მოჰყვა, რომელმაც ქვეყანას აგრეთვე შემდეგ დიდი ზიანი მიაყენა. ყველა ამ თავზე დამტყდარი უბედურების ზეგავლენით, თუ ეგების აგრეთვე სხვა, ჩვენთვის ჯერ უცნობი, მიზეზების გამო, გიორგი II გადადგა, მეფობას თავი დაანება და 1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ჭაბუკი ვაჟიშვილი დავითი, შემდეგ აღმაშენებლად წოდებული, ავიდა.

## საქართველოს სოციალური და კულტურული პითარება XI — XII საუკუნეები

შესაძლებელია გადაჭრით ითქვას, რომ ბაგრატ მესამიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციის მტკრცე საფუძველი ჩაეყარა. ბაგრატ III-მ პირველმა შეიგნო ის სახელმწიფო ორგანიზაცია ამოცანა, რომლის გადაუქრელადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი იყო. ბაგრატ III-მ, როგორც ვიცით, თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა; თბილისის სამიროს გარდა, სუყველაფერი შემოერთებული იყო. მაგრამ მის მომდევნო შეფეხბმა გიორგი I-მა, ბაგრატ IV-მ და გიორგი II-მ ამ საქმის განხორციელება და ბოლომდის მიყვანა ვერ მოახერხეს და არამც თუ საქართველოს მთლიანობა სრულიად ვერ აღადგინეს, არამედ ისიც-კი ვერ შეინარჩუნეს, რაც საქართველოს ბაგრატ მესამეგ შესძინა.

ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ისეთს სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელსაც ბაგრატ III აწარმოებდა, ლირსეული განმაგრძელებელი საქართველოში აღარ აღმოაჩნდა.

საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება XI—XII საუკუნეებში პატრონ კ მო ბ ა ზ ე დამყარებული წესწყობილება იყო (ფეოდალიზმი). იმღრინიდებული მთელი საქართველო პატრონებად და ყმებად იყო დაყოფილი. პატრონი ერთსადაიმავა დროს მზრუნველობაცა და მთლობელსაც, კერძო მესაჟუთრესაც ნიშნავდა. მაგრამ ამასთანავე პატრონი მეფესაც ეწოდებოდა, ხოლო მის ქვეშევრდომებს კ მ ე ბ ი ერქვათ, თუნდაც-კი ისინი ძლიერებითა და ქონებრივი სახსრით უხვად აღჭურვილი დიდგვარიანი აზნაურები ყოფილიყვნენ.

ამ დიდგვარიან აზნაურ მეფის ყმებსაც თავიანთი ყმები ჰყავდათ, რომელთათვის ისინი პატრონნი იყვნენ. ეს მათი ყმები მათგან უფლებრივად და ქონებრივად იყვნენ დამოუკიდებული. ამ ყმებსაც თავიანთი მხრით შესაძლებელია ჰყოლოდათ და ჩვეულებრივ ჰყავდათ კიდეც ყმები, რომელთათვის ისინი პატრონები იყვნენ. ამრიგად, მთელი ქვეყანა თითქოს პატრონებრივი მოვალეობის ულელში იყო შემძლი. ეს სოციალური მოვ-

ლენა როგორც კერძო ურთიერთობაში, ისე მაშინდელი სახელმწიფოებრივისათვისაც იყო დამახასიათებელი.

ყმობა და პატრონულმობა სხვადასხვა ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგ. ტ ჟ ვ ე დ ჩავარდნილი პირი შესაძლებელია ყმად გამხდარიყო. მისი მდგომარეობა უფლებრივადაც და ქონებრივადაც სხვა ყმებზე უარესი უნდა ყოფილიყო. ნასყიდ ყმათა კატეგორიაც არსებობდა. ყმათა ერთს ჯვეუფს ისინი შეაღენდნენ, რომელნიც, როგორც შეუძლებელი მოვალე ნი, სასამართლოსგან ვალის გადახდამდე იყვნენ ყმად მიცემულნი. მათი მდგომარეობაც, რათქმა უნდა, მძიმე იყო. მაგრამ იყვნენ ყმები, რომელთა პატრონულმური ურთიერთობა ნებაყოფლობითს შეთანხმებაზე დამყარებული იყო. ასეთ ყმებს და ასეთ ყმობას ნებიერი ყმა ეწოდებოდა. ასეთი ყმობის მთავარ მიზანს გავლენიანი და ძლიერი მფარველ-დამცველის მოპოვება შეაღენდა. როდესაც ასეთი ნებაყოფლობითი შეთანხმება წერილობითი საბუთითაც იყო აღმეცდილი, რომელსაც მაშინ სიგვლი ეწოდებოდა, ასეთ ყმას სიგლოსანი ერქვა. ისეთი ყმებიც იყვნენ, რომელნიც ამა თუ იმ პატრონის თავიანთ ყმობას ხალხის აღწერის დავთარის შეღვენის ღროს განაცხადებლნენ და ჩააწერინებდნენ. ასეთ ყმას თავდაწერილი ეწოდებოდა.

სრულებით ცხადია, რომ ნებაყოფლობით ყმობაზე დამყარებული ურთიერთობა გაცილებით უკეთესი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც, ვიღრე სხვა კატეგორიის ყმებისა. ამ შემთხვევაში პატრონულმური ურთიერთობა ორგვარი გზით იყო ხოლმე მოწესრიგებული: ან ზნე-ჩვეულებაზე დამყარებული პატრონულმობის პირობებით, ან და წერილობით საბუთში საგანგებოდ აღნიშნული პირობებით. ასეთი უპირატესი მდგომარეობა სიგლოსანი ნები გლოსან გლოსან პერნდათ, ხოლო ნებიერ რთა და თანა სიგლოსნებსა და ნებიერ გარკვეულ პირობებში პატრონისაგან წასვლის უფლება პერნდათ.

ყმას თავისი მიწა პერნდა, თავისი ფუძე მოეპოვებოდა, რომელზედაც ის იჯდა და რომელიც მის საკუთრებას შეაღენდა. მაგრამ იყვნენ ისეთი ყმებიც, რომელთაც პატრონისაგან პერნდათ მიწა მიღებული და რომელნიც პატრონის მიწაზე ისხდნენ; რათქმა უნდა, თავისუფალი გლეხებიც იყვნენ, რომელნიც არავის ყმად არ ითვლებოდნენ და უშუალოდ სახელმწიფო დაწესებულებებს ექვემდებარებოდნენ.

პატრონი ვალდებული იყო თავისი ყმა და საყმო პირადადაც და ქონებრივადაც დაეცა ყველგან და ყოველთვის, სადაც და როდესაც-კი მისი დახმარება საჭირო იყო. ყმის მოვალეობას პატრონის ერთგული სამსახური, მასთან და მის საყმოსათვის ერთად სამრბოლველად გასვლა, საპატრონუმო გადასხადების გამოლება და სამუშაოდ გამოსვლა შეაღენდა. თითოეული ამ მოვალეობათაგანის სიღიდე და რაოდენობა

ყმობის პირობაზე იყო დამოკიდებული. ყმათა სხვადასხვა კატეგორიების ქონებრივი მდგომარეობაც ამისღმა მიხედვით განსხვავდებოდა. ყველაზე უკეთესად ისინი გრძნობდნენ თავს, რომელთაც შეუცვალობა ანუ იმუნიტეტი ჰქონდათ მინიჭებული, ე. ი. რომელნიც გადასახად-ბეგრისაგან განთავისუფლებულები იყვნენ.

ყმები მეფესაც ჰყავდა, რომელთაც სამეფო ანუ სახელმწიფო ყმები ეწოდებოდათ, აზნაურებსა და სხვა წოდების წევრებსაც, — დასასტულ, საუკლესია-საეპისკოპოსო საყდრების ყმებად ითვლებოდნენ და უმეტეს. შემთხვევაში მეფე-დიდებულთაგან გადაცემული, ნაწ ყალბები აღობევი ანდა შეწირულ ები იყვნენ ხოლმე იმ პირობით, რომ შემწირველის სულის მოსახსენებლად და აღაპის გადასახდელად ასეთ ყმებს მონასტრისა, თუ ეკლესიისათვის ყოველწლიურად სანთელ-საკმელო და სანოვაგე უნდა მიეცათ.

საქართველოს მოსახლეობა წოდებრივ ფენებად იყო და იყო დაყოფილი. უმაღლეს წოდების წევრს აზნაური ეწოდებოდა. აზნაური იყვნენ მემამულენი, ანუ მემკვიდრეობით მქონებლი, ანდა მოსაკარგვენი, ე. ი. რომელთაც ეს წოდება სამსახურით ჰქონდათ მოპოვებული, ციხიანნი და უციხონი, რომელთაგან პირველი აზნაურთა უფრო გავლენიანსა და ძლიერ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

მეორე წოდებრივი ფენა შესდგებოდა ვაჭრებისაგან.

მესამე ფენას მეახურნი წარმოადგენდნენ.

მეოთხე ფენა სოფლის მოსახლეობისა, გლეხობისაგან შესდგებოდა.

აზნაურთა წოდება შთამომავლობისა, სამსახურისა და ქონებრივი სახსრისღმა მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფებოდა. რაკი სამსახურს მაშინ დიდება ერქვა, რომელ აზნაურსაც სამსახური ჰქონდა, დიდებული ერქვა. ამგვარად დიდებული აზნაური ერთდაიმავე დროს წოდებრივი უპირატესობის მქონებელნიც იყვნენ და სამსახურებრივი უპირატესობითაც მოსილნიც.

მაგრამ წოდებრიობა საქართველოში მკაფრად განკერძოებულ დახულ სოციალურ ერთეულს არ წარმოადგენდა, არამედ შესაძლებელი იყო ადამიანი დაბალი წოდებითგანაც აღზევებულიყო, ისევე როგორც მაღალი წოდების წრითგან ჩამომცრობილიყო. აღზევებაც არგვარი გზით იყო შესაძლებელი: ან მეფის წყალობით, ან პირადი ლირსებითა და სამსახურით შეეძლო ადამიანს აღზევების უფლება დაემსახურებინა და მეფეს ის თავის უფრო დაბალი წოდებითგან უფრო მაღალ წოდებრივ ფენაში აეყვნა.

მაგრამ ყოველი წოდებრივი ფენისათვის შესაფერისი ეკონომიკური საფუძვლი იყო საჭირო: ყოველ წოდებას სახელმწიფო

უოს წინაშე თავისი სამსახური პქონდა სამხედრო ბეგარის სახით, რისთვისაც გარკვეული ქონებრივი სახესარი უნდა ჰქონოდა, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა: ამიტომ თუ ამა თუ იმ წოდების წარმომადგენელს სამი თაობის განმავლობაში თავისი წოდების მოვალეობის პირნათლად ასრულებს ძალა-აღარ ჰქონდა, ის თავის წინანდელ წოდებას ჰყარგვდა და უფრო დაბალ წოდებრივ ფენაში გადადიოდა. ვერავითარი ძალა მას იმ წოდებრივ: ლირსებას, რომელიც მის საგვარეულოს ჰქონდა, ვეღარ შეუნარჩუნებდა. ამგვარადვე, თუ ერთხელ ოზევებულის მექვიდრენი სამი თაობის განმავლობაში ამ ოზევებით მოპოვებულს ლირსებას შეინარჩუნებდნენ, ისინი წინანდელ თავისი წოდებითგან გამოდიოდნენ და უფრო ზემდგრა წოდებაში გადადიოდნენ ხოლმე.

ჯერ კიდევ IX საუკუნეში ქსეთი მდგომარეობა იყო საქართველოში, რომ წოდებათა შორის არსებული განსხვავება ცხოვრების ყველა სფეროში არ ჩანდა. ამ მხრივ დამასასითებელი ვითარება იყო სამონასტრო და საეკლესიო წესწყობილებაში. ამ ხანაში სამონასტრო ძმობაში დიდგვარიანი აზნაურების გვარიშვილების წარმომადგენელი და გლეხობითგან გამოსული პირები თანასწორუფლებიან წევრებად ითვლებოდნენ: უბრალო მეცხვარე მონასტერში შესვლის, სათანადო განათლებისა და განსწვლის შემდგომ, შესაძლებელი იყო მაღალი თანამდებობის პირი გამხდარიყო: მონასტრის უფროსადაც ყოფილიყო დადგენილი და ეპისკოპოსადაც-კი აერჩიათ. ამის მაგალითები იმდროინდელს საისტორიო თხზულებებში არაერთი მოგვეპოება.

მაგრამ IX საუკუნის შემდეგ მდგომარეობა თანდათანობით შეიცვალა და აზნაურთა წოდებამ ყველა სხვა წოდებებთან შედარებით განსაკუთრებული უპირატესობა მოიპოვა. X საუკუნეში იგი იმდენად გაბატონდა, რომ მონასტრებშიც-კი თითქმის არავის შეეძლო შესულიყო ბერად, თუ რომ ის აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნოდა. ისეთი გამონაკლისი-კი, როდესაც დაბალი წოდებითგან გამოსული პირები მონასტრებში ძმებად იყვნენ ხოლმე მიღებული, უმთავრესად საქართველოს გარეშე მდებარე მონასტრებში გვხვდება. თვით საქართველოში-კი სამონასტრო ძმობის შემადგენლობა, თუ მთლიანად არა, მისი დიდი უმრავლესობა მაინც აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა.

ამ მომხდარს ცვლილებას მარტო სამონასტრო წესწყობილებისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ გარკვეულ გავლენას ის აგრეთვე მთელ სახელმწიფო ახდენდა, რადგან, საეკლესიო კანონების ძალით, ეპისკოპოსად შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი პირი კურთხეულიყო, რომელიც წინათ ბერმონაზონი იყო და სამონასტრო ცხოვრების ყველა საფეხური გავლილი ჰქონდა. ჩაი მონასტრის ძმობა ამ ხანში, აზნაურთა წოდების შვილებისგან შესდგებოდა, ამიტომ ეპისკოპოსადაც ამავე ხანში აზნაურთა წოდებითგან გამოსულ პირებს აყენებდნენ და

ქართული ეკლესიის მესაჭიობაც დიდგვარიან აზნაურთა წოდებას ჩაუ-  
ვარდა მილიანად ხელში. ცადია, რომ რადგან მღვდლების კურთხევაც  
უმთავრესად ეპისკოპოსის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული, დიდ-  
გვარიან აზნაურთა წრითგან გამოსული ეპისკოპოსებიც უპირატესობას  
თავიანთ წრის წევრებსვე მასცემნენ და მღვდლებად, ხუცესებად, მათ  
აკურთხებდნენ. ამას საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის უალ-  
რესი მნიშვნელობა პქნდა, რადგან ერისკაცობაში დიდგვარიანი აზნა-  
ურობა იყო გაბატონებული და, ამრიგად, ეკლესიის მღვდლელთმსაცური  
და ერისკაცობის მაღალი ფენა წოდებრივად უმჭიდროესად იყვნენ და-  
კავშირებულნი. ამავე დროს საქართველოში ძლიერი სახელმწიფოებრი-  
ობის შექმნა სრულებით შეუძლებელი იყო, თუ რომ დიდგვარიან აზნა-  
ურთა წილებრივი უპირატესობა-თვითნებობა ალაგმული არ იქნებოდა  
და ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალება არ მიეცემოდა, დიდგვარი-  
ან აზნაურთა ურჩობა საერთო სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზ-  
ნით აელავშა.

საქართველოს მეფეთაგან პირველად ბაგრატ III-მ შეიგნო, რომ სა-  
ქართველოში მტკიცე სახელმწიფოებრიობის დამყარება და ქვეყნის გა-  
ერთიანება მანამდე შეუძლებელი იქნებოდა, სანამ უფლისწულთა და  
დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობა ულმობდლად არ აიღაგმებოდა. ამით  
აიხსნება, რომ ბაგრატ III-მ თავისი მეფობის პირველი წლებითგანვე  
მოყოლებული დიდგვარიან აზნაურთა ყოველ ურჩობასა და თვითნებო-  
ბას მკაცრი წინააღმდეგობა გაუწია. დასავლეთი საქართველო იქმნებო-  
და, თუ აღმოსავლეთი, მისი ისტორიკოსის ცნობით, ბაგრატ III ყველ-  
გან და ყოველთვის ერთნაირად იქცეოდა ხოლმე: ურჩ და მოწინააღმდე-  
ვე მოხელე აზნაურებს უყოფგანოლ გადააყენებდა ხოლმე და მათ მაგიერ  
თავის ბრძანებათა მორჩილ აღმასრულებლებს ნიშნავდა. ბაგრატ III-ს  
საქართველოს ასე სწრაფად გაერთიანება და მტკიცე სახელმწიფოებ-  
რიობის შექმნა სწორედ ამას შეაძლებინა.

მისი შვილი გიორგი I, სამწუხაროდ, ამ მხრით სრულებით უმწეო პი-  
როვნება გამოდგა, მაგრამ ბიზანტიასთან ბრძოლაში მისი უმწეობის  
ერთ მიზეზთაგანს სწორედ დიდგვარიან აზნაურთა ორგულობა შეად-  
გნდა.

ბაგრატ IV უფრო ძლიერი პირვენება აღმოჩნდა: მას ისეთივე ამო-  
ცანა ჰქონდა მიზნად დასახული, როგორიც ბაგრატ III-ს, მაგრამ მის მე-  
ფობაში საგარეო პოლიტიკური ვითარება გაცილებით უფრო რთული  
იყო, ვიდრე ბაგრატ III-ს დროს და ამასთანავე, როგორც სახელმწიფო  
მოღვაწეები, ბაგრატ IV, თავის. პაპას ღირსებითაც ძალიან ჩამოუგარ-  
დებოდა.

ბაგრატ IV-ის მეფობის უდიდესი ძალა და დროც აგრეთვე თვითნება  
ჯიდგვარიან აზნაურებთან ბრძოლას შეეწირა: დაუნდობელი ბრძოლის  
წარმოება მას ჯერ ლიპარიტთან უხდებოდა. საქართველოს პოლიტიკურ

საქმეთა შიძლინარეობა ხშირად სწორედ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა განცყობილება არსებობდა ბაგრატ შეოთხესა და მის ამ ვითომეცდა ყმას, ნამდვილად-კი ყოვლად შემძლე მმრჩანებელს ლიპარიტი ამირას შორის. როდესაც ბაგრატ IV-მ ბოლოს ლიპარიტის თავითგან მოშორება შესძლო, ამასულა ის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა და საქართველოთგან განიხილა ათონის ქართველთა მონასტერში უბრალო ბერად შემდგარიყო, შინაურობაში თითქოს მშვიდობიანობა უნდა დამყარებულიყო, მაგრამ ამ ერთი უკვე დამორჩილებული და უვრცელი კულტი უმის მაგიერ სხვები გამოჩნდნენ: სუთნი ძმანი აბ აზ ას-ძე ნი, რომელთაგან ერთი ქართლის ერისთავთ-ერისთავი იყო, სხვებსაც სათანადო მაღალი ხელისუფლება, ანდა სოციალური მღვომარეობა ჰქონდათ. მათ ბაგრატ IV-ის შეცყრბაც-კი ჰსურდათ.

ბაგრატ IV-მ გადასწყვიტა საქართველოში განთქმული ქართველი მოლვაწე გიორგი როსტომი მოეწვია: მისი სახელგანთქმულობა მას იმედს აძლევდა, რომ საქართველოში მისი ჩამოსვლა დიდ სარგებლობას მოუტანდა და მშვიდობიანობის დამყარებასა და კულტურულ წარმატებას ხელს შეუწყობდა. გიორგი მანამდე ათონის მთაზე მოღვაწეობდა.

ათონის მონასტრის დარსებას ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო, იმიტომ რომ სწავლა-განათლების კერა საშუალო საუკუნეებში ყველგან სამონასტრო დაწესებულებებში იყო მთავსებული. იმ დიდი კულტურული მექანიზრების გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ეღევნებინა. ყველაფერი, რაც-კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი წერტობოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნიდა: საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გაღმოქართულებული იყო ხოლმე.

უცხოეთის ქართულს სავანეებს შორის ყველაზე დიდი ღვაწლი ამ სანაში ათონის მონასტრების მიუძღვის. ითანა და ეფთვიმა მთაწმიდელების მიერ დაარსებულს ამ სავანეში, რომელშიც 300 ქართველი ბერი იყო თავმოყრილი, X საუკუნის დამლევითგან მოყოლებული ორ მთავარ ამოცანას ჰქონდა ყურადღება მიქცეული. ითანა მთაწმინდელისაგან დასახულ მიზნის თანახმად ეს სავანე ქართული კულტურის ცენტრად უნდა ქცეულიყო: ყველაფერი, რაც ქართულ მწერლობას, მსოფლიო ლიტერატურასთან შედარებით, აკლდა, აქ უნდა ყო-

ჭუილიყო შევსებული. ამისათვის მან თავისი ვაჟიშვილი ეფთვიმე საგარებებიდ განსწავლა და მან ისე ზეღმიწევნით შეითვისა ბერძნული, რომ ისევე თავისუფლად შეეძლო წერა, როგორც თავის დედა-ენაზე. მის კალამს მრავალი ქართულად დაწერილი ნაშრომი ეკუთვნის და ბერძნულადც რამდენიმე მოეპოვება. ეფთვიმეს ღვაწლია, რომ პირველად მან მისცა საშუალება საბერძნეთის მწერლობას აღმოსავლეთში გაჩენილი ვარლაამისა და ოდასაფის თქმულება, ეფთვიმეს მიერ ქართულად „ს ი ბ რ ნ ე ბ ა ლ ი კ ა რ ი ს ა“-დ სახელდებული, გაეცნო და იქით-გან დასავლეთი ევროპის საზოგადოებრიობაც მას ხარბად დასწავლებოდა. მის კალამსვე ეკუთვნის „აბუკურა“, რომელიც ქართულითვან აგრეთვე მანვე გადაიღო ბერძნულად.

ეფთვიმე მთაწერი იყო აგრეთვე, როგორც სოციალურ პრობლემებზე მარჯოვნე პირვენება და როგორც სამართლის თეორიის ვამოქენილი მკლევარი, დიდი შემოქმედებითი წიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

ათონის ქართველთა სავანის სამონასტრო წესწყობრებული პეტრე თრიტონი პრინციპზე, რომელთა თანახმად სავანები შემავალთათვის წოდებრიობა და კერძო საკუთრება მკაცრად იყო უარყოფილი. ეს ორი დებულება უნდა ყველას უცილობლად მიერო და სიტყვის შეუბრუნებლივ დაცეცა და იმ სასტიკ წესებს დაპორჩისლებოდა, რომელიც ათონის ქართველთა მონასტრებში იყო შემოქმედებული. ტანისამოსიცა და საცვალიცა არ შეიძლებოდა, რომ კისმე თავის საკუთრებად მიეჩნია და ყველაფერი საერთო უნდა ყოფილიყო! ამგვარადე ყველანი ვალდებული იყვნენ სამონასტრო ფიზიკურს სამუშაოში მონაწილეობა მიეღოთ.

დიდგვარიან აზნაურთა წრითაგან გამოსულ პირთაობის, რომელიც ათონის ქართველთა მონასტრებში ბერად აღვეცის მიზნით იყვნენ საქართველოთვან ჩამოსული, ქართველთა ძმობისათვის ზემოაღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური მოძრავების თანახმად სავალდებულოდ ქული მკაცრი მოთხოვნილების ასრულება ადვილი არ ყოფილა: გორგო მთაწმინდელის მოწმობით, ბევრი ასეთი დიდგვარიანი აზნაურის შევილი, ან არ მიუღია ეფთვიმეს, ან გაუძევებია, იმიტომ, რომ მათ ამ მოთხოვნილებასთან შეგუბა უკრ შესძლებიათ.

ქველი დროითვან მოყვილებული სამონასტრო იერარქიული წესწყობილება საქართველოში მონარქიულს პრინციპზე იყო დამყარებული, ე. ს. მონასტრის მამასახლიის სამონასტრო დაწესებულებებში ყველა მოხელეებს თვითონ ნიშნავდა, სიკვდილის წინ თვითონ ასახელებდა ეს პირსაც, რომელიც მისი ვარდაცვალების შემდეგ მონასტრის მამასახლისად უნდა გამხდარიყო.

ასეთ პირობებში მყოფ მონარქიულ წესწყობილებაზე დამყარებულ მონასტრებს შემდეგში ღირსეული მექვიდრეები მამასახლისთა შორის

ჯერ აღმოაჩნდნენ. ქართველთა ათონის მონასტრის დიდი გავლენის გამო, რომელიც მას ათონის სხვა მონასტრებს შორისაცა და ბიზანტიის კეისრის სამეფო კარჩეც ჰქონდა, შავ-გიორგაც წოდებული ათონის ქართველთა მონასტრის მამასახლისი ბიზანტიის კეისრის სასახლეშიც ვაგლენიანი. პირი იყო. მას კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ საქართველო-ცო პოლიტიკურ შეთქმულებაში გარეულობა დაპრალდა და იგი უასჯილ იქმნა. მაგრამ ამ მამასახლისის დასჯასთან ერთად, ქართველთა მონასტრერიც განსაცდელში ჩავარდა: ათონის ქართველთა მონასტრი სამჯერ გაჩიხეკილი და გაძარცული იყო. ბერძენ ბერებს ქართველების ათონითგან მთლად გაძევებაც-კი ჰქონდათ განზრახული. მათ უნდოდათ, რომ ეს დიდი და მღიდარი სავანე მთლიანად ჩაეგდოთ ხელში.

ათონის მონასტრის ძმობა დარწმუნდა, რომ სავანეზე თავსდამტყდარი განსაცდელი წესწყობილების იმ დებულების შედეგი იყო, რომლი-თაც ძმობას საშუალება ჰქონდა მოსპობილი მამასახლისობისათვის შესაფერისი პირი შეერჩია და რომელიც მონასტრის უფროსად მემკვიდრეობით დანიშნულს პირს უგდებდა ხელში. ამის შეგნებამ სამონასტრო წესწყობილების ამ ძირითადი დებულების შეცვლის აუცილებლობა ცხად-ჰყო. ძმობა იმ აზრს დაადგა, სავანეს ბედ-ილბალი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნეს უზრუნველყოფილი, თუ დანიშნაზე დამყარებული მონარქიული წესის მაგიდრ მთელი ძმობის ნებაზე დამყარებული არჩევანის წესწყობილება იქნებოდა შემოლებული. სწორედ არჩევანი იყო მიღებული იმ წესად, რომელსაც წინანდელი ერთპიროვნული მართვა-გამგეობის წესი უნდა შეეცვალა. ათონის ქართველთა მონასტრებში 1031 წლისათვის, უცხოეთში მყოფი ყველა ქართველთა სავანების წარმომადგენლებთან შეთანხმებით, მონასტრის თანამდებობის პირად დადგენისათვის არჩევაზე დამყარებული წესი იქმნა შემოღებული. სამ დასახელებულ კანდიდატიდან მამასახლისად ის პირი ითვლებოდა ხოლმე არჩეულად, რომელსაც ამ სამთავანს წილგდებით ერგებოდა.

ამგვარად, ძველად არსებული მონარქიული წესწყობილების მაგიერ, ქართველთა ჯერ უცხოეთში მყოფსა და შემდეგ თვით საქართველოს მონასტრებშიც დამყარდა რესპუბლიკური წესწყობილება, მთელი ძმობის მონაწილეობით მომხდარი არჩევანისა და საქმეთა განხილვის პრინციპზე დაფუძნებული. ამას უაღრესი მნიშვნელობა მარტო საქართველოს ეკლესიისათვის-კი არ ჰქონდა, არამედ ქართული სახელმწიფო წესწყობილებისათვისაც.

ასეთს სოციალურ-ეკონომიკურ მოძღვრებათა სფეროში იყო აღზრდილი გიორგი მთაწმიდე ლი, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდე-ლის მოღვაწეობის გამგრძელებელი იყო, როგორც სალიტერატურო ისევე აგრეთვე სამონასტრო ასპარეზზედაც: მისი მრწამსიც წოდებრი-

ობისა და კერძო საქუთრების უარყოფა იყო, რომლისთვისაც თავგაშო-  
დებული ბრძოლა მას საჭიროდ მიაჩნდა კიდეც.

როდესაც ბაგრატ IV-მ გორგი მთაწმიდელს მეორეჯერ სთხოვა სა-  
ქართველოში დაბრუნებულიყო და თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა  
უცხოეთითგან მთლიანად საქართველოში გადმოეტანა, ყოყმანის შემდ-  
გომ მან თანხმობა განაცხადა და **1060** წელს საქართველოში მოვიდა.

გიორგი მთაწმიდელს საქართველოში დიდი ამბით დახვდნენ: თვით  
ბაგრატიცა და მისი ყველა ხელისუფლები და დიდებულები, იმგვარად-  
ვე როგორც ხალხიც გახარებული იყო. ასეთი საზეიმო დახვედრისდა  
მიუხედავად, გიორგი მთაწმიდელის ფხიზელ გონებას და კარგად  
მჟრელ თვალს. საშუალება ჰქონდა საქართველოს მაშინდელი მდგომა-  
რეობის უარყოფითი მხარეებიც დაენახა. სწორედ ამ ხანაში საქართვე-  
ლო განსაცდელში იყო ჩავარდნილი, ერთი მხრით იმის გამო, რომ შიმ-  
შილობა მძვინვარებდა, მეორე მხრით აგრეთვე იმ შინაური ბრძოლის  
წყალობითაც, რომელიც საქართველოში წინათ შიირაც არღვევდა ხალ-  
ხის მყუდროებას და იმ დროისათვის მხოლოდ ოდნავ ჩანდა მინელე-  
ბული.

გიორგი მთაწმიდელთან, როგორც გამოჩენილ მოღვაწესთან, საქარ-  
თველოს მოსახლეობის ყველა ფენის წარმომაღენებულები მრავლად მო-  
დიოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომელიც  
შიმშილობასთან დაკავშირებული იყო. გიორგი მთაწმიდელი რწმუნდე-  
ბოდა, რომ ის თანამდებობის პირინი, რომელნიც მოვალენი იყვნენ გა-  
ჭირვებულ ხალხზე ეზრუნათ, ამ სტიქიურსა და შინაური უწესოებით  
გამოწვეულ უბედურებას სრულებით გულგრილად ეკიდებოდნენ:  
ხალხს დამხმარე არ უჩნადა, გულშემატკიფვარი თითქოს არ იყო. თვით  
სამღვდელო პირებიც-კი, რომელთაც ამ შემთხვევაში თავიანთ. სამრევ-  
ლოსაღმი გულშემატკიფრობა ყველაზე მეტად უნდა გამოეჩინათ, ამ გა-  
ჭირვებას სრულებით გულგრილად ეყყრობოდნენ. გიორგი მთაწმიდე-  
ლის ბიოგრაფის მოთხრობილი აქვს, რომ სწორედ იმ ხანაში, როდესაც სა-  
ქართველოში ისეთი საშინელი შიმშილობა მძვინვარებდა, რომ შობლე-  
ბიც-კი თავიანთ შეილებს უპატრონოდ სტოვებდნენ, რაკი გამოკვების  
საშუალება სრულებით მოსპობილი ჰქონდათ, ასე მიტოვებული ობლად  
დარჩენილი ბავშვებისა და მოზრდილების დამზარეც-კი არავინ ჩანდა.

მაშინ გიორგი მთაწმიდელმა მათი შეგროვება და მათზე მზრუნველო-  
ბა თვითონ იყისრა: 80-მდე ასეთი სხვადასხვა ჰასაკის, უმოავრესად-კი  
შცირეწლოვანი გაჭირვებული, შიმშილისაგან განსაცდელში ჩავარდნი-  
ლი სული მოკრიფა თავის გარშემო და მათს გამოკვებასა და მათთან  
მუშაობასაც-კი შეუდგა.

როდესაც გიორგი მთაწმიდელი დარწმუნდა, რანაირი დამოკიდებუ-  
ლება ჰქონდა უმაღლეს სამღვდელოებას თავის თანამომებისადმი,  
აღშფოთებულმა მათ პირში მხილება დაუწყო. ის განცვიფრებული იყო

იმ გულწევაობით, რომელსაც ზოგი ამ მღვდელმთავარ-ეპისკოპოსთაგანი ადამიანისადმი იჩენდნენ, იმ ღროს როლესაც თავითნი პატივმოყვარე-ობისა და სახელის მოხვეჭის გულისათვის არაფერს არ იქცებდნენ და თავიანთ მოღვაწეობას განაცრიბდნენ წინანდებურად. ერთ მათგანს გორგი მთაწმიდელმა პირში უთხრა: შენ რომ სახელის მოსახვეჭად დიდებულ ტაძრებს აშენებ, განა ეს გვაქვს მცნებად და ანდერძად მოცემული? რასაც შენ სჩადიხარ, ეშმაკის შთაგონების შედეგია. განა მოძღვარმა არ თქვა: მე მშიერი ვიყავი და თქვენ პური არ მეცითო!?



ორნამეტის ნიმუში სამთავისთდან, 1030 წ.

გიორგი მთაწმიდელი რომ ამ 80 სულის განსწავლას და სამღვდელ-მსახურო სამსახურისათვის მომზადებას შეუდგა, ვანც ასაკად მოსული შეიქმნა და უკვე საქმაოდ განსწავლული აღმოჩნდა, სოციალურ წარმოშობისდა მიუხედავად, იმ ხელისუფლების ძალით, რომელიც მას ჰქონდა, ისინი მღვდლებად აკურთხა. იმ ღროისათვის საქართველოში ეს სრულებით გაუგონარი ნაბიჯი იყო, რადგან, როგორც ვიცით, უკვე X საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ყველგან წოდებრიობა იყო გაბატონებული, მათ შორის ეკლესიაშიც, და ეპისკოპოსებიც ხუცესებადაც მხოლოდ მაღალი წოდებითგან, ე. ი. აზნაურთა წოდებოთგან გამოსულ გვარისვილებს აყენებდნენ. გიორგი მთაწმიდელმა-კი გუშინ დელი ყმები და გლეხთა წოდებითგან გამოსული, განსწავლის შემდგომ. ხუცესებად აკურთხა, რა თქმა უნდა, ეს მაშინდელი პატირონის მურ-წოდებრიცი-ჩრწმენის ცხადისა და კაღინიერების შემდალებას წარმოადგინდა

და ამიტომაც საქართველოში მაღალ ჭრეში დიდი განცემურებაცა და უკმაყოფილებაც გამოიწვია.

გიორგი მთაწმიდელმა ბაგრატ მეოთხეც-კი, რომელმაც ის მოიწვია და რომლის წინადადებითაც მას ჰყონდიდის საეპისკოპოს საყდრის მესაჭეობა უნდა უკისრა, არ დაინდო. მართალია, გიორგი მთაწმიდელი დიდგვარიან აზნაურთა წოდებრიობის უპირატესობის აშეარად წინააღმდეგი იყო და ადამიანის აღზევებისათვის უმთავრეს მნიშვნელობას პირადს ღირსებას ანიჭებდა, მაგრამ ის დაჩრდუნდა, რომ საქართველოში არსებული უწესობა ნაწილობრივ თვით ბაგრატის მოქმედებითაც იყო გამოწვეული. ბაგრატს უჩიოდნენ, რომ მართლმსაჯულებას ვერ იცავდა, ყოველთვის პირუთვნელი, მიუდგომელი მოსამართლე არ იყო, რომ თითონ ის საეკლესიო ხელისუფლების განაწილების ღროსაც უანგარი სახელმწიფოებრივი მოსაზრებით-კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ საეპისკოპოს საყდრებს ისეთ პირებს აძლევდა ხოლმე, რომელთაც მეფისათვის უფრო მეტი ძღვენის მირთმევა შეეძლოთ. ამიტომაც გიორგი მთაწმიდელმა უშიშრად დაიწყო ბაგრატის მხილება.

ის დამოკიდებულება, რომელიც ამ მხილების გამო, როგორც საქართველოს ეკლესიის უმღლესი სამღვდელოების ჭარბომაღინნუბს, ისევე ბაგრატ IV-სა და გიორგის შორის დამყარდა, როგორც ჩანს, თითონ გიორგი მთაწმიდელისათვის იმდენად მძიმე იყო, რომ იმისდა მიუხედავად, რომ გიორგი მთაწმიდელი საქართველოში საბოლოოდ დასაჩრენად იყო ჩამოსული და თავისი შემდეგი მოღვაწეობა უნდა სამშობლოში ვანეგრძო, 1065 წელს საქართველოთვან ისევ წავიდა.

საქართველოთვან ათონის მთაზე დაბრუნების მიზეზი სწორედ ის გამწვავებული ურთიერთობა უნდა ყოფილიყო, რომელიც გიორგი მთაწმიდელის დემოკრატიული მიმართულებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის გამო საქართველოში დამყარებულია. დიდგვარიან აზნაურთა წრითგან გამოსულ გვარიშვილებისათვის, რა თქმა უნდა, უსიამოვნო გარემოება იყო მისი ასეთი საჯარო მხილებაცა და მისი გაბედული მოქმედებაც, როდესაც მის მიერ განსწავლული დაბალი წრითგან გამოსული პირები ხუცესებად აკურთხა და ამით ის სოციალური წესი დაარღვევა, რომელიც საქართველოში ერთი საუკუნის განმავლობაში მაინც განმტკიცებული იყო. გიორგი მთაწმიდელი ათონის მთაზე დასაბრუნებლად გზად მიმავალი კონსტანტინოპოლში ხანმოქლე ავაღმყოფობის შემდეგ კარღაიცვალა.

ამისდა მიუხედავად, მის მოღვაწეობას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის: ოუმცა გიორგი მთაწმიდელი თავის სამშობლოში მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში იყო, მაგრამ ასეთი მცირე ხნის განმავლობაში მან პირველხარისხოვანი პრობლემის წამოყენება და ნაწილობრივ გადაჭრაც მოახერხა. ეს ამასთანავე ისეთი ამოცანა იყო, ურომლოდაც ვერც საქართველოს სახელმწიფოებრიობა განმტკიცდე-

ბოლა, ვერც მისი კულტურული წარმატებისა და განვითარებისათვის შეიქმნებოდა მთლიანად ხელსაყრელი პირობები. მისი უცილობელი ღვაწლია, რომ დემოკრატიული პრინციპი და პირადი ღირსების უპირატესობა საგვარეულო და წოდებრივ უპირატესობასთან შედარებით პირველად მან წამოაყენა საქართველოში: როგორც მხოლოდ მონასტრის მამასახლისს, გიორგი მთაწმიდელს, რასაკვირველია, არ შეეძლო თავისი სოციალური მრწამსი მთლიანად განეხორციელებინა; მას ხომ ამის საშუალება და კნონიერი უფლება ჰქონდა, მაგრამ ამ საკითხის წამოყენებით მისი მერმინდელი განხორციელებისათვის მან უკვე საკმაოდ მოუმზადა ნიადაგი და ამით სახელმწიფო ხელისუფლებას გაუადვილა დემოკრატიზაციისათვის უფრო ფართოდ მოეკიდა ხელი და განეხორციელებინა.

XI საუკუნის განმავლობაში, როგორც თვით საქართველოში, ისევე უცხოეთში მყოფ ქართულ ცენტრებშიც დიდი კულტურული მუშაობა მიმდინარეობდა. ამ დროისათვის მოწიფელა ქართველთა ეროვნული თვითშემეცნებაც. უცხოეთში მყოფს ქართველებს მრავალჯერ ჰქონდათ საშუალება დარწმუნებულიყვნენ, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივე არ იყო, როგორც მათ წინათ ეგონათ. მაშინდელი წარმოდგენით ქრისტიანი მართლმადიდებელი თავის თავს მართლმადიდებლად სთვლიდა, ეროვნება მას თითქოს დავიწერებული ჰქონდა ხოლმე. სხვა სარწმუნოების წარმომადგენელს-კი, მეტადრე მაპმადიანს, თითქმის თავის მტრად სთვლიდა, ან არადა ყოველ შემთხვევაში მოწინააღმდეგებდა. საბერძნეთში ყოფნამ ქართველები დაარწმუნა, რომ, იმის მიუხედავად, რომ ისიციც და ბერძნებიც მართლმადიდებელნი ქრისტიანენი იყვნენ, მეტოქეობა მათ შორის, როგორც პოლიტიკურს, ისევე ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული, იმაზე მაიც ნაკლები არ იყო, ვიდრე ე. წ. „ურწმუნო“ და უცხო თესლთა და ქართველებს. შორის არსებობდა. ამ მეტოქეობას ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური გეგმების წინააღმდეგობა აღიმიგებდა. იმ გამწვავებულმა ბრძოლამ, რომელიც ბერძნებსა და ქართველთა შორის ათონის შთაზედაცა და სხვაგანაც ბიზანტიის საკეთო წარმოებდა, უკიდურესობამდიც-კი მიიყვანა, რომ ათონის ქართველთა მონასტერში ისევე, როგორც პეტრიოზონის ქართველთა საგანეში სამონასტრო წესდებაში საგანგაშო მუხლიც-კი იყო. შეტანილი, რომ არც ერთი ბერძენი მონასტერში წევრად მიღებული არ ყოფილიყო, ეს მონასტრები მხოლოდდამხოლოდ ქართველთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა ის ბრძოლაც, რომელსაც საქართველოს ეკლესის წინააღმდეგ ანტიოქიის საპატრიიარქო ოწარმებდა. საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გაძლიერებამ ქართული ეკლესის დაპატრიონება ძალიან ხელსაყრელ და მიმზიდველ ამოცანად აქცია. ამიტომ ანტიოქიის საპატრიიარქო გამოქექა ძველი, უკვე დიდ

ხანია სრულებით მივიწყებული, ცნობა ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსაგან დამოკიდებულების შესახებ და მოისურვა, რომ საქართველოს ეკლესია წინანდებურად ანტიოქიის საპატრიარქოსაგან ყოფილიყო დამოკიდებული. იქვე, ანტიოქიის ეკლესიის მესვეურთა წრეში შემუშავდა დებულება, რომლის მიხედვითაც ქართული ეკლესიის დამოკიდებულება უკანონოდ ყოფილიყო ცნობილი და საქართველოს ეკლესიის საქართველოს უნდა წინაღადება მისცემოდა, ან ანტიოქიის პატრიარქს დაპორჩილებოდა, ან-და ამ ურჩობის გამო, მოთვლიოს დანარჩენ პატრიარქებთან შეთანხმებით, შესაფერისი მსჯავრი და სასჯელი უნდა დასდებოდა.

რასაკვირველია, ანტიოქიის საპატრიარქოს აქ უმთავრესად ეკონომიური გამორჩენის იმედი ალპარაკებდა: საქართველოს ეკლესია რომ მას დამორჩილებოდა, საქართველოს ანტიოქიის საპატრიარქოსათვის უნდა ყოველწლიურად გარკვეული გადასახადი ეძლია და, ცხადია, რომ იმ დროს უკვე გამდიდრებული საქართველოთვან, შესაძლებელია, საკმაოდ დიდი შემოსავლის მოლოდინი ჰქონდა, რომ ამ მომხიბლავი მიზნით გატაცებული ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, ანტიოქიის საპატრიარქოს გაბატონების შესაძლებლობა საქართველოსათვის თრი თვალსაზრისით იქნებოდა უსიმოვნო. ერთი მხრით ის წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის უკვე შემოტკიცებული დამოუკიდებლობისათვის სახიფათო და თავმოყვარეობის შემლახველ გარემოებას, მეორე მხრით ეკონომიურადაც საზიანო იქნებოდა.

ბრძოლა ამის წინააღმდეგ მხოლოდ იმ ნიაღაზე იყო შესაძლებელი, რომელზედაც მაშინდელი მსოფლმხედველობისა და მოძღვრების მიხედვით უნდა ყოფილიყო დამყარებული. ამისათვის-კი უნდა საქართველოში ქრისტიანობის დამყარების ისტორია ყოფილიყო გამოკვლეული, სახელდობრ, ქართული ეკლესია მართლაც თავითვანვე ანტიოქიისაგან იყო დამოკიდებული, თუ არა? ამ ისტორიული ამოცანის გამორკვევის მოვალეობა მაშინდელმა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა ოვერიდვეს: პირველად ეფთვიმე მთაწმიდელ მა, ხოლო შემდეგ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლება საჯაროდ სწორედ ვითრგი გთავა მიდევლ მა დაასაბუთა, რომელმაც არამც თუ ანტიოქიის საპატრიარქოს მესვეურთა მიერ კველა წამოყენებული დებულებანი გააბათილა, არამედ ცხადჰყო, რომ, თუ უფლებებზე მიღებოდა საქმე, საქართველოს ანტიოქიის საპატრიარქოზე ნაკლები უფლებები არ ჰქონდა და უფრო ანტიოქიას ჰმართებდა დამორჩილება, ვიდრე საქართველოს.

საბერძნებისა და მახლობელ აღმოსავლეთის განათლების მნიშვნელოვან ცენტრებში სავანეების ქონებამ საქართველოს საშუალება მისცა ყველაფერი სტორობა, რაც-კი რამ საუკეთესო იყო მაშინდელს.

შსოფლიოში, და ამ გარეშეობამ შეაძლებინა თავისი კულტურული წარ-მატება სწრაფად და შეუხეოებლივ განვითარებინა. თვით საქართველო-შიც და საქართველოს გარეშე მდებარე ცენტრული პიც. ამ ხანაში ბევრი სხვადასხვა თხზულება დაიწერა. ქართული ამდროინდელი კულტურის აუგვიებისათვის ყველაზე დამახსასითებელია ქართული საისტორიო საუცხოვო თხზულება იყო დაწერილი, რომელნიც ყოველი ერის საუკეთესო საისტორიო თხზულებათა კრებულს დაამშვენებდნენ. მათ შორის გიორგი მთაწმიდელის საისტორიო ნაშრომია აღსანიშნავ, რომელიც ათონის სავანის დაარსებისა და საქმიანობის ისტორიას მოგვითხრობს. მისი შინაარსი ფრიად მნიშვნელოვანს სოციალ-ეკონომიკურსა და კულტურულ პრობლემებსაც გვისურათებს. სოციალური მოძრაობის ისტორიის გასაშუქებლად საქართველოში საყურადღებოა და ძვირფა-სი აგრეთვე თვით გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის გიორგი გიორგი ცეც სმინიან ასონის მიერ დაწერილი თხზულება. ამავე ხანით გადარჩენილია საერო საისტორიო მწერლობა, რომელთა შორის „მატიანე ქართლისათ“-ა მნიშვნელოვანი.

მაშინდელი ქართული საისტორიო მწერლობის ყველაზე უფრო საყურადღებო თვისებას ის წარმოადგენს, რომ იმდროინდელს ქართველ ისტორიკოსებს თავიანთს თხზულებებში, პრლიტიკურ ამბებს გარდა, რომელთა შესახებაც იმ ხანის მემატიანებისა და ისტორიკოსებს ჩვეულებრივ ჰქონდათ ხოლმე საუბარი, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემების გაშუქებისათვისაც აქვთ უხვად დათმობილი აღვილი.

ქართული იმდროინდელი მეცნიერების დიდი წარმატების დამამტკაცებლია ეფთვიმე მთაწმიდელის ფილოლო გიორგი ნაშრომი, მეტადრე-კი მისი მოღვაწეობა სამართლის თეორიის სფეროში. მას ორი თხზულება ეკუთვნის: ერთი მათგანი „მცირე სჯულის კანონია“, რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარს ენციკლოპედიას წარმოადგენს. ბოლოში იქ ეფთვიმე მთაწმიდელს ზოგადი მოძღვრება აქვს დართული ბოროტმოქმედების შესახებ, კერძოდ მკელელობის სხვიასხვა სახეობის კვალიფიკაცია და ზოგადი ცნებების განმარტება მოეპოვება. ეს საყურადღებო ძეგლია ქართული იმდროინდელი იურიდიული აზროვნების მაღალი დონისა და თვით ეფთვიმეს შემოქმედებითი დიდი ნიჭის ცხადი დამამტკაცებელი.

მაშინდელი ქართული კულტურის მიღწევად უნდა ის დიდი ძირითადი ცელიებაც ჩაითვალოს, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სამონასტრო წესწყობილებაში მოხდა, სახელდობრ მონარქიული წესწყობილების უარყოფა და ყველა მონაწილეთა თანადგომითა და ერთნებაობით არჩევაზე და რესპუბლიკური მართვა-გამგეობრის წესზე დამ-

ყარებული. წყობილება. ამ გარემოებას საქართველოს შერმინდელი ისტორიისა და განვითარებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აგრეთვე ქართული ხელოვნების დარგებითაც იმ ხანაში კულტურის დიდი წარმატება მეღვინდება: იმდროინდელმა ხუროთმოძღვრებამ მშვენიერი ძეგლები დაგვიტოვა, რომელთაგან შესაძლებელია ბაგრატ III-ის მიერ აგებული ქუთაისის დიდებული ტაძარი, ბელია და სხვაც მრავალი იყოს დასახელებული. ქუთაისის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების იმდენად მომხიბლავს ძეგლს წარმოადგენდა, რომ ამის შეგნებით თვით ბაგრატმაც მის კურთხევაზე. ყველა მეზობელი სახელმწიფო ფეხების წარმომადგენლები მოიწვია და დიდი ზეიმით აკურთხა.

ამრიგად, იმ შინაგანი და გარეშე მტერთან ბრძოლისდა მიუხედავად; რომელიც საქართველოში. წარმოებდა, წინა საუკუნეებში დაწყებული კულტურული მუშაობა მანც შეუჩერებლივ მიმდინარეობდა და საქართველო წარმატების გზაზე მტკიცედ იდგა. ამიტომაც მისი ნაყოფი უფრო მეტად მომდევნო ხანაში გახდა საგრძნობი, როდესაც ამ კულტურის სრული გაფურჩქვნისა და აყვავებისათვის პოლიტიკური პირობებიც შესაფერისი შეიქმნა.

## საქართველო, ვითარდა მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავი და უძლიერესი სახელმწიფო

დავით II აღმაშენებელი (1089—1126)

დავით მეორე, შემდეგში აღმაშენებლად წოდებული, გამეფებისას 16 წლის ყმაწვილი კაცი იყო. პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო საქართველო მაშინ საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დავითის მამა, გიორგი II, როგორც დავრწმუნდით, თავისი მოვალეობის ლირის კერ გამოდგა. ამას გართულებული მძიმე საერთაშორისო პირობებიც დაერთო ზედ: სელჯუკიან ოურქთა იერიშები და თარეში, რომელიც წლობის განმავლობაში წარმოებდა. მტრის გამუდმებული თავდასხმისა-გან აღმოსავლეთი საქართველო იმდენად იყო ათხრებული, რომ ქართლის შუაგული ტყით დაბურულ ქვეყნად იქცა და საუცხოვო სანადირო ადგილადაც-კი გახდა. ისტორიკოსი ცნობით, ამ შუაგულ ქართლშ-ნადირობაც-კი საშმი ყოფილა, თუ რომ წინასწარ არ დარწმუნდებოდ-ნენ, რომ, ნადირს გარდა, იქ მოთარეშე მტერიც არ იყო დამალული.

დავითის გამეფებამ ცხადჰყო, რომ იმ მძიმე პირობებშიც, რომლებ-შიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა, შესაძლებელი ყოფილა ბევრი ჩამ გაკეთებულიყო, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებულიყო. ქვეყანას რომ ლირსეული მესაჭე ჰყოლოდა.

დავით აღმაშენებელმა უპირველესად სცადა, დაშინებული გაბნეული ხალხი და მშვიდებინა. ზოგის გამხნევებით, ზოგის დარცხვენით მან გაქცეულ-გაფანტული ხალხის დაბრუნება მოახერხა. საბედნიეროდ ამა-ჟე დროს თვით თურქთა ძლიერების შესუსტებაც ცხადად გამოშუღავნა, 1092 წელს რომ მელიქ-შაჰი სულტანი გარდაიცვალა. თურქთა დიდს საბრძანებელში შინაური უთანხმოების ნიადაგზე. აღმოცენებულმა ბრძოლამ მათი ხელისუფლებაც დამტირა.

შაგრამ დავით აღმაშენებლის ღვაწლს მაინც უფრო ის შეადგენს, რომ დიდგვარიან აზნაურებს მალე აგრძნობინა, რომ წინანდელი უსუსური ხელისუფალის მაგიერ სამეფო ტახტზე უკვე ძლიერი პიროვნება იყო, რომელიც არც ერთს მათგანს თვითნებობას და ურჩობას არ აპატიებ-

და. როცა 1093 წ. ლიპარიტ ამირამ, მაგალი, თავისი მამაპაპისეული მიშართულების გზაზე დადგომა დაწყო და დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას შეუდგა, ამბის გაეტანავე, დავითი მოულოდნელად მას თავს დაეცა, შეიძყრო და ციხეში დაამწყვდევინა. ამით მან ყველას აგრძნობინა, რომ თავისი მამის პოლიტიკის მაგიერ. რომელიც ჯანყებულ დიდგვარიანი აზნაურების საჩუქრებით მომადლიერებას ცდილობდა, ის ასეთი ურჩობის განზახვისათვის დაუყოვნებლიუმ მყაცრ პასუხს გასცემდა.



ხევწნა-ვედრების შემდგომ დავითმა ლიპარიტი ციხითვან, გამოუშვა და აპატია, თანამდებობაც და ყველაფერი დაუბრუნა, რაც მას წართმეული ჰქონდა. მაგრამ ლიპარიტმა მაინც თავი დიდხანს ვერ შეიკავა და კვლავ წინანდელი ზრახვის განხორციელებას შეუდგა. შეიტყო თუ არა ეს, დავით აღმაშენებელმა 1094—1095 წწ. ლიპარიტი ისევ დიაჭირა და ეხლა უკვე ორი წლის განმავლობაში ციხეში დაპატიმრებული ჰყავდა. შემდეგ, 1097 წელს, მეფემ გადასწყვიტა, რომ ლიპარიტის გამოსწორება შეუძლებელი იყო, და აშიტომ მისი საქართველოთვან სამუდამოდ მოშორება არჩია: ვააძევა საქართველოთვან და თვით მასაც და მის შვილსაც მთელი ქონება ჩამოართვა.

ორი წლის შემდგომ ცხადი შეიქმნა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში მაპმალიანთა წინადელი ძლიერების თუ დასასრული არა, დასუსტების

ხანა მაინც უკვე დაწყებული იყო: 1097 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმის აღება შესძლეს, რადაც ამ მაპმალიანთა უძლეველობას, რასაკვირვე-

ლიან, სახელი გაუტეხა. რამდენადაც საქართველოსაც მაშინ უმთავრესად ამ მაპმადიან საზღვრიულოებთან და სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან უხდებოდა ბრძოლა, საქართველოსათვის ეს გარემოება ფრიად ხელსაყრელი იყო. დამახასიათებელია, რომ დავით აღმაშენებელმაც სწორედ ამის შემდგომ სელჯუქის სულტნებისათვის ხარჯის ძლევა შესწყვიტა და ამით საქართველოს სრული დამოუკიდებლობა აღადგინა.


მაგრამ საქართველოს აღდგენილი დამოუკიდებლობის განმტკიცება, რასაც ვერ გვიჩვენოდა, მარტო ამ საშუალებით არ შეიძლებოდა: მტერს ჯერ კიდევ ბევრი რამ ეკავა საქართველოში. მისი მამის დროითვის მოყოლებული, საქართველოს მიწა-წყლის არაერთი მნიშვნელოვანი ადგილი მტერს ჰქონდა შენარჩუნებული და ვიდრე ეს ადგილები განთავისუფლებული არ იქნებოდა, მანამდის საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგშიც დაცვა შეუძლებელი იქნებოდა. იმის გარდა, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისი წინანდებურად მტრის ხელში იმყოფებოდა, ისეთი მნიშვნელოვანი ციხეც, როგორიც სამშეილდე იყო, ხომ აგრეთვე მტერს ეკავა. ამიტომ დავით აღმაშენებლის უასლოეს მისანს საქართველოს გარეშე მტრის ნაშთებისაგან განთავისუფლება შეადგენდა.

დავით აღმაშენებლის მოქმედების გეზი და ტაქტიკის დაშახასიათებელი ოვისება მტერზე შოულოდნელი და სწრაფი თავდასხმა იყო. რაკი საქართველოს ჯერ კიდევ მცირე სამხედრო ძალა მოეპოვებოდა, მხოლოდ ამგვარი მოულოდნელი თავდასხმით შეეძლო შრავალრიცხვან მტერს, რომელიც თვით საქართველოში იყო შემოჭრილი, შედარებით უფრო ნაკლები მსხვერპლითა და იმედიანად გაპტელავებოდა. ჩვეულებრივ, როდესაც ის გალაშვრებას აპირებდა, წინასწარ სულ სხვა მიმართულებით მიღიანდა ხოლმე, რომ მტრის ჯაშუშებს საშუალება არ ჰქონდათ თავიანთ მბრძანებლისათვის სწორი ცნობა მიეტანათ. მოულოდნელი თავდასხმის წყალობით დავით აღმაშენებელმა თანდათანობით, მაგრამ მოკლე ხანში, მტრისაგან დაპყრობილი მნიშვნელოვანი აღგილების უკან დაბრუნება შესძლო.

შაინც მთავარს ამოცანას, რასაცირველია, ბაგრატ III-ის შემდევ გაუარესებული პოლიტიკური მდგრმასერიბის გამოსწორება შეადგენდა: საქართველოს უნდა დაპპროცებოდა აღმოსავლეთით მდებარე ისეთი მნიშვნელოვანი ოემიც, როგორიც იყო კახეთი, რომელიც, როგორც ვაჟით, უკვე ბაგრატ III-მ შემოიერთა. ბაგრამ გიორგი I-ის დროს კვლავ ჩამოჰშორდა; კახეთის მნიშვნელოვანი სიმაგრე დასავლეთით ზედა აზნის ციხე იყო, რომელიც კახთა შეფეხბს ეკუთვნოდათ. 1101 წელს დავით აღმაშენებელმა ეს ზედაზნის ციხე კახთა შეფეხს წართვა. ხოლო 1102 წელს რომ კვირიკე კახთა შეფეხ გარდაიცვალა და მის მაგიერ სამეფო ტახტზე მისი უნიჭო დისტული აღსართანი იქნა აყვანილი, კახეთის დამოუკიდებელ არსებობასაც აღსასრული მოუახლოვდა. მაინც ამ შემოხვევაში დავით აღმაშენებელი არ აჩქარებულა, რამდენადაც ამის

მოგვარება მაინც და მაინც დიდ სიძნელეს უკვე აღარ წარმოადგენდა, სამაგიეროდ მან მთელი თავისი ყურადღება ამასე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას მიაქცია.

იმ შემთხვევითი და განცალკევებული ბრძოლის მაგიურ, რომელსაც მისი წინამორბედი საქართველოს მეფეები, თუნდაც ისეთი ძლიერი პი-აროება, როგორც ბაგრატ მესამე იყო და შემდეგ ბაგრატ მეოთხეც, აწარმოებდნენ, დავით აღმაშენებელმა გეგმიანი, სისტემური პოლიტიკის წარმოება დაიწყო. დავით აღმაშენებელის ღვაწლია, რომ მან შეიგნო, რომ მთავარი ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ კარგად მოფიქრებული, მიზანშეწონილი, ზოგადი პოლიტიკის წარმოებით შეიძლებოდა. დავით მეფემ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დიდგვარიანი აზნაურები მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ღრის მარტონი არ იყვნენ, რომ მათ ძალას მარტო მათი საპატრიონუმო ჯარი არ შეადგენდა, რომელიც მათთან ერთად გამოიდიოდა საბრძოლველად და რომლის საქართველოს მტრების წინააღმდეგ ლაშქრობაში მეფის ჯართან ერთად მონაწილეობა მხოლოდ მათ პირად ერთგულებაზე იყო დამოკიდებული: თუ ესა თუ ის დიდგვარიანი აზნაური მეფეს განუდგებოდა, მისი ჯარიც, უკველია, მეფესთან ერთად საბრძოლველად არ გამოვიდოდა; პირიქით შესაძლებელი იყო, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩენილოყო და მეფეს შეპბრძოლებოდა კიდევ.



გელათი. საერდო ხედი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

დავით აღმაშენებელს ისიც კარგად ესმოდა, რომ მაინც შთავარ უბეჭდურებას ის შეადგენდა, რომ დიდგვარიან აზნაურებს ზურგს. ისეთთ ძლიერი ორგანიზაცია უმაგრებდა, როგორც მაშინ ეკლესია, იყო, რომლის მესვეურნი და მაღალი ხელისუფალნა, ეპისკოპოსებიც, უკელანი დიდგვარიან აზნაურთა წრის შეილნი და წარმომადგენლები იყენებოდნენ. ყოველი უთანხმოების დროს, რომელიც დიდგვარიან აზნაურებსა და მეუფის ხელისუფლებას შორის ჩამოგარდებოდა, ეკლესიის მეთაურნი, ვითარცა წოდებრივი შთამომავლობით დიდგვარიან აზნაურებთან დააგვშირებულნი, თავითო წოდებრივი. სულისკვეთებით უფრო იყვნენ გამსჭვალულნი, ვიდრე სახელმწიფო ინტერესებით. ამიტომაც ზოგიერჩი მათგანი მეფე-აზნაურთა შორის ამტყდარი უთანხმოების დროს საიდუმლოდ, თუ დაუფარავად, სწორედ ამ ურჩ და მოღალატე დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებს უჭერდნენ მხარს. დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ სანამ ეკლესიის მესაჭეობა და თანამდებობის მიღება პირად ლირსებაზე-კი არა, არამედ წოდებრივ შთამომავლობაზე იქნებოდა დამყარებული, მანამდე შესაძლებელი იყო ეკლესია დიდგვარიან აზნაურთა მოკავშირე და, მაშისადამე, სახელმწიფო მეთაურის მოწინააღმდეგ აღმოჩენილიყო.

დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა ასეთი. შესაძლებლობისათვის ბოლო მოელო, ამისთვის-კი დიდგვარიან აზნაურთა წრითგან ლირსებით კი არა, არამედ მაღალი შთამომავლობის გამო ეკლესიის მესვეურებად ქცეულთა შეცვლა იყო საჭირო. ამის განხორციელება მეფეს პირადად არ შეეძლო, რათან ქართულ ეკლესიას შინაგან წესწყობილებაში დამოუკიდებლობის უფლება პჰონდა და შეფე მის წესწყობილებაში კერძიეროდა. ეკლესიის წესწყობილების დემოკრატიზაციის განხორციელება მხოლოდ საკულესიო კრების საშუალებით შეიძლებოდა: მარტო მას პჰონდა, უფლება მთელი ეკლესიისათვის სავალდებულო და უცილობელი დადგენილება მიელო. დავით აღმაშენებელს ამ ამოცანისათვის ბრძოლა შედარებით ოდნავ გაადვილებული პჰონდა, ნიადაგიც მისთვის ნაწილობრივ გიორგი მთაწმი მიღელის მიერ საქართველოში 1060-1065 წ: განუსული ქადაგებითა და პრაქტიკული საქმიანობით. იყო მომზადებული. მაგრამ ის, რაც გიორგი მთაწმიღელმა გააკეთა, მხოლოდ პირველ ცდას წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, გიორგი მთაწმიდელის კერძო თაოსნობა და მაგალითი მთელს საქართველოში გამოეყენებინა და ქართული ეკლესიის სრული. დემოკრატიზაცია ცია განეხორციელებინა.

წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით და საკულესიო კრებისათვის ხელმძღვანელთა მარჯვედ შერჩევის შემდგომ, დავით აღმაშენებელმა 1103 წელს ე. წ. რუისურ ბნების საეკლესიო კრებისათვის. მონაწილეობის მანაცუელი გამოიხმარი მოდისმო. მას სამართლიანდ:

ქ'ონდა იძეღვ, რომ სწორედ ამ დემორატიულად განწყობილ სამონასტრო მონაწილეების საშუალებით შეეძლო მას დიდგვარიან აზნაურთა ეპისკოპოსთა მოწინააღმდეგე ძლიერი ჯგუფი შეექმნა.

დამასასიათებელია, რომ დავით აღმაშენებელმა ამ საეკლესიო კრებას განსახილველი საყითხების პირები მუხლად სწორედ ეს ამოცანა წამოაყენა, რომ ეპისკოპოსნი, რომელიც „მამულობით“ (ე. ი. მემკვიდრეობით) უფრო, ვიდრე ლიტერატურული თანამდებობის მფლობელად იქცნენ, რომელთაც თავიათი ეპისკოპოსობა მაღალი წოდებრივი შთამომავლობის ჟყალობით ჰქონდათ მიღებული და არა პირადი ლიტერატურული გამო, რომ ყველა ასეთი პირები გადაყენებული ჟოფილიყვნენ და მათ მაგიერ, წოდებრივი შთამომავლობისდა მიუხედავად, ამ დიდი თანამდებობისათვის პირადი თვისებებით ლიტერატურული აერჩიათ.

ამრიგოდ ის, რის ქაღაგებაც პირველად გიორგი მთაშმილელმა გაბედა, დაგოთ აღმაშენებელმა განახორციელდა: ქართული ეკლესიის დემოკრატიული წესწყობილება უკვე დამყარებული იყო. ამან დავით აღმაშენებელს საშუალება მისცა დიდგვარიან აზნაურთათვის ისეთი ძლიერი მოქავშირე ჩამოეშორებინა, როგორიც მაშინდელი ეპლესია იყო. მოგვეპოვება ცნობა, რომ დავით აღმაშენებლისა და დიდგვარიან აზნაურთა წრითვან გამოსულ ეპისკოპოსების ბრძოლაში შიომღვიმის მონასტერმა დავით აღმაშენებელს დაუჭირა მხარი და ურჩი ეპისკოპოსი შეაპყრობინა. საქართველოს შერმინდელმა ისტორიამ ცხადჰყო, რომ ამ სოციალურს რეფორმას ეკლესიაში საქართველოს სახელმწიფო ბრიონბისათვისაცა და კულტურული წარმატებისათვისაც დრიად დიონი მნიშვნელობა ჰქონდა.

დავით აღმაშენებელს თავისი შემდგომი პოლატიკური და სოციალური პროგრამის განხორციელება უკვე გაბედულად შეიძლო განეგრძო. ეხლა უკვე კახეთის შემოერთებაც შეიძლებოდა. 1104 წელს ე. ი. ერთი წლის შემდგომ, უეჭველია, დავითთან წინასწარი შეთანხმებით, ჰერეთის დიდებულმა საგვარეულოებმა არ იშინა ების მეთაურობით არ ყართან მეფე შეიძინების და დავითს გადასცეს. ჰერეთი

კახეთი, ამრიგად, შემოერთებული იყო, და მისი დამოუკიდებელი არსებობა მოისპონ. მაგრამ განძის ათაბაგმა ეს სამტრო ნაბიჯად შიიჩნია: მისთვის, რასაკვირველია, უფრო ხელსაყრელი იყო, რომ მეზობლად დაუცუმაცებული საქართველო ჰყოლოდა, ვაღრე გაერთიანებული და ქლიერი. ამიტომ 1104-1105 წ. განძის ათაბაგსა და დავით აღმაშენებელს შორს ბრძოლა წარმოებდა. დავით აღმაშენებელმა განძის ათაბაგის დამარცხება შესძლო და ამ გამარჯვებამ მას საშუალება მისცა. კახეთის შემოერთება საბოლოოდ განემზიცებინა.

შემდეგ დავით აღმაშენებელი ქართული კულტურის და განათლების ცენტრის შექმნას შეუდგა, მან გელათის მონასტრის აგება გადასწუვიტა, რომელშიც მისი გეგმით საქართველოში და საქართველოს ვარეშე მყოფი ყველა გამოჩენილი მოღვაწე მეცნიერი პირები უნდა ყოფილიყვნენ თავმოყრილი. 1106 წელს მან, მართლაც, გელათის მონასტერი ააგო, გამოჩენილი ქართველი ფილოლოგოსები და მეცნიერი ბერები შემოიკრიბა, უზრუნველყო ისინი ქონებრივადაც და ყველა სხვა მხრივაც და ისეთი პირობები შეუქმნა, რომ გელათი, ისტორიკოსის სიტყვით, მეორე ათინად ქცეულიყო. ამგვარად, გელათში ქართული მაშინდელი კულტურისა, განათლებისა და მეცნიერების, დიდი კერა, პირველი და დავით შექმნა.

დავით აღმაშენებელი მარტო იმ ცვლილებით, რომელიც მან ეკლესიაში მოახდინა, არ დაქმაყოფილდა. დემოკრატიული წესწყობილების დამყარებას დიღი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ დავით აღმაშენებელის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად საჭირო იყო, რომ ეკლესია სახელმწიფოს დაპროცესილებოდა, რომ, ეკლესის შინაგანი ავტონომიისა და მიუხედავად, სახელმწიფოს საშუალება ჰქონოდა თვალყური ედევნებინა ყველაფრისათვის, რაც ეკლესიაში ხდებოდა, რომ მისი დასტურის გარეშე არაფერი არ გაკეთებულიყო. ამგვარად უნდა ეკლესიაში სახელმწიფოს პოლიტიკური კონტროლის მეთვალყურეობის შესაძლებლობაც შექმნილიყო. ამ მიზნის მიღწევა პირდაპირი ჩარევით არ შეიძლებოდა და დავით აღმაშენებელმაც იმას მოხერხებული და მარჯვე საშუალებით მიაღწია: ეკლესის უფლებრივად დამოუკიდებლობა უნდა შენარჩუნებული ჰქონოდა, მაგრამ დავით აღმაშენებელმა ისეთი საშუალების გამონახვა მოახერხა, რომ ეკლესის წილში მიმღინარე ყოველგვარი მოძრაობა და ცვლილება მისთვის უცნობი არ დაჩქრინილიყო.

სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათავეში და მეფის შემდგომ პირველი მოხელე საქართველოში ქველი რომელიც მოყოლებული, მწიგნიბართ-უსუცესი დავით აღმაშენებლამდე და დაკავ აღმაშენებელმა დარღვეული საშუალება არ ჰქონდა, როგორც შინაურს, ეკლესიისათვის თვალყური ედევნებდნა და დავით აღმაშენებელმა წესად შემოიღო, რომ მწიგნობართ-უსუცესი იმავე

დროს ჭყონდიდელ მთავარ ეპისკოპოსად ითვლებოდა: აქე-  
რითგან ჰყონდიდლობა მწიგნობართ-უხუცესის კუთვნილებად იქნა-  
ჭცეული. ჰყონდიდლი საქართველოს ერთი უდიდესი და უგვლენია-  
ნერთ-საეპისკოპოსო იყო. მწიგნობართ-უხუცესი, როგორც ვაზიჩოთა:  
საბჭოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო საქმეებით დატვირთულს, რასაკ-  
ვირველია, სად შეეძლო საეპისკოპოსო მოვალეობის ასრულებისათვის  
მოყეალა. ეს დავით აღმაშენებელს არც აინტერესებდა. მას უნდოდა  
მხოლოდ, რომ მწიგნობართ-უხუცესისათვის ახეთი ხელისუფლების გა-  
დაცემიდ საეკლესიო საქმეებში მონაწილეობის მიღებისა და ჩარევის  
კანონიერი უფლება და საშუალება ჰქონდა. როგორც ეკლესიის წევრს,  
მას ეცოდინებოდა, რაც-კი ეკლესიაში ხდებოდა. ყველა საეკლესიო სა-  
კითხები, რომელიც მთავრობასა და მეფეს უნდა მოპტენებოდა, სწორედ  
მწიგნობართ-უხუცესის პირით უნდა ყოფილიყო მოგვარებული. ამგვა-  
რად, მწიგნობართ-უხუცესი სახელმწიფოს წარმომადგე-  
ნელი იყო ეკლესიაში და ეკლესიაში მთავრობაში. ხო-  
ლო, რაკი ის უზირველესად საერთ ხელისუფალი და იმავე დროს მე-  
ფის მოადგილე იყო, ამ გარემოების მარჯვედ გამოყენებით, დავით  
აღმაშენებელმა ეკლესიის დამორჩილება უმტკიცნეულოდ მოახერხა.

რაკი ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პოლიტიკური სოციალური და  
სახელმწიფო პრობლემები მოგვარებული ჰქონდა, დავით აღმაშენებელი  
თავისი პოლიტიკური და სამხედრო გეგმის განხორციელებასაც უკვე  
გაბედულად შეუდგა. საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა ქვეყნის  
მმართველს. აღმოსავლეთისა და სამხედროს საზღვრების გამარტებას  
უკარნახებდა: საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი ბუნებრივად და-  
ცული არ არის, მტრის შემოსევის შესაფერხებლად ისეთი დაბრკოლება:  
და ისეთი ბუნებრივი ზღუდე, როგორიც საქართველოს ჩრდილოეთით  
და სამხედრო-დასავლეთით მოეპოვება, არ არსებობს. სწორედ ამით აის-  
ნება ის გარემოება, რომ ყველა დადი შემოსევა საქართველოში, ან აღ-  
მოსავლეთის ანდა სამხედრო-აღმოსავლეთის გზით ყოფილა. ამასთანავე  
X და XI საუკუნეებში საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე წინან-  
დელი აღბანეთის ტერიტორია თურქ ტომების მიერ იყო წალეკილი და  
თანიდელი ქრისტიანული აღბანეთის მაგირ აქ უკვე მაპმალინთა სამ-  
ულობელოები გაჩნდა, რათაც საქართველოს პოლიტიკური მდგომარე-  
ობა საგრძნობლად გართულდა და გაუარესდა.

დაგვით აღმაშენებელის ამოცანას წარმოადგანდა, რომ მას შემდგომ,  
რაც მან საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა, საქართველო მო-  
მავლისათვისაც მტრის ყოველგვარი შემოსევისაგან უზრუნველეყო. ამ  
დროს-კი საქართველოს დაცვა აღმოსავლეთით თუნდაც იმიტომაც იყო  
გამჭვილებული, რომ უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქები ჯერ კიდევ  
მტრისგან ჩამორთმეული არ იყო. ამიტომ 1110 წელს მეფემ გაილაშქრია  
და სამშვილდის ციხეს მიადგა. სამშვილდის ციხე-ქალაქი, უძ-

ლიერესი სიმაგრეთაგანი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. რასაკვირ-  
ველია, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მიუვალად მიჩნეულ  
ციხეს, მაგრამ აგრეთვე, როგორც საგაჭრო გზაზე მდებარე ქალაქშა და  
ეკონომიურ ცენტრსაც. დავით აღმაშენებელმა სამშვილდის აღება მო-  
ახერხსა და ეს უკვე თავისთავად მისთვის იმდენად დიდი გაძარჯვება იქნ  
და ამავე დროს თურქ ტომთათვის იმდენად დიდ დამარტებას წარმო-  
ადგენდა, რომ ამით შეშინებულმა თურქებმა სომხეთის ციხეები თი-  
თონვე მიატოვეს და გაიქცნენ. დავით აღმაშენებელს ამის შემტკიცებულ  
ლოდ მათი დაპყრობა-ლა დარჩენდა.

თავის სამხედრო ტაქტიკის წყალობით ე. რ. მტერზე უკვარი, თავ-  
დასხმით, მოკლე ხნის განმავლობაში მან შეუჩერებლივ წინსვლა და  
ახალასალი აღგილების დაპყრობა მოახერხა. 1115 წელს დავდომა თურ-  
ქებს თბილისის აღმოსავლეთით მდებარე ფრიად მნიშვნელოვანი აღგრ-  
ლი—ქალაქი რ უ ს თ ა ვ ი წართვა, რომლის შემოერთებაც საქართ-  
ველოსათვის ყოველმხრივ დიდი შენაქენი იყო.

1116 წელს დავით აღმაშენებელმა უკვე დასავლეთ საქართველოსა-  
კენ, შავი ზღვის სანაპიროზე მოთარეშე თურქ ტომების ასალაგმავად  
გაილაშქრა და იქაც იმავე თავის სამხედრო ხერხის საშუალებით ძლიერ-  
ობისილება მოიპოვა.

1117 წელს მეფეს თავისი სამხედრო მოქმედება ისევ აღმოსავლეთ  
საქართველოში გადმოაქვს და ამ დროს ციხე გიშის აობა მოახერ-  
ხა. შემდეგ დავით აღმაშენებელმა თავისი უფლისწული დამტკირე  
შირვანში გაზიარდა სალაშქროდ. დემეტრემ ამ ლაშქრობაში დიდი გუ-  
ლადობა და გამტკირიახობა გამოიჩინა და გამარჯვებული დაბრუნდა  
იქითგან. 1118 წელს დავით აღმაშენებელმა საქართველოს და სომხეთის  
საზღვარზე მდებარე უძლიერესი სიმაგრე ლორის ციხე და  
აგარანი აიღო. ლორის ციხის აღებას იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნე-  
ლობა, რომ მომავალი მტრისათვის გზა შექრა. ლორის ციხის ესოდენი  
სამხედრო მნიშვნელობის გამო, ეს სიმაგრე საქართველოს ჯარს შე-  
დართმთავარს, ამისპასალარს ჰქონდა ხოლმე ჩაბარებული.

დავით აღმაშენებელმა ამაზე უფრო ფართო გეგმა დაისახა, მაგრამ  
მას კარგად ესმოდა, რომ უფრო ფართო პოლიტიკური გეგმის განხორ-  
ციელებისათვის შესაფერისი სამხედრო ორგანიზაციის შექმნაც იყო სა-  
ჭირო. თვით საქართველოშიც შინაურობაშიც, ცენტრალური ხელისუფ-  
ლების განმტკიცება აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენდა.  
ქართველ მეფეთა შორის პირველმა დავით აღმაშენებელმა მიაქცია ყუ-  
რადღება იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს  
მეფე იმყოფებოდა. მის განკარგულებაში მხოლოდ პატრიონების წეს-  
წყობილებაზე დამყარებული ჯარი და მხედრობა იყო. მართალია, მასაც  
თავისი საკუთარი სამფლობელო ჰქონდა, მაგრამ თითოეულ დიდგვარი-  
ან აზნაურს ასეთივე საპატრიონები სამფლობელო მოეპოვებოდა და მისი

საპატირონცმოს ყველა ყმა მოლაშქრენიც მასთან ერთად, ვითარცა ბა-ტონთან, გამოღიოდნენ საბრძოლველად. სანამ შეფის ქვეშევრდომი-ძლიერი ყმა ერთგული იყო, მისი მონაწილეობა ლაშქრობაში საქართ-ველის შეფის უზრუნველყოფილი ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო მე-ფისა და დიდგვარიან აზნაურს შორის რამე უთანხმოება ჩამოვარდნი-ლიყო, რომ მას ამ ჯარის არამც თუ მონაწილეობის, არამც ერთგუ-ლების იმედიც უნდა გადაეწყვიტა: შესაძლებელი იყო ის მოწინააღმდე-გესაც-კი მიჰმერობოდა. ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელი იყო, რომ საქართველოს მეფის შინაური პოლიტიკაც-კი დიდგვარიან აზნაურთა ნება-სურვილისაგან მთლად დამოუკიდებელი ყოფილიყო. საგარეო პო-ლიტიკის ყველა ამოცანების განსახორციელებლად ხომ მუდამ მზად-მყოფი სანდო სამსედრო ძალა უნდა ჰყოლოდა თავის განკარგულე-ბაში.

დავით აღმაშენებელმა ეს გარემოება კარგად შეიგნო და იცოდა, რომ: სანამ მას დიდგვარიან აზნაურთა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელი, კარგად გაწვრთნილი სახელმწიფო ჯარი არ ეყოლებოდა, მანამდის მას არც დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობის ალაგმისა და თავისი სახელ-მწიფოებრივი გეგმების განსახორციელების აღმასრულებლად ქცევა შე-ეძლებოდა, არც ისეთი გაბედული საგარეო პოლიტიკის წარმოების სა-შუალება ექნებოდა, რომელიც საქართველოს გარეშე მტრის შემოსვი-საგან სამუდამოდ უზრუნველყოფდა. დავით აღმაშენებელმა, თავის გან-თქმულ მწიგნობართ-უსუცესსა და ვაზირთა ყოველთა უპარველეს გი-ორგი ჭყანა დიდე ლთა ან შეთანხმებით, გადასწყვიტა, დიდგვა-რიან აზნაურთა საპატირონცმო ჯარს გარდა, დამოუკიდებელი, მხოლოდ მის განკარგულების ქვეშე მყოფი საქართველოს სახელმწიფო და მუდმივი ჯარი შეეცემა.

დასახული მიზნისათვის ნაქირავები ჯარი არ ვარგოდა: მის განსახორ-ციელებლად ხალხი იყო საჭირო, ისეთი მოსახლეობა, რომელიც დიდ-გვარიან აზნაურებთან პატირონცმური ურთიერთობით არ იქნებოდა დაკავშირებული. რადგან იმდროინდელ საქართველოში ასეთი მოსახ-ლეობის დიდი რაოდენობით შოვნა არ შეიძლებოდა, მან გადასწყვიტა, რომ ჩრდილო კავკასიოდან ყივი ჩა ყ თ ა ტ ო მ ე ბ ი გაღმოესახ-ლებინა, რომელთაც წინათაც ნაქირავებ ჯარად საქართველოში არა ერთხელ უმსახურიათ. მათი მეთაურის ასულიც თვით დავით აღმაშენე-ბელს ჰყავდა თანამეცხედრედ (ე. ი. მეუღლედ) მოყვანილი. უკანასკნე-ლი გარემოება მას აიმედებდა, რომ, საქართველოში გაღმოსახლებისას, ყიზჩაყები მასთან უფრო იქნებოდნენ დაკავშირებული, ვიდრე დიდგვა-რიან აზნაურებთან, რომლებთანაც მათ არავითარი, არც ნათესაური და-არც ტომობრივი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

დავით აღმაშენებლის ანგარიში აგრეთვე იმ გამოცდილებაზედაც იყო დაყარებული, რომ ყივჩაყები კარგ სამსედრო მებრძოლ ძალას წარმო-

**ადგენდნენ:** გამბედავი და გულადი მეომრები, თანაც თავიანთ სიტყვის და აღქმის ერთგული აღმასრულებელი იყვნენ. შთამომავლობით თვით კავშირი მაგრამ ჩრდილო კავკასიაში მყოფი ყივჩაყები, რასაკერძოდ კავკასიაში, მოსახლეობის ტომობრივი მიკუთვნილებით უკვე ნამდვილ თურქულ მოსახლეობას აღარ წარმოადგენდნენ, არამედ მებრძოლთა ის მთავარი ძალა, რომელიც საქართველოში გადმოყვანილი იყო, საფოტერებელია, უმთავრესად ჩრდილო კავკასიელ ტომთაგან იქნებოდა შემდგარი.

დავით აღმაშენებელის გეგმა რთული გეგმა იყო: მას დიდი ჯარის შექმნა ჰქონდა განზრასული: 40 ათასი მარტო ცხენოსანი ჯარის კაცი უნდა ჰყოლოდა და 5 ათასი მონასპად წოდებული პირადი მცველი. 40 ათასი მხედარი რომ მარტოდ-მარტო გადმოსულიყო, მათ საქართველოში ცხოვრება, რასაკვირველია, გაუქნელდებოდათ და ისინი მკვიდრ მოსახლეობადაც ვერ იქცეოდნენ, ამიტომაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი თავიანთ ოჯახებითურთ გადმოასახლა.

ამრიგად, დავით აღმაშენებელს ისეთი რთული ამოცანა ჰქონდა განსახორციელებელი, როგორიც იმ დროისათვის 45 ათასი ოჯახის სხვა ქვეყნითვან გადმოყვანა, დასახლება, მიწითა და სხვა ყველა საჭირო სახმარით უზრუნველყოფა უნდა იყოს მიჩნეული. ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელს გარტო სამხედრო მიზანი არ ჰქონდა დასახული. ეს იქიდანაც ჩანს ცხადად, რომ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსაყვან ყივჩაყთა მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად მან ადგილი სწორედ შუაგულ ქართლში შეაჩინა და იქ დასახლა ყივჩაყები. შუაგული ქართლი-კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მეორის დროს თურქთა მრავალგზისი შემოსევის გამო საშინლად აოხრებული იყო. მოსახლეობა იქ, ან ათხელებული ანდა სრულებით მოსპობირი იყო. ამიტომ ყივჩაყთა ოჯახების გადმოსახლება და იქ დამკვიდრება ქართლის შეთხელებული მოსახლეობის გამრავლებასაც უდრიდა და ამ მხრივ, მაშასადამე, ეს საშუალება მარტო სამხედრო მიზნებით ნაკარანხევი ღონისძიება-კი არ იყო, არამედ მავევ ღრმს პოლიტიკური ამოცანის. საახალშენო პოლიტიკის, განხორციელებასაც წარმოადგენდა.

წინასწარი მოლაპარაკების შემდგომ 1118 წელს დავით აღმაშენებელი თავისი მწიგნობართ-უხუცესის თანხლებთ ჩრდილო კავკასიისაკენ გაემგზავრა. ყივჩაყთა გადმოსახლება ადვილი ვანსახორციელებელი საქმე არ იყო იმიტომაც, რომ თვით ყივჩაყები საქართველოს მოსაზღვრენი არ იყვნენ, არამედ საქართველოსა და ყივჩაყების შეუ მდებარე ქვეყანაში ისები ცხოვრობდნენ. ასებისა და ყივჩაყების შორის-კი მტრობა იყო ჩამოვარდნილი და ისების არ ჰქონდათ, რომ ისინი საქართველოში გადმოეშვათ.

ამგვარად, დავით აღმაშენებელს უნდა ისე მოწყო საქმე, რომ ყოველი ასთა და ისთა შორის არსებული მტრობა და შულლი დაეცხო და მათი მშვიდობიანი შეთანხმება მოხერხებინა. მან ეს შესძლო. დავით აღმაშენებლის ჩრდილო კავკასიის საზღვარზე გამოჩენისთანავე, მასთან ისთა ყველა სამფლობელოების უფროსები მივიღნენ მორჩილებისა და ერთგულების გამოსაცხადებლად. მეცემ მათ ყივჩაყებთან ფიცისა და ზავის წიგნი დაადებინა და სიტყვა ჩამოართვა, რომ ყივჩაყებს საქართველოში გადმოსასახლებლად მშვიდობით გამოატარებდნენ. როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს, დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ მარტო ეს საქმარისი არ იყო: ამ ბელშეერულების ასრულების უზრუნველსაყოფად, მან ისთა მთავრებს მოსთხოვა, რომ გზაზე მდებარე ყველა მნიშვნელოვანი ცრხები საქართველოსათვის კოფილიყო გადმოცემული. ეს ჩატობა მათ ასრულეს და დავით აღმაშენებელმა ყველა ამ ციხეებში საქართველოს მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამის შემდგომ თხები თავიანთ სიტყვას ვერ დაარღვევდნენ და საქართველოში მომავალ ყივჩაყებს ვერ დაეცემოდნენ.

ამგვარი სიფრთხილით მოწყობილი ვეგმის საშუალებით დავით აღმაშენებელმა საქართველოში 45 ათასი ყივჩაყთა ოჯახი გადმოსახლა, რომლითაც 45 ათასი ჯარის კაცი უნდა გამოისულიყო. დასახლებისას მათ მიწა ჰქონდათ მიჩნეული და მიეცათ ყველაფერი, რაც სამხედრო სამსახურისათვის სჭირდებოდა: ცხენები, იარაღი და სსვაც. მერმე დავით აღმაშენებელი ამ ყივჩაყთა ჯარის გაშვრობასა და ორგანიზაციას შეუდგა. ორი წლის განმავლობაში ამ საქმეს მან მთელი თავისი ენერგია მოანდობა და უკვე ორი წლის შემდეგ საქართველოს საუკეთესოდ გაწერთნილი პირველხარისხოვანი 45 ათასი ცხენოსანი, ჯარისკაცის შემცველი ლაშქარი მოეპოებოდა.

მუდმივი ჯარის შექმნა მარტო საგარეო პოლიტიკის მიზნებით არ იყო ნაკარნახევი: ამიერიდან დავით აღმაშენებელის განკარგულებაში დიდი სამხედრო ძალა იყო, რომლითაც მას სწრაფად შეეძლო ურჩობისა და ღალატის ყოველი განზრახვა თავშივე ჩაეხშო, რომელსაც-კი ჰილგვარიან აზნაურთა წრე დააპირებდა. მართლაც, ისტორიკოსის ცნობითგან ირკვევა, რომ ამ მხრივ დავით აღმაშენებელს სამგალითოდ ჰქონია საქმე მოწყობილი: დიდგვარიანი აზნაურების ურჩობა თუნდაც რომ განზრახული ყოფილიყო, მეფეს ყოველთვის ღროზე გაუგია და უძალ მოუსპია.

რაყი შინაურობაში დავით აღმაშენებელმა სრული მშვიდობიანობა დაამყარა და თავისი ხელისუფლება განამტკიცა, თავისუფლად შეეძლო უკვე იმ დიდი საგარეო პოლიტიკური ამიცანის განხორციელებასაც შესდგომოდა, რომელიც მას დასახული ჰქონდა. მეფეს ესმოდა, რომ საქართველოს გამოუკიდებლობის შენარჩუნებაცა და მტრის შემოსევისა და თარეშისაგან უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნებოდა, სანამ მას

და საქართველოს მთავრობას საქართველოსაკენ ყველა მნიშვნელოვანი ვწების შეკვრის საშუალება არ ექნებოდა. ამიტომაც დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ ისეთი ადგილები დაეპყრო, საიდანაც საქართველოს მუდამ საფრთხე მოელოდა ხოლმე.

უკვე 1120 წელს დაფითმა ოღონიშვილეთისაკენ, შირვანში, გარღაშერა და იქ ქალაჭი ჭაბალა იღო. ამ გამარჯვებამ მახლობელი ოღონისავლეთც შეაძრწუნა და თვით საქართველოში მყოფი მაკმადიანებიც, რომელთაც საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება თავიანთვის საზიანოდ ჰქონდათ მიჩნეული. განჯა-თბილის-დმანელი ვაჭრები, რომელთა ხელშიც ოღონისავლეთ კავკასიისა და ოღონისავლეთ საქართველოს მხევილი ვაჭრობა იყო, მახლობელი ოღონისავლეთის ყველაზე უფრო ძლიერ სულტანებთან და მთავრებთან გაემგზავრნენ და სოსოცეს, რომ შეერთებული ძალით მათ საქართველოს ძლევამოსილი წინასელისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ და მისი პოლიტიკური გაძლიერება შეეჩერებინათ.

მახლობელი ოღონისავლეთის მაკმადიან სულტან-მთავრებმა და ათაბეგებმა ეს თხოვნა შეისმინეს და 1121 წელს 300 ათასი მეომრისაგან შეგუარი ჯარითოურთ საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრეს. ამ ბრძოლას უნდა გადასწყვიტა, ჰქონდა, თუ არა, დავით აღმაშენებელის დროინდელს საქართველოს უკვე იმოდენა ძალა მოკრებილი, რომ მახლობელი ოღონისავლეთის მაკმადიან მფლობელთა გაერთიანებულ მხედრობას: გამეტავებოდა. სწორედ ამ ბრძოლამ დამტკიცა, რომ მუდმივი ჯარი და საბატრიონები ლაშქრობის შეერთებული გაწვრთნილი სამხედრო ჭალა ამჟად არ იყო დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი: ამ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მან მოიპოვა. ყველა მახლობელ ოღონისავლეთის მფლობელებს ამ გამარჯვების შემდგომ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ ამ დროითგან მოყოლებული ყოველი მათი შემოსევისათვის საქართველოში სამაგიეროდ ყოველთვის ღირსეულ პასუხს მიღებდნენ.

დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ ესოდენ ბრწყინვალე გამარჯვების შემდგომ შესაძლებელი იყო საქართველოს დედაქალაქიც საბოლოოდ შემოერთებული ყოფილიყო. 1122 წელს ის მიადგა თბილისის და ალყა შემოარტყა. თბილისში მყოფმა მაკმადიანებმა მედგარი წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ: დავით ოღმაშენებელმა თბილისი ძალით აიღო. წინააღმდეგობით გაჯავრებულ გულზე, მეფემ პირველ დღეს მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ შემდეგ მალე თავისი მრისხანება წყალობად შესცვალა და ბრძანება გასცა, რომ თბილისის მცხოვრები, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა შეისწედავად, ისეთ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ჩაყენებული, რომ არც ერთი მათგანის ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძნობა შელახული არ ყოფილიყო.

ამიერიდან დავით აღმაშენებელმა საქართველოს სახელმწიფოს ცენტრი რი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტახა და დედაქალაქად აქცია. 400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელში მყოფი საქართველოს დედაქალაქი ქართველობას დაუბრუნდა. ამ გამარჯვებას, ცხადია, თვით საქართველოსათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა და მთელს მახლობელ აღმოსავლეთშიც დიდი სახელგანთქმულობა მოუპოვა.

თბილისის დაქარგვა მახლობელ აღმოსავლეთის მაკმადიანებისათვის ადვილი ასატანა მარტინი არ იყო. ამიტომაც მათ სცადეს საპასუხო ლაშქრობა მოეწყოთ. მართლაც, 1123 წელს სულტანი გამოემართა. როდესაც სულტანი შირვანში მოვიდა, შირვანშაპი შეიძყრო, შამახია აიღო და დავით აღმაშენებელს მუქარით აღსავს წერილი გამოუგზავნა, რომ შეწყვეტულ ტყიან ქვეყანაში იმაღლები და, თუ გინდა, გამოიდი შემებრძოლუა—დავით აღმაშენებელი თავის ჯარით დაიძრა. გაიგო თუ არა ეს ამბავი სულტანმა, მაშინვე მთელი თავისი ჯარითურთ გაიქცა. დავით აღმაშენებელმა ქალაქი შაა.მა ხ ი ია აიღო და მთელი მისი სანახები, შირვანიც დაიძყრო. ამას გარდა დარუბანდის მმართველსაც ქალაქი შაა.ბურანი წაართვა.

1123 წელს დავით აღმაშენებელს უკვე შეეძლო სომხეთის მრავალი ციხე-ქალაქიც ჩაეგდო ხელში, ხოლო ამის შემდეგ ამავე წელს კოლაბასიანის თურქების წინააღმდეგ გალაშერებასაც შესდგომოდა. წაერთველოს სამხრეთ-დასავლეთის ამ თემებშიც თურქები განადგურებული იყვნენ.

ჯერი უკვე ციხე-ქალაქ ანისზეც მიდგა. ქალაქი ანისი მანუჩერს შთამომავალ შედადიან თა გვარის წარმომადგენელს აბულ-სუვარს ეპყრა. მართალია, ის საქართველოს ყავანაფიტად ითვლებოდა, მაგრამ შეს უკევას არ შეიძლება აღშფოთება არ გამოეწვია ანისის სომეხთა მოსახლეობაშიცა და სხვა ქრისტიანებშიც: მან გადასწყვიტა, ციხე-ქალაქი ანისი კარის ამირასათვალი ნა ათას ლინარალ (ოქროს ფულია) მიეყიდა. ამავე დროს განთქმული ანისის ეკლესია მიზგითად გადასკეთა. აბულ-სუვარის ასეთი საქციოლით აღშფოთებულმა ანისის ქალაქის მესვეურებმა დავით აღმაშენებელს შემოუთვალეს, რომ მათთვის დამშარება გაეწია და ქალაქი ანისი მაკმადიან მფლობელებისაგან განეთავისუფლებინა.

1123 წელს 20 აგვისტოს დავით აღმაშენებელი მართლაც 60 ათასი ჯარისკაცითურთ ქალაქს მიადგა და, სამი დღის მეღვარი ბრძოლის შემდგომ, ანისი აიღო. ამ გამარჯვებას საქართველოსათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი რომ ანისი ერთ უძლიერეს ციხეთაგანს წარმოადგენდა, რომლის მფლობელობა საქართველოს საშუალებას აძლევდა სამხრეთითაგან მომავალ მტრებისათვის გზა შეეკრა. ამას გარდა ანისი სამხრეთის საგაჭრო გზაზე იყო და მდიდარი ქალაქიც იყო, ამიტომაც მისს საქართველოსთან შემოერთებას ეკონომიური თვალსაზრისი-

თაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სომხებისათვისაც ეს ფრიად სასიხა-რულო ამბავი იყო, რათგან ანისის მცხოვრებთა უმრავლესობას სომხე-ბი შეაღენდნენ,—ანისი სომ წინანდელი სომხეთის სამეფოს დედაქალა-ქი იყო, — ანისის საქართველოსთან შემორთება იმავე დროს სომებთა მაპმალინთა მონობისაგან განთავისუფლების დასაწყისი იყო და სომ-ხებს საშუალება ეძლეოდათ მშვიდობიანს ცხოვრებას შესდგომოდნენ და ყოველმხრივი წარმატება დაეწყოთ. ყველა ეს გარემოება, რასაცვირ-ველია, იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ დავით აღმაშენებელს არ შე-ეძლო ანისის საქმების მოგვარებისათვის განსაკუთრებული ყურადე-ბა არ მიექცია: ანისი მას არავისთვის არ გადაუცია, არამედ მან უშუა-ლოდ სახელმწიფო დარბაზს დაუმორჩილა, ხოლო ანისის გამგედა ბუ-ლე თი და მისი შეილი ივანე დანიშნა, შეციხოვნე ჯარად-კი იქ შესხი აზნაურები და მათი ლაშქარი ჩააყენა.

ასევე მოიქცა ის იმავე 1123 წელს, როდესაც შირვანი დაიპყრო: შირ-ვანში მან ქვეყნის მცველად ჰერეთ-ქახეთის დიდი მოლაშქრენი დასტო-ვა, ამ ქვეყნის გამგებლად-კი საქართველოს სამეფოს მთავრობის თავ-მჯდომარე, მწიგნობართ-უხუცესი ჰყონლიდელი, გიორგი ჰყონლიდე-ლის ძმა დანიშნა.

დავით აღმაშენებელი ზემოაღნიშნულითაც არ დაქმაყოფილებულა: მას უკვე ამაზე ფართო პოლიტიკური გეგმა ჰქონდა შეღენილი და 1123 წლითვან მოყოლებული უკვე ამ გეგმის განხირულებისათვის მზადე-ბაში იმყოფებოდა. ეს გარემოება მახლობელ აღმოსავლეთის მფლობე-ლებს არ გამოპარვიათ და, რაკი ისინი დარწმუნდნენ, რომ, დავით აღმა-შენებლის ბრძნული პოლიტიკის წყალობით, საქართველო იმდენად გაძ-ლიერებული იყო, რომ მათ შორის მას მოწინააღმდეგე უკვე აღარავინ უჩანდა, ამტკომ ცდილობდნენ, უხვი ძლევნისა და საჩუქრების მიზანე-ვით დავით აღმაშენებელი მოემშვიდობებინათ და თავითვან აეცდინათ ის განსაცდელი, რომელიც მათ მოელოდათ. დავით აღმაშენებელი ამ მზადებაში იყო, რომ 1125 წელს 24 იანვარს, ხანმოკლე ავაღმუოფობის შემდგომ, ობილისში გარდაიცვალა.

## დავით აღმაშენებლის პიროვნება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

იმისდა მიუხედავად, რომ დავით აღმაშენებელს სამეფო ტახტზე ას-ვლა და საქართველოს მესაჭეობის ხელში აღება 16 წლის ჭაბუქს მოუხ-და, მან მართველის გასაოცარი თვისებები გამოიჩინა. დავითი ფართო და მრავალმხრივი განათლების პატრონი იყო: ქართულ მწერლობას გარდა, რომლის საფუძვლიანი ცოდნა და ღრმა შეგნება მას მთელი თა-ვისი მოღვაწეობის განმავლობაში კარგად ეტყობოდა, მან აგრეთვე მე-ზობელთა ერების ენები, არაბული და სპარსულიც, საფუძვლიანად იცო-

და. იმის შესახებ თვით მაპმალიან მწერლებისაგანაც უცილობელი ცნობები მოგვეპოვება: ას თურმე ურთულეს საკითხებზე თავისუფლად იქამათებოდა სპარსელ და არაბ მეცნიერებლა და ღვთისმეტყველებს. ამასთანავე დავით აღმაშენებელს ფართო მრავალმხრივი ცოდნა და მსოფლმხედველობა ჰქონდა: ვარსკვლავთმრიცხელობაც-კი მისს ცნობისმოყვარეობას იზიდავდა.

დავით აღმაშენებლის საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა იყო. ვითარცა მწერლობის ძეგლებით გატაცებულ მკითხველს, მას დიდი და ძვირფასი წიგნთსაცავი მარტო თავის სასახლეში კი არ ჰქონდა, არამედ გზაში და ლაშქრობაში სატარებელი, „სათანაო“ წიგნთსაცავიც მოეპოვებოდა: ყველგან; საცა ის მიდიოდა, თან საგზაო წიგნთსაცავიც მისდევდა და აროდესაც-კი მას მოცლა ამის საშუალებას აძლევდა უმაღ კითხვას იწყებდა ხოლმე. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მისი სახელმწიფო პოლიტიკაც სწორედ ამ საისტორიო თხზულებათა შინაარსის ღრმა ცოდნაზე იყო დამყარებული. წარსულის ძლიერი ერების ბედილბალის და თავგადასაგალის ცოდნა მას საშუალებას აძლევდა თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში გამოყენებინა. სახელდობრ ამავე ისტორიკოსს ალნიშნული აქვს, რომ სწორედ ძველი ქართველი საისტორიო მწერლობის ცოდნამ დაარწმუნა მეფე, რომ ღიღგვარიან აზნაურთა ურჩიობა და მოალატური ქცევა საქართველოს მეფეების წინააღმდეგ შემთხვევითი მოვლენა არ იყო, და ამანვე შეაგნებინა, რომ ამის მოსპობა მხოლოდ შესაფერისი სამხედრო ძალის შექმნით შეიძლებოდა. საქართველოში მუდმივი ჯარის დაწესების აუცილებლობის გადაწყვეტილებაც სწორედ ამაზევე იყო დამყარებული.

რასაკვირველია, დავით აღმაშენებელი უპარველესად თავისუ ქვეყნისა და სახელმწიფოს პოლიტიკურსა და კულტურულ აღორძინებაზე ზრუნავდა. ამით იყო გამოწვეული მისგან გელათის დაარსება, რომელიც მას თავისი გეგმის თანახმად ჰსურდა მეორე ათასი და ნაკადებიდ ეჭვია. ამისვე გამომქმედავნებელია გამოჩენილ მაშინდელ მეცნიერ-ფილოსოფოსების მისი მფარველობაც, მათ შორის არ სენი დოთო დოთო მაგრამ ამავე დროს ის საჭიროდ სცნობდა, რომ მფარველობა უცხო ქვეყნის მაპმალიან პოეტებისა, სუფრიბისა და შეცნიერებისათვისაც გაეწია. იქაურივე წყაროებითგან ვიცით ჩვენ. რომ გამოჩენილ მაპმალიან პოეტებისა და მეცნიერებისათვის თბილისში მან საგანგებო თავშესაფარი დაარსა, სადაც ისინი თავისი მოღვაწეობისათვის საუკეთესოდ იყვნენ უზრუნველყოფილნი.

დავით აღმაშენებელს ღვაწლია, რომ მან, ვითარცა სახელმწიფოს შრაქენმა მესაჭიმ, საქართველოს სოციალური და სახელმწიფო წესრიცხვილების შეცვლის აუცილებლობა შეიგნო. პირველი მისი დიდი სახელმწიფო გეგმიანი ნაბიჯი ქართული ეკლესია და შეცნიერებისათვის თბილისში მან საგანგებო თავშესაფარი დაარსა, სადაც ისინი თავისი მოღვაწეობისათვის უპირატესი 54

სობის მინიჭება წოდებრიობასთან შედარებით. ის, რაც პირველად გიორგი მთაწმიდებლმა წამოაყენა და ნაწილობრივ მისი განხორციელება-ზაც-კი სცადა, დავით აღმაშენებელმა ქართულ ეკლესიაში მთელი სა-ხელმწიფოს სახომითა და მთელი სახელმწიფოს სივრცეზე განახორ-ცილა.

მეორე მის უდიდეს ღვაწლს საქართველოს წინაშე მუდმივი ჯარის დაწესება შეადგენს. საქართველოს მეფებს ამან სამუალება მისცა დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობა და ურჩობა აელაგმათ და სა-ხელმწიფო განერტყიცებინათ.

დავით აღმაშენებელის მესამე დიდ ღვაწლად უნდა ის ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მან საქართველოში მართლ მსაჯულების გა-მდინარე ის ს ფეროში შეიტყონა. წინათ სასამართლოს უმაღლესი საფე-ხური, უზენაესი მართლმსაჯულება, მეფის ხელში იყო. ამგვარად, მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა შეერთებული იყო. სანამ სა-ქართველო შედარებით პატარა საქეფოს წარმოადგეხდა, ასეთი შეერ-თება შესაძლებელი იყო ასე-თუ-ისე უზიანოდ განხორციელებულიყო, მაგრამ მას შემდგომ, რაც დავით აღმაშენებელმა საქართველო ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვნა და მახლობელი აღმოსავლეთის სა-დარაჯონების მდგრამს იმოღინა საქმეები გაუჩნდა, რომ მას სრულებით სა-შესაძლება არ ჰქონდა ამ მნიშვნელოვანი მოვალეობის, უზენაესი მართლ-მსაჯულების, ასრულებასაც გასძლოლდა და ქვეყნის მართვა-გამგე-ობის ყოველდღიური საკითხებისათვისაც ეზრუნა, ამიტომ დავით აღმა-შენებელმა გადასწყვიტა უზენაესი სასამართლო შეექმნა და ეს გადა-წყვეტილება განახორციელა კიდეც: კოლეგიუმ წესზე აგებული, სამი მსაჯულისაგან შემდგარი საქართველოს უზენაესი სასამართლო და დააარსა. ეს სასამართლო ყველა იმ საკითხებს არჩევდა და სწყვეტდა, რომელიც წინათ მომჩინართა მიერ აჯა-მომხსენებლის სა-ხით მეფისათვის იყო ხოლმე წარდგენილი.

როგორც დავით აღმაშენებელის ფართო განათლებასა და მსოფლმხე-დეელობას შეეფერებოდა, ის სარწმუნოებრივი და ეროვნული საკითხის სფეროშიც ფართო პოლიტიკის მიმდევარი იყო: ყოველთვის ცდილობდა ყველასათვის დაენახებინა, რომ ის ყველა სარწმუნოების და ეროვნე-ბის წარმომადგენელს თანაბრად ეპყრობოდა. მაკმაღალ ისტორიკოსების ცნობით, თავისი ამგარი დამოკიდებულების დასამტკიცებლად ის მაკ-მაღალიანთა მიზგიოებშიც შედიოდა. ამავე დროს ქართულს საისტორიო წყაროში ისეთი ცნობაც მოვეპოება, რომლითაც ზოგიერთი ქრისტია-ნული გარდმოცემებისაღმი მისი სკეპტიკური დამოკიდებულებაც ცხა-დად მტკიცდება: მაგალითად, ვიცით, რომ მას საეჭვოდ მიაჩნდა გადმო-ცემა სვეტიცხოველში უფლის კვართის დაცულობის შესახებ.

როგორც არაბი და სპარსელი, მაკმაღალი ისტორიკოსების, ისევე სო-მეხთა ისტორიკოსების კნობებითგან ჩნდს, რომ ასეთი ბრძნული წინდა-

ხედული პოლიტიკით დავით აღმაშენებელმა საერთო პატივისცემა და სიყვარული დაიშასურა, როგორც საქართველოში ისევე აგრძელებული მაპ-მაღიან, სპარსელ, თურქ და სომებთა მოსახლეობაშიც. მათ აღნიშნული აქვთ, რომ მაპმაღიანთა არცერთს საბრძანებელში მაპმაღიანები ისე გარგად არ გრძნობდნენ თავს, როგორც საქართველოში დავით აღმაშენებელის დროს.

დავით აღმაშენებელი, რა თქმა უნდა, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველი მმართველიც იყო. მას კარგად ესმოდა, რომ მარტი სამხედრო გამარჯვებით სახელმწიფობრივი აღმშენებლობა ვერ განხორციელდებოდა, ამიტომაც ყოველნაირად ეცადა, რომ გზები და ხიდები საქართველოში შესაფერისად ყოფილიყო მოწყობილი. იქ, საღაც მანამდე ნიაღაგის ბუნებრივი თვისებების გამო მოგზაურობა გაძნელებული იყო, მან გზები შეაკეთებინა და ქვაუნილყვნა, ე. ი. ქვებით მოაფენინა, ხოლო გიემაჟ ჩეარ მდინარეებზე ხიდები ააგებინა, გზებზე ფუნდუქები, ანუ მგზავრთათვის განკუთვნილი სასტუმროები, ააშენებინა. თითქოს იმის საპასუხოდ, როცა განძელ-თბილელ-დმანელმა მაპმაღიანმა ვაჭრებმა, უაშეველია, თავიანთი კომერციული ინტერესების შელახვის შიშით, მახლობელ აღმოსავლეთ მაპმაღიან მფლობელებს სთხოვეს, საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქარა, დავით აღმაშენებელმა ყოველი ლონისძიება იხმარა ამ მაპმაღიან სოველაგრებისათვის ეჩვენებინა, რომ მათთვის საქართველოს სახელმწიფობრიობა არათრით საზარალო არ იქნებოდა: ვაჭრობა-ალებმიცემობისათვის ყოველნაირად ხელშემწყობი პირობების შექმნით მეფემ მათ საშუალება მისცა თავიანთი მოღვაწეობა წინადეგ-ბურად თავისუფლად განეგრძოთ.

ვითარება ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველს, დავით აღმაშენებელს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ჰქონდა ყურადღება მიქ-ცეული. ამისათვის მან საგანგებოდ ქსენ ნო ააგებინა, უზრუნველყო ყველაფრით და იქ სხვადასხვა სწეულებით შეპყრობილი ავადმყოფები მოათავსებინა. დროდადრო მიდიოდა ხოლმე ქსენონში, რომ შეუმოწმებინა, თუ რამდენად პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ის თანამდებობის პირნი, რომელთაც ამ ავადმყოფებზე მზრუნველობა და მათი მოვლა ჰქონდათ დავალებული.

დავით აღმაშენებლის მოსიყვარულე გული, თავისდათავად ცხადია, ხელოვნების დარგშიც ჩანდა: მხატვრული მწერლობა იყო ის თუ სამუცნიერო, პოეზია თუ მუსიკა, თითოეული დარგი მას აინტერესებდა და ყველგან ცდილობდა, რომ ახალ-ახალი ნაწარმოები შექმნილიყო. ჩვენამდის მოაღწია ერთმა ცნობამ, რომლითგანაც რჩვევა, თუ რამდენად ზალლა იღგა უკვე დავით აღმაშენებლის დროს ქართული მუსიკის განვითარების დონე: სამუსიკო ნაწარმოების ტექსტები და მუსიკის ჰანგს მაშინ თურმე სხვადასხვა პირები სწერდნენ. მაშასადამე, ამ ხანაში უკვე ჰანგის დამწერი კომპოზიტორი იყვნენ · საქართველოში

თვითონ დავით აღმაშენებელს მიუნდვის ასეთი პირებისათვის სათანადო საგალობლის ჰანგის დაწერა უკვე არსებული ტესტისათვის.

დასასრულ, ქართული სააღმაშენებლო ხელოვების ძეგლური სიდიადეც კარგად არის აღმაშენდილი მისი ღროვის ნაერბობაში, მათგან საკირისია თუნდაც დასასრულებული იყოს ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების ისეთი შევრინერი ძეგლი, როგორც გე ლ ა თ ი ს მონასტერი.

მოკლედ, შესაძლებელია ითქვას, რომ ქართული იმდროინდელი ჭულტურის არცერთი დარგი არ იყო, რომელშიც დავით აღმაშენებელს თავისი მზრუნველობა არ გამოიჩინოს და რომლისათვისაც თავისი ძლიერი გამამხნევებელი მფარველობა არ გაეწიოს. ამიტომაც დავით აღმაშენებელს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის, როგორც ქართული სახელმწიფოებრივობისა და სოციალური წესწყობილების ისევე კულტურული აღორძინების წინაშე.

### დემეტრე I (1125 — 1155)

დემეტრე I უკვე თავისი მამის დავით აღმაშენებელის დროსევ იყო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული. მირვანში სალაშექროდ გაგზავნილს, მას საშუალება ჰქონდა თავის მამისა და თავის სამშობლოსათვის დაემტკიცებინა, რომ ის თავის დიდებული მამის ლირსეული შვილი იყო. მართლია, მას გულადი და თავგამოდებული მებრძოლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, წინდახედული და ბრძენი პოლიტიკოსის თვითებებიც ჰქონდა, მაგრამ მაშინდელი საქართველო იმდენად დღი სახელმწიფოდ იქცა და ისეთი რთული ამოცანები გაუჩნდა, რომ მათი გადაჭრა მხოლოდ დავით აღმაშენებელივით დიდი ნიჭითა და სახელმწიფოებრივი უნარით დაჯილდოებულ ადამიანს შეეძლო.

დავით აღმაშენებლის დროს რომ საქართველო განმაცვითოებელი სისწრაფით პატარა სამეფოთვან დიდ სახელმწიფოდ იქცა, მის საზღვრებში უკვე მარტო ქართველები აღარ იყვნენ მოქცეული, არამედ აშ ღროს საქართველო სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა საჩრდინოების აღმარებელ მოსახლეობისაგან შესდგებოდა. მას ყველა მახლობელ დიდ სახელმწიფოებთან ჰქონდა ურთიერთობა და თვითონაც მახლობელ აღმოსავლეთის ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ძალად იყო ქციული. მისი სამხედრო ძლიერების სწრაფი ზრდა და გრძელი ქვეყნების შემოერთება, მათს პოლიტიკურს მომტკიცებასა და მართვა-გამევნობის ამათუ იმ წესით მოწყობას პირველხარისხოვან გადაუდებელ ამოცანას ხდიდა. დავითი აღმაშენებელს ბედმა არ დააცალა, რომ ეს ამოცანა თვითონვე საბოლოოდ გადაეწყვიტა. ეს მოვალეობა მემკვიდრეობით დემეტრე I-ს უნდა ეკისრა, მაგრამ დემეტრე I-ს ისეთ მდგომარეობაში მოუხდა მოღვაწეობა, რომ ამნაირი ისტორიული ამოცანის განხორციელების საშუალება არ ჰქონდა.

დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ მახლობელი აღმოსავლეთის შაპშაღიანმა შმართეულებმა გადასწყვიტეს, ყოველნაირი ღონისძიება გამოეყენებინათ, რომ დაქარგული სამფლობელოები და ქვეყნები ისევ მაპშაღიანთა საბრძანებლად ექციათ. უპირველესად ბრძოლა ქალაქ ანისის ხელში ჩასაგდებად გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა. ანისის ყოფილ ამირას აბულ-სუვარის ხორასანში გაქცეული ერთი შვილთაგანი ცდილობდა ყოველნაირად, რომ ანისი კვლავ საბრძანებლად მიეღო. დემეტრე I მტრის იერიში სანგრძლივ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ბრძოლის მაინც იძულებული გახდა ხანგრძლივი ბრძოლით შექმნილი დამათრებული მდგომარეობა მშეიდობიანი შეთანხმებით დაეცხრო: **აბულ-სუვარის შვილს ქალაქი ანისი დაუზრუნა, მაგრამ როგორც დამოუკიდებელ შმართველს-კი არა, არამედ, ვითარცა საქართველოს ყმადნაფიცს.** ეს პირობა მან მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პირნათლად ასარულა კიდეც.

შესაძლებელია ითქვას, რომ დემეტრე I-ის ასეთი უფრო მოგერიებით, ვიდრე აქტიური, მისი მამისაგან დაწყებული პოლიტიკის წარმოების წესი, მთლიანად წებაყოფლობითი არ უნდა ყოფილიყო. დემეტრე I-ის შოქედება იმ შინაგანი გამწვავებული მდგომარეობით იყო გამწვეული, რომელიც მთელი მისი მეფობის განმავლობაში ასე საგრძნობი ყოფილა. უკვე **1130 წელს დღმეტრე I-ის უფროსმა ვაჟაშვილმა, დავით უფლისწულმა, და ივანე აბულეთის ძემ დემეტრე I-ისა და მისი უმცროსი ვაჟიშვილის გიორგის წინააღმდეგ შეთშეულება მოაწყეს.** მაგარად მეფე ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მას მარტო დიდგვარიან აზნაურებთან-კი არ უხდებოდა ბრძოლა, როგორც წინათ იყო ხოლმე, ასამედ ის თავისი საკუთარ შვილსაც-კი უნდა შეგრძლებოდა. ივანეს მამაში, მოხუცებულმა აბულეთმა, ამ შეთქმულების ამბავი დემეტრე I-ს აცნობა. დემეტრემ დავით უფლისწული და ივანე აბულეთის ძე დმანისის ცახეში შეაწყვედა, მაგრამ შემდეგში, 1131 წელს მეფემ ივანე აბულეთის ძე განათავისუფლა და საშუალება მისცა მას თავისი დანაშაული სამხედრო მოქმედებით გამოისწორებინა. შართლაც, მან ამავე წილს გოლამქრა და გარნი ის აიღო.

დემეტრე I-ის მეფობის მთელს განმავლობაში 1130 წელს გამომეულავნებული ამ შეთქმულების ანარეკლი მაინც ჩანდა და ეს, რასაკვირველია, ბორიადა დემეტრე I-ის საგარეო მოქმედების თავისუფლებას და მტრების წინააღმდეგ ბრძოლას უნელებდა.

**1138 წელს დემეტრემ განდაში გაიღაშერა, განდაშ აიღო და მისა ქალაქის კარები გამარჯვების ნიშნად საქართველოში ჩამოიტანა.** ეს კარები მან ველათის მონასტერს შესწირა, სადაც შესაფერისი ქართული წარწერით ის დღემდე დაცულია.

1138 და 39 წ. განმავლობაში ჩანში საშინელი კატასტროფული ჭიდავის

წისძრა მოხდა, როდესაც ქალაქი განძა დაინგრა და მცხოვრებნიც მრავალი დაღუპნები.

დავით უფლისწულის პირველი შეთქმულება უკანასკნელი შეთქმულება არ იყო. ლომბიერება, რომელიც მამამ თავის შეილისადმი გამოიჩინა; ამაო გამოიდგა და მის გამოსწორებას არაფერი უჩანდა. 1145 წელს და- ვითმა თავის მამისა და მმის წინააღმდეგ კვლავ შეთქმულების მოწყობა დაიწყო. დამახასიათებელია, რომ ამ შემთხვევაშიც შეთქმულებაში შხურგალე მონაწილეობას იგდე ივანე აბულეთის-ძე ილებს. დემეტრე პირველმა ივანე აბულეთის-ძე შეიძყრო და სასტიკადაც დასჯა, თავისი უმაღლერი შეილი-კი ამ შემთხვევაშიც დაინდო.

გასაკვირველი არაფერია, რომ დემეტრე I-ს, დავით უფლისწულის ასეთი მოღალატური მოქმედების შემდეგ, უპირატესობა თავისი მეორე ეუიშვილის გიორგისათვის მიენიჭებინა. ცხადად ჩნდა, რომ თავის მემ- კვიდრედ მამას გიორგი ჰყავდა განხრახული და არა დავითი. დავითის პატივიმოყვარეობა-კი იმდენად დიდი. ყო, რომ არამცდარამც დათმობა არ სურდა და მესამეჯერაც კვლავ სცადა, სახელმწიფო ხელისუფლება ჩაეგდო ხელში, მაგრამ ეს მესამე შეთქმულებაც გამომუდავნდა და შე- თქმულების მონაწილე მოღალატე დიდებულები სასტიკად დაისჯენებ.

ჩასაკვირველია, საქართველოს შეფის შინაურობაში ასეთი მდგომარე- ობის ამბავი შეუძლებელია მეზობლებს არ სცოლნობათ და სრულებით ბუნებრივია, რომ მათ ამ გართულებული მდგომარეობით ესარგებლათ. შართლაც, 1153—54 წ. არზრუმის ამირა სალლუ ხმა, ანუ სალისმა ანისზე იერიში მიიტანა. მაგრამ მისი ცდა ამაო გამოიდგა: ის დამარცხდა და თვითონაც დატყვევებულ იქმნა. ასეთი გამარჯვებისდა მიუხედავად, დემეტრე I-მა არზრუმის ამირა განათავისუფლა და შან გაუშვა. შესაძ- ლებელია, რომ ასეთი შევიდობიანი პოლიტიკა ამ შემთხვევაშიც, ან ში- ნაური გართულებული მდგომარეობით იყო გამოწვეული, ან მისი შესაძ- ლებლობის შიშით იყო ნაკარნახევი.

დემეტრე I-მა 1154—55 წ. მეფობას თავი დაანება და ბერად შედგა. რაც მოულოდნელ და გაუგებარ ამბავად გვეჩვენება, თუ არ გავითვა- ლისწინებთ, რომ ეს ნაბიჯიც შესაძლებელია უნებლივით და იძულები- თი ყოფილოყო. სამეფო ტახტზე დაცეთ მესამე დ წოდებული მისი მოუსვენარი, შვილი ავიდა, მაგრამ ექვს თვეზე მეტი მეფობა მას არ დასცალდა.

დავითის პირველივე განკარგულება მისი ერთგული დასჯილი მომხ- რის, ივანე აბულეთის ძის, შეილის თირქაშის განთავისუფლება და ამირსპასალარაც დახმშვნა იყო.

თავისით გარდაიცვალა, თუ არა დავითი, გამორჩვეული არ არის, მაგ- რამ ისტორიები არ მაღავს, რომ მამაც-კი ევედრებოდა ღვთაებას, მისი უმაღლერი და უღირსი შეილისათვის სიცოცხლე შეემოკლებინა. დე- მეტრე I-ის მოქმედება ცხადად ამჟღვნებს იმ ტრაგიკულ მდგომარეო-

ბას, რომელშიც საქართველოს სამეფო სახლი მაშინ იმყოფებოდა; გარდაიცვალა თუ არა დავით III, დემეტრე კვლავ მონასტრიდან გამოვიდა, თვითონაც კვლავ გამეფდა და თავისი საყვარელი შეილი გიორგი მესამეც 1156 წელს თვითონვე აიყვანა სამეფო ტახტზე.

ამრიგად, დემეტრე I-ის პირადი მამაცობისა და მხნეობისდა მოუწედავად, თავის ოჯახშივე შექმნილი უთხონმოების გამო, უნდა უეჭველად სიღრთხილე გამოეჩინა, რომ ამ შინაური ბრძოლით გარეშე მტერს არ ესარგებლა და საქართველოსათვის ზრდი არ მოყენებინა. ასეთ პირობებში მისი მოქმედების გეზად, აქტიური პოლიტიკის მაგირ, რომელსაც მისი მამა აწარმოებდა, უნებლივთ მოგერიებით უნდა ყოფილიყო. მას ის მაინც უნდა შეენარჩუნებინა, რაც საქართველოს დავით აღმაშენებელმა შესძინა. მაგრამ დემეტრე I-მა ამის მთლიანად განხორციელებაც-კი ვერ მოახერხა. თუ დავით აღმაშენებელმა ანისი მთლიანად შემოუერთა საქართველოს, დემეტრე I იძულებული იყო დამოკიდებულება ყმაღნაციონბად შეეცვალა. რასაკისრველია, ეს ქვეყნის დაკარგვას არ უდრიდა, მაგრამ რომ ეს მაინც მარცხი იყო, ამის უარყოფა მაშინაც არავის შეეძლო.

ამგვარად, გამწვავებული შინაგანი მდგომარეობის გამო, დემეტრე I-ის დროს არამც თუ საქართველოს პოლიტიკური ზრდა შეფერხდა, არამედ წინანდელი მონაპოვარის შენარჩუნებაც-კი ძნელი გახდა.

### გიორგი III (1156—1184)

დემეტრე პირველის უმცროს ვაჟიშვილს უპირველესად უნდა მამის 30 წლის მეფობის განმვლობაში და მის ხანმოკლე ბატონობის დროს საქართველოს მოდუნებული ძლიერების კვლავ აღდგენაზე ეზრუნა. ცხადია, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ შინაურობაში მშვიდობიანობა დამყარდებოდა და ქართული სახელმწიფოებრიობა კვლავ განმტკიცდებოდა. დავით მესამის სიკვდილმა საქართველოსაცა და გიორგისაც სამუალება მისცა, რომ მყუდროება დაემყარებინა. მარტო ეს გარემოებაც უკვე ცხადყოფს, რომ გართულებული შინაური მდგომარეობა, რომელიც დემეტრე I-ის დროს საქართველოში იყო, უფრო თვითონ დავით უფლისწულის პატივმოყვარეობითა და მოღაწლური ქცევით იყო გამწვავებული, ვიდრე სხვა რომელიმე მიზეზით.

გიორგი III ისეთივე აქტიური საგარეო პოლიტიკის მიმდევარი გამოდგა, როგორისაც მისი პაპა იყო. რაკი გარეშე მტრებს იერიში საქართველოს წინააღმდეგ ჩვეულებრივ აღმოსავლეთითა და სამხრეთითან მოქმედიათ ხოლმე, ამიტომ გორგი მესამის დროსაც საქართველოს მთავრობას თავის უპირველეს ამოცანად უნდა სახელმწიფოს საზღვრის უშიშროება მიეჩნია და სწორედ ამ ორი მხრით უზრუნველეყო. ეს გარემოცვა ქვეყნის მესაჭეს იმავე პოლიტიკის წარმოებას ავალებდა, რო-

მელსაც უკვე დავით აღმაშენებელი დაადგა: მაკმადიანთა გაერთიანებული ძალის ერიშები, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთის მუსლიმან მმართველებს მოჰკონდათ, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში ყოფილიყო შეჩერებული, თუ ის გზა, რომლითაც მათ საქართველოში შემოჭრის საშუალება ჰქონდათ, ან მთლად შეკრული, ანდა გაძნელებული მარც ექნებოდათ.

ისევე, როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ანისის ციხე-ქალაქის ხელმი ჩაგდებს მიაქცია და იქ საქართველოს მეციხევნე ჯარი ჩააყენა, ეხლაც, ყველაზე უწინარეს, უნდა დემეტრე I-ის მეფობაში მომხდარი მარცხი ყოფილიყო გამოსწორებული. ამიტომ შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ გორგი III-მ თავისი პირველი ლაშქრობა ან ისის აკეცენ მიმართა. 1161 წელს ზაფხულში 3.000 ცხენოსან ჯარისკაცითურთ ის ანისის მაშინდელი მმართველის ყმადნაფიცი ფადლონ შედრა და ანის შესაბამის ბად და ანისის შემოსაერთებლად მოულოდნელად ანისისაკენ გაემართა, მაგრამ ფადლონმა გაქცევა მოასწორო. გიორგი III-მ ანისი აიღო და საქართველოს ჯარის მხედართმთავარს პირი-სპასალარ ითანეონ რბელს ჩამარა. მის თანაშემწედ სარგის მხარებელი და საქართველოს სხვა თემის დიდებული მოხელეები დანიშნა, თვით ქალაქი და ანისის სანახები-კი უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილდა. ანისის ციხეში მეფე 2.000 რჩეული მეციხევნე ქართველი ჯარისკაცი დასტოვა.

ქართველთაგან ანისის კვლავ დაბყრობამ ყველა მეზობელ და მახლობელ მაკმადიან მმართველებზე დაცი შთაბეჭდილება მოახდინა. შაპარმენად შოდებული ხლათის მფლობელი იბრაჰიმ ნასირ-ადდინ-სუკმან II, დიანოტექრის შპართველი კუტადადინი ილლაზი არღონის-ძე და არზრუმის მთავარი ალ-მელიქ სალტეხი, ანუ სალიკი, ურთიერთთან შეთანხმების შემდგომ, იმავე წელს მრავალრიცხოვანი შეერთებული ლაშქრით ქალაქ ანის მიადგნენ იმ მიზნით, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი ისევ საქართველოს ხელითგან გამოეგლიფათ. გიორგი III-მაც სტრაფად მოყენა სამხედრო ძალას თავი და მტერთან შესაბრძოლებლად გაემართა. ანისთან მომხდარ ბრძოლაში გიორგი III-მ და საქართველოს ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს: შემოსეული მღრის შეერთებული ლაშქარი დამარცხებულ იქნა, ორი ათასი მოლაშქრე ტყვედ ჩაიგდეს, რომელთა შორის 6 მთავარი და 150 ამირა იყო. საქართველოს ასახელვანთშეულობისათვის ამ გამარჯვებასაც დიდი შნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც გიორგი III-ს მაკმადიანთა შეერთებულ სამხედრო ძალის წარმომადგენლებთან მოუხდა ბრძოლა და ამ ბრძოლამ ერთხელ კიდევ საქართველოს ძლევამოსილება გამოამყობანა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად გიორგი III-მ ახისის მცხოვრებლებს, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა განურჩევლად, 40.000 დრაჟკანი (ოქროს ფული) უწყალობა და გაუნაწილა, ამავე ტროს-ანისი-

თგან წინათ ტყვედ წაყვანილი ქრისტიანი და მაჰმადიანი მცხოვრებნიც ტყვეობოვან გამოისყიდა.

ანძის შემდეგ ჯერი უფრო სამხრეთით მდებარე მეორე ფრიად მნიშვნელოვან ქალაქ დეინზე მიღდა, რომელიც სომხეთისა და ერაშის აზერ-ბაიჯანს მართდელ საზღვრის ციკო. ანძის მსგავსად, დავრანიც დიდი სავაჭრო გზის პირას იღო და მდიდარ საკომერციო ცენტრად ითვლებოდა. გიორგი III-ს მეთაურობით 30 ათას საქართველოს მხედრობასა და დვინის მფლობელის ლაშქარის შორის 1162 წელს ივლისსა და აგვისტოს განმავლობაში წარმოებდა ომი. ბრძოლა ქალაქის წინ დაიწყო. საქართველოს ჯარმა გაიმარჯვა და მტერი ლტოლვილ-ჰყო. გაქცეულ მტერს კვალდაკვალ დადევნებულმა ქართველმა ჯარმა დვინის ქალაქის ჭარებამდე მიაღწია და, როდესაც დამარცხებული მტერის ჯარი ქალაქ დვინში შეიჭრა, მას თან კვალდაკვალ საქართველოს ჯარიც შეჰყვა და ქალაქი დვინი აიღო.

ქართველთაგან დვინის დაპყრობის საპასუხოდ ილდოებუზ ათაბაგმა და სულთან არსლანმა თავდანთი შეერთებული მარკალრიცხვანი ლაშქრით 1163 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოლახეს. ვაგი აიღეს და მთელი სანახები ააოხრეს. გიორგი III-მ მაშინვე ჯარის შეყრა დაიწყო, მაგრამ, სანამ ის ლაშქრით მიაღწივდა, შემოსეული მტერი ნაძარცვითა და ტყვეებით უკან გაეშურა. ქართველებს ეს შემოსევა უბრალო თარეში ეგონათ და მტერს აღარ დასდევნებდან, შესაძლებელია იმიტომაც, რომ შესაბრძოლველად საკმაოდ მომზადებული არ იყვნენ. მაგრამ არც ამის შემდგომ მოპყრობიან ამ საქმეს სათანადო სიტყიზლით. მტერის ერთმა მოკავშირეთაგანმა-კი, ხლათის სულტანმა, გიორგი III-ს შესაცენად თავისი ელჩი აახლა, ვითომცდა მშეცდობინობაზე მოსალპარაკებულად, ნამდვილად-კი, როგორც შემდეგში გამოიჩინა, ეს ელჩი საჯამუშოდ ყოფილი წარმოვლენილი. მას საქართველოს ჯარის ბრძოლისათვის მზადყოფის გაგება და დაბანაკების ადგილის გამორჩევა პქონდა დავალებული.

როდესაც ელჩიად მოვლენილმა ამ ჯაშუშმა ყველა საჭირო ცნობები შეაგროვა და დარწმუნდა, რომ გიორგი მეფე სრულებით უდარდელად იღვა სანადიროდ გამზადებული, წავიდა და თავის მბრძანებლებს მოახსენა. რაკი მაჰმადიან მახლობელ სამფლობელოების მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ გიორგი III-ს ჯარი შეყრილი არ ჰყავდა, მათ, მოღალატეებთან წინასწარი შეთანხმებით, ისე უეცრად მოახერხეს საქართველოში შემოჭრა, რომ სანადიროდ მდგომა გიორგი III-მ და მისმა ამაღლაბ გასტრება და ტყვეობიდან თავის დაღწევა ძლიერ მოახერხეს.

ამ დროითაგან მოყოლებული მაჰმადიან მამართველთა შეერთებული სამხედრო ძალა გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდა ანისის უკან დასაბრუნებლად. ბოლოს, როდესაც ამ ბრძოლით ორივე მხარე საქმაოდ მოიღალა, ელდიგუზ ათაბაგი და გიორგი III-ს და, რუსუდანი, სულტანის

ცოლ-ყოფილი ქვრივი, მოწინააღმდეგეთა შორის შუამზვლად გამოვინანენ და 1165 წელს გიორგი III შეთანხმებაშე დაიყოლის: მან წინანდელი მაპმალიანი მფლობელის შეკვეილრე, არს ლანი, საქართველოს ყმადნაფიცად შეიწყნარა და ანისი გადასცა. მაგრამ, როგორც მალე გამოირკვა, გიორგი III-საგან გადადგმული ეს ნაბიჯი მხოლოდ მოწლვა-ვებულ მტერთან ბრძოლისაგან მოქანცულ ქვეყნის დასასენებლად გა-მოყენებული დროებითი საშუალება იყო.

ანისის საკითხის მშვიდობანი შეთანხმებით მოვარებამ, დიდგვარიან აზნაურ მხედართმთავრებს საშუალება მისცა, რომ გიორგი მეფისაგან სხვა მიმართულებით სამხედრო მოქმედების წარმოება მოეთხოვათ. 1166 წელს მათ გიორგი მეფეს გამოუცხადეს, რომ ერთსაღამავე დროის სხვა-დასხვა მიმართულებით შას შეზობლებისათვის ომი გამოეცხადებინა. ამ შემთხვევაში ისინი იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ უმრავ დარჩენა გათთვის ხელსაყრელი არ იყო: ძლევამოსილმა ბრძოლამ და ომიანობამ ისინი ამ ხელობას მიაჩინა და ყოველი ასეთი ლაშქრიაბა ხელსაყრელ ხატებ აქცია. გიორგი III-ს აფიქრებდა ის, რომ ამგვარი ომის წარ-მოებისათვის ძალის დიდი დაძაბულობაც იყო საჭირო და შანაური წე-სიერების თვალსაზრისითაც სახიფათო იყო. ამიტომ დასტურის მიცე-მამდე მან ყველას ფიცი ჩამოართვა, რომ საქართველოში მშვიდობიან-ბა იქნებოდა დაცულა. დაწყებულ ომში უმთავრესი ყურადღება მანც აღმოსავლეთის საზღვარს ჰქონდა მიპყრობილი და მნიშვნელოვანი სამ-ხელრო მოქმედება სწორედ რანში იყო. საქართველოს ჯარი ამ ქვეყანაში შეიქრა და განძამდის მიაღწია.

ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფს მაპმალიან მფლობელებს დარუბანდის გზით იერმში მოქმენდათ შირვანშაპხე, რომელიც საქართველოს ყმად-ნაზრცი იყო. შირვანშაპხად ამ დროს გიორგი III-ის დისტული აღსაჩონი იყო, რომელსაც მანუჩაპრ ახისტან (უდრის ქართულს აღსარ-თანს) ბენ-კესრანი ეწოდებოდა სახელად. საქართველო ვალდებული იყო, კითარცა შირვანის მფარველი, გაზირვებაში მყოფი მისი ყმადნაფიცი შირვანშაპხისათვის დახმარება გაეწია, და სწორედ ამით აიხსნება, რომ გიორგი III-მ 1167 წ. თვალის ჯარითურთ იქითკენ გაილაშქრა, ქალაქი შაბურანი და დარუბანი და დარუბანი აიღო და შირვანშაპხის სამფლო-ბელო ჩრდილოეთის მტრის საშიშროებისაგან უზრუნველჲყო, დარუ-ბანდი მან საქართველოს ყმადნაფიცის თავის დისტულს შირვანშაპს გა-დასცა.

როდესაც საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი ამ-გვარად სრულებით უზრუნველყოფილი იყო და ამ დროითგან მოყოლე-ბული საქართველოს ჯარის მიერ დაპყრობილი დარუბანდიც მისი ყმად-ნაფიცი შირვანშაპხის სელმი მყოფებოდა, უსლა უკვე გიორგი III-ს ანი-სის ბედღბლის საბოლოოდ გამოსწორებაც შეეძლო. იმ ნებითსა, თუ უნებლიერს დათმობას, რომელსაც შუამზვალთა თხოვნით გიორგი III

უნდა დასთანხმებოდა, მან 1173 წელს ბოლო მოულო. ანისში გალაშქრების შემდგომ, იქ მყოფი ამირა გიორგი III-მ საქართველოში წამოიყვანა და ოდინდელი სომხეთის სამეფოს დედაქალაქი, შემდეგში მაჰმადიან აშირას საჯღომად ქცეული ანისი, საქართველოს შემოუერთა.

ანის ის უაღრესი სამხედრო მნიშვნელობის გამო, საქართველოს მთავრობის ამ ნაბიჯის შემდეგ, მაჰმადიანი მფლობელნიც საპასუხოდ დაირაზმნენ. მათ წინანდელი მდგომარეობის აღდგენა სწადდათ, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამათ გამოდგა. ამგვარად სამხრეთით მდებარე უაღრესად მნიშვნელოვანი ეს ციხე-ქალაქი კვლავ საქართველოს სახელმწიფოს უცილობელ კუთვნილებად იქცა და, რასაკვირველია, ამცერითგან ამ ციხე-ქალაქს ძლიერი სამხედრო მეციხოვნე ჯარი იცავდა.

მოსალოდნელი ციო, რომ ესლა მაინც საქართველოში სრული სიწყნა-რე და მშევრიბიანობა უნდა დამყარებულიყო. გარეშე მტერს ყოველ შემთხვევაში აღარ შეეძლო იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს საზღვრის გაღმოლახვა დაუსჯელად ჩაიგდიდა, მაგრამ 1177 წელს მოულოდნელად სამაგიროდ შინაური ბრძოლა ატყდა და აჯანყება დაიწყო ისე უეცრად, რომ გიორგი III-ს ამის მსგავსი ამბის შესაძლებლობის ეჭვიც კი არ შეჰპარვია. ის მცირე ამალთურთ თბილისის გარეთ ისვენებდა, სწორედ ამ დროს სომხეთში მყოფმა საქართველოს ჯარის ამირსპასალარმა ითანეონ ბერ ბე ლ მ ა მოულოდნელად აჯანყება დაიწყო. მიზნად მას გიორგი მეფის დატყვევება და მის მაგირ საქართველოს სამეფო ტახტზე გიორგი III-ის უფროსა მძის დავითის ვაჟიშვილის, დემნა უფლის წული ის წული ის, აკვანა ჰქონდა დასახული. დემნა იოანე ორბელის სიძე იყო.

იოანე ორბელს დიდგვარიან აზნაურ ხელისუფალთაგან ბევრნი მიემხრენ, ისე რომ მეამბოხეთ შეუგროვდათ 30.000 მებრძოლიც. ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, იოანე ორბელს უფლება ჰქონდა, როგორც ამირსპასალარს, ჯარი შეეყარა და ამითვე უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ გიორგი III იოანე ორბელის იღუმალ ზრახვას სრულებით ვერ მცურვდა და ეჭვიც-კი არ შეჰპარვია, თუ სამხედრო ვარჯიშობის გარდა რისთვის უნდა ყოფილიყო ეს ჯარი შეყრილი.

გიორგი III განსაცდელში ჩავარდებოდა, მას რომ ხასიათის სიძტკიცე არ გამოეჩინა: ის უმაღ თბილისში მივიღდა და მონასპების უფროსი, ნაყეჩხაყარი ყუ ბ ა ს ა რ ი დაიბარა თავისთან და სამხედრო ძალის მოქრებას შეუდგა. ამ გარემოებამ მეამბოხეთა ბანაქში მყოფ დიდგვარიან აზნაურ ხელისუფალთაგან ბევრნი გამოაფხიზო. პირველმა გა მ რ ე კ ე ლ მ ა თ ო რ ე ლ შ ა მიატოვა დემნა უფლისწული და იოანე ორბელი და მორჩილების მოსახსენებლად გიორგი მეფესთან გამოცხადდა. მას სხევებმაც მიპაძეს, მათ შორის მხარგრძელებმაც. როდესაც იოანე ორბელმა და მეამბოხებმა დაინახეს, რომ გიორგი III ჯარს თავს უყრიდა, ლორს ციხეში შესვლა გადასწუყიტეს და იქ გამაგრება ამჯობინეს. ამავე დროს მეზობელ მაჰმადიანთა სამფლობელოებში მათ თა-

ვიანთი თანამოაზრე დიდგვარიანი ასწაურები გორგი მეფის საწინააღმდევები ჯარის სათხოვნელად აფრიჩეს. ძაგრაშ საპედინიეროდ საქართველოს სამხედრო ძალის ყოფილი მთავარსარდალის იოანე თრიტონისა და მის თანამოაზრე შეამბოხეთა ეს მოღალატური მცდელობა ამაო გამოიღა.

გორგი მეფეს უკვე საკმაო სამხედრო ძალა პქრნდა მოკრებილი, რომ აჯანყებულთა წინააღმდევე მოკლე ხანში აქტიური მოქმედება დაუწყო. ის ლორის კელს მიადგა, შემდევ ლორის ციხეც გარემოიცვა და აჯანყებულთა ზრანვების გასაქარწყლებლად ბრძოლა დაიწყო. ხაქმის ასეთი მიმდინარეობით ალშვილობული მეამბოხეთა ბანგი თანდათან იღეოდა. ბოლოს ასეთი მდგომარეობა დემნა უფლისწულმაც კი ვეღარ აიტანა. ციხითგან ჸაბლით ჩამორშევა და თავის ბიძას წარუდგა, პატივის მთხოვნელი. შემდევ თვით ამ აჯანყების მომწყობი ითანე თრბელიც იძულებული იყო მეფეს დაპმორჩილებოდა. ამგვარად, აჯანყება ჩაქრობილ იქმნა. გორგი III-ს დამნაშვერი სასტივად დასჯევინა: საქართველოში მოქმედი მაშინდელი სისხლის სამართლის ძალით, თითოეულს მათგანს დანაშაულისადა მიხედვით კარისით განკუთხნილი სასჯელი დაუნიშნეს და ითანე თრბელი და აჯანყების სხვა მეთაურის სცედილით იქნებ დასჯილნი. დაისაჯა დემნა უფლისწულიც, რომელმაც კანონით განკუთხნილი სასჯელი ვერ აიტანა და გარდაიცვალა.

ამ აჯანყებამ გორგი III დაარწმუნა, რომ დიდგვარიან აზნაურთა გულის მოგება ვერაფრით ვერ მოხერხდებოდა და მათს ურჩობასა და მოღალატურს მემკვიდრეობას, ზოგად უკიდურეს ლონისძიებათა გარდა, ვერაფერი შეაჩერებდა. ამცტომ მან გადასწუვდა, მარჯვე შემთხვევით ესარგებლა და შეთქმულებაში და აჯანყებაში გარეული ყველა დიდგვარიანი მოხელეები, რომელნიც-კი სასჯელს გაღურჩნენ, თანამდებობით გან გაღაეყენებინა, ხოლო, დასჯილთ და გადაყენებულ დიდგვარიან აზნაურთა მაგიერ, პირადი ღირსებით დაწინაურებული ხელისუფლები დაენიშნა. ასეც მოიქცა სწორედ და ამძრსპასალარის იოანე თრბელის მაგივრად საქართველოს ჯარის მხედართმთავრად ნაყიგჩარი ჟუ ბა-ს არ ი დანიშნა, რომელმაც გორგი III-ს იოანე თრბელის და დემნას აჯანყების დროს თავისი ერთგულებითა და სწრაფი მოქმედებით განსაკუთრებული სამსახური გაუწია. ამგვარადვე მან აზნაურთა ყმობიდან აღწევებული მისგანვე აღზრდილი ა ფ რ ი დ ო ნ ი ც დააწინაურა და მსახურთუსუცესის თანამდებობა მისცა. ჭ ი ა ბ ე რ ი ც, რომელიც ამ აჯანყების დროს აგრეთვე მისი ერთგული აღმოჩნდა, ასევე დაწინაურებულ იქნა. გა მ რ ე კ ე ლ ი - თ ო რ ე ლ ი ც, რომელიც იოანე თრბელის ჯგუფათგან პირველი მიემსრო გორგი შეფეხს, ამგვარადვე მაღალი ხელისუფლების მინიჭებით დაჯილდოვა. ასევე და ამავე დროს ჩანა ჟ თ ლ უ - ა რ ს ლ ა ნ ი ც დაწინაურებული.

ამზიგად, დემნა-იოანე ორბელის აჯანყების ჩაქრობის უმაღლ, გოორგი მესამემ სახელმწიფო პარატის იმგვარივე რეფორმა განახორციელა, როგორიც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა, რუს-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების საშუალებით, ეკლესიაში მოახდინა. როგორც მაშინ ქართული ეკლესის ბლვდელმასახურთა დემოკრატიზაცია მოხდა, ისევე ეხლაც საქართველოს დარბაზის კარსა მდგომ მოხელეთა დ ე მ თ კ რ ა-ტიზაცია იქმნა გ ა ნ ხ თ რ ც რ ე ლ ე ბ უ ლ ი. პირად ლირსებას ამ შემთხვევაშიც წოდებრობის წინაშე უპირატესიბა მიანიჭა და ისეთი მძღალი თანამდებობის პირი, როგორიც საქართველოს სახელმწიფო სათავეში მდგომი ვაზირთა საბჭოს წევრები და მათი თანაშემწენი ცყვნენ, წინანდელი წესის მიხედვით დიდგვარიან აზნაურთა წრითგან-კი არ იქმნენ შერჩეულნი, და მათი შთამომავლობისა და წოდებრივი მიკუთვნილობის გამო-კი არ იყვნენ დანიშნულნი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პირად ღრმსებისა და სამსახურით მოპოებული უფლების წყალობით. ამას საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისათვის ფრიად დღიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თავიანთი უპირატესობის დაყარგვას, დიდგვარიან აზნაურთა წოდების წარმომადგენლები, რასაკირველია, ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ: მოძავალში, აღრე თუ გვიან, ბრძოლის ატეხა. ამის გმონი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ძლევამოსილი და გამარჯვებული გიორგი III საქმაოდ ღონივრად გრძნობდა მაშინ თავის თავს, რომ ასეთი წინააღმდეგობისა არ შევშინებოდა.

როდესაც აჯანყების ჩაქრობი მეფე საქართველოს დედაქალაქში ზაბრუნდა, მოულონებულად აქ მას საეკლესიო კრება დახვდა, რომლის დადგენილებაც ამ კრების მესვეურებმა წარუდგინეს. თუმცა საეკლესიო კრება მეტებშე გამარჯვებას ულრცავდა, მაგრამ იმავ-დროს თხოულობდა, რომ საეკლესიო ქონებაზე და მამულებსე დაწესებული სახელმწიფო გადასახადები მოსპონილი ყოფილიყო და ეკლესის შეუ-ვალობა მეფეს ისევე ალეგინა, როგორც წინათ იყო. მოლოცვასთან ერთად თანამდებობული მოთხოვნა გიორგისთვის, უეპველია, არაფერს საინიაზნოს არ წარმოადგენდა, რამდენადაც ეკლესის ქონებაზე სახელმწიფო გადასახადების შემოღება სახელმწიფო საჭიროებით იყო გამო-წვეული, მაგრამ ასეთი განსაცდელისა და აჯანყების თავითგან აცილების შემდგომ, მას, რასაკირველია, არ შეეძლო ამგვარი საკითხის გამო ეკლესიასთან უთანხმოება ჩამოეგდო და გიორგი III-ც დათანხმდა. ჩვე-შავდე მოლწეულს ამის მატწყებელ სიგელში მას აღნიშნული აქვს, რომ ეკლესიაზე არსებული სახელმწიფო გადასახადი მას ვითომც თვითონაც უხდოდა მოესპონ და ამიტომაც ეკლესის შეუვალობა აღადგინა.

დემნა უფლობრულის სიკვდილის მერმე საქართველოში სამზურო გვა-რის მამრობითი შთამომავალი აღარავინ დარჩა: გიორგი III-ს, ქალიშვი-ლის თამარის მეტი, არავინ არ ჰყოლია. აჯანყებამ გიორგი მესამე და-

არქტიკუნა, რომ საკართველოს სახელმწიფო ბრიობა შინაგანი უთანხმოებისა და ბრძოლისაგან უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, თუ რომ ტახტის მემკვიდრეობის საკითხი მისი სიცოცხლის დროშივე არ გადაწყდებოდა.

სამეფო ტახტზე საქართველოში ქალი არასდროს არ მჯდარია, მანლო-  
ბელ აღმოსავლეთისათვისაც ასეთი მოვლენა უცნობი იყო, ამიტომ ამ  
საკითხის გადაწყვეტას დიდი სამზადისი სჭრდებოდა. 1178 წ., წინასწარ  
ნიადაგის შემზადების შემდგომ, გიორგი III-მ სახვლწიფლ დაბაზი  
მოიწვია და შეკითხა, შესაძლებელი იყო, თუ არა, რომ თიმარი მას თა-  
ვის თანამოსაყდრედ დაესვა. გიორგი მეფეს თანამოსაყდრეობის წესი ამ  
შემთხვევაში სრულებით შეგნებულად ჰქონდა არჩეული: სანამ ის ცეც-  
ხალი იყო, მას ამ საკითხის გადაწყვეტაზე გავლენის მოხდენა შეეძლო,  
ზოლო ეს საყითხი რომ პირველად მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ  
გამხდარიყო გადასაწყვეტი, დღიდგარიან აზნაურებს შეეძლოთ სტულე-  
ბით დამტკიცებოდათ ემოქმედნათ.

ქალიშვილის თანამოსაყდრედ დასმაზე დაყოლება გიორგი მესამისა-  
თვის და სახელმწიფო დარბაზისაგან დასტურის მიღება ადგილი საქმე  
არ იყო, რათვაც ეს ერთი მხრით ქალისა და მამაკაცის თანამწორულე-  
ბიანობის საკითხზე იყო დაკავშირებული, ხოლო შეორე მხრით იმაზედაც,  
თუ რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ყმაშვილ ქალს ისეთი დიდი სა-  
ხელმწიფო ბეჭილბალი ჩაპერაჟობოდა ხელში, როგორიც მაშინ საქართვე-  
ლო იყო.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი ქართული მწერლობისა-  
თვის მაშინაც მთლად უცნობი საკითხი არ იყო. ამაზე, წინათაც არა ერთ-  
ხელ ყოფილა მსჯელობა, თუმცა მართალია, უმთავრესად სარწმუნოებ-  
რივ საკითხთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ ქართველთა განმარტ-  
ლებელი მამაკაცი-კი არა, არამედ ქალი იყო, მაგრამ მანიც ამ სარწმუ-  
ნოებრივ საფარველს ქვეშ მამაკაცისა და ქალის თანასწორობის ზოგადი  
საკითხს ანარეკელი ჩანდა. ქართულ საეკლესიო-საისტორიო მწერლობა-  
ში ეს საკითხი, ქალის თანასწორობის პრობლემა, მოციქულთა-სწორობის  
თვალსაზრისით იყო განხილულ-გადაწყვეტილი. მაგრამ მაშინ ეს იმდენად  
პრაქტიკული საკითხი არ იყო, რამდენადაც თეორიული, აქ-კი იგი უპვე  
უაღრესად პასუხისამგებ სახელმწიფოებრივ ამოცას წარმოადგინდა.

საყდრედ დასმაც, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა. ამგვარად, გიორგი მესამეს უნდა უნებლიერ ეკლესიის შესვეურთათვის მიემართა და ცდილოყო, რომ უპირველესად მათგან მიეღო თანხმობა; რადგან ყველაზე მეტი წინააღმდეგობა სწორედ ამ საეკლესიო წრეებითგან იყო მოსალოდნელი.

ვიღრე ეს საკითხი საჯაროდ იქნებოდა გადატანილზ, გიორგი მესამეს ის, რასაკვირველია, უნდა კერძო მოლაპარაკებისა და დათანხმების გზით მოეხერხებინა. ამ დროს საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელად ნიკოლაზ გულაბჯირის ძე იყო, პროგრესული მიმართულების წარმომადგენელი, ცნობილი ქართველი მწერალი და ფილოსოფისი, რომლის მომხრეობა ამ შემთხვევაში სრულებით უზრუნველყოფილი იქნებოდა. მაგრამ, რომელსაც ძალიან საუკეთენ იყო ამ შემთხვევაში კონსერვატორთა წრეებში გავლენა პქონოდა. ამ წრეების მეთაური მიქელ მირიანის ძე იყო და გიორგი III-ს, მისი გავლენიანობის გამო, სწორედ მასთან მოუხდა მოლაპარაკება. რა პირობები იყო შეთანხმებისათვის წარდგენილი არ ვიცით, მაგრამ 1178 წელს ვიორგი III-მ თამარის თანამოსაყდრედ დასმისათვის ეკლესიისაგან დასტური მიღო.

ამავე დროს საქართველოს ეკლესიაში ცვლილება მოხდა: ნიკოლოზ გულაბერის-ძე კათალიკოსობითგან გადადგა და მის მაგირ კათალიკოსად მიქელ მირიანის-ძე იყო დასმული. საფიქრებელია, რომ ეს ჯილდო იმ მომხრეობისა და იმ ღვაწლისათვის უნდა პქონდეს მიღებული, რომელიც მას გიორგი მესამის წინაშე მიუძოდა, საეკლესიო კონსერვატიულ წრეებში თამარის თანამოსაყდრეობის საკითხის უმტკიცენეულოდ მოგვარებით. ამნაირად, თამარი თავისი მაშის თანამოსაყდრედ იქცა და 1178 წლითგან მოყოლებული მას საშუალება პქონდა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობის წესები შეეთვისებინა და ქვეყნის მესაჭეობის ხელოვნებაში ვაწვრთნილიყო.

1184 წელს მარტში რომ გიორგი III გარდაიცვლა, თავის ნორჩი ქალიშვილს მან დიდი მრავალრიცხვანი მოსახლეობისა და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემცველი სამეფო დაუტოვა. მას საქართველოს ისტორიამაც დიდი და უაღრესი პასუხსაგები ამოცანები და მოვალეობაც დაკისრა.

## თამარ მეფე (1184 — 1213)

ამ ხანის პოლიტიკური და სოციალური მოძრაობაზე საქართველოს სახელმწიფო წესრიგის განვითარების შეცვლა. შენაური და საგარეო პოლიტიკა და სამართველოს განვითარების აღმოსავლეთის მოწინავე სახელმწიფო შცემა

დაცით აღმაშენებელის მეფობითგან მოყოლებული საქართველო ისე-თი სისწრაფით გაიზარდა და იმდენად დიდ სახელმწიფოდ იქცა, რომ მისი მესაჭეობა კარგად გამოცდილისა და გამობრძმედილი სახელმწიფო მოღვაწისათვისაც-კი ძნელი განსაჯებელი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს ძნელი იქნებოდა ნირჩი ქალისათვის, რომელსაც მნოლოდ ექვ-სი წლის გამოცდილება ჰქონდა. უეჭველია, საქართველოს მმართველთა წრის არა ერთს წარმომადგენელთაგანს შესაძლებელი იყო გულწრფე-ლად შეპარვოდა ეჭვი, თუ რამდენად მოახერხებდა თამარი თავის მო-ვალეობის პირნათლად ასრულებას. საყურადღებოა, რომ, მამის სიკვ-დლის შემდეგ, თამარი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობას არ შესდგომია, თოქოს ის ამისათვის საქართველოს სახელმწიფო დარ-ბაზის სათანადო დასტურს უცდიდა.

ამ დროს ქვეყნის მესაჭეობა თამარის მამიდის, რუსულ ანის, ხელში იყო. ეტყობა თვით დარბაზის წევრთა შორისაც-კი საცილობ-ლად იყო ქცეული თამარის საქართველოს ერთადერთ მეფედ დასმის მიზანშეწონილობა. ამიტომ ისეც იმავე საკითხის გარჩევას შეუდგნენ, რომელზედაც ჯერ კიდევ მისი მამის გიორგის სიცოცხლის დროს ჰქონ-დათ მსჯელობა.

უეჭველია, ამ შემთხვევაშიც უნდა გადაეწყვიტათ, ჰქონდა, თუ არა, ქალს უფლება, რომ სახელმწიფოს მესაჭედ გამხდარიყო და მიზანშე-წონილი იყო, თუ არა, რომ ასეთი პასუხსაგები მოვალეობა მას ჩაპბარე-ბოდა. ცხადია, რომ მოწინააღმდეგ ჯგუფი ამ შემთხვევაში გაცილე-ბით უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე თამარის მამის სხვოცხლის დროს. ამიტომ თამარისათვის სამეცნ ტახტზე ასვლისა და გამეფებისათვის დასტურის მისაღებადაც წინანდელზე გაცილებით მეტად სტირდებოდა

ნიადაგის მოსამზადებლად მუშაობა. ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა წინასწარს საიდუმლო მოლაპარაკებას უნდა ჰქონოდა და მისთვის ხომ გავლენიანი შუამავლები იყვნენ საჭირო. ასეთ შუამავლად ამ შემთხვევაშიც, როგორც ირკვევა, იგივე, გიორგი მესამის მეფობის უკნასკნელ წლებში კათალიკოსად ქცეული მიქელ მირიანი ის ძველობის გამოსულა.

დარბაზმა მსჯელობის შემდეგ თამარს დასტური მისცა.

ისევე როგორც თანამოსაყდრელ დასმისათვის დასტურის მისაღებად ამ საქმის მომგვარებლის დაჯილდოება გახდა ოუცილებელი, ამ შემთხვევაშიც იმავე პირს თავისთვის გარკვეული პირობის წამოყენება არ დაჰვიწყებია და ქართული ეკლესის საჭირობელი მიქელ მირიანის ძე წმინდაში ამ ხანში საქართველოს სახელმწიფოს ვაზირთა საბჭოს თავმჯდომარედ ხდება, მწიგნობართ-უხუცესად და ვაზირთა ყოველთა უბირველესადაც იქცა და სწორედ ეს იყო ნაკისრი საქმის მოგვარებისათვის მიღებული ჯილდო, რომელიც თამარის მამიდას, რუსულანს, მიქელმა დასტყუუ.

ამრიგად, მიქელი ერთსა და იმავე დროს ქართული ეკლესის მესამეც იყო და ვაზირთა ყოველთა უბირველესად და მწიგნობართუზუცესადაც იქცა. ეს საქართველოს ისტორიაში არამცთუ არაჩვეულებრივი, არამედ სრულებით გაუგონარი ამბავი იყო. ამასთანავე იმით დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული რეფორმა, რომლითაც მან ქართული ეკლესის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამორჩილება მოახერხა, სრულებით გაბათილებულ იქმნა. მიქელ კათალიკოსმა ამზე შეტიც მოახერხა: მან ამ საქმის სრული მოტრიალებაც-კი შესძლო, რაც ამიერობან ქართული ეკლესის საჭირობელი მეფის თანაშემწე და მოადგილეც ყოფილიყო, ე. ი. უზენაესი საეკლესიო ხელისუფლების შემნებელს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შესაჭირობაც ჩაუვარდა ხელში.

საკულებით წრეებთან ამ საკითხის მოგვარების შემდგომ და სახელმწიფო დარბაზის დასტურის მიღების უბალ, თამარი საქართველოს მეფეთ-მეფედ იქნა კურთხეული და როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მესამე სამეფო ტახტზე ავიდა. ის ცვლილება, რომელიც სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მწიგნობართ-უხუცესის ხელისუფლების კათალიკოსისგან მიტაცების წყალობით მოხდა, ვერაფრალ ესიამოვნა. ამიტომაც თამარი პირველად სწორედ ამ მარცხის გამოსწორებისთვის ზრუნვას შეუდგა. ამ შემთხვევაში მას თავისუფლად მოქმედება არ შეეძლო, რადგან მიქელ კათალიკოსს მწიგნობართუზუცესობა და ვაზირთა უპირველესობა მისივე მამიდისაგნ ჰქონდა მიღებული. რაკი თამარს არ შეეძლო პირდაპირ ემოქმედა და მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობა წარეთმია, პატივმოყვარე მიქელ კათალიკოსის წინააღმდეგ წამოყენებულ იქმნა მხოლოდ საეკლესიო ბრალდება, რომელიც

უკეთუ დამტკიცდებოდა, მას საქართველოს ეკლესიის საჭეომპყრობელობას და აკარგვინებდა და ამის შემდგომ, რასაკირგელია, ის ველარცმწინობართუშუცესისა და ვაზირთა ყოფელთა უპირველესის ხელისუფლებას შეინარჩუნებდა.

ასე მოფიქრებული გემის განსახორციელებლად საეკლესიო კრების მოწევევა იყო საჭირო, რათვან ეკლესიის საჭეომპყრობელის გადაყენება მხოლოდ საეკლესიო კრების შეეძლო.

კათალიკოსის გადასაყენებლად საეკლესიო კრებისაგან დასტურის შიღება ადგილი არ იყო, რამდენადც მიქელ კათალიკოსს მრავალრიცხოვანი მომხრენი ჰყავდნენ, რომელიც საეკლესიო ხელისუფლებაზე გაბატონების მის წადილსა და პოლიტიკას ცხადად. თუ იღუმალად თანაუგრძნობდნენ.

ცხადია, რომ თამარ მეფესაც უნდა თავისი სახელმწიფო გრიგორი პოლიტიკის მომხრენი დაურაზმა. ამიტომაც მან უცხოეთითავან კველა გამოჩენილი საეკლესიო-სამონასტრო მოლეჭენი დაიბარა, მათ შორის პალესტინიდან მიქელ კათალიკოსის უწინარეს ქართული ეკლესის მესაჭედ ნამყოფ ნიმუშობებული ასერისძე. ლიხთამერეთითგან აშავე მიზნით გადმოიყვანა ანტონ სალირისძე. როცა პროგრესულად განწყობილი და მოაროვნე კველა მოლეჭენი ჩამოვიდნენ, თამარ მეფეს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელიც თვითონვე გახსნა და რომელსაც



თამარ მეფე (ბეთანიის ფრესკა).

სოხოვა მიქელ კათალიკოსის საეკლესიო მოღვაწეობის კანონიერება გაერჩია: საეკლესიო კრებას ბრალდების საფუძვლიანობა და დანაშაულების სიმძიმე უნდა გადაეწყვიტა, ხოლო შემდეგ შესაფერისი განაჩენიც დაედო.

საეკლესიო კრების თავმჯდომარედ თამარმა ნიკოლოზ გულაბერის დანიშნა. კრების მდივნობა-კი ანტონ სალიჩისმეს დაევალა. უკვე ეს გარემოებაც იმ იღუმალ ზრახვას ამჟამანებდა, რომელიც თამარის მე-თაურობით საქართველოს მმართველ წრეებს ჰქონდათ. ამას კრების თავმჯდომარისა და მდივნის საქართველოს ეკლესის კათალიკოსის მი-ქელისაღმი წარგზავნილი მიმართვაც დაერთო ზედ, რომ მათ საეკლე-სიო კრებაზე მასი დასწრება სასურველიდ არ მიაჩნდათ, თუმცა ის ამ საეკლესიო კრებას, რომელიც მის მოქმედებას არჩევდა, უნდა როგორც ბრალდებული მაინც დასწრებოდა.

ყოველგვარი ცდისა და ხანგრძლივი გამოძიების მიუხედავად, საეკ-ლესთო კრების მნიშვილეთ კათალიკოსის მოქმედებაში ვერაცერი ისე-თი საეკლესიო ხასიათის დანაშაულება ვერ აღმოაჩინეს, რომ მისი გადა-ყენებისათვის კანონიერი საფუძველი ყოფილიყო. ამიტომ საეკლესიო კრებამ მიქელის გადაყენების დასტური თამარსა და მთავრობას არ მის-ცა. ახალგაზრდა მეფისათვის, რომლის პირველივე ნაბოჯი ისეთი მარც-ხით დამთავრდა, ეს მეტად უსიმოვნო გარემოება იყო.

რავი მიქელ კათალიკოსის წინააღმდეგ საეკლესიო ხასიათის ბრალდე-ბა ვერ დადასტურდა და მასი ამ გზითა და ამ საშუალებით გადაყენება ვერ მოხერხდა, თავისთვად უკვე უხერხული იყო, რომ თამარს მის-თვის მწიგნობართუხუცესობა წაერთოა, რაღაც ეს თანამდებობა მას მისივე მამისაგან სწორედ სამეფო ტახტზე მას სააყვანად წელის შე-წყობისათვის ჰქონდა ჯილდიდ შილებული. ამრიგად, საქმე ისე დატ-რიალდა, რომ მეფისა და კათალიკოს-პატრიარქ მწიგნობართუხუცესს შორის სხული უსიმოვნება უნდა დამყარებულიყო და მისი გადაყე-ნება-კი შეუძლებელი შეიქმნა.

ამ მარცხმა, რომელიც იმავე დროს ეკლესის კონსერვატიული წრე-ბის გამარჯვებას წარმოადგენდა, აგრეთვე დიდგვარიანი აზნაური მო-ხელებიც გათავაზა, რომელთაც თავდანთი თანამდებობა დარბაზის კარსა მყოფ და უმაღლეს სხვა დაწესებულებებში ჯერ კიდევ შენარჩუ-ნებული ჰქონდათ. ის ცვლილება, რომელიც გორგი III-მ ითანეორბელ-დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდგომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროში მოახდინა, როდესაც მან დიდგვარიან აზნაურ მო-ხელებს ვაზირობა და მათი თანაშემწეობა წაართვა და მათ მაგიერ პირადი ღირსებითა და სამსახურით დაწინაურებულ-აღწევებული უკვა-რონი დანიშნა, მაშინაც, რასაკვირველია, ამ დიდგვარიან აზნაურთა წრე-ში აღშფოთებას გამოიწვევდა, მაგრამ დამარცხებულთ თავიანთი პრაზა და ბოლმა უნდა უჩებლივთ გულში ჩაეკლათ, ეხლა-კი, როდესაც სამე-

ფო ტახტზე მამაკაცის შეგუერ უავე ნორჩი ქალიშვილი იჯდა, როცა იშავე დროს კათალიკოს-პატრიარქთან შებრძოლების დროს მას მარცხიც მოუვიდა, დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებმა გადასწყვიტეს, რომ მათ უკვე დრო დაუდგათ და წინანდელი უპირატესობის დასაბრუნებლად სრული საშუალება მიეცათ. ეს მოხელეები გაიფიცნენ და თაბარ მეფეს კოლექტიური განცხადება წარუდგინეს, რომელშიც აღნიშნული ჰქონდათ, რომ ამიერითგან ისინი უგვარო და უხამსი ხელისუფლების ბრძანებასა და განკარგულებას, რომელთა ხელკვეშეთაც ეს შსახურეული და ძევლი საგვარულოების წარმომადგენლების შეილები იმყოფებიან, აღარ დაემორჩილებოდნენ. ამასთანვე მათ გარკვეული პირებიც დასახელეს, რომელთა დაუყოვნებლივ გადაყენებასაც გადაჭრით მოითხოვდნენ.

გადასაჟენებლად დასახელებულთა შორის პირკველი ამირსპასალარი ყ უ ბ ა ს ი რ ი აღმოჩნდა. შემდეგ მსახურთუხუცესი ა ფ რ ი დ თ ნ ი და სხვები, რომელთა სახელებიც საისტორიო წყაროში აღნიშნული არ არას.

თავიანთი მოქმედებისა და მოთხოვნილებისათვის გარეგნული კანონიერების მისანიშებლად, ყუბასარის წინააღმდევ მოსაზრება იყო წმოყვენებული, რომ მას ფილენჯად წოდებული სნეულებისაგან დრო-გამოშვებით მოძრაობისა და მეტყველების უნარი ექარგებოდა ხოლმე, მაგრამ აფრიდონის წინააღმდევ მათ ასეთი ბრალდება ვერ მოსძებნეს და მის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეეძლოთ, რომ ის აზნაურის ყმობისაგან მეფის წყალობით მსახურთუხუცესიამდე იყო აღნევებული. სწორედ აქ გამომჟღვნდა მათი ნამდვილი გულისტკივილი.

თამარს რომ გაფიციორ გაძლიერებული ეს პოლიტიკური მოთხოვნა წარუდგინეს, ჩასაკირველია, მას ადგილად შეეძლო მიმსედარიყო, თუ რით იყო დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა ეს ულტიმატუმი გამოწვეული: ყუბასარს ისინი იმიტომ-კი არ ებრძოდნენ და მისი თავითგან მოშორება იმიტომ-კი არ ჰქონდათ, რომ მას სნეულებისაგან მოქმედების უნარი ეკარგებოდა ხოლმე, არამედ მხოლოდ იმიტომ. რომ მათობს ყუბასარი როგორც იოანე ორბელ-დემიას აჯანყების ჩაქრობის პირველი მეთაური ყველაზე საძულველი პიროვნება იყო. აფრიდონიც ნიშანში ამოსალებ მოხელედ იმიტომ იქცა, რომ ის დაბალი წოდებითგან, აზნაურთა ყმობითგან, გამოსული და აღწევებული იყო, პიროვნება, რომელიც მათ, როგორც დიდგვარიან აზნაურებს. დამორჩილებული უნდა ჰყოლოდათ; ეს ადამითნი-კი მათ ეხლა ბატონად ჰყავდათ დასმული.

საქართველოს ჯერედ გამოუბრძმელელ ქალიშვილს მმართველზე ამ გაუგონარმა ამბავშა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. უმ-

რავარისა და  
დავითის ფული,  
1200 წლისა.

წვდომისრეაბიში ჩავარდნილმა თამარმა გადასწყვიტა, რომ დათმობის გარდა, სხვა არავითარი საშუალება უკვე აღარ არსებობდა, მაგრაც იმავე დროს მას არ ჰქონდა, რომ მისი მამისა და სახელმწიფოს ისეთი ერთგული მოხელე. როგორიც უბასარი იყო, გაეწირა: მისი ღვაწლის დავიწყება მას არას გზით არ შეეძლო. მაგრამ, რაღვან უბასარი აშროოს მართლაც ავადმყოფობდა, მან ვადასწყვიტა ეს მონათხოვნი დაქვადყილებინა და ამირსპასალარის თანამდებობითგან განეთავისუფლებინა. გაფიცული დიდგვარიანი აზნაურების მოთხოვნის მეორე ნაწილზე-კი, სახელდობრ, რომ უბასარის, მთელი ქონებაც ჩამორთმეოდა, უარი განუცხადა და არ შეასრულა: ამირსპასალარობასთან დაკავშირდულს სამოხელეო სამფლობელოს გარდა, მთელი დანარჩენი ქონება შეუნარებუნა და, როგორც ისტორიკოსი მოგვითხოვბას, ამ დამსახურებულ სახელმწიფო მოღვაწეს სიკვდილამდე დიდი პატივისცემითა და მზრუნველობით ეცყრობოდა. აფრიდონიც ამგარადვე დაემხო და თანამდებობაც დაკარგა. ამრიგად, ორი ისეთი მნიშვნელოვანი ხელისუფლება როგორიც სრულიად საქართველოს მთელი ჯარის მეთაურობა, ამირსპასალარიბა, და მსახურთუხუცესის თანამდებობა იყო, უგვაროთა ხელითგან იყო გამოგლეჯილი და განთავისუფლებული.

თამარის უნებურად მომსდარი ეს ცვლილება საქართველოს ახალგაზრდა მფიქის მეორე დიდი მარცხი იყო. მეტის თქმაც შეიძლება: ის მარტო თამარის მარცხს-კი არ წარმოადგენდა, არამედ დავით აღმაშენებელისაგან, მეტადრე-ჭა მისი მამის გიორგის დროს მოპოვებული გამარჯვების მთელი შედეგის გაქარწყლებასაც უდრიდა.

რამდენადაც ბრძოლის მოსახვებად წარმოებული იერიში თანხმობრივი იყო მოწყობილი, იმდენად გამარჯვებით მოპოვებული დავლის განაწილებისას ატყდა გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა შორის გამწვავებული ბრძოლა. თითოეულს მათგანს უნდოდა, რომ ამირსპასალარიბა, ანდა მსახურთუხუცესისა სწორედ თვითონ მიეღო და სხვას არ ჰკრებოდა.

გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა შორის ატყებილი ამ ბრძოლით მეურნეობულ-უხუცესმა ყუთლუ-არსლან მან ისარგებლა, რომელსაც პოლიტიკური გეგმის თანამგრძნობთა საქმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი აღმოაჩნდა. ისინი ერთად შეიყარნენ და ფუცის წიგნი დასდეს, რომ თამარ მეფეს მონათხოვნი წარუდგინონ და მისი სარულებისათვის ერთსულოვნად იბრძოლონ. პირველი შემთხვევა გვაქვს აქ, როდესაც პოლიტიკური საკითხის განსახორციელებლად ქველს საქართველოში ფიცე დამყარებული შეთანხმებული პოლიტიკური დასი გვევლინება..

თამარისათვის წარმოადგენილი მონათხოვნი შემდეგს პოლიტიკურ დებულებას შეაღებდა: ისანში, სამეფო სასახლის მახლობლად უნდა დადგენული ყოფილიყო „კარავი“, რომელშიც თავისუფლად მსხდომარენი მოხსენებას მიიღებდნენ და ბრძანებას გასცემდნენ, წყალობის ღირსა წყალობას მიჰყენდნენ, დასასჯელს რისხვას მიაგებდნენ: ეს ჩვენი დად-

გვნილება შეფეთ-მეფესა და დედოფალს თამარს მოხსენდეს ხოლმე და სრულ იქმნეს ხოლმე განგებული ჩვენით.

ისანში იყო მოთავსებული საქართველოს მეფეთ-მეფის სასახლე და საქართველოს უმაღლესი დაწესებულება — სახელმწიფო დარბაზი. დარბაზი თვით შეიტის სასახლეში იყო. დარბაზის წევრთ მეფე იწვევდა ხოლმე და სახელმწიფოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ ეკითხებოდა რჩევას. მაგრამ დარბაზის მოწვევა მხოლოდ და მხოლოდ მეფის ნებაყოფლობასა და სურვილზე იყო დამოკიდებული. ენა-კა-კი ყუთლუ-არსლანის დასი თხოულობდა, რომ სასახლის გვერდით კარავი ყოფილიყო დაღმული იმ მიზნით, რომ იქ მეფისაგან დამოუკიდებლივ და მეფის დაუსწრებლივ სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და უზენაეს მართლმაჯულებასთან დაკავშირებული საქმეები განეხილათ. ამ დაწესებულების გადაწყვეტილება უნდა მეფისითვის ეცნობებინათ, რომელსაც ამ გადაწყვეტილების მხოლოდ ასრულების უფლება ჰქონდა დატოვებული. ცხალია, რომ აქ „კარავი“ ჩვეულებრივი მნიშვნელობით კი არ არის ნახმარი, არამედ დარბაზის მსგავს დაწესებულებად.

ამგვარად, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მონათხოვნი, მოკლედ რომ გამოისახოს, იმაში მდგომარეობდა, რომ მეფეს კანონმდებლობითი ხელისუფლება უნდა ჩამორთმეოდა და მთლიანად ამ აზალ დაწესებულებას უნდა გადასცემოდა. მეფეს ისინი შხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ.

ცხადია, თუ რა დღი განსხვავებაა ამ მონათხოვნსა და იმ მონათხოვნს შორის, რომელიც თამარ მეფეს გაფიცულმა დიდგვარიანმა აზნაურ-მოხელეებმა წარუდგინეს. ამ უკანასკნელთა წარილი იყო მხოლოდ თავანთი წინანდელი წოდებრივი უპირატესობა დაბრუნებინათ. ყუთლუ-არსლანის დას-კი რაიმე წოდებრივი უპირატესობის მოპოვება მიზნად დასახული არ ჰქონია, არამედ უნდოდა. რომ სახელმწიფო წისწყობილება ისე შეცვლილიყო, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა და მართლმაჯულება მარტო მეფის სურვილზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

ყუთლუ-არსლანის დასის მონათხოვნი, რა თქმა უნდა, დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა მონათხოვნზე ბევრად უფრო მოულოდნელი იყო. მეფეცა და მისი მრჩევლები განცვილებულნენ, როდესაც გაიგნე, რასაც ეს დასი თხოულობდა. თამარი უმალ მიხვდა, რომ მისი ასრულება მეფის ხელისუფლების თითქმის მოსპობას უდრიდა. სახელმწიფოს იმდროინდელ მესვეურთა რჩევით, თამარმა განკარგულება გასცა, რომ ამ პოლიტიკური დასის მეთაური დაეკირათ. თამარის მრჩეველთ ეგონათ, რომ მეთაურის დაქრძა ამ მოძრაობას ჩააქრიბდა და დასიც თავისით ვად დაიშლებოდა. მაგრამ ეს მოლოდინი სრულებით არ გამართლა.

ყუთლუ-არსლანის დაჭრის უმალ, მისი თანმიმაზრენი კვლავ შეიცინენ და ხელმეორედ ფრცის წიგნი დასდეს, რომ მათ მეფეს გადაჭრისთვის მეთაურის, ყუთლუ-არსლანის, უფრნებლობა და განთავსუფლებოდა.

ლებაც მოსთხოვონ და იმ პოლიტიკური მონათხოვნის ასრულებაც, რო-  
მელიც წინათ ჰქონდათ წარდგენილი. ხოლო, თუ ყველა მათი მონათხოვ-  
ნი შეწყვარებული არ იქნებოდა, გადასწყვიტეს, სასახლის წინააღმდე-  
ფალაშეჩრების წინაშეც არ შეწერებულიყვნენ. ამ გეგმის და გადასწყვეტი-  
ლების განხორციელებისათვის მზალებასაც-კი უჟღდგნენ.

ამგვარად, ურთიერთობა იძღვნად გამწვავდა, რომ საქმე სამხედრო  
ძალას უნდა გადაეწყვიტა. ესოდენ პასუხებავებ დროს თამარმა ბრძნული  
წინდახედულობა გამოიჩინა და თავის ჩვეულებრივ მრჩევლებს ორი გა-  
მოჩენილ ქართველი მანდილოსანი ამჯობინა, რომელიც სიბრძნითა და  
გვალენიანობით იყვნენ ცნობილი მაშინდელ საქართველოში: ამ უთან-  
ხმოებისა და განხეთქილების შვილობიანად მოგვარება მათ დაავალა.  
ყუთლუ-არსლანის აჯანყებულ პოლიტიკურ დასს მოსალაპარაკებლად  
თამარმა კრავაი ჯაყ ყ ლ ი, დედა სამძღვართა, და ხვაშ აქ  
ცო ქ ა ლ ი, დედა ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატისა, მიუგავნა.  
ამ ორმა მანდილოსანმა უაღრესად პასუხსავები პოლიტიკური დაგალე-  
ბისა და კონფლიქტის მოგვარება მოახრეს. შეთანხმება ურთიერთა დათ-  
მობით გახდა შესაძლებელი. თამარმა შეუთვალა, რომ, ყუთლუ-არსლანს  
გარდა, დატრიალებული ამბის პასუხს ის არავის მოსთხოვდა. ამასთანავე  
თამარი დათანხმდა, რომ ამიეროთგან მას საქართველოს დიდებულთა თა-  
ნადგომითა და ერთნებობით გადანაწყვეტი წარსდგენოდა ხოლმე დასა-  
მტკიცებლად. დასის წარმომადგენლებმა თავიანთი მხრივ აღიარეს, რომ  
ისინი ერთგულებას განცენადებენ თამარ მეფეს, დაემორჩილებიან და  
შემ ხელისუფლებას სცნობენ.

ამგვარად, თამარ მეფემ დარბაზის თანადგომის, ე. ი. სახელმწიფოს  
საქმეების განხილვა-გადასწყვეტის მონაწილეობის უფლება აღიარა, მაგრამ  
სამაგიეროდ უარყო, რომ მეფეს ამ დადგენილების ასრულების გარდა  
სხვა აღარავითარი ხელისუფლება არ ჰქონდა: თავისტვის მან დამტკი-  
ცების უფლება შეინარჩუნა. მართლაც, ამ დროითგან მოყოლებული,  
ჭარბობ საისტორიო წყაროებში ყოველ ცნობას დიდი თანადგებობის  
პირობების შესახებ ისეთი გამონათქვამები ახლავს. რომელთა  
კვალი წინადელ საისტორიო ძეგლებში არსაღ ჩანს: ასეთ შემთხვევაში  
უკვე ნათელებია ხოლმე „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა  
შეიდოთავე სამეფოთა“ თამარმა დამტკიცაო ესა და ეს პირით.

საქართველო XI საუკ. დამდეგს ქართულს სამონასტრო წესწყობილება-  
ში მომსახური ცვლილება გავიხსენოთ, როდესაც წინანდელი მამასახლი-  
სისაგან თანამდებობის პირთა დანაშვნის მონარქიული წესი რესპუბლი-  
კურ წესად შეიცვალა და მონასტრებში ძმობის ყველა წევრთა „თანად-  
გომითა და ერთნებობით“ მოწყობილი არჩევნები იქმნა შემოღებული,  
რომ თამარის დროს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოძრაობის  
შედეგად საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ცვლი-  
ლების იდეური სათავის სადაურობა ცხადი შეიქმნეს. უეჭველია, აქ იმა-

ეს მოძღვრებისა და იმავე პროგრამის ანარეკლი გვაქვს, რომელთაც XI საუკუნეში ქართული მონასტრების მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურ წესწყობილებად ჟესცვალეს.

ამგვარად, ამიერიდან საქართველოს მეფეთ-მეფის ხელისუფლება სახულმწიფო დარბაზის თანადგომითა და ერთნებობით იყო შეზღულვილი. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების საგულისხმო და წინამორბედ ანალოგურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც XIII საუკ. დამდეგს ინგლისში, როგორც ცნობილია, მოხდა, და „მაგნა ხარტა ლიბერტატიუმ“-ის შექმნითა და ინგლისის მეფის ხელისუფლების შეზღუდვით დამთავრდა.

იმ შეთანხმებამ საქართველოს ხანგრძლივი პოლიტიკური მყუდროება მიანიჭა. მართალია, დიდგვარიანი აზნაურები შემდეგშიც რამდენჯერმე შეეცადნენ მდგომარეობა თავიანთ სასაჩვებლოდ გამოესწორებინათ, მაგრამ მათი ყოველი ასეთი მდგრელობა ამათ გამოდგა და პოლიტიკური მყუდროება საგრძნობლად აღარ შერჩეულა.

შეთანხმების შემდეგ ახლად შემოლებული წესის თანახმად, თამარ მეფემ ისეთი პირები დაამტკიცა ვაზიარებად და მათ თანაშემწეებად, რომელიც თამარის მამას, გორგი I ს-ის, გამოიღონ, ანდა შესრულონი იყვნენ, და რომელთა ერთგულებაც ითანე თორბელ-დემნას აჯანყების დროს გამომულავნდა.

შემოაღნიშნულ მნიშვნელოვან სახელმწიფო პრობლემის მოვარების შემდგომ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა საზრუნავს თამარი-სათვის ქმრის მოძებნა წარმოადგენდა, რადგანაც მას, როგორც ქალს, არ შეეძლო საქართველოს ჯარის მთავარსარდლობა ეკისრა, როგორც ამას ჩვეულებრივ მეფები ასრულებდნენ.

იმ დროს მეფის პირად მნიშვნელობას ომში ფრიად დიდი გამამხნევებელი მნიშვნელობა ჰქონდა. 1185—86 წ., სახელმწიფო დარბაზის წევრთა გადატყვეტილებით, რუსეთიდან ჩამოყვანილი იყო უფლისწული გ. ი. რ. გ. ი. რ. უ. ს. ი., რომელთანაც ქორწინება მოხდა, მაგრამ ცოტანის შემდეგ, როდესაც უარყოფითი მხარეები გამოიყენდა, ის საქართველოთვან გააძვევეს. მას ნება დართეს კონსტანტინოპოლიში ვამგზავრებულიყო.

1189 წელს თამარისათვის საქმროდ თსთა მეფის შთამომავალი, დე-დით ქართველ მეფეთა ბაგრატიონთა ასულის შვილი დავით უფლის წული ის წული იყო დასახელდული. ის თამარის მამიდასთან, რუსულთანაც იზრდებოდა და მისი ხასიათის თვისებებიც, სიმამაცე და განსწავლულობაც, ყველასათვის ქარგად იყო ცნობილი. ამიტომაც ეს პრინციპი დარბაზის ერმაც და თვით თამარმაც მოიწონეს.

1190—91 წ. გორგი რუსმა, უეპველია, დიდგვარიან აზნაურებთან წინასწარ შეთანხმებით, დაკარგული ხელისუფლებისა და საქართველოს ბეფეთ-მეფის ქმრის კვლავ დაბრუნება სცადა. სახელმწიფოს დავალე

ბით ბრძანტიაში. წარგზავნილი მექურჭლეთ-უხუცესის ნაცვალი აღმოჩნდა სწორედ იმ შუამავლად, რომელიც დიდგვარიან აზნაურთა წრის და-გალებთ გაძევებული გორგი რუსთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. გიორგი რუსი ისეთი გავლენიანი და დიდი პოლიტიკური მოღვაწენი მიე-შერნენ, როგორიც გუზანი, კლარჯეთისა და შევშეთის ერისთავთ-ერის-თავი, ბოცო სამცხის სპასალარი ციხისუვარელი-ჯაყელი და მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი იყვნენ.

გიორგი რუსი ჯერ მე ს ხეთის თემში შემოიჭრა, შემდეგ-კი ცეით-გან დასავლეთ საქართველოში გადაიყვანეს და გუგუთში მეფედ დასვეს. მარტო მის მომხსეტა სოციალური სადაურობა, დიდგვარიან აზ-ნაურთაღმი მიეუთვნილობაც. ცხადჰყოფდა, რომ ეს გეგმა მთლიანად დიდ-გვარიან აზნაურთა მიერ წინანდელი ბოლოტიკური უბირატესობის დასაბ-რუნებლად მოწყობილს მცდელობას წარმოადგენდა: უცკველია, მათ ან იმედი ჰქონდათ, რომ გიორგი რუსი თავიანთ სათამაშო ბურთად აქცევ-დნენ, ანდა დარწმუნებული უნდა ყოფდაიყვნენ, რომ გიორგი რუსი წო-დებრივ უპირატესობათა შენარჩუნების მომხსეტებელი იყო.

ამ აბბით შეშფოთებულმა თამარმა აღმოსავლეთ საქართველოს უველა დაბლი ხელცუფლები მოიწვია, რომელთაგან უველამ განდგომილებაში გაურევლობა და მისი ერთგულება შეცვიცეს. თამარმა სცადა, დიდგვა-რიან აზნაურთა ჯგუფი ეს უგუნური საქციელი მშვიდობიანი მოლაპა-რაკებით შეეხერებინა, რომელიც ძმათა შორის სისხლის ლვრით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა: გიორგი რუსის მომხ-სე აჯანყებული დიდგვარიანია აზნაურები ორ ჯგუფად გაიყვნენ და ერ-თი ჯგუფი თავის ლაშქრითურო აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში, გადმოვიდა და ამ თემის ახხება დაიწყო, მეორე ჯგუფი კიდევ ცენტ-ჯვრის გზით სამცხეში გადავიდა და ქალაქი ოძრხე გადასწივა.

თამარის ერთგულმა აღმოსავლეთ საქართველოს მოხელეებმაც ჯარს თვით მოყენებს და ჯავახეთში გაემგზავრნენ საბრძოლველად, სადაც აჯანყებულთა მთავარი ძალა მშენებოდა. ამ თემში, თმოგვსა და ერუ-შეთს შეა, მეამბოხეთა და საქართველოს მთავრობის ჯარს შორის დი-დი ბრძოლა მოხდა. თამარის მომხსე ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, აჯანყებულები-კი დამარცხდნენ და გაიციანტნენ. მართალია, ეს მეამბოხეთა უკვე მნიშვნელოვანი ძალის განადგურებას წარმოადგენდა. მაგრამ ქართლში შეჭრილი მეორე ნაწილი ჯერ კიდევ გასანადგურებელი იყო და ეს ჯავახეთის მათზედაც მიღდგა. როდესაც ქართლში მყოფმა მეამ-ბოხეებმა ჯავახეთის ჯგუფის დამარცხების ამბავი გაიგეს, უბრძოლვე-ლად გაიქცნენ.

გიორგი რუსის მომხსეტა რიცხვი ეხლა უკვე შემცირდა და მათ ბრძო-ლა ალარ შეეძლოთ. ამცემობ ამ დიდგვარიანშა აზნაურებმა თამარს შუა-მდგომლები მიუგზავნეს, რომ თავიანთოვის უგნებლობის ფიც მიეღოთ; მაშინ ჰპირდებოდნენ, რომ გიორგი რუსი დაჭრილს მიპვერიდნენ. თამარ-

მაც უკრებლობა უწყალობა. აჯანყებულები გაღმოვიდნენ და ერთგულუბა შექფიცეს და გორგი რუსც მოპგვარეს. დადგებული აღთქმის თანახმად, თამარმა გორგი რუსი კვლავ გააძევა, აჯანყებაში გარეულ უკელა მომხრებს-კი თანამდებობა ჩამოართვა და მათ მაგიერ თავისი ერთგული ხელისუფლები დანცხა.

გუ ზანი, კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავი, რომელიც გიორგი რუსის აჯანყებაში იყო გარეული, შემდეგშიც თავისას არ იშლიდა. მან წინანდელზე შეტი ღალატიც-კი კყაღრა: ის შაპ-არმენთან წავიდა და ტაოს, კარისა, ვაშლოვანწასა და სხვა ციხეების მტრისათვეც გადაცემას შეჭირდა. შაპ-არმენმა გუზანის ცოლშვილის წისაუყანად და გაღმომცემულ ციხეებში მეციხოვნეთა შესაყვენებლად მრავალრიცხოვი თურქი მოლაშერენი გამოგზავნა. მაგრამ დიდგვარის აზნაურის ამ მოხელის ასეთმა მოღალატურმა ქცევამა და ოინმა მაინც ტყუილად ჩაუარა, რადგან გუზანის ცოლშვილის წმიდან შაპ-არმენის ლაშქარს ზაქარია-ფანასკერტელი დაუდევნა, დამარცხა კიდეც და გუზანის ცოლშვილიც ჩაიგდო ხელში.

1192—93 წ. თამარის პირმშო ვაჟიშვილი გიორგი-ლაშა და იმ ბადადა. ამის აღსანიშნავად ლაშქრობა იყო მოწყობილი ერთი მხრით არჩერულის, კარნუ-ქალაქის, მიმართულებით და მეორე მხრით საქართველოს არეზის სანაპიროებისავენ.

1193 წელს გიორგი რუსმა ხელმეორედ სცადა თავისი ბედი ისევ წარმამოეტრიალებინა; კონსტანტინოპოლიდან რანში მოვიდა ათაბაგთან და იქითგან კამბეჩოვანში, ე. ი. ქიზიუში შეიჭრა, მაგრამ ეს მეორე უცდელობა პირველზე უარესად დამთავრდა: ის უმაღლ დამარცხებულ იქმნა და უკვალოდ გადაიხვეწა.

როდესაც გიორგი III გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე ნორჩი ქალი-შეკილი თამარი ავიდა, უკელა მეზობლებს ეგონათ, რომ ეხლა-კი სამაგიეროს გადახდის ღრო დაუდგათ, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ; საქართველოს სამხედრო ძლიერება ოდნავადაც არ შესუსტებულა, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მამაკაცის მაგიერ ქალი იჯდა. თამარს ხასიათის დრო სიმტკიცე და მამაცური ნებისყოფა პქონდა; ქვეყნის მესაჭიობასაც კარგად ახერხებდა, იმისდა მიუხედავად, რომ მას მაინც-და-მაინც საშუალება არ ჰქონდა სახელმწიფო მართვა-გამგების საქმეებში ხანგრძლივი გამოცდილება მოეპოვა.

მეზობელი მამადიანი მმართველები ღროგამოშვებით ცდილობდნენ, რომ აქ-თუ-იქ, ამათუმ მხრითგან იერიში მოეტანათ და საქართველოსაგან შემოერთებული აღვილები ისევ უკან დაებრუნებინათ. ერანის აზერ-ბაიჯვანის ამირთ-ამირას ყიზილ-არსლანის ათაბაგის შვილი აბუბექრ ათაბაგი 1192 წელს შირვანს შეესია, რაფი ის საქართველოს ყმაღნაფიცი იყო. ამ დროს შირვანში საშინელი მიწისძვრა მოხდა, შამახის ზღვდები დაიწვრა. ამ მიწისძვრის მსხვერპლად, აღსართან შირვანშიმა და

ზისშია სიძემ ამირ-მირმანია აბუბექრ ათაბაგის შემოსევის წინააღმდეგოთ. მა კერ გაუწიეს და საქართველოს მთავრობას და თამარს სთხოვეს, მათ-თვის დახმარება გაწიათ და აბუბექრის ძალმომჩეობისაგან დაცვათ. საქართველოს მთავრობაშაც თავისი მოვალეობის ასრულება აღუთქვა და დიდ სამხედრო სამშალის შეუდგა.

1195 წელს საქართველოს მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა დაიძრა. შანქორთან დიდი და სისხლის მღვრელი ბრძოლა მოხდა, რომლის დრო-საც მტკრი საშინალი დამარცხდა, ისე რომ ათაბაგმა თავისთავი ლტოლ-ვით გადაარჩინა, მხოლოდ ძლევამოსილ ქართველთა ჯარის თვით მაპმა-დიანთა სალიფისაგან უშლეველობის მოსანიჭებლად გამოგზავნილი ღა-ზა-ღროში ჩაუგარდა ხელში და დიდალი დავლაც ერგო. მაშინვე ქა-ლაქ შანქორთგან მცხოვრები ვამოეგებნენ, ქალაქის კლიტე-გასალები მოართვეს და მეფე დავითსა და ქართველთა ჯარის მხედართ მთავრებს შევ შებრძანება სთხოვეს.

შანქორი და მისი სანახები კვლავ დაპყრობილ იქნა, მაგრამ საქართვე-ლოს მთავრობას იგი თავის უშუალო მფლობელობად არ უქცევია. არა-მედ ამირ-მირმანს გადასცა, კითარცა მის ყმადნაფულს. მერმე ქართულმა მხედრობამ განძაზედაც გაიღაშერა, მაგრამ განძასთან მიახლოვებისთანა-ვე განძელებრა თავისით წარმომადგენლები მოაგებეს და უბრძოლველად. დამორჩილება მოახსენეს. საქართველოს ჯარის მთავარსარდლობა ჯა-რითურთ განძაში შევიდა და, მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღ-სანიშნავად, განძის მმართველის სასახლეში დიდი ღარბაზობა კადა-იხადა.

ზანც აბუბექრ ათაბაგი, რომელიც დატყვევებას და სიკვდილს ლტოლ-ვით გადაუტჩა, არ ისვენებდა, და. რაკი სამხედრო ძალით შირგან-შაპისა და მისი სიძის მოსპობა კერ მოახერხა, მან მოსყიდული მომწამვლელე-ბის მიგზავნით ამირ-მირმანს მოუღო ბოლო და მოაქვლევინა.

საქართველოს სამხედრო ქლიერება ამ ღრიცითგან მოყოლებული თან-დათან სულ უფრო და უფრო მატულობს. მისი სამხედრო მოქმედების ასპარეზშაც საქართველოს სამხედროთ და ზასავლეთით მდებარე სანაპი-როები იქცნენ. 1196 წ. გელაზუნი და ამბერდი იყო აღებული. 1201 წელს ბოვნისი იქნა შემოერთებული. რაკი აბუბექრ ათაბაგი მანც წინანდე-ბურად არ ისვენებდა, მის დასასჯელად კვლავ იყო ლაშქარი გაგზავნი-ლი და 1203—1204 წ. სამხედრო მოქმედება დვინამდის და მის სანახე-ბამდის წარმოებდა.

ამავე ხანაში დასავლეთის თურქობამაც დაწყო იერიშის მოტანა სა-ქართველოს სამხედრო-დასავლეთის თემების წინააღმდეგ. ამიტომ მათ ასა-ლაგმავად და გასანადგურებლადაც საქართველოთგან გაგზავნილი იყო ჯარი, რომელმაც გაიარა პალაკაციო, არტაანი და სხვა თემები, და-იყრო ხახული, ოში და ბანა.

1204 წელს თამარი იძულებული გახდა საქართველოს სამხედრო მოქ-

მედება უფრო შორეულ მანძილზედაც-კი გადაეტანა. უცხოეთითგან ჩამოსულ ქართული სავარებების წარმომადგენლებს თამარ მეფემ 1204 წელს დიდი ქონებრივი შეწირულება გადასცა, მაგრამ უკან დაბრუნებისა ამ მონასტრების წარმომადგენლებს ბიზანტიის კეცისარმა ეს ფული ჩამოართვა და დაისაუთრა. ასეთი გაუგონარი საქციელისა და კადნიერების დასასჯელოდ, თამარმა საქართველოს მხედრობა წარგზავნა და ბიზანტიის სახელმწიფოს იმ სანაპიროს შეუსლა, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და რომელშიც ქართველთა მონათესავე ლაშებისა და ჭანების ტომები ცხოვრიბდნენ.

ამ ლაშეების დროს საქართველოს ჯარმა ლაზიკა დაიპყრო, ტრაპიზონი, სამისონი, სინოპი, კერასუნი, კოტიორა აიღო და ერაკლიამდის მოიღწია. მთელი ეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო საქართველოს მთავრობაშ ბიზანტიის ჩამოართვა და ცალკე საკეიისრო შექმნა. ამ საკეიისროში მან შთამომავლობით ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენტის გამეფა, რომელიც დედის მხრით ქართველ მეფეთა ბაგრატიონიანთა მონათესავე და საქართველოში ნამყოფი იყო.

ამზადისად, საქართველოს მეზობლად ამ დროითგან მოყოლებული ფეიი საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეიისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული, პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზონის საკეიისროში საქართველოს პევემნია სუფევდა. მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველთა მონათესავე ჭანების ტომისაგან შესდგებოდა. ბერძენთა მოსახლეობა მხოლოდ ქალაქებში იყო და: მარტო მალალი წრის ფენს ცენტრ ეკუთვნოდა, მაგრამ ამ მალალი წრის ფენშიც ქართულ მოსახლეობასაც საკმაოდ ჰყავდა თავისი წარმომადგენლები.

ბიზანტიის საკეიისროს დაარსების შემდეგაც, ქართული ჯარი იქითვან მთლად არ წამოსულა, რადგან თამარისა და საქართველოს მთავრობის შემოაღნიშული შექმედება მხოლოდ დასაწყისი იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართ დასახული პოლიტიკის გეზისა, რომლის ანარეკლი შემდეგშიც ჩანდა და რომლის გარშემო ბრძოლაც ბიზანტიისა და საქართველოს შორის მოელი XIII და XIV საუკუნის განმავლობაში წარმოებდა.

მომდევნო, 1204—05 წელს საქართველოს ჯარი ჯერ ხლათში და შემდეგ მანასკერტამდე და არცეშამდე შლიდა თავის მოქმედებას. 1205 წელს საქართველოს მთავრობაშ გადასწყვიტა დაეპყრო ის ერთადერთი სამ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქთაგანცც, რომელიც საქართველოს ჯერ კიდევ შემოერთებული: ას ჰერნდა და რომლის ფლობა მას სამხრეთითგან მომავალი გარეშე მტრის საშიშროებისაგან უზრუნველყოფდა. თამარმა თავისი ჯარი კარი ის ციხე-ქალაქის ასაღებად წარგზავნა. კარის-ციხე კარის ამირას ეჭირა, რომელიც ხლათის მშართველს შაპ-არმენს ემორჩის 6. ა. ჯავახიშვილი. 84

ლებოდა. საქართველოს ჯარის მოახლოვებისთანავე კარის აგირამ შაპ-აჩმენს დახმარება სთხოვა, მაგრამ ჰაპ-აჩმენი არც დაძრულა და არც აღ-მოუჩენია დახმარება. გარემოცვა კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მანიც საქართველოს ჯარის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ამჩიგად, სამხედ-რო თვალსასრისით უდიდესი მნიშვნელობის მეონებელი ანისისა და დვინის შემდეგ უდიდეს ციხეთაგანი ეს ციხე-ქალაქი კარიც საქართვე-ლოს საზღვრებში მოექცა. თამარ მეფემ, კარის მცხოვრებთა თხოვნის თანახმად, კარის ციხე-ქალაქი არავის არ გადასცა, არამედ უშუალოდ სახელმწიფო ტახტს დაუმორჩილა. როგორადაც კარის ციხის აღებას სა-ქართველოს ძლევამოსილობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ისე-ვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა მთელს მახლობელ აღმო-სავლეთშიც.

საქართველოს ამ გამარჯვებით ყველაზე მეტად რუმის სულტანი რუკ-ნადინი იყო აღშეფოთებული, რომელმაც კარის აღების უმაღლებელ ყველა მაშვილიან სამფლობელოების უფროსებთან გააბა მოლაპარაკება, რომ შეერთებული ძალით საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ და; არამცუ კარის ციხე-ქალაქი უკან დაებრუნებინათ, არამედ საქართვე-ლოც-კი გაენადგურებინათ.

მოკავშირებმა რომ 400 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ ლაშქარს მოუყარეს თავი, რუკნადინმა თამარ მეფეს მუქარითა და უკმეხი გამო-ნაოქვამებით სავსე ეპისტოლე გამოუგზავნა, რომელშიც წინააღმდებას აძლევდა, უბრძოლებულად დაშვირჩილებოდა. ასეთი უკმეხი მომართვის მიღებისთანავე, თამარ მეფემ 1206 წელს ბრძანება გასცა, რომ საქარ-თველოს მხედრობას თავი მოეყარა. ეს განკარგულება ისეთი სისწრაფით იქმნა ასრულებული, რომ მას საშუალება ჰქონდა უკან მიმავალი რუკ-ნადინის ელჩისათვის საქართველოს მთელი ლაშქარი კვალდაკვალ დაე-დევნებინა. გარდიაში მცსვლის შემდეგ, თამარმა ესოდენ გადამწყვეტ ომ-ში მიმავალი საქართველოს მხედრობა დალოცა და გამარჯვება უსურვა.

საქართველოს მხედრობაში რუკნადინთან ბრძოლა მოულოდნელი თავ-დასხმით დაიწყო. რუკნადინს არ ეგონა, რომ საქართველოს ჯარი ასეთი სისწრაფით ამხედრებას მოახდენდა და ბრძოლას შეუდგებოდა. რუკნა-დინის ჯარი სასტიკს ბრძოლაში საშინლად დამარცხდა, ისე რომ თვით რუკნადინი და მისი მოკავშირე აბულუსტანის მფლობელი მულის-ედინ-ტოლრილ-შაპი ტკვეობას ძლიერს გადაუჩნენ. მათი ღრმული, მთელი მა-თი ქონება რაც-კი თან ჰქონდათ, საქართველოს ძლევამოსილ ლაშქარს ჩაუკარდა ხელში.

ამ გამარჯვებამ საქართველოს სამხედრო ძალის სამხერეთ-დასავლეთი-თაც სრული უძლეველობა გამოამჟღვნა და, რა თქმა უნდა, ამას შეუ-ძლებელია მახლობელ აღმოსავლეთში უდიდესი შთაბეჭდილება არ მო-ედინა.

დამარცხებული, შორეულ თემში გახდნული რუკნადინი მაინც იმედს არ ჰქარგვდა, რომ საქართველოს სამაგიეროს გადაუხდრდა, მაგრამ ამისათვის მზადებაში გარდაცვალა და განზრახვა აუსრულებელი დარჩა.

1207 წელს თამარის მეულე და ვითი გარდაიცვალა და მის მაგიერ თამარმა სამეფო ტახტზე თანამოსაყდრედ თავისი თორმეტი წლის ვაჟიშვილი გიორგი ლაშა აიყვანა. დავითის სიკვდილის მრავედავად საქართველოს სამხედრო ძლიერება მომდევნო წლებში არამცუ შესუსტებული, არამედ გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა.

1208 და 1209 წელს არცე ში იქნა აღებული. მართალია, 1208 წელსვე მოულოდნელად საქართველოს ერანითგან არღველის სულტანი შემოესია. მან იმ გარემოებით ისარგებლა, რომ აღდგომა დღეს ქისტიანთა წესით ქალაქის კარები დილა აღრიან იღებოდა ხოლმე და უველა მორწმუნენი ეკლესიებში იყვნენ სალოცავად. საიდუმლო მზადების შემდგომ, არღველის სულტანი ამ წელს თავისი ლაშქრითური ანისის დამიანად თავს დაესხა და იმ დროს, როდესაც რიყრაჟზე ქალაქის კარები გაღებული იყო, შეესია, ეკლესიებში მყოფი ხალხი ამოხოცა და ისეჭე სწრაფად, როგორც შემოიჭრა, ერანში დაბრუნდა.

მოასხენეს, თუ არა თამარს ამ კარნიერი შემოსევის ამბავი, საპასუხო დამსჯელი ლაშქრობის მოწყობა უმაღვე გადაწყდა. იმ დროს, როდესაც მაქმადიანთა დიდი დღესასწაული იყო, როცა მაქმადიანებმაც დასვენება-განცცერობა იცოდნენ ხოლმე, ასევე სასწრაფოდ საქართველოს მხედრობაც არღველის სულტანისა და მისი მოსახლეობის დასასჯელად არღველში გაეშურა. იმავე წესით, როგორც ანისი იყო დარბეულ-დაწიოკებული, დარბეულ და დაწიოკებულ იქნა არღველიც, ხოლო არღველის სულტანი სიკვდილით დასაჯეს.

ერანში გალაშქრებამ ქართველ მხედართმთაკრებს ერანის სრული პოლტიკური უმწერობის სურათი გადაუშალა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ერანის დაპყრობა ძნელი საქმე აღირ იყო, ხოლო, რაკი ერანის სხვდა-სხვა ცალკეული ამირებისა და მფლობელების მეკობრული, ყაჩაღური თავდასხმისაგან საქართველოს მყუდროება ირღვეოდა ხოლმე, ამიტომ 1210 წელს საქართველოს ჯარის მხედართმთაკრება, ამირსპასალარმა ზაქარია მხედართმთაკრებამ, მარტინ და სხვა მაღალმა ხელისუფლებმა თამარს გეგმა წარუდგინეს, რომ ერანში დიდი ლაშქრობა მოწყობილიყო. ამ საკრთხის გადაწყვეტა თამარმა სახელმწიფო დარბაზს გადასცა, რომელმაც, შსჯელობის შემდგომ, დასტური მისცა და თამარ მეფემაც ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა.

სათანადოდ მომზადების შემდგომ, საქართველოს მრავალრცხვობანი შხედრობა ერანისაკენ გაემართა. პირველად მარანდი იყო აღებული. მარანდის აღებამ თავრეჟზე (უდრის ახლანდელ თავრიზს) ისეთი შთაბეჭ

დილება მოახდინა, რომ თავრეულებმა თავიანთი წარმომადგენლები მოაგებეს და უბრძოლეულად დამორჩილება მოახსენეს. ამ ამბავმა ქართველი მხედრობა გაახარა, რადგან აյ საქმე სისხლის დაულვრელად, ხარჯის დადებით მოვგარდა. ქალაქი მიანაც ასევე მოიქცა. შემდეგ უკენი და ზენგანიც (უღრის ახლანდელ ზენჯანს) იყო ალებული: ზენჯანმა საქართველოს ჯარს წინააღმდეგობა გაუწია და მისი დამორჩილება მხოლოდ ბრძოლის შემდგომ გახდა შესაძლებელი. ქლევამოსილი ქართული მხედრობა წინ იწევდა: ყაზირიც იქნა დაბყრობილი. დავლით ზატვირთულმა ლაშქარმა რომ-გურასაც-კი მიაღწია და აქ უკვე იმდენად დიდი დავლა დაგროვდა, რომ ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელია შეიქმნა და ძლევამოსილი ჯარი უკან უნდა დაბრუნებულიყო. არას ღროს საქართველოს ჯარს ესოდენ შორეული ლაშქრობა არ ჰქონა.

დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ჯარის დაუბრუნებლობის განო, გაფრცელდა ხმა, ვითომც ჯარი დამარცხებულიყოს. მიანელებმა დაიჯერეს და მეციხოვნე ქართველთა რაზმი, რომელიც იქ იყო ჩაყენებული, დახოცეს. მხოლოდ ერთი მათგანი შემთხვევით გადაურჩა ამ ულეტს და დაიმალა. როდესაც საქართველოს გამარჯვებული ჯარი უკან დაბრუნდა და მიანელებმა ეს ამბავი შეიტყვეს, შეშინებული საქართველოს მხედრობმათვარებს მიეგებნენ და დანაშაული, რომელიც მათ ჩადენილი ჰქონდათ, დაუმალეს: ქართველ მეციხოვნეთა დაუხველრელობა მიანელებ. მა იმით ახსნეს, ვითომც ქართველი მეციხოვნენი მეზობელ ქალაქში ყოფილიყვნენ გამგზავრებული, მაგრამ ამ ღროს გადარჩენილი დამალული ქართველი მეციხოვნე გამოჩნდა და მხედარომთავარის წინაშე წარსდგა და მან პირში ამხილა მიანელების ჩადენილი დანაშაულება ამ ვერაგობისა და სიცრუისათვის მიანელები სასტიკად იქნენ დასჯილნი, რის შემდეგ საქართველოს ჯარმა სამშობლოში დასბრუნებლად განაგრძო სვლა.

ამგვარად ერანის ჩრდილოეთი ნაწილი, ე. წ. ე რ ა ნ ი ს ა ზ ე რ ბ ა თ ჯ ა ნ ი საქართველოს ყმაღნაფიცად იქცა და ყოველწლიური ხარჯის ძლევა იკისრა. ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, დიდი დარბაზობა იყო მოწვეული, რომლის დროსაც თამარ მეფეს ერანითვან დაბრუნებული მხედრუბა წარუდგა და თან მოტანილი დავლა მრართვეს. ეს თამარის მეფობის უკანასკენელი დიდი ლაშქრობა იყო და ამის შემდგომ საქართველოს მშვიდობიანობა გარეშე მტრისაგან დარღვეული აღარ ყოფილა.

1212 წელს გარდაცვალა ზექარია ამირსპასალარი და მის შაგირ შისი ძმა იოანე ათაბაგი იყო დანიშნული.

ფხოელთა და დიდოელთა აჯანყების ჩასაქრობად იოანე ათაბაგის მეთაურობით 1212 წელს პატარა სამხედრო ექსპედიცია იყო გაგზავნილა საქართველოს ჩრდილოეთ სანაპიროზე, ხოლო 1213 წელს ავადმყოფობის შემდგომ თამარ მეფე გარდაიცვალა.

ამრიგად, თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში სრულიად საქართველოს ბრძნული საჭეთმპყრობელობითა და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკით, თამარმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობის ის დიადი საქმე, რომელიც მისი სახელოვანი წინაპრის დავით აღმაშენებლის მიერ იყო დაწყებული, მამაკაცის დაუღალავი დიდი ჭური, მხერით და სამაგალითო მამაცობით შექმნილი ეს ხელთუქმნელი ნაგებობა, ქალის სიბრძნითა და ნებისყოფით იყო დამთავრებული.

## საქართველოს კულტურული მითარება მითონები საუკუნეში

სახელმწიფო მინისტრი და სოციალური პროგრესული მოღვაწეებისა და მთელი მშრომელი ქართველი ხალხის გამუდმებული მუშაობით, წარმატებისათვის დაუცხრომელი ზრუნვითა და პროგრესული სოციალური და სახელმწიფო ბრივი იდეალებისათვის ბრძოლით, საქართველოდ მახლობელი აღმოსავლეთის პირველხარისხოვან პოლიტიკურ ძალად იქცა.

მეთორმეტე საუკუნის განმავლობაში მოწინავე პროგრესული მოღვაწეებისა და მთელი მშრომელი ქართველი ხალხის გამუდმებული მუშაობით, წარმატებისათვის დაუცხრომელი ზრუნვითა და პროგრესული სოციალური და სახელმწიფო ბრივი იდეალებისათვის ბრძოლით, საქართველოდ მახლობელი აღმოსავლეთის პირველხარისხოვან პოლიტიკურ ძალად იქცა.

დაგენტ აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის შორის გამჭვრეტელმა გეგმიანმა სახელმწიფო ბრივმა აღმშენებლობამ, საშინაო და საგარეო წინდახედულმა პოლიტიკამ წინათ პატარა სამეფოდ მყოფი საქართველო, რომელიც ქართველ ყველა ტომთა მთელ მოსახლეობასაც კავერც შეცცავდა, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ძლიერ და სახელგანთქმულ სახელმწიფოდ აქცია, რომლის გავლენა მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში კარგად იყო საგრძნობი. ამ ხანაში, ასეთს სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, მას არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაც მოუხდა.

პირველი ამოცანა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ბრივობის განმტკიცებისათვის უნდა გადაწყვეტილი ყოფილიყო, წოდებრიობისა და პირადი ღირსების ურთიერთობის პრობლემა იყო. საშუალო საუკუნეებში, ფეოდალურ წესწყობილებაში განმტკიცებული მსოფლმხედველობაცა და რწმენაც უპირატესობას შთამომავლობასა და წოდებრიობას აკუთვნებდა. ეს ურყევ კეშმარიტებად მიჩნეული მაშინდელი რწმენა დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველომ დააზღვია და ადამიანის პირ ადლი ასე ბას, წოდებრივ შთამომავლობასთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭა. მოწინავე მოაზროვნე საზოგადოებაშიცა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროშიც საქმიანობა სწორედ ამ ძირითად ახალ მოძღვრებაზე იყო დამყარებული.

ამავე მეთორმეტე საუკუნის განმავლობაში საქართველოში სახელმწიფო წესწყობილების ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანაც გადაწყვდა, როგორიც მეფისა და დიდგვარიან აზნაურთა ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემაა. საუკუნეთა განმავლობაში მიმღინარე ბრძოლა, რომელიც მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის ჯერ მხოლოდ წოდებრივი უპირატესობის შესანარჩუნებლად წარმოებდა, როცა მეფის ხელისუფლება ამ უპირატესობის შეზღუდვა-მოსპობას ცდილობდა და ახერხებდა კიდეც, თამარის დროს, ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მოქმედი პოლიტიკური დასისაგან წამოყენებული მოძღვრებისა და მონათხოვნის წყალობით სახელმწიფო დარბაზის ერთაგან მოპოვებული უფლებით მ ე ფ ი ს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს შ ე ზ ლ უ დ ვ ი თ დამთავრდა: ამ ხანითაგან მოყოლებული დარბაზის ერთა თანადგომა და ერთნებობა მცფის ბრძანების სიმტკიცისათვის საჭირო გახდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივობის სინამდვილემ ქართველ მოწინავე მოანიროვნე საზოგადოებას საშუალო საუკუნეებისათვის ისეთი როული საკითხიც გადაწყვეტინა, როგორიც ქალის ხელის უფლების პროცესი ბის პროცესია. მაშინდელმა საქართველომ ეს საკითხიც ქალის სასარგებლოდ გადასწყვიტა: სამეფო ტანტზე აყვანილ იქნა ქალი, მაგრამ ისე-ჟი არა, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე, მხოლოდ ვითარება დედოფალი, არამედ, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი საჭირომშე ყრიცებელი და მეფეთ-მეფე, მისი მუსლინ-კი მხოლოდ მის თანამეცხელურები იყო ცნობილი და ქმრიბით მას არც მეფეთ-მეფობა და არც მესაჭვობა არ მიპირებია. მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის გავლენა სხვაფრივადაც მოჩანს.

მას შემდგომ, რაც საქართველო თავისი ტომობრივი ბინადრობის საზღვრებს გასცილდა და საქართველოს სამეფოში სხვადასხვა ეროვნებათა და სარწმუნოების ოღმსარებელთა წარმომადგენელი ხალხიც მოექცა, ქართულ სახელმწიფოებრიობას გადასწყვეტი გაუხდა უკანონო ეროვნებათა წარმომადგენლებისა და სახელმწიფო მემკვიდრეობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის გავლენა სხვაფრივადაც მოჩანს პრიანთა გარდა, საქართველოს სახელმწიფოში იყვნენ მონოფიზიტი სომხებიც, მაპმადინნიც,—სპარსი, თურქი და არაბებიც,—რომელთადმი დამოკიდებულების გარკვეული გეზი უნდა ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლებას. საქართველოში ამ საკითხისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობდა: ეკლესიის, როგორც ქართველი, ისევე სომები წარმომადგენელი, რასაკვირველი, ამ აზრისანი იყვნენ, რომ ჰეგემონია ქრისტიანებს უნდა ჰქონოდათ, ხოლო მაპმადინი ეკვეშევრდომები ისეთსაც მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, რა მდგომარეობაშიც მაპმადიანთა ქვეწებში ქრისტიანები იქცოვებოდნენ, ე. ი. დაბეჩავებული და გადასახადებით

ერთი-ორად მაინც უნდა ყოფილიყვნენ დატვირთულნი, საქართველოს შთავრობა დავით აღმაშენებლითგან მოყოლებული მაინც ამ: შეხედულება ბას არ იზიარებდა: თავისი სახელმწიფო ბრივი პოლიტიკა მას სრულ თა ნასწორობაზე ჰქონდა აგებული; ეროვნული უფლება-შეზღუდვილობა, იმდროინდელ საქართველოში არ აჩვებოდა. რასაკვირველია, კერძო ცხოვრებაშიცა და არც ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა. მოქიშებები სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის მტრობა საქართველოშიც იყო, მაგრამ თვით საქართველოს მთავრობა, როგორც დავით აღმაშენებელის, ისევე თამარის მეფობაში, თვით ქრისტიანთა სხვადასხვა მოძრვების წარმომადგენელთა შორისაც-კი ყოველი ასეთი ატეხილი მტრული განწევი ყობილებისა და შულლანობის შენელებისათვის ზრუნავდა. ქართველ ჯართლმადიდებლებისა და მონოფიზიტ სომეხთა სამღვდელოების. წარმომადგენელთა საეკლესიო კრებები, რომელიც დავით აღმაშენებელის დროს საც და თამარის დროსაც ეკლესიათა შესათანხმებლად იყო მოწვევული, შეთანხმების მაგიერ, ყოველთვის დამოკიდებულების უფრო გამწვავებით მთავრდებოდა ხოლმე და პირადად დავით აღმაშენებელსაცა და თამარ მეფესაც ასეთი კამათის გამწვავებულ ვნებათა ღელვის დაცხობა-დაშობინება უხდებოდა.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი განსხვავებისდა მიუხედავად, ჭ ვ ვ შ ე ვ რ დ ო მ თ ო ს რ უ ლ ო თ ა ნ ა ს წ წ ო რ ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ა პ ი; რომელსაც საქართველოს მთავრობა იყავდა, მტკიცება საუცხოვოდ იმ საგნგებო სასამართლოს შემადგენლობითაც, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მწიგნობართ-უხცესისა და ვაზირთა ყოველთა უპირესელის განკარგულებით სომეხთა ორს ეკლესიასა და საქანეს შორის ძვირფასი ოქროს ჯვრის გამო ატეხილი დავის გასარჩევად იყო მოწვეული: ამ არაჩემულებრივი სასამართლოს წევრებად მოწვეული და დანიშნული იყვნენ როგორც სომეხთა ეკლესიის მღვდელ-მთავარი, ისევე ქართული ეკლესიის მესვეურნი. ესეც უკვე თავისდათავად გაუგონარი ამბავი იყო, რამდენადაც საყითხი სომეხთა ეკლესიის უხებოდა მხოლოდ, მაგრამ ამასე უფრო განმაციფრებელი და საყურადღებო ის არის, რომ ამავე სასამართლოს სრულუფლებიან მსაჯულ წევრებად მოწვეული იყვნენ თბილისია და განძის განთქმული ყადიები და მაპმადიანთა სჯულის მეცნიერნიც, რაც მაშინდელ მახლობელ აღმოსაფლეთსა და დასავლეთ ევროპაშიც სრულებით წარმოუდგენელი რამე იყო.

ადვილი მისახვედრია, თუ რა უკამაყოფილება უნდა გამოეწვია ქრისტიანეთა ეკლესიების მღვდელმსახურთა წრეში სასამართლოს შემადგინლობის ამნარის შერჩევას, მაგრამ, რავი საქართველოს მთავრობა ამ საკითხს იურიდიულ საკითხად სთვლიდა, მას საჭიროდ მიაჩნდა რომ ის სარწმუნოებრივი თვალსაზრისით კი არა, არამედ სახელმწიფოებრივი თაღლასაზრისით ყოფილიყო განხილულ-გადაწყვეტილი. ამიტომაც იყო:

რომ მშ.საგანგებო სასამართლოს თვით საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის სათავეში ძღვომი მწიგნობართუსუცესი და ვაწირთა ყოველთა უპირველესიც დაესწრო პირადად, რომელსაც ამ საკითხის განხილვის დროს საქართველოს სახელმწიფო ინტერესები. უნდა დაეცვა. უს სასამართლოცა და მცირ შემადგენლობაც ნათლად ამტკიცებს და ამჟღავნებს იმ თანამდებობის გეზსაც, რომლის დაცვასაც საქართველოს მაშინდელი მთავრობა ყოველ ასეთ შემთხვევაში ცდილობდა, და იმ პირუთვნელობასაც, რომლის მიხედვითაც საჭიროდ სთვლიდა, რომ სახელმწიფო საკითხები, სარწმუნოებრივი და ეროვნული გამწვავების მიუხედავად, გადაწყვეტილი ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ საქართველოში მყოფი მაშმაღლიანები თვით არაბულ-სპარსული იძლრინდელი ისტორიული წყაროების ცნობებითაც, თავითან თავს ბევრ მუსლიმან სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე უკეთესადაც გრძნობდნენ და უკეთს მდგომარეობაშიც იმყოფებოდნენ.

არაქართველ მოსახლეობის მიწა-წყლის შემოერთებასთან ერთად, უნდა აგრეთვე მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის წესიც გადაწყვეტილი ყოფილიყო. ამ მხრივ საქართველოში ირგვარი პოლიტიკის გეზი არსებობდა: ან უშუალო შემოერთება და სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევა, ანდა კ მ ა დ ნ ა ფ ი ც რ ბ ი ს ა და ვ ა ს ა ლ უ რ ი დ ა მ თ კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დ ა მ ყ ა რ ე ბ ა. ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი პოლიტიკური ერთეულები სწორებ ამ უკანასკნელი წესით ცყვნენ საქართველოსთან დაკავშირებულნი და საქართველოს სახელმწიფოს ყმაღნაფიცები განდნენ. თუმცა შირვანი და რანი თავდაპირველად უშუალოდ შემოერთებულ ქმნენ, მაგრამ შემდეგ ეს ქვეყნებიც ყმაღნაფიცების წესზე იყვნენ მოწყობილი. სამხრეთი მდებარე მაშმაღლიანთა სამფლობელოებიც აგრეთვე საქართველოს ყმაღნაფიცებად იყვნენ ქცეულნ, ყოფილი სამხეთის სამეფოს სომეხთა მიერ დასახლებული ტერიტორია-კი საქართველოს სახელმწიფოს უშუალო მფლობელობას და კუთვნილებას წარმოადგენდა.

სომხურ თემებში დამყარებული წესის განსხვავება ძირით აიხსნება, რომ როდესაც იქ საქართველოს სახელმწიფოებრივობა შედიოდა, თითქმის მთელი საუკუნით უწინარეს იქ სომხური ხელისუფლება უკვე მოსპობილი იყო და საქართველო ამ ტერიტორიას მაშმაღლიან მმართველებს ართმევდა. ადგილობრივი სომხური ხელისუფლება, რომელთანაც ყმაღნაფიცების წესით პოლიტიკური დამოკიდებულების დამყარება შესაძლებელი ყოფილიყო, არ არსებობდა. საქართველოს მთავრობა, მეტადრე თამარის ხანაში, მაინც აქაც გარკვეულ პოლიტიკის დაადგა და ამის წყალობრივმეხთა მიერ დასახლებული ტერიტორია თანადათან შემოკრიბა და შინა გაერთიანებაც ხდებოდა შესაძლებელი. მათ სხვადასხვა თემს, რასაკვირველია, თავთავიანთი დანიშნული მმართველები ჰყავდათ, მაგრამ თავიანთი ეროვნული მოთხოვნილების დაჭმაყოფილების სრული სა

შუალება ჰქონდათ. პოლიტიკურად-კი მათი არსებობა საქართველოს სახელმწიფო ბრიგადის ფარგლებში იყო გათვალისწინებულიცა და განხორციელებულიც.

საერთაშორისო და სახელ შეიცილებულ და მომართველობა, მეტადრე თამარის ხანითგან მოყოლებული, მეზობელთა შორის პოლიტიკური წინასურობის და ხელშეუხებლობის პრინციპს მისდევდა: ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ვინძო სხვის სამფლობელოში შექრას გაბედავდა, საქართველო თავის თავს მოვალედ სთვლიდა, რომ ჩარეულიყო და შელახულის უფლებები აღდგინა. ყველა ამ გარემოებათა გამო, საქართველომ თავისი პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებასთან ერთად, საერთაშორისო დამოკიდებულებაში და დიდი გაფლენის მოპოვების მოპოვები.

საქართველოს ესოდენი ზრდა და სახელგანთქმულობა, რომლის ანარეკლმა ისუთ შორეულ ქვეყნებამდისაც-კი მიაღწია, როგორიც მაშინდელი საქართველოსათვის დაქავლეთი ევროპა იყო, იმ დიდ კულტურულ მუშაობაზე იყო დამყარებული, რომელსაც ძეველი მარავის საფუძველზე მთული ამ საუკუნის განმავლობაში გამოჩენილი ქართველი მწერლები, მეცნიერნი და ხელოვანნი აწარმოებდნენ. ქართული სამეცნიერო როგორიციც იყო და ფილოლოგიური ურთულეს სამეცნიერო საკითხებს დასრულიად და არკვევდნენ. საქართველოს მაშინ ისეთი გამოჩენილი ფილოსოფისები ჰყავდა, როგორც ეფრემ მცირე, იოანე პეტრი იშვიათი არსენი იყო და ტარიელი იყვნენ. თითოეულს მათგანს ფალოსოფიური და სამეცნიერო კვლევა-ძების თავისუფლებისათვის მოუხდა ბრძოლა, მეტადრე იოანე პეტრიშვილს, რომლის მოღვაწიობა ჯერ ბიზანტიის სახელმწიფოში მყოფ პეტრიშვილის ქართველთა მონასტერში დაიწყო, შემდეგ ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტიონიკოლოში მიმდინარეობდა. სულ ბოლოს-კი საქართველოში იყო გადმოტანილი. რომა ცოდნაზე დამყარებული სამაგალითო ზედმიწევნოთი თარგმანების გვირდით, მათ საუკროვო საკუთარი კომეტარიები და ზოგადი მოძღვრების შემცველი დებულებებიც შექმნეს და დაუტოვეს შთამომავლობას.

უხვად გაიცურჩქნა ამ ხანაში აგრეთვი ქართული საისტონი მწერლი ბატონ მწერლო ბაც. ამ დროს დაწირილი იყო ისეთი შესანიშნავი საისტონო ნაშრომები, როგორიც ძეველ წყაროებზე დამყარებული ეფრემ მცირის გამოკვლევაა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ბრძყინვალე თხზულება და თამარ მეფის სამი ისტორიკოსის ფრიდა შინაარსიანი საყურადღებო ნაწარმოებია. სახელმწიფო და პოლიტიკური ამბების გარდა, ამ ივტორებს სოციალური პრობლემებიცა და კულტურული ყოფა-

ცხოვრების ამბებიც არ დეიტულებოდათ. ამიტომაც არის რომ მათ თხზულებებში საქართველოს მაშინდელი კულტურული ვითარებისა და სოციალური ბრძოლის შესაწავლად უხვი ცნობები მოგვეპოვება. ამ თხზულებათა შინაარსის მრავალფეროვანება და თვით საისტორიო წერის მაღალი ტექნიკა ამ ნაშრომებს პირველხარისხოვან საისტორიო ძეგლებად ხდის.

საქართველოს, ძველი ქართული კულტურის გარდა, ამ ხანაში ე ლი-რუ რი კულტურის მემკვიდრეობის საქმოდ ჰქონდა მეთვისებული, რამდენადაც, რასაკვირველია, ბიზანტიიში გადარჩენილ თხზულებათა საშუალებით ამის შესწავლა შეიძლებოდა. ბერძნულის საფუძვლიანმა ცოდნამ ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცათ ბერძნული თხზულებები ბერძნულადვე წაეკითხათ. ამგარად, ელინიზმის აყვავებისათვის მათ შესაფერისი მომზადებაც მოეპოვებოდათ და თვით საქართველოშიც ამისათვის ხელშემწყობი პირობებიც ჰქონდათ, რამდენადც, საქართველოს მაღალი კულტურული დონის წყალობთ, არაერთი ის საკითხი, რომელსაც ელინიზმი დასტრიიალებდა, საქართველოსათვის საგულისხმო და გასაგები იყო. და ამით აიხსნება, რომ ქართველმა მეცნიერებმა (ეფთვიმი ათონელმა, ითან ჰერქიწონელმა და სხვებმა) არა ერთი ძეირთასი ნაწარმოები შესძინეს ბიზანტიურ მწერლობას.

ქართული კულტურის თავისებურებას, დასავლების იმდროინდელ კულტურასთან უედარებით, მაინც ის წარმოადგენს, რომ, ვითარება აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საქართველოს სრული საშუალება ჰქონდა, ქრისტიანულ კულტურას გარდა, ისლამიზმისათვის შექმნილ ახალს ფრიად თავისებურსა და მრავალფეროვან არაბულ-ს პარსულ-ს კულტურას ასაც გასცნობოდა. იმ დროს, როდესაც ამ ხანაში დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიას, ასურელებს და სომხებსაც მხოლოდ საუკლესით მწერლობა ჰქონდათ, საერო-კი ჯერ არ მოებორებოდათ. ქართულმა კულტურამ უკვე მდიდარი, მშვენიერი საერო მწერლობის შექმნა შესძლო.

ქართველ ხალხს უძეველესი დროთვან თავისი მდიდარი ხალხური პოეზია და მრავალფეროვანი ხმიერი და საკრავიერი მუსიკა ჰქონდა და ისევე, როგორც სახიობაც. მკაცრი ქრისტიანული და ასკეტიკური მოძღვრების მიერ ხალხური შემოქმედების ამ წინათ დევნილმა დარგმა თანდათანობით თავისი ძალის კვლავ მოქრება შესძლო და უკვე მეათე საუკუნისათვის ქართული საერო მწერლობის განახლების დასაწყისი მკაფიოდ საგრძნობი გახდა.

XI და XII საუკუნეში ამ საერო მწერლობის, როგორც მნიშვნელობა და გავლენა, ისევე შემოქმედებითი ოდენობა იზრდება. პირველ ხანებში მაქმალიანთა საერო მწერლობის პანგების მიმბაძველობით შეფერდებული, თანდათანობით ის დამოუკიდებელ შემოქმედების გზას აღვე-

ბა. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქართველ მწერლებს დედნად სპარსული, ან არაბული მხატვრული ნაწარმოები ჰქონდათ აღებული, მათ მაინც თავიანთი ამოცანები, თავიანთი მიზნები, თავიანთი მსოფლმხედველობა ამერიკელებდა; ყველაფერი; რასაც თვითონ ისინიც-კი თარგმანს უწოდებდნენ, მართლაც ყოველთვის თარგმანი არ იყო, არამედ იქ მათი საკუთარი შემოქმედება არის ჩაქსოვილი. ამ მხრივ, თუნდაც ქართული „ვისარა მიანია“ საყურადღებო, რომელც სპარსულ დედნას არც ღირსებით, არც დედაზერით ფახრედინ გურგანელის მიერ მშვენიერ ლექსად გაწერილ საუცხოვო რომანს არაფრით ჩამოუვარდება; იმისდა მცუხედავად, რომ ქართველ ავტორს თავისი თხზულება პროზად ჰქონდა : „ვის დაწერილი იოანე შავთელის „აბდულ მესია“ და ჩატერული ის ხოტბანი ხომ მაშინდელი საქართველოს მაღლახარისხოვანი კულტურის საუცხოვო გამომქულავნებელია: ასეთ თხზულებათა შინაარსის გაეგბა მხოლოდ ფართო და ღრმა განათლების მქონებელს საზოგადოებას შეეძლო და იმავე ღრმოს ლექსთაწყობის ხელოვნებაში იმ მაღალ დონემდე მიღწევაც, რომლის მაგალითებიც მათ ნაწარმოების ყოველ სტრიქონში განშავითორებელი ოსტატობით არის გულუხვად გაბნეული, მხოლოდ უაღნესად დახელოვნებულ მგრისანს ძალუძა.

მაშინდელი მხატვრული ქართული მეწერლობის უდიდესი ნაწილის დაკარგულობის გამო, ამჟამად საშუალება არა გვაქვს, იმდროინდელი ქართული მხატვრული მწერლობის მრავალფეროვანება და ღირსება მთელი სისტულით წარმოიდგინოთ, მაგრამ მარტო შოთა რუსთაველის უკედავი ქნილება „ვეფხისტყაოსანიც“, სხვაც რომ აღარავერი გვქონდა შერჩენილი; მაშინდელი ქართული მხატვრული მწერლობის განვითარების მაღალი ღონის ცხადსაყოფელად კმირა. შესძლებელის გადაუჭარბებლივ თვეებს, რომ შოთას „ვეფხისტყაოსანი“ არაჩვეულებრივი მოვლენაა ინდროინდელი, როგორც აღმოსავლეთისა, ისევე დასხვლეთის მწერლობისათვის. პირველი სტრიქონიდან მოყოლებული დასასრულამდე ეს ქმნალება მოჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენს შეითხველებზე, მარტო იძირომ კი არა, რომ მისი ლექსი უზადოა, რომ მისი რითმა სიმდიდრითა და მუსიკალობით სწორუპოვარია, რომ მისი შედარებანი ისეთივე მარჯვე, მოხდენილი და ლამაზია, როგორიც თვით საქართველოს ბუნება, არამედ იმითაც, რომ თავიდან ბოლომდე, მთელი ნაწარმოები მარტო სიყვარულის გრძნობით-კი არ არის გამსჭვალული, როგორც ეს ჩვეულებრივ რომანებში და პოემებში იყო ხოლმე, არამედ იქ თვით შეისანიცა და მისი გმირებიც დიდ საზოგადოებრივსა და სოციალურ პრობლემებსაც დასტრიციალებენ.

შოთას უკვდავ თხზულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, რანდისული სიყვარული და ძმათნაფიცობაა შექებული, ეროვნებისძა მიუხედავად. მისი მოქმედი პირები მხოლოდ ეგოისტური გრძნობით გატაცებული და მარტო თავიანთ ბეღნიერებაზე მზრუნველი ჩვეულებრივი არ-

სებანი არ არიან; ჩვენი მგოსნის ქალებიც-კი ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით დაჯილდოებულ გმირებს წარმოადგენენ: მათი მოქმედება მარტო პირადი ბეჭნერების წადილით არ არის ნაკარნახევი, არამედ უკიდურეს განსაცელის დროსაც-კი მათ თავიანთი სამშობლოს ბეჭნირება არ აფიშულდებათ, რაზედაც ზრუნვა მათ პირად ბეჭნერებაზე მეტად აწუხებდათ. ამ მხრივ იძღროინდელ მხატვრულ მწერლობაში შოთას ქმნილება ობოლ მარგალიტს წარმოადგენს.

სწორედ საზოგადოებრივი და სოციალური ჰანგებით, ადამიანის ბუნების ფსიქიკის ცვიათი ცოდნითა და ფილოსოფიური სიბრძნით უხვად დაყურსვილობა ანიჭებს „ვეფხისტყაოსანს“ არაჩეულებრივს მომხიბელელობას. ეს უკვდავი პოემა სამი ძირითადი პრობლემის გასაშუქებლად არის დაწერილი: ქალისადმი რაინდული სიყვარული, გმირული თავგანწირულების მშენებერება და ეროვნებისა და საჩქმუნოებისდა მცუხედავად ძმადაფიცობის მომხიბლავი სილამაზე. ყველა ამან „ვეფხისტყაოსანი“ შოთას თანამედროვეთათვისაც უებრი თხზულებად აქცია და შემჯეგში ქართულ მწერლობისათვის ღლევანდლამდის იგი სწორუპოვარ პაგალითად დარჩა: ვერც ხნიერებამ, ვერც მსოფლმხედველობის თვალსაჩინოდ შეცვლამ შოთა რუსთაველსა და მის ქმნილებას გვნიალობისა და უკვდავების შარავანდელი ვერ დაუჩრდილა, იგი ყველასათვის ისეც ჭინანდებურად ბრწყინავს და, მომხიბდელელია.

ქართულ მხატვრულ მწერლობას გვერდს ხელოვნების სხვა დარგებიც უშევენებდნენ. შესაძლებელია ითქვას, რომ ხელოვნების არც ერთი დარგი არ მოიპოვება, რომელშიც ამ ხანაში საუცხოვო ძეგლები არ ყოფილიყოს შექმნილი: ხუროთმოძღვრებამაც, მონუმენტური კედლის მხატვრობამაც და ხელნაწერების შესამკობად განკუთვნილმა მინიატურებმა, ჭედვითმა ხელოვნებამ, თუ მინანქრებმა, მუსიკამაც-კი ბევრი პირველშარისხოვანი ნაწარმოები და ქმნილება შესძინა საქართველოს.

საკმარისია დასხელებული ცყოს ისეთი დიდებული ძეგლები, როგორიც არის უბისის, ყინულის, გელათის კედლის მხატვრობა და მოზაიკა, ანდა, როგორიც ჯარუქის ოთხთავია, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებათა, ხახულისა და ანქისხატების მოჭედილობაა, ისევე, როგორც ბეჭა და ბეჭენე თ პ ი ზ ა რ ე ბ ი ს განმაცვითრებელი ოქროშექანდაცებულობის ხელოვნების სხვა ქმნილებაც.

აღსანიშნავია აგრეთვე ქართული მუსიკის ამავე ხანაში დიდი დაწინაურებაც: მრავალხმიანობის გაჩენასა და განვითარებასთან ერთად, საკომპოზიციო ხელოვნება ცალკე დარღვად გამოიყო ისე, რომ ამ დროს საგალობლების სიტყვებისა და პანგის შემთხვევლი საქართველოში სხვადასხვა პირები იყვნენ. მაშინდელი ქართველი კომპოზიტორებისაგან შეთხმული პანგები საგალობლო ნიშნებით შემცულს ფოლიანტებში იყო დაცული, რომელთაგან ღლევანდლამდის ზოგი გადარჩენილია.

ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის იმდენად ბევრი ნაგებობა არსებობდა იმ დროს, რომელთა შშვენიერება ადამიანის ყურადღებას უნდღევთ იპყრობს, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელიც-კია: იყორთის, სამ-  
თავროს,



ქართული ხალხური ორნამენტი სტან  
(მერხი, ქსნის ხეობიდან).

ეკონომიკა. იყო, თუ გონებრივი და მატერიალური კულტურა.

მაშინდელი საქართველოს ძლიერების მთავარ საფუძველს სწორედ ეს

ბერთობნის, ბეთა-  
ნისა და სხვა ტაძრები ამ დი-  
დი ხელოვნების მრავალმეტყვე-  
ლი მოწმენი არიან, იმისდა  
მიუხედავად, რომ თითოეული  
მათგანი საუკუნეთა განმავ-  
ლობაში ძალზე დაზიანდა და  
წინანდელი ბრწყინვალებიდან  
ბევრი რამ უკვე დაკარგული  
აქვთ. მაგრამ იმ მაღალი დო-  
ნის გასათვალისწინებლად,  
რომელსაც ამ დროს ქართულ-  
მა ხუროთმოძღვრებამ მიაღ-  
წია, კიდევ ერთის დასხელუ-  
ბა საქართვისია: მარტო მთლიად  
კლდეში გამოკვეთილი ვარ-  
ძიის მონასტერებიც, მრავალი სენაკებითა და საუც-  
ხოვოდ მოხატული ეკლესით-  
ურთ, დაანახვებს ადამიანს თუ  
რამდენად ძლიერი იყო ხე-  
ლოვნების ეს დარგი მაშინ-  
დელს საქართველოში.

ამრიგად ქართველი ხალხის  
კულტურის განვითარებისა და  
დიდი წარმატების ის საფე-  
ხური, რომელიც მან მეთორ-  
მეტე საუკუნეში განვლო, თა-  
ნასწორი სიძლიერით არის  
განსახიერებული ცხოვრებისა  
და შემოქმედების ყოველ  
სფეროში, პოლიტიკური და  
სახელმწიფო ბრივი წყობრ-  
ება იყო, თუ სოციალური  
პრობლემების ძიება-გადჭრა,  
კულტურა.

თანასწორი განვითარება და წარმატება წარმოადგენდა: ამან შეაძლებინა ქართველ ხალხს მომდევნო საუკუნეებში დატრიალებული დიდი პოლიტიკური და ყოველგვარი სხვადასსვა თავსდამტყდარი უზედურება და განსაცდელი ისე ეტანა, რომ სამი საუკუნის განმავლობაში მრავალგვარი დაბრკოლებისა და მრავალგვარი ხიფათისდა მრუხედავად საქართველომ მაინც სახელმწიფოებრივობა და მთლიანობა შეინარჩუნა.

მაშინდელს საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა ეკონომიკურ პრობლემებს შესრულებილი. უკვე დაგიიღო აღმაშენებელი მიმოსვლისა და სავაჭრო გზების გაუმჯობესებაზე ზრუნვადა: ძნელად სავალი გზები გაასწორებინა და ქვაფენილჰყვენა, მდინარეებზედაც სათანადო ადგილას ხიდები ააგო. ერთი ნაგებობის ნაშთი ბესლების ხიდი დღევანდლამდისაც დაცულია.

თამარმა ჯავახეობისა და მთელი მესხეთის საქართველოს შუაგულთან, დედაქალაქ თბილისთან, მჭიდროდ დასაკავშირებლად, რაღვან მესხეთი საქართველოსთვის მარცვლეულის მარაგის ნამდვილს ბელელს წარმოადგენდა და მესაქონლეობისათვისაც აუცილებელი საუცხოვო საზაფხულო საძოვრების მქონებელი იყო, პირდაპირი უმოკლესია გზა გააყვანინა თრიალეთზე. ამასთანავე გაღმოსავლის იქ-აქეთ საქარავნო ფუნდუკები (სასტუმროები) ამენებინა, რომ ქარბუქისა და ზამთარში თოვლის ნამჟერის დროს მგზავრებსა და ქარავნებს იქ თავის შეფარება და საჭმელ-საშელისა და პირუტყვისათვის საკვების შოვნა შესძლებოდათ.

XII საუკუნეში საქართველოში მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით და მეურნეობის გაინტენსივების მიზნით საქართველოს მთავრობამ, თამარის ბრძანებით, ორი დღი სარწყავი არხი გაიყვანა: ერთ მათგანს, ალაზნის არხს, 119 კილომეტრი სიგრძე ჰქონდა და 53.000 ჰექტარ მიწას რწყავდა; მეორე სამგორის არხს 20 კილომეტრი ჰქონდა სიგრძე.

ამავე ხანაში წყალსადენების გაყვანასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მაგ. 1202 წ. ანტონ მწიგნობართუსუცესმა შიომღვიმის უდაბნოს სხალტბიდან 7 კილომეტრის სიშორიდან, ქედს იქიდან, წყალსადენი გაუყვანა, რომელიც ამ სავანეს დღელამეში 243.000 ლიტრს წყაროს წყალს აწვდიდა. როგორც არხები ისევე წყალსადენი მაშინდელი ქართული ჰიდროტექნიკური ცოდნის მაღალი დონის დამამტკიცებელია.

დაწინაურებულს სასოფლო მეურნეობასა და მესაქონლეობასთან ერთად, საქართველოს ამ ხანაში ალებრიცე მობაც, როგორც შიგნითი, ისევე საგარეოც განვითარებული ჰქონდა. ქართველ სოფიაგრებს მაშინ ისეთ შორეულ ქვეყნებთან ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა, როგორიც ეგვიპტე იყო სამხრეთით და რუსეთი ჩრდილოეთით. საექსპორტო ვაჭრობა ფართოდ იყო გაფრცელებული. ეგვიპტიდან, ალექსანდრიიდან, მაგ., საუკეთესო ღირსების მატყლი მოქმედდათ. თვით საქართველოდან, გოგრაფ ზაქარია ყაზვინის ცნობით, ბამბა, მალემსრბოლი

ცხენები და ჯორები, საუკეთესო ხარისხის მატყლი, აბრეშუმი, ტანისა-მოსი, ხალჩები, ქურქები, სინდიკი (ვერცხლის წყალი) და სხ. გავჭონ-დათ. იტალიელ მოგზაურების სიტყვით, საქართველოს საექსპორტო ვაჭრობის ერთ-ერთ საგანთავანს საუცხოვო ოქროქსოვილებიც შეაღ-გენდა. ნავთიც-კი მიპქონდათ აქლემებითა და გემებით საქართველოს სახელმწიფოდან.

საქართველო, თავისი ინტენსიური მეურნეობისა და ფართო აღებმი-ცემობის წყალობით, ფ ი ნ ა ნ ს ი უ რ ა დ მ დ . ი დ ა რ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ი ყ ა . სპარსელი გეოგრაფის ამდალაქ ყაზვინის ცნობით, საკუთრივ სა-ქართველოს (უყმადნაფიცო ქვეყნებოდ) ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს ფულადი შემოსავალი 3.750.000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამა-ვე სანაში-კი მცირე აზის შემოსავალიც-კი 2.475.000 მან., არაბეთის ურაყის 2.250.000 მან. და ფარსის 2.153.460 მან. შეადგენდა მხოლოდ. დას. ეფროპის ქვეყნებიდანაც, ზომბარტით, ინგლისის. მეფის შე-მოსავალი 1300 წელს 4.000.000 ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთის 1311 წელს 3.000.000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავ-ლის ზემოაღნიშნული შემოსავლის თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა. ამას გარდა მას საულადად დაწესებული გადასახადების შემო-სავალიც ჰქონდა. მხოლოდ სწორედ ასეთმა ეკონომიკურმა კეთილდღეობამ მისცა საშუალება საქართველოს და ხალხს აეტანა ის საშინელი პოლიტი-კური და ეკონომიკური განსაცდელი, რომელიც მას XIII საუკუნეში და-ატყდა თავს, მეტადრე მონლოლთა ბატონობის ხანიდან მოყოლებულა

## გიორგი IV დაშვილი (1213 — 1222) და მონღოლთა პირველი გამოჩენა

12 წლისა იყო გიორგი-ლაშა, როდესაც, მამის სიკვდილის შემდგომ, მისმა დედმით თამარმა თნამოსაყდრედ დაისვა. რასაკვირველია, ამ დროს მას ჯერ საშუალება არ ექმნებოდა მართვა-გამგეობის რთულ ხელოვნებაში გაწრთვნილიყო. 20 წლის შეიქმნა ის, როდესაც მისი სახელოვანი დედა გარდაცვალა და ბედმა ამ ჭაბუქ მეფეს 1213 წელს საქართველოს საჭირობულობა არგუნა.

საქართველოს სწრაფი პოლიტიკური ზრდის გამო, თამარის მემკვიდრეობის ფრიად პასუსსაგები მოვალეობა უნდა დაწოლოდა: სხვასაც ყველა-ფერსაც რომ თავი დავანებოთ, მრავალ ახალ შემოერთებულ ქვეყანას ხომ მომტკიცება და სახელმწიფოებრივი მოწყობა სჭირდებოდა. ეს მხოლოდ მიზანშეწონილი, კეილმორსუნე სახელმწიფოებრივი მოღვაწეობითა და შორსგამშეკრეტელი სოციალური პოლიტიკით იყო შესაძლებელი. ქვეყნის მმართველს ამ რთული მოვალეობის ასასრულებლად დავით აღმაშენებლის ნებისყოფა და სიბრძნე და თამარის შორსგამშეკრეტელობა უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, გიორგი-ლაშას, პირად მიმზიდველ თვისებებით, — რაინდული სულისკვეთებით, სიმამაცითა და თავისუფალი იზრუნებით დაჯილდოვებულობისდა მცხელავად, ვითარცა დედისერთა განებივრებულს შეიღის, უინიანი ადამიანის ხასიათი ჰქონდა, თვითნება და ჯიუტი ადამიანი იყო. მოსს აჩეკარებულ ხასიათს ქვეყანა არაერთხელ რთულ მდგომარეობაში ჩაუგდია.

მას შემდგომ, რაც სამეფო ტახტზე თამარის მაგიერ ჭაბუქი მეფე აღმოჩნდა, მეზობლებმა გადასწყვიტეს, რომ დადგა ღრმო, როდესაც მათ საქართველოს ყმაღნაფიცობისაგან განთავისუფლების საშუალება მცეცე-მოდათ. პირველი ასეთი მაგალითი სხვებს განდის ათა ბა გ მ ა მისცა: ის საქართველოს განუდგა, ხარკის ძლევაზე უარი განაცხადა და დამოუკიდებლობის აღდგენა მოისურვა. გიორგი-ლაშამ საქართველოს მთავრობასთან ერთად გადასწყვიტა, რომ ასეთი მცდელობისათვის დაუყოვნებლივ წინააღმდეგობა გუწია, რომ სხვებსაც ამ მაგალითისათვის არ მიებაძათ. სასწრაფოდ შეკრებილი ჯარითურთ ითანა ათაბაგის შეთაურობით გიორგი-ლაშაც პირადად განძის ათაბაგის წინააღმდეგ გუმ-გზავრა.

ამ ამბის გაგებისთანავე ათაბაგმა უბრძოლველად ქ. განძამდე დაიხია და წინააღმდეგობის გაშევა მხოლოდ ქალაქზე გადასწყვიტა. საქართველოს მთავარსარდლობამ არჩია, რომ, პირდაპირი იერიშის მატანის მაგივრად, ქალაქი განძა და განძის ათაბაგი გარემოცვით აეძულებინა, რომ დამორჩილებულიყო. გარემოცვის წესით, განძის აღებისათვეს, რასაკვირველია, უფრო ხანგრძლივი დრო იყო საჭირო, ვიდრე პირდაპირი იერიშის მიტანისათვის. გიორგი-ლაშას იმპულსიური ხასიათი-კი ასეთი ბრძოლის წესს ძნელად ურიგდებოდა და, როდესაც მთავარსარდლის დაყოლიება მან ვერ მოახერხა, რომ ბრძოლა იერიშის მიტანით გადაწყვეტილიყო, მან, განძის გარსშემოსავლელად და პირდაპირი იერიშის საქმის გადასაწყვეტად, მთავარსარდლის დაუკითხავადა და უცნობელადაც-კი თვესი ჯარის ნაწილდან ოთხი ათასი მებრძოლი წაიყვანა.

მეფისაგან ასეთი მცირერიცხოვნი ნაწილითურთ სამხედრო მოქმედების დაწყება განძის ათაბაგს არ გამოჰქმარება და იმ დროს, როდესაც გორგო-ლაშა თავის ჯარითურთ უკვე ქალაქს უკან იყო მოქცეული, მოულოდნელად განძის ზღუდის კარგი გაიღო, განძიდან მოლაშერეთა საკმაოდ ღირდი ნაწილი გამოიჭრა და ცხარე ბრძოლა ატყდა. აუცილებელი უბედურების თავიდან აშორება მნიშვნელოვნებისა და მას თანამებრძოლ სამხედრო მეთაურთა პირადი მამაცობის წყალობით შეიქნა შესაძლებელი. ამ ბრძოლას ორივე მხრიდან დიდია მსხვერპლი შეეწრია. განძელები ასეთს მედგარს წინააღმდეგობას არ მოელოდნენ, ამიტომაც შედრენენ და უკან დაიხიეს. მაგრამ გიორგი-ლაშას რაზმიც უკვე იმდენად შეთხელებული იყო, რომ მას დადევნება აღარ შეეძლო და განძაში შეჭრაც ვერ მოახერხა. ამრიგად, ჭაბუკ მეფის მიერ დასახული ამოცანა მცულწეველი დარჩა.

საქართველოს ჯარის მხედართმთავარი ივანე ათაბაგი შეშფოთდა, როდესაც გაიგო, რომ მეფე ოთხი ათასი ჯარისკაცითურთ უცნობელად საომრად წასულიყო. მოსალოდნელი განსაცდელის თავითგან ასაცილებლად, ივანე ათაბაგი საქართველოს ჯარითურთ მისაშველებლად დაიძრა და იმ დროს, როდესაც უკვე შუა გზაზე იყო, უკან მომავალი გიორგი-ლაშა და მისი ძალზე შეთხელებული რაზმი შეხვდა. ათაბაგმა მეფეს ცხარე საკუველური გამოუცხადა, რომ ქართული სამხედრო საგარეოლის დარღვევით, მან, მთავარსარდლის უცნობელად, ბრძოლა დაიწყო. ივანე ათაბაგმა და სხვა მხედართმთავარებმა მეფეს განუცხადეს, რომ თუ მოშვევალში კიდევ ასეთი რამ მოხდებოდა, ისინი სამსახურსაც თავს დაანებებენ და სამეფო დარბაზსაც ჩამოვარდნებიან. ისტორიკოსი მოვითქმას, რომ ჭაბუკი მეფე გულწრფელად შეწუხდა, ცხენდან ჩამოხტა და ბოლიში მოიხადა მთავარსარდლის წინაშე.

ბოლოსდაბოლოს მაინც მთავარსარდლობის მიერ არჩეული წესი უფრო სამართლიანი ვამოდგა. გარემოცვამ განძელები ქალაქმი ისეთ განსაცდელში ჩააგდო, იქ ისეთი შიმშილობა ჩამოვარდა, რომ განძის ათაბაგი,

სტულებული განდა, საქართველოს მთავრობისათვის შენდობა ეთხოვა და ზავის პირობები განეახლებინა. გიორგი-ლაშამ ეს საკითხი სამხედრო საბჭოს გადასცა, რომელმაც განძის ათაბაგის ვეღრების შეწყნარება შესაძლებლად სცნო. დიდაბლი ძლვენის მირთმევის შემდგომ, ყმაღნაფიცობის აღთქმის დადების მერჩე და ყოველწლიური ხარჯის ხედრის გადაცემის უმაღლ, საქმე მოგვარებულად იყო მიჩნეული და საქართველოს ჯარი იქიდან შინ დაბრუნდა.

ეს ყმაღნაფიცობა უჩჩნდის მხოლოდ პირველი შემთხვევა იყო: საქართველოს სამხერეთის და სამხერეთ დასავლეთის მეზობლებმაც სცადეს თავიანთი დამოუკიდებლობის აღდგენა და ყმაღნაფიცობისაგან განთავისუფლება. ამიტომ 1219 წელს გიორგი-ლაშასა და საქართველოს მხედრობას სამხერეთითა და სამხერეთ-დასავლეთის სანაპიროებისაენ გალაშქრებაც მოუხდათ ოროტნისა და სხვა იმ ციხეების ასაღებად ნახცევანამდის, რომელთა დამორჩილება იყო საჭირო. ეს მოხერხდა კიდეც. შემდეგ ხლათის სულტნის ყმაღნაფიცობის აღდგენაც საჭირო გახდა და კარნუ-ქალაქის წინანდებურად მომტკიცებაც მოხერხდა.

ამრიგად, საქართველოს, როგორც აღმოსავლეთით, ისე სამხერეთ-დასავლეთით მდებარე ყველა ყმაღნაფიცა სამფლობელოებმა იგრძნეს, რომ, მეფის სიჭაბუკისდა მიუხედავად, საქართველოს მოპოვებული სამფლობელოს დაცვის უნარი მაინც შენარჩუნებული ჰქონდა.

ყველა საზღვარზე, ამგვარად, მშეიძობიანობა დამყარდა. სწორედ ამ დროს დასავლეთ ევროპიდან გიორგი-ლაშას რომის პაპის ჰონი რიც ს ის ეპისტოლე მოუვიდა, რომლითაც ის სთხოვდა, რომ მისი მეთაურობით ევროპელ ქრისტიან სახელმწიფოთავან განზრახულს ჯვაროსანთა ოში საქართველოსაც თავის ჯარითურთ მიელო მონაწილეობა. რომის პაპს უნდოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო ძალას თავისი მონაწილეობით ევროპელ ჯვაროსანთავის მაშმაღიანთა წინააღმდეგ პალესტინაში სამხედრო მოქმედება გაეადვილებინა.

გიორგის რაინდულს სულისკვეთებას ასეთი გეგმა კარგა-ეგუებოდა და მანაც სიამოვნებით განაცხადა თანხმობა, რაც რომის პაპს აცნობა კიდეც. ის სამზაღლისსაც შეუდგა, მაგრამ მოულოდნელად მთელი ეს გეგმა ჩაეშალა იმის გამო, რომ თვით საქართველოს საზღვარზე გამოჩნდა ახალი, მანამდე სრულებით უცნობი მტერი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა დასჭირდა. ეს მტერი მონლოლები იყვნენ.

მონლოლები, არამც თუ ქართველებისათვის, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთისათვისაც სრულებით უცნობ ეროვნებას წარმოადგენლნენ. ისინა პირველად ჩინვისხმა გააერთიანა, ფართო საისტორიო და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა და, ხვარაზშაჲ მუჰამედის წინააღმდეგ ომის გამო, მონლოლები დამარცხებულს მუჰამედსა და მის შვილს ჯალალედინს დაელევნენ. ლტოლვილი მუჰამედი რომ მოკვდა,

შემდგომ მონლოლები ბრძოლას უკვე მისი გაუიშვილის ჯალალედინის, წინააღმდეგ შეუდგნენ. რამდენჯერმე დამარცხების შემდეგ, ხვარაზმ-შაჲ ჯალალედინმა სცადა, ერანში ფეხი მოეკიდა და თავისი დაუძინებელი მტრებისათვის იქიდან გაცწია წინააღმდეგობა. ჩინგისხანმა მის კვალდაკვალ დასადევნებლად თავისი ოთხი სარდალი მოწინავე ლაშქრი-ტურთ წარმოგზავნა, რომელთაც ამას გარდა აღგილობრივი პირობების, დაზვერვაც დაავალა.

ლორდუილი ჯალალედინის უკან დადევნებულმა მონლოლთა ჯარშა საქართველოს საზღვრებს გიალწია. ჩინგისხანის დავალებით ცნობების შეგროვების შემდგომ, მას უნდა პირი ისევ თავის სამშობლოსაკენ ებ-აზნებინა და ჩრდილოეთს გზით მონლოლეთში მისულიყო. ერანიდან მომავალთ, მათ უნდა დარუბანდის გზით კავკასიონის ქედი გადაელასთ. ასე და ამგვარად მონლოლები 20 ათასი ჯარისკაცითურთ საქართველოს საზღვარს მოადგნენ, უმთავრესად საჭირო საძოვრების საძებნელად ამ ჯარს ჯებე და სუბუდაი მეთაურობდნენ. ეს ისე მოულოდნელად და ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ საქართველოს სანაპირო ჯარმა მხოლოდ მიმავალი მოწინააღმდეგის უკან დადევნება მოასწრო.

გიორგი-ლაშა მაშინვე შეუდგა ლაშქრის შეყრას, მაგრამ, როდესაც ბრძოლაზე მიღდა საქმე, მონლოლებმა ჩინგისხანის მიერ შემოღებული ბრძოლის ხერხი გამოიყენეს, რომლის მიხედვითაც მათი ჯარი ჩვეულებრივ თუ ნაწილად იყოფებოდა ხოლო. ერთი მოწინააღმდეგებს პირისპირ ებრძოდა, მეორე წინასწარ გარკვეულ ადგილას ჩასაფრებული ჰყავდათ და, პირისპირ ბრძოლის დაწყების შემდგომ, გარკვეულ დროს რაზმი განზრას უკან იხევდა და ვითომც მირბოდა იმ ადგილამდე, სადაც მათ ჯარი ჰყავდათ ჩასაფრებული. როდესაც ისინი ამ ადგილს გასცილდებოდნენ, მონლოლთა ჩასაფრებულ - აზმი უნდა უეც-რად ამოცვივნულიყო. განზრას უკან დამსევი მონლოლთა რაზმიც მაშინვე შეჩერდებოდა და ორშეხივ მოქცეულ მოწინააღმდეგებს ბრძოლას აუტეხდა. ამგვარ სამხედრო მოქმედების მოულოდნელობა შუაში მოწყვდებულ მოწინააღმდეგებზე თავისარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენდა. და მონლოლები ამის წყალობით ჩვეულებრივ აღვილად იმარჯვებოდნენ ხოლო.

ამ შემთხვევაშიც საქმე ასევე დატრიალდა. გიორგი-ლაშასი და საქართველოს მხედართმთავრის მეთაურობით მებრძოლი ჯარი და-მარცხდა. მაგრამ მონლოლები მაინც საქართველოს მხედრობას არ დასდევნებიან, არამედ ისევ თავიანთთვის შესაფერისი საძოვრების საძებნელად გაბრუნდნენ.

ერთი წლის შემდგომ მონლოლები მოვიდნენ, მაგრამ ამ დროსათვის, საქართველოს უკვე საკმაო სამხედრო ძალა ჰყავდა თავმოყრილი და, როდესაც მონლოლებმა ქართველთა ჯარის მზადება გაიგეს, საქართვე-

ლოს უბრძოლელად გაეცალნენ, მთები გადალაზეს და თავიაწმობდნენ ჩემის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

საქართველოს მთავრობას ეს ბრძოლა შემთხვევითი მოვლენა ეგონა და იძლენადაც-კი არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, რომ სწორედ ამ, 1220 წელს, მემატიანეს, რომელსაც ეს ამბავი აქვს მოთხოვნილი, საქართველოში შემსული ამ ხალხის სახელი არც-კი აქვს აღნიშნული. სამი წლის შემდგომაც, როცა რუსულან მეფე და ივანე ათაბაგი რომის პაპს სწორდნენ, ამ ამბის გარემოებას ასე ატყობინებდნენ: მონღოლები ჩვენ კარგი ქრისტიანები გვეგონა და ამიტომ მათ საწინააღმდეგოდ ბრძოლისათვის არ მოვმზადებულვართ, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ისინი ცუდი ქრისტიანები ყოფილანო კარგად ცნობილია, რომ მონღოლებს ქრისტიანებთან არაფერი საერთო არ ჰქონდათ, რომ ისინი წარმართო შამანები იყვნენ. აქედან ჩანს, თუ რამდენად მცდარი წარმოდგენა ჰქონიათ ამ ახალ მტერზე და რამდენად ეჭვი არ შეჰქარვიათ, რომ ამ ხალხის გამოჩენით მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში სრულებრივ ახალი, მრავალგვარი განსაცდელითა და უბედურებით სავსე, ზანა იწყებოდა.

გიორგი-ლაშა, მონღოლების გაცლის შემდგომ, თავისი დის რუსულების გათხოვების საკითხით იყო გართული. 1222 წელს ის მოვაკენში გაემგზავრა შირვან-შაჰზე თავისი დის დასანიშნავად, და აქ ამ საქმის ზოწყობაში გართული ის მოულოდნელად ავად გახდა და ამავე წელს 18 იანვარს გარდაიცვალა, როგორც ჩანს ჭრილობისაგან, რომელიც მას მონღოლებთან შეტაცების დროს უნდა ჰქონდა მიღებული.

გიორგი-ლაშა თავისუფალი აზროვნებისა და დამოუკიდებელი შეხედულების და ქცევის მიმღებარი აღამინი იყო, გასართობის მოყვარულიც, სუფიების მოძღვრების თაყვანის მცემელიც. მას თავის ხანმოქლე სიცოცხლის განმავლობაში ცოლი არ შეურთავს, უყვარდა ერთი ველისციხელი მანდილოსანი, რომელიც სხვაზე იყო გათხოვილი და რომლისაგანაც მას შვილი შეეძინა, დავითად წოდებული. სამღვდელოებამ გაორგი-ლაშა თავისი გულის სატრფოს დაშორა და ქმარს დაუბრუნა, მაგრამ მას ამის შემდგომაც ცოლი არ შეურთავს. და სატრფოსათვის არ უღალატნია.

გიორგი-ლაშამ ისეთ დროს გამოიჩინა უდარდელობა, როდესაც სახელმწიფოებრივი მისი მოვალეობა დაძაბულ მოღვაწეობასა და ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველობას თხოულობდა. მარტო ის გარემოება-კი არ იყო გამაფრთხილებელი, რომ საქართველოს საზღვრზე მანამდე სრულებით უცნობი ახალი მტერი გამოჩნდა, არამედ ამ ღრივისათვის უკვე 1218 წელს ცხადი საგრძნობი შეიქმნა ჯერჯერობით გამოურჩეველი მიზეზების გამო ამტყდარი, ეკონომური კრიზისს დასაწყისიც: ფასები გაზრდილა და ცხოვრება განხელებულა, ყველგან ასეთი მდგომარეობა იყო საქართველოში, თუ არა, ამის შესახებ ჯერ და-

ნამდვილებით ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ სამხრეთის სანახებში, კერძოდ ქალაქ ანისში რომ ასეთი გაჭირვება ყოფილა, ამის შესახებ იმ-დროინდელს ძეგლშიც გვაქვს ცნობები დაცული.

თასების ზრდასა და ცხოვრების გაძირებასთან დაკავშირებით, ანისის მართლმადიდებელ სამღვდელოებას ქართველ და სომებს ქალკედონიან მრევლისათვის წესების ასრულებისათვის განკუთვნილი გასამრჯელო იმდენად გაუდიდებია, რომ ამ ნიადაგზე მრევლსა და სამღვდელოებას შორის დიდი უთანხმოვა ჩამოვარდნილა. მრევლს უარი განუ-ცხადებია ასეთი დიდი გასამრჯელოს მიცემაზე, ხოლო სამღვდელოებას ამის საპასუხოდ წესების ასრულებაზე უთქვამს უარი. ასეთ გამწვავებულ დამოკიდებულებაში მრევლშიც აღმოჩენილან ისეთი პირები, რომლებმაც ეკლესიაში სიარულისათვის თავი დაუნებებიათ. ატეხილი შულლი იმდენად გამწვავებულა, რომ ამ საქმის მოსაწესრიგებლად თვითონ ქართული ეკლესის საჭირობელის კათალიკოს-პატრიარქის ჩარევა გახდა აუცილებელი.

1218 წელს ეტვიფანე ქართლისა კათალიკოსი, იმის მომიზეზებით, რომ ანისში ახლად აგებული ეკლესია უნდა ყოფილიყო ნაკურთხი, ანისში ჩავიდა და ცს საქმე გაარჩია. მან მოისმინა როგორც მრევლის, ისევე სამღვდელოების ჩივილი და ურთიერთი ბრალდება. საქმის გაცნობის შემდგომ, კათალიკოსმა ასეთი მსჯავრი დასდო: მრევლს მხარი დაუჭირა და გასამრჯელოს გადიდება მოჰარბებულად სცნო. იმდროინ-დელი ეკონომიური პირობებისადა მიხედვით, მან შესაძლებლად დაინახა, რომ ის ნიხრი, რომლის შემოლებასაც ანისის ქართული სამღვდელოება მოითხოვდა, ერთ მესამედად შემცირებული ყოფილიყო. ამრიგად აქ, ეკონომიურ ნიადაგზე, მრევლსა და სამღვდელოებას შორის აღმოცენებული ბრძოლის სურათი გვაქვს, მაგრამ 1218 წელს ამ ბრძოლის მხოლოდ დასაწყისი იყო. როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ამ ნიადაგზე ატეხილ ბრძოლას კვლავ უფეოქია და თანდათანობით უფრო და უფრო გაძლიერებულა კიდეც.

### ჩუსულან მეუვე (1222 — 1248)

ჯალალედინის შემოსვა საქართველოში და მონღოლთა  
ბატონობის დამზარება

როდესაც 1222 წელს გიორგი-ლაშა მოულოდნელად გარდაიცვალა, საქართველოს სამეფო ტახტზე ასაყვანი პიროვნების საკითხი კვლავ ქალის უფლება-მოსილობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამ შემთხვევაში საქმე უფრო იმის გამო იყო გართულებული, რომ ლაშა-კორების გაუიშვილი დარჩა, და ვითა დ წოდებული. მაგრამ, ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, უკანონო შვილს თავისი მამის მემკვიდრეობის უფლება არ ჰქონდა და თავისი მამის სოციალურ ფენაზე.

უფრო დაბალი საფეხური ეცავა ხოლმე. ამიტომაც დაჭითი საქართველოს მემკვიდრედ არც თითონ გიორგი-ლაშას პყვლია სიკვდილის წინ მიჩნეული, არც სხვას ვისმე მოსვლია ფიქრად, რომ რუსუდანის მაგიერი ის შეიძლებოდა ყოფილიყო აყვანილი.

ამგვარად, საქართველოს სამეფო ტახტი ისევ ქალმა დაიყავა. რუსუდანის გამეფებით საქართველოსათვის ახალი არაფერი არ მომხდარა: თამარის შემდგომ სამეფო ტახტზე ქალის მეფობის შესაძლებლობა არავის გააკვირვებდა, მაგრამ, სამწუხაოდ, რუსუდანი თამარი არ იყო. სილამაზის გარდა, როგორც ჩანს, მას თავისი დედის სხვა თვისებები არ ჰქონია დამკვიდრებული. ამის გამოც ის იმდროინდელი რთული და პასუხსაგები პოლიტიკური საგარეო და შინაური მდგომარეობისათვის შესაფერის მმართველად ვერ გამოდგა.

რაკი 1222 წელს ბეღმა რუსუდანს საქართველოში მეფობის ხელი-სუფლება არგუნა, ცხადია, რომ შირვანშაჲი ყმაღნაფიცი იყო და უხერხული იყო, რომ ყმაღნაფიცი საქართველოს სამეფო ტახტზე ყოფილიყო მეფესთან ერთად. ამიტომ საქართველოს სამეფოს მესვეურებმა გადასწყვიტეს, რომ მის მაგიერ რუსუდანისათვის 1223 წელს არზრუმის მფლობელის შვილი შულის დინის მოეყვნათ, რომელსაც, პირად სილამაზესთან ერთად, საქართველოს მთავრობის თვალსაზრისით ის ღირსებაც აღმოჩნდა, რომ მან გაქრისტიანება იყისრა, ოღონდ-კი საქართველოს მეფის რუსუდანის ქმრობის ღრასი გამხდარიყო.

შისგან რუსუდანს უფროსი ქალიშვილი თამარი და შემდეგ ვაჟი-შვილი დავითი შეეძინა, რომელსაც მერმე და ვით ნარინი ეწოდა.

1222 წლიდან მოყოლებული 1225 წლამდის საქართველო წვრილ-წვრილ ომებში იყო გართული. საქართველოს მთავრობის მაშინდელ მესვეურებს ივანე ათაბაგის მეთაურობით, როგორც ჩანს, იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის სერიოზულობა სრულებით შეგნებული არ ჰქონდათ: ის, რაც ხვარაზმშა მუჰამედს დაემართა, მათთვის გაძაფრთხილებელ გარემოებად ვერ გამოდგა და როდესაც ხვარაზმშა მუჰამედმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლის დროსვე განიჩრახა, ერანის აზერბაიჯანი თავისი გავლენის ქვეშ მოქეცია და მისი დაცვა თავის მოვალეობად დაესახა, მუჰამედის ამ მოქმედებამ საქართველოს მთავრობის პოლიტიკური სიფხიზლე ვერ გააძლიერა.

როდესაც მამის სიკვდილის შემდგომ მუჰამედის შვილმა ჯალალე-დინმა ერანში გამაგრება სცადა და მაჰმადიანთა მფარველობა იყისრა, მან რუსუდანს და საქართველოს მთავრობას მუქარითა და ქადილით სავსე წერილი გამოიუგზავნა და ნებაყოფლობით დამორჩილება მოსოხოვა. მან კლობელ აღმოსავლეთში მდებარე მაჰმადიანთა სამფლობელოების უფროსებს მან შემოუთვალა: დადგა დრო, როდესაც ქართველთა მძლავრობას ბოლო მოელება და მაჰმადიანობა წინანდებურად გამარ-

ჯებული იქნებათ. ჩემს მიზანს მხოლოდ ეს შეაღენს, მას შემდგომ, რაც საქართველოს ქედს მოგახრევინებ და მაკმაღლანობის გამარჯვებას უზრუნველყოფ, კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულებას დავამყარებ თქვენ ყველასთანათ. ამ მფლობელებს გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ ეს მართლაც მისი ნამდვილი გულისნადები და გულწრფელი განსრატეა იყო, მაგრამ შემდგვში დარწმუნდნენ, რომ ძალზე მოტყუფდნენ.

ჯალალედინის მუქარაბ საქართველოს მმართველ წრებში მედიდური დამოკიდებულება გამოიწვია და მას ასეთი დამცინავი პასუხი გაუგზავნეს: მამა შენი შენზე უფრო ძლიერი იყო, სწერდნენ ისინი, მაგრამ მონლოლებისაგან მას რაც დაემართა, ეს შენ კარგად გუცოდინება; იგივე, მონლოლები საქართველოს საზღვრებს მოადგნენ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. ამ პასუხიდან ჩანს, რომ საქართველოს მთავრობის მესკეურთ პოლიტიკურ საქმეთა იძლრინიდეს მიმდინარეობაზე მაშინ\*სრულებით მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ და მონლოლთა მეთაურის ჩინგისანის მიერ გამოგზავნილი მოწინავე რაზმის მოქმედება შეცდომით მონლოლთა მთავარი ძალის ლაშქრობად ჰქონდათ მიჩნეული, მათი ნებაყოფლობით წასვლაც თავიათ გმარჯვებად და მონლოლთა დამარტინებად მოსჩვენებით. ასეთ პირობებში ადვილი გასაგებია, რომ საქართველოს მთავრობის სათავეში მდგომი სამხედრო პირები ჯეროვნი სიფაზიზლით ვერ მოეკიდებოდნენ იმ საშიშროებას, რომელიც ქვეყანის მოელოდა, როგორც ჯალალედინის ისევე შეტაღრე, რასაკირველია, მონლოლთა შემოსვლისაგან.

საქართველოს მთავრობა მაინც ნებნელა სამხედრო მზადებას შეუდგა. ჯალალედინმა გადასწყიტა, რომ დასწრება სჯობდა და ამიტომ სანამ საქართველ სამხედრო სამზადის დამთავრებდა, 1225 წელს შემოღომას, დიღძალი ჯარითურთ საქართველოს საზღვრები გაღმოლასა და დვინის სანახების აოხრება დაიწყო. დვინის სანახების აოხრების ამბავს საქართველოს მთავრობა, უკველია, უკვე უნდა შეფიქრიანებია, მაგრამ ჯალალედინი ისეთი სისწრაფით მოქმედებდა, რომ ჯერ კიდევ ჯარის შესაფერისი რაოდენობა თავმოყრილი არ იყო საქართველოში, რომ ის დვინის სანახებიდან ჩრდილოუთის მიმართულებით დაიძრა და ცნობილს. ციხე-ქალაქეს, მაღალ კლდეზე მდებარე გარნი ს მიადგა.

დვინის აღება ჯალალედინს იმიტომ არ უცდია, რომ მან გადასწყიტა, რომ დასწრება სჯობდა, სანამ საქართველოს ჯარი შესაფერისად მიმშადებული მისთვის წინააღმდეგობის გაწევს მოახერხებდა. გარნისის თავზე მას საქართველოს ჯარი დახვდა, ქვევით ჯალალედინი იდგა თავისი ლაშქრითურთ, მწვერვალზე საქართველოს ჯარი იყო ბორბა. ქსრთველები მეშველი ჯარის მოლოდინში ბრძოლის დაწყებას არ პირებდნენ, ამისდა მიუხედავად ხვარაზმშავმა გადასწყიტა, რომ თვითონვე დაეწყო იერიში, სანამ ქართველები წინააღმდეგობის გასწევად საქმაოდ გამაგრდებოდნენ. თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, ჯალა-

კდინმა გარნისთან გაიმარჯვა, საქართველოს ჯარი-კი სასტიკად და-მარცხდა.

გარნისის აღება საქართველოსათვის დიდი მარცხი იყო და შესაძლე-ბელი იყო ადამიანს უფიქრა, რომ ის უმაღ უფრო ხრდილოეთისაკენ ჭამოვიდოდა მაგრამ, რადგან მას დეინი ჯერ კიდევ დაპყრობილი არ ჰქონდა, ამისათვის, გარნისთან სათანადო ლაშქრის ჩაოდენბის დატო-ჟების შემდგომ, დვინის ასაღებად წავიდა. დვინი აიღო კიდევ და ეს მდიდარი ქალაქი თავის ლაშქარს მთლიანად ვაძარუცვინა. შემდგომ მან გადასწყვიტა სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ მარტო სამხრეთიდან-კი არ ეწარმოებინა, არამედ აღმოსავლეთის მხრიდანაც დაეწყო და თავის ლაშქრის ერთი ნაწილი განძის ასაღებად წარგზავნა. შეგვარად ტრთსა და იმავე დროს სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ ორის მიმართულებით წარმოებდა. ჯალალედინს ეს გარე-მოება საშუალებას აღლევდა, რომ საქართველო უფრო მძიმე მდგომა-რეობაში ჩაეყენებინა.

მას შემდგომ, რაც ჯალალედინი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, რუსუ-დანი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, თავისი რეზიდენცია ქუ-თაისში გადაიტანა, ხოლო თბილისში დედაქალაქისა და ციხის დაცვა თბილისის ციხისთავს მანქო.

1225 წელს დეკამეტერში ჯალალედინი თბილისს მოადგა, საქართვე-ლოს მთავარსარდლობას სრული დაბრეულობა ეტყობოდა: ამირსპასა-ლარის ხელმძღვანელობა არსად არა ჩანდა. ამავე დროს ჯალალედინი მარტო სამხედრო საშუალებით-კი არ მოქმედებდა, არამედ ჯაშუშები-სა და მოსყიდულთა საშუალებითაც: 1226 წელს 9 მარტს, თბილისის მაჰმადიანთა მოღალატური მოქმედების წყალობით, როდესაც თბილი-სის ციხისთავი ზურგილი მიპარული მოღალატის მიერ ვერაგულად იქ-ნა მოკლული, ქალაქ თბილისში ჯალალედინის ჯარმა შეჭრა მოახერხა და ქალაქი დაიპყრო.

საქართველოს დედაქალაქში საზარელი, ველური ძარცვა-გლეჯა და ზალხის ელეტა ატყვა ხევარასნელთა ჯარის და ჯალალედინის წყალო-ბით: დაუნდობლად ხოცავდნენ სქესისა, წლოვანებისა და ეროვნებისდა განურჩევლად. თვითონ მაჰმადიანთაც ამ დაწიოკების დროს სანაფუ-რად გაუხდათ რომ ჯალალედინისაგან ასე ბრივებულად მოტყუებულნი დარჩენენ. დამახასიათებელია, რომ მოღალატეთა შორის თბილისში თვი-თონ რუსუდანის ქმარ-ყოფილი, არზრუმის მფლობელის შეილი მული-სედინიც-კი აღმოჩნდა. როდესაც ჯალალედინმა თბილისი ხელში ჩაიგ-დო, ის ხევარაზმაპს წარუდგა და ქრისტიანობა უარყო, ხევარაზმა არზრუმის მმართველის შვილს მაჰმადიანობის ღალატს სიამოგნებით აპატრიებდა, რაკი ის საქართველოს გადაუდგა. და მის ძლევამოსილ მტერს მიემხრო.

ქალაქ თბილისის აღების შემდგომაც, მდგომარეობა სრულებით ისე-

თი უიშედო არ იყო, როგორც საქართველოს დაბნეულ მთავარსარდალს სჩეკენებია. ისნის ციხე ჯალალედინს და მის ჯარს მამაცურად უწევდა წინააღმდეგობას. მეციხოენე ჯარი ციხისთავის მეთაურობით იბრძოდა კიდეც. ამავე დროს ძალიან მეტარი ზამთარი იდგა და ზამთრის სუსხი და ყინება სამხრეთიდან მოსულ ხეარაზმელთა ლაშქარს დარღად აწერებდა. მთავარსარდლობას მაინც გადაუწყეტია, რომ მას შემდგომ, რაც ქალაქი თბილისი ხეარაზმშაპს უკვე ხელში ჩაგდებული ჰქონდა, ისნის ციხითგან წინააღმდეგობის გაწევას ვითომც აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდეს და, უზრო მსხვერპლის გაწევის გარდა, თითქოს არაფერს წარმოადგენდა. ამიტომ ისნის ციხისთავს ბრძანება მოუვიდა, რომ ციხე დაეცალა და მტრისთვის გადაეცა.

თუმცა თბილისის ციხისთავი და მეციხოენენი ამ განკარგულების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მთავრობის ბრძანების ურჩობა უერ გაბედეს და ციხისთავმა ჯალალედინს მოციქული გაუგზავნა შეთანხმებაზე მოსალაპარატებლად. თვითონ ჯალალედინი იმდენად შეწუხებული იყო ზამთრის სიმკაცრით, რომ დათანხმდა, საქართველოს მეციხოენე ჯარი ისნიდან გამოეშვა და უფლება მიეცა მისთვის საქართველოს ჯარს შეერთებოდა. უკვე ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ წინააღმდეგობის გაგრძელების პირობებში შესაძლებელია ჯალალედინს, სიცივისა და ყინვის გამო, თბილისიდან უკან დახევა დასჭირებოდა, მაგრამ მიღებული განკარგულებისა და დადებული შეთანხმების თანახმად, ისნის ციხეც ჯალალედინის ხელში გადავიდა და ამგვარად საქართველოს დედაქალაქი მტერს უკვე მთლიანად ჩაუვარდა ხელში.

თბილისის დაპყრობა ჯალალედინისათვის დიდი გამარჯვება უყო, ამავე დროს საქართველოსათვის ეს დიდ მარცხს წარმოადგენდა, რომლის ანარეკლი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში საგრძნობი უნდა გამხდარიყო: საქართველოს ჯარის უძლეველობის სახელს უკვე დიდი ჩრდილი ჰქონდა მიყენებული.

ამის შემდგომ ჯალალედინმა საქართველოს სხვადასხვა თემებში დამარტეველი ლაშქრის ნაწილები გაგზავნა, მთავარი ბრძოლა-კი 1226 წელს განახლდა. ამ დროსაც საქართველოს სამხედრო ხელისუფლება-სა და შთავარსარდლობას ივანე ათაბეგის მეთაურობით წინადებურად სრული დაქაშულებული მაგიერ, ცალკეული დიდი სამხედრო ხელისუფლები, თანამდებობის პირი, სათითაოდ ციხე-სიმაგრეებში ჩაიყეტნენ და მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევას იქ ლამობდნენ. ბრძოლის ასეთი გეგმა და გამაგრების ცდა, რასაკირველია, ჯალალედინისათვის ფრიად ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენდა; ეს მას უაღრესად უადვილებდა ბრძოლას. ზოგი ანიში, ზოგი კარში შეიხინა და იმ ციხე-ქალაქებში გამაგრება სცადა. ჯალალედინმა თავისი ჯარი ორ ნაწილად გამყო და ამ ორი ციხის გარემოცვა დაიწყო. ასეთ პირობებ-

შიც-კი ჯალალედინმა მაინც ვერც ანისისა და ვერც კარას აღება ვერ მოახერხა. რაფი ამ მხრივ მიზანი მიუღწეველი დაურჩა, მან სამხედრო ცბიერებით თბილისში დაბრუნება ირჩია, მაგრამ გულში-კი ხლატის ჭინალმდეგ გალაშქრება ჰქონდა გადაწყვეტილი.

ხლატი საქართველოს ყმაღნაფიცს სამულობელოს წარმოაღენდა და ხლათელები საქართველოს უჭერდენ მხარს ჯალალედინის წინააღმდეგ თავისი მოქმედება რომ გაეადველებინა, ჯალალედინმა განზრახ არია გზები, თბილისში წამოვიდა, სამზადისი-კი ხლატის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ჰქონდა. შემდეგ თბილისიდან სწრაფად აიყარა და პირდაპირ და მოკლე გზით ხლატის წინააღმდეგ გაიღლაშქრა. მაგრამ ქართველებმა ხლათელებს მოსალოდნელი განსაცდელის ამბავი დროულად აცნობეს. ამის წყალობით მათ საშუალება ჰქონდათ ხეარაზმშაპის ლაშქარს მომზადებული დაპირებროდნენ. მას შემდეგ, რაც მათ გაგონილი ჰქონდათ, რაც დაემართა საქართველოს ყმაღნაფიცს სხვა სამულობელოებსა და თვით თბილისში მყოფ ქრისტინებს და მაპმალინებსაც-კი, ხლათელებმა გადაწყვიტეს ჯალალედინისათვის თავგანწირული წინააღმდეგობა გაეწიათ. ჯალალედინმა ხლატის ხელში ჩაგდება მართლაც ვერაგზით ვერ მოახერხა.

ხეარაზმშაპისა და მისი ლაშქრის თავაშვებულობაშ და ერთი წლის ბატონობამ თბილისელებსაც აუხილა თვალი. ამ მტარვალის მბრძანებლობა და მისი ლაშქრის ძარცვა-გლეჯა თვით თბილისელ მაპმალიანებისათვისაც აუტანელი შეიქმნა. ამიტომ თავრანთი წინანდელი საქციელი მათ სანანურად გაეხადათ და საქართველოს მთავრობას საიდუმლოდ მოციქულები გაუგზავნეს, რომ როგორმე დახმარება გაეწია და თბილისა ჯალალედინის ბატონობისაგან განხთავისუფლებინა. გონს მოვიდა აგრეთვე რუსულანის ქმარყოფილი მულისედინიც. ისიც ხეარაზმშაპის გმოეპარა და საქართველოს მთავრობას თბილისის მდგომარეობისა და იქ დაბანკებული ხეარაზმშაპის ლაშქრის შესახებ საიდუმლო ცნობები მიუტანა.

ყველა ასეთი ცნობების მიღების შემდგომ, საქართველოს მთავრობაშ გადასწყვიტა თბილისის ასალებად ყოველივე ლინისძიება ეხმარა. მართლაც 1226 წელს წარგზავნილმა ქართულმა ჯარმა თბილისი კვლაჭდა იპიპრო.

ამავე დროს საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა, რომ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილს აღმოსავლეთით მდებარე თავის ყმაღნაფიცს სამფლობელოებსაც მიჰველებოდა. შაქში და კაბალაში მყოფი მათ ხეარაზმშაპის მეციონენ რაზმებმა საქართველოს ჯარის მოახლოვების ამბავი გაიგეს თუ არა, მაშინვე უბრძოლველად გაიქცნებ და ორივე ციხე-ქალაქი დასტოვეს.

ხლატში მყოფ ჯალალედინს საშუალება ჰქონდა დაწმუნებულია, რომ მისი ყოველივე ცდა ხლატის ასალებად უნაყოფო გამოღიოდა.

პირიქით, ხლათელებმა მისი ჯარის დამარცხება და უკუგდებაც კი შესძლეს, ამავე დროს თბილისი ხელიდან წაუვდა, შაქი და კაბალაც განთავისუფლებული იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა, ხლათისათვის თვი დაენებებინა და ისევ თბილისში დაბრუნებულიყო. მართლაც, ჯალალედინმა ხლათი მიატოვა და თბილისისაკენ გაემგზავრა. საქართველოს მთავარსარდლობამ გადაწყვიტა წინააღმდეგობა არ გაეწია და 1227 წლის დამლევს, მთავრობის განკარგულებით, თბილისი საქართველოს შეციხოვნებული ჯარმა დასცალა, ხოლო ქალაქი რომ ჯალალედინს ისევ ხელში არ ჩავარდნოდა, გადასწვეს.

ამ დროისათვის საქართველოს ყველა შეზობელს მამადიან სამფლობელოებშიც ჯალალებინისადმი დამოკიდებულება წრულებით შეცვალა: ყველა დარწმუნდა, რომ ხეარაზმაპის საზემო დაპირება და ალთქმა, ვითომც ის მხოლოდ მამადიანობის გასავრცელებლად და გასაბატონებლად იბრძოდა, თვალის ასახვევად გამოყენებული ონები იყო. თოთოეულ მათგანს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ ხეარაზმაპი პატივმოყვარეობითა და ბატონობის სურვილით ხელმძღვანელობდა და მისი მმართველობა და მისი ჯარის მოქმედება ქვეყანას, განადგურებისა და დალუპვის გარდა, არაფერს უქადღა.

ამიტომ რუმის, შამის და ხლათის მფლობელი, შაპარმენი, შეერთდნენ და საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყეს ჯალალებინის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალით ბრძოლის მოსაწყობად. შეთანხმების თანახმად, სამხატვისი დაიწყო, მაგრამ ჯალალებინის ჯაშუშებს საშუალება ჰქონდათ ხეარაზმაპისათვის მოსალოდნელი განსაცდელის შესახებ დროზე ეცნობებინათ. ჯალალედინმა გადაწყვიტა ამ შემთხვევაშიც საქართველოსა და მისი მოკავშირებისათვის დასტრი, სანამ ისინი შესაფერისად მომზადებულნი იქნებოდნენ.

1227 — 28 წ. წ. მიჯნაზე ხეარაზმაპი მთელი თავისი ლაშქრითურთ საქართველოს შემოტანია და ბოლნის თან დიდი ბრძოლა ისეთ დროს მოხდა, როდესაც ჯერ კიდევ მოკავშირეთა შეშველი ჯარის მოსვლა და მოხმარება შეუძლებელი იყო. დასწრებამ ჯალალებინს არგო და გამარჯვება მას დარჩა. ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა საქართველოს ერთ-ერთი მოკავშირის წინააღმდეგ, ხლათის მმართველის სამფლობელოს დასაპყრობად, სამხრეთის მიმართულებით ბრძოლა განეხლებინა. იმ ხლათისა, რომლის აღებაც მან ორი წლის წინათ უერასგზით ვერ მოახერხა. თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად ჯალალებინმა ხლათის აღება მაინც მოახერხა. მაგრამ ეს მისი უკანასკნელი გამარჯვება-ღა იყო: 1230 წელს მჭ ცნობა მოუტანეს, რომ მისი დაუძინებელი მტრები მონღოლები, რომელნიც ისევე, როგორც დაგვშილი ძალები, ტყის ნაღირს დაეძებდნენ ხოლმე, მასაც ისევე დასდევ-დნენ, უცვე ერანის აზერბაიჯანში შესასვად იყვნენ დამზადებულნი. ამ

აქბის გაგება და ჯალალედინის გაქცევა ერთი იყო. ის ჩამოსცილდა საქართველოსაც და 1231 წელს ერთი ქურთი მონის მიერ მოკლულ იქნა.

საქართველო და მახლობელი ომოსავლეთი განთავისუფლდნენ აშ მოუსვენარი, ნიჭიერი სარდლისა და სრულებით ბეცი პოლიტიკისის თაორშისაგან, რომელმაც თავისი უგუნური მოქმედებით თავის დაუქინებელ მტრებს, მონლოლებს, მახლობელ აღმოსავლეთში გასაბატონებლად თვითვე მოუმზადა ნიადაგი.

დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს, რუსულან შეფერ 1230 წელს თავისი ხუთი წლის ვაჟიშვილი დავითი სამეფო ტახტზე დასვათანამოსაყდრებდ. მაშინდელ სამხედრო და პოლიტიკური მიზეზების გამო, აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულნი და დარბაზის წარმომადგენელნი მის თანამოსაყდრებდ დასმას ვერ დაესწრნენ.

ჯალალედინის საქართველოდან გაქცევამ რუსულანს და საქართველოს მთავრობას საშუალება მისურა წინანდებურალ გაერთიანებული სამეფოს საქმეების მართვა-გამგეობას შესდგომიდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ ქვეყანა ხეირიანად მომშვიდებული და წესიერებაც აღდგენილი არ იყო, რომ მონლოლები გამოჩენდნენ; ესლა-კი უკვე სრულებით გარკვეული პოლიტიკური მრჩევებით.

მონლოლთა მთავარი ძალა აღმოსავლეთიდან მოემართებოდა. პირველად მათ ქალაქი ბარ დავი აიღეს, შემდეგ ქალაქ განძას მიადგნენ, რომელიც, როგორც ვიცით, საქართველოს ყმაღნაფიცს სამფლობელოებს ეკუთვნოდნენ. მონლოლებმა განძელებს წინადადება შისცეს, უბრძოლველად დაპირისილებოდნენ, მაგრამ განძის მცხოვრებლები მონლოლთა ამ წინადადებამ ისე ააღელვა, რომ ბრძოს გონება დააკარგვინა და განრისხებულმა ხალხმა მონლოლთა ელჩები იქვე დახმცა. ამის საპასუხოდ მონლოლებმა ქალაქი განდა აიღეს და მთლიანად გაანადგურეს.

აქედან მონლოლთა ლაშვარი ქალაქ შანქორი ქალაქ შანქორის აკენ გაემართა. ქალაქი შანქორი, როგორც ვიცით, ამ დროს უშუალოდ საქართველოს ეკუთვნოდა. ის სანაპირო ქვეყნის საქართველოს მმართველს ვარამ გაგელს ემორჩილებოდა. გაიგეს თუ არა შანქორელებმა განძის ბედილბლისა და მონლოლთა ჯარის დაძგრის ამბავი, მაშინვე ვარამ გაგელს კაცები მიუვზავენს თხოვნით, რომ თვითონ მისულიყო და ხელმძღვანელობა ეკისრა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ვარამ გაგელი არც თვითონ მისულა და არც თავის შვილისათვის მიუცია უფლება, რომ შანქორელების მუდარა და კანონიერი თხოვნა ხელმძღვანელობის მოწყობის შესახებ ასრულებული ყოფილები.

მაინც შანქორელებმა გადასწყვიტეს, რომ მტრისათვის თვითონვე გაეწიათ წინააღმდევობა და, მართლაც, მედგრად შეებრძოლნენ. მაგრამ ხელმძღვანელობას მოკლებულს ქალაქს მცხოვრებლებს მონლოლთა ჯარის უკუჭცევა, რასაკვირველია, არ შეეძლო. მონლოლებმა ქალაქი აიღეს და ჯერ გაძარცვეს, ხოლო შემდეგ გადასწვეს კიდეც.

ამ ხანაში ლორის ციხე მანდატურათ-უხუცესის შანშეს ხელში იყო. შანშე მხარე გრძელები ისეთსავე უმოქმედობას და დაბნეულობის იჩენდა, როგორც დანარჩენი მმართველები. ოვეთონ ამ ციხის დაცვაზე ამ უზრუნველყოდა და ეს უაღრესად პასუხსავები მოვარა მხოლოდ თავის სიმძის მიანდო. მიზომაც მონალოებმა ამ ძლიერი ციხის ხელში ჩიგდება მოხერხებს. შემდეგ ასევე ჭალაქე დანარჩელ იქნა აღებული. აქაც მონალოებს დიდი წინაღმდეგობა არ უნახავთ, რადგან მანდატურათ-უხუცესი შანშე, რომლის მოვალეობასაც სწორედ ამ მთელი თემის დაცვა შეაღენდა, თავის გადასარჩენად აჭარაში გაიქცა.

დღინისის შემდეგ ერთადერთი ციხე-ქალაქი, საღაც საქართველოს ჯარს მტრისოფის მედგარი წინააღმდევობის გაწევა შეძლო, ს. ა. მ-შ ვ ი ღ დ ე -ღ ი ყო, მაგრამ მონღოლებს არც აქ უნახავთ დაბრკოლება. მტრივად, ობილისისაჟენ ვზა მათ უკვე გასხნდლი ჰქონდათ. დედაქალაქი იმ განკარგულების თანახმად, რომელიც ობილისის ციხისთვის მთავრობისგან ჰქონდა მოღებული, რასაკირველია, მათ დაცლილი დახვდათ.

ასეთი საბედისწერო შედეგის შიუხედავად, საქართველოს მთავრობას შემდეგშიც არც თავდაცვის თაოსნობა და არც ხალისი არ გამოუჩენია: საქეეყნოდ გამოიგე მოხელენი თითქოს ერთმანეთს ეცალებოდნენ, რომელი მათგანი თავის გადასარჩენად უფრო შორს წავიდოდა. თვით საქართველოს ჯარის მთავარსარდალიც-კი, რომელსაც მონლოლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია, ავაგ სპასალარიც, ამნარიადე მოიქცა: იმანაც თავისი მოვალეობა დაივიწყა. და კაენის ციხეში შევიდა, სადაც მას მონლოლებისათვის ვითოშ წინააღმდეგობა უნდა გაეწია. მტრიგად, განმეორდა იგივე, რაც ჯალალეზინის დროს მოხდა, საქართველოს ჯარის მხედართმთავრებმა მტერს სამხედრო მოქმედების წარმოება თვითონვე გაუადვილეს: ცალცალკე ციხეებში ჩაიკეტნენ და ვითომდა იქიდან აპირებდნენ მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევას. შეერთებული ძალის მაგირ, მათ დაქაქსული პატარ-პატარა რაზმებიც-ლა ჰყავდათ. ქვეყანა ასეთ პირობებში სრულმა დაქაქსულობამ მოიცავა და სამეფოს მესუეურნი აღარსად ჩანდნენ.

მონლოლებმა ზემოაღნიშნული ვითარებით კარგად ისარგებლეს და სწორედ ისევე, როგორც თავის დროზე ჯალალედინი ორ ციხეს შემოერტყა გარს, ამ შემთხვევაშიც მონლოლები უპირველესად იმ ციხეს მიაღწენ, შადაც საქართველოს ჯარის მთავარსარდალმა, ამირსპასალარმა, თავი შეაფარა: კაენის ციხის აღებას მონლოლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. მეორე მხრით მათ თავიანთი ჯარი ციხე-ქალაქ ანისის ასალებად გაგზავნეს, რომლის სამხედრო თვალსაზრისით უაღრესი მნიშვნელობა კარგად იყო მაშინ ჭრილი, და ეს გარემოება, რასაკვირველია, არც მონლოლებისათვის უნდა დარჩენილიყო უცნობა.

მონლოლებმა რომ ანისის მცხოვრებლებს წინადადება მისცეს, უბრძოლველად დამორჩილებულიყვნენ, ანელებმაც მტრის წინაშე ქედის მოხარა ისევ იუკადრისეს, როგორც განძელებმა და შანქორელებმა: ანისის მოქალაქეებმაც მონლოლთა ელჩები დახოცეს და ამით თავიანთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მეტად გააუარესეს: გაბრაზებულმა მონლოლებმა ანისი აიღოს და მცხოვრებლები ამ დანაშაულისათვის ულმობელად გაწევიტეს.

ჯერი ეხლა თვით მთავარსარდალ ავაგ მხარგრძელზე მიღდა, რომელც კაენის ციხეში იყო შეხიზნული. ასეთ საერთო დაქაქსულობის გარემოებაში, ამაზე უფრო უარესი ამბავი მოხდა: მონლოლთა დამორჩილების პირველი მაგალითი სწორედ იმ ადამიანმა მისცა, რომელსაც საქართველოს მთელი ლაშქრის მთავარსარდლობა და ხელმძღვანელობა პქონდა დაქისრებული. თავისივე უგუნური საქციელით კაენში მომწყვდეულშია ავაგ მხარგრძელმა გადაწყვიტა, რომ მისთვის უფრო უკეთესი იყო მონლოლებს ნებაყოფლობით დამორჩილებოდა, ვიდრე ბრძოლა გარეგრძო. მეფისა და მთავრობის დაუკითხავად და ნებართვის გარეშე, მან მონლოლთა სარდალს ჩორმალან ნორმალან ნორმალს მოციქული მიუგზავნა,

რომლის პირითაც მონღოლებს დამორჩილებას უთვლიდა, თუ მას მთელი საგამგეო ქონებას შეუნარჩუნებდნენ და მისი საპატრიოტო ქვეყნისა და საგამგეო ოქტის წინააღმდეგაც სამხედრო მოქმედებას შეაჩერებდნენ.

მონღოლები ამ პირობას სიამოვნებით დათანხმდნენ. თუ თვით საქართველოს ჯარის მხედართმთავარი ბრძოლაზე უარს ამბობდა, მონღოლებს რატომ უნდა ეომათ. ამ ნიადაგზე და ამ პირობით შეთანხმება და ზაფირუ დადებული. მართალია, ეს საქართველოს სახელმწიფოს ლალატს წარმოადგენდა, მაგრამ ავაგ მხარგრძელს თავისი მოვალეობა სრულებით დაგრწყებული ჰქონდა და მას, როგორც ჩანს, იმას გარდა სხვა არაფერი აფიქრებდა, რომ თავისი საგამგეო ქვეყანა და თავისი თავი გადაერჩინა და ქონებრივი ავლაღოდებაც ხელიდან არ წასვლოდა.

თუმცა მონღოლები ამ პირობებს დასთანხმდნენ, მაგრამ ისინი მაინც ავაგ მხარგრძელივით გულუბრყვილოდ არ მოქცეულან: მათ, მართალია, სამხედრო მოქმედება შესწყვიტეს, მაგრამ ავაგ მხარგრძელის საგამგეო და საპატრიოტო ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან ცახეებში თავიანთი ჯარი ჩააყენეს. ამით მათ ცხადყვეს, რომ, დაზავების მიუხედავად, ისინი ავაგ მხარგრძელს მაინც არ ენდობოდნენ.

პირველი სააუგო ნაბიჯის გადაღვმა იყო სათაყოლო, ხოლო, როდესაც ეს ნაბიჯი სხვამ უკვე გადადგა, მერმე ასეთ მაგალითს სხვებმაც მიპახეს. შეორებ მიმბადველიც იმავე მხარგრძელის მონათესავე მოხელე აღმოჩნდა, შან შე მან დატურ რთულ ცე ს ი. მანაც იმავე პირობით მოისურვა შეთანხმება. შანშე მანდატურთ-უხუცესმა ეს, ცოტა არ იყოს, სათაყილო საქმე ამაში უკვე საკმაოდ გამოცდილს ავაგ ამირსპასალარს მიანდო: მონღოლთა და მის შორის შუამაგლობა ავაგ მხარგრძელს სთხოვა და მონღოლები და შანშე იმავე პირობების თანახმად დაზავდნენ, როგორც ამირსპასალარი დაპირისპილდა მათ.

ამის შედეგობ მონღოლებს გარა არა გა გე ლი ც შეუთანხმდა-მანაც თავისი საგამგეო ქვეყანა მიიღო და დაბრუნდა.

რაც მონღოლებთან უკვე ასეთი გზით კერძო შეთანხმება დაიწყო, საქართველოს სხვა თემის მმართველნიც ასეთივე წესით მტერთან შეთანხმებას შეუდგნენ. ჰერეთ-კახეთის, ქართლისა და ჯავახეთის ერისთავეთერისთავები მონღოლებს ამავე პირობით დაპირისპილდნენ. ი ვ ა ნ ე ყ უ ა რ ე ჯავახელი-ციხისჯვარელი ერთადერთი საქვეყნოდ გამრიგე აღმოჩნდა, რომელმაც თავისი მოვალეობის სრული შეგნება შეინარჩუნა და მტერთან მოლაპარაკების დაწყება არ იყაღრა, სანამ საქართველოს მთავრობისაგან ამისათვის სათანადო დასტური არ მიიღო. რაც საქვეყნოდ გამრიგეთა უმრავლესობა უკვე დაემორჩილა და მონღოლებს შეუთანხმდა, ივანე უკარყვარ ციხისჯვარელმა-ჯავახელმა მონღოლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა მოისურვა და შეთანხმებაზე მოლაპარაკებას ის არ შესდგომია. ამის გამო მონღოლებმა მთელი თავიანთი ჯავრი

იმაზე იყარეს და სამცხის თემი მონტოლთა სათარეშოდ იქცა. სრულებით ცხადი იყო, რომ საქართველოს ერთ პატარა თემს მრავალრიცხვოვანი გერისათვის დიდხანს წინააღმდევგობის გაწევა არ შეეძლო, როდესაც გარშემო ყველა ჟეფე მათ მხარეზე იყო გადასული. ამიტომ მან რუსული მეფეს მივმართა თხოვნით, რომ, რაკი საქართველოში ასეთი დიდომარეობა დამყარდა, მისთვის ნება დაერთო მონლოლებს შესთანხმებოდა და დაპმორჩილებოდა. რუსულამაც, სხვა რა შეეძლო, ნება დართო და ამვარად მთელი აღმოსავლეთი საქართველო მონლოლთა ხელში გადავიდა.

თვითონ რუსულანი ასეთი შეთანხმების გზას არ დასდგომია. მას მანც იმედი დაქარგული არ ჰქონდა, რომ მტრისათვის წინააღმდევგობის გაწევა კიდევ იქნებოდა შესაძლებელი. დამახასიათებელია, რომ მონლოლებთან შეთანხმებისდა მიუხედავად, საქართველოს მთავრობის იმ ვაზირშაც, რომელიც პირადად მონლოლებს დაემორჩილია, რუსულან მეფესთან ერთად სცადა, რომ მონლოლების საწინააღმდეგოდ ლაშქრობის მოსაწყობად ხელშემწყობი პირობები შეექმნა. ასეთი განსაცდელის უძას საქართველოს მთავრობას მოაგონდა, რომ გიორგი ლაშას დროს ევროპის ეკლესიის მწყევსთმთავარმა, რომის პაპმა, საქართველოს მთავრობას მომართა თხოვნით, დასავლეთის ქრისტიანი ჯვარსნებისათვის მაპმადიან შშართველთან ბრძოლის გასაადგილებლად სამხედრო დახმარება გაეწია. საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ეხლა, როდესაც გამსაცდელი თვითონ საქართველო ჩავარდა, მას უფლება ჰქონდა, დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოებისათვის ასეთივე დახმარების თხოვნით მცემართა.

რუსულან მეფემ 1229 წლის ახლო ზანებში რომის პაპს გრიგოლ IX-ს სწორედ ამ მიზნით ეპისტოლე გაუგზავნა, რომელშიც საქართველოში მონლოლების შემოხვას და ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობას ატყობინებდა, თანაც დასავლეთი ევრობის ქრისტიან სახელმწიფოებს სთხოვდა, საქართველოსათვის დახმარება გაეწიათ, რომ მონლოლთაგან განთავისუფლებულიყო. ეტყობა რომის პაპის გულის მოსაგებადა და სათხოვრის ასრულების უფრო გასააღმდებლად, ეპისტოლეში დამატებული იყო, რომ საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანების მოწადინებულ-მონატრული იყო.

ამ წერილმა რომის პაპის საყდრამდე საკმაოდ დაგვიანებით მიაღწია. 1240 წლს დაწერილი საპასუხო ეპისტოლე საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ საქართველოს მთავრობის ამ მიმართვის რა შედეგი მოჰქმდა. გრიგოლ IX რუსულანს ატყობინებდა, რომ დასავლეთ ევრობას საქართველოსათვის არ შეეძლო დახმარების აღმოჩენა, რადგან თვით ისიც, რომის პაპიც, იქაური შინაური ბრძოლის წყალობით, უმშეო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამისადა მიუხედავად, რომის პაპი საქართველოს მთავრობას კითომიცდა ამჩნევებდა: მანც გულს წუ გაიტეხთ, ამ ეპისტოლესთან ერ-

თად ჩვენს მისიონერებსაც გიგზავნით, რომელიც ეკლესიათა გაერთიანების განხორციელებაზე იზრუნავენო. ცხადია, რამდენად თავზარდამ-ცემი უნდა ყოფილიყო რომის პაპის ებისტოლის შინაარსიც და ის გარე-მოებაც, რომ სამხედრო დახმარების მომლოდინე საქართველოს, მეშვეობის ჯარის მაგიერ, მოქადაგე მისიონერები ეწვიონენ!


ამგვარად, ის უკანასკნელი იმედიც, რომელიც საქართველოს მთავრობას მონლოლთა ძალმომრეობის თავიდან მოსაშორებლად ჯერ კიდევ ჰქონდა, გაუცრუვდა. ამიტომ საქართველოს მთავრობას უნდა გადაეწყიტა, რა გზას დასდგომოდა, როგორ მოქცეულიყო. ორგვარი შესაძლებლობა არსებობდა, ან, რაյი მონლოლებმა ლიხის მთის გადალახეა ვერ მოახერხეს და დასავლეთი საქართველო მონლოლთა ბატონობისაგან თავისუფალი იყო, აღმოსავლეთი საქართველო მონლოლთავის მიენებებინათ, იმ დრომდე სანამ იმდენად მომაგრდებოდნენ, რომ ამ დაკარგული ნაწილის დაბრუნება შესძლებოდათ,—ან არადა რაიმე გზით მონლოლებს შესთანხმებოდნენ და მათთან ზავი ჩამოევდოთ.

პირველი გეგმა საქართველოს მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის დარღვევას უდრიდა. აღმოსავლეთი საქართველო, ამრიგად, მონლოლთა ხელში უნდა გადასულიყო. მართალია, დასავლეთი საქართველო დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა, მაგრამ თითქმის ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა, რომელიც არაბთა ბატონობის ხანაში იყო. საქართველოსა და ქართველობას ეს ისეთს პოლიტიკურსა და ეროვნულ განსაკლელს უქდდა, რომ საქართველოს მთავრობას ამაზე დათანხმება არ შეეძლო, სანამ მთლიანობის შესანარჩუნებლად ყოველგვარი საშუალება გამოყენებული არ იყო. მეორე შეთანხმების გზას გულისნობდა, რომ მთელ საქართველოს მონლოლების უზენაუსობის უფლება უნდა ეცნო.

რუსუდანსა და საქართველოს მთავრობას გადაუწყვეტს, რომ პირველი გზა არც მიზანშეწონელი იქნებოდა და არც შეიძლებოდა, ქვეყნის უზიანო გზად ყოფილიყო მიჩნეული: რომ საქართველოს მთლიანობა შეენარჩუნებინა და საქართველოს გაყოფის და დაქუცმაცების საფრთხე თავიდან აცილებინა, ამიტომ საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა. მონლოლებთან მოლაპარაკება დაეწყო. რუსუდანსა მა საგანზე მოსალაპარაკებლად ამირსპასალარი ავაგი და შანშე მანდატურთ-უხცესი, ვარა მ გა გ ე ლ ი და შოთა კუპრი მონლოლთა მთავარისარდალთან თავის მოციქულებად წარგზავნა.

რუსუდან შეფე მარტო მონლოლთა ადგილობრივ სამხედრო ხელისუფლებას ეკრ ენდო და ამტომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ხელშეკრულებისა და ზავის პირობების გამოსარკვევად გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იყო უშუალოდ მონლოლთა ყაენ ბათოსთან დაეწყო, რომ უმჯობესი იყო უშუალოდ მონლოლთა ყაენ ბათოსთან დაეწყო, მოლაპარაკება. ამ დავალებით მან საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი მწიგნობართ-უხცესი და გაზირთა ყოველთა უპირ-

ველესი წარგზავნა ბათო ყაენის ურდოში. იქიდან მწიგნობართ-უხუცე-სის დაბრუნების შემდგომ, რუსუდანი თავისი შვილით დავითითურთ 1242—43. წ. აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა, საღაც მას სა-ქართველოს სამეფოს მაღალი ხელისუფლები და მოსახლეობა დახვდა ჭიდის ამბოთ.



ქართული ორნამენტის ნიმუში ქვეთახევის ტაძრიდან (XIV ს. დამდეგი).

ყაენის ურდოში მონლოლთა და საქართველოს შორის შეთანხმება შემ-დეგნაირად მოხერხდა: საქართველო მონლოლთა ყაენის უზენაესობას სცნობდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, ვითარცა მონლოლთაგან ძალით დაპყრობილ ნაწილში, საქართველოს ხე-ლისუფლებასთან ერთად მონლოლთა ყაენის უმაღლესი მოხელეების წარმომადგენლები და ჯარიც იქნებოთ; დასვლეთი საქართველო-კი, რომელიც მონლოლებს დაპყრობილი არ ჰქონდათ, წინადელ მდგომა-რების დარჩებოდა, მხოლოდ მონლოლთა ყაენისათვის ხარჯის საფა-სურად საქართველო ყოველწლიურად 50.000 ოქროს პერპერას გადაიხ-დიდ. მონლოლთა ყაენი თავის მხრივ დავით IV რუსულ დანის ძე ს სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფედ დაამტკიცებდა.

მას შემდგომ, რაც რუსუდანი და მისი ვაჟიშვილი დავით IV ამ შეთან-ხმების ძალით აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ და ადგილობ-რიე მონლოლთა მხედრულთავართან უშუალო მოღაპარაკება ჰქონდათ. გამოირკვა, რომ ამ მონლოლთა ხელისუფლებას არ შეეძლო დავით IV

ოვითონ სრულიად საქართველოს მეფედ დაემტკიცებინა: ამის უფლება მას არ ჰქონდა. ამიტომ მონღლოური წესის თანახმად დავით IV რუსულანის ძე, ქართველთა დიდი ხელისუფლების თანხლებით, მონღლოური ურდოში იყო წარგზავნილი, ჯერ ბათო ყაენთან, შემდეგ უკვე მონღლოურთა მთელი სახელმწიფოს სათავეში მდგრმ დიდ ყაენის ურდოშიაც. ამის სათვის, რასაკვირველია, შორცულ ქვეყნებში ხანგრძლივი მოგზაურობა იყო საჭირო და დავით IV რუსულის ძესაც იქ თრი წლის განმავლობაში მოუვგიანდა. ბათო ყაენმა რომ ის მანგუ დიდ ყაენის ურდოში გაგზავნა, მას შემდგომ საქართველოში უკვე არავინ იცოდა, თუ რომ უძმთავრდებოდა ეს საქმე, როგორ დატრიალდებოდა დავით IV რუსულანის ძის ბედ-ილბალი. იმის ცნობებიც-კი ამ პერიოდით საქართველოში, ცოცხალი იყო ის, თუ არა.

შეილის შესახებ ამბის უქონლობითა და თავისი სიცოცხლის განმავლობაში მრავალგვარი პოლიტიკური და პირადი უსიამოვნების გამო დაკადებული რუსულ ანი 1245 წელს გარდა იცვალა. ამრიგად, რაფი რუსულანი უკვე მკვდარი იყო, მისი ვაჟიშვილი დავით IV შესახებ-კი არავითარი ცნობები აღარ მოიპოვებოდა, საქართველო უშეფო ქვეყნად და უპატრიონი სახელმწიფოდ იქცა.

მონღლოთა ხელისუფლება, ისევე როგორც მონღლოლთა სახელმწიფო და სოციალური წესწყობილებაც, იმ წესწყობილებისა და კულტურის უთნისაგან, რომელიც მაშინ საქართველოში იყო, ძირითადად განსხვავდებოდა. საქართველოში ამბების მერმინდელი მიმღინარეობის წინებლად მონღლოლთა მაშინდელი ვითარების მოქლედ დახასიათებაც საკირო. უნდა მათი სახელმწიფო და სოციალური წესწყობილების ძირითადი თვისებები ვიცოდეთ, რომ გასაგები იყოს ის ანარეკლიც, რომელიც მათი ბატონობის შედეგად საქართველოს დაეტყო.

მონღლოლთა გაგატონება საკართველოში, განღოლა მათ წინააღმდეგ, მათი გატონების ანარეკლი საკართველოს სახელმწიფოს წესწყობილებაში და მათი გავლენის შედეგი სოციალურ სოციალური და მათი გავლენის

შედეგი სოციალ-ეკონომიკურ სოციალური და მათი გავლენის

შედეგი სოციალ-ეკონომიკურ სოციალური და მათი გავლენის

მონღლოლები ირ მთავარ ჯგუფად იყოფებოდნენ: მონღლოლებად და თათრებად. ისინი შთამომავლობითაც და ენითაც, თურქებთან ერთად, ერთი მოდგმის ჯგუფს ეკუთვნოდნენ. მათი ფინანური თვისებებიც და გარეგნობაც ერთნაირი იყო. ყველაზე მეტოდ სხვა მოდგმის ხალხთა განსხვავება მათ სახეზე ემჩნეოდათ. საქმალ დადგი თავი პერიოდით, შორი შორს ირიბად, ლრმად ჩამჯდარი თვალებითურთ, დაბალი ცხვირი განიერი ნესტოებითურთ, ძალზე გამოწეული ღაწვები, კანის მუქი შეფე-

რაღება, ძუის მსგავსად უხეში თმა-წევერ ულვაში ყველა ამით ისინ  
სხვა მოღვაწის ხალხთაგან განიჩეოდნენ.

მათი თავდაპირველი საქმიანობლო ციმბირი იყო. ისინი ბინადრობდნენ  
ბაიკალის ტბისა და მდინარე ენისეის ზედა ნაწილსა და მდინარე ალ-  
ტიშის ხეობათა გაყოლებით, ამ უკართობზე ეგრეთწოდებული ტყის მონ-  
ლოლები ცხოვრობდნენ. მონლოლთა მეორე ნაწილი, რომელიც მინ-  
დგრად ბინადრობდა და მესაქონლეობის მეურნეობას მისდევდა, უფ-  
ლუნბურის ტბიდან მოყოლებული აღტაის მთების დასავლეთ გან-  
შტოებამდის იყვნენ დასახლებულნი.

მონლოლები უბინადრო ყოფაცხოვრების მიმღევარი ხალხი იყო; ერთი  
ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ საკვებისა და სხვა საცხოვრებელი  
სახმარის შემოლევის შემდგომ. ტყეში მობინადრე მონლოლთა ტომები  
უმთავრესად მონადირეობითა და მეთევზეობით ცხოვრობდნენ. ველად  
მოსახლე მონლოლები მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდნენ, რომელიც  
შოთითაბარეობის პრინციპშე იყო დამყარებული: ზაფხულად ისინი მთაში  
ადიოდნენ, ზამთრად-კი ბარატ ჩამოიდიოდნენ. მიწათმოქმედება მათ ამ  
პქნდათ, ხენა-თესვას არ მისდევდნენ. მათი არსებობის მთავარი წყარო  
მესაქონლეობა იყო, რომლის მთავარ დარგად მეცხენეობა ითვლებოდა.  
რაღება ცხენი მათთვის ძვირფასი იყო, როგორც საწველი ცხოველიც:  
ისინი ცხენის რძესაც სვამდნენ და, ამის გარდა, სხვა ხორცებ მეტად ისი-  
ნი უმთავრესად ცხენის ხორცით იკვებებოდნენ. მარტო მესაქონლეობა  
მთ, რასაცვირველია, არსებობისათვის საკმარის სახსარს ვერ მისცემდა,  
ამიტომ დანაკლისის შევსება მათ მონადირეობით უხდებოდათ. მაგრამ  
არც ეს იყო საკმარისი და მათი არსებობის მესამე, არაუმნიშვნელო  
წყაროს მეცხობრეობა და ყანაბური მტაცებლობა შეაღგენდა: ზეზობლებ-  
ზე თვილსხმა და მათი ქონების მოტაცება მათი კეთილდღეობის ერთი  
მნიშვნელოვან წყაროთაგანი იყო.

მონლოლები გვაროვნული წესწყობილების მექნებე-  
ლი ხალხი იყო, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ჩინგისხანშა მონ-  
ლოლთა სხვადასხვა ტომების გაერთიანება მოახერხა, გვაროვნული წეს-  
წყობილება უკვე საკმარიდ შერყყული იყო: არსებობდა პატრონ-  
უმ მური დამოკიდებული ფეოდალური წესწყობილებისაგან იმ არსები-  
თი განსხვავებით, რომ, მუდმივი ბინადრობის უქონლობის გამო, მათს  
საპატრონუმო ერთეულის ვანკარგულებაში მყოფი ფართობიც ცვალება-  
დი იყო ხოლმე, იმსდა მიუხედავდ; თუ მათი ბინადრობის ადგილ-  
მდებარეობა როგორ იცვლებოდა.

ამ მონლოლური წესის გარდა, ჩინგისხანშა სამხედრო ორგანიზაციაც  
შემოიღო, რომელიც მთელი მონლოლური მოსახლეობის ათეულებად, ასე-  
უფრომადაც ათასეულებად და ათასათასეულებად, ანუ: ბევრეულებად დანა-  
წილებაზე იყო დამყარებული. ეს იმას ნიშნებულაკარგი: თეულის ერთე-

ული შესდგებოდა იმდენი ოჯახისაგან, რამდენსაც პრძოლის ველზე ათი შეცარალებული მოლაშქრე უნდა გამოეყავანა. ასეულს, ათასეულს, ათიათასეულს, ანუ ბევრეულსაც, რომელსაც მონლოლურად დუ მენი ეწოდება, ასევე უნდა ჩინგისხანისათვის, როდესაც-კი სალაშქროდ გამგზავრება იყო საჭირო, ასი, ათასი და ათი ათასი მოლაშქრე მცეცა.

ამრიგად, მონლოლური წესწყობილება უმთავრესად სამხედრო ორგანიზაციის წესზე იყო დამყარებული. მთელ მათ ყოფაცხოვრებასაც სამხედრო ხელისუფლება განაცემდა.

საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება, როგორც ჩვენ ვიცით, სულ სხვა პრინციპზე იყო დამყარებული. სამხედრო ხელისუფლება სამოქალაქოს ემორჩილებოდა. სახელმწიფოს სათავეში მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა ყოველთა უპირველესი იღვა, რომელსაც თვითონ სამხედრო დაწესებულებების სათავეში მდგომი ამირსპასალარიც ემორჩილებოდა, ჯარის შეფრის უფლებაც მხოლოდ მას ჰქონდა, გორგი ის-ს მეფობიდან მოყოლებული მაინც. ამავე დროს საქართველო ინტენსიური მეურნეობის შექნებელი და მაღალი კულტურული დონის პატრიან სახელმწიფოს წარმადგენდა.

ამ ორი, მონლოლთა და ქართველთა, ერის სახელმწიფო და სოციალური წესწყობილების განსხვავებას არ შეიძლება, რომ თავისი გავლენა არ მოეხდინა საქართველოზე და XIII საუკუნის საქართველოს ისტორიაც ხომ ამ გარემოების უკილობლად დამამტკიცებელიც არის. საქართველოში დამკარგების შემდგომ, მონლოლები საქართველოს იმავე წესით მოწყობას შეუდგენ, როგორიც თვითონ მათ ჰქონდათ, ე. ი. საქართველო დუ მნე ბალ დაპყვეს და მთელი საქართველოს სახელმწიფო ჩვენა ჰათათასეულად, ან ბევრეულად იყო დანაწილებული.

პირველ დუმნად შემახის მთებიდან მოყოლებული თბილისამდე გადაჭიმული ბტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი თველებოდა, რომელიც ჰქონებოდა, კაბებებიანსა და კხეთს შეიცავდა. მის უფროსად დანიშნული იყო ეგარსლან ბაკუ რციხელი.

მეორე დუმანს სომხეთის სამხრეთი თემები შეაღგენდნენ ე. ი. ქვეყანა, რომელიც შეანშე და ავაგ მხარგრძელების საგამგეოს წარმოადგენდა. ამ დუმნის უფროსად დანიშნული იყო შანშე მანდატურთ-უხუცესი.

გესამე დუმანი მტკვრის სამხრეთით მდებარე საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის თემებისაგან შესდგებოდა და შანქორის სანახებიდან მოყოლებული გაჩანს, ანუ ხაჩენს, გაგსა და სხვა თემებს. შეიცავდა ეს დუმანი ვარამ ვაგელს ჰქონდა ჩაბარებული.

მეოთხე დუმნად მიჩნეული იყო ქართლი, რომლის მართვა-გმიგეობა და უფროსობაც ერისთავთ-ერისთავს გრიგოლ სურამელს ჰქონდა მიცემული.

მეხუთე დუმანი ჯავახეთი იყო, რომლის სათავეში გამრეკელით რეკლამი იქნა დაყენებული.

შეექვებ დუმანი სამცხისა და მესხეთის დანარჩენი თემებისაგან შესტევდოდა კარზუ-ქალაქიდე. ამ დუმნის უფროსად ციხის ჯვარი ელი ჯ დ ყ ე ლ ი იყო.

მეშვიდე დუმანი შეიცავდა რაჭა-ლეჩესუმს, სამოქალაქოს, ფერსათა და არგვეთის. მის სათავეში რაჭის ერისთავი იქნა დაყენებული.

მერვე დუმანი ეგრისისა და გურია-აჭარისაგან შესდგებოდა, რომ მელიც ცოტნე და დ ი ა ნ ს ჰქონდა მიცემული.

უნდა გათვალისწინებული გვქონდეს ის გარემოება, რომ დუმნებად დაყოფის შემდგომ, დასავლეთ საქართველოს ღუმნებიდან ჯარის გამოყვანა შესაძლებელი იყო მხოლოდ მანამდე, სანამ საქართველოში დავით IV-ის მეთაურობით მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება არ დაიწყო და სანამ დასავლეთი საქართველო მონღოლთა ხელისუფლების მიზრის დამდინარებიდან არ განთავისუფლდა. ამ ცრისიდან მოყოლებული-კი, ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოში დუმნების არსებობა უკვე სრულებით შეუძლებელი იქნებოდა. ამაზე მეტიც ითქმის: რამდენადაც ღუმნებად ქვეყნის დანაწილება მონღოლთა ბატონობაზე იყო დამყარებული, ქართველებს-კი არავითარი სურვილი არ ჰქონდათ, რომ ეს ბატონობა შეენარჩუნებინათ და არც მალავდნენ, რომ პირველსაც შემთხვევაში მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლებას ეცდებოდნენ,—ძნელი დასაჯერებელია, რომ მონღოლთა სამხედრო ხელისუფლებას, რომლის-თვისაც ეს გარემოება, რასაკვირველია, არაფერს საიდუმლოებას არ შეადგენდა, ამ ქართველ დუმნის მთავრებს ნდობით მოპჰრობოდნენ. ხოლო მას შემდგომ, რაც აჯანყება მოხდა, მონღოლთა ხელისუფლებას, რასაკვირველია, უნდა შეეგნო უკვე, რომ მისთვის მონღოლური ასეთი წესის საქართველოში არსებობა არამც თუ ხელსაყრელი არ იყო, არამედ პალიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ხითათსაც-კი უქადდა. ამით აისწნება, რომ ღუმნების მთავრების ხსენება ქართულ საისტორიო წყაროებში ჰქონდა და, როგორც ჩანს, ასეთი დანაწილება შემდეგში მოსპონილა კადეც.

სამხედრო ხელისუფლების უპირატესობაზე დამყარებულს მონღოლთა მთავრებელების წესს, რასაკვირველია, საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილობაზე სხვა მხრივაც უნდა მოეხდინა გავლენა და უმეტობის ხანაში მისი ანარქეკლი ნათლად ჩანს კიდეც. რაკი საქართველოში მეფე აღარ იყო, საქართველოს მაღალ ხელისუფალთა შორის ყველაზე მეტი გავლენა იმ ხელისუფალს კი არა ჰქონდა, რომელსაც, ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, ქვეყნის მესაჭირება ეკუთვნოდა, მწიგნობართულუცებს-კი არა, არამედ საქვეყნოდ გამრიგე მოხელესა და მხედართ მთავარს ე გ ა რ ს ლ ა ნ ბ ა კ უ რ ც ი ს ე ლ ს ჩაუვარდა ხელთ. ასეთი რამ მხოლოდ მონღოლთა წესწყობილების პირობებში იყო შესაძლებე-

ლი: ქართული სახელმწიფო ბრიტანში ამ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეა თავისს, მისთვის შესაფერის ადგილს შეიჩენდა.

ეგარს ლან ბაკუ რცი ხელი ნიჭიერი და ამასთანავე მჭერ-შეტყველი აღამიანი ყოფილა. ამ ორი თვისებით უხვად დაჯილდოვებულობის გამო და, უშველია, მონღოლებთან დახმარების წყალობით, მას ყველა მთავრება და დიდ მოხელეებს შორის უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული: მის სიტყვას საქართველოში ყველანი ემორჩილებოდნენ, მაგრამ ამ გზით მოპოვებულმა დიდმა ძალამ და ხელისუფლებამ მას ზოგ მიერება დააკარგვინა და წადილი ალუდრა, რომ საქართველოს მთელი ხელისუფლებაც ჩაეგდო ხელში. როდესაც მისი ასეთი წადილი ყველა-სათვის ცხადი შეიქმნა, მაშინ-კი დიდ მოხელეთა შორის მის საწინააღმდეგოდ მრავალრიცხოვნი ჯგუფი დაიჩვინა, რომელსაც არავთარი სურ-ვილი არ ჰქონდა, რომ შთამომავლობით და, როგორც ისინი ჰყიქრობ-დნენ, ღირსებითაც თავიანთი თანასწორი უფროსად გაეხადათ. ასეთი შე-საძლებლობის თავიდან ასაცილებლად, მათ გადასწყვიტეს, რომ ერთად-ერთი გამოსავალი. საქართველოს სახელმწიფო ტახტის კანონიერი მემ-კვიდრის გამოძებნა და სამეფო ტახტზე დასმა იყო.

რაკი რუსულანი ცოცხალი აღარ იყო, მისი ვაჟიშვილის დავით IV-ის შესახებაც საქართველოში აღარავთარი ცნობები არ ჰქონდათ, ამიტომ ეგარსლანი ბაკურციხელის მოწინააღმდეგე ჯუფშა გადასწყვიტა, რომ სა-ქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ ლაშა-გიორგის უკან ნონ შვილი დავითი და ვით წამოეყენებონათ. მონღოლთა ხელის-უფლებასთან შეთანხმებით, მათ რუმის სასულთანოდან ის 1245.—46 წ.წ. მოიყარეს კილეც და მონღოლთა აღგილობრივ ხელისუფლებას წარუდინეს. მონღოლთა მხედართმთავარი ამ შემთხვევაშიც ისე მოიქცა; როგორც დავით IV-ის საკითხეს განსილვის დროს. მან გადასწყვიტა, რომ დავით V, გორგი-ლაშას ძეც, მონღოლთა ყაენის ურდოში გაეგზავნა და-სამტკიცებლად.

მომხრე დადგვარიან ქართველ მოქელეთა თანხლებით, დავით გორგია ლაშას ძე იმავე გზითა და იმავე მიმართულებით გაემგზავრა, რა გზიდაც უკეთ რამდენიმე წლის წინათ მისი მამიდაშვილი იყო წასული. როდესაც დავითი გორგი-ლაშას ძე თავის ამალითურთ მანგუ ყაენის ურდოში მიმ ვიდა. იქ გამოიჩინა, რომ დავით IV, რუსულანის ძე, ცოცხალი იყო. ამ რიგად, საქართველოს სახელმწიფო ტახტის ერთო მემკვიდრეს მაგიდრ; მოულოდნელად რაი მემკვიდრე აღმოჩნდა; გაჩალდა ბრძოლა ორ ბანა-კად გაყოფილ საქართველოს დიდ ხელისუფლალთა შორის. არც ერთს მათ-განს არ სურდა, რომ ორივე ყოფებლიყო გამეცეცხული, არამედ თითოეული ჯგუფი ფაქტობდა, რომ საქართველოს ერთადერთი საჭიროშებულად სწორედ მისი კანოიუატი უნდა გამნდარიყო.

რაკი შეთანხმება შეუძლებელი შეიქმნა, საცილობლად ქცეული ეს სა-კოთხი უნდა მონღოლთა დიდ ყაენს გადასწყვიტა. ბრძოლა სხვადასხვა

საბუთების წამოყენებით წარმოებდა, შეგრამ ბოლოს-და-ბოლოს მდავარ რი მნიშვნელობა· მმ საკითხს მიენიჭა, ქვინდა, თუ არა, „უფლება ქალის შთამომავალს მოელო მეფობა იმ შემთხვევაში, როდესაც მამრობრთი სქირ სის შთამომავალი არსებობდა, თუნდაც“ „უკანონო“ შვილის სახით.

დავით გორგი-ლაშას ძის მომხრე ჯგუფი იმ დებულებას ღცავდა, რომ ასეთ შემთხვევაში, თუნდაც რომ „უკანონო“ შვილი უოფილიყო, უცირა ტესაბა ქალის მეტკვიდრობის წინაშე უნდა მამრობრთის სქესის შთამომავალს მიპირჭებოდა. მეორე, დავით IV რუსულდანის ძის, მომხრე ჯგუფი ამას კატეგორიულად უარყოფდა და თავის სიმართლის დამამტკიცებელ საბუთიანობას ერთი მხრით იმაზე ამყარებდა, რომ ქართული სამართლით „უკანონო“ შვილს მამას უფლება ეკარგებოდა, მეორე მხრით იმ მოსახლებაზე დავით IV რუსულდანის ძე უკვე 1230 წელს თანამოსაყრდები იყო დასმული.

ამ მკაცრი უთანხმების გამო, რომელიც საქართველოს ორ პოლიტიკურ ჯგუფს შორის საქართველოს სახელმწიფო ტახტზე დასასმელი კანდიდატის გამო ჩამოვარდნილა, ეს საცილობლად ქცეული საკითხი უნდა მონღოლთა დრო ყავნს გადაწყვიტა. საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის საქმის უკვე ასეთი მიმღინარეობა საზიანო იყო, რამდენადაც ასეთი საქოთხი უცხო მტრის ძალის გადასაწყვეტ საქმედ არ უნდა ექციათ.

მონღოლებს მრავალცოლიანობა ჰქონდათ წესად: თოთოეულ მათგანს ძმდენი ცოლის შერთვა შეეძლო, რამდენის შენახვასაც მოახერხებდა. მრავალცოლიანობის წესწყობილებაში კანონიერი და უკანონო შვილის ცნება სრულებით გაუგებარი იყო. მონღოლები თავიანთ მრავალრიცხოვან შვილებს მხოლოდ წლოვანების უფროს-უმცროსობით არჩევდნენ. უფროსს უპირატესობა ჰქონდა. მაგრამ ამასთანავე მონღოლური სახელმწიფოებრივი შეგნებით სრულებით სავალდებული არ იყო, რომ ყაენად მარტო ერთი პირი ყოფილიყო, არამედ თვთონ ჩინვისხმაც თავისი უზარმაზარი სახელმწიფო თავის შვილებს შორის გაანაწილა, მხოლოდ ერთს მათგანს, ყველაზე უფროსს, უზენაესი ხელისუფლება მიენიჭა და ის დიდ ყაენად ითვლებოდა.

როდესაც მანგუ ყავნს საქართველოს საცილობელი საკითხი უნდა გადაწყვიტა, მან თხევე განსაჯა, როგორც თვითონ იყო მიჩვეული. დამახასიათებელია, რომ დავით V. გორგი-ლაშას ძემ და მისმა მომხრე ჯგუფმაც, რაკი მათ იმდედი არ ჰქონდათ, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით გამარჯვებას მოიპოვებოდნენ, მანგუ ყაენს სთხოვეს, რომ ეს საკითხი მას მონღოლური სამართლის წესით გადაწყვიტა. ეს ნაბიჯი სრულ პოლიტიკურ შეუგნებლობას წარმოადგენდა და ქართული სახელმწიფოებრივობის ღალატად უნდა ყოფილიყო მიჩვეული, რამდენადაც ამით მონღოლებს თვითონ ქართველებიც უჩვენებდნენ იმ გზას. რომლოთაც მათ შეეძლოთ, ქართული სახელმწიფო სამართალი დაერლ-

კიათ. მონღოლთა ყაენისათვის ეს თხოვნა ფრიად სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც. მან სწორედ ასევე გადასწყვიტა. მეფობა დავით V, გიორგი-ლაშას ძეს, როგორც უფროსს, მისცა, მაგრამ დავით V-ს მომხრეთა ჯგუფისა და თვითონ დავით V-ის იმედები მაინც მთლად ვერ გამართლდა; ჩამდენადაც მონღოლთა ყაენისათვის სრულებით სავალდებულო არ იყო ის, რასაც ქართველები ფიქრობდნენ, მან გადასწყვიტა, რომ მეფედ ოჩივე დაემტაიცებინა: ერთი მათვანი უფროსად იქნებოდა, მეორე უმცროს მეფედ: ისევე, როგორც მათ საყაენოში ერთი დიდი ყაენი იყო, ხოლო დანარჩენი სამნი ჩვეულებრივ ყაენებად ითვლებოდნენ.

ამრიგად, საქმე ისე დატრალდა, რომ ერთი მეფის მაგიერ საქართველოში ორი დამტკიცებული მეფე აღმოჩნდა. ეს საკოხხი მანგუ ყაენში 1247 წელს გადასწყვიტა.

## ორთა გეფოგა საქართველო ში

დავით V, გიორგი ლაშას ძმ, ულუ-დავითად წოდებული, და  
დავით IV, რუსულანის ძმ, ნარინ-დავითად სახელი გული

შესაძლებელი იყო მონღოლთა მპრინებელის, დიდი ყაჯნის, გადაწყვეტილების თანახმად, რომ ორსავე დავითისა და მათ მომხრე ჯგუფებს საქართველოს ისევე ორ სამეფოდ გაყეო, როგორც თვით მონღოლებს თავითი საბრძანებელი ყაჯნებს შორის ჰქონდათ გაყოფილი. ეს უკვე საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევის მომასწავებელი იქნებოდა, მაგრამ უკანასკენელ ყამს დავით V-საცა და დავით IV-საცა, ისევე როგორც მათ მომხრე პოლიტიკურ ჯგუფებსაც, საკმაო ეროვნული შეგნება აღმოაჩნდათ, რომ ასეთი უგუნური ნაბიჯი არ გადაედგათ და ქვეყანა თავისივე ხელით განსაკუდელში არ ჩაეგდოთ. ორი სამეფოს შექმნას მაგიერ, მათ ირჩიეს ორთა მეფობა განეხორციელებინათ: ორთავე დავითით საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოვიდნენ და ერთად დაიწყეს მფობა.

ორსავე მეფეს სახელიც ერთნაირი ჰქონდათ, ორივეს ხომ დავითი ეწოდებოდა,—ისე რომ, მათ განსასხვავებლად რაიმე დანართის სახელის მიმატება იყო საპირო, და, მართლაც შემდეგში დავით V, გიორგი-ლაშას ძეს, დავით-ულუ (უფროსი) ეწოდა, ხოლო დავით IV, რუსულანის ძეს, დავით-ნარინი (უმცროსი, მონღოლური სახელებია) დაარქვეს.

ამ სახელების მსგავსებას გარდა, მათ საერთო თთოქმის არაფერი ჰქონდათ.

დავით V ულუ ტანადი კაცი იყო, ლამაზი, მაგრამ ენა-მძიმე და მაღალი მრავალი გენერალი ჰქონდა. ვულუმარყველო ბავშვიერთ ყველაზერს იჯერებდა, რასაც კი მას ეუბნებოდნენ, ხასიათის სიფიცინის წყალობით, არა ერთხელ, ამ მაღალმრმენობის შედეგად, მას შეცდომა ჩაუდენია და უბედურება დაუტრიალებია კიდევ.

დავით IV, რუსულანის ძე, ნარინად წოდებული, ზომიერი ტანატობის კაცი იყო, ტანწვრილი, ლამაზი, მჭერმეტყველი და ენატებილი მოუბარი ჭაბუკი, აუჩქარებელი და გულუხვი ადამიანი იყო.

დავთ V ულუს პირველ ცოლად ჯიგდა ხათუნი ჰყავდა, რომელიც შას ჯერ კიდევ მონღოლთა ყაენის ურდოში ყოფნის დროს, ეტყობოდა პოლოტიკური მოსახრებით, 1247 წელს შეურთავს, მაგრამ ამ ჯიგდა-ხათუნისაგან შვილი არ ჰყოლია. 1249—1250 წწ. შან თავი ქალიშვილი ალ-თუნი მოიცვანა ცოლად, რომლისაგანაც ვაჟიშვილი გიორგი შეეძინა. შემდეგ დავით V ამ ალთუნ თას განშორდა და 1251 წელს თანამეტედრედ რაჭის ერისთავთ-ერისთავის კახაბერიძის ასული გვანც მოიყანა, რომლისაგანაც ვაჟიშვილი დევეტრე ეყოლა, შემდეგში თავდაზებულად წოლებული. მონღოლებისაგან გვანც სიკვდილად დასჯის შემდგომ 1262 წელს, დავით-ულუმ 1263 წელს მონღოლთა უფლისწული ესუქნი შეირთო.

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა დავით IV რუსუდანის ძე მონღოლთა ყაენის ურდოში იტყოფებოდა და მისი მეფედ დამტკიცების საკითხი გადაწყვეტილი არ იყო, საქართველოს მთავრობამ მისი სახელით 1245 წელს დამნაშში ფული მოაწრევინა, რომელსაც ქართული და სპარსული ზედწერილი ჰქონდა გავთებული. ამ ფულზე უკვე აღნიშნულია დავით მეფის ყაენის ყმობა; მაგრამ რომელი ყაენი იყო ნაგულისხმევი, იქ მოხსენებული არ არის. ამ ფულით მტკიცებოდა, რომ დავით IV რუსუდანის ძეს საქართველოში მეფედ სოვლილენ, იმისდა დამოუკიდებლივ, თუ მონღოლთა მბრძანებული ამ საკითხს როგორ გადასწყვეტდა. მაგრამ, რადგან ასეთი ფულის მოჭრა საქართველოს დედაქალაქში, სადაც მონღოლები იყვნენ გაბატონებული, შეუძლებელი ყოფილა, საქართველოს მთავრობას ზარაფხანა დამანისში გადაუტანია და ეს ფული იქ მოუპრევინებია. შემდეგში საქართველოში ცნობის მოსვლისთანავე, რომ ყაენმა მეფობა და ვთ IV-ს-კი არ მისცა მარტო, არამედ ორივე დავითი იყო მეფედ დატერციებული, რომ ამისთანავე უფროსობა დავით V-ს, გიორგი ლაშას ძეს, პეონდა მინიჭებული, ამის შემდგომ დავით IV-ის სახელით ფული მხოლოდ ერთხელ-ლა, 1252 წელს, მოიჭრა და ეს ფულიც მარტო სპილენძისა იყო 1247 წლიდან მოყოლებული-კი ვერცხლის ფული და 1252 წლის შემდეგ სპილენძის ფულიც მხოლოდ დავით V-ის, გიორგი ლაშას ძის, სახელით და იჭრებოდა.

### საქართველოს გეგმვა და მონღოლთა გატონების ხანაში

1256 წლამდე, როდესაც მანგუტ დიდმა ყაენმა ერანის ილხანად, ანუ ყაენად ჰულაგუ დანიშნა, საქართველო პოლიტიკურად ჩრდილოეთის ულუსის, ყაენთან იყო დაკავშირებული; შემდეგაც ჰულაგუსა და მის მემკვიდრე ერანის ყაენების ურდოს, ექვემდებარებოდა ხრამუტე. ამისდა გვარად 1256 წლამდის ორივე დავითს საქართველოს საქმეებს მოგვა-

რება ჭერ ბათო ყავნთან უხდებოდათ, შემდეგ-კი ასეთი საციქლებრ უკვე ერანის ილხანის კარზე წყდებოდა.

როდესაც მონღოლები ფართო სახელმწიფო ასპარეზზე გამოიტანენ, წერა-კითხვის უფლისიარნი იყვნენ. თვითონ ჩინგისხანმაც-კი სიერთოლაშ-დე წერა-კითხები არ იცოდა. ბატონშვილთა შორისაც ძალიან ცოტანზ იყვნენ, რომელთაც ეს ცოდნა მოეპოვებოდათ. მონღოლებმა უცლურები-საგან უილურული ანბანი შეითვისეს და ჩინგისხანმა საგანგებო ზომები მიიღო, რომ წერა-კითხვა და მწიგნობრობის ცოდნა მონღოლთა შორის გაეცრცელებინა, მაგრამ მის ცდას, ან თოთქმის არავითარი შედევრი არ მოუტანია, ან ძალიან მცირე. ამის გამო მათ სახელმწიფო მართვა-გამ-გეობისთვის გამოსადევი მოხელეები ცოტანი ჰყავდათ.

თვითონ მონღოლები უმთავრესად სამხედრო ხელისუფლების. წარმო-მაღვენლები იყვნენ, სამოქალაქო ხელისუფლებისათვის. მათ ზემოალნიშ-ნული უცოდინარობის გამო, სხვა ეროვნების მოხელეთა გამოყენება უხდებოდათ. უილურები, ასურელები, სპარსელები, თურქები და არაბე-ბიც იყვნენ მათ განკარგულებაში. მწიგნობრებად. რომელთაც მონღო-ლურად ბიტექნ ეწოდებოდათ, უმეტეს ნაწილად სწორედ ამ ეროვნების შვილები იყვნენ. რაკი ამასთანავე, თავიანთი დედა-ენის გარდა, მონღო-ლება სხვა უცხო ენები არ იცოდნენ, ამიტომ, მოენებების დახმარების გარეშე, მთ დაბყრობილი მრავალრიცხვანი ქვეყნებისა და ერების შოსახლეობასთან კავშირის დამყარება არ შეეძლოთ. მონღოლური ენის ცოლნა-კი მხოლოდ იმ ვაჭრებს მოეპოვებოდათ, რომელნიც მონღოლეთ-ში სავაჭროდ წინათაც დადაობდნენ.

ამრიგად, მონღოლთა ხელისუფალნი მთლიანად ამ უცხო წარმოშო-ბისა და ვაჭრული წრიდან გამოისული მოხელე მოენებების ცვინდისიერე-ბაზე იყვნენ დამოკიდებულნი. თარჯიმისა იმ დროს უდიდესი მნიშვნე-ლობა მიენიჭა: მას შეეძლო ანგარებით ბრალდებულიც დაელუა და ხელისუფალიც შეეცდინა.

თუმცა ხვარაზშაპთან ატებილი უთანმოების შემდეგ, მონღოლებს ჩინგისხანიდან მოყოლებული, სპარსელებისადმი სიძულებილი პქნდათ-და მაპმაღანებსაც მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებდნენ, მაგ-რამ რაღაც ერანის ვაჭრებს შორის მონღოლებში ნამყოფი პირები, რო-მელთაც მონღოლურის ცოდნა პქნდათ, საემა რაოდენობით მოიპო-ვებოდნენ, ამიტომაც საქმე ისე დატრიალდა, რომ მონღოლთა და საქარ-თველოს შუამავლად სპარსელი მოხელეები გახდნენ: სამოქალაქო და საფინანსო მართვაგამგეობა თითქმის მთლიანად მათ ხელში იყო.

ასეთ პირობებში მონღოლთა გამოუდელობის გამო და დაბყრობი-ლი ქვეყნებისადმი მათი დამოკიდებულების წყალობით, რომელთაგაა ისინი ფულს და ქონებას თხოვულობდნენ, ანგარებისაგან თავის დაცვა. ძალიან ძნელი იყო. ბოროტმოქმედება საფინანსო სამმართველოში და გადასახადების აქტეფის დროს, ძალმომრეობა და ცარცვა-გლუჯა ჩვეუ-

ლუბრიც მოვლენად ჩქა. ამას ზედ მონლოლთ ბატონიშვილებისა და დიდი სამხედრო ხელისუფლების თავიშვებული თვითნებობაც დაერთო.

მონლოლთა საყაენოში მაინც აღმოჩნდა შთამომავლობით მონლოლივე მოხელე, ა. რ ლ უ ნ-ა ლ ა დ წოდებული, რომელიც უცლურული დმ-ჭერლობის მცოდნე იყო და ამიტომაც სახელმწიფო მიზნების თვალსაზ-რისით მთელი მოსახლეობისა და საბრძანებლის აღწერისა და აღთვალვის განსახორციელებლად გამოსადეგი აღმოჩნდა. მონლოლთა ყავნის უნდოდა ვაჟები, რამდენი ჯარის გამოყენა შეეძლო თავის სამფლობელოდნ გა-კირვების დროს და რამდენი გადასახადი უნდა შემოსვლოდა მას მრა-ვალრიცხვანი ქვეშვერდომებისა და ყმადნაფიცებისაგან.

1254 წელს მთელ მონლოლთა საბრძანებელში ხალხის აღწერა დაი-წყო. სხვათა შორის ასეთივე ხალხის აღწერა საქართველოშიც მოახდი-ნეს. რაյო ხალხის აღწერას ორი მიზანი ჰქონდა დასახული, ე. ი. სამხედ-რო და ფინანსისური, ამიტომაც აღწერის დავთარში ერთი მხრით მო-სახლეობის შესახებ შეკვენდათ ცნობები, მეორე მხრით ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. პირუტყვა, ყოველგვარი უძრავი ქონება, ყანა, ვენახი, წალკოტი, ბოსტანი, კველაფერი ეს აღნუსხული იყო. ამგვარად, მოსახლეობის მთელი მოძრავ-უძრავი საკუთრება და ქონება მონლო-ლებს აღნუსხული ჰქონდათ.

ხალხის აღწერის დამთავრების შემდეგ, მონლოლთა ხელისუფლებას საშუალება ჰქონდა გამოერევია, რამდენი მეომარი უნდა გამოერევიან საქართველოს ბრძოლის ველზე. თითოეულ ცხრა სრულფულებიან კომლს მონლოლებისათვის ერთი მოლაშქრე უნდა მიეცა და ამ აღთვალ-ვისა და აღრიცხვის კვალობაზე მათ გამოუანგარიშებიათ, რომ ყოველ-წლიურად საქართველოს უნდა 9 ლუმანი კაცი მხედარი მიეცა, ე. ი. 90 ათასი მოლაშქრე.

90 ათასი მოლაშქრე, მაშინდელ საქართველოს სამეფოში 810 ათას სრულფუძიან მოსახლე კომლს გვაგულისხმებინებს. კომლზე 5 სულის გარაუდით, რ მ დ რ ი ნ დ ე ლ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ რ ს ს ა ხ ე ლ მ წ ი-ფ თ შ ი, სულ ცოტა, 4.050.000 ორივე ს ქ ე ს ი ს მ ც ხ ი ფ ი უ ნ დ ა ვ ი ა ნ გ ა რ ი შ ი თ, ხოლო რაიო 90 ათასი მოლაშ-ქრის გარაუდი იმ პრინციპზე იყო დამყარებული, რომ ხალხის აღწერის დავთარში შეტანილი უნდა ყოფლიყო მარხობითი სქესის მოსახლეობა 15 წლიდან მოყოლებული 60 წლამდე, მათზე უმცროსი და მათზე უფრო-სებიც-კი დაკარიზმი არ შეჰქონდათ, ამ მიზეზის გამო შესაძლებელია ითქვას, რომ მაშინდელ საქართველოს სამეფოში სულ 5 მილიონამდე მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო. ამ რიცხვში, რასაკვირველია, მარტო ქართველები არ შედიოდნენ, არამედ სხვა ეროვნების ის წარმომადგე-ნელნაც, რომელნიც საქართველოს სახელმწიფოს ექუთვნოდნენ. ამ ცნობებიდანაც მაინც ჩანს, თუ რამდენად მჭიდრო მოსახლეობა იყო მაშინდელ საქართველოში, იმისდა მიუხედავად, რომ მას უკვე ჯალ-

ედინისა და ჩინგისხანის ორი შეძლევის საშინელება პქონდა გამოვლილი, და ხალხიც ამ ორ შემოსევას საკმაოდ შეწირა მსხვერპლად.

ხალხის აღწერის დამთავრების შედგენის შემდგომ მონლოლთა ხელისუფლებამ გადასახადების სისტემის მოწესრიგებაც სცადა. მარტი ის ვარემოებაც, თუ რა ცნობები შეუტანინებიათ მონლოლებს მოსახლეობისა და ქონებრივი მდგომარეობის აღმნესს ხელი დავთრებში, ცხადად ამტკიცებს, რამდენად ფართოდ პქონდათ მათ საგადასახადო დაბეგვრა პოწყობილი. შეიძლება ითქვას, რომ მეურნეობის თითქმის არც ერთი დარგი არ არსებობდა, რომლის დაბეგვრა მათ არ განეზრახათ. სასოფლო მეურნეობაზე დაფებულ საყაენო გადასახადს მაღალი ეწოდებოდა. ვალს გარდა, არსებობდა მაშინ ყ ა ფ ჩ ე რ ი, ანუ ყ უ ფ ჩ უ რ ი, რომელიც ქართულ ტერმინს საბალა ხ ე ს უდრის. ას სულ საქონელზე ერთი სული უნდა გამოყენათ და მონლოლებისათვის მცეცათ. შემდეგ ხანაში ეს საბალახე ფულად გადასახადად გახადეს და შეძლებისადაგვარად განსაზღვრული იყო, რომ 10 ღინარის მოყოლებული (ყველაზე შეძლებული) ერთ ღინარამდე იხდიდნენ. უმცირეს გადასახადს მცირე შეძლების მქონებელი იხდიდა.

მონლოლებს სავაჭრო გადასახადიც შემოულიათ, რომელსაც დამღაცებდნენ: ასი თეთრის ლირებულების ნასყიდობაზე სამჩ თეთრი, ანუ 3%, საყაენო დამღაც უნდა გამოერთმიათ.

ამ სახელმწიფო გადასახადების გარდა, სამოხელეო სარგოდ განკუთვნილი გადასახადებიც არსებობდა, რომელთაც უ ლ უ ფ ა ეწოდებოდა. მონლოლთა ათასეულის უფროსის, ანუ ათასეულის ნოინისათვის ყოველ სოფელს უნდა ერთი კრავი და ერთი დრაჟანი (ოქროს ფული) მიეცა ულუფად, ხოლო ათასასეულის უფროსისათვის, რომელსაც დ უ მ ე ნ ნ ო ი ნ ი ეწოდებოდა, ერთი ცხვარი და ორი დრაჟანი უნდა მიერთმიათ ულუფად.

დასასრულ, მონლოლთა საყაენოში ბ ე გ ა რ ა ც არსებობდა: ერთი სამხედრო ბეგარა იყო, რომელსაც მონლოლურად თავდაპირებელად ყ ა ლ ა ნ ი ეწოდებოდა, ქართულად მას სა ლ ა შ ქ რ ი ს ეძახდნენ. თავდაპირებელად ყალანი სამხედრო ბეგარა იყო. მონლოლთაგან დაწესებული მისი გარსული ჩევნ უკვე გაციო. შემდეგ ყალანიც ფულად გადასახადად აქციეს, მაგრამ თავისდათავად სამხედრო ბეგარაც არსებობდა.

მეორე ბეგარას საიამე ერქვა. მონლოლებს ყველა შარაგზებზე, ერთი-ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით, საღგურები პქონდათ აგებული, რომელსაც იამე ეწოდებოდა. ამ საღგურებზე მოსახლეობას ყანებისა, ელექტრისა, მოცუქულებისა და მოხელეებისათვის, პატონიშვილებისათვისაც ცხენები უნდა ჰყოლოდა დამზადებული და კვებაც უნდა დაეხვედრებინა; საღგომიც უნდა მიეცათ იმ სოფლებს, რომელთაც პქონდათ ასეთი იამების მომსახურეობა დავალებული. სხვა

გადასახადები არა ედოთ რა, მაგრამ ამ ბეგარის მოხდა ისეთ საშინელ ტვირთს წარმოადგენდა, რომ სოფლებიდან ზღუდეს გარბოდა, ოლონც საიმე ბეგარისაგან როგორმე: თავი დაელწია.

ამ ზემომოვანილიდანაც ჩანს, თუ რამდენად მძიმედ იყო მონღოლთა გადასახად-გამოსალებელ ბეგრით ტატვირთული მოსახლეობა საქართველოში. ეს ყველა გადასახადები, კანონიერადც რომ ჰქონოდათ აურეფილი და ბეგარაც რომ წესერიად გადაეხდეინდინათ. მაინც მისი ატანა ძნელი იყო. მაგრამ ამ კანონიერს გადასახადზე და ბეგარაზე მეტს უბედურებას მონღოლთა მოხელეების ურცხვი და თავაშვებული თვითნებობა და და ბოროტმოქმედება შეაღვენდა. მაშინდელ უცხოელ მოგზაურების ცნობებითაც და ყველა ქვეყნებისა და ეროვნების ისტორიკოსების მოთხოვნებითაც რკვევა, რომ ხარჯის ამტკეცი მოხელეები და თვით მაღალი თანამდებობის პირებიც-კი არასდროს კანონით განსაზღვრული გადასახადების ოდენობით არ ქმაყოფილდებოდნენ, ასამედ მიქეონდათ ყველაფერი, რის წალებაც შეეძლოთ. ამრიგად გადასახადების აკრეფა უფრო ყაჩაღთა ბრბოს თარეშს მთავავდა. ვიდრე სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას. ამის გამო XIII საუკუნის განმავლობაში მონღოლთა საყვენოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, არა ეროვნელ მომხდარი აჯანყება.

მონღოლთ სახელმწიფოს შემქმნელს მიზნად ორი ამოცანა ჰქონდა დასახული: რაც შეიძლება მეტი ქვეყნების დაპყრობა და რაც შეიძლება მეტი ნადავლისა და ქონების დაგროვება. ამიტომაც, ყოველი ახალი დაბურობილი ქვეყნის ქონებრივი სახსრის ამოწურვის შემდგომ, მათ დაუცხრომელი წალლი უჩნდებოდათ, რომ სხვა კიდევ დაუმორჩილებელ ქვეყანაშიც შეჭრა და დაპყრობა მოქმედინათ: მოლაშერეობა და ომიანობა მათ სტრიურ მოთხოვნილებას წარმოადგენდა.

მონღოლთა უბინადრობის წესი ამ მიზნების განსახორციელებლად მათ განსაყუთოებულ უბირატესობას ანიჭებდა: იმ დროს, როდესაც ბინადარ კულტურულ ხალხებს ბრძოლის ველზე თავისი გაყვანილი ჯარის დანაკლისის შესასვებად დამატებითი ძალა უნდა თავისი ქვეყნებიდან ზოგიერთ შემთხვევაში შორ მანძილზე გაეწვიათ, მონღოლები, როგორც უბინადრო ხალხი, საომრად. მთელი თავიანთ ოჯახებითურთ მიღმაღდნენ და კოლშეცილი და ყველა სხვა ნათესავებიც მათ თან მისღევდნენ. ამის წყალობით დანაკლისის შევსება მათ აღვილად შეეძლოთ, ეს, რა თქმა უნდა, სამხედრო თვალსაზრისით, დიდ უბირატესობას წარმოადგენდა.

სამხედრო მოქმედება ყველაზე უფრო ხელსაყრელი ხელობა იყო მონღოლებისათვის და შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. სანამდის მათ ძლევამოსილი ლაშერების საშუალება ჰქონდათ, ყოველი ახალი ქვეყნის დაპყრობა და გამარჯვება მათ დიდალ ქონებას უგდებდა ხელში და მდრღარი, მჭიდროდ დასახლებული, კულტურული ქვეყნის გაძარცვის

სრულ საშუალებას უქმნიდა. რაკი მონოლური წესით ყველა ყმადნა-ფრცი სამეფოები და სამთავროები ვალდებული იყვნენ მათთან ერთად სალაშქროდ გასულცევნენ, ამიტომაც დაბყრობილი ქვეყნის ქონება და სიმდიდრე ასეთ ლაშქრობაში მონაწილე სხვა ეროვნების ჯარისკაცებსაც უკარდებოდა ხელში. ასეთ ქონებას ნაცის ხლი ეწოდებოდა, რადგან მისი შეძენა მხოლოდ სისხლის დაღვრით შეძლებოდა.

ზემოთ აღნიშნული გზით ქონების დაგროვება, მონოლებთან ერთად მებრძოლ სხვა ხალხების წარმომადგენლებისათვისაც იმდენად მიმზიდველი შეიქმნა, რომ ისინვე ამგვარი სახსრით ცხოვრებას მიეჩვიგნენ. მონოლოთა მაშინდელ საბრძანებელში შემავალ სხვადასხვა სამეფო-სამთავროების შეთხელებული ქონების შესავსებად ეს ერთადერთი წყარო იყო. მაგრამ სრულებით ცხადია, რომ ასეთი გზით გამდიდრება უმთავრესად მაღალი სამხედრო პირების ხევდრს წარმოადგენდა. წევეულებრივ მოლაშქრეს, რასაკიირელია, იმ ნაწარების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ჩაუკარდებოდა, სამაგიეროდ ყოველი ასეთი ლაშქრობა ხალხის სიცოცხლის განწირებასთან იყო დაგავშირებული.

რაც უფრო დრო მიდიოდა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ერები წინააღმდეგობის გაწევას ეჩვეოდნენ, თანდათანობით მონოლებისათვეს ძლევამოსილი ომის წარმოების შესაძლებლობაც სულ უფროდაუფრო შემცირდა. შემოსავლის ეს წყაროც, ან მთლიანად დაიღია, ან არა და მეტისმეტად მცირე შეიქმნა. სამაგიეროდ ყოველი ასეთი ლაშქრობა ქვეყნის მოსახლეობისათვის ორგვარი თვალსაზრისით იყო საზიანო: ჯანსაღი შრომისუნარიანი მამაკაცი ნაყოფიერ მუშაობას სცილდებოდა თავის ქვეყანაში, უცხო ქვეყანაში ლაშქრობის ბევრი მათგანი თავის სამშობლოში ხომ ველაც ბრუნდებოდა, არამედ თავისი სიცოცხლე იქვე უნდა გაეწირა. მაგრამ ამგვარად იმას გარდა, რომ ქვეყანას ინტენსიური შრომის გაგრძელების საშუალება აღარ ჰქონდა და ამის გამო დაწინაურებული მეურნეობა და კულტურაც უნდა დაკვეთებულიყო, მცხოვრებთა რაცხვიც ხომ ამ მოჭარბებული მოლაშქრეობის წყალობით საგრძნობლად შემცირდა და ყველა ამ ქვეყნებს განსაცდელს უმზადებდა.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად იყო მაშინდელი საქართველო სამხედრო ბეგრითა და მოლაშქრეობით დატვირთული, შესაძლებელია აღნიშნოს, რომ 1249 წლიდან მოყოლებული 7 წლის განმავლობაში მუჭლიდების წინააღმდეგ მიმდინარეობდა ომი, რომელიც 1256 წელს ალამუტის ციხის დაბყრობით დასრულდა. მაგრამ ამას მოჰყვა ამი ხალიფასთან, რომლის დროსაც 1258 წელს მონოლებმა ქალაქი ბალდადი აიღეს და მთლიანად გაძარცვეს, ხოლო ხალიფა სიკვდილით დასაჯეს. უკვე 1259 წელს ერანის ილხანი თავისი და ყმადნაფიცი ქვეყნების ლაშქრითურთ ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ ამხელდა. ყველა

ამ ომებში, მონლოლოა ყველა ყმაღნაფიც ქვეყნებთან ერთად, საქართველოს ჯარიც იღებდა უნებლიერ მონაწილეობას და, რა თქმა უნდა, თოთოვეულ ამ ლაშქრობას ბევრ ქართველ მეომართა სიცოცხლეც შეეწირა.

## საქართველოს სახელმწიფო ფესტივალების უმაღლეს მოცლოლთა გატონირისა და ორთა მეფობის ხანაში. ამსახურის ჯირზე აღვავება და დამხმაბა

მონლოლთა წესით, სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად, საქართველოს მეფეებს ისევე, როგორც სხვა ყმაღნაფიცს სამფლობელოების გამგეებსაც, მონლოლთა ყაინის ურდღოში გამგზავრებაცა და იქ სანგრძლივ ყოფნაც ხშირად უნდებოდათ. ამას გარდა, რაფი მათი წესით ყოველ მათ ლაშქრობაში საქართველოს ჯარი თვითონ მეფის უშუალო მეთაურობით უნდა გასულიყო, ამიტომაც საქართველოს მეფეებს საშუალება აღარ ჰქონდათ, რომ თავიანთ ქვეყანაში დაჩინჩილდებოდნენ და თავიანთი ენერგია ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის მოენდომებინათ. ასეთ პირობებში მეფე იძულებული იყო, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა კისთვისმე ჩაეგარებინა.

ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, მეფის უშუალო თანაშემწევე მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა ყოველთა უპირველესი იყო, მაგრამ მონლოლთა ბატონობის ხანაში ეს ძევლი პრინციპი უკვე საკმაოდ შეირყა: იმდენად კანონს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ პირად ნდობას და მყარებულს დაკალებას.

ბათო ყაენმა რომ დავით V ულუ თავის ჭრდიში დაიბარა, გამგზავრების წინ ქვეყნის მართვა-გამგეობის მწიგნობართ. უხუცესისათვის მინდვობის მაგირე, თავის მოადგილედ დელფონალი ჯიგდა-ხათუნი და მესტ უმრეს ჯიგდა დანიშნა. იმდროინდელი ქართული სახელმწიფო სამართლით, დელფონალი სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა, მხოლოდ მონლოლთა წესწყობილება ანდებდა ყაენის ცოლს ასეთ უფლებას და ამ შემთხვევაშიც მონლოლური წესწყობილების ანარექლი გვაქვს. ამაზე უფრო მეტსა და კანონის ვაუგონიარ შელახვას ქვეყნის საზავეში ჯიქურის დატოვება წარმოადგენდა, რადგან სრულებით ცხადია, რომ ჯიგდა-ხათუნს, როგორც მონლოლთა ბატონიშვილს, საქართველოს მდგომარეობის შესახებ მცირე წარმოდგენა უნდა ჰქონოდა და ყველაფერი მესტუმრე ჯიქურშე უნდა ყოფილიყო დამყარებული, რომელიც ამიერიდან შეის მთავარი მრჩეველი და ქვეყნის ნამდვილი მესაჭე გახდა.

შესტუმრე მანდატურთ-უხუცესის შეოთხებარისსხვანი ხელქვეშეთი მოხელე იყო და სრულებით ცხადია, რომ ასეთი დაბალი თანამდებობის პირისათვის ქვეყნის მართვა-გამგეობის გადაცემა იმას უდრიდა, რომ

ჯველა ვაზირები, მათ შორის მწიგნობართ-უხუცესიცა და მისი უშუალო უფროსი მსნდატურთ-უხუცესიც-კი უნდა დამორჩილებოდნენ. ასეთ საქციელს, თავისთვალი ცხადია, შეუძლებელია დარბაზის კარსა მყოფ და სხვა დიდ ხელისუფალთა და მთავრობის სათავეში მოქცეულს ჯიქურს შორის უთანხმოება და შეულლი არ ჩამოეგდოთ.

პირადად მესტუმრე ჯიქური მარჯვე და ენერგიული პიროვნება გამოდგა. დავით V რომ ბათო ყაენთან მიემზებარებოდა, მან საქვეყნოდ გამრიგეთა შორისაც ზოგი ისეთი პირი ამოარჩია, რომელნიც მან განსაკუთრებული ნდობით აღჭურვა და გარევეული თემების მართვა-გამგეობა მათ მიანდო კახეთი ამგვარივე წესით თ ო ღ ღ ღ ღ პ ა ნ ე ღ ლ ს ჰქონდა მინდობილი, მაგრამ საქვეყნოდ გამრიგე ჯველა ასეთი მოხსელეებიც უნდა ჯიგდა-ხათუნსა და ჯიქურს დამორჩილებოდნენ. რასაკვირველია, ესეც გაუგონარი ამბავი იყო, რამდენადც ქართული სამართლისა და სამოხელეთ წესწყობილების უფროს-უმცროსობის წესი აქ სრულებით დარჩევული იყო.


ჯიქური მზრუნველი მმართველი გამოდგა. საქართველოში სრული უშიშროების დასმყარებლად მან მკაცრი ღონისძიებით ქუჩდ-ავაზაკების ალაგმვაცა და თვით ამ ბოროტმოქმედების მოსპობაც მოახრეს. ურჩ საქვეყნოდ გამრიგებელთა დამორჩილებასაც ცდილობდა შეუწეოებლივ. ქვეყნის ასეთ გამრიგებულ მდგომარეობაშიც-კი, მას აღმშენებლიბისათვის საჭირო სახსრები უშოვნია. დასარულ, მისი გული ლარიბლატავებზე და ქვრივ-ობლებზე მზრუნველობითაც სავსე ყოფილა.

ასეთი ღირსებისდა მიუხედავად, რასაკვირველა, მას შემდგომ, რაც სახელმწიფო სამართლის დარღვევის მაგალითი თვითონ მეფებმე უჩვენა-თვეის ქვეშევრდომებს და მოხელეთა უფროს-უმცროსობის განრიგებაში ასეთი აღრევა შეიტანა, მტრობის თესლიც ამით ჩათვალი იყო, რა გასაკვირველია, რომ ამას შესაფერისი ნაყოფი გამოელო.

როგორც არაერთხელ მომხდარა, დავით V ულუსაც ბათო ყაენის კარზე ყოფნისას საქართველოს ხანგრძლივ მოუგდიანდა. კახეთის შმართველმა თორმევა პანქელმა გადასწყვიტა, რომ ალბათ მეფე აღარც დაბრუნდებოდა. მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ჯიგდა ხათუნს და ვიღაც მესტუმრე ჯიქურს დამორჩილებოდა. თორმევი კახეთის დასაკუთრება მოანდომა. მაგრამ პანქელის მოლოდინი არ გამართლდა: დავით V დაბრუნდა და, არსებული წესის თანახმად, ყველა დიდი მოხელეები, ისევე, როგორც მოსახლეობა, მეფეს მიეგებნენ, თორმევა პანქელს გარდა, რომელმაც შეშინებულმა მეფესთან მისვლა, რასაკვირველია, ვერ გაბედა. დავით V-მ რომ მომხდარი ამბავი გაიგო, თორმევა პანქელს შეუთვალია, მასთან გამოცხადებულიყო.

მრავალგზისი ასეთი შეთვლილობისდა მიუხედავად, ის არ მოვიდა: თორმევა პანქელს იმდენი გამბედაობა არ ჰქონდა, რომ მეფის წინაშე

წამდგარიყო. მაშინ ჯიქურმა გადაწყვიტა, თვითონ ემოქმედნა: თორლვა პანკელს ხორნაბუჯელი მიუგზავნა და შეუთვალა, რომ უვნებლობის ფიცს მისცემდა და მას არაფერი არ ევნებოდა, თუ მეფის სასიხლეში თავის ნებით მოვიდოდა და წარუდგებოდა. დავალების თანახმად, ხორნაბუჯელმა თორლვას უვნებლობის ფიცი მისცა და თორლვა პანკელი მართლაც მოიყვანა, მაგრამ, დედოფლის ჯიგდა-ხათუნის ჩაგონებით, ფრცმონდობილი თორლვა პანკელი შეპყრობილ იქნა და, მეფის დაუკითხავად, კლდე-კარის ციხიდან გადააგდეს. უკვე ამ უკანასკნელი გარე-მოებიდან ჩასს, რამდენად იყო საქართველოში არსებული სახელმწიფო სამართალი უკვე დარღვეული და რამდენად თავითონ თავს ბატონ-პატრონად სთვლიდნენ ჯიგდა-ხათუნი და ჯიქური, მაშინაც-კი, როდესაც მეფე თავის სამეფოში იმყოფებოდა და მართვა-გამეობაში პირდად და უშუალოდ მონაწილეობის სრული საშუალება ჰქონდა.



ომოგვის ციხე.

მაგრამ ისევე, როგორც მესტუმრე ჯიქური ქვეყნის სათავეში მეფის პირადმა ნდობამ მოაქცია, იმგვარადვე მისი ბედი უკულმა დატრიალდა, რა წამს ჭინანდელი ძლიერი მფარველი მას უკვე აღარ იცავდა. როცა ჯიგდა-ხათუნი გარდაიცვალა და დავით V ულუმ რაჭის ერისთავთ-ერის-

თავის კახაბერიძის ასული გვანცა შემოტო ცოლად და დედოფლად დასვა, ჯიქურს ეს არაფრად მოსწონებია და მათ შორის მტრული განწყობილება დამყარდა. ჯიქურს ეგონა, რომ წინანდებურად ის ბატონ-პატრონი იყო და მცს განწყობილებაზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. ჯიქურის უმაგალითო აღზევებით დიდი ხელისუფალნი, რასაკვირველია, მეტად უკმაყოფილონი ცყვნენ, თვითონ გვანცა დედოფალიც, როგორც რაჭის ერისთავთერისთავის კახაბერიძის ასული, რა თქმა უნდა, ჯიქურის ასეთი გზით აღზევების მომხრე არ შეიძლება რომ ყოფილიყო.

უქმაყოფილო დიდ ხელისუფალთა ჯგუფმა ამ მარჯვე შემთხვევით ისარგებლა და მათი წრიდან უველაზე უფრო მარჯვემ, სუ მ ბ ა თ ორ ბ ლ მ ა, ჯიქურის საწინააღმდეგო ბრძოლის მეთაურობა იკისრა. ჯიქურს მან დასწამა, ვითომც ის ერანის ილხანს ჰულაგუ ყაენს დავით V-ს სიმღიდრეზე საიდუმლო ცნობებს აწვდიდა. საკმარისი იყო ეს ცილისწამება და პოლიტიკური დასმენა დავით V ულუს ყურში ჩაეწეოთ ბინათ, რომ მალემრწმენ შეფეს უმაღლ ეს სრულ ჰეშმარიტებად მიეჩნია. შუალამისას მან თავისი საგანგებო მოხელეები ყოვლად ძლიერი მესტუმრე ჯიქურის დასაქერად გაზიარდა. ბრძანება დაუყოვნებლივ ასრულებული იყო: ის სასახლეში მოიყვანეს, მაგრამ დავით V-ს საქმე არც-კი გამოუძიებია და მან გაუსამართლებლივ მისი სიკვდილად დასჯის განკარგულება გასცა.

როდესაც მეორე დღეს, დილით, თბილისის მცხოვრებლებმა მტკერის პირას რიყეზე გუშინ ჯერ კიდევ ყოვლად ძლიერი მესტუმრე ჯიქურის გვამი გამორიყული ნახეს, ყველანი განცვიფრებული იყენენ და ვერ აეხსნათ, თუ რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი. ჯიქურს მემკვიდრეები არ ჰყოლია და მეფის მრისხანებით წუთისოფელს უკვე გამოსალმებულს მსრუნველი აღარავინ არ აღმოსჩენია, რომ მისი გვამი მაინც დასაფლავებული ყოფილიყო. ამ დროს სწორედ ღარიბ-ღატაქნი და ქვრივ-ობლები, რომელნიც მრავალჯერ მისი მზრუნველობით იყენენ დავალებული, შეიყარენ და დავით V ულუს ვეღრებით წარუდგნენ, რომ მათთვეს ჯიქურის დასაფლავების ნება დაერთო. მალემრწმენი დავით V როგორც ეტყობა იმ დროისათვის უკვე დარწმუნებულა, რომ მისი მსჯავრი იჩქარებით ცყო დადებული, და ღარიბ-ღატაკებსა და ქვრივ-ობლებს თხოვნა აუსრულა. მათაც შეერთებული ძალით დამარსეს, წრფელი გულით დატირეს მესტუმრე ჯიქური, რომელსაც მათი გაჟირები-სათვის გული შესტკივოდა და მათი მფარველი იყო.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მესტუმრე ჯიქური იმიტომ-კი არ დაიღუპა, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული პოლიტიკური ბრალდება მართალი იყო, არამედ ქართული სახელმწიფო სამართლისა და მოხელეთა უფროს-უმცროსობის წესის დარღვევით გამოწვეული შულლისა და სოციალური ბრძოლის მსხვერპლი შეიქმნა.

## საქართველოს მიმე ეკონომიკური მდგრადაპროგრამის მოლებელთა ბატონობის ხარჯი

საქართველო. უკვე ჯალალედინის შემოსევა-თარეშისა და მონალ-ლებისაგან დაპყრობისათვის ბრძოლის დროს ძალზე დაზარალდა. მონალოლთა გაბატონებამ და მათმა მძიმე ხარჯ-ბეგარებმა, მეტადრე-კი მათ მოხელეთა ბოროტმოქმედებამ ხომ ხალხი უკიდურეს გასაჭირები ჩააგდო: ცხოვრება აუტანელი შეიქმნა: პულაგუ ყაენმა კიდევ ახალი გადასახადი შემოილო, რომელსაც თაღარი ეწოდებოდა. ეს გადასახადი კაცის თავზე იყო დაწესებული და შემდეგ გამოსალებს შეიცავდა: თათოვეულს უნდა გამოეღო 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ლვინო, 2 ლიტრა ბრინჯი, საში თოფრაკი, 2 საბელი, ერთი ისარი, ერთი ნალი და ერთი თეთრი (ე. ი. ვერცხლის ფული), ხოლო 20 სულ პირუტყვზე ერთი პირუტყვი, ანუ 5% და 20 თეთრი (ე. ი. ვერცხლის ფული).

მოელი ეს ხარჯ-ბეგარა-გამოსალებების ტვირთი, რასაკვირველია, უმთავრესად ხალხს აწევებოდა: მაღალი წრეები ტვირთის უდიდეს ნაწილს სწორედ ხალხს, მშრომელ მოსახლეობას გადაადებდნენ, და ამიტომაც მონალოლთა ბატონობის დროს ხალხის ეკონომიური მდგომარეობა საზარელი გახდა:

მონალოლთა მძიმე მეხარჯეობას ზედ აგრეთვე დიდგვარიან მოხელეთა თვითნებობაც დაერთო, რომელიც, გაჭირვებაში ჩავარდნის შემდგომ. ვითარცა ფუფუნებით სასეს ცხოვრებას მიჩვეული, თავიანთი მოთხოვნილებს დაკმაყოფილებას ისევ თავიანთი ჰემბისა და ხელქვეშეთი მოსახლეობის დაბეგრით ცდილობდნენ. ხალხის ყვლელა, ამგვარად, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოსახლეობის ასეთი მდგომარეობა იმდენად საერთო მოვლენად იქცა, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი თვით ეკლესის მსახურნიც-კი თავიანთი შეთხელებული შემოსავლის გადიდებას უკანონო გზით ცდილობდნენ.

ისევე, როგორც თავის დროზე, 1218 წელს, ანისის ხუცესნი, მაშინ-დელი ეკონომიური გაჭირვების შემსუბუქებას თავიანთი გასამრჩეველოს გადიდებით ლამობდნენ, ამ შემთხვევაშიც დმანისის სამღვდელოებასაც, უკანონო საშუალება გამოუყენებია: გვირგვინთა კურთხევისათვის კუთვნილი გასამრჩევლო თავის დამატებით წყაროდ უჭიცევა. დმანისის საყდრის ცედლის წარწერაზე დმანისის ეპისკოპოსის ორიშწული აქეს, რომ დმანისის სამღვდელოება გვირგვინთა კურთხევის დროს ისეთ ქალვაჟთა, რომელთაც ერთმანეთში არავითარი ნათესავობა არ ჰქონდათ, ქორწინების ნებართვისათვის თურმე დამატებითს ფულს სთხოვდა და სანამ ამ ფულს არ მისცემდნენ, ჯვარს არ სწერდა. ისევე, როგორც თავის დროზე ანისის სამღვდელოების საქართველო ეპიფანე კათალკონბა,—დმანელ ეპისკოპოსმაც დაპეტო და გაუქმა.

რასაკვირველია, მონალოლთა ბატონობის დროს მოსახლეობის ყველა

ფენა, ვაჭრების გარდა, რომელთაც მონღოლები განსაკუთრებულ მფარველობას უშევდნენ და რომელთაც ყოველგვარი ხელშემწყობი პირობები ჰქონდათ შექმნილი, გაჭირვებაში იყო ჩაგრაზნილი. მაგრამ მანც უნდა ითვას, რომ ვაჭრების შემდეგ, მონღოლთა ბატონობის დროს, მოსახლეობის სხვა ყველა ფენებზე უკეთეს მდგომარეობაში სწორედ ეკლესია იმყოფებოდა: ეკლესიას შეუვალობის შეღავათი ჰქონდა, ბევრ გვარი გადასახადებისავან ის განთავისუფლებული იყო. ცხადია, რომ ქვეყნის და მთელი მოსახლეობის ეკონომიკური გაჭირვების შედეგი ეკლესიასაც უნდა ეგრძნო. ისიც უეჭველია, რომ არც მისი მსახურინი უნდა ყოფილიყვნენ მაინც-და-მაინც კარგ მდგომარეობაში, მაგრამ სხვებზე უკეთეს პირობებში რომ იმყოფებოდნენ, ეს სრულებით ცხადია. ყველგან სიღარიბე იყო. ამის დამაღასტურებელი ცნობები მოგვეპოვა ბლომად, მაგრამ ყველა ფენაზე მძიმე პირობებში გლეხები იმყოფებოდნენ, რომელთა მდგომარეობა ამ სანაში უკიდურესა შეიქმნა.

თვით საქართველოს შეფეც-კი გატირებულ მდგომარეობაში ჩავარდნილა იმის გამო, რომ მონღოლთა მოხელეები სამშარეულოსათვის შეძენილ ყოველი მასალისათვისაც-კი ბაჟს ართმევდნენ.

ცხადია, თუ რაოდენი უკმაყოფილება უნდა ყოფილიყო საქართველოში ასეთი მდგომარეობის გამო.

## მოცელობის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება საჭართველოში

აუტანელი ეკონომიკური გაჭირვების ნიდაგზე საქართველოში აჯანყებამ ითვეტქა. აჯანყებას მეთაურობა ჯერ დავით IV ნარინმა იკისრა. საფიქრებელი იყო, რომ მას დავით V ულუც მიმშერებოდა, მაგრამ ის ამ საქმეში არ გარეულა, ალბათ იმიტომ, რომ, როგორც მონღოლთა წყალბით გამეფებულს, მას უფრო მეტი მორჩილება და უფრო მეტი ერთგულების დატტკიცებაც მართებდა. ამ გარემოებას აჯანყების მიზანშეწონილობა უნდა სათუოდ გაეხადა, რამდენადაც ეს თავიდანვე საქართველოს სამხედრო ძალის დაქსაქსებას უდრიდა. მაგრამ ხალხის აღმფოთება მდედრნად დიდი იყო, რომ ასეთმა არახელსაყრელმა მდგომარეობამ აჯანყებულთა სურვილი ვერ შეაჩერა და აღელვებულ ხალხს დავით IV ჩაუდგა სათავეში.

ეს აჯანყება 1259 წელს დაიწყო და აჯანყებულთა და მონღოლთა ჯარს შორის ბრძოლა მოხდა. რასაკვირველად, მონღოლთა ბანაკში დავით V ულუს მეთაურობით მონღოლთა ერთგულად დარჩენილი აღმოსავლეთის საქართველოს ჯარიც უნდა ყოფილიყო და უკვე ეს გარემოება საბედისწერო კითარებას წარმოადგენდა, რადგანაც ამნაირად უნებლიერ ძმათა შორის სისხლის ღვრაც მოხდებოდა. ბრძოლა თავდაუზო

გავი იყო და მან დიდალი მსხვერპლიც შეიწირა. ორთაუე მხრით გულა-დად იბრძონენ, მაგრამ ვამარჯვება მაინც ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. დავით IV-ს მეთაურობით აჯანყებულთა ჯარიმა შონლოლთა ლაშქრის საქმაო დაზიანება შესძლო, იმდენად მაინც, რომ მეშველი ჯარის დახმარების გარეშე მას ბრძოლისათვის ძალა აღარ შესწევდა. მაგრამ თვით აჯანყებულნიც ძალზე დაზარალდნენ და მონლოლთა დამარცხება ვერ მოახერხეს.

ა რღუნ ნო ინი, რომლის მეთაურობითც ჰულაგუ ყაენის ლაშქარი იბრძოდა, იძლევებული იყო თავის მბრძანებელთან დაბრუნებულიყო მეშველი ჯარის სათხოვნელად. ყაენმა ეს თხოვნა, რასაკვირეველია, დააქმაყოფილა და ბრძანება გასცა, რომ საქართველოში არღუნ ნოინის მეთაურობით 20 ათასი საუკეთესო მეშველი ჯარი გაეტანებინათ. ამავე დროს ჰულაგუ ყაენმა დავით V ულტრა ბრძანება გამოუგზავნა, რომ ის მონლოლებთან ერთად ეგვიპტის სულტანზე გასალაშქრებლად მომზადებულიყო და ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო.

დავით V-მ თავისი მეუღლე, გვანცა დელოფალი, და უფლისწული დემეტრე, შემდეგში თავდადებულად წილებული, ბიჯნისში გაგზავნა, თვითონ-კი ჯარითურთ დაიძრა და სამცხეში მივიღა იმ მიზნით, რომ იქიდან ეგვიპტისაკენ ებრუნებინა პირი. სამცხეში მისვლისას, დავით V სამხედრო თათბირი მოიწვია, რომელზედაც მონაწილეთ განუცხადა, რომ მას მონლოლებთან ერთად ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ გალაშქრება არ ჰსურს. ეს, რასაკვირეველია, მონლოლების წინააღმდეგ აჯანყებას უდრიდა. დავით V დამსწრეთ შეეკითხა, რას იტყოდნენ და რას ურჩევდნენ, თანაც მან დაუმატა, რომ ის ყველას თავისუფლებას აძლევს, ისე მოიქცეს, როგორც მათ სვინიდისი უკარნახებს.

ასეთი მოქმედება საქმის თავიღიანვე ჩაშლას უდრიდა. თუ აჯანყება საჭირო იყო, დავით V-ს უნდა დავით IV-ს მეთაურობით აჯანყებულ საქართველოსათვის დაეჭირა მხარი, რომ ქართველი ერი და ქვეყანა ერთობლივი ძალით შებრძოლებოდა მტერს. მას შემდგომ, რაც მისივე პრალით აჯანყება უშედეგო გამოდგა და ჩაიშალა, ხელმეორე ასეთ ცდას, ამასთანავე გაცილებით უფრო უარეს პირობებში, რა აზრი ჰქონდა, როდესაც არღუნ ნოინს თან სრულებით ახალი მეშველი მონლოლთა კუარი უნდა მოეყენა. ამის გარდა, თუ ის აჯანყებას იწყებდა, რა აზრი ჰქონდა თავისუფლების მიცემას და როგორ შეიძლებოდა რომ თითოეული მათგანისათვის ნება დაერთო, ისე მოქცეულიყო, როგორც მათ სვინიდისი უკარნახებდა.

ამრიგად, დავით V-მ საქმე თვითონვე არია. სამხედრო თათბირზე დიდ შოხელეთა უმრავლესობა აჯანყების მოწინააღმდეგებე გამოდგა, უპეველია, იმიტომ, რომ ასეთ პირობებში აჯანყების კვლავ დაწყება უეჭველად დამარცხებოთ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დავით V-მ არც ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და დამსწრეთ განუცხადა, რომ ის მა-

ინც ეგვიპტის სულტანის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონღოლებთან ერთად არ წავა და საქართველოში დასრულდა.

საქართველოში მომვალს არღუნ ნოინს ეკონა, რომ ბრძოლა მოუხდებოდა დავით IV ნარინის მეთაურობით აჯანყებულებთან, მაგრამ დავით IV ნარინმა გადასწუვიტა, რომ აჯანყების და ბრძოლის გაფრძელება მიზანშეწონილი არ იყო. ამტომ მან აჯანყებულთა ლაშქარი თვითონვე დაშალა, ლიხთ იმერეთში გადავიდა და იქ გამაგრდა. არღუნ ნოინმა იქ დადევნება ვერ გაძედა და, ამგარად, ეს აჯანყება თითქოს თავისთავად მოისპონ, მაგრამ სწორედ ამ დროს 1260 წელს დავით V აღმოჩნდა აჯანყებული და არღუნიც მის წინააღმდეგ უნდა შესდგომოდა ბრძოლას.

დავით V-ს მომხრე ძალიან ცოტა-და შერჩა: მისი მთავარი საყრდნობი ძალა ს არ გის ჯაყელი იყო და სამცხის სპასალარის საგამგეოვე ჭარმოხდებული იმ მიწა-წყალს, საღაც მას ფეხის მოყიდება შეეძლო. სარგის ჯაყელს და დავით V, გორგი-ლაშას ძეს, 8 ათასზე მეტი მეომარი არ აღმოაჩნდა.

არღუნ ნოინმა, რომ დავით V-ს აჯანყების ამბავი გაიგო, მაშინვე ამის საპასუხოდ მისი ოანაშეცხედრე, გვანცა დელოფალი, თავის მცირეწლოვანი შეილითურთ დაიჭირა და მონღოლთა ყაენის ურდოში გაგზავნა, თითონ-კი აჯანყებულებთან ბრძოლის სამზადისს შეუდგა.

სარგის ჯაყელს და დავით V-ს ჲამხედრო თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ. რამდენადაც ოინი სამცხეში იყოფებოდნენ, მათ შეეძლოთ სამცხის თემში შესავალ ვიწროებთან გამავრებულიყვნენ და მონღოლებისათვის იქ გასალაშქრებლად ყოველივე ცდა გაეძნელებინათ. მაგრამ ეს უკვე იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ისინი აღმოსავლეთ საქართველოს მონღოლებს უთმობდნენ. ასეთი მთაბეჭდილება რომ არ მომხდარიყო, ამტომ, თუ სხვა მოსაზრებით, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით მაინც სარგის ჯაყელს და დავით V-ს დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ ვიწროებიდან გამოვდნენ, თავიანთი მცირერიცხოვანი ლაშქარი გამოიყვნეს და თავისზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს ახალდაბასთან შეებრძოლნენ.

ა ხ ა ლ-დ ა ბ ა ს თ ა ნ დიდი და სისხლისმღვრელი ბრძოლა მოხდა, რომლის დროსაც, როგორც მოსალოდნელიც იყო, სარგის ჯაყელი და დავით V დამარცხდნენ. შესაძლებელი იყო მონღოლთა ჯარის მეთაური არღუნ ნოინი დამარცხებულებს დასდევნებოდა; მაგრამ ის სიფრთხილით მოიქცა და დადევნება აღარ მოისურვა. შესაძლებელია, ეს აგრეთვე მარტო სიფრთხილით-კი არ აისნებოდეს, არამედ იმითაც, რომ მონღოლთა ლაშქარსაც საქმიან დიდი ზიანი მოუვიდა.

ამრიგად; მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, არღუნმა, აჯანყებული დავით V-ის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხსა და ის იძულებული იყო

კვლავ თავის მბრძანებელთან დაბრუნებულიყო და ისევე მეშველი ჯარი ეთხოვა.

1261 წელს მაისში პულაგუ ყაენმა არღუნი თავისი ჯარითურთ იმავე ამოცანის ასასრულებლად კვლავ სამცხეში გამოვზავნა, მაგრამ ამ ღროვასთვის თვით სამცხეში და საერთოდ მესხეთში ცვლილება მოხდა: მოსახლეობაში განხეთქილებამ იჩინა თავი, მონლოლების წინააღმდეგ განმარტოებული ბრძოლის მომხრე ბევრი აღარ აღმოჩენილა. ზოგიერთი დიდგვარიან აზნაურთაგანი მონლოლებს მიეგებნენ კიდეც. ასეთ პირობებში ბრძოლის გაგრძელება თთქმის სრულებით უმიერთ საქმე უნდა ყოფილიყო. მაინც 20 დღის განმავლობაში არღუნ ნოინის მეთაურობით მოთარეშე ლაშქარი სამცხეს აოხერებდა, ქვეყნას დიდი ზიანიც მიაყნა, მაგრამ ამ ვითარებაშიც მაინც ჯაყელთა საჯდომი ადგილის, ციხის-ჯვრის, აღება ვერ შესძლო, დავით V ვერას გზით ხელში ვერ ჩაიგდო. ამიტომ 1261 წელს იგნისში არღუნი იმულებული გახდა კვლავ უკან დაეხსა.

ასეთი ორგზისი ცდისდა მიუხედავად, მიზნის მიუღწევლობით გაბრაზებულმა მონლოლთა ყაენმა ჯავრი დავით V თანამეცხედრე გვანცაზე იყარა, რომელიც ქაყავლებინა. ამავე ბეჭს მცირეწლოვანი მისი ვაჟი-შვილი ძლიერ გადაუჩნა. ამგვარადვე მოკლულ იქნა ამირსპასალარი ზაქარია შანშეს ძე, რომელსაც თავის ცოლთან, სარგის ჯაყელის ასულთან, საღუმლო მიწერ-მოწერა დაპრალდა. სიკვდილადვე დასჯილი იქმნა, დადებული ხარკის გადაუხდელობის გამო, ხაჩენის (გაჩიანის) მმართველი ჰასან-ჯალალიც.

მესხეთის მოსახლეობაში ჩამოვარდნილი უთანხმოების შემდგომ, მატადრე მას შერე, რაც ზეგიერთი დიდებული მონლოლებს მიეგებნენ, დავით V-ის მესხეთში დარჩენა მიზანშეწონილი აღარ ჟყო: მასაც უნდა შეეგნო, რომ საქართველოს პატარა თემს, განსაკუთრებულად იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ. საქართველოს უმრავლესობა მონლოლთა ხელში იმყოფებოდა და ნებაყოფლობით თუ უნებლიერ მასთან ერთად იბრძოდა, მარტო სამცხეს დიდხანს წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, და თუნდაც რომ გაეწია, ამას ქვეყნის აოხრების გარდა, სხვა არავითარი შედეგი არ შეიძლება მიაჰყოლოდა. ამიტომ სარგის ჯაყელმა დავით V-ს მოახსენა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ პეტრი და უჩია, რომ ისიც ლიხთ-იმერეთში ისევე გადასულიყო, როგორც მასზე უწინარეს დავით IV რუსუდანის ძე მოიქცა.

სხვა გზა აღარ იყო, ეს ჩერევა დავით V-ს უნდა მიეღო, მით უმეტეს, რომ თვითონაც კარგად ხედავდა, რომ მესხეთში დარჩენა მისთვის შესაძლებელია სახიფათოც-კი შექმნილიყო, ამდენადაც მონლოლებს ბოლოს-და-ბოლოს მისი იქ დაჟერა შეეძლოთ. მართლაც დავით V ლიხთ-იმერეთში გადავიდა, საღაც მისი მამიდაშვილი დავით IV რუსუდანის ძე სიხარულით დახვდა.

## ორივე დავით მაცის დასავლეთ საქართველოში გადასცლით უკანილი მდგრადარობა

მონლოლების წინააღმდეგ ცალ-ცალკე მოწყობილი აჯანყება და დაქ-საქსული ბრძოლის შედეგი საქართველოსათვის, რასაკვირველია, საშია-ნო გამოდგა. ამის გამო ხეირიც ამას არავითარი არ შეიძლებოდა დაჭყო-ლოდა. მართალია, მონლოლებმა ვერც ერთი აჯანყებული მეფეთაგა-ნი ხელში ვერ ჩარგდეს, ვერც დასახული მიზნის მიღწევა მოახერხეს, იმ-დენად, რამდენადაც დასავლეთ საქართველოში, ლიხთ-იმერეთში, გა-დასვლა ვერ გაძელეს და, მაშასადამე, აჯანყების მეთაურები მათვის ხელმისურველომ დაჩინენ, მაგრამ სამაგიროდ აღმოსავლეთი საქართველო ბრძოლის ასპარეზად იქცა, ათბრდა და დავით IV და დავით V მიერ აჯან-ყებით დასახული მიზანიც აგრეთვე განუხორციელებელი აღმოჩნდა, მსხვერპლი-კი მეტად დიდი იყო განწირული. ეს აჯანყება-კი შეერთე-ბული, თანხმობრივი ძალით რომ ყოფილიყო წარმოებული, შესაძლებე-ლია მას სულ სხვა შედეგი მოჰყოლოდა. მაგრამ დავით V საქციელის წყალობით, აჯანყება თავიდანვე ისეთ პირობებში მიმდინარეობდა, რომ გამარჯვების მობოვება სრულდებით შეუძლებელი იყო.

თუ სრულიადი საქართველოსათვის ორი მეფის სახელმწიფო ტახტზე ჯდომა უცილობლად ზედმეტად უნდა ყოფილიყო ცნობილი, მთე უმე-ტეს უცნაური მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც ლიხთ-იმერეთში, სა-ქართველოს დასავლეთ ნაწილში, ორი მეფე აღმოჩნდა. აქ, რასაკვირვე-ლია, ბუნებრივად შეიძლება დაბადებულიყო აზრი, რომ ორი მეფე 'აჭი-რო არ არის და ერთ-ერთ მათგანს უპირატესობა უნდა მიეცეს. ასეთი აზრი დაიბადა კიდევ: დიდებულთა და სამეფოს მესვეურთა შორის კა-ზათი და დაჯგუფება ატყდა. ერთი ნაწილი დავით IV ემხრობოდა, მე-ორე ნაწილი—დავით V-ს. ისტორიკოსის ცნობით, თითქოს თვითონ ისი-ნი ამ ბრძოლაში გარეული არ იყვნენ, მაგრამ დიდებულთა წრიში გაცხა-რებული ბრძოლა წარმოებდა.

ამ საკითხის წამოყენების თაოსნობა დავით V-ის მომხრე ამალას ექუთვ-ნის, მაგრამ დასავლეთ საქართველოს დიდებულთა შორისაც აღმოჩნ-დნენ ისეთი პირები, რომელნიც დავით V ემხრობოდნენ და რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა, საქართველოს მესაჭირია დავით V-ს ჰქონდა. დავა იმავე საფუძველს ემყარებოდა, რა საფუ-ძველზედაც წინათ იყო დამყარებული: ქალისა და მამაკაცის მემკვიდრე-ობის უფლების საკითხთან იყო ისევ დაკავშირებული.

დავით V-ის მომხრე ლიხთ-იმერეთის დიდებულ მოხელეთა ჯგუფს რა-ჭის ერისთავთ-ერისთავი კა ხა ბ ე რ კ ა ხ ა ბ ე რ ი ს ძ ე ექუთვ-ნისა, რომლის საგვარეულოდანაც, როგორც ვიცით, დავით V-ის ბიქვდი-ლად დასჯილი თანამეცხელე გვანცა დედოფალი იყო. შემდეგ ქვა-ბ უ ლ ი ს ძ ე ნ ნ ი და ფ ა რ ა ჯ ა ნ ი ა ნ ნ ი. მაგრამ ლიხთ-იმერე-

თის ყველაზე გავლენიანი დიდი ხელისუფალი, საქვეყნოდ გამრიგე მოხელე ბერი და იანი ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს ქ ე, დავით IV-ს ცავდა და სწორედ მისმა გავლენაშ ჩაშალა მთელი ის გეგმა, რომელიც დავით V-ის მომხრებს დავით ნარინს ტახტიდან ჩამოსაგდებად და დავით V საქართველოს ერთადერთ საქეთმპყრობელად ქცევისათვის ჰქონდა შედგენილ.

ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოდან ძალან დამაფიქრებელი ცნობები მოღიოდა: მონლოლებმა ამერითში მეთვალყურედ სომეხი ვინ-შე შადინი დასკეს და მას შმართველად დანიშვნასაც უპირებდნენ. ეს რომ განხორციელებულიყო, არამც თუ ეს საქართველოს ორ პოლიტიკურ ერთეულად გაყოფის მომასწავებელი იქნებოდა, არამედ მონლოლების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს სრულ დაპყრობასაც კი უდრიდა. საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, ეს ისეთ საშიშროებას წარმოადგენდა, რომ ამას არ შეიძლება საქართველოს პოლიტიკის მაშინდელი მესვეურნი. არ დაეფიქრებინა. ამავე საშიშროებით უნდა ყოფილიყო წაკარნასევი დავით V შემდეგი ნაბიჯიც: მან გადასწყვიტა, რომ მონლოლებთან შეთანხმების გარდა სხვა გამოსავალი აღარა იყო რა და მანაც თავისი მოციქულები გაგზავნა ამ საკითხზე წინასწარ მოსალაპარაკებლად და პირობების გასაგებად. გამამხევებელი ცნობის და თანხმობის მიღების შემდგომ, დავით V დასავლეთ საქართველოდან გადმოვიდა, ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ მონლოლთა ყაენის ჟულგუს ურდოშიც გაემგზავრა.

#### დავით V-ის პონდოლებთან შეთანხმება და პლანისავლეთ საჭართველოში გაღმოსავლა

1262 წელს დავით V და სარგის ჯაყელი ურდოში გაემგზავრნენ. იქ მისვლისას გამოირკვა, რომ წინასწარ საქმის გამოუძრებლივ ჰულაგუ ყაენს არაფრის შეპირება არ ჰსურდა. გამოძიება დაიწყო და დავითხეს თვითონ ჰულაგუ ყაენი აწარმოებდა. დავით V უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა, რამდენადაც საერთოდ ენამძიე იყო, ლაპარაკი უძნელებოდა და პასუხის გაცემასაც ვერ ახერხებდა, არამედ სულ სარგის ჯაყელისაკენ იხედებოდა, თითქოს ყველაფერი ამ თემის მმართველის წაქეზებით მომსდარიყოს. ჯაყელმა მთელი ბრალდება მართლაც თავის თავზე მიიღო და ჰულაგუ ყაენს მომხდარი აჯანყების მიზნისა და დასახული მიზნების განსამარტივად წარუდგა. ყაენს ქართულიდან მონლოლურად ს ა დ უ ნ მ ა ნ კ ა ბ ე რ დ ე ლ ი უთარგმნიდა, რომელიც ენაწყლიანი, ნიჟიერი აღამიანი იყო და მოხდენილი თარგმანით უამბობდა იმას, რასაც სარგის ჯაყელი მოუთხოობდა.

სარგის ჯაყელი აჯანყებას ასე ასაბუთებდა: აჯანყება მონლოლთა

მოხელეებისა მეტადრე-კი გადასახადების ამკრეფ ხელისუფლების აუწე-  
რელი ბოროტმოქმედებით იყო გამოწვეული, რომელნიც ხალხს სძა-  
ცვადნენ და რომელთა თვითნებობისა და ძალობრუობისაგან დაცვის  
არავითარი საშუალება არ არსებობდა. ამ დიდი მოხელეების წინააღმდეგ  
თვით მონლოლთა ყაენის კარზედაც არაფრის გაწყობა არ შეიძლებოდა,  
ჩამდენადაც მათი უკანონო ქცევის გასასაჩივრებლად საქართველოს  
მთავრობას კარი დახშული ჰქონდა, მონლოლთა ყაენის კარზე მყოფ ამა-  
ლის მოსყიდულობის გამო. ასეთ პირობებში, აჯანყების გარდა სხვა-  
არავითარი საშუალება აღარ იყო, რომ თქვენ საქართველოს უმწეო  
მდგომარეობისათვის ყურადღება მიგექციათ. ამიტომაც ამ გზას დავა-  
დექით.

სჯეროდა, თუ არა ეს საბუთიანობა პულაგუ ყაენს, არ ჩანდა და არც  
იცოდა ვინმემ, თუ დავით V და სარგის ჯაყელის ბედი როგორ დატრი-  
ალდებოდა, ჩრდილოეთიდან მოსულ ამბავს რომ მოულოდნელად საქ-  
მე სრულებით არ შეეტრიალებინა: იმ დროს, როდესაც ეს საქმე ჰუ-  
ლაგუ ყაენის კარზე ირჩეოდა, მას სასწრაფო ცნობა მოუვიდა, რომ ოქ-  
აოს ანუ ჩრდილოეთის ულუსის საყაენოს დიდძალი ლაშქარი, თვით  
ბერქა ყაენის მეთაურობით, დაიძრა და ერანის ილხანის სამფლობელო-  
ში შესაჭრელად დარიუბანდისაკენ მოემართებოდა. პულაგუ ყაენი უმაღ-  
სამხედრო სამშადისს უნდა შესდგომოდა. ასეთ პირობებში მისთვის, რა  
თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საქართველო ესოდენი  
განსცლელის ჟამს ერანის ილხანების ჯართან ერთად ყოფილიყო და  
მოწინააღმდეგეს არ შიგმხრობოდა. ამის გამო გამოძიება შეწყდა. პუ-  
ლაგუ ყაენმა როგორც დავით V, ისევე სარგის ჯაყელი, მაშინვე საქარ-  
თველოში დააბრუნა იმ დავალებით, რომ უმაღ აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოს მთელი ლაშქრითურთ გამოცხადებულიყვნენ.

მართლაც 1262 წელს ერანის ილხანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი და-  
საქართველოს ჯარი ბერქას წინააღმდეგ დაიძრა, ბრძოლა მოხდა და-  
ზირველს დიდ ბრძოლაში ბერქას ჯარი დამარცხდა. ის იძულებული  
იყო უკან დაეხია. გამარჯვებით გათამამებული ერანის ილხანის ლაშქა-  
რი პულაგუ ყაენის შვილის, აბალას, მეთაურობით კვალდაკვალ მისდევ-  
და. ბერქას ლაშქარი უკვე ქედს იქით იყო გადასული, მაგრამ მეტის-  
მეტად გათამამებულსა და მოწინააღმდეგე ჯარის ძარცვა-გლეჯით გარ-  
თულს ერანის ლაშქარს ბერქას ჯარი 1263 წელს მოულოდნელად თავს-  
დაესხა და ისე საშინლად დაამარცხა, რომ აბალა უფლისწულმა-კი  
ძლიერ მოასწრო გამოქცევა. მისმა ლაშქარმა ხომ სულ მთლიად დაკრიგა-  
ბრძოლის უნარი და გამარჯვებული მტრის წინაშე უწესრიგოდ იხტვდა  
უკან.

პულაგუ ყაენმაც ვეღარაფერი გააწყო: ის იძულებული იყო უბრძოლ-  
ველად დაბრუნებულიყო ერანში და თავის მთავარ საჯაროში ქალაქ თავ-  
რიზში მისულიყო. აქ მან ჯავრი ბერქა ყაენის ქვეშევრდომ გაჭრებზე

იყარა, რომელიც თავრიზში ბლომად იყვნენ და რომელთაც დიდი სა-  
გაჭრა სახლები და საწყობები ჰქონდათ: ყველას მთელი მოძრავ-უძრავი  
ქონება ჩამოართვა და თავი გააგდებინა. შეიტყო თუ არა ეს ბერქა ყაენ-  
შა, ასეთივე წესით პასუხი გასცა და მის საბრანებელში მყოფ ყველა  
გაჭრებს იმგარადვე მთელი ქონება ჩამოართვა და ყველანი დახოცინა.

ბერქა ყაენი ხელმეორე შემოსევისათვის და ჰულაგუ ყაენის წინააღმ-  
დეგ გამოსალაშქრებლად ემზადებოდა. ამიტომაც 1263 წლიდან მოყო-  
ლებული ჰულაგუ ყაენმა თეთრ წყალთან დაიწყო გაკეთება ჭანგრების,  
რომელსაც ისინი ს იბას უწოდებდნენ, რომ იქ თავისი მოსაზღვრე  
ლაშქარი ჩაეყენებინა ჩრდილოეთიდან შემოსეული მტრის შესაკავებ-  
ლადა და იერაშის მოსაგრიებლად. საქართველოდან ყოველწლივ უნდა  
გასულიყო ჯარი და შემოდგომიდან მოყოლებული ზაფხულის დამდე-  
გამდის იქ მდგარიყო.

ეკონომიკი კრიზისის უკიდურესად გაძლიერდა  
საქართველოში. მისი ვენელებისათვის გთავაზობის მიმა  
თავარანი ღონისძიების გამო ათებილი ბრძოლა მკლესიასა  
და მთავრობას ვორის

მრავალნაირი ხარჯ-ბევრა-გამოსალებლებითა და გამუდმებული მო-  
ლაშქრებით გაჭირებულ მდგომარეობაში ჩავირდნილ ხალხს საქარ-  
თველოში ცხოვრება ისე გაუძნელდა და უძრავი ქონება და მიწა ისე და-  
იტვირთა, რომ შეწერილ გადასახადებს თითქმის ვეღარც-კი. ასდიოდა.  
მიწის დამუშავება ასეთ პირობებში ხელსაყრელი აღარ იყო. გადასახა-  
დების შესატანად ფული არ ჰყოფნიდათ. მიწა რომ ხელიდან არ წავ-  
ლოდათ, პირველ ხანებში, იმ იმედით, რომ მომავალში მდგომარეობა გა-  
მოსწორდებოდა, საკრედიტო ამხანაგობათა წევრებისაგან რომელთაც  
ურტალები ეწოდებოდათ, სესხს იღებდნენ. აღებული სესხის დაბ-  
რუნების ვადა რომ დადგებოდა ხოლმე, ვალის. დაბრუნება აღარ შეეძ-  
ლოთ და ამის ვამო მათ მიწა ან ეყიდებოდათ, ან სხვა გზით მისდიოდათ  
შელიდან.

მიწის მფლობელმა და მიწის მომქმედმა, ამრიგად, თავისი მარჩენალი  
შიწა დაკარგა და ამ გარემოებამ საქართველოში დიდი ეკონომიური კრი-  
ზისი დაატრიალა. მიწის დაუმუშავებლობის გამო სიმშილობის აჩრდილი  
აიტუზა. მეორე მხრივ სახელმწიფო ხაზინასაც თანდათანობით შემოსა-  
ვალი სწრაფად უმცირდებოდა. ასეთ მდგომარეობაში სახელმწიფოს სა-  
თავეში მდგომი პირები არ შეიძლება ესოდენ დამაფიქრებელ მდგომა-  
რეობას არ ჩაჰვირებოდნენ და ექონომიური კრიზისის შენელებისათ-  
ვის რაიმე არ ელონთ.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს მწიგნობართ-უხუცესად ბა-  
სილი უჯარები იყო და ამისათვის ყველაზე უფრო გამოსა-  
1:2

დეგი ლონისძიების გამონახვა: სწორედ მის მოვალეობას შეადგენდა. მან გადასწყვიტა, რომ უმიწავეულოდ დარჩენილი მოსახლეობასათვის მიწის დასარიგებლად წინანდელ მეფეთაგან საუკუნეთა განმავლობაში ეკლესიისათვის შეწირული მიწები ყოფილიყო გამოყენებული და საქართველოს მთავრობის სწორედ ამ საშუალებით სცადა ეს ეკონომიური კრიზისი შეენელებინა.

ამგვარმა ლონისძიებამ ეკლესია ოლაშფოთა, რაღაც ამით მას დიდი ჭიანი მოსდიოდა, და მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ ეკლესიისათვის შეწირული მიწების დარიგებისათვის თავი დაენებებინა. მთავრობამ ამ შეამდგომლობას ყურადღება არ მიაქცია. რაკი ამ გზით საქმე ვერ გარიგდა, მაშინ ეკლესის მესვეურებმა თავიანთ საეკლესიო იარაღს მიჰმართეს და, მთავრობა რომ არ განერისხებინათ, მთელი თავიანთი მოქმედება იმ პირთა წინააღმდეგ დაწყეს, რომელნიც მთავრობისაგან ეკლესის წარომეულ მიწებს მიიღებდნენ. მათ ამათუიმ მიწეზის მომიზეზებით, უჯვარობა-შეჩერების დადებით ისეთ მდგრადიერობაში ჩაიყრინა, რომ მიღებულ მიწებზე თვითონ მათვე ეთქვათ უარი.

საეკლესიო შეჩერება და უჯვარობა, მაშინდელ დროში, ისეთი მძიმე სასჯელი იყო, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ვალდებული იყო, ასეთი შეჩერებული პირი ლაშქრიდანაც და სამსახურიდანაც გაეძევებინა და ქონებაც ჩამოერთმია. ამრიგად, ის პირი, რომელიც ეკლესიისათვის წარომეულ მიწას მიიღებდა, არამც თუ ამას დაპარგავდა, პრამედ იმასაც, რაც მას მანამდე ჰქონდა. ეკლესის მესვეურთა ვარაუდით ასეთი მკაცრი სასჯელი ყველას ხალის დაუკარგავდა, ეკლესიისათვის წარმეული მიწები მიეღოთ და თავიანთ საკუთრებად მიეწნიათ.

მაგრამ სასჯელ-დადებულმა პირებმა კარგად ბიცოდნენ, რომ მათ აპეკვარი მკაცრი სასჯელი იმიტომ კი არ ჰქონდათ დადებული, რომ მართლიც დანაშაულობა ჰქონდათ ჩადენილი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეკლესის წარმეული მიწები შიღღეს მთავრობისაგან. ამიტომ ეკლესიისაგან დადებული სასჯელი მათ მთავრობის წინაშე განასახიერეს და სახსოვეს მთავრობას ამ საქმეში ჩარეცულიყო. საქართველოს მთავრობამ თვითონაც იცოდა, რითაც იყო ასეთ შემთხვევებში უჯვარობისა და შეჩერების სასჯელი ნაკარისევი, ამიტომაც ყოველ ასეთ შემთხვევაში განკარგულებას აძლევდა, რომ უკანონოდ დადებული სასჯელი გაუქმებული ყოფილიყო. ამრიგად, ეკლესის შელახული უფლებების აღდგენა ამ საშუალებითაც ვერ მოხერხდა, რის იმედიც ჰქონდათ ეკლესიის მესვეურთ. მათ არ ესმოდათ, რომ ისეთი დიდი ეკონომიური კრიზისის დროს, როგორიც საქართველოს თავს დაატყდა, ეკლესიაც ვალდებული იყო თავისი წვლილი შეეტანა მის შესანელებლად.

რაღაც საქართველოს ეკლესიის მესვეური ფიქრობდნენ, რომ მათი კანონიერი უფლებები შელახული იყო, ამიტომ ცალკეული საშუალე-

ბით მიზნის მიუღწევლობის შემდგომ 1263 წელს საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელმაც საქართველოს მთავრობას ფლტიმატუმი წარუდგინა, რომ ეკლესიისათვის შეწირული მიწების გაცემა შეჩერებული ყოფილიყო და ყველა დარიგებული მიწაც უკან დაებრუნებინათ. წინა-აღმდეგ შემთხვევაში ისნი დავით V გიორგი-ლაშას ძეს, უთვლიდნენ რომ საეკლესიო კრება იძულებული იქნება უკიდურეს საშუალებას მიჰმართოს: საქართველოში ყველა ეკლესიები დაკეტოს, ყოველგვარი მღვდელმასურება აკრძალოს და ნათვლა, ზიარება, ქორწინება, მიცვა-ლებულის დასაფლავება შეაჩეროს.

ასეთი მუქარისდა მიუხედავად, საქართველოს მთავრობას ეს თხოვნა არ შეუწყნარებია და არც ის, რასაც თხოვულობდა საეკლესიო კრება, შეუსრულებია. ამგარად, ეკლესიამ ბრძოლა წააგო, მაგრამ, რაკი ეკლესიის წინააღმდეგ გამოყენებული საშუალება ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელის მიერ იყო წარდგენილი, ამიტომ ეკლესიის მესვეურთა მთელი სიძულვილი მას დატყდა თავზე. დაიწყო მითქმა-მოთქმა: საზოგადოება-ში ალაპარაკდნენ იმის გამო, რომ ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელმა ჩოხა, ე. ი. სამღვდელო ტანისამოსი, რომელიც მას, ვითარცა ჭყონდიდელ ეპისკოპოსს ეცვა, გაიხადა. ამას გარდა დავით V-ს ამბავი მიუტანეს და ბასილ უჯარმელს ცილი დასწამეს, ვითომც მას მის მეუღლესთან კავშირი ჰქონდა. დავით V, ვითარცა მალემრწმუნი, ამ შემთხვევაშიც ისევე მოიქცა, როგორც ჯიქურის საკითხის გარჩევის დროს: საქმის გამოუძიებლივ ბრძანება გასცა, რომ ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელი ჩამოეხრით. ამრიგად, წინათ განუსაზღვრელი ნდობით მოსილი მწიგნობართუნულესი და ვაზირთა ყოველთა უპირველესი ბასილი უჯარმელი თავისი. გაბედული სოციალ-ფინანსიური გეგმის მსხვერპლი შეიქმნა და დაიღუპა.

## დაპირ V-ის გალეარავენობის და უგაღურობის პოლიტიკური შედეგი: ესსესთის ულუსიანად ქცევა

ისევე, როგორც ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელი დავით V-ის მალემრწმენობას შეეწირა მსხვერპლად, მეფის ამავე თვისებას ვერც მესხეთის მთავარი სარგის ჯაყელი დავით V-მ, რომელიც უკეთურმა მესაიდუმლებმა დაარწმუნეს, ვითომც მესხეთის მთავარს განდგომილება დაპირებინოს, სასახლეში დაიბარა და იქ დაჭერინა. სარგის ჯაყელის ამაღამ მა-

შინვე ყაუნთან კაცი აფრინა ამ გარემოების საცნობებლად და სამცხას სპასალარის მეფის მრისხანებისაგან დასაცავად. ისინი ემუდარებოდნენ მონღოლთა ყაენს, რომ მას სარგისი თავისთან დაებარებინა და საქართველოს მეფისაგან გამოეთხოვა.

ერანის ილხანშა აბალა ყაენმა ეს თხოვნა სიამოვნებით შეასრულა და საქართველოში წარმოგზავნილი ელჩის პირით დავით V-ს შემოუთვალა, რომ მას სარგის ჯაყელი მასთან წარსადგომად განეთავისუფლებინა. დავით V-ს მეტი რალა შეეძლო, უნდა აესრულებინა უნებლივები.

სარგის ჯაყელი რომ განთავისუფლდა და ერანის ილხანის სატახტო ქალაქში ჩავიდა, უნდა გადაეწყვიტა, რომ ან როგორმე მოეხერხებინა და თავისი თავი მომავალშიც დავით V-ის უმაღურობისა და შურისძიებისაგან უზრუნველეყუო, ან არა და უნდა საქართველოში დაუბრუნებლობას შევრიგებოდა.

მან პირველი იჩინა და აბალა ყაენს სთხოვა, რომ მისი სამფლობელო საქართველოს სამეფოდან გამოეყო და უშუალოდ თავის საგმიგეონსათვის დაემორჩილებინა, ე. ი. როგორც მონღოლები უწოდებლნენ, ხასიან ჯუდ ეჭცია. ქართველები მას ულუ სიანად ქცევას ეძახდნენ. ასეთ პირს და ასეთ სამფლობელოს ვერავინ ვერ შეეხებოდა. თვით მონღოლთა ყაენის გარეშე, არავის უფლება არ ჰქონდა, რომ მის საქმეებში ჩარეულიყო.

მართალია, სარგის ჯაყელმა დავით V-ის წინაშე იმდენი ერთგულება და თავგანწირულება გამოიჩინა, რომ ის, რაც მან იყადრა, გასაოცარ უმაღურობად უნდა ჩაეთვალოს. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით სარგის ჯაყელის საქციელიც სრულებით შეუწყნარებელ ნაბიჯს წარმოადგენდა და ქვეყნის ღალატს უდრიდა. პოლიტიკური პირობების გამო, საქართველო ისედაც ორ ნაწილად იყო გაყოფილი: აღმოსავლეთი საქართველო მონღოლთა ყმაღნაფიცად იქცა, დასავლეთი საქართველო განთავისუფლებული იყო მონღოლთა ბატონობისაგან, მაგრამ საქართველოს ორ ნაწილს შორის პოლიტიკური კავშირი შეწყვეტილი იყო. თუმცა იურიდიულად საქართველო არ იყო გაყოფილი, მაგრამ სინამდვილე მას მაინც ორ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულად ხდიდა. ეხლა, სარგის ჯაყელის ნაბიჯის შემდგომ, საქართველოს მესამე ნაწილიც გამოეყო, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, უკვე მთლიანად და უშუალოდ მონღოლთა ყაენს იქვემდებარებოდა. ამრიგად, სარგის ჯაყელმა თავისი უცნებლობა საქართველოს მთლიანობის დარღვევის საფასურით მოაპოვა. ამ ნაბიჯს საქართველოს მთლიანობისათვის უაღრესად საბედისწერო შედეგი მოჰყვა და ქართველი ერისათვის საუკუნეთა განმავლობაში მრავალი უბედურების მიზეზად იქცა.

## ბრძოლის განახლება ოქროს ულუსსა და ერანის იღვანეს შორის და მისი ანარეპლი საქართველოში

1265 წელს რომ ჰულაგუ ყაენი გარდაცვალა და მის მაგიერ მონ-  
ღოლთა ყაენად მისი ვაჟიშვილი აბალა გახდა, ბერქა ყაენშა ისევ ერანის  
იღვანების წინააღმდეგ გალაშქრება გადასწყვიტა. ამ შემთხვევაში მას  
ძალიან ფართო მიზანი ჰქონდა დასახულა. ამ გარემოებას თუნდაც ისიც  
ამეღანებდა, რომ სამასი ათასი მოლაშქრე ჰყავდა თავმოყრილი. შეიტ-  
ყო თუ არა ეს ამბავი, აბალაც ჯარის შეყრას შეუდგა, დავით V-ც დაიბა-  
რა. მაგრამ რაკი ბერქა ყაენს ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა,  
მან მტკვარ გაღმა გადასწლა ვერ გაძედა და მთელი თავისი სამხედრო  
ძალითურთ გამოლმა გამაგრდა. მტრისათვის სამხედრო მოქმედების შე-  
საფრენებლად, მან ყველა ხილები, რომელიც-კი მტკვარზე იყო, აყრე-  
ინა, წყალდიდობის გამო, ბერქა ყაენს საშუალება არ ჰქონდა, აზვირთე-  
ბული მღინარე გაღმოყელას, და ოქროს ულუსის მბრძანებული იძულე-  
ბული გახდა თბილისისაკენ გამომგზვრებულიყო, რომ თბილისში ხიდ-  
ზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს ზურგიდან დასცემოდა.

ესლოენ მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოძრაობა მთელი ამ მიწა-  
წყლისათვის, რასაკირველია, სტიქიური უბედურების მსგავსი უნდა  
ყოფილიყო და მართლაც მტკვრის, ალაზნისა და იორის სანაპიროები იმ-  
დენად აოხრდა, რომ იმ დროიდან მოყოლებული მრავალი ხნის განმავ-  
ლობაში მოსახლეობა აქ ამომწყდარი იყო. მხოლოდ იმის გამო, რომ  
1265 წელს თბილისზე მიმავალი ბერქა ყაენი მოულოდნებულად გარდა-  
იცვალა, განსაცდელს, როგორც აბალა ყაენი, ისევე, რასაკირველია,  
აღმოსავლეთი საქართველოც გადაუჩნა. ამ ორი გააფთრებული მტრის  
შებრძოლება ხომ ტწყალზე მის მიწა-წყალზე უნდა მომხდარიყო უპირ-  
ველესად.

მომხდარი ამბით შეშინებული აბალა ყაენი საზღვრის დასაცავად ყო-  
ველწლივ ჯარს სიბაზე გზავნიდა. რაკი სიბა საქართველოს აღმოსავლეთ  
საზღვარზე იმყოფებოდა, ამ გამაგრებული ჯებირის დაცვის ტვირთის  
უდიდესი ნაწილი სწორედ საქართველოს სამხედრო ძალას აწვებოდა.  
წლითი-წლობამდე საქართველო იძულებული იყო თავისი ქვეყნიდან  
მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა გაეყვანა, ნაყოფიერი შრომისათვის  
მოეშორებინა და ამ სანაპიროზე მონღოლთა სახელმწიფოს დასაცავად  
მდგარიყო.

მრავალრიცხოვანი ჯარის ერთად შეჯგუფების შედეგად, როგორც  
მრავალჯერ მომხდარია, მუცლის მთარულმა იჩინა თავი. ეს სნეულება  
იძღვნად მოედო ლაშქარს, რომ 1266 წელს თვით დავით V-ის უფროისი  
ვაჟიშვილი, გ ი ო რ გ ი უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი ც კ ი ავად გახდა. შემდეგ  
მისი მდგომარეობა გამოკეთდა, მაგრამ 1267 წელს ამავე ავადმყოფობით,  
რომელიც, როგორც ჩანს, ს ი ს ხ ა უნდა ყოფილიყო, თვით მეფე და-

ჭით V დასწეულდა. იმავე წელს ეს ავაღმყოფობავე გიორგი უფლის-წულსაც ხელმეორედ შეეყარა და ამ სნეულებამ 1268 წელს იმსხვერპლა კიდეც. დავით V-ს ეს ავაღმყოფობა ქრონიკულ დაავადებად გადა-ექცა და სიკვდილამდე დრო-გამოშვებით გაუარესდებოდა ხოლმე, სანამ 1271 წელს ისიც, თავისი უფროსი გაუიშვილივით, ამ ავაღმყოფობის მსხვერპლი არ შეიქნა.

თუ სამეფო ოჯახი, რომელიც განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა ხოლმე, ამ ავაღმყოფობის მსხვერპლი შეიქმნა, აღ-ვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ჩაგარდნილიყო მოსახლეობის დანარჩენი, უფრო დაბლა მდგომი, ფენები. ამგვარად, მოლაშექრეობით გამოწვეულ მსხვერპლს ის მსხვერპლიც მიემატა, რომელიც ჩევენს ქვეყანაში შემოტანილი გადამდები სნეულებით იყო გამოწვეული.

#### დავით IV, რუსულანის ძე, და მისი პოლიტიკა დასავლეთ საქართველოზი

დავით IV-ის დასავლეთ საქართველოში გადასვლა-დამკვიდრებით შეწყდა მონღოლებთან ხელშეკრულებით დამყარებული დამოკიდებულება, რამდენადაც დასავლეთ საქართველოში ის როგორც აჯანყებული გადავიდა. რაკი მონღოლებმა იქ შეჭრა ვეღარ შესძლეს, ცხადია, რომ იმ დროიდან მოყოლებული დასავლეთი საქართველო მონღოლთა ბატონობისაგან სრულებით დამოუკიდებელი უნდა გამდარიყო. შემდეგშიც მათ არც ერთხელ არ უცდიათ, რომ თავიანთი ხელისუფლება იქ დაემყარებინათ.

დავით IV-ს, როგორც შორსგამჭვრეტელს პოლიტიკის, მაინც გათვალისწინებული ჰქონდა, რომ მომავლში შესაძლებელი იყო, ერანის ილხანებს დასავლეთ საქართველოს დამორჩილებაც ეცადათ. ამის გამო მას უნდა თავისი და თავის სამფლობელოს პოლიტიკური გაძლიერები-სათვის ეზრუნა. ეს-კი შესაძლებელი იყო სრულებით გარკვეული ამოცანისა და მიზნების დასახვის შემდეგ. დავით IV-მ გადასწყიტა, რომ ერანის ილხანებისაგან საქართველოს დასაცავად უნდა მო სახელმწიფო-ებთან შეექრა კავშირი, რომელნიც ერანის ან მტრები იყვნენ, ან მეტოქენი.

ცნობილია, რომ გარკვეული დროიდან ერანის ილხანებსა და ეგვიპტის სულტანებს შორის უაღრესად მტრული დამოკიდებულება არსებობდა. ჩრდილოეთის ანუ ოქროს ულუსის ყაფნებიც, რომელნიც ფრითვე ერანის ილხანების მოქიშენი იყვნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ, ეგვიპტის სულტანებს დაახლოვებოლნენ. ამავე პოლიტიკას დაადგა დავით მეოთხეც: 1264—65 წ. მან ეგვიპტის სულტანს ბეიბარს თავისი საჩუქრებით დატვირთული დესპანები გაუგზავნა. 1268 წელსაც საქართველოს შეფერ ამგვარადვე ეგვიპტის მბრძანებელს დესპანები აახლა. თუმცა ამ დრესპანობის მიზნისა და მოლაპარაკების შინაარსის. შესახებ ცნობები

დაცული არა გვაქვს, მაგრამ საფიქრებელია, რომ, როგორც ოქროს ულუსის ყაენები ეგვიპტის სულტნებთან იმიტომ იყენენ დაახლოევ-ბული, რომ ისინი ერანის ილხანებს მტრობლნენ, ისევე დასავლეთ სა-ქართველოს ბბრძანებლებისათვისაც ეგვიპტის სულტანი შესაძლებელია გამოსადევი ყოფილიყო მხოლოდ ვითარცა ერანის ილხანების მოწინა-აღმდეგ და მომავალი მოკავშირე.

დაეთ IV-ს, მეორე მხრით, თვითონ ოქროს ულუსთანაც ჰქონდა მჭიდრო კავშირი, რომელიც იმ ხანში ერანის ილხანების ძლიერი მოწი-ნაღმდეგ იყო.

დაეთ IV-ს, ჩასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ მარტო ამ შორე-ულ მოწინააღმდეგებთან კავშირის დამყარებით თავისი თავის უზრუნ-ველყოფა არ შეიძლებოდა. ამიტომ მან ამას გარდა მისნად ერანის ილ-ხანების სამფლობელოში შინაური ბრძოლისათვის ხელის შეწყობაც და-ისახა და დახმარებას უწევდა ყოველ ხელისუფალს, რომელიც-კი ერა-ნის ბბრძანებელს, მონლოლთა ყაენს, აუჯანყდებოდა.

ხოლო შემდეგ, როცა ოქროს ულუსსა და ერანის ილხანებს შორის დაუძინებელი მტრობა ჩამოვარდა, ოქროს ულუსის ყაენები თავიანთ მოწინააღმდეგებს მარტო სამხედრო საშუალებით-კი არ ებრძოლნენ, არამედ თავიანთი მიგზავნილი აგენტების საშუალებითა და შეთქმულე-ბის მოწყობითაც. ერთ ამგვარ მიგზავნილ პირად ერანის ილხანის საბრ-ძანებელში თეგუდარ ბატონიშვილი იყო, ოქროს ულუ-სის ბბრძანებლის მახლობელი ნათესავი. მას დავალებული ჰქონდა, საქ-მე ისე მოეწყო, რომ აბალა ყაენი ჩამოეგდოთ და ოქროს ულუსის გაბა-ტონებისათვის შეეწყოთ ხელი. ჩადენილი შეცდომის წყალობით, ეს სა-იღუმლოება გამომტავნდა და თეგუდარს სხვა აღარაფერი ჰქონდა დარ-ჩენილი მთელი თავის მონლოლ მეტომებითურთ უნდა გამოქცეულიყო.

როგორც ჩანს, წინასწარი შეთანხმებით თეგუდარი დასავლეთ საქარ-თველოსაკენ გაემგზავრა. აბალა ყაენმა მას თავისი ლაშქარი დაადევნა, რომელიც კვალდაკვალ მისდევდა, მაგრამ საქართველოში სამხრეთ თე-მიდან შეჭრილი თეგუდარი ბრძოლით და დიდი გაჭირვებისა და ზარა-ლის შემდგომ არტაან-შავშეთ-აჭარის გზით მაიც დასავლეთ საქართვე-ლოში გადავიდა და ქუთაიში დავით მეოთხესთან მივიღა. მან, როგორც მოკავშირეს, უხევი მასპინძლობა გაუმართა. ეს მასპინძლობა დასავლეთ საქართველოს ძალიან ძეირად უჯდებოდა, რადგან, თეგუდარს გარდა, მისი ჯარი და მათი ოჯახებიც უნდა შეენახა.

ჩრდილოეთის ულუსიდან მიღებული ბბრძანების თანახმად, თეგუდარი უნდა ქედს იქით გადასულიყო და ოქროს ულუსს შეერთებოდა, მაგრამ მან გადასწყვიტა, რომ ჯერ აბალა ყაენზე ჯავრი ეყარა. ჩაკი ისევ ერან-ში შესევა სახიფათო იყო, მან ამჯობინა ერანის ყაენის იმ საბრძანე-ბელს შესეოდა, რომელიც მეზობლად მდებარეობდა. ამიტომ ის აღმო-სავლეთ საქართველოში გადაღიოდა და თავს ესხმოდა წოლმე იქ მდგომა-

მონლოლთა ლაშქარს. თავისთავად ცხადია, რომ ყოველი ასეთი შეჭრისა და თავდასხმის დროს, მარტო მონლოლთა ლაშქარი-კი არ ზარალდებოდა, არამედ ზიანი ქართლისა და სომხეთის ჩრდილოეთის თემის მოსახლეობასაც მოსდიოდა.

თუმცა ის წინაური ბრძოლა, რომელიც მონლოლებს შორის იყო ატეხილი ქართველებისათვის ხელსაყრელი იყო; მაგრამ რამდენადაც ეს ბრძოლა საქართველოს მიწაშეყალზე მიმდინარეობდა, მათვის ზარალის შეტაცია არაფერს წარმოადგენდა. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ თეგუდარის თარეშს ქართველთა და სომხეთა შორის დიდი აღშფოთება გამოეწია: იმ გარემოების გამო ქართველები უნებლივ აბალა ყაენის მოკავშირენი და თანამგრძნობნი უნდა გამხდარიყვნენ, იმ ბრძოლაშიც, რომელსაც მისი ლაშქარი თეგუდარის წინააღმდეგ აწარმოებდა, უნდა მხარი დაეჭირათ. აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ასეთი სულიერი განწყობილებისდა მიუხედავად, აბალა ყაენის სამხედრო ხელისუფლებაში მაინც კერძო მოახდენა თეგუდარის ხელში ჩაგდება, რადგან ყოველთვის, როდესაც მას გაუჭირდებოდა ხოლმე და განსაკლები მოელოდა, უკან დასახევი გზა ჰქონდა და შეეძლო უმაღლ დასავლეთ საქართველოში გადასულიყო და იქ შეეფარებინა თავი.

აბალა ყაენი დარწმუნდა, რომ სანამ დავით IV თეგუდარს ზურგს უმაგრებდა და დახმარებას უწევდა, მანამდე თეგუდარის დაჭერა და მოსი თარეშისაგან განთავისუფლება შეუძლებელი იქნებოდა. ეს რომ მოეხერხებანა, დავით IV-თან შეთანხმება იყო საჭირო. ამ მიზნით შან, დავით IV-ს დასავლეთ საქართველოში, საჩუქრებით უხვად დატვირთული ათავისი ელჩები მიუგვავნა და სთხოვა, რომ, არამც თუ თეგუდრისათვის დახმარების გაწევა შეეწყვიტა, არამედ გარკვეული დროისათვის უკან დასახევი გზაც-კი შეეკრა.

სხვა და წინანდელ პირობებში დავით IV, უეჭველია, ამაზე ერანის ილხანს უარს ეტყოდა, მაგრამ ამ დროისათვის გამომუდავნდა, რომ თურმე თეგუდარი დასავლეთ საქართველოს ხელში ჩასაგდებად შეთქმულებას აწყობდა. როდესაც ეს დავით IV-მ გაიგო, აბალა ყაენს სიხარულით მაშინვე თანხმობა განუცხადა. ამ შეთანხმების არმცოდნე თეგუდარი 1269 წელს ისევ აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა და თავისი ჩვეულებრივი თარეში დაიწყო. აბალა ყაენის ლაშქრისაგან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი თეგუდარი, რომ უკან დახევასა და დასავლეთ საქართველოში დაბრუნებას აპირებდა, გზები შეერული დახვდა. ამის წყალობით თეგუდარი აბალა ყაენის სამხედრო ძალამ ტყვედ ჩიგდო და მონლოლთა ყაენს მიჰვევარა.

თეგუდარის ასეთი უმაღლურობის მაგალითის შემდგომაც დავით IV-ს თავისი პილიტიკური გეზისათვის არ უღალატნია და, როდესაც აბალა ყაენს ერანში ვინმე ღ ღ ღ ღ აუჯანცდა, დავით IV-მ იქიდან ფამოქცეული ისევ თავის საბრძანებელში შეიფარა. ეს ღალატრიც თე-

გუდარივით უმაღლერი გამოდგა. დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს, ის და კახაბერ კახაბერის ძე, რომელიც ჯერ კიდევ დავით V-ის დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს დავით IV-ის ტახტიდან ჩამოსაგდებად იბრძოდა, ერთი-ერთმანეთს შეუთანხმდნენ და გადაწყვიტეს, რომ ერანში ილაპანთან წასულიყვნენ.

თავიანთი განზრახვის ასცარულებლად, მათ ერანის მზრდანებელს, აბალა ყაენს, თავიანთი დახმარება შესთავაზეს დავით IV-ის დასაჭერად. აბალა ყაენისათვის ეს ამბავი მეტად სასიხარულო იყო: ერანის ყაენს ამით საშუალება ეძლეოდა ხელში ჩაეგდო ის პირი, რომელიც ერანის ილხანებს აუჯანყდა და რომელიც ყველა მის მტრებს მუდმივ დახმარებას უწევდა. ამას გარდა, დავით IV-ის ხელში ჩაგდება აბალა ყაენს ერთსა და იმავე დროს დასავლეთ საქართველოსაც ჩაუგდებდა ხელში. მიტომაც აბალა ყაენმა ღალღურს სიამოვნებით აპატია დანაშაულება და, დადებული პირობის თანახმად, დასავლეთ საქართველოში შესახევად და შეპირებული გეგმის განსახორციელებლად 30 ათასი მონოლოთა ლაშვარი მისცა.

ამ სამხედრო ძალითურთ ღალღურმა და კახაბერ კახაბერის ძემ სასწრაფოდ გადმოიარეს თრიალეთზე და მოულოდნელად დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ. მათ ქუთაისში იმდენად სწრაფად მოახერხეს. მისელა, რომ აბანოში მყოფმა დავით IV-მ აბანოდან გამოსვლა და გაქცევა ძლივს მოასწრო. ამ გარემოებამ ღალღურს და კახაბერ კახაბერის ძეს იმედი გაუცრუა: მათ მეფის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს და სხვა აღარაფერი დარჩენდათ, რომ უკან დაეხიათ. უკან დახვევის დროს მათ ჯავრი იყარეს და ყველა ის აღილები ააოხრეს, სადაც მათ გველა უხდებოდათ.

აბალა ყაენთან დაბრუნებულს ღალღურსა და კახაბერს თუნდაც რომ ამ პირების ცდის განმეორება აღარ სურვებოდათ, თვით აბალა ყაენი როგორ მისცემდა უფლებას, რომ ერთხელ წამოყენებული გეგმის განხორციელება კიდევ არ ეცადათ. მართლაც, ღალღური და კახაბერის ძე: ამავე მიზნით დასავლეთ საქართველოში წამოვიდნენ, მაგრამ მათი მეორე ცდაც წინანდელზე უფრო ამაო გამოდგა. ჩაკი ისინი მეორეჯერაც აბალა ყაენს ხელცარიელი დაუბრუნდნენ და მეფის დაჭერა ვერაფრით ვერ მოახერხეს, კახაბერ კახაბერის ძე ერანის ილხანისათვის რაღა საჭირო იყო. ეს გარემოება რაჭის ერისთავთ-ერისთავმაც კარგად იგრძნოდა ერანიდან ისევ საქართველოში დაბრუნება ამჯობინა. მაგრამ, რაღაც გან თავის სამშობლოში, ლიხთ-იმერეთში, გადასვლა არ შეეძლო, ისტენის ხელბაში დასახლდა ყველასგან მოძულებული.

ატენიდან კახაბერ კახაბერის ძე დავით IV-ს ვედრებაზე უგზავნიდა, რომ დანაშაულობა ეპატიებია და თავის სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცა. დავით IV-მ ასეთ მოღალატესაც აპატია და დაბრუნების ნება დართო. მაგრამ, რამდენიმე ხნის შემდგომ, გამომეუღლდა,

რომ მას აღმოსავლეთ საქართველოში მდგომ აბალა ყავნის ნოინ ალინაუთან საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდა. ეს უკვე საქმარისი იყო, რომ დავით IV-ს მისი დაქერა ებრძანებინა და სასტიკად დაესაჯა თვალთ დაბნელებით და ერთი ფეხისა და ხელის მოკვეთით. მისი შვილი, რომელიც ამ შეტქმულებაში აგრეთვე გარეული ყოფილა, სამუდამოდ იქმნა გაძევებული საქართველოდან და კონსტანტინეპოლში ექსორია ჰყვეს.

## დავით IV-ის ღონისძიება ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური ინტერესების დასაცავად

მონღოლთა პოლიტიკურმა ბატონობამ ტრაპიზონის საზღვრამდე მიაღწია. თვით საქართველო ზომ იმაზე უწინარეს უკვე მონღოლთა ყმადნაფიც სამეფოდ იქცა. ამასთან დაკავშირებული დასუსტების გამო, საქართველოს პოლიტიკური გავლენა ტრაპიზონის საკეისროში, რა-საკვირველია, ძალზე უნდა შემცირებულიყო. ტრაპიზონის კეიისარი მანუილ II უკვე 1244 წლის შემდეგ მონღოლთა მოხარეედ იყო ქცეული. ქართველთა პოლიტიკური ძლიერების შესუსტებით აღვილად შეექმნა ბიზანტიის მბრძნებელს ესარებლა, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია იმედი დაკარგული, რომ ტრაპიზონის საკეისროს ისევ ხელში ჩაიგდებდა.

რამდენადაც ტრაპიზონის საკეისრო ქართველთა სამხედრო ძალთა და თამარის თაოსნობით იყო დაარსებული და უმთავრესად ქართველთა თანამომმე ტომის, ჭანების, მოსახლეობას შეიცავდა, საქართველო ამ თავისი მეზობლად მდებარე სახელმწიფოს ბედილბლით, რომელიც ამასთანავე მისი გავლენის უცილობელ სფეროს წარმოადგენდა, უაღრესად დაინტერესებული იყო. საქართველოს პოლიტიკური დასუსტების გამო, ქართველთა მომხრე პოლიტიკური დასიც, რასაკვირველია, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა: თანდათანობით მათი გადაყენება დაიწყეს და ბიზანტიის მომხრეთა დასის წარმომადგენლები დაწინაურდნენ.

ბიზანტიის კეიისარი ყოველნაირად ცდილობდა, რომ თავისი პოლიტიკური ზრახვა განხეორციელებინა. ამ მიზნით მან საეკლესიო ღონისძიებაც-კი გამოიყენა და ტრაპიზონის პოლიტიკოსთა გულის მოსაგებად კონსტანტინეპოლის პატრიარქმა 1260 წელს ტრაპიზონის მიტროპოლიტს თავის სამწყსოში სამღვდელოების ხელდასხმის უფლება მიანიჭა. მაგრამ ეს მარტო გულის მოსაგებად გამოდგებოდა.

ბიზანტიის მთავრობას უნდოდა ტრაპიზონის საკეისრო მთლიანად თავის სამფლობელოდ ექცია და ამიტომ ბიზანტიის მბრძანებელმა სცადა, ტრაპიზონის კეიისრისათვის თავისი ქალაშვილი შეერთვევინებინა, რომ ამ გზით პოლიტიკური დამოკიდებულება და გავლენა ბიზანტიისა ტრაპიზონის საკეისროში უფრო გაძლიერებულიყო. მანამდის ტრაპიზონის კეიისრები უმეტეს ნაწილად საქართველოს სმეფო საგვარეულოს ქალიშვილებს იჩთვდნენ ხოლმე თანამეცხელეებად. მათ ოჯახშიც ჭართული

გავლენა იყო გაბატონებული, მათი უფლისწულების სახელებიც უმთავრესად ქართულ სახელებთან იყო დაკავშირებული.

ტრაპიზონის მმართველი წრეები და თვით კეისრის სახლობა ბიზანტიის გავლენას გაუჩბოდა. იმისდა მიუხედავად, რომ თვითონ ისინი შთამამაცლობით ბერძნები იყვნენ, თანამოძმებისადმი ასეთი დამოკიდებულება ბიზანტიის პოლიტიკური ზრახვითა და მათი კეისრების, ტრაპიზონის კეისრებისადმი მედილური დამოკიდებულებით აისხნებოდა. ისინი არასიღოს არ მალავდნენ, რომ ტრაპიზონის კეისრებს ქვეყნის მმართველებიდან არ სცობდნენ, რომ ისინი თავიათ მონა-მორჩილებად ეგულებოდათ და ამიტომ ყოველი შემთხვევით სარგებლობდნენ, რომ მათი ღირსება დაემცირებინათ.


ასეთ სულიერ განწყობილებაში, რასაკვირველია, რომ ტრაპიზონის მმართველ წრეებს არავითარი სურვილი არ შეიძლება ჰქონოდათ, თავიათ თანამოძმები ბიზანტიელ ბერძნებს დაახლოვებოდნენ.

ტრაპიზონის კეისარს მან უკლ ს ბიზანტიის მმართვებელმა თავისი ქალიშვილი შესთავაზა, მაგრამ ეს მისი წადილი ვერ ასრულდა: მანუელის თანამეცხელრე რუს უდანი იყო, რომლის ქართული სახელი მის სადაურობას ცხადად ამჟღავნებს. საქართველოს მომხრე პოლიტიკური დასი შემდეგაც ყოველნაირად ცდილობდა, რომ კონსტანტინებოლის პრეტეზნიებისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

როდესაც 1266 წელს ითანე Ⅱ კეისრად დაჯდა, ბიზანტიის მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა, რომ ის თავის ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა. ამ მიზნით მან ვერ დიპლომატიური ურთიერთობის გზით სცადა ითანე მეორისათვის ჩაეგონებონა, რომ მას უფლება არ ჰქონდა თავის თავისათვის კეისარი ეწოდებინა და კეისრისათვის განკუთხნილი სამეფო ტანისამოსი, მათ შორის წითელი წაღებიც ჩაეცვა, მაგრამ ასეთმა დარიგებამ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა. როდესაც ამ გზით მიზანი მიუღწეველი დარჩა, ბიზანტიის კეისარმა შემდეგ სცადა, იგივე თავისი ქალიშვილის ითანე Ⅱ-ზე მითხოვებით მოეხერხებინა. ამიტომ ითანე Ⅱ-ეს ბიზანტიის კეისარი ბიზანტიის დედაქალაქში ჰპატიუობდა.

ტრაპიზონის საკეისროს დიდებული მოხელეები ყველანი კონსტანტინებოლში წასვლის წინააღმდეგნი იყვნენ. წასვლას არც თითონ კეისარს უჩეხვდნენ და არც თვით იყვნენ თანახმა, რომ მის მაგიერ ამ საქმის მოსაგარებლად გამგზავრებულიყვნენ. მათ, როგორც შემდეგში გამოირკვა სრულებით სამართლიანად ეშინოდათ, რომ ბიზანტიელები ტრაპიზონის მმართველ წრეებს ვერაგულად მოატყუებდნენ და თავზე მოახვევდნენ ხმას, რაც იმათ ნამდვილად სწადდათ.

პირველი მარცხისდა მიუხედავად ბიზანტიის კეისარმა კიდევ სცადა, მაგრამ ისევ უნაყოფოდ. თავის მიზნის მისალწევად მესამეჯერ მან უკვე გავლენიანი სამღვდელო პირიც გამოიყენა, რომელსაც დავალებული ჰქონდა, ტრაპიზონის კეისარი დაერწმუნებინა, რომ მისი დაცოლია-



අභ්‍යුත්ත පිළිබඳ ගාස්ථමුදා.

ნების გარდა ბიზანტიის მთავრობას სხვა არავითარი პოლიტიკური ზრა- ხვები არ ჰქონდა და, დაქორწინების უმაღ, მას თავის სამშობლოში. უკან გამოუშვებდნენ. აქაც მმართველი წრები წინააღმდეგი იყვნენ, რომ ითან 11 წასულიყო, მაგრამ მაინც მან გადასწყვიტა, რომ ამ შემ- თხვევაში ბიზანტიის მთავრობის განცხადება სრულებით გალწრფელი და მართალი იყო.

ითან 11 მართლაც გაემგზავრა, მაგრამ გზაშივე მას საშუალება. ჰქონდა ლარწმუნებულიყო, თუ რამდენად ვერავები აღმოჩნდნენ ბიზან- ტიელთა მთავრობის წარმომადგენლები. ყველა სამეფო ნიშნები, რომე- ლიც მას ჰქონდა, გზაშივე ჩამოართვეს მას, ხოლო კონსტანტიინებოლში მისვლისთანავე ისეთ მდგომარეობაში იქნა ჩაყვენებული, რომ იძულე- ბული იყო ყველაფერი აესრულებონა, რასაც კი ბიზანტიელთა კეისარი. და მისი დაახლოვებული პირები უბრამანებდნენ. ითან 11-მ ბიზანტიის კეისრის ქალიშვილი შეირთო, მაგრამ უკან დაბრუნება ისე მაღვე, რო- გორც პვირდებოდნენ, და ისე დავილად, როგორც მას ეგონა, ვეღარ მო- ახერხა.

რასაცვირველია, საქართველოს მთავრობას ინტრიგების მთელი ეს ქსელი არ გამოეცარებოდა. მას არ შეეძლო გულხელდაკრეფილს ეყურა. ასეთი ბრძოლისათვის, რომელსაც უნდა საქართველოსთვის მისი გავ- ლენის უცილობელი სფერო გამოეცალა ზელიდან. ამით უნდა აიხსნებო- დეს. რომ 1282 წელს დავით IV რუსულანის ძე თავისი ჯარითურთ ტრაპიზონის საკეისროს შეესია და, თუმცა თვით ტრაპიზონის აღება- ვერ მოახერხა, მაგრამ საკეისროს დიდი ნაწილი მაინც დაპყრობილი ჰქონდა. სამწუხაროდ, ამ გალაშქრების პოლიტიკური შედეგისა და მიზ- ნის შესახებ ტრაპიზონის ისტორიელს არაფერი აქვს ნათელები, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ გარემოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

დამახასიათებელია ამასთანავე, რომ ითან 11-ს ასეთი განსაცდელის უამსაც კი არ შეეძლო თავის სამფლობელოში დაბრუნებულიყო. თუმცა 1284 წელს ითან 11 ტრაპიზონის საკეისროში დაბრუნდა, მაგრამ ამის შემდგომ საქართველოში გათხოვილი ითან 11-ის და, თეოდორ ა., ტრაპიზონის საკეისროს შეესია ჯარითურთ და კეისრად დაჯდა. ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკური გაბედული ნაბიჯის გადადგმა და დასახული მიზნის მიღწევა თეოდორას მხოლოდ-და-მხოლოდ საქართველოს სამ- ხედრო ძალის უშუალო მონაწილეობითა და თანადგომით შეეძლო. უეჭ- ველია, ამიერიდან ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკუ- რი გავლენა კვლავ უნდა გაძლიერებულიყო. მაგრამ ბრძოლა არც ბიზან- ტიელების მხრით შეხერებულა და შემდეგში, როგორც ჩანს, ცვლილება მოხდა და ითან 11-მ ხელისუფლება დაიბრუნა. სამწუხაროდ, წყა- როებში ამის არავითარი განმარტება არ მოიპოვება და არ ჩანს, თუ რა გზითა და როგორ მოახერხა ითანემ თავის ტახტის უკან დაბრუნება.

## დევიტრე II თავდადებული (1272—1289 წ.)

გიორგი-ლაშას ძის დავით V-ის სიკვდილის შემდგომ, სამეფო ტახტზე აღმოსავლეთ საქართველოში უნდა დემეტრე უფლისწული ასულიყო. ამ დროს ის 11-12 წლის ყმაწვილი იყო. ჩვეულებრივ არსებული წესის თანახმად, ნორჩი უფლისწული ერანის ყავნის ურდოში წაიყვანეს. ყავნმა დემეტრე საქართველოს შეფეთ-შეფედ დაამტკიცა და მისი საბრძანებელი დაუმჯობრა.

თუმცა იმდროინდელს წყაროებში ისეა აღნიშნული, რომ მას მიეცა სრულიადი საქართველო ნიკოფისიდან დარუბანდამდის, ე. ი. ზღვიდან ზღვამდე, მაგრამ ეს რეალურ სინამდვილეს უკვე აღარ შეეფერებოდა; აღმოსავლეთით საქართველოს საზღვარი არამც თუ უკვე დარუბანდამდის აღარ აღწევდა, არამედ საქართველოს მოსაზღვრე ხაზი თეთრი წყალის, ანუ მონლოლურად ჩა ლა ა ნ-უ ს უ ნ ი ს, თურქულად აღსუს გასწვრივ. იყო. ანისი და კარი მათი სანახებებითურთ კვლავინდებურად საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ხლათი, ვალაშქერტი და ალატალი უკვე საქართველოს ყმაზნაფიცი აღარ იყო. ნიკოფისის დასავლეთის საზღვრად მიჩნევაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ დასავლეთ საქართველოში დავით IV ნარინის მეფობას არ გავითვალისწინებდით. ნამდვილად-კი ლითხ-იმერეთი, რასაკირველია, დემეტრე II-ს აღარ ემორჩილებოდა: თუმცა სამეფო იურიდიულად გაყოფილი არ იყო, მაგრამ პოლიტიკური პირობების გამო მისი მთლიანობა უკვე დარღვეული იყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხლათის, ვალაშქერტის და ალატალის თემები ამ დროს მაპმადიან მმართველთა ხელში იყო, თუმცა-კი მას ს ო მ ხ ე თ ი ს ვ ი ლ ა ი ე ტ ი ეწოდებოდა. როგორც პოლიტიკური ერთეული, ის მაპმადიანთა სამთლობელოს წარმოადგენდა, სომხეთის ვილაიეტი ამ შემთხვევაში მხოლოდ ისტორიული ტერმინოლოგიის ნაშთად იყო დარჩენილი.

სრულებით ცხადია, რომ დემეტრე II-ს, მცირეწლოვანობის გამო, საქართველოს სამეფოს მესაჭეობა არ შეეძლო და მას უნდა მზრუნველი

და მეურვე ჰყოლოდა დანიშნული. მონღოლთა ყაენმა აბალამ, რომელ-მც დემეტრე II-ს მეფობა დაუმტკიცა, ასეთ მეურვედ და მზრუნვე-ლად ს ად უ ნ მ ა. კ ა ბ ე რ დ ე ლ ი დაუნიშნა, მონღოლთა ბატო-ნობის ხანისათვის ეს ფრიად დამახასიათებელი პიროვნება.

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც დემეტრე მონღოლთა ყაენის კარზე იმყოფებოდა, 1272 წელსვე, დემეტრემ საღუნ მანკაბერდელს ათაბაგო-შა მისცა. ცხადია, რომ ეს ნაბიჯი 11 წლის მეფისათვის თვითონ მონ-ღოლთა ყაენ აბალასაგან უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

დემეტრე II ლამაზი, ტანმაღალი და კარგი ონაგობის კანთეთრი, ქრის-ტაბუკი ყყო. კარგი ცხენოსნის, შვილღოსნისა და გულგეთილი ადამიანის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. დემეტრეს 14-15 წლისას ტრაპიზონის კე-ისრის ასული შერთეს ცოლად, რომლისაგნაც მას ოთხი ვაჟი, მათ შო-რის უფროსი დავითი, და ერთი ქალიშვილი შეეძინა.

## მეღრივეობის ხანა აღმოსავლეთ სახალიველოზი და საღუნ მანკაბერდელი

მონღოლთა მმართველი წრეების მოუმზადებლობისა და გაუნათლებ-ლობის გამო, როგორც ვიცით, მათ ხელქვეშეთ მყოფ სამეფოებისა და სამფლობელოების მართვა-გამგეობისათვის სხვა ეროვნების სათანადოდ განსწავლული მოხელეები სჭირდებოდათ. ორი პირობა იყო ასეთ შემ-თხვევაში საჭირო, რომ ადამიანს მაღალი თანამდებობა მიეღო და მონ-ღოლთა ნებასურვილის აღმასრულებელი გამხდარიყო: მას უპირველე-სად უნდა მონღოლური სცოდნოლა, მეორე მხრით ის უნდა უაღრესი ჩდობით ყოფილიყო აღჭურვილი. ამრიგად, მოენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭია.

მონღოლთა ხელისუფლებს არც ერთი საქმის გარჩევა და გადაწყვეტა არ შეეძლოთ, თუ რომ მოენეს არ მოიშველებდნენ. მათ სვინდისიერე-ბაზე იყო დაყარებული, თუ სხვა ენაზე მოთხრობილს მოხსენებასა, თუ თხოვნას, როგორ გადასცემდნენ, როგორ წარმოუდგენდნენ მოდავეთა შორის ინტერესების შეხლა-შემოხლას. ამრიგად, მონღოლთა ხელქვე-შეთ მყოფი ხალხის ბედილბალიცა და სასამართლოში შესული საქმეების მთელი მიღინარეობაც ამ თარჯიმანი მოხელეების ხელში იყო. მომჩი-ვნებ-მოღავეთა მოგება-წაგების შესაძლებლობა მათ ენაწყლიანობასა, სვინდისიერებასა, თუ ანგარებაზე იყო დამოკიდებული. ამ გზით მოენენი შედროვეებად იქცნენ და მათი აღზევება ზღაპრული სისტრაფით წარ-მოებდა, თუ რომ თითოეულს მათგანს შესაფერისი შეგუების ნიჭი აღ-მოაჩინდებოდა და ჭეუას გამოიჩნდა. ასეთ პირს მონღოლებისათვისაც უნდა ეამებინა და იმავე დროს ისე წაეყვანა საქმე, რომ სრული უკმა-ჟოფილება არც მოსახლეობაში დაემყარებინა.

ს აღუნ მანკაბერდ ელი ერთი ასეთი პირთაგანი იყო. ჯერ კიდევ თამარის ხანაში ასპარეზზე გამოსული გასომებული ქურთის შთამომავალი, სომხურის, ქართულისა და სპარსული და მონოლური ენების კარგი მცოდნე, სწორედ ასეთი ხანისა და ასეთი პირობებისათვის ღაბადებული ადამიანი იყო. ის ჯერ კიდევ ავავ ათაბაგისა და გვანცას ასულის ხვაშაქის ეჯიბი იყო. ხვაშაქის ყაენის პირველ ვაზირ საპიბ დივანზე, ხოჯა შემსედინ ჯუფეინზე, გათხოვების შემდგომ, ის უფრო აღზევდა, რაღაც ამიერიდან ყოვლად-ძლიერ გაზირთან დაახლოების საშუალება ჰქონდა. მის სწრაფ დაწინაურებას სწორედ ამან შეუწყო ხელი. აღმოსავლეთ საქართველოს საკითხების განხილვის ღროს, საღუნ მანკაბერდელი მონოლთა ყაენის ურდოში პირველ მრჩევლად იქცა, მაგრამ მისი ძლიერება დამყარებული იყო იმ უნარზე, რომელიც მან ერთი მხრით მონოლთა ყაენების შექებაში გამოიჩინა, მეორე მხრით მონოლთა ყაენის ყურადღება როგორც კარგმა ფალავანმაც დიამასახურა.

ბუნებრივია, რომ აბალა ყაენს სწორედ ასეთი ნდობით აღშურვილი ადამიანისათვის ჩაებარებინა დემეტრე II-ცა და საქართველოც. აბალა ყაენმა საღუნ მანკაბერდელს საქართველოს ლაშვართა მთელი საქმე გადასცა, ხოლო მცირეწლოვანი მეფის მეურვეობა-მზრუნველობამ მას აღმოსავლეთ საქართველოს მართვა-გამგებლობაც ჩაუგდო ხელში. ამგვარად, საღუნ მანკაბერდელი საქართველოს სათავეში მოექცა.

საღუნი მარტო პოლიტიკურ აღზევებაზე აღარ ზრუნვდა, არამედ ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა, რომ თავისი ქონებრივი შეძლებაც გაედიდებინა და გაეფართოვებინა: 1278 წელს დემეტრე II-ისგან მან თელავი, ბელაქანი და ბევრი სხვა ადგილებიც ჩაიგდო ხელში. როდესაც შეძლებ დემეტრე II ურდოში იმყოფებოდა და მონოლებმა მას იმდენად დიდი თანხმი გადახდა მოსთხოვეს, რომლის გამოლება მუდა იმდენის დროს არ შეეძლო, ამ თანხმის გადახდა საღუნ მანკაბერდელმა იკისრა, მაგრამ სამაგიეროდ, რასაკვირველა, თავისთვის სასურველი სასყიდელი მოითხოვა: ისეთი მნიშვნელოვანი აღგილი. როგორც ქალაქი დმანისი და მისი სანახები იყო. დემეტრე II-ს სავაჭრო გზაზე მდებარე ასეთი ცენტრისა და ძლიერი ციხის დათმობა არ უნდოდა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, რომ სხვა საშუალება არ ჰქონდა: უნდა უნებლიერ გამამდარი მალის პატრონის საღუნ მანკაბერდელისათვის დაეთმო. შემდეგში იგი აღარც ამით დაკმაყოფილდა. მან დემეტრე II-ს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ისეთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის გადაცემაც სთხოვა. როგორიც კარი იყო, ეხლანდელი ყარსი. მიიღო თუ არა კარი საღუნ მანკაბერდელმა, მაშინვე თავის საჯდომად აქცია.

დიდი სიმღიდის დაგროვებამა და უძრავი ქონების აზვინებაშ საღუნს ზღაპრული მოძრავი ქონებაც შესძინა: ოქრო-ვერცხლის, ძვირფასი ქვების, საქონლის ჯოგების სიმრავლე მის ხელში განმაცვიტრებელი სის-

ჭრაფით იზრდებოდა. ამ სიმღილის წყალობითა და ფულის საშუალებით, მას თავისიუფლიდ შეეძლო თავისი დასახული მისანი განეხორციელებინა იქაც-ი, სადაც სხვა ყოველგვარი ლონისძიება პირადი მიზნის მიღწევას ვერას შევლოდა ხოლმე. მაგალითად საღუნ მანკაბერდელმა მრავალი ქვეყანანი იყიდო, მოგვითხრობს ისტორიკოსი, ხოლო იქ, სადაც საქმის მოგვარება ვერც ამ საშუალებით ხერხდებოდა, საღუნ მანკაბერდელმა მისთვის სასურევლი ადგილის და ქვეყნის ხელში ჩაგდება დამოყრებითაც იცოდა ხოლმე. ამგვარად, მან მაგალითად კარის მიმდგომი სანახები ჩაიგდო ხელში: ახალციხელის ასული ითხოვა ცოლად და შისგან კარის მახლობლად მდებარე ქვეყანა მიიღო.

საღუნ მანკაბერდელი თავისებური პიროვნება იყო: ის მონღოლს მონღოლად ეჩენებოდა, ქართველთან ქართველი, სომებთან სომები იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ის მონღოლთა ზე-ჩერეულებას შეეგუა. მათი აზროვნება და საჯახახო წესები მისი უაღრესად მოჭარბებული მაღიაზნობის დაქმაყოფილებას კარგად უწყობდნენ ხელს. მონღოლთა წაბაძვით მან სამი ცოლი შეირთო.

საგულისხმოა, რომ საცოლეს მოსაპოებლადაც საღუნ მანკაბერდელი ისევ საშუალების განუჩრჩევლად მოქმედებდა, როგორც მოძრავ-უძრავი ქონების ხელში ჩასაგდებად. დემეტრე II-ის დაი თამარი იძულებული იყო არლუნის შეილს მისთხოვებოდა და თავის ქმარს ერანში გაპყოლოდა. როდესაც არლუნი მოკვდა, მისმა შვილმა თავისი მეულე თამარი დროებით თბილისში მოივევანა, მაგრამ ძალით გათხოვილი თამარი თავის ქმარს გაექცა და მთიულეთში შეაფარა თავი. საღუნ მანკაბერდელმა გადასწვეილა, თამარ ბატონიშვილი თავის ცოლად გაეხადა. ამ მიზნით მის ქმარყოფილს შეეგატრა და მონღოლური წესის თანახმად მისგან იყიდა. როდესაც თამარ ბატონიშვილი ქმრისაგან ფულად შეიძინა, ამის შემდგომ მის ძმას დემეტრეს და თითონ თამარსაც მიკმართა. შესაძლებელია, მონღოლთა ხელში ყოფნას, თამარისათვის მაინც უკეთესი იყო, ისევ საქართველოში დარჩენილიყო, მაგრამ რამდენად ნებაყოფლობითი იყო ეს თანხმობა დემეტრე II-ის მხრით და რამდენად სასურველი იყო მისთვის ასეთი სიძობა, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში ამით ყველაზე მეტად საღუნ მანკაბერდელი უნდა ყოფილიყო ქმარყოფილი: იმ სამრხელე და ქონებრივ აღზევებას, რომელიც მას ასეთი სიძრაფით ჰქონდა მოპოვებული, ეხლა საქართველოს მეფის სიძობის ზრდყინვალებაც ემატებოდა.

ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ საღუნ მანკაბერდელის ყოფა-ქცევა, მისი მრავალცოლიანობა, რომელიც საქართველოში მანამზე გაუგონარს ამბავს წარმოადგენდა. ბუნებრივად იწვევდა აღშფოთებას. შეტაძრე საეკლესიო წრეებში. საქართველოს ეკლესის მოხუცი საჭირობებული ნიკოლოზ კათალიკოსი ბევრს ეცადა, შეცრჯერ ამხალა და შეაჩვენა კიდეც, რომ როგორმე მრავალცოლიანობა

და ერთი ცოლით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ვერა-  
უერს გახდა. ყოვლად-ძლიერ საღუნ მანქაბერდელთან შედარებით მას  
არაფერი შეეძლო.

ვერაფერი დაკლო კათალიკოსის წყევლა-კრულვამაც. ეს იმითაც აი-  
სხნება, რომ საღუნ მანქაბერდელი მოხერხებული აღამიანი იყო, რო-  
მელსაც კარგად ესმოდა, რომ მარტო მმართველთა წრეების ნდობისა და  
ყურადღების დამსახურება არ კმაროდა, რომ წონასწორობის დასაცავად  
ამათანავე მოსახლეობის გულის მოჯებაც იყო საჭირო. სწორედ ამი-  
ტომ იყო, რომ ის, თავის ქცევისდა მიუხედავად, ყოველნაირად ცდი-  
ლობდა, რომ ეკლესის ყურადღებაც და კეთილი განწყობილებაც დაემ-  
სახურებინა. ამას კარგად ახერხებდა კიდეც; თუმცა მას ყველა საეკლე-  
სიო წესები, მათ შორის მრავალცოლიანობითაც, ჰქონდა დარღვეული,  
მაგრამ სამაგიეროდ მას ეკლესიისათვის შეწირულებაც მიქვენდა და  
ცდილობდა კიდეც მაშინდელი გავლენიანი სამონასტრო დაწესებულე-  
ბებიც განხოვისუფლებინა მონლოლთა გადასახდებისაგან. ხალხის  
ყურადღებაც ჰქონდა მას იმდენად დამსახურებული, რამდენადაც, ვი-  
თარცა მონლოლთა დაახლოვებულ პირს, მონლოლების დიდ ნოინთა და  
მათი ელჩების თავაშვებული თვითნებობის ალაგმა სხვებზე მეტად შეეძ-  
ლო. რაკი ეკლესიისათვის მისი უხვი შეწირულება და გადასახადებისა-  
გან განთავისუფლებისათვის მზრუნველობა მისდამი კეთილ განწყობი-  
ლებას ჰქონიდა, ცხადი იყო, რომ ასეთ პირობებში საღუნ მანქაბერდელს  
თავისი თავის ეკლესის საჭირობელის წყევლა-კრულვისაგან  
უზრუნველყოთა აღვილად შეეძლო: მისოვის ეს არავითარ საშიშროებას  
არ წარმოადგენდა.

სამაგიეროდ, საღუნ მანქაბერდელს ერისკაცთა, მეტადრე ქართველ  
უა სომებს დიდებულთა, შორის ბევრი მოწინააღმდეგე და მტერი ჰყავდა,  
რომელთაც მისი ასეთი სწრაფი აღზევებაცა და გამდიღრებაც, რასაკ-  
ვირველია, არაფრად ექაშნიეროდათ, მაგრამ საღუნ მანქაბერდელის  
წინააღმდეგ ბრძოლა აღვილი საქმე არ იყო: მონლოლებთან უაღრისე  
დაახლოვებულობა და მისი გავლენიანობა, საღუნ მანქაბერდელს საში-  
შარ მტრად ხდიდა, რომელთანაც ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შე-  
იძლებოდა, თუ რომ აღამიანი გადასწყვეტდა, ან თავი შეეკლა, ან გაუ-  
მარჯვე, ან თუ ამს ვერ მოახერხებდა, უნდა მას სამუდამოდ გასცლოდა  
ასპარეზიდან.

ამრიგად, დემეტრე II-ს არავითარი საბუთი არ ჰქონდა საღუნ მანქა-  
ბერდელის ქაყოფილი ყოფილიყო. მისი გაუმაძღარი მაღიანობა, გაბა-  
ტონებულ მონლოლთა ხელისუფლების დაუფარავი მომხრეობა, მისი  
პარპაში, საღუნ მანქაბერდელს მეფისათვის უსიამოენო პიროვნებად  
ხდიდა. ქართველი და სომები დარბაზის-ერნიც უმეტეს შემთხვე-  
ვაში მისი მომხრენი არ იყვნენ. საქართველოს მმართველი წრეები ორ  
ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: ერთ მხარეზე ქართველი და სომები დარ-

ბაზის-ერნი იყვნენ, რომელიც მეფეს მხარს უჭერდნენ, მეორე მხრით საღუნ მანქაბერდელი თავისი ფეხის-ხმის-ამყოლ მცირერიცხოვან პირებითურთ.

საღუნ მანქაბერდელი რომ 1281 წელს გარდაიცვალა, დემეტრე II-მ ათაბაგობა მის შვილს ხუტლუ-ბულას-კი არ მისცა, არამედ ტარსაიკ თრდებელს უწყალობა, ხუტლუ-ბულას-კი ამირასპასალა-რობა აქმარა და შვილს მხოლოდ მამის მამული შეუნარჩუნა. ტარსაიჭ ორბელმა, მმ საგვარეულოს წარმომადგენელმა, რომელიც გიორგი III-ის დროს დემნა-იოანე ორბელის აჯანყების გამო განადგურებული იყო და რომლის რამდენიმე შთამომავალი მხოლოდ ერანში გაქცევით გადურჩა, არამც თუ დაკარგული გავლენის აღდგენა მოახერხა, არამედ საქართველოს სახელმწიფოს ისეთი დიდი ხელისუფლებაც ჩაიგდო, კვლავ ხელში, როგორიც მაშინდელ საქართველოში ათაბაგობა იყო.

რასაკვირველია, საღუნ მანქაბერდელის აღზევება მხარებრძელთა საგვარეულოსათვის, რომელთა ეჯიბიც საღუნ მანქაბერდელი იყო თავ-დაპირველად და რომელიც თაბაგად ქცეული თავზეც-კი დაუსკუპდათ, უსიამოვნო გარემოებას წარმოადგენდა. მაგრამ მხარებრძელებისათვის ამაზე არანაკლებ უსიამოვნო გარემოება ორბელის აღზევება იყო, რადგან მხარებრძელების დაწინაურება გიორგი მესამის დროს სწორედ ორბელთა საგვარეულოს განადგურებასთან იყო დაკავშირებული. მას შემდგომ, რაც გიორგი III-მ საქართველოში ამ საგვარეულოს არსებობას ბოლო მოუღო, მხარებრძელთა საგვარეულომ დაწინაურება შესძლო ამგვარად, ტარსაიჭ ორბელის გაათაბაგება მხარებრძელთ შეეძლოთ თავიანთი უფლებების შელახვად მიეჩინათ.

ამნარად, იმ ბრძოლას, რომელიც მაშინდელ საქართველოში წარმოებდა, დაერთო დიდ საგვარეულოთა შორის დიდი ხელისუფლების, გამო ატენილი ბრძოლაც. ეხლა, როდესაც საღუნ მანქაბერდელის, შვილს, ხუტლუ-ბულას, მოულოდნელად ათაბაგობა ხელიდან გაუსხლტა, ტარსაიჭ ორბელი, რასაკვირველია, მასზედაც უფრო დაწინაურდა და მხარებრძელების უფროსადაც იქცა. სხვა დანარჩენ დიდგვარიან ახნაურებზე მეტად, რა თქმა უნდა, მხარებრძელი უნდა ყოფილიყვნენ უქმაყოფილონ. ჯერ ერთი საღუნ მანქაბერდელი და მისი შვილი ახლად, ამასთანავე უცხო ძალის მომხრეობით აღზევებული და დაწინაურებული პირი იყო. რაც უნდა იყოს, მხარებრძელთა გვარი საქართველოს სახელმწიფოს ერთგული სამსახურით იყო წამოწეული და ორბელთა საისტორიო ასპარეზზე კვლავ ამოტივტივებაც, იმ ორბელთა, რომელიც გიორგი III-ის ღალატის გამზ იყვნენ დასჯილნი, როგორც მხარებრძელებისათვის, ისე სხვა, დიდებულთათვის, ორმელთაც მხარებრძელებთან ერთად იმავე ხანში დაიწყეს აღზევება, რასაკვირველია, საწყენი უნდა ყოფილიყო.

ხუტლუ-ბუღას. თავის მამისგან კარგად ჰქონდა უარყოფითი თვისებები და დამკვიდრებული, მისი ნიშისა და სხვა თვისებების შესახებ-კი, რომლითაც მისი მაძა სადუნ მანკაბერდელი იყო დაჯილდოვებული, ცნობები არ მოგვეპოვება. შურის მაძიებლობით ის თავის ყოვლად ძლიერ შშობელს არ ჩამოუკარდებოდა, მაგალითად ორნი ძმანი აბულეთის ქენა რომელნაც ხუტლუ-ბუღას მამას, საღუნს, რუმში გაექცნენ და, იქ შესინულნი, იძულებული იყვნენ დარჩენილიყვნენ საღუნ მანკაბერდელის შიშით, მისი ვაკიშვილის, ხუტლუ-ბუღასგან შურისძიების შესაძლებლობა მათ საშუალებას არ ძლიერდა, რომ სადუნ მანკაბერდელის გარდაცალების მერმეც თავიანთ საშობლოში დაბრუნებულიყვნენ. შემდეგში მათი ეჭვის საფუძვლინობა სრულებით დადასტურდა კიდეც

## აღმოსავლეთ საქართველოს გეზოგარეობა დამატები 11-ის გეოგრაფი

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს მეფე მცირეწლოვანი იყო, დემეტრე II-საც მონღოლთა იმ ხანის ყოველ ლაშქრობაში წინანდგებურად უხდებოდა მონაწილეობის მიღება. თითოეული ასეთი ბრძოლისათვის საქართველოდან მას უნდა გარევეული რაოდნობის სამხედრო ძალა გამოყენდა. 1278 წლისათვის რომ სრულწლოვანი შეიქმნა დემეტრე II, უკვე სახელმწიფოს მართვა-გამჭეობას შეუდგა. მაგრამ მონღოლთა შძლავრობისა და ხშირი მოლაშქრობის წყალობით, მასაც საშუალება არ ჰქონდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საქმეებისათვის მოეცალა და საქართველოში ყოფილიყო. ყოველ მათ ლაშქრობაში შორეულ ქვეყნებში მიჰყვებოდა ხოლმე და ამ დროისათვის, საქართველოს მესაჟეობაც, რასაცირველია, სხვას ეისმე უნდა ჰქონდა ჩაბარებული.

ამ ხანაში მონღოლები უმთავრესად ეგვიპტის სულტანს ებრძოდნენ. რამდენადაც ეგვიპტის სულტნები მონღოლთა ბატონობის მტრები იყვნენ, საქართველო მათი ბუნებრივი მოყავშირე უნდა ყოფილიყო. ჩვენს ქვეყნას მათთან საბრძოლველი მაინც რა უნდა ჰქონდა. აკა დასავლეთი საქართველო სწორედ ასეც იქცეოდა: დავით IV, როგორც ვიცით, ამ პოლიტიკურ გეზს აღგა კიდეც, მაგრამ, დემეტრე II-ს სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მონღოლებთან ერთად მონაწილეობა მიეღო და ლაშქრობაში გასულიყო.

თუ წინათ მონღოლთა ლაშქრობა ძლევამოსილი იყო ხოლმე და, ვინც ამ სამხედრო მოქმედებას გადურჩებოდა და შინ დაბრუნდებოდა, საშუალება ჰქონდა თან ნადავლი მაინც მოეტანა და ამით სამშობლოში თავისი შეთხელებული ქონებრივი მდგომარეობა ცოტათი მაინც გამო-

ესწორებინა, ამ ხანაში მონღოლთა სამხედრო ძლევამოსილება უკვე ძალზე შემცირებული იყო და გამარჯვება მათი მოქარბებული ლაშქრობის არც თუ ისეთი ხშირი ხედრი გახდა. მაგალითად, 1277 წელს, რუმის სულტნის ფარავანის (ფარვანას) გამცემლობის გამო, ერანის ილხანის შეერთებული ლაშქრობა საშინლად დამარცხდა და უკუჭეულ იქნა. ამ ოში ქართველთაგან ბევრმა შესწირა თავისი სიცოცხლე. 3.000-მებრძოლისაგან ცოტალა დაბრუნდა საქართველოში.

საგრძნობი დამარცხებით დამთავრდა 1280 წელსაც მონღოლთა მბრძანებლის მანგუ-დემურის ლაშქრობაც, რომელიც ასურეთში ეგვიპტის სულტნების საბრძანებელ მიწა-წყალზე წარმოებდა. ამ ლაშქრობაში 50 ათასი მონღოლი და 30 ათასი ქართველი, სომები და ბერძენი მეომარი იყო ჩაბრული. ქალაქ ჰემესთან (ჰამასთან) მომხდარ ბრძოლაში ერანის ილხანის შეერთებული ჯარი დამარცხებულ იქმნა და იძულებული იყო ლტოლვით ეშველა თავის თავისითვის. ამ ოშიც ქართველთა უმრავლესი ნაწილი დაიღუპა.

წინ წლის მარცხის მიუხედავად, 1281 წელს ერანის მბრძანებელმა ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ განაახლა და დემეტრე II-ს აქაც მონაწილეობის მიღება მოუხდა. ქართველ მებრძოლთა ჩიცხვი 5 ათას ცხენოსან ჯარისკაცს უდრიდა.

1281 წელს ქალაქ ამასიის მახლობლად, მონღოლთა სარდლის მანგუ-დემურის დაჭრის გამო, ერანის მონღოლები დამარცხდნენ და ამ ბრძოლაშიც დიდი ხალხი დაიღუპა. მათ შორის ქართველთა ლაშქრის უმრავლესობაც, თვით დემეტრე II ძრიგს გადაურჩა სიკვდილს.

ცხადია, რომ, ხშირ მოღაშქრეობასთან დაკავშირებით, სამხედრო ექსპედიციების ასეთ მარცხს საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა დიდ ქონებრივ გაჭირვებაშიც უნდა ჩაეგდო. ის სიღატაკე, რომელიც საქართველოში წინათაც იყო საგრძნობი, ამის გამო არამეტ თუ შეუძლებელი იყო შენელებულიყო, არამედ, რასაკირველია, უფრო მეტად უნდა გაძლიერებულიყო. მართლაც, დემეტრე II-ის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ეკონომიურად გამწვავებული მდგომარეობა და სიღატაბე წინანდელზე მეტად ჩანდა. ეს უპირველესად ქალაქებში იყო საგრძნობი, მაგალითად თბილისში. იმდროინდელი ისტორიკოსის ცნობით, ადამიანი მათხვარ-დავრდომილებსა და ობლებს, რომელთაც დახმარების სათხოვნელად ქუჩაში უხდებოდათ გამოსვლა, ბლომად შეხვდებოდა. დემეტრე II თურმე შუალამისას გამოდიოდა და ესმარებოდა ხოლმე ამ ცხოვრებითა და ქონებრივი გაჭირვებით გაუბედურებულებს.

ქონებრივი გაჭირვების დამატებიცებელი მრავალი მაშინდელი საბუთი მოგვეპოვება. სიღატაკე იმდენად მძლავრად იყო მოდებული, რომ თვით მაღალი წრეების წარმომადგენენიც აღარ თაყილობდნენ და თავიანთ უმწეო მდგომარეობას საჯაროდ აღიარებდნენ. ჩვენამდე მოაღწია წარწერებმა, რომლებშიც ეს გარემოება შეუფერადებლივ არის აღ-

ამ ეკონომისტ გაჭირვებას ზედ დიდი კატასტროფული და მიწის ძვრაც დაერთო, რომელიც დიდ ხუთშაბათს დაიწყო და აღდგომა ღლემდე გაგრძელდა, როდესაც მიწა ისე საშინლად შეინძრა, რომ ისტორიკოსის თხრობით, მრავალი საყდრი, მონასტერი, ეკლესია, ციხეები, სახლები და ყაველგვარი ნაგებობა დაიქცა, თუმც მთანი და ბორცვებიც-კი ჩამოიშალნენ, კლდეებიც-კი მტკრის მსგავსად ჩამოიფშვნა, მიწა განიპოვ და ნაცარალებიდან კუპრისებრი შავი სითხე გამოვიდა.

ეს საშინელი მიწისძერა ამის შემდგომაც მთელი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მან მრავალი შენობა და სხვა ნაებობა იმს სხვერპლა, დიდალი ხალხიც დაიღუპა და უსახლეაროდ, უსახსროდაც დარჩა. ამ მიწისძერის მთავარი ცენტრი სამცხეში იყო, მაგრაც მისი ანარეკლი ქართლშიც საქამაოდ ძლიერად ჩანდა, იმდენას ძლიერად, რომ მცხეთის საყდარიც კი დაიჭიდა.

საქართველოს საგალალო ეკონომიური მდგრმარეობის გარემოება იმ-  
დენად ცხადი იყო, რომ მონლოლთა ყაენისათვისაც ეს საიდუმლოებას  
აღარ შეადგენდა: მას შეეძლო ეს თუნდაც იქიდანაც დაენახა, რომ სა-  
ხელმწიფო გადასახადები მონლოლთა ყაენის სალაროს წინანდელზე სულ  
უფრო-და-უფრო ნაკლები მისდიოდა. აბალა ყაენს უნდოდა გამორკვევია,  
ეს მართლაც გაღარიბების და ოპტერების შედეგი იყო, თუ არა, და, სა-  
ხელდობრ, რომელი ქვეყანა უფრო ოპტრდა, და რომელი ვითომც უნდა  
აშენებულიყო. XIII საუკუნის 80-ან წლების დამლევს მან ამ მიზნით  
ხალხის აღწერა და აღრიცხვა მოახდენინა და ამ აღწერამ გამოარკვია.  
რომ მისი სამფლობელოების უმეტესი ნაწილი ოპტრებული ყოფილა,  
მათ შორის საქართველო. ხოლო საქართველოში ყველაზე მეტად კა-  
სე თა, ჰერეთი და კამბე ჩი იანის ვაკენი იყო გამარ-  
ტახებული, ბერქა ყაენსა და ერანის ილხანებს მორის ბრძოლის შედე-  
ვად.

ბისათვის შეწირული უძრავი ქონების მიტაცებითაც: სოფლებს და ფერაკებს იძრუნებდნენ ეკლესიისაგან. თუ რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო გაჭირვება, იქიდანაც ჩანს, რომ ეს მოძრაობა, რომელიც თავდაპირველად ქართლ-კახეთში დაიწყო, მესხეთს-კი, რომელიც მაშინ აღმოსავლეთ საქართველოსაგან იდმინისტრატიულად გამოყოფილი იყო, არ შექმნია, ამ ხანაში მესხეთსაც მოსდებია. მესხთა ეკლესიის ყველაზე უფროსი საეპისკოპოსოს, აწ ყ უ რ ი ს, ქონებრივი მდგომარეობა სწორედ ამ ხანაში ძალიან საგრძნობლად შერყეულა.

საერთო ეკონომიკურ გაჭირვებას თვისის ძლიერი დაღი ყველა წოდებაზე, მათ შორის სასულიერო წოდებაზედაც ჰქონდა დასმული. თუმცა ისტორიული, რომლის ამდროინდელი ცნობებიც ჩვენ შენახული გვაქვს, თითონაც საეკლესიო წრის წევრი იყო, მაგრამ მასაც არ შეეძლო დამალა, რომ მაშინ „მღვდელმთავარი და მღვდელი“ ამპარტავანი, ანგარი და ბოროტისმყოფელი იყო. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ ეკლესიის გავლენა ხალხზე ძალიან შემცირებულიყო.

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, თვითონ იმწროინდელ ქართველ ისტორიულის ცნობების მიხედვითაც, ეკლესიის გავლენა მართლაც ძალზე შერყეული ყოფილა: მეფეები და ღიღებულები არც კათალიკოსის, არც სხვა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ქადაგებას ყურადღებას აღარ აქცევდნენ. ისევე როგორც საღუნ მანჯაბერდელს სამი ცოლი ჰყავდა, ღვემეტრე II-მაც სამი ცოლი შეირთო. კათალიკოსი მრავალჯერ ამხელდა, მაგრამ ვერას გზით მეფე ვერ დაარწმუნა, ერთი ცოლით დაქმაყოფილებულიყო და თავის ქვეშევრდომითათვის უწესობის მაგალითი არ მიყცა. რაკი თავისი რჩევა-დარიგებითა და ვერდებით ვერაფერს გახდა, მოხუცებულმა ნიკოლოზ კათალიკოს მანამდებობას თავით დაანება და გადადგა. თუ მას ეგონა, რომ ამ ნაბიჯით რამე შთაბეჭდილებას მოახდენდა, ეს იმედი მას უნდა ადვილად გასცრუუბოდა. თვითონ ნიკოლოზ კათალიკოსმა თავის მოადგილედ ღვემეტრე II-ის ჯვარისმტვირთელი ა ბ რ ა მ ი ა კურთხა. ცხადია, რომ ჯვარისმტვირთველი ღვემეტრე II-ის უფრო დაახლოვებული პირი უნდა ყოფილიყო, ვიღრე თვით ნიკოლოზ კათალიკოსი, და, თუ მას რამე გავლენის მოხდენა შეეძლო, ამას ხომ მანამდისაც მოახერხებდა. ამტომაც საფიქრებელია, ნიკოლოზ კათალიკოსი დარწმუნდა, რომ იმდროინდელ პირობებში მდგომარეობის გამოსწორების ყოველგვარი იმედი ამათ იყო. უიმედო უთანხმოების მაგიერ, ეტყობა, მან გადასწყვიტა, რომ თვითონ ჩამოშორებოდა და ეკლესიის მესაჭედ ისეთი პირი დაენიშნა, რომელსაც მეფესთან იმდენად გამწვავებული ურთიერთობა არ ჰქონდა, როგორც მას ამ მხილებისა და საყვედურების გამო.

ერავის მოღლოლთა შეართვები წრევის გიცაური პრეზიდენტი,  
ვისი ანარეპლი საქართველოს კოლეგიურ ცხოვრებაში და  
დემოტი II-ის ბეჭის ტრაგიული დასასრული

მონოლოთთა ულუსებს შორის ნათესავური გრძნობის შესუსტებასთან ერთად, ინტერესთა წინააღმდეგობის გამო, მეტოქეობა და მტრობა აღმოცენდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ულუსებს შორის ბრძოლაც-კი ატყდა. როგორც ვიცით, უთანხმოება და შულლი თვით ერანშიც ჩამოვარდა და საყაენოში შეთქმულება შეთქმულებას მოსიდვედა. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ მონლოლთა ამ ხნის შპრანებლებს თვისი სიცოცხლე ბუნებრივი სიკვდილით დამთავრებინოთ, მონლოლთა მმართველი წრეების პოლიტიკური დაჯგუფება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

1282 წელს ა ბ ა ღ ა ყაენი რომ გარდაიცვალა, მონლოლთა ნოინებზე მა მისი ძმა ა ჰ მ ა ღ ი დასვეს ყაენად, მაგრამ ის უნიჭეოც აღმოჩნდა და მაპმადიანობაც ქვენდა მიღებული, რაც მონლოლთა შორის უკმაყოფილებას იწვევდა. ამ ნიადაგზე ბრძოლის დაწყება აღვილი იყო და მართლაც მისმა ძმამ, რუმის მმართველმა ყონღლურ აღ ა ღ ა ი მ, შეთქმულება განიზრახა და განახორციელა კიდეც. ეს შეთქმულება ჩაქრობილ იქნა 1284 წელს, მაგრამ სწორედ ამ ღრის ყონღლურადაისთან ერთად, ვითარცა თანამნაწილენ, რუმის სულტანი ღიასედინი და ორი ძმა ძაგან აბულეთის ძენიც იყვნენ დახოცილნი. ამ ორი უკანასკნელი მოღვაწის სისხლში საღუნ მანკაბერდელის შვილი ხუტლუ-ბუღა ყოფილ გარეული. როგორც უკვე აღნიშნული იყო, აბულეთისძენი სწორედ საღუნ მანკაბერდელს გაექცნენ, მის შურისძებას-კი გადაურჩნენ, მაგრამ ბოლოს მაინც მისი შვილის შურისძების მსხვერპლნი შეიქმნენ.

ისეთი ვითარება დამყარდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეცემებრძოლთა, ან ერთ მხარეზე უნდა ყოფილიყო, ან მეორე მხარეზე. ეს გარემოება იმ შინაურ ბრძოლასა და ერანის ილხანების საბრძანებელში გაჩრდებულ შულლში საქართველოსაც რევდა უნებლივთ. აპმად ყაენმა თავის თანამემამულეთა ისეთი უქმაყოფილება და სიძულვილი დაიმსახურა, რომ ბოლოს ის აჯანყების მსხვერპლი შეიქმნა: მას ნოინები აუჯანყდნენ და მის მაგიერ აბალას შვილი ა რ ღ ნ ი გააყაენეს.

აპმადი მაინც ნებაყოფლობით ყაენობისათვის თავის დანებებას სრულებითაც არ აპირებდა. მან ჯარი შეაგროვა და საქართველოდანაც დემეტრე II დარბაზი სამხედრო ძალითურთ. იმისდა მიუხედავად, რომ 1284 წელს აპმადმა გაყაენებული არღუნი თავისი და საქართველოს შეერთებული ლაშქრითურთ დამარცხა, იგი უნებლობის ფიცის ჩამორთმევის შემდეგ მაინც კვლავ განათავისუფლა, მხოლოდ არღუნი აპმადმა თავის სარდალს აღინაყს ჩაბარა იმ მიზნით, რომ შემდეგში ჭას არღუნი მოექლა.

დემეტრე II საქართველოს ჯარითურთ სამშობლოში გაემგზავრა,

მაგრამ აქმადის ძლევამოსილება მაღლევე გაქარწყლდა: ნოინები თავისას არ იშლიდნენ და ჯერ აქმადის სარდალს თავს დაესხნენ კარავში და მოკლეს, ხოლო შემდეგ მეორე დილითვე არღუნი გააყაენეს. ამავე დროს დემეტრე II-ს რომ დახმარება აღარ გაეწია აქმადისათვის, საქართველოში შეუთვალეს, აქმადის მოწოდებისათვის არავითარი ყურადღება არ მიეცია და საქართველოდან არ დაძრულიყო. ეს თხოვნა, მეფემ, ჩასაკვირველია, შეასრულა. აქმადი უმშეო მდგომარეობაში ჩავარდა და 1284 წელს ნოინების მიერ შეპყრობილი მონღოლური წესის თანახმად დახსრჩობილ იქნა.

არღუნი ამის შემდგომ მთელი ერანის ყაენად იქცა. მას, რასაკვირველია, უმაღ აქმადის ყველა მახლობელი პირები უნდა თავიდან მოეშორებინა და ყმადნაფიც ქვეყნებში აქმადის მიერ დანიშნული წარმომადგენლების მაგიერ ახალი წარმომადგენლები გაეგზავნა. არღუნი რომ გაყაენდა, დემეტრე უკეთეს პირობებში ჩავარდა, პირველ ხანებში მაინც. მისი მდგომარეობა განმტკიცდა: ერანის ილხანის უმთავრესი მრჩეველი ბუღა საქართველოს მეფესთან დაახლოვებული პირი იყო და ის მას მხარს უჭერდა ხოლმე.

იმისადა მიუხედავად, რომ არღუნი სახელმწიფო ტახტზე თვით ნოინების მიერ იყო აყვანილი, მაინც ხანგრძლივად თავისი ხელისუფლების შენარჩუნება ვერც მან შესძლო. უკვე 1288 წელს არღუნ ყაენს ხევრას-ნიდან მოსულმა შიკრიკებმა შეატყობინეს, რომ კაილუ ყაენის ნოინები ცხენოსანი ლაშქრითურთ ერანზე მოემგზავრებოდნენ და უკვე სინჯარამდისაც-კი მოაღწიეს. 1288 წელსვე მაისში მას ცნობა მოუვიდა, რომ ოქროს ურდოს ყაენის უძლიერესი ნოინი და სარდალი ნოყაც მრავალრიცხვანი ლაშქრითურთ მისი საბრძანებლის წინააღმდეგ მოემგზავრებოდა, დარუბანდი უკვე აღებული იყო და იქიდან ერანში შესაჭრელად მიდიოდა. არღუნ ყაენმაც თავისი ლაშქარი დარუბანდისაკენ გაგზავნა და საქართველოდანაც დემეტრე II დაიბარა საქართველოს ჯარითურთ. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, არღუნ ყაენს აცნობეს, რომ მტერი უკვე უკან დახეული იყო და ერანის მბრძანებელს საშუალება ჰქონდა დამშვიდებით თავის ქვეყანაში წასულიყო.

შემდეგში უკმაყოფილება უკვე არღუნ ყაენსა და მის პირველ ვაზირს ბუღას შორის ჩამოვარდა, რომელიც, როგორც ვიცით, დემეტრე II-ს მფარველი და მოკავშირე იყო. არღუნ ყაენის წინააღმდეგი ისევე, როგორც წინანდელ ყაენების წინააღმდეგაც არა ერთხელ მომხდარა, შეთქმულების მზადებას შეუდგნენ. მისი თაოსნობა არღუნის პირველ ვაზირს ბუღას დაპბრალდა, რომელიც ყაენის განუსაზღვრელი ნღობით იყო მოსილი. მას 1286 წელს მონღოლური უმაღლესი მოხელეობა ჩინგ-სანგომაც-კი ჰქონდა ნაწყალობევი. მაგრამ საკმარისი იყო შეთქმულების ამბავი გამომუღავნებულიყო, რომ 1289 წელს ბუღა შეპყრობილი და სიკვდილად დასჯილი ყოფილიყო. მისი შეიღილი და უკელა ნათესაცები

ამგვარადვე სასტიკად დაისაჯნენ. ყველა მის მომხრებსაც იგივე ბედი ეწიათ.

დემეტრე მეორის მდგომარეობა ამის შემდგომ მეტად სახიფათო შეიქმნა. მონლოლური წესით, უქვე ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეფე შეთქმულების მეთაურთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ბედის უკულმა დატრიალებისათვის სრულებით საქმარისი იყო. ამიტომ არღუნ ყავნისა თავისი საგანგებო ჩრდილებული გამოგზავნა საქართველოში და დემეტრე ერანში დაიბარა. ცხადი იყო, რომ დემეტრეს იგივე მოელოდა, რაც შეთქმულების მეთაურად მიჩნეულს მის ყველა ნათესავებსა და მომხრებს გადაპირდა. დემეტრე II-ის წინაშე წამოიჭრა საკითხი, როგორ მოქცეულიყო: წასულიყო, თუ მთებში გახიზენით თავისი თავის-თვის ეშველა. მას რომ ისეთივე განსაცდელი მოელოდა, როგორც ბულა-სა და ყველა მის მომხრებს თავს დაატყდა, არავითარი ეჭვი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ამიტომაც ამ განსაცდელის უამს მან სახელმწიფო უარბაზი მოიწვია და შეეკითხა, თუ რას ურჩევდნენ.

პირადად მან ის მოსაზრება გამოსთქვა, რომ მონლოლთა ყავნთან წასულა აუცილებლად საჭირო იყო. ამ თავის მოვალეობას იმ მოსაზრებით ასაბუთებდა, რომ დანამდვილებით იცოდა, თუ ის არ გამოცხადდებოდა, ერანის ილხანი შურის საძიებლად უჟველად საქართველოს დააწიოკებდა: ქვეყანასაც ააოხრებდა და ხალხსაც გასწუვეტდა. მას ეს არ ჰსურდა, თავის გულისათვის უდანაშაულო ხალხის დაზარალება და ასეთი მძიმე პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება მას არ უნდოდა: მეორე მხრით, ცხადი იყო, და მან თვითონაც კარგად იცოდა, რომ საქმარისი იყო არღუნ ყავნთან გამოცხადებულიყო; რომ მას იგივე დაპირობითოდა, რაც სხვებს დაემართა.

დარბაზის წევრები ურჩევდნენ, საქართველოში დარჩენილიყო, მის დაცვასაც კისრული ბდენენ, ფიქრობდნენ, რომ მასაც შეეძლო თავისი თავი ისევე გადაერჩინა, როგორც სსვებმაც გარეშე მტრის მრისანებისაგან არაერთხელ, თვით მისმა მამამაც, გადაირჩინეს. მაგრამ დემეტრე II-მ ეს წინადადება უარჲყო და გადაჭრით განაცხადა, რომ ურდოში წასულა მას საქართველოსი და უდანაშაულო ხალხის განადგურებისა და აოხრებისაგან გადასარჩენად გადაწყვეტილი აქვს. მართლაც მან წინასწარ მთელი თავისი მრავალრიცხვანი ოჯახი, ცოლები და შვილები, სხვადასხვა ალაგას დამალა და შემდეგ გზას გაუდგა.

გზაშივე დემეტრე მეფეს ყავნის საგანგებო მოხელე დაპირდა, რომელმაც მეფეს მთელი ქონება, რომელიც თან ჰქონდა, ჩამოართვა, თვითონ ის შეიძყრო და ასე წარუდგინა ყაენს. უკვე ეს გარემოებაც ცხად-ჰყოფდა, რა ხიფათიც მოელოდა მას.

მონლოლთადროინდელს ქართველ ისტორიებს დაცული აქვს ცნობა, რომ თვით ყაენს ვერ გადაეწყვიტა, დემეტრე მეორე ისევე მქაცრად დაესაჯა, როგორც ბულა და მისი მომხრენი, თუ უფრო ლმობიყრად

ქოპეყრობოდა. მას ის გარემოება აფიქტებდათ, რომ დემეტრე II-ის სიკვდილის შემდგომ საქართველოს სამეფო ტახტზე აღარავინ იქნებოდა. მაგრამ ამ დროს ხუცლუ-ზუღა ა, რომელიც დემეტრე II-ის იმის გამო ემურებოდა, რომ მისი მამის სიკვდილის შემდეგ ათაბაგობა მას-კი არა, არამედ ტარსაიჭ რაბელს უწყალობა, არღუნს წარუდგა და მთახესნა: ფიქრი ნუ გაქვთ, მე აფხაზთა მეფის დავითი ის შვილს ვასტანგს გადმოიყვანა, მას მიეცი მეფობა და, ამრიგად, საქართველოს ორივე სამეფო შენს ხელში იქნებათ.

არღუნ ყაენს ეს პოლიტიკური გეგმა მოსწონებია, რაც, რასაკუროველია, ადვილად დასაჯერებელიც არის. ამ გარემოებას დემეტრე II-ის ბედი გადაუწყვეტია საბოლოოდ. თუმცა გამოძიების დროს დემეტრე II-ის მონაწილეობა შეთქმულებაში არ დადასტურებულა, მაგრამ უკვე ის გარემოებაც, რომ შეთქმულების მეთაურთან ის ასე დაახლოვებული იყო, საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისი ბედი ტრაგიულად დამთავრებულიყო.

სიკვდილად დასჯის წინ დემეტრე მეფეს წინადადება მისცეს, ტვითონეე დაესახელებინა სად და რა სიმღიდრე ჰქონდა კიდევ. ამ ცნობის თანახმად, მას მთელი ქონება ჩამოართვეს, ხოლო ამის შემდეგ არღუნ ყაენის განკარგულებით 1289 წელს 12 მარტს დემეტრე II მოვაკანზი, მდინარე მტკვრის პირას, სრკვდილად იქნა დასჯი. იგივე ბედი დემეტრეს უფროს ვაჟიშვილს დაკითხაც მოელოდა, მაგრამ ნოინებმა დაარწმუნეს ყაენი, რომ მცირეწლოვანი ბავშვის სიკვდილად დასჯა მას არავითარ სახელს არ მოუხვეჭდა და ამან დავით უფლისწული სიკვდილს გადაარჩინა.

## ლემატრე II თავდადებულის ზოგადი დახსასიათება

დემეტრე II რთული პიროვნება იყო. ერთი მხრიდან მას თავგანწირულების სულისკვეთება ეტყობა, რაც მან თავისი სიკვდილითაც დაამტკიცა: პირადი განსაცდელის უამსაც ის იმდენად თავის თავზე არ ფიქრობდა. რამდენადაც ხალხზე და საქართველოს ოხრებისაგან და განადგურებისაგან გადარჩენაზე. მისი ამ გმირობის გაელენით მისი პიროვნების მთლიანი დახასიათებაც მისლროინდელი ისტორიების თხზულებაში შეფერადებულია. ნამდვილად-კი დემეტრე II-ის დამოკიდებულება ცხოვრებისა და ეკლესიისადმი თავისებური და თავისუფალი იყო.

დემეტრე II-ის მთელი ცხოვრებითა და პოლიტიკით მტკიცდება, რომ მას არც ეკლესიის, არც მისი მწყემსმთავრების, არც საეკლესიო მოძღვრებისა და ღოვგმატიკის მაინც-და-მაინც დღიდი პატივისცემა არ ჰქონია. ამ თავისი თვისებებით ის გიორგი-ლაშას მოგვაგონებს, ვიღრე სხვა რომელსამე პირს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ თავის სახელმწიფო და აგრარულ პოლიტიკაშიც ის იმავე გზას და იმავე გენეს მისდევდა, რა

გზისთაც მოქმედებდა და რა პოლიტიკითაც ხელმძღვანელობდა დავით V და ბასილი უჯარ მელ-ჭურნ დიდელი: საეკლესია მიწების გაცემა მისი მეფობის დროსაც შეუჩერებლივ წარმოებდა. მაშა-სალამე, ამ შემთხვევაში, მას არც იმ შეკვლა-კრულვის, რომელიც საეკ-ლესია კრების მიერ იყო დადებული, არც იმ პასუხისმგებლობის, რო-შელიც მას ამ შეჩვენებით ვითომც თავს უნდა დასტყუდომოდა, არ შეკ-შინებია.

დემეტრე II-ის სოციალური პოლიტიკის ასეთი გეზი საქართველოს იმ ძლიერი მარებით იყო ნაკარნახევი, რომელშიც ის იმყოფებოდა: გა-ჭირვება, წინანდელთან შედარებით, არამც თუ არ შემცირებულა, არა-მედ გაცილებით უფრო მეტადაც მძღინვარებდა. ჩაი საქართველოს მთავრობას მას შემდგომ სხვა არავითარი ახალი წყარო არ გასჩენია, ცხადი იყო, რომ, თუ არ იმავე საშუალებით, რომელიც დავით V-ის დროს ეკონომიური კრიზისის შესანელებლად იყო გამოყენებული, და-სახული სახელმწიფოებრივი მიზნის მიღწევა სხვით არავითარით შეიძ-ლებოდა.

თუმცა დემეტრე II პირადად გულალი და თავდაუზოგავი მებრძოლი იყო, მაგრამ, მაშინდელი პირობების გამო, მას თავისი მამაცობა და სამ-ხედრო ნიჭი მხოლოდ მონალოთა ინტერესებისათვის ბრძოლის დროს შეეძლო გამოეჩინა: მას საშუალება არ ჰქონდა თავისი ნიჭი და გამჭრია-ხობა საქართველოს საქმებისათვის მოენდომებინა. უმეტეს შემთხვევა-ში მასაც საქართველოს გარეშე უხდებოდა ყოფნა. ამ პირობებშიც მაინც ეტყობა, რომ დემეტრე II-ს თავისი გარკვეული სახელმწიფოებ-რივი გეგმა ჰქონდა, რომ ის შინაური პოლიტიკის გარკვეულ გეზს იდგა. მას ღიღვევრიანი მოხელეების ალაგმაც უწინოდა, მაგრამ დასახული მიზნის განხორციელების საშუალება მას მოსპობილი ჰქონდა: ურჩი მოხელეების მონალოლთაგან მფარველობა გადაულახავ დაბრკოლებას ჰქმიდა. მაშინდელი ეკონომიური კრიზისისდა მიუხედავად, დემეტრე ცდილობდა აობრებული ქვეყანა განეხილებინა, ამოწყვეტილი მოსახ-ლეობის მაგიერ სხვები მოეყვანა, მიწაზე დაესვა და ქვეყანა მოეშენე-ბინა.

დემეტრე II-ს აღმშენებლობაზედაც უზრუნვია. მართალია, იმდროინ-დელი ეკონომიური გაჭირვების პირობებში, უცნაურიც-კია, მეფეს „პა-ლატსა შინა“ დიდი ტაძრის აგება, შემკობა და სოფლებითა და ზვრებით უზრუნველყოფა როგორ უნდა მოხხერხებინა. თითქოს მისი ასეთი მო-ლეაწეობა ძნელი შესაგუებელია იმ ცხად უარყოფით დამოკიდებულე-ბასთან, რომელიც მას საეკლესია წრებობან ჰქონდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, დემეტრე II-ს სწორედ იმ წრებისათვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ, თუ ისინი მას პირად საქმეებში არ ჩაერეოდნენ, მას მათვისაც \* შეეძლო ზოგი რამ გაექვეთებინა.

უნდა ითქვას, რომ ისტორიკოსისაგან დასახელებული დემეტრე II-ის

მიერ აშენებული ნაგებობა დღემდეა დაცული და ამჟამად „მეტეხის ჰელოვნების მუზეუმს“ ეკუთვნის. ამ ძეგლს ეხლა ჩენენთვის მნიშვნელობა აქვს, როგორც XIII საუკუნის ქართული ხელოვნების უცილობლად მაღალაზრისხოვანი განვითარების ღამამტყიცებელ ძეგლს. მდიდარი ჩუქურთმით შემცული და მშევნიერი ხელოვნებით ასრულებული მისი კარიბჭე და სხვა გადარჩენილი ნაშილები ცხადად ამტკიცებდნენ, რომ, იმ დიდი ეკონომიური გაპიროვების და კულტურული დაქევითების მიუხედავად, რომელიც მონალლთა ჭატონიბის ხანში საქართველოს თავს დაატყდა, ქართულ ხელოვნებას მაინც შემოქმედების ნიჭი დაშრეტილი არ ჰქონია და ხელოვნების მაღალი დონეც ჯერ კიდევ კარგად ყოფილი ჰერჩენილი.

იმდროინდელი ცნობებით დემეტრე II დახასიათებულია, როგორც  
გულშემარტკივარი ადამიანი: მას არც ღარიბ-ღატაკნი ავიწყდებოდნენ,  
რომელთა დახმარება მის ჩეცულებად იყო თურმე ქცეული, მაგრამ დე-  
შეტრე II არც თავის თავს ივიწყებდა: მას საკმაო დიდი უნარი ჰქონდა,  
რომ იმ გაჭირებულ ხანაშიც, თავის პირად კეთილდღეობაზე ეწერუნა.  
ისევე, როგორც მისმა მამამ, დავით V-მ, ისტორიკოსის ცნობით, დიდი  
ქონების დაგროვება შესძლო, დემეტრე II-საც ასევე გამდიდრება მოუ-  
ხერხებია: როდესაც დემეტრე II სიკვდილად იყო დასჯილი, ჩამორთ-  
მეული ქონების სიღიღემ ქართველ ისტორიკოსის ცნობით, ვითომც  
თვით მონღოლთა ყაენიც-კი გააოცა. ეს გარემოება ცოტა არ იყოს უსი-  
ამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს და მაშინაც, როგორც ეტყობა, ყველა-  
ნი არ უნდა ყოფილიყვნენ მისი ქმაყოფილნი.

იმ ორმაგი ბუნებისძა მიუხედავად, რომელიც მას ცხადად ემჩნევა, მაიც მასი ძირითადი ზნეობრივი თვისება უკილობლად უკანასკნელის განსაცდელის დროს გამომჟღავნდა. მას შეეძლო ისევე მოქცეულიყო. როგორც მისი მამა დავით V მოიქცა, რომელიც გაიხინა და ამგვარად თავისი თავი განსაცდელს გადაარჩინა. მას შეეძლო იგივე ჩატარი, რაც, როგორც შემდეგში დავრჩტუნდებით, მისმა შვილმა იკადრა, რომელმაც თავისი სიცოცხლის გადასარჩენად მთიულეობი შეიჩინა იჩინა და წლების განმავლობაში საქართველო მონარქია ყაენის მრისსანების ასპარეზად აქცია. დემეტრე II-ის გმირულმა გამბედაობამ ცხადჰყო, რომ მას ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა კარგად ჰქონდა შეგნებული და ამიტომა, რომ მისმა ამ ნაბიჯმა თანამედროვეთა შორისაც აღტაცება გამოიწვია და ყველა ის უარყოფითი მხარეებიც აპატიებინა, რომელიც მას ჰქონდა. შთამომავლობამაც და ისტორიამაც საქართველოს. მეფეთაგან თავდალებულის წოდებულებაც მხოლოდ მას მიაკუთვნა, რადგან საქართველო და ხალხი თავისი სიცოცხლის განწირებით მონარქია ყაენის აღლუნის მრისსანებისა და აოხრებისაგან მართლაც იხსნა.

## სრულიად საქართველოს მთლიანობის აღდგენა

ვახტანგ II, დავით ნარინის-ძე (1289 — 1292 წ.)

დემეტრეს სიკვდილად დასჯის შემდგომ, საქართველოს სამეფო ტახტზე ვა. ხ. ტანგ მეორე, დავით ნარინის ძე, იქნა აყვანილი. ჰემეტრე II-ის არც ერთს შეიძლს, იმ ბრალდების გამო, რომელიც მათ მამას დააწევა, რასაც კირველია, არ შეიძლება იმედი ჰქონოდა, რომ საქართველოს სამეფო ტახტს ეღირსებოდა. ამას ვარდა, ხუტლუ-ბუღას მიერ ყაენისათვის წარდგენილი გეგმა მეტად მიმზიდველი იყო, რომ მონღოლთა მბრძანებელს მისი განხორციელება არ ეცადა, ამიტომ არღუნ-ყაენმა ხუტლუ-ბუღას დაავალა, რომ თავისი დაპირება აესრულებინა და დასავლეთ საქართველოდან დავით IV-ის უფროსი ვაჟიშვილი, ვახტანგ II გადმოიყვანა.

ეს პოლიტიკური გეგმა ერანის ილანისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო: ჯერ ერთი, იგი საშუალებას მისცემდა თავისი საბრძანებელი დავით IV ნარინის მოუსვენარი და ერანისადმი მტრობით. გამსჭვალული პოლიტიკისაგან უზრუნველეყო. ის უნებლივთ უნდა მოთვინიერებული ყოფილიყო, მეორე მხრით, მისი ვაჟიშვილის აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ტახტზე დასმით იმაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, საქართველოს გელას გაერთიანება, წყდებოდა. ცხადია, რომ მონღოლთა მბრძანებელს ეს საქართველოს თვალსაზრისით კარ აინტერესებდა, არამედ იმით, რომ მას საშუალება ეძლეოდა იმ მიზნისათვის მიეღწია, რომელიც წინათაც დასახული ჰქონდა: მთელი საქართველო ოაიმე გზით მონღოლთა ხელისუფლების მონა-მორჩილად ექცია.

დავით IV-ის აჯანყებისა და დასავლეთ საქართველოში გადასცლის შემდეგ, ის პოლიტიკური დამკიდებულება, რომელიც დასავლეთ საქართველოსა და ერანის ილანებს შორის არსებობდა, შეწყდა, რაღაც მონღოლთა მბრძანებლები ლიხთ-იმერეთში გადასცლა და სამხედრო ძალით იქ თავიანთი ხელისუფლების დამყარებას ვერ ბედავდნენ. ამრიც გად, დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად ერანის ილანებს ჩამო-

შორდა. ეხლა რაյი დავით IV-ის სიკვდილის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მის მემკვიდრედ უეპეველად ვახტანგ მეორევე გახდებოდა, იმერ-ამერეთის გაერთიანება ბუნებრივად მოხდებოდა. პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, ეს მონლოლთა ყავნის, სხვა არა იყოს რა, ხარჯების რაოდენობას უდიდებდა. საქართველოსათვის ეს მხოლოდ იმდენად იყო ხელსაყრელი, რამდენადაც წინანდელი მდგომარეობა ისპობოდა და ორად გაყოფილობის მაგიერ, სრულიად საქართველოს მთლიანობის აღდგენა შესაძლებელი ხდებოდა.

ხუტლუ-ბულა დასავლეთ საქართველოში გადავიდა და დაკისრებული საქმე შესარულა; აღმოსავლეთ საქართველოში ვახტანგ II გადმოიყვანა, რომელსაც თან მისი მძმა დავით-ნარინიც გადმოჰყვა; მას უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მისი უფროსი ვაჟიშვილის გამეობას საქართველოს ყველა დიდებულები იყვნენ მოწალიერებულები. თავის დასარწმუნებლად, რომ ვახტანგ II-ის წინააღმდეგ მტრული მოქმედება არ დაწყებოდა, მან დიდებულებს ფიცი ჩამოართვა და მხოლოდ ამის შემდგომ დაბრუნდა ქტაისში.

ხუტლუ-ბულამ, ვახტანგ უფლისწული, არლუნ ყაენთან წაიყვანა და-სამტკიცებლად. არლუნმა ვახტანგს მეფობა უწყალობა; ან რატომაც არ უნდა მიეცა მისთვის მეფობა, როდესაც ამით ყველაზე მეტად თვითონ მოიგებდა. ამას გარდა საქართველოს მეფედ დასმულს ვახტანგ II-ს ილხანმა ცოლად თავისი და ო ლ ჯ ა თ ი შერთო. ამ გზითაც ის უფრო მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მონლოლთა მგრძნებელთან.

საქართველოში დაბრუნებულს მას საეკლესიო კურთხევის წესიც აუსარულეს. ამ გზით, მაშიასადამც, მისი სრულიადი საქართველოს მეფობა უცილობელი ხდებოდა და ამითვე ერანის ილხანების ბატონობა სრულიად საქართველოშე დაკანონებული იყო. საქართველოსათვისაც ეს ამბავი სასიხარულო მოვლენას წარმოადგენდა, რამდენადაც მაშინდელ პოლიტიკურებს ეს შემთხვევა ეხატებოდათ, როგორც სრულიადი საქართველოს აღდგენა ნიკოთსიიდან დარუბანდამდე. ნამდვილიდან, რასაკვირელია, ასე არ იყო, რაღაც ყველაზე კარგად იცოდა, რომ თუნდაც სამცხე უკვე საქართველოს მეფეთ-მეფის ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდა; დარუბანდზე ხომ ლაპარაკიც-კი ზედმეტი იყო: ჩენენ უკვე კარგად ვიცით, სადაც გადიოდა სრულიადი საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი.

ვახტანგ II დაწყი და მცოდნე მმართველი აღმოჩნდა. თავის მოლვა-წერბაში მან თავდაბლობა და ქვეშევრდომთაღმი მოწყალე და გულუწვი აღამიანის თვისებები გამოიჩინა. მართლმსჯულებაშიც მან სამიათლიანობითა და პირუთვნელობით გაითქვა სახელი. მისი მაღალი თვისებების ჩამნერგვად მაშინ განთქმული იმდროინდელი მეცნიერი ფარს მანიშვილი იყო მიჩნეული, რომელსაც აღუზრდია.

ხუტლუ-ბუღას თაოსნობით გამეფებულმა ვახტანგ II-მ ყოვლად შემძლებელ მოხელეს ათაბაგობა უწყალობა, ისევე, როგორც თავის დროს დემეტრე II-მ მის მამას, საღუნ მანკაბერდელს, ათაბაგობა მისცა. ცხადია, ხუტლუ-ბუღას ამის შემდეგ იმედი უნდა მისცემოდა, რომ ის ისე-თივე ბატონ-პატრონი გახდებოდა, როგორიც თავის დროზე მისი მამა საღუნ მანკაბერდელი იყო: ერანის მშრალებელთან მჭიდრო კავშირი და მისი მფარველობა მას უძლიერეს პიროვნებად ხდიდა. თვით მეფისათვისაც-კი ის საშიში იყო.

მანც ხუტლუ-ბუღასათვის, ეტყობა, თვით ვახტანგ შეფისთანა სათონო ადამიანთანაც კი ხანგრძლივი შეთანხმება ადვილი არ იყო. ორი წლის შემდგომ მათ შორის მტრობა უკვე გაჩაღებული იყო. ხუტლუ-ბუღა დარწმუნდა, რომ ვახტანგს თავის სათამაშო ბურთად ვერ გახდიდა: მას თავისი პილიტიკური გეზიც ჰქონდა და სახელმწიფოებრივი ამოცანებს შეგნებაც. როდესაც ხუტლუ-ბუღა დარწმუნდა, რომ მას საშუალება აღარ ჰქონდა ისე თვითნებურად ემოქმედნა, როგორც მას უნდოდა, მაშინვე გადასწყვიტა ვახტანგი საქართველოს სამეფო ტახტიდან ჩამოეგდო და მის მაგიერ დემეტრე II-ის ვაჟიშვილი დავითი აეყვანა. მისთვის ეს, რასაკურიველია, გაცილებით ხელსაყრელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ დავითი მცირეშლოვანი იყო და, მაშასადამე, მარტო ამ მიზეზითაც მთელი საქართველოს მართვა-გამგეობა უეჭველად მას ჩაუვარდებოდა ხელში.

იმ დროს, როდესაც არღუნ-ყაენი მშიმე ავალმყოფი იყო, ხუტლუ-ბუღამ მონღოლთა ნოინებთან ამ საგანზე მოლაპარაკება გააბა, მაგრამ მათგან თანხმობა ვერ მიიღო, ვახტანგ II-ის გადაყენება ვერ მოახერხა. მან შესძლო მხოლოდ ვახტანგი ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რომ მისი საქმე სასამართლომდე მიეყვანა. სასამართლოს უნდა გადასწყვიტა, თუ. რომელს იმ ორ პირთაგანს, ვახტანგ II-ს თუ დავითს, უფრო მეტა უფლება ჰქონდა, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდარიყო. ხუტლუ-ბუღას ასეთი საქციელი მით უფრო გამაცვითრებელი იყო, რომ ვახტანგის მეფობა სრულიად საქართველოში უკვე ორი წლის წინათ თვით ყაენისაგან იყო გადასწყვეტილი. ხუტლუ-ბუღას იმედი ვერც სასამართლო გაუმართლა: იმისდა მიუხედავად, რომ ის ყოველნაირად ცდილობდა თავისი გაეტანა და დავით დემეტრეს ძე მეფედ გამოეცხადებინა, დასტური ამ სასამართლოსგანაც ვერ მიიღო. ამ შემთხვევაში სასამართლო იმ გარემოებითაც ხელმძღვანელობდა, რომ ყველა გავლენიანი მოხელეები საქართველოში ვახტანგ II-ის მეფობის მომსრუნი აღმოჩნდნენ. საქართველოს სამეფოს მესვეურთ კარგად ჰქონდათ შეგნებული, თუ რა მიზანი ჰქონდა ხუტლუ-ბუღას დასახული, როდესაც მას ვახტანგ II-ის გადაყენება უნდოდა და მის მაგიერ მეფედ მცირეშლოვანი დავით უფლისწულის დასმას აპირებდა; რომ მას საქართვილოს მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება და მეფის სათამაშო ბურთად ქცევა სწადდა.

ამრიგად, ხუტლუ-ბუღას ყოველივე ცდა ამაო გამოდგა, მაგრამ შას მაინც ნატვრა აუსრულდა: ბედმა ვასტანგ II-ს ხანმოკლე მეფობა არგუნა. ბეირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ის გარდაიცვალა და სამი წლის განმავლობაში მეფობაზე მეტი მას სრულიად საქართველოს მართვა-გამგეობა არ დასცალდა.

ასეთი ხანმოკლე დროისდა მიუხედავად, ისტორიულსის ცნობით, ვახტანგმა ჟველს პატივისცემა დაიმსახურა და მისი ნააღმრევი სიკვდილი თვით მის მოწინააღმდეგეს, დავით დემეტრეს-ძესაც-კი, დაპირი გამგეობიდა. ერთადერთი პირი, რომელსაც შესაძლებელია ეს ამბავი გაპირობოდა, შეურისმაძიებელი ხუტლუ-ბუღა იყო.

თავისი ვაჟიშვილის ნააღმრევი სიკვდილით თავზარდაცემული დავით IV ცოტა ხნის შემდგომ თითონაც გარდაიცვალა.

## სრულიად საქართველოს მთლიანობის კვლავ ჩამდებოდა დავით IV-ი, დემეტრეს ძე, და კონსტანტინე დავით-ნარინის ძმი

ვახტანგის ნააღმრევმა სიკვდილმა, როგორც სრულიადი საქართველოს მთლიანობა, ისევე აგრეთვე ჟველა ის იმედებიც, ჩაშალა, რომელიც მის გამეფებაზე იყო დამყარებული. ვახტანგის შემდგომ სამეფო ტახტზე, როგორც ჩანს, ხუტლუ-ბუღას გავლენით, კარგა ხანს არავინ ყოფილა დასმული. მეფედ დავითი იყო განზრახული, მაგრამ ყაენი იმის დამტკიცებას არ ჩქარობდა. ქედა თუ ყაენი, რომელიც არღუნ ყაენის სიკვდილის შემდეგ ერანის ილხანი გახდა, ხუტლუ-ბუღას შთაგონებით. დავით, დემეტრეს ძმის მომხრე აღმოჩნდა. შესაძლებელია მას უმაღ გაემფებინა კიდეც, მაგრამ გართულებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ამის საშუალება და მოცალეობა არ შისცა.

როდესაც 1293 წელს დავით IV გარდაიცვალა, მისი სამი შვილიდან მეფობა პირმშო ვაჟიშვილს ჭონს ტან ტან ნეს ერგო, მაგრამ მას უშცრიასი ძმა აუჯანყდა და რაჭა და არგვეთის ოემები დაიპყრო. ამის შემდგომ დასავლეთ საქართველოში შულლი და მტრობა ჩამოვარდა. არეულობა დიდ ხანს გრძელდებოდა: დროგამოშვებით მდგომარეობა თითქოს გაუმჯობესდებოდა ხოლმე და მტრობა შენელდებოდა, შემდეგ ძმები კვლავ აიშლებოდნენ და ბრძოლა და სისხლის ღვრა ისევ იწყებოდა ხოლმე. ამგვარად, წინათ მშეგილობინად მყოფი დასავლეთი საქართველოც შინაური ბრძოლის ასპარეზად იქცა.

ქელათუ ყაენს იმთავითვე საქათარ სამთლობელოში აჯანყების ჩაქრობა მოუხდა და ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის მან დავით უფლის-წული წაიყვანა. მას უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ის ისეთს ერთგულებას გამოიჩენდა, რომელიც მას უფლებას მისცემდა, შეთქმულებაში გარეული მამის შვილს მიპნდობოდა:

1293 წელს ქედათუმ დავით უფლისწული საბერძნეთში გაგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლებელად და მხოლოდ ამის შემდგომ, როცა ამ ლაშერობაში მან მონაწილეობა მიიღო, უკან დაბრუნებისას მეფობა დაუმტკიცა. მეფობის დამტკიცებისთვავე, საქართველოში დაბრუნ და თან ქართველი დიდებულები, მათ შორის, რასა-კვირველია, ხუტლუ-ბულაც გამოაყოლა.

ცხადია, რომ დავით VI-ის სამეფო უკვე სრულიად საქართველოს ოდან წარმოადგენდა: მას მხოლოდ აღმისავლეთი საქართველო ჰქონდა ხელთ, ამასთანავე მთელი მესხეთის გამოკლებით. როდესაც დავით VI საქართველოში დაბრუნდა, მან გადასწყვიტა, რომ მესხეთი თავის ხელ-ქვეშთ-საბრძანებლად ექცია. მას ეკონა, რომ სარგის ჯა ყელს ის უსიამოვნება, რომელიც მისმა პაპამ შეამთხვია, უნდა დავიწყებული ჰქონდა. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. სარგის ჯაყელის შეიღმა, ბეჭამ, მასთან მოსვლა არ მოისურვა, რაღაც თავის თავს ამდენად განადიდებულად სთვლიდა, რომ ყაენთან წასულასაც აღარ კალრულობდა. მან მხოლოდ თავისი ვაჟიშვილი, სამცხის სპასალარი, სარგის აახლა, რომლის ხელითაც დემეტრე თავდადებულისაგან მიბარებული ქონება მიართვა.

იმ დროს, როდესაც დავით VI ჯერ კიდევ დამტკიცებული არ იყო, ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსებმა დაიწყეს საქართველოში შემოსევა. მათ გრძის ხელში ჩაგდებაც-კი მოახერხეს. მათ ძარცვა-გლეჯას საზღვარს მხოლოდ ქართლის ერისთავთ-ერისთავი ბეჭამ სურამელი ს ძე გა სურამელი არ იყო საჭირო, მათთანავე მონაცემით მთავრობის დახმარებაც. მონაცემით, მხარს სწორედ ოსებს უჰერდნენ. ამ დროიდან მოყოლებული, ოსთა თარეში იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა: შუაგულ ქართლში მათთან ბრძოლის შესახებ ჩვენ არა-ერთი ცნობა მოგვეპოვება. ეს გარემოება დამახასიათებელია, რამდენადაც ცხადჰყოფს, თუ რამდენად შესუსტებული იყო უკვე აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ძლიერება და რამდენად უკვე აღარ შესწევდა ძალა საქართველოს მთავრობას, მისი სამეფოს მოსახლეობის მშენდობინი ცხოვრება და მყუდროება უზრუნველეყო.

ერანის ილხანების ნოინებსა ზა ქედათუს შორის ჩამოვარდნილი მტრობის წყალობით ერანში ისევ არეულობა დაიწყო. საქართველოში 1295 წელს თუკალ ნოინი იქნა გამოგზავნილი. თუკალი (თუქალი) არა-რატის მთებში დადგა და რაკი ერანის ილხანის წინააღმდეგ მას სრულებით გარკვეული მტრული ზრახვები ჰქონდა, მან დავით VI-სთან მოლაპარაკება დაიწყო, დაუახლოებდა მას და უნდოდა, რომ დავით VI-სთან, ზემოაღნიშნული პოლიტიკური ზრახვით ნაკარისხევი, ფიცია და სიყვარულზე დამყარებული ურთიერთობა მოეხერხებინა. დავით VI-ს გული რომ მოუგო თუკალმა, მას მისცა დმანისი, ის, დმანისი, რომელიც თავის

დაროშე, როგორც ვიცით, დემეტრე 11. რძულებული იყო ხუტლუ-ბუღას მამის ჭადუნ მანკაბერდელისათვის დაეთმო. თუკალ ნოინს უნდოდა, რომ ბაილუს გაყაენებისათვის ნიადაგი მოემზადებინა და მის მომხრეთა მძლავრი ჯგუფი შეექმნა. მას იმედი ჰქონდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე თავის ჯარითურთ ამ დასახულ შიშნის განხორციელებას გაუადვილებდა.

საქართველოში შეგროვილი ლაშქროთურთ თუკალი 1295 წელს, როგორც ჩანს, წინასწარი შეთანხმებით ქედათუს წინააღმდეგ გაემგზავრა. ამ ამბის გაგებისათანავე ერანში ქედათუ ყავნი შეიპყრეს და 1295 წელს-ვე კიდეც მოკლეს. უმაღვე ბაილუ იქნა გაყაენებული, მაგრამ ვერც მისი ყავნობა აღმოჩნდა ხანგრძლივი. შვიდი თვისა და 10 დღის შემდეგ, ბაილუ ყაზანში მოაკვლევინა და თვითონ გაყაენდა. მონღოლური წესით ყაზანმა ყველა მისი მომხრეების დასჯა გადასწყვატა და ამის განხორციელება დაიწყო კიდეც.

რამდენადც დავით VI ბაილუს მომხრე თუკალთან ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული, მისი მღვმარეობა მეტად გაუარესდა, მაგრამ ამ განსაცდელს თავი დააღწია. თუკალმა ერანიდან გამოქცევა მოახერხა, ბეჭასთან მოვიდა სამცხეში. თუმცა უფრო ბუნებრივი იყო, რომ ის დავით VI-სთან მისულიყო, მაგრამ მას, როგორც ჩანს, სახითათოდ მიაჩნდა, რომ პირდაპირ თვითონ დავით VI-სთან მისულიყო, და თუკალი ბეჭამ შეირთარა.

ყაზან ყავნა მამინვე თავისი ელჩი გამოუგზავნა და აღმოსავლეთ საქართველოს მთავრობასაც და ბეჭასაც მოსთხოვა, რომ თუკალი და მისი შეილი, რომელიც დავით VI-სთან ერთად იყო შემოხიზნული, გაეცათ. არცერთ მათგანს ამ მონათხოვნის ასრულება არ ჰსურდა,—თავშეფარებული პირის გაცემა არ შეიძლებოდა, — ამიტომ მათ ყაენის წინაშე შუამდგომლობა დაიწყეს, თუკალისათვის უვნებლობის ფიცი მიეცა და, თუ პატიებას ალუთქვამდა, მაშინ გამოუშვებდნენ და დაანებებდნენ. ყაზან ყაენმა ასეთი პირობა მისცა და თუკალი და მისი შვილი მართლაც ერანში გაგზავნეს.

ცხადია, რომ ყაზანი ამის გამო დავით მეფის კმაყოფილი ვერ იქნებოდა, მაგრამ თვითონ დავით VI-საც კარგად ესმოდა, რომ მონღოლებს მისი მტრული განწყობილება ისე ადვილად არ დაავიწყდებოდათ, ამიტომ ყაზან ყაენთან წასვლა მან ვერ გაბედა.

### შაჟან შავნის სახელმწიფო განივი მოღვაწეობა თავის საბრძანებელში

1295 წელს ყაენად ქცეული ყაზანი მხოლოდ ოცი წლის ჭაბუკი იყო, მას მავმადანობა ჰქონდა მიღებული და, როგორც მავმადანმა, გულ-მოდგინეობა გამოიჩინა და ქრისტიანეთა დევნი დაიწყო. ამ მხრივ მის ხანში ქრისტიანეთა მდგამარეობა წინანდელთან შედარებით გაუარეს-

და, რამდენადაც წინათ მონოლები წარმართობის დროს სრულებით თანასწორად ეპყრიობოდნენ ყველა საჩრდინოების წარმომადგენლებს და მათ სამფლობელოში არავითარი საჩრდინოებრივი დევნა არ ყოფილა.

ქრისტიანეთა დევნისძა მიუხედავად, ყაზანი ქვეყნის კარგი მმართველი გამოდგა: სამართლიანობისა და წესიერების დამყარებას ცდილობდა, ქვეყნის კეთილდღეობის აღდგენას დიდ უურადღებას აქცევდა, ხოლო სამართალი იმდენად უყვარდა, რომ, ისტორიკოსის ცნობით, მის დროს უსამართლობა არც დაიდა და არც მცირეს არ შეპრჩენია. ყაზანმა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა დარგში მოახდინა ცვლილება, მიაქცია აგრძელებული უურადღება იმ ბორბოტმოქმედებასაც, რომელიც მონოლოთა საყაენოში გადასახადების აკრეფის დროს ჩვეულებრივ წარმოებდა. ხალხის ხელასალი აღწერის შემდგომ, მან განსაზღვრა, თითო-ეულ მეკომურის რამდენი გადასახადი უნდა გამოელო. „ხარჯის კანონი“ შეადგინა და მის დამტკიცებული დედნითგან გადაღებული და ბეჭდით შემოწმებული პირი დაურიგა მებეგრებს, რომ თითოეულ მათვანს სცოდნიდა, თავის წილად საყაენოს სალაროში რამდენი გადასახადი უნდა შეეტანა. ასეთი გადასახადების ნორმები მან ქვებზერაც კი ამოაჭრევინა და მოედნებზე და მიზგითებში ამ შინაარსის წარწერები გააკუთხებინა.

მიწის გადასახადებით მეტად დატვირთულობისა და მევანშეობის გამო, მიწის დამუშავება ერანის საყაენოში ხელსაყრელი არ იყო. გლეხები თავიანთ მიწას სტოვებდნენ და გარბოლნენ. ქვეყანას გოხსრება მოელოდა. ყაზან ყავანმა ასეთ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია და, გაუკაცრიელებული ქვეყანა რომ კვლავ აღდგენილი ყოფილიყო და მოსახლეობისათვის მიწის დამუშავების ხალისი დაებრუნებინა, დააკანონა, რომ ყოველი მეკომური რომელიც გაპარტახებულ მიწას დაამუშავებდა და კორდს გასტეხდა, პირველ წელიწადს უნდა გადასახადისაგან განთავისუფლებული ყოფილიყო, მეორე წელიწადს გადასახადის მხოლოდ ერთ მესამედს გამოართმევდნენ, მესამე წელიწად-კი ნახევარს. გაუკაცრიელებულ მიწებში ხალხის დასასახლებლად, მან საგანგებო დაწესებულებაც-კი შეჰქმნა, მაგრამ მაინც მარტო ამ საშუალებთ ძალზე გატყავებული გლეხებიც მოხერხდა: ხალხი გარბოდა მაინც. ამიტომ მიწის მუშისათვის რომ მიწის დამუშავება ხელსაყრელი გაეხადა, მან გამოაქვეყნა კანონი, რომლის მიხედვითაც მიტოვებული მიწის დამუშავება, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყველას, მესაკუთრის დაუკითხავადაც, შეეძლო, თუნდაც რომ შემდეგში პატრონი გამოსჩენოდა, მას კორდგატეხილი მიწის წართმევის უფლება არ ჰქონდა.

ყველა ასეთმა ღრანისძიებამ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა ცოტათი მაინც გააუმჯობესა, მაგრამ ვერც ეს აღმოჩნდა საქამარისი აშიტომ მოსახლეობის აყრის შესაჩერებლად და სოფლებითგან სხვაგან გა-  
12. ი. ჯაფარიშვილი. 177

დასახლების მოსასპობად ყაზანშა სოფლის მოსახლეობას თვითნებურად სტვაგან საღმე გადასვლა აუკრძალა. ამრიგად, სოფლის მოსახლეობა ზიწაზე იყო მიმაგრებული და მისი დამუშავება მის აუცილებელ მოვალეობად იქცა.

## ბრძოლა დავით VI-სა და ზაზან ჩავნე შორის და გისი შედეგი

1297 წელს ყაზან ყაენშა დავით VI თავისთან დაიბარა. მეფე თითქოს აპირებდა კიდეც წასვლას, მაგრამ შემდეგ, როდესაც წასვლის დრო დადგა, მან კახეთში ყოფნის დროს დარბაზის კარს მყოფ ყველა უმაღლეს მოხელეებს ჰქიოხა, წასულიყო ურდოში თუ არა. იმ ჭავშირის გამო, რომელიც მას წინათ თუქალთან ჰქიონდა, დავით VI-ს ყაზან ყაენის შურისძიების ეშინოდა. ყველა ვაზირებმა წასვლა ურჩიეს, მაგრამ მეფემ ამ რჩევისათვის ყურისგვება არ მოისურვა და, ერანში წასვლის მაგიერ, მოებისაკენ იბრუნა პირი და უინვანში გამაგრდა. უინვანთან მან სიბა შეკრა (ე. ი. საფრები გააკეთა) და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა. ამავე დროს დავით VI-მ ჩრდილოეთ კავკასიის გზით ოქროს ულუსის ყაენს თავისი უმცროსი ძმა ვა ხ ტ ა ნ გ ი გაუგზავნა მოციქულად და შეუთვალია, რომ მას ერანში შესასვეად გზას შისცემდა. მას უნდოლა, ამრიგად, რომ ჩრდილოეთისა და ერანის ურდოები ერთი-ერთმანეთისათვის წაეკიდებონა და ამგვარი პოლიტიკის საშუალებით განსაცდელისათვის თავი დაეღწია.

ჩრდილოეთის ულუსის ყაენმა ელჩები, რასაკვირველია, სიამოვნებით მიიღო და ეს წინადადებაც სიხარულით მოისმინა. სამაგრეროდ ერანის ილაპინისათვის ჩრდილოეთ ილხანის და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური კავშირის ახეთი შესაძლებლობა დიდ საშიშროებას წარმოადგენდა, რათგან უმოკლესი გზა, დარიალის კარი, რომელიც ჩრდილოეთის ულუსს საშუალებას მისცემდა ერანის ილხანების სამფლობელოს შეპსევოდა, სწორედ აღმოსავლეთ საქართველოში იყო. ამიტომაც ყაზან ყაენშა გადასწყვიტა, როგორმე დავით VI-სთან შეთანხმება მოეხერხდინა, და შემოუთვალა, რომ მასთან ზაგს დასდებდა, თუ-კი ის ყაზან ყაენს შეპტიცებდა, რომ მისი ერთგული იქნებოდა და მის მტრებთან (რასაკვირველია, იგულისხმებოლნენ, ჩრდილოეთის ულუსის ყაენები) კავშირს შესწყვეტდა.

ამ დროითგან მოყოლებული დავით VI სიტყვიერად წლითიწლობამდე ასეთ პირობაზე თანხმდებოდა, მძევლებსაც აძლევდა, მაგრამ ყაზან ყაენთან მისვლას და მინდობას მაინც ვერ ბედავდა.

მას შემდგომ, როდესაც ყაზან ყაენი დარწმუნდა, რომ დავით VI თავის სატყვის პატრინი არ იყო და, ერთგულების ფიცის მიუხედავად, მაინც ჩრდილოეთის, ანუ ოქროს ულუსის ყაენ თოხთასთან მოლაპარა-

კებას განაგრძობდა, განრისხებულმა 1299 წელს გადაწყვიტა, აღმოსავლეთ საქართველოში დავით VI-ის მაგირ სხვა ვინმე გაემეფებინა. მისი არჩევანი სახელმძღვანი დავით VI-ის უმცროს ძმა გიორგი ზე შეჩერდა. ის, მართალია, ამ ღროვისათვის ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, და მესხეთის შთავარს ბექა ჯაყულთან იზრდებოდა, მაგრამ ყაზან ყავნმა მაინც მისი მოყვანა გადაწყვიტა. ბექას თაოსნობით, გიორგი უფლისწული, ჩამოყვანილ იქნა და ის გაამეფეს კიდევაც. რასაცვირველია, მეფობა ნამდვილად მას არ შეეძლო: ის თბილიში იჯდა, ამიტომაც მას თბილის შეფერი ეწოდებოდა.

ქართლი, მთიულეთი, მთელი ჩრდილო მთანეთი და საერთოდ მთელი საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილი დავით მეფის ხელში იყო. დავით VI მონღოლთა ყავნის ლაშქარს ენერგიულად ებრძოდა და დიდ ზიანსაც: აყენებდა მას. ვერას გზით მონღოლთა ყავნის მოხელეებმა მისი ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს, მაგრამ ქვეყანას მონღოლთა ჯარის ღვრმითაცა და ლაშქრობითაც მაინც დიდი ზიანი მოსდიოდა: ქართლი პოტენციული იყო, მთიულეთის ის ნაწილი, რომელშიც მათ შესვლა შეეძლოთ, ასეთივე მდგომარეობაში იყო ჩაგარდნილი.

1301 წელს გაზაფხულზე რომ ყაზან ყავნის ნონი ყუთლუშ აკი მოვიდა დიდი ლაშქრითურთ და თბილისამდე მოაღწია, მას მთიულეთში შესვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამდენი ხნის განმავლობაში განსაცდელში შეიყვანება მოსახლეობას სისხლის ღვრისა და ქვეყნის ოხრების საშიშროებამ დავით VI-დმი გული და დამოკიდებულება შეუცვალა. მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგებოდა, რათგან რამდენადც დავით VI მთანეთში იყო მომწყვდებული, მას შეფობის საშუალება აღარ ჰქონდა და აღმოსავლეთ საქართველოს მთელი შუაგული, ნაწილიც სულ მთლად ოხრებულ ქვეყნად იქცა. ამიტომაც ამერეთის დიდებულებმა, იმის შიშით, რომ ასეთი ყოველწლიური მოლაშქრეობისა და მტრის შემოსევის გამო ქვეყანა სულ მთლად უნდა გაწყვეტილიყო, მეფეს სთხოვეს, რომ ის, იმ შემთხვევაში, თუ წინააღმდეგრანის ილხანისაგან უვნებლობის ფიცს მიიღებდა, ყაზან ყაენთან წასულიყო.

დავით VI-ც უნდა დარწმუნებულიყო, რომ წინააღმდეგობის ამ სახით გაწევას მართლაც უკვე ყოველგვრა მნიშვნელობა ეკარგებოდა და რომ თავისავე ქვეყანაში მას მოკლე ხანში მომხრე აღარ შერჩებოდა. ამიტომ ის დათანხმდა და ყაენთან თითქოს წასვლასაც პარებდა. მიიღო კიდეც ყაზან ყავნისაგნ უვნებლობის ფიცს და ყველა დარწმუნებული იყო, რომ დავით VI ამ თავის უკანასკნელ შეპირებას მაინც აასრულებდა, მაგრამ, როდესაც წასვლის ღრრ დადგა, მეფემ ისევ აღარ მოისურგა წასვლა და წინააღმდებურად მთიულეთში გამარჯვდა: ყველის საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, თუ რა დიდი განსხვავება იყო მის მამას დემეტრე II-სა (თავდადებულად წოდებულსა) და მის შვილს დავით VI-ს

შორის, რომელიც თავის თავის გადასარჩენად ამდენი ხნის განმავლობაზე ში მონღლებს ქვეყანას აოხრებინებდა.

რავი დიდებულები დარწმუნდნენ, რომ მეფე ქვეყნის კეთილდღეობას თავის პირად კეთილდღეობას ანაცვალებდა, მათ გადაწყვიტეს, რომ შესთან ყოფნა აღარ შეეძლოთ და მომეტებული ნაწილი მთავანი, მეფი-სათვის წინასწარ მოხსენებისა და ნებართვის მიღების შემდგომ, ერანის ილხანს დაემორჩილა. ყაზან ყავის მთავარსარდლისათვის ეს გარემოება ფრიად სასიხარულო უნდა ყოფილიყო. საქართველოსათვის-კი ეს მისა სახელმწიფო ბრიობის სრული დაშლის მომასწავებელი იყო: დავით VI მეფედ ითვლებოდა, მაგრამ მას, თითქმის, სამეფო უძვე აღარ ჰქონდა. იმის მაგირი, რომ მონღლოთა ლაშქართან ეომნა, ისიც მოსახლეობის იმ ნაწილს აოხრებდა, რომელიც მონღლოთა ხელისუფლებასთან ერთად იყო. ამრიგად, ერთსა და იმავე დროს ქვეყანა მონღლოთა ლაშქრის თარეშისაგანაც, სამხედრო მოქმედებისაგანაცა და თვით დავით VI-ის ხელითაც ოხრდებოდა.

რავი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფს დავით VI-ს მომხრეთა უმრავლესობა შემოეფანტა, მას უკვე ყველას წინააღმდეგ ეპარებოდა ეჭვი. თვით საკუთარი ძმის ნდობაც-კი მას დაკარგული ჰქონდა. ვა ხტანგ ბატონი შვილი, ის პირი, რომელიც მან ჩრდილოეთის ულუსის ყაენთან უაღრესად პასუხსაგები პოლიტიკური მოღაპარაკების მიზნით მოციქულად გაგზავნა, მან უინვანის ცახეში დაპატიმრა. რასაკირველია, ეს უკვე იმ შულლის გამომშულფარებელი იყო, რომელიც თვით მეფის ოჯახში იყო შექრიბი.

დაჭერილი ვახტანგ ბატონიშვილი მაინც გამოიპარა და ივანე ბურ-სელთან მივიღა, რომელსც სთხოვა, რომ მას ძმის წინაშე ეშუამდგომლა და მასთან შეერიგებინა: ურდოს მე არ წავსულვარ და ძმისთვის მე არავერი დამიშვებიაო, მან მაინც დამიშვირა და ბოროტს მიპირებდაო, უნებლობის ფიცი და საჩინომიც მომტეს, ამის შემდგომ მე მას შეურიგდებო. დავით VI ამაზე დათანხმდა, მაგრამ შემდეგში მათ შორის უთანხმოება კვლავ ჩამოვარდა და მისი მღვიმარეობა სრულებით აუტანელი შეიქმნა. ის იძულებული გახდა დავით VI მიეტოვებინა. ეხლა-კი უკვე ერანის ილხანის ურღოში გაემგზვრა.

რასაკირველია, ამ ამბავს ყაზან ყავის უნდა ძალიან გაეხარებინა. თუ გიორგი უფლისწული მცირეწლოვანი იყო და მას ნამდვილად მეფობა არ შეეძლო, ვახტანგ ბატონიშვილი ხომ სამეფოდ გამოსადევი იყო. რავი ყაზან ყაენმა დავით VI-სთან ვერც შერიგება მოახერხა, ვერც მძიმი დაჭერა შესძლო, ამიტომ დავით VI-ის მაგიერ სამეფო ტახტზე მისი ძმის ვახტანგის დასმა გადასწყვიტა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ასრულება სჭირდებოდა: მეფობის მიცემა თავისთაგად იმსა არ ნიშნავს, რომ ის რისმე გაეკეთებას შესძლებდა: თბილისში მცირეწლოვანი გიორგი უფლისწული იჯდა, ჩრდილოეთ მთანეთში დავით VI ბატონობდა და ვახ-

ტანგის გამეფებისათვის სამხედრო ძალა იყო საჭირო. ყაზან ყაენმაც ვახტანგ III-ს თან თავის ლაშქარი გამოატანა. თბილისში მათ მცირე-წლოვანი მეფე გიორგი დახვდა, რომლის მეფობასაც სულ მთლად დაკარგული ჰქონდა მნიშვნელობა. მართლაც, ამ. ღროიძან მოყოლებული გარკვეულ სანამდე მის შესახებ არაფერო-ლა ისმის.

ვახტანგ III-სთან ერთად მოსულმა მონლოლებმა მისი გამეფების გასაძილებლად სამცხის პატრონის ჯარი და სომხეთის თემების მოლაშერებიც შემოიერთეს. ეხლა-კი დავით VI დარწმუნდა, რომ მის მეფობას მართლაც განსაცდელი მოელოდა. ამიტომ გადასწყვიტა, რომ შეთანხმება სჯობდა. \*მონლოლთა ყაენის წარმომადგენელს ხუტლუშას (ყუთლუ-შაპს) კაცი მიუგზავნა და შეუთვალა, რომ ის თანახმა ყაენს წარუდგეს, თუ წინასწარ უცნებლობის ფიცს მისცემენ.

• ერანის ილხანისათვის იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საქართველოს პოლიტიკური კავშირი ჩრდილოეთ ულუსთან როგორმე შეეწყვიტა, რომ ამდენი უპირობის მაგალითის შემდგომაც ერთხელ პილევ სცადა დავით VI-სათვის დაეთმო და უცნებლობის ფიცი მისცა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, წასვლის დრო დადგა თუ არა, მან ისევ თავის შეპირება დაარღვია, ამის საპასუხოდ ხუტლუშაპმა დავით VI-ის მიერ მოციქულად მიგზავნილი ბურსელი დააჭერინა და მოაკეთევინა. დაფირ VI-ის ბედი ეხლა-კი უკვე საბოლოოდ გადასწყდა და მონლოლებმა მეფუნის გახტანგ III-ს დაუმტკიცეს. დავით VI-ს აღარაფერი დარჩენოდა, ისევ უნდა მთიულეთში დაბრუნებულიყო, მაგრამ ვერც მონლოლებმა მოახერხეს მისი შეცყრობა.

ამრიგად, დავით VI საქმაოდ მარჯვე გამოდგა, რომ მონლოლთა მბრძანებელს ხელში არ ჩაგდიდონადა. მან აგრეთვე მთიულეთისა და მთიანეთის გამაგრებაც იმდენად მოახერხა, რომ მონლოლებმა, მათ განკარგულებაში მყოფი საქმაოდ დიდი სამხედრო ძალისდა მიუხედავად, მაინც შიგ მთიულეთში შესვლა ვერ შესძლეს. ცხადია, ამ გარემოება მონლოლთა ძლევამოსილებას ჩრდილი მიაყენა: ყველას შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ მონლოლთა ილხანებისათვის ასეთი პატარა მოწანალმდეგის დაძლევაც-კი უკვე ადვილი საქმე აღარ იყო.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ, თუ ერანის მბრძანებლის ლაშქარს ზარალი მოსდიოდა, თვით აღმოსავლეთი საქართველო, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში თითქმის განუწყვეტელი სამხედრო ბრძოლის ასარეზად იქცა, გაცილებით უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა: აოხრდა მთლიანად ყველა თემი, სადაც ყოველ გაზაფხულზე ბრძოლა განახლდებოდა ხოლმე. სხვაგანაც-კი, სადაც ბრძოლა არ იყო, მაგრამ სადაც მონლოლთა ჯარი მხოლოდ დაბანაკებული იყო, ხენა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეუძლებელი ხდებოდა. მიწა დაუმუშავებელი დარჩა და გასავირველი არც არის, რომ ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში შიმშილობა გაჩნდა, რომელმაც ისედაც გაჭირ-

ვებულ ხალხს მუსრი გაავლო. დამშეული ქართველები მირბოდნენ მესხეთში, საღაც, ბექა მანდატურთ უხუცესის მეუღლის გულშემატყიფრების წყალობით, გაქირვებულებს ყოველნაირად დახმარებას უწევდნენ.

მესხეთი საერთოდ ყოველთვის საქართველოს ბელელს წარმოადგენდა და, რაյო იქ უხვი მოსაგალი იყო, ამან ოდნავ შეანელა ის უბედურება, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს დავით VI-ის პოლიტიკის წყალობით თავს დაატყდა.

## მესხეთი და მისი მართველი სარგის სამცხისა სკასალარი და განდატურთ-უხუცესი გევა ჯაფელ-ციხისჯვარელი

სარგის ჯაფელმა რომ, დავით VI-ის უშადურობით, თავისჩამფლობელო და თავისი თავი უღუსიანად გახადა და თავისი საგამგეო საქართველოს მეფის ხელისუფლებისაგან გამოიყოფინა, მას საქართველოს საქმიანო დიდი ტერიტორია ერგო: მისი საბრძანებელი ტაშისკარიანი მოყოლებული კარნუ-ქალაქამდე იყო გადაჭიმული. რანაირად იყო მოწყობილი მისი დამოკიდებულება მონლოლებთან, ჩვენ ვაცით: ის უშუალოდ ყავნის საკუთარ ქონებათა სამართველოს ემორჩილებოდა, ხასინ-ჯუს უწყებაში იმყოფებოდა, მაგრამ რა დამოკიდებულება დარჩა საქართველოს მეფესთან და საქართველოსთან, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ერთი გარემოებაა მხრილოდ დამხასიათებელი. გამოყოფის შემდგომაც, სარგისმა ის წოდებულება შეინარჩუნა, რომელიც მას ჰქონდა და წინანდებურად სამცხის სპასალარად იწოდებოდა. რა საშუალებით უნდა იქსრულებინა ეს თავისი მოვალეობა, არ ჩანს, მაგრამ ამაზე უფრო დამახასიათებელია, რომ მისი ვაჟიშვილიც, შემდეგ მისი შემცვიდრე და სამფლობელოს გამგე ბექა, მანდატურთუხუცესად იწოდება. ის არის საყურადღებო, რომ თვით სარგის ჯაფელი დემეტრე II-ის ღროს დაწინაურებულა და მეჭურჭლეთ უხუცესობაც მიუღია. ქართველი ისტორიების მას სამცხის სპასალარადა და მეჭურჭლეთ უხუცესად იხსენიებს. ცხადია, რომ ის მეჭურჭლეთუხუცესობას დემეტრეს დასტურის გარეშე ვერ მღიღებდა. მაშასადამე, საქართველოს სამეცნისოან ურთიერთობა მთლიანად შეწყვეტილი არ ყოფილა, მაგრამ როგორ იყო ეს იმ გამოყოფასა და დამოკიდებულებასთან შეთავსებული, რომელიც მას მოპოვებული ჰქონდა, ჯერ ძნელი გადასაწყვეტია. მხოლოდ ეხლაც უკვე შესალებელია ითქვას, რომ, რაკი მანდატურთუხუცესობა ბექას მარტო საქართველოს მეფისაგან შეეძლო მიეღო, ეს გარემოება ცხადყოფს, რომ საქართველოსა და მესხეთს შორის პოლიტიკური კავშირი მთლიანად შეწყვეტილი არ ყოფილა და დამოკიდებულებაც ამა თუ იმ სახით უეჭველად უნდა ყოფილიყო.

ჯერ კიდევ მამის დროს, როდესაც საჩიგის ჯაყელი მოხუცდა, მესხეთს ბეჭა მანდატურთუხუცესი განაგებდა. საჩიგის ჯაყელმა რომ თავისი სამფლობელო ულუსიანად აქცა, მისი მოვალეობა მშემთხვევაში იმ ვალდებულებით განისაზღვრებოდა, რომელიც ჩვეულებრივ ყანის საკუთარ ქონებათა სამშაროველოში იყო დაწესებული, მაგრამ შემდეგში, როდესაც მესხეთის მთავრების ხელისუფლება განმტკიცდა, ბეჭა მანდატურთუხუცესის დროს, მაგალითად, ისეთი მფარველობა, როგორც პირველ ხანებში იყო საჭირო, მათ აღარ სჭირდებოდათ და ალბათ ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ შერმინდელ ამბებში არსად მესხეთის ულუსიანობის შესახებ საუბარი აღარ არის, არამედ დამტკიცებულება მესხეთსა და ერანის ყანის შორის ისეთივე ჩანს, როგორც დანარჩენ ყველა ყმაღნაფიც სამფლობელოებსა და ერანის ილხანს შორის არსებობდა: ბეჭა ციხისჯვარელი ხარჯას იხდიდა და მონაბეჭედს ლაშქრით ეწეოდა, როდესაც ამას მოთხოვდნენ ხოლმე.

ბეჭა მანდატურთუხუცესი ენერგიით საცხე, მარჯვე ქვეყნის მმართველი იყო. მან კარგად მოახერხა როგორც გარეშე მტრის მოგერიება, აგრეთვე თავის სამფლობელოში სრული შშვიდობიანობის დამყარებაც.

მისი მთავრობის დროს თავი იჩინა ერთმა საყურადღებო მოვლენამ, რომელსაც შემდეგში ფრიად დაილი მნიშვნელობა მიენიჭა: რუმის თურქმანთა შემოსევა დაიწყო მესხეთში. მათ თავალინ ჩვეულებრივს საქმიანობას, ძარცვა-გლეჯასა და თარეშებს მიჰყევს ხელი. როცა ბეჭა მანდატურთუხუცესმ გაიგო, რომ ვინმე აზარ მოხეს მეთაურობით შემოსეული საქმაოდ მრავალრიცხოვან რაზმი ქვეყანს აოხებდა, მაშინვე თავის საკუთარ ჯარსაც მოუწოდა და მის მახლობლად მდებარე სამფლობელოებსაც სთხოვა დახმარება.

მესხეთის მფლობელმა ბეჭა მანდატურთუხუცესმა თავმოყრილს ჯარს, როგორც ამას მოგვითხრობს ისტორიულისი, შემდეგი სიტყვით მიჰმართა: მთავარნო საქართველოსანო, მმანო და თანამონათესავენო ჩემნო, დრომა და სახელგანთქმულმა მეფემ დავითმა ალაგმა და გაანადგურა თურქთა ტომები და საქართველოს სამეფოდან განდევნა. იმ დროიდან მოყოლებული საქართველოს ისინი აღარ უნახავს. ეხლა ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ჩავიარდით, რომ კვლავ ასეთივე თარეში დაიწყო და ამაზე, რაც უკვე მოხდა, უეჭველა, უარესიც არის მოსალოდნელი. ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს მეფე მონაბეჭედისაგან დამცირებულია და მის გამოც, რომ საქართველოს მეფენი ცალ-ცალკე არიან გამდგარნი და თურქთა ამ ძალადობას წინააღმდეგობას არავინ უწევს.

ბეჭა მანდატურთუხუცესის მიერ წარმოოქმული ასეთი პოლიტიკური შინაარსით გამსჭვალული სიტყვა კარგად მოწმობს, რომ მას, როგორც იმდროინდელი მდგომარეობის სირთულე, ისევ აგრეთვე ის მიზეზიც, რომლითაც გამოწვეული იყო საქართველოს მაშინდელი დასუსტება, ეს-

მოდა და გათვალისწინებული ჰქონდა, მაგრამ ამისდა მოუხედავად მას ერთი რამ ავიწყდებოდა.

თუ საქართველო მაშინ დასუსტებული იყო, ამ დასუსტებაში მხურვა-ლე მონაწილეობა მის მამას სარგის ჯაყელსა და მასაც პირადად ჰქონდა მღებული. როგორც მესხეთის მმართველს, მას არაფერი გაუკეთებია, რომ მამის შეცდომა გამოისწორებინა და თავისი სამშობლოს დასუსტების ერთ-ერთი მიზეზთაგანი თვითონვე მოესპო. როდესაც თვით მესხეთის მთავარი განსაცდელში იყო, მას საქართველოს მთლიანობისა და დიდ მოხელეთა თანხმობის მნიშვნელობაც და აუცილებლობაც აგონიდებოდა, მაგრამ, როდესაც განსაცდელი უკვე თავიდან აცილებული ჰქონდა ხოლმე, მასაც ისევე, როგორც ყველა დანარჩენ მთავრებაც ყველაფერი ავიწყდებოდა.

მესხეთის მპრეძებელს მხოლოდ 12 ათასი ჯარისკაცის შეყრა შეეძლო. მოხერხებული სახეცდრო გეგმის წყალობით, ბეჭა მანდატურთუზუცესმა შემოჭრილი მტრის არამც თუ დამარცხება შესძლო, დაედევნა კიდეც მას და დიდი დავლაც ჩაიგდო ხელში.

რუმის თურქმანთა შემთხვევა საყურადღებოა, როგორც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროზე თურქთა გაძლიერების პირველი დასაწყისი, მოვლენა; რომელსაც შემდეგში უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა და საქართველოს დამთურდებლობისათვის და თვით ამავე მესხეთისათვისაც საბერისწერო შედეგი მოჰყვა. მაგრამ მაშინ, როგორც ჩანს, არც მესხეთის მთავრებს, არც საქართველოს სამეფოს ჯერ კალევ კარგად არ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო, რომ თურქთა ტომების გაძლიერება საქართველოსათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდა და ასეთი განსაცდელის წინაშე ყველა ქართველი ტომები და ყველა ქართველი თემები უნდა ცდილოყვნენ წინააღმდეგობას შეერთებული ძალით გაწიათ.

რაյი ამის შეგნება არ ჩანდა, ამიტომაც მთლიანობის აღდგენაზე არც უზრუნია ვისმე. პირიქით, ცალკეული თემების მმართველინა სულ იმის ცდაში იყვნენ, საქართველოს მთავრობისაგან რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ და ხელისუფლება თვითონ ხაეგდოთ ხელში. ასეთ პირობებში ისიც კარგი იყო, თუ ცალკეული თემის მმართველი ქვეყნისათვის ხეირიანი გამგე მაინც აღმოჩნდებოდა: იზრუნავდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის და გარეშე მტრისაგან მის უშიშროებას უზრუნველპირულდა. ამ მხრით უნდა ითქვას, რომ ასეთ მოთხოვნილებას ბეჭა საკმაოდ კარგად აკმაყოფილებდა.

ბეჭა მანდატურთუზუცესმა ჯაყელმა მესხეთში დიდი წესიერების დამყარება შესძლო. მართლმასჯულებასაც ის ყურადღებას აქცევდა: ამის უამძლევებელმა ძეგლმა ხომ ჩევნამდეც მოაღწია. სწორედ მისი მთავრობის ღრის იყო მოწვეული საქანონმდებლო კრება, რომელმაც სამართლის წიგნი შეადგინა, იმდორისათვის ახლად აღმოჩენილი სხვადა-

სხვა ბოროტმოქმედების ასალაგშავად განკუთვნილი. ამ სამართლის წიგნს ეწოდება „წიგნი სამართლისა კაცთა შეცდომებისა (ე. რ. დანაშაულებისა) ყოველისავე“. შეცველია, ეს ძეგლი ქართული სამართლის ისტორიისათვის საყურადღებო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ბეჭა მანდატურთუხუცესს ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებზე ზრუნვაც დააწვა ვალად, რამდენადაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოში პოლიტიკურ საქმეთა მიმღინმეობა და შინააური ვითარება იმდენად აწეშილ-დაწეშილი იყო, რომ მას ამ საკითხზე მზრუნველობისათვის სრულებით არ ეცალა. ქართველთა და ბიზანტიულთა მომხრე დასებს შორის არსებული ბრძოლა, რომლის შესახებაც ამაზე უწინარეს ხაშმი გვქონდა საუბარი, არ შეწყვეტილა შემდეგშიაც. პირიქით, ის თანდათან ძლიერდებოდა:

საქართველოს დასუსტებასთან დაკავშირებით, ბიზანტიის უნდოდა ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გმოეყენებინა და ტრაპიზონის საეკისრო მთლიანად ხელში ჩაეგდო, ბიზანტიის კედებისა და მისმა მთავრობამ განზრას შეთხეს ამბავი, ვითომც 1297 წელს გარდაცვლილს ტრაპიზონის კეისარს ითანხმებოდა მცირეშილვანი მემკვიდრის აღევსი I-ის მეურვეობა ბიზანტიის კეისრის ანდრიონიკე II პალეოლოგისათვის ეანდერძოს. ამ ეთომც-და დაკისრებული მოვალეობის შეგნებით, ანდრიონიკე II-მ გადაწყვიტა, რომ ჭაბუკ ალექსისათვის ცოლი მოექცნა და შეურთვევინებინა. ბიზანტიის კეისრის მარჯვე მახელემ გადასჭიულია ესარგებლნა შემთხვევით და თავისი ქალიშვილი ტრაპიზონის კეისრის თანამეცხელრედ გაეხადა. ბიზანტიის მბრძანებელს არაფერი არ ჰქონდა ამის საწინააღმდეგო და, ამგვარად, გამზადებული იყო ტრაპიზონის კეისრის სარძლო, რომ მოულონდებული ეს კარგად მოფიქრებული გეგმა ჩაიშალა.

საქართველოშიცა და ტრაპიზონშიც მშვენივრად ესმოდათ, თუ რით იყო ბიზანტიის კეისრის ასეთი მზრუნველობაცა და გულმოდგინეობაც ნაკარინახევი, და, სანამ კონსტანტინეპოლიში ამის შესახებ შეჯელობა ჰქონდათ, უკვე მზა-მზარეული ვითარება დახვდათ: ტრაპიზონის კეისარმა ბეჭა მანდატურთუხუცესს ასული შეიჩრო ცოლად. ამგვარად, ქართველთა მომხრე დასმა ბიზანტიის მთავრობას დაასწრო და საქმის გამოსწორება უკვე, რასაკირველია, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ბიზანტიის მთავრობა მათც იმედს არ ჰქორგავდა: განრისხებული ანდრიონიკე II იმუქრებოდა, რომ ეს ქორწინება უკანონი იყო. რამდენადაც მას ოროგორც მეურვეს, უნდა შეპითხებოდნენ და მისი ნებართვის გარეშე ამის მოწყობა ვითომც შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ანდრიონიკე II-მ საპატრიარქო სინოდს მიმართა კიდეც თხოვნით, რომ მას ტრაპიზონის კეისრის ჭორწინება უკანონოდ გამოეცხადებინა და ცალქმარნი გაეყარა ერთი-ერთმანეთისაგან. მაგრამ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო

ნოდმა კეისრის ასეთი სურვილი არ შეიწყნარა და ქორწინების უკანონობისათვის საფუძველი ვერ ჰპოვა.

რაც ეს საქმე ამგვარად ვერ მოგვარდა, მაშინ ანდრონიკე II-მ გადასწყვიტა დასახული მიზნის მისაღწეულ თავისი და, ტრაპიზონის კეისრის დედა, გამოეყენებინა: მან სიხოვა თავის დას, რომ მას შვილზე გავლენა მოეხდინა და შერთული ცოლი გაეშვებინა. მისი და თანხმობას აცხადებდა, რომ თავის შვილზე გავლენას მოახდენდა, მაგრამ თუ საშუალება ექნებოდა ტრაპიზონში დაბრუნებულიყო, რათგან სხვა პირების მეშვეობით ასეთი საქმის მოგვარებას საძნელოდ სთვლილა. ბიზანტიის მთავრობამაც თანხმობა მისცა და ტრაპიზონში გაუშვა, მაგრამ იქ მისვლის-თანავე, დამ თავის ძმას, ბიზანტიის კეისარს უმტყუნა და არამცთუ არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ მის შვილს თავისი ქართველი ცოლისათვის თავი დაენებებინა, არამედ, როგორც ჩანს, პირიქით, მას ზურგ-საც-კი უმაგრებდა.

ამგვარად, ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს მომხრე პოლიტიკურმა დასმა გაიმარჯვდა. ქართული გავლენაც, უგვეველია, ამის შემდგომ ძალზე უნდა გაძლიერებულიყო. ამ გაძლიერების წყალობით, საკეისრობ თურქმანთა შემოსევის ალაგმვაც შესძლო, ზღვის სანაპიროზე მეკობრობის მოპობაც. მაგრამ ბიზანტიის მთავრობა არ ისვენებდა და ტრაპიზონის საკეისროსაც მოსვენებას არ აძლიერდა. აღეს სი I I -ს, ტრაპიზონის კეისარს, ბექას ასულისაგან ოთხი ვაჟი შეეძინა, რომელთაც სახელად: ანდრონიკე, ვასილი, მანუელი-აზასუტლუ და გიორგი-ალბულა ეწოდებოდათ. ორი უკანასკნელი სახელი მონღოლური სახელებია, რომელიც საქართველოში მაშინ გავრცელებული იყო და სწორედ აქაური გავლენის ანარეკლს წარმოადგენს.

აღეს სი I I რომ 1330 წელს გარდაიცვალა და მის მემკვიდრეს ანდრონიკეს ხანმოკლე სიცოცხლე ხედა წილად, საკეისრო ტახტზე მცირეწლოენი მანუელი იქმნა აყვანილი. ბიზანტიის მთავრობაში უმაღ ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოიყენა და მოულოდნელად კონსტანტინეპოლიტან ტრაპიზონში ალექსი I I -ის შვილი ვასილი მოვიდა, რომელიც კონსტანტინეპოლში ცოლად ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე I I I -ის უკანონო ქალიშვილი, ირინე სახელდებული, ჰეავდა ცოლად შერთული, ამ ამბისათვის ბიზანტიის მთავრობას საიდუმლოდ წინასწარ ჰქონდა მომზადებული ნიადაგი. ჩაიგდო თუ არა ხელისუფლება ხელში ახალშოთაულში ჯასილმა და ბიზანტიის მომხრე ჯვალებმა, მაშინვე საქართველოს მომხრე მოწინააღმდეგე ჯვალების ხოცვა-ულეტა დაიწყო. ამ დევნის პირველი მსხვერპლი დიდი დუკა ლევა ჭანჭი გახდა, რომელიც სამხედრო და სამოქალაქო უფლების მქონებელი დიდი მოხელე იყო. მეორე მსხვერპლად დიდი დომესტიკოსი ჯაბა გახდა, რომელიც ტრაპიზონის ჯარის უფროსად ითვლებოდა. მათი სადაურობა უკვე მათი სახელებისა და გვარებიდანაც ნათლად ჩანს. ასეთივე ბედი, რა-

საკურთველია, საქართველოს მომხრე დასის სხვა წარმომადგენლებსაც ეწიათ, მაგრამ, ესოდენი დიდი შარცხის შემდგომაც, საქართველოსა და მის მომხრე პოლიტიკურ წრეებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, მხოლოდ ეს ბრძოლა, როგორც დავრწმუნდებით, უკვი შემდეგში განახლდა.

### ვახტანგ III (1302 — 1308 წ.)

ვახტანგ III-ის სამეფო მთელს აღმოსავლეთ საქართველოსაც-კი აღარ შეიცავდა: დავით VI-ს აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთთო შემოფარგლული თავისი სამფლობელო ეპყრა წინამდებურად. ასეთ პირობებში, რაյო სამცხეც გამოყოფილი იყო, ვახტანგ III ნამდვილად თბილისისა და თბილისის სამხრეთით მდებარე ნაწილის დმანის-სამშვილდის მმართველად იქცა. მხოლოდ ვახტანგ III-ის მშვიდობიანმა ხასიათმა შეუწყო ხელი, რომ ასეთ დაქაქაშულობის დროსაც საქმე უფრო მეტად არ აირია. მას ისეთი არაფერო გაუკეთებია, რომ ძმათა შორის სისხლის ღრეული გამოეწვია და ცდილობდა ყოველნაირად, რომ თავის ძმას დავითს არ შეჰპრობოლებოდა.

მაშინდელი პოლიტიკური პირობების გამო, ვახტანგ III-ც ისეთსაც მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ მას თავისი სახელმწიფოებრივი ნიჭის გამოხენისათვის ძალიან მცირე საშუალება ჰქონდა: ისრც უმთავრესად ერანის ილხანთან ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას და ქართველთა სამხედრო ძალას მეთაურობდა. მაგალითად, 1299 წლის ნოემბრიდან მოყოლებული ის ყაზან ყაენისაგან ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში იყო წასული. ამ დროს მონლოლებმა ქალაქი ჰელის ჰელის აიღეს, იერუსალემიცა და ქალაქი დამასკოც, რომელიც 1300 წელს ქართველთა და სომებთა ჯარისაგან შემდგარ ნაწილს ჩაუგარდა ხელში და საღაც მათ დიდი სიმეცრეც გამოიჩინეს. ოთხი თვე ძლიერ იყო გასული ამ ლაშქრობიდან დაბრუნების შემდგომ, რომ დამასკოელნი ერანის ილხანს აუჯანყდნენ და ამიტომ 1300 წელს მათ წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა კვლავ საჭირო გახდა. ვახტანგ III-ს საქართველოს სამხედრო ჯარითურთ ისევ უნდა მიეღო მონაწილეობა. ამ დროიდან მოყოლებული 1303 წლამდე მიმდინარე ომი 1303 წელს მონლოლთა საშინელი დამარცხებით დამთავრდა. ამ ბრძოლის მონლოლთა და ქართველთა მოლაშქრეთა დიდიძალი რიცხვი იმსხვერბლა, თვით სარდალმაც-კი ძლიერ მოახერხა სიკვდილისაგან თავის დაღწევა. ვახტანგ III და ნოინები, მართალია, განსაცდელს გადაურჩნენ და ყაზან ყაენის წინაშე წარდგნენ, მაგრამ განრის-ხებულმა ყაზან ყაენმა ნოინები ყველანი დასაჯა. ყაზან ყაენი თავისია არ იშლიდა და სამზაღლებში იყო, რომ აჯანყებულებისათვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ აჭად გახდა და 1304 წელს მოკვდა კადეც.

ურანის ილხანად ყაზანის მაგიერ მისი ძმა ოლჯაიტ უ დასვეს, შომელსაც მაჰმადიანურად ხუდაბანდა ერქვა, ე. ი. „უფლის მონა“, მაგრამ ხალხმა მას ერანში დაცინვით ხარბანდა ე. ი. მევირე უწოდა. ოლჯაიტუ ყაენმა იმ გილანელთა დამორჩილებით სახელის მოხვეჭა მოიწადინა, რომელიც მანამღლის ვერც-ერთს ერანის ბრძანებელს ვერ დაეპყრო. გილანელთა სამფლობელო ვიწრო ხეობებიანს მალობდ მთიანეთს წარმოადგენდა, რომლის შეკვრა სრულებით ადვილი იყო. ყაზან ყაენის ძმას იმედი ჰქონდა, რომ რაც სხევბმა ვერ მოახერხეს, ამას ის შესძლებდა და ამით სახელს გაითქვამდა.

1303 წელს ოლჯაიტუშ მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეჰყარა და საქართველოდანაცა გახტანგ III და სამცხის სპასალარი დაიბარა თავიანთ ჯარითურთ. გილანელები შემოსეულ მტერს თავგანწირულად ებრძოდნენ და მარჯვედ სარგებლობდნენ იმ უპირატესობით, რომელსაც მათ სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობა, ვიწრო ადგილად შესაკრავი და შტრის გასანალგურებლად თითქოს გაძრია შექმნილი ხეობები, ანიჭებდა.

ერანის მბრძანებელმა თავისი ლაშქარი სამ ჯგუფად დაყო და სამა მხრით მიუსია გილანელებს. მაგრამ ერანის ილხანის ლაშქარი დამარცხდა და ხუდაბანდა ყაენი იძულებული იყო თავისი სამხედრო ძალისათვის უკან დაეხევინებინა. უკან დახევა უფრო სსიფათო შეიქმნა, რათგან მაშტაცი გილანელები ყველა შემთხვევით სარგებლობდნენ, რომ გზები შეერთო და დამარცხებული მტერისათვის უფრო მეტი ზიანი მიეყენებინათ. მონღოლთა სარდლებმა, როგორც იერიშის მიტანა, ისევე უკანა-მავალი ჯარის დაცვა სწორედ საქართველოს ჯარს მიახდვეს. თანამედროვე ისტორიკოსებს ცნობით, მხოლოდ ამან გადასაჩინა ჩიბან ნორნის ჯარის ნაწილები სრული განალგურებისაგან, მაგრამ, რასაკვირველია, ქართველთა იმ რაზმს, რომელიც მონღოლთა ყაენის ლაშქრის უკან დახევას იცავდა, ეს ძვირად დაუჯდა და დიდალი მეომარი შეეწირა მსხვერპლად. 1306 წელს ერანის ილხანის ლაშქარი როგორც იყო სამშვიდობოში გამოუიდა და უკანში მოიყარა თავი.

ვახტანგ III გრძლაიცვალა 1308 წელს, ხოლო სამი წლის შემდგომ წიგრისის სენად წოდებული ავადმყოფობისაგან მისი უფროსი ძმა დავით VI-ც მოკვდა. მის მაგიერ ერანის ილხანმა, ოლჯაიტუ ყაენმა, მისი შვილი მცირეწლოვანი გიორგი დასვა, მას თან თავის სამხედრო ძალაც გამოყოლა, რომ მთელი საქართველო მისი ხელისუფლების ქვეშ ყოფილიყო თავმოყრილი. მონღოლებისათვის ცხადი შეიქნა, რომ საქართველოს ასეთი პოლიტიკური დაქუცმაცება მიზანშეწონილ ნაბჯეს არ წარმოადგნდა, რათგან მართვა-გამვეობაც და საქმის წარმოებაც გაცილებით გართულებული იყო, ვიდრე როდესაც გაერთიანებულ სახელმწიფოებრივ ერთეულთან ჰქონდათ საქმე.

ამ გაერთიანების გეგმის განსახორციელებლად, რომელიც, რასაკვირ-  
ველია, მონილთა ინტერესებით იყო ნაკარნახევი, ერანის ილხანის ნოი-  
ნებმა შანშე მხარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის სვაშაკის ნაშობი  
დანიშნეს. მათ უნდოდათ, რომ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ჰაინც  
გაერთიანებინათ. უპირველესად, რასაკვირველია, მესხეთი უნდა ყოფი-  
ლიყო შემოერთებული. მივიღნენ კიდეც მესხეთის მთავრთან, მაგრამ  
მათი ყოველგვარი ცდა ფუჭი აღმოჩნდა: მას არავითარი სურვილი არ  
ჰქონდა, რომ შანშე და ზაქარია მხარგრძელების ხელში ჩავარდნილიყო,  
რადგან მისთვის ცხადი იყო, რომ მცირეწლოვანი მეფის მაგიურ ხელ-  
სუფლება მათ უნდა ჰქონდათ.

ერანის მოწლოლთა ხელისუფლების დასუსტება,  
გათი დამხობა და საქართველოს მთლიანობისა და  
დამოუკიდებლობის აღდგენა  
გიორგი V-ე ბრძებიცეალე

ყაზან ყავნი უკანასკნელი მმართველი იყო ერანის მფლობელთა შორის, რომელმაც მონღოლთა უკულმა დატრიალებული პოლიტიკური ბედის შეჩერება სკადა. მან ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ თავის საბრძანებელში კანონიერებაც აღედგინა, მართვა-გამგეობის უწესრიცხობაც მოესპონ და ფინანსიურსა და ეკონომიურ სფეროში გაბატონებული სრული თვითონებობაც აუღავგმა. მისი ღვაწლი ამ მხრივ ერანის მონღოლთა სამფლობელოსა და მათი ყმარნაზიერი სამფლობელოების წინაშე დიდია, მაგრამ ბედის ჩარხის უკულმა მოტრიალება მანაც ვეღარ მოახერხა: საქართვის იყო ის გარდაცვლილიყო, რომ ერანში ძველებური მდგომარეობა კვლავ გამეფებულიყო. შინაგანმა ბრძოლამ, მონღოლთა შორის მოხელეთა თვითონებობამა და ბოროტოქელებამ, უკვე კარგა ხნით აღრებულებულშა სამხედრო ძლიერების შესუსტებამ მონღოლთა ბატონობას ერანსა და მის ყმაღნაფიცს ქვეყნებში ბოლო მოულო.

საქართველოს მდგრადართობა XIII ს. დამლევს და XIV ს.  
დაგდებს. მოწლოლთა გატონობის ანარჩილი და უძღვი

თავისთავად ცხადია, რომ მონღოლთა ხანგრძლივ ბატონობას საქართველოში შეუძლებელია თავისი. მსახურელი გავლენა არ მოეხდინა. წინა ხანის ისტორიის განხილვის დროს არა ერთხელ გვქონდა ონიშნული ის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა. ყაზან ყავნის ცდამ მდგომარეობა მხოლოდ ხანგრძლებული დროის განმავლობაში გამოასწორა. შემდეგში იმაზე უფრო უარესი პირობები შეიქმნა.

მონღოლთა ყაენების ბატონობის მთელი საშინელება თვით მონღოლთა ჰთავრობის სათავეში მდგომ აბუსიდ ყაენის იმ იერლაყშიც (ანუ სიგელ-

ში) არის კარგად აღბეჭდილი, რომელიც 1319 წლის ახლო ხანში გამოცეული იყო და რომლის სპარსულად დაწერილი ტექსტი სხვათაშორის ანისის მანუსკრიტი მიერ უგებულ მიზგითის კედლებშედაც იყო გამოვეთილი. აბუსაიდ ბაჰადურ ყაენს ამ თავის ბრძანებაში ნათქვაში აქვს, რომ საქართველოში და საქართველოს ქალაქებში, მათ შორის ანისშიც, ისეთი უწესობა ყოფილა, რომ კანონით განსაზღვრულ გადასახადს, დამღასა და სამართლიან ბაჟს გარდა თურმე სრულებით თვითნებურად და უკანონოდ მოხელეების მიერ მრავალი სხვადასხვა გადასახადი და გამოსალებელიც იქრიბებოდა. ამ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს ქალაქებში მოსახლეობა ისე ყოფილი შევიწროვებულ-შეწუხებულ, რომ ხალხიო, ნათქვაში აქვს იერლაკში, ქალაქებიდან და სოფლებიდან გარბისო, მან თავისი უძრავი და მოძრავი ქონება, სახლვარი მიატოვა და აიყარაო. ამიერიდან ეს თვითნებობა და უკანონობა ამიერმალია და კანონიერ გარასახალს, დამდასა და სამართლიან ბაჟს გარდა ნურავინ გაბედავს აჯერბასაკ.

ეს ხომ თფიციალური საბუთებია და ოფიციალური საბუთით ფასტურ-დება, რომ მონღოლთა ბატონობამ საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, როდესაც ხალხს სხვა აღარაფერი დარჩენილა, იმის გარდა, რომ თავის სამშობლოდან აყრილიყო და სადმე გახიზებით ეშველა თავის-თავისათვის. ამაზე უკეთესი საბუთი რა საჭიროა იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად საბედისტერო გავლენა ჰქონია მონღოლთა ბატონობას თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში, უფრო მეტად საქართველოში.

რაც კვირკველია, იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ მონღოლთა ბატონობის ხანაში უზრუნველყოს სახელმწიფოს დაარსების წყალობით, სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა მოღვამის ხალხებში ერთი-ერთმანეთი გაიცნეს, მათ შორის კულტურული ურთიერთობაც-კი დამყარდა და მისი გავლენა ხელოვნების დარგშიც ჩანს. ამ ხანში წინანდელთან შედარებით გვოგრაფიული ცოდნაც უაღრესად გაფართოვდა, იმიტომ რომ დასავლეთ ეკროპას და მახლობელ აღმოსავლეთს საშუალება მიეცა შორული აღმოსავლეთის ქვეყნებიცა და მათი მოსახლეობის კულტურაც თავისცემით განვითარდა, რამდენადაც მოფლობელების და ცოდნაც უნდა გაფართოებულიყო, მაგრამ ეს მონღოლთა შეგენებული პოლიტიკური საქმიანობისა. და მზრუნველობის შედეგი-კი არ არის, არამედ მოვლენათა შორის ჩვენ უნდა განვარჩიოთ მიზანშეწონილი პოლიტიკის შედეგებით მოვლენათა უნებლივებით შედეგებისაგან. ის კარგი მხარე, რომელიც მონღოლთა ბატონობას უნებლივთ თან სდევდა და მის შედეგად იქცა, მონღოლთა ღვაწლად არ შეიძლება მიჩნეული იყოს.

მონღოლთა ბატონობის გაულენის უარყოფითი მხარე, რასაკვირკველია, მარტო ეკონომიკურსა და ფინანსიურ სფეროში არ ჩანდა, არამედ დიდი

ცვლილებები დაეტყო აგერეთვე სოციალურ წესწყობილებასაც. სამხედრო მართვა-გამგეობის პრინციპზე დამყარებული მათი სახელმწიფო მინისტრი სამხედრო სელისუფლებით აღჭურვილ პირთა აღწევებისათვის საქართველოში ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა. ამიტომაც ციო, რომ სწორედ ამ ხანაში, XIII საუკუნეში, საქართველოში ჩნდებიან მთავრებად წოდებული საქვე ყ ნ თ დ გ ა მ რ ი ვ ე ნ ი, რომელთაც მთელი თემების მართვა-გამგეობა უკარდებათ ხელში. მთავართა ბატონობის ხანა XIII საუკუნიდან იწყება. მართალია, ჩანასახის სახით ამ პროცესის დასაწყისი XII საუკუნეშიც ჩანს, მაგრამ მხოლოდ XIII საუკუნეში, თანაც მონოლთა წესწყობილების გავლენის წყალობით, მთავრდება. იგი.

ამავე ხანაში აზნაურთა წოდების განშრებაც ანუ დიდებრიციაც ცხადად მოჩანს. წოდებრივ ფენათა შორის უმაღლესი საფეხური საქართველოში წინანდებურად აზნაურებს აღარ უკავიათ, არამედ, როგორც ეს ბექა მანდატუროუსუცესის საქანონმდებლო ძეგლიდან ჩანს, აზნაურებზე უფრო მაღლა უკვე დიდებულები დგანან. დიდებულები აქ უფრო წოდებრივი ფენების წევრთა მსგავსნი არიან. ვიდრე იმ სახის მქონებელი, როგორადაც ისინი ჭელად, უფრო აღრინდელ ხანაში, გვხვდებან. მაგრამ მაინც ამ ღროს, შემდეგ ხანაში გაჩენილი, აზნაურებზე უფრო ზემდგომი თავადების წრეებრივი შრე ჯერ კიდევ არ არსებობს: თავადობა, როგორც წოდებრიობა, XIII და XIV საუკუნის განმავლობაში არა ჩანს. მაგრამ მაინც აზნაურები იმ პირველ წოდებად, რომელსაც მთელი ქვეყნის მესაჟეობა ხელში ჰქონდა ჩაგდებული, უკვე აღარ არიან.

მეორე ამდროინდელ სოციალურ წესწყობილებაში მომზდარი ცვლილება. წოდებრივი ღრმულების შერჩენის სიმელეა. იმ მრავალგვარი პილიტრები და ეკონომიკური ფაქტორების გამო, რომელთა შესახებაც წინა თავებში იყო საუბარი, საგვარეულოებსა და კერძო პირებსაც თავიანთი წინანდელი წოდებრივი მდგომარეობის შენარჩუნება უქნელდებოდათ, რათგან წოდებრიობა დამყარებული იყო გარკვეულ ეკონომიკურ საფუძველზედაც. მათი გაღარიბება უნებლივთ. მათ დაქვეითებას იწვევდა, ისევე, როგორც დაბალი წოდების საგვარეულოს აღწევება შეეძლო და არაერთი თავისი ქონებრივი მდგომარეობისა და სმსახურობრივი დაწინაურების წყალობით აღწევებულა კიდეც. ამ გარემოებამ მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის მაღალ ფენებში დიდი ცვლილება მოახდინა: დიდი საგვარეულოების წარმომადგენული ბევრგან მოსახლენ, მათ მაგიერ-კი საისტორიო და პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე დაბალი წოდებრივი მხრიდან სამსახურით, თუ ქონებრივი ავლა-დიდების მოპოვებით დაწინაურებულ-აღწევებული პირები არიან გამოსულნი. ეს გარემოება ამ ხანის საკანონმდებლო ძეგლებშიც მკაფიოდ და ნათლად არის აღბეჭდილი.

საგრძნობი ცვლილება, დასასრულ, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მდგომარეობაშიც მოხდა. ერანის ილხანების მძარცველობითმა ფრინანსი-ურმა პოლიტიკაში და მოხელეთა ბოროტმოქმედებამ მიწის მუშავი ისეთ მდგომარეობაში ჩაგდო, რომ მას მიწის დამუშავებას გაქცევა ერჩივნა და აյი სოფლის მოსახლეობა თავის მიწაშეყალს მრავლად სტოვებდა კი-დეც და ცდილობდა, იმ საშინელებისათვის, რომელშიაც ის იმყოფებოდა, როგორმე თავი დაელწია.

ყაზან ყაენმა სცადა აღმოაფხვრა ყველა ის ბოროტმოქმედება, რომელ-თა შედეგადაც საყავნოში ასეთი საბედისწერო მდგომარეობა დამყარდა, მაგრამ ხალხი იმდენად შეწუხებული იყო, რომ ამ საშუალებით მარნც საგრძნობი ცვლილება ვერ მოხდა: მიწის გაუკაცრიელების შეჩერება ძნელდებოდა. ამიტომაც ყაზან ყაენმა, როგორც ვიცით, განკარგულება გასცა, რომ სოფლის მოსახლეობას თავის მიწაშეყლის თვითნებურად მი-ტოვება და სადმე სხვაგან გადასახლება აკრძალული ჰქონოდა. ვინც ასეთ რამეს ხადევნდა, ის თავის ქვეყანაში და თემში უნდა იძულებით ყოფილიყო დაბრუნებული, ამას გარდა, ის დაესჯათ კიდეც. მხოლოდ, თუ გაქცევის შემდგომ 30 წლის ხანდაზმულობა იყო გასული, გადასახ-ლებულ მეკომურს შეეძლო უფლება შეენარჩუნებინა, რომ იქვე დარჩე-ნილიყო, სადაც ის ახალს ადგილას დამკვიდრდა.

ცხადია, რომ, რამდენადც საქართველო ერანის ილხანების ყმადნა-ფიცს სამთლობელოს წარმოადგენდა, ასეთი კანონი საქართველოშიც უნ-და ყოფილიყო ძალაში შესული და მცირ გავლენის ანარეკლიც ცხოვრე-ბაში უცილობლად აღბეჭდილი იქნებოდა, და საქართველოშიც ყმათა მა-შასთან მიმაგრების დამატებიცებული ცნობები ამ ხანისათვის ჩვენ მოგვე-პოვება კიდეც.

ცხადია, რომ ყმათა მდგომარეობის ასეთი გაუკრესების გამო, შეუძლე-ბელია პატრონული დამოკიდებულება უაღრესად არ გამწვავებულიყო და ამ ნიადაგზე ბრძოლას არ ეჩინა თავი.

სოფლის მოსახლეობის გაქცევის შესანარჩუნებლად გამოყენებული აა-კანონის გარდა, საქართველოში აგრეთვე მონლოლთა წესწყობილების მე-ორე თავისებურების გავლენის ანარეკლიც ჩანს ცხადად: მონლოლთა წე-სი და ჩვეულება ადამიანის კერძო ყმობას სამოხსელეო ხელისუფლებაზე დამყარებული დამოკიდებულებისა და ყმობისაგან ვერ აჩევდა. ქართუ-ლი სახელმწიფო სამართლით-კი ეს ორივე მოვლენა ერთი-ერთმანეთი-საგან უფლებრივი თვისებებით მყვეთრად განსხვავდებოდა, იმისდა შიუხედავად, რომ ამ ორი მოვლენისათვის ერთი და დგრე სიტყვა, ყ მა, არსებობდა.

მონლოლთა ბატონობის გავლენით ქართველმა საქვეყნოდ გამრიგეებ-მაც მოიწადინეს, რომ საქართველოში მათ ხელქვეშეთ მყოფი მოსახლე-ობა ისეთ დამოკიდებულებაში ჩაეგდოთ, რა დამოკიდებულებაც მათსა

და მათ პირად ყმებს შორის არსებობდა. ეს, რასაკვირველია, უფრო ადგილი იყო იქ, სადაც საქვეყნოდ გამრიგებს თავიანთი საკუთარი ყმები ცოტა ჰყავდათ და სადაც მოსახლეობა უმთავრესად მათგან დამოკიდებული იყო მართვაგამგეობასთან დაკავშირებულ ნიაღაზე, ე. ი. საქართველოს მთანეთში.

რასაკვირველია, მთანეთის მოსახლეობას შისი უფლებითი ასეთი შეზღუდვა და მათი დაპატრონების ასეთი დაუფარავი წალილი მტკიცნად უნდა ეგრძნო და უნდა მკაცრი წინააღმდეგობაც გაეწია. მართლაც, გაორები V ბრწყინვალის ძეგლის დადებიდან იჩვევეა, რომ სწორედ გოორები ბრწყინვალის ხანამდე, ე. ი. XIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIV საუკუნის დამდებს საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ძალიან გამწევაცხული ურთიერთობა ყოფილა. ამ საკანონმდებლო ძიგლში აღნიშნულია, რომ, ცალკეული პიროვნების მევლელობას გარდა, იქ ისეთი მკვლელობაც ხშირი ყოფილა, რომელც მთელს სოფლის, ან მთელი ხეობის, ანდა მთელი თემის შეზრახებითა და მონაწილეობით ჩატარდით. მკვლელობაში ესოდენ მრავალი პირისა და მთელი სოფლის, ანდა ხეობა-თემის მონაწილეობა, რასაკვირველია, შესაძლებელია მხოლოდ სოციალური ბრძოლის ნიაღაზე მომხდარიყო: მოსახლეობა გამგეს და მოხელეს იმეტომ-კი არ ებრძოდა, რომ მისი პირადი მტრობა ჰქონდა, არამედ მას ებრძოდა, როგორც საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალს, რომელსაც მოსახლეობის უფლებების შეზღუდვა და ხელში ჩაგდება ჰსურდა.

## გიორგი ბრწყინვალის შინაური და საბაჩო პოლიტიკა

ასეთს მძიმე პირობებში იმყოფებოდა საქართველო, როდესაც გოორები ბრწყინვალეს თავისი პოლეტიკური მოღვაწეობის დაწყება მოუხდა. მისი გამეფების თარიღი საცილობლად არის ქცეული. ვა ხუ შტ ბატონიშვილს მისი მეფობის პირველ თარიღად 1318 წელიწადი აქვს დადებული, მაგრამ ნამდვილად მისი მოღვაწეობა ამაზე გაცილებით უფრო აღრე დაიწყო. როგორც უკვე ვიცოთ, ის ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო სამეფო ტახტზე აყვანილი და თბილისში იმყოფებოდა. მაშინ მას, რა თქმა უნდა, თავისი ხელცსუფლების გმოყვენების საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ როდესაც ის მოიწიფა, მას ხელმეორედ გამეფება არ დასჭირდებოდა და ამით უნდა აისხებოდეს, რომ ზეღმიწევნითი თარიღი იმ ღროვათვის, როდესაც მან ქვეყნის მესაჭიობას უკვე თვითონ მოჰკიდა ხელი, არ მოგვეპოება: ეს, რასაკვირველია, თანდათან მოხდებოდა.

გიორგი ბრწყინვალეს საქართველოს მეფეთა შორის ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებელის და თამარის შემდგომ ყველაზე უფრო მეტი სა-

ხელი აქვს მოხვეჭილი. მისი ქება-დიდება ყველა იმღროინდელ ქართულ ძეგლებშიც გვაქვს დაცული და უცხოელთა წყაროებშიც მოგვეპოება. მონღლოლთა დროინდელი ქართველი ყამთააღმწერელი გიორგი ბრწყინვალის შესახებ ამბობს, რომ ის იყო „უმჯობესი ყოველთა კაცთა მის უამისათა, არა ოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“—ო. მეორეგან იგივე ისტორიკოსი გიორგი ბრწყინვალეს ცხენებს, როგორც „საკვირველს და უმჯობეს ყოველთა კაცთა შორის“. განკერძოების პოლიტიკის მიმდევარ ალბულა ათაბაგ ამირსპასლარსაც—კი გიორგი ბრწყინვალე მოხსენებული ჰყავს, როგორც „დიდი და წარჩინებული მეფე გიორგი“.

ის მდგომარეობა, რომელშიც მაშინდელი საქართველო იმყოფებოდა, კარგად არის დასასრათებული „ძეგლის დადება“—ში. იქ ნათქვამია, რომ ქვეყანა ისე იყო არეული, რომ „დიდი უსამართოობა და მძლავრებულობა“ იყო გაბატონებული, ერთმანეთზე „ღალატად დასხმა“, ციხეების დაქცევა, მკვლელობა, ცოლის წაგვრა და სხვა მრავალური „ულუსობანი“ იყო გარეულებული. ამავე დაქვეითების შედეგად შეული და მტრობა ჩამოვარდნილი იყო სხვადასხვა თემის მოსახლეობის შორისაც. თემთა ერთი-ერთმანეთზე თავდასხმა ამ დროს იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა.

გიორგი ბრწყინვალეს უნდა გადაეწყვეტა, რა გზას დასდგომოდა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დროს: ჯერ მონღლოლთა ხელისუფლებისაგან განთავისუფლება ეცადა, რათვან მონღლოლები ერანში უკვე დასუსტებული იყვნენ, თუ ჯერ შინაური მტრების, გამდგარი მთავრებისა და ურჩი მოხელეების, ალაგმვას შესდგომოდა. გიორგი ბრწყინვალემ ბრძნულად განსაჯა, რომ მართალია, ერანის ილხანები უკვე კარგად დასუსტებულები იყვნენ, მაგრამ საქართველოსთან ბრძოლა მათ მაიც შეეძლოთ, მეტადრე იმის გამო, რომ, წინანდელი მთლიანი საქართველოს მაგირ, დაქუცმაცებული და გაოხრებული ქვეყანა იყო. ამიტომ მან გადასწყიტა, რომ პირველად ქვეყნის გაერთიანების განხორციელებას შესდგომოდა. ამისათვის-კი საჭირო იყო, რომ გიორგი ბრწყინვალეს თავისი თავი ერანის ილხანების საწინააღმდეგო მოქმედებისაგან უზრუნველეყო, რომ მას საშუალება ქვენოდა, ურჩი ქვეყნები და მთავრები ისე აელავმა, რომ ერანის მთავრობას მათთვის მხარი არ დაუჭირა.

როდესაც ჩობანი ნოინმა ერანის ილხანად აბუსაიდი დასვა, ის თორმეტი წლის ყმაწყილი იყო და მას, რასაკვირველია, ქვეყნის მართვა-გამგეობა არ შეეძლო. ამიტომ, 1316 წელს რომ ერანში აბუსაიდი გაყაენდა, ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩიბანს ჩაუვარდა ხელში. გიორგი ბრწყინვალემ გადაწყვიტა, რომ ამ ჩობანთან დაეჭირა მჭიდრო კავშირი და ურჩი ქვეშეერდომების წინააღმდეგ ბრძოლის დროს თავისი თავი მასთან შეთანხმებული პოლიტიკის წყალობით უზრუნველეყო.

არაბული წყაროებითგან ვცირით, რომ ჩობანი საქართველოს მეფის მე-

გობარი იყო და გიორგი ბრწყინვალეს ის აფასებდა და ეხმარებოდა ქი-  
დეც. გიორგი ბრწყინვალეც თავის პილიტიკურ მეგობარს ანგარიშს  
უწევდა და იმ შემთხვევაში, როდესაც მისგან დასახული მინებისათვის  
ხელსაყრელი იყო, მასი რჩევით ხელმძღვანელობდა ხოლმე. ჩობანსაც  
არასღრუს დახმარებაზე უარი არ უთქვაშს და საქართველოს მეფისათვის  
ზურგი გაუმაგრებია. მათი ასეთი დამოკიდებულება, რასაკვირველია, პო-  
ლიტიკურ ნიადაგზე დამყარებულ მეგობრობას წარმოადგენდა, ანგარიშ-  
ზე იყო დამოკიდებული: ჩობანი აფასებდა გიორგის ნიჭს და ჭიუას,  
ამიტომაც მას ეთათბირებოდა ხოლმე ერანის საბრძანებლის საქმებზე  
და გიორგი ბრწყინვალე ჩობანისათვის ძვირფასი და საჭირო იყო მარტო  
როგორც პირადი მეგობარი-კი არა, არამედ როგორც მისი თანამოაზრე  
და თანაგამზრახი.

რაյი ერანის ილხანების ძლიერება შერყეული იყო და მონღოლთა ჯა-  
რი მათთვის სანდო სამხედრო ძალას აღარ წარმოადგენდა, შინაური  
შულლიანობის გამოც, საქართველოს ჯარის გულადობა-ეკი მათთვის კარ-  
გად იყო ცნობლი, ამიტომ საქართველოს ჯარის მომხრეობასა და ერთ-  
გულებას მონღოლთა მმრდანებლებისათვის ერანში განსაკუთრებული  
მნიშვნელობა მოჰინქა: ამგვარად, საქართველოს სამხედრო ძალა ჩობა-  
ნისათვის ერთგვარ საყრდნობს წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული გარე-  
მოება გიორგი ბრწყინვალისათვის ხელსაყრელი იყო, რათვან მას საშუა-  
ლება ჰქონდა ამით ესარებლა. იმ განსაკუთრებული დამოკიდებულების  
გამო, რომელიც გიორგი ბრწყინვალესა და ჩობანს შუა დამყარდა, სა-  
ქართველოს მეფეს საშუალება ჰქონდა იმდენად თავისუფლად ემოქმედნა  
თავის სამფლობელოში, რომ, თუმცა მონღოლთა ილხანების ბრძანება  
საქართველოში მოსდიოდა, მაგრამ, იმდროინდელი არაბული წყაროების  
ცნობით, მას არავითარი გავლენა საქართველოში აღარ ჰქონდა. მონ-  
ღოლთა ერანის მმრდანებლებს საქართველოში ლაშქარიც საკმაოდ შემ-  
ცირებული ჰყავდათ. 10 ათას მოლაშარეზე მეტი მათ აქ არ გააჩნდათ  
ეს ძალაც უმთავრესად საქართველოს საზღვრებზე იღვა, საზღვრების და-  
საცავალ.

გიორგი ბრწყინვალე, რასაკვირველია, ამ ურთიერთობის მოსპობას, სა-  
ნამ მონღოლთა ილხანების დახმარება მისთვის ჯერ კიდევ საჭირო იყო,  
არ ფიქრობდა, მერმე-კი, როდესაც გამაგრება და ქვეყნის გაერთიანება  
შესძლო, მან შევე ადვილად მოახერხა, ერანის ილხანების შერყეული  
მდგომარეობა თავის სასაჩვენებლოდ გამოეყენებინა. როდესაც 1327  
წელს აბუსაიდი სრულწლოვანად იქცა და თავისდა საუბედუროდ, თავი-  
სი მზრუნველის ჩობან ნოინის მეურვეობისაგან თავის დახწევა ისე მო-  
იწადინა, რომ ჩობანი და მისი ორი ვაჟიშვილი მოაკვლევინა, მის საბრძა-  
ნებელში არეულობა ატყდა და ილხანების ხელისუფლების აღსასრუ-  
ლის დღეც მოახლოვდა.

## საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენი

საქართველოში შინაური მშევიდობანობის დასამყარებლად, რასაცირკელია, პირველს აუცილებელ ამოცანას ქართლში არსებული მდგომარეობის გამოსწორება წარმოადგენდა: თუ ოსთა თარეში, რომელსაც შუაგულ ქართლისათვის ასეთი ზღანი მოჰქონდა, არ მოისპობოდა, საქართველოს მოლონიერება არ შეეძლო. ამიტომ გიორგი ბრწყინვალე სწორედ მათი თარეშის ალაგმვასა და მათი ურდიობის საქართველოდან განდევნას შეუდგა. რათგან ისთა სამხედრო ძალა გორში იყო გამაგრებული, ამიტომ გორს ალა შემოარტყა და, სამი წლის ბრძოლის შემდგომ, გორის აღება მოახერხა და ოსები იქითგან განდევნა.

მეორე ამოცანას მთავრობა თვითნებობისა და მათი დამოუკიდებლობისადმი მიღრეკილების მოსპობა წარმოადგენდა: ცალ-ცალკე გამდგარი მთავრები ალაგმული თუ არ იქნებოდნენ, საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებას არასოდეს ბოლო არ მოელებოდა. რაკი წინათ ასეთს გამდგარ მთავრებს საქართველოში მფარველობას მონლოლები უწევდნენ და ისინვე აქეზებდნენ, ეხლა გიორგი ბრწყინვალეს, აბუსაცის ყოვლად შემძლე ვაზირთან მცირდო გაუშირის წყალობით, თავისი ურჩი ხელისუფლების წინააღმდეგ შეეძლო უკვე უშიშრად ემოქმედნა. გიორგი V-მ გადასწყვიტა, რომ, რაღცალურ საშუალებას გარდა, მდგომარეობას სტკა ერათერი გამოაკეთებდა: ამის გამო მან ჰერეთ-ჯახეთისა და სომხეთის ერისთავინა, რომელიც კი წინათ მონლოლებს ემხრობოდნენ, კახეთში ცივის მთაზე მიიწვა და ყველა მიწვეულები იქვე ამოაწყვეტინა.

დასავლეთ საქართველოს შემორტების გეგმის განსახორციელებლად ის უფრო ფრთხილად იქცეოდა, ყველაფერს, რაც ლიხის მთის იქთ ხდებოდა, თვალყურს აღევნებდა, მაგრამ ჩარევა მხოლოდ მაშინ გადასწყვიტა, როდებაც საქმე უკვე მომწიფებული იყო. ნარინ-დავითის გარდაცვალების შემდგომ, მისი ვაჟიშვილი კონსტანტინე რომ გამეფდა, მას, როგორც ვიცით, მისივე ძმა მიქელი აუჯანყდა. მათ შორის მტრობა კარგა წანს გრძელდებოდა და, 1327 წელს, რომ კონსტანტინე გარდაიცვალა, მიქელი ბოლოს მეფობას ერისა, მაგრამ მას ორ წელიწადზე მეტი არ უცოცხლია: 1329 წელს ის უკვე მცვდარი იყო. მას პატარა ბავშვი, ბაგრატი, დარჩა. გიორგი ბრწყინვალემ ამ შემთხვევით ისარგებლა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ქუთაისი აილო და ბაგრატი თან წამოიყვანა. ამით საქართველოში XIII საუკუნეში არსებული ორმეფობა მოსპოტ და სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღადგინა.

შემძლებელ გიორგი ბრწყინვალემ მესხეთის მთავარის სამფლობელოც შემოირთა. აქ ის უფრო ფრთხილად მოქმედებდა, რათგან თვითონ ის მესხეთის მთავრის ოჯახში იყო გაზრდილი. 1334 წელს რომ მესხეთის მთავრი სარგის II გარდაიცვალა, მისი ვაჟიშვილი ყვარე ყვარე ა გიორგი ბრწყინვალემ თვითონ დასვა და დამტკიცა. ამრიგად, მესხეთის შოავრის სამფლობელოც შემოუერთდა სრულიად საქართველოს.

## გიორგი ბრწყინვალემ კარგად იცოდა, რომ მარტო პოლიტიკური გაერთიანებით საქართველოს განახლება შეუძლებელი იყო. შერყეული კანონიერება და სამართლიანობაც უნდა აღდგენილი ყოფილიყო ქვეყანაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს უფრო ჩამორჩენილ თემებს, ისეთს, როგორიც მაგალითად მთიულეთი იყო, და, საკანონმდებლო კრების მოწვევის შემდგომ, მან ამ მთიანეთისათვის ქართული სამართლის წიგნი „ძეგლის დაღება“ შეაღენინა, რომელშიც ამ თემის მაშინდელი უფლებრივი მდგომარეობაც და იურიდიული შეგნებაც არის აღმიარებილი. ამავე ხანაში შედგენილი იყო „ხელმწიფიცის კარის გარიგება“, რომელიც გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებასაცა და საფანანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციასაცა გვისურათებს. თუმცა ის ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ოფციალური საკანონმდებლო ძეგლი არ არის, მაგრაც მაინც იქ მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების მაღალი დონე და ეკონომიკური მდგომარეობის საგრძნობი მოლონიერება კარგად არის აღმიარებილი. მარტი იმდროინდელი დარბაზობის აღწერილობიდანაც კარგად ჩანს, რა სისტრატეგით მოუხერხებია საქართველოს ძალის მოქრება რომ ხანგრძლივი უბედურების შემდეგაც, რომელიც მას მონარქიულთა ბატონობის თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა გამოვლილი.

გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც მიაქცია ყურადღება; მან წინა ხანაში ყაზან ყაზანის დროს მოჭრილი ფულის მაგიერ, რომელიც კაზან ნაური თეთრის სახელით იყო საქართველოში ცნობილი, საკუთარი ფული მოსჭრა. ყაზანაურობა, ე. ი. ყაზან ყაზანის დროინდელი ფული, გორგი ბრწყინვალის დროს უკვე გაქმნალი ჩანს. მან შემოლო ახალი ქართული ვერცხლის ფული, რომელსაც შემდეგში და როგორც ეტყობა მის დროსაც გიორგ გაულ თეთრის სახელი ჰქონდა მიუთვნებული.

გიორგი ბრწყინვალის წინდახედულმა, შორსგამჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველოს საშუალება მისცა გაერთიანებულიყო კადეცა, სახელმწიფო მოვალეობრიობაც განვემტკიცებინა და ეკონომიკურადაც ძალის მოკრიბა. საქართველოს მდგომარეობის ასეთი გაუმჯობესება საქართველოს დედაქალაქსაც კარგად დაეტყო. ჩვენ მოგვეპოება ცნობა, რომ XIV საუკუნის მესამე ათეულში თბილისი საუკეთესო, ერმრავალ, მდიდარ და შესანიშნავ ქალაქად ითვლებოდა. თავისი აღინდელი მნიშვნელობა მას იმდენად ჰქონდა აღდგენილი, რომ რომის პაპმა და კარდინალების საბჭომ თავიანთ მოქადაგობის ცენტრად მახლობელ აღმოსავ-

ლეთში თბილისი აქციეს და ქალაქ სმირნიდან საქართველოს დედაქა ლქში გადმოიტანეს.

XIV საუკუნის პირველი ნახევრისათვის საქართველომ, გიორგი ბრწყინვალის სამხედრო ნიჭისა და სახელმწიფოებრივი წინდახედული პოლიტიკის წყალობით, თავისი წინანდელი სახელგანთქმულობის აღდგენა იმდენად შესძლო, რომ მისი ძლიერების ხმამ ეგვიპტემდისაც მიაღწია. იმდროინდელი არაბული წყაროებიდან კიცით, რომ საქართველო მაშინ დიდ და ფართო ქვეყნად ითვლებოდა, ძლიერ სახელმწიფოდ იყო მიჩნეული. რომის პაპისაც სცოდნია, რომ საქართველოს სახელმწიფოში ბევრი ხალხი ცხოვრობდა; ეგვიპტის მთავრობამაც იცოდა, რომ მაშინ-დელ საქართველოში მტკიცე სახელმწიფოებრივია იყო დამყარებული და საქართველოს ჯარის მამაცობისა და ქრისტიანობის მტკიცე დამცველობის სახელგანთქმულობა ხომ ეგვიპტის სულტანებსაც პქონდათ გა-გონილი.

## საქართველოს საერთაშორისო მიზანების გაძლიერების გარებანი გამოხატულება

საქართველოს მნიშვნელობის გაძლიერება კარგად მოჩანდა იმ მიმართვის წესშიც, რომელიც ეგვიპტის სულტანების კარზე იყო მიღებული, როდესაც ისინი საქართველოს მეფეებს თავინთ ეპისტოლებს უგზავნიდნენ ხოლმე. არაბული წყაროების ცნობით, ისინი საქართველოს მეფეს ასე სწერდნენ ხოლმე: „დღეგრძელებულის ალლაპშა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომელად მებრძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირგვინისა მცყრობელისა, თავის საჩქმულების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენთა (ე. ი. მართლა მაღიდებულთა) მეფეთა შორის საუკეთესოსი, ქართველთა სულტანისა ზღვათა და სრუტების სამულობელოების განძისა, რაინდთა დამცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა, რუმისა და ტრანის ქვეშების დამცველისა, იონთა (ე. ი. ძერლი საბერძნეთის მეფეთა) მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა მფარველისა, გვირგვინისანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანობის განმაღიდებელისა, იესოს სარწმუნების საყრდნობისა, წმინდა ადგილთა (ე. ი. პალესტინა-იერუსალემის) განმაღიდებელისა, ნათელდებულთა მისაყრდნობისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოვებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა“-ი.

ამ მომართვაში კარგად არს აღბეჭდოლი ის ძლიერება, რომელიც საქართველოს გიორგი ბრწყინვალემ კელავ მოუპოვა. თუნდაც იგი მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიან მეფეთა შორის უსახელვანესად ითვლება.

მოდა, მაგრამ მაინც საქართველოს მთავრების სათავეში მდგომ პირისა თვის, ქრისტიანეთა დამცველობისადა მიუხედავად, მუსლიმიანთა მუგობრივისაც დამასახიათებელ საქებურ თვისებად ითვლებოდა: ძველი პოლიტიკური გენი, რომელიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელის დროიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობას ჰქონდა აღებული, გიორგი ბრწყინვალესაც მთლიანად დაუცავს და მისი პოლიტიკაც მხოლოდ სარწმუნოებრივ საფუძველზე-კი არ იყო დამყრებული, არამედ მას თავის მოღვაწეობაში სახელმწიფოებრივი ონტერესით უხელმძღვანელია.

## გიორგი ბრწყინვალის ზრუნვა საქართველოს ზონადები საერთაშორისო უფლებათა და კოზიციების დასაბაზებლად

თავის ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების შემდგომ, გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს საგარეო და საერთაშორისო მდგომარეობის გამოსწორებაც დაიწყო, რაც XIII. საუკუნეში, როგორც ვით, თითქმის სრულდებო შერყეული იყო. მას უნდოდა საქართველოსა-თვის საერთაშორისო ურთიერთობაში ის უფლებები დაებრუნებინა, რომელიც მას ძლიერების ხანაში ჰქონდა.

წარსულში საქართველოს ქრისტიანთა მთავარ სალოცავ აღგილებში. თუ პირველი არა, საპატიო ადგილი მაინც ყველგან ჰქონდა მოპოვებულია: სადაც-კი მაშინდელი განათლების მთავარი ცენტრები იყო, ყველგან თავისი ქართული კულტურის კერა-სავანეები ჰქონდა. XI საუკუნეში პროხორეს თაოსნობით ქართველებმა ჯვარის მონასტერი ააგეს. დავით აღმაშენებელმა სინას მთის მწვერვალზე, საღაც, ებრაელთა გამომცემით, კითომც მოსე წინასწარმეტყველს ათი მცნება უნდა მიეცეს ებრაელებისათვის, ქართული ეკლესია ააგო, ქართული წირვა-ლოცვითურთ მოწყობილი. ყველა ამას საქართველოსათვის მარტი წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არამედ ის აგრეთვე მახლობელ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ქრისტიანეთა საერთაშორისო სფეროშიც საქართველოს დიდი ხვედრითი წინას გამომხატველი იყო. XIII საუკუნეში ქართველთა ყველა ეს უფლებები ჰეილახა. პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაკნინებასთან ერთად, მას ბევრგან თავისი წინანდელი პოზიციებიც ჰქონდა დაერგული.

გიორგი ბრწყინვალემ გადასწყვიტა დაებრუნებინა, რაც წინათ საქართველოს ეკუთხნდა, და ამით მისთვის საერთაშორისო წინანდელი ძლიერების გარეგნული გამოსატულება აღედგინა. მას უნდოდა, რომ მასმადინ მმართველებისაგან ქრისტიანთათვის შემოღებული დამაცენებელი წესები და სხვადასხვა შევიწროვება გაუქმებული ყოფილიყო და ქრისტიანეთა მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ამ მიზნითა და

ამ დაფალებით გიორგი ბრწყინვალეში თავისი დეპარტიის სულტანთან გაზიარდა, რათაც პალესტინა მაშინ მას ეკვემდებარებოდა. მაგრამ უამ სანამ ისინი ეგვიპტემდის მიერიღოლდნენ, მან თავის დეპარტებს დაავალა, კონსტანტინებოლში შევარნათ. და ბიზანტიის კეისრისათვის მისი გეგმა ეცნობებინათ. მას ჰქონდა, რომ საქართველოს მეფის პოლიტიკური ზრდას ვისისათვის მეორე საქართველოს სახელმწიფოს, ბიზანტიის საკეისროსაც, დაეჭირა მხარი. რასაკეირველია, კონსტანტინებოლში ეს საამონებით ასრულებული იყო. საქართველოს და ბიზანტიის დეპარტები რომ ჯერ ალექსანდრიაში მივიდნენ, ხოლო შემდეგ ეგვიპტის სულტნის დედაქალაქ ქაირომდის მიაღწიეს, ეგვიპტის მთავრობას გიორგი ბრწყინვალის ეპისტოლუ გადასცეს.

საქართველოს მეფე სთხოვდა სულტანს, რომ მაპალიანთაგან ქართველებისათვის ძალიმოქმედთ ჩიმორმტებული ჯვარის მონასტერი, რომელიც შემდეგში მიწგითად ჰქონდათ გადაქცეული, ისევ საქართველოსათვის დაებრუნებინათ. ამის გარდა გიორგი ბრწყინვალე თხოულობდა, რომ განსაკუთრებული წესები, რომლითაც ქრისტიანებს ცხენებს და სახედრებზე ორთავე მხრივ ფეხებჩამოშევებული ჯდომა აქრძალული ჰქონდათ, იმის გამო, რომ მგზავრობის ასეთი წესი მხოლოდ მაპალიანთა უცირატესობად იყო ცნობილი, გაუექმებინათ, რათაც ერთმხრიც ცხენსახედრებზე ჯდომა მაპალიანებს ქრისტიანთა დასამცირებლად ჰქონდათ შემოლებული. გიორგი ბრწყინვალეს უნდოდა, რომ ასეთი თავმოყვარების შემლახველი და გამაშიბილებელი წესი მოსპობილი ყოფილიყო და ქრისტიანებს იგივე უფლებები მოეპოვათ, რა უფლებებიც მაპალიანებს ჰქონდათ.

არც ერთი ამ თხოვნათაგანის ასრულება ეგვიპტის სულტნისათვის აღვილი არ იყო, რადგან მაპალიანთა სამღვდელოება, უკველია, ამის წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ ამ ორთაგან მაინც ჯვარის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნება თითქმის გადაულახავ დაბრულებას წარმოადგენდა, იმიტომ რომ, დაბრუნებასთან ერთად, მიზანთად გადაცეულ ამ ნაგებობას ქართველები, ცხადია, ისევ ეკლესიად აქცევდნენ, რაც მაპალიანთა მოძღვრების თანახმად მიუტევებელ ცოდვას წარმოადგენდა.

იმისდა მიუხედავად, რომ ამის ასრულება ძალას ძნელი იყო, მაინც ეგვიპტის სულტანმა ორივე მონათხოვნი აასრულა. მისი ამნაირი გაბეჭული მოქმედება იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს მეფე ეგვიპტის სულტანს პოლიტიკურ დახმარებას შეპირებდა.

ამრიგად, საქართველომ საქართველოს დამკუდებულებაში გაპალიანთა შორის ის უპირატესობა დაიბრუნა, რომელიც წინა ჰქონდა, და იესოს საფლავის ეკლესიის კლიტე კვლავ მის ხელში გადმოვიდა. ამ გამარჯვებამ ქრისტიანთა ქვეყნებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა

და ამის შესახებ ცნობები დასავლეთ ეკრიპტიც-კი მოგვეპოვება. რა-  
საკირველია, ეს საქართველოს პოლიტიკური გავლენანობის ზრდის  
ანარეკლი იყო საერთაშორისო დამოკიდებულებაში და ამას უფრო პო-  
ლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი.

## გრძოლა საჭართველოს და ბიზანტიას შორის ტრაპიზონის საკეისაროზი კოლიტიკური გავლენის გამო

როგორც ვიცით, თამარის დროიდან მოყოლებული, ტრაპიზონის სა-  
ქეისარ საქართველოს საგარეო გავლენის სფეროს შეადგენდა. ბრძოლა,  
რომელიც ბრძანტიასა და საქართველოს შორის ამ საქართველოს მეზობ-  
ლად მდებარე სახელმწიფოში წარმოებდა, ამ ხანაშიც, გიორგი ბრწყინ-  
ვალის დროსაც, მიმდინარეობდა. უკანასკნელი ცნობა, რომელზედაც  
მოთხოვა გვერდა შეწყვეტილი, ტრაპიზონში ქართველთა მომხრე და-  
სის განადგურების ამბავს გვისურათებდა. ცხადია, რომ შეუძლებელია  
საქართველო ასეთ მარცხს შეპრივებოდა; როგორც საქართველოში, ისე-  
ვე ტრაპიზონშიც ქართველთა მომხრე დას შორის სამზადისი უნდა ყო-  
ფილიყო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

1341 წელს ტრაპიზონის საკეისაროს თურქები შეესივნენ, თვით სატახ-  
ტო ქალაქიც ჩაიგდეს ხელში, გაანადგურეს, გადასწვეს და ხალხიც საქ-  
მაოდ დაპირისეს. სწორედ ამ დროს, თითქოს სრულებით მოულოდნე-  
ლად, ალექსი კომინის საულება და გასლო I-ის დამ, რომელიც მოლონ-  
იად იყო შემდგარი და რომელსაც ჩვეულებრივ ან ა-ს უ ტ ლ უ ეწო-  
დებოდა, მოლონის სამოსელი გაიძრო და საქართველოში გაიქცა. მისი  
გაქცევის მიზანს, როგორც შემდგომ გამოირკვა, რასაკირველია, თურქე-  
ბისაგან თავის დაცვა ორ შეადგენდა, არამედ საქართველოს მთავრობასთან  
წინასწარ შეთანხმებული გეგმის განხორციელება წარმოადგენდა. ათი  
დღის შემდგომ, იმავე 1341 წელს, ტრაპიზონის საკეისაროდან თურქები  
წავიდნენ თუ არა, ანა-ხუტლუ ქართველთა ჯარითურთ თავის სამშობ-  
ლოში დაპირუნდა და მათი დახმარებით ჟკვე 17 ივლისს თავისი თავი  
მეფედ გამოაცხადა. სრულებით ცხადია, რომ მისი მთელი ეს მოქმედე-  
ბაცა და ტრაპიზონის საკეისაროში ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც სა-  
ქართველოს მთავრობის დახმარებითა და საქართველოს მთავრობის სამ-  
ხედრო ძალის უშუალო მონაწილეობით იყო მომხდარი. ანა-ხუტლუ  
და საქართველოს მთავრობის მოქმედება ირნე დელოფლის სამტროდ  
იყო მიმართული, რომელიც, ვითარცა ბიზანტიის კეისარის ასული, ტრა-  
პიზონის საკეისაროში ბიზანტიური პოლიტიკის გამამტკიცებელი იყო.

ანა-ხუტლუმ და საქართველოს მომხრე ტრაპიზონელთა დასმა დედო-  
ფალი ირინე უმაღლ ტახტიდან ჩამოაგდეს და, როგორც აღნიშნული  
იყო, ს ა მ ე ფ თ ტ ა ნ ა-ს უ ტ ლ უ ი ქ ნ ა ა ყ ვ ა ნ ი-  
ლ ი. დასახული მიზნის მიღწევის შემდგომაც, საქართველოდან მოსუ-

ლი ჯარი მთლიანად არ დაბრუნებულა, არამედ ნაწილი ისევ ტრაპიზონში დარჩა.

ცხადია, ბიზანტიის მთავრობაც თავის მხრით, ამ ამბავს გულდაშვირებით ვერც შეჰქვდებოდა და ვერც შეურიგდებოდა: უკვე 30 ივლისს კონსტანტინეპოლიდან ტრაპიზონში სამი გემი მოვიდა, რომელთაგან ერთს გემზე ტრაპიზონის ყოფილი კეისრის ბასილის ძმა მის ერთ კონკანი იყო, ხოლო დანარჩენ ორ გემზე ბიზანტიიდან თან გამოყოლებული სამხედრო ძალაც იმყოფებოდა. წინასწარ მოფიქრებული გეგმის თანახმად, საქართველოს მომხრე დასმა არამც თუ წინააღმდეგობა არ გაუწია, არამედ კონსტანტინეპოლიდან ჩამოსულსა და გასაბატონებლად ვამზადებულს მიხეილ კომნენს სამღვდელოების მონაწილეობითაც-კი დახვდა: ის ისე მიიღეს, როგორც კეისარს შეეფერებოდა, მაგრამ, რა-საკირველია, მხოლოდ თვალომაქცობობა.

ერთი ღმის მეტი მიხეილ კომნენს ტრაპიზონში მშვიდობიანად არ გაუტარებია: დილა აღრიან ბიზანტიიდან ჩამობრანებული უფლისწული ტახტიდან ჩამოაგდეს, ხოლო სამხედრო გემებზე მყოფს ბიზანტიის ჯარს საქართველოდან ჩამოსულმა სამხედრო ძალამ შეიღლდისრით სროლა აუტეხა. ბევრი მათგანი დახოცეს, გემები-კი მთლიანად ხელში ჩაიგდეს. ტახტიდან ჩამოგდებული მიხეილ კომნენი ექსორია ჰყენეს ლიძნიაში. ირინე დედოფალიც თავის სამშობლოში გაისტუმრეს. ამ გზით ტრაპიზონში საქართველოს პოლიტიკური გავლენა აღდგენილ იქნა, ბიზანტიის მთავრობის ცდა, რომ იქ კვლავ გაბატონებულიყო, გაქარწყლდა.

მაგრამ, ამ ქვეყანაში მშვიდობიანობა მაინც არ დამყარებულა, არა-მედ მოწინააღმდეგთა. შორის ძლიერი ხანგრძლივი ბრძოლა და ერთი-ერთმანეთის ხოცვა შემდეგშიც წარმოებდა.. კონსტანტინეპოლიში წასულები ისევე დაბრუნდნენ და ლიმნიაში ექსორია ქმნილი მიხეილის შეილი ითანე 1342 წელს ტრაპიზონის კეისრად გახადეს. ცხადია, რომ ეს მხოლოდ საქართველოს მომხრე დასის დამარცხების მერმე იყო შესაძლებელი და ამ დასს დიდი უბედურება დაატყვა კიდეც. ყველა შეთაურები დახოცილი იყვნენ. თვით დედოფალი ანა-ხუტლუც ბიზანტიის მიმხრე დასის წარმომადგენლებმა და ბიზანტიულებმა დაახრჩევს, მაგრამ ბრძოლა არც ამ შემთხვევაში შეწყვეტილა და ხოცვა-ჟლეტა წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

გიორგი V-ის ზემოაღწერილი მრავალმხრივი და მრავალნაყოფიერი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ცხადჰყოფს, რომ არც თანამედროვეებსა და არც შთამომავლობას ისევე, როგორც ისტორიასაც მისთვის ბრწყინვალისა და მეფეთა შორის წარჩინებულის სახელი ტყუილად არ მიუკუთვნებიათ. 1346 წ. რომ ის გარდაიცვალა, ყველამ კარგად იცოდა, რა მღვმარეობაში იყო საქართველო, როდესაც ის ქვეყნის მესაჭედ იქცა და რამდენად გააძლიერა და აყვავა მან იგი მცირე ხნის განმავლობაშიც-კი.

## დავით მე, გიორგი ბრძანებალის შე

1346 წელს გარდაცვლილი გიორგი ბრძუნვალის მაგიერ სამეფო ტახტზე მისი ვაჟიშვილი და ვითა ავიღა. სამწუხაროდ, ამ დავითის შესახებ თითქმის აღარავითარი ცნობები არ გვქვს შენახული. ვიცით მხოლოდ, რომ უკვე 1348 წელს საქართველოში ეკონომიურ კრიზისს უჩენია თავი და ამავე დროს ლიდი სიკვდილიანობაც ყოფილა. ამ წლის ქვეშ „დიდი სიგლასაკე და ეტრატის სიძვირე“ აღნიშნული აქვს ერთ თანამედროვე მწერალს, რომელიც აგრეთვე შფოთისა და უცალოების შესახებაც ჩივის.

დიდი სიკვდილიანობა შავი ჭირის შედეგი იყო. შავი ჭირი პირველად 1346 წელს ოქროს, ანუ ჩრდილოეთის ურდოში გაჩნდა და მაშინ ამ მოარულმა დიდალი ხალხიც იმსხვერპლა. ყირიმისაც იქიდან მოედო და, ცხადია, რომ სწორედ ამ ადგილებიდან ჩრდილოეთიდანცე უნდა ყოფილიყო შავი ჭირი შემოტანილი საქართველოშიც. შემდეგ ის უფრო სამხრეთითაც წავიდა და 1348 წელს ასურეთსა და ეგვატეშიც მძვინვარებდა. იქ ამ შავი ჭირისაგან მოსახლეობის ნახევარი დახსოცა. რამდენ ხანს გაგრძელდა 1348 წელს გაჩენილი შავი ჭირი ჩევნში, ამაზე დანამდგილებით ცნობები ჯერ არ მოგვეპოვება, მაგრამ, რაკი ჩვეულებრივ შავი ჭირი ხანგრძლივ მძვინვარებს ხოლმე და დროგამოშვებით გაძლიერდება, დროგამოშვებით-კი უფრო შესუსტდება ხოლმე, საფიქრებელია, რომ 1366 წელს ბაგრატ V-ის თანამეცხედრე ელენე დედოფალი სწორედ შავი ჭირისაგან გარდაიცვალა.

დავითის მეფობაში სამხრეთიდან მტრის იერიშიც იყო მოტანილი. სახელდობრ 1358 წლის ორი სომხური წარწერიდან ჩანს, რომ ჰასან ჯელარის ძმა მელიქაშ რაფი ი საქართველოს შემოჰევია, ბიჯნისა ულია, დაუნგრევია და მოსახლეობაც დაუხოცა.

დავითი 1360 წელს გეგუთში გარდაცვალა; იგი გელათში დაუსაფლავებით. დედოფალ სანხურარისაგან (სინდუხტარისაგან) მას ბაგრატი ჰყავდა შვილად.

## გაგრატ V-ი დიდი, დავითის შე

1360 წელს, მამის მაგიერ, ბაგრატ V გამეფდა. ის ძველი წესის თანაბად ქუთასში აკურთხეს მეფედ. ბაგრატი სრულდადი საქართველოს მეფეთ-მეფე იყო. მას, როგორც აღმოსავლეთი, ისევე დასავლეთი საქართველოც ემორიჩილებოდა. იმდროინდელ მის სამფლობელოსი და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით მაკრიალის ხეობის გასწერივ ყოფილა. პარხალი ტრაპიზონის საკეისროს ჰყუთვნებია, ხოლო გონია, მაკრიალი, აჭარა, შავშეთი და

კლარჯეთის საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული. ბათონი გურიის სამფლობელოში შედოდა; მაშასადამე, აჭარაც ც მასვე ეკუთხნდა. მესახი ე თი საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. ქალაქი ანისიცა და მისი სანახებიც საქართველოს სახელმწიფოს სამფლობელოს შეადგენდა. მაგრამ ოარც კარი, ოარც გარნისი და ნახშევანი უკვე საქართველოს ფარგლებში არ იყო. იქ ადგილობრივი მმართველები ისხდნენ, საჩრდინებითაც მაჰმადიანი და წარმოშობითაც არა ქართველი იყვნენ ისინი.

თავის წინადელ ყმადნაფიც სამფლობელობთან საქართველოს მანც კაშირი შეწყვეტილი არ ჰქონდა. მათაც საქართველოსთან ურთიერთობა არ მოუსპიათ და გაჭირვების დროს სწორედ საქართველოს სთხოვდნენ ხოლმე ისინი პოლიტიკურ დახმარებას.

ჩრდილოეთით საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი ქრდს იქითაც გადიოდა: დ ვალეთი და ოსეთი საქართველოს ეკუთვნოდა.

ბაგრატ V-ს პირველი თანამეცხედრული ელენე დედოფლი ა ღ ა ნ ორი ვაჟიშვილი, გიორგი და გიორგი კონსტანტინე, ჰეივალა. 1366 წელს ელენე დედოფლალი შავი ჭირისაგან რომ გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ ბაგრატმა ტრაპიზონის კეისრის ქალიშვილი ან კომნენტოსი მოიყვანა ცოლად, რომლისაგანაც მესამე ვაჟიშვილი დავითი ეყოლა.

ბაგრატი კარგად ჩამონაკუთილი, წარმოსადეგი ვაჟები იყო, მხნე და გნოტქმული მოისარ-მოშვილდოსნე, გულადი მეომარი და. როგორც საჩალიც სახელგანთქმულად ითვლებოდა. ტრაპიზონის ისტორიკოსი მიხეილ პანარეტი მას უსახელოვანეს მხედართ-მთავარს უწოდებს. სომეხთა მწერლებიც მას ასეთსავე სახელს სდებენ. მაგრამ ცნობების უქონლობის გამო, ჩვენ არ ვიცით, რაზე იყო მისი ასეთი სამხედრო სახელგანთქმულობა დამყარებული, რომელიც, უეჭველია, მას თემურლენგის შემოსევამდე უნდა ჰქონდა მოპოვებული.

ბაგრატ V-ის მეფობის ამბების აღსაღენად ჩვენ იძღროინდელი ქართული წყაროები გადარჩენილი არა გვაქვს და სამწუხაროდ მხოლოდ თემურლენგის ისტორიულითა თხზულებებსა და მათზე უფრო უმცროსი თანამედროვეის, სომეხთა ისტორიკოსის, თომა მეტო თხზულებაში საქართველოს მაშინდელი ამბები, რასაკირველია, მხოლოდ იმდენად და მარტო ის არის მოთხრობილი, როდენადაც და რაც თემურლენგის შემოსევასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც მრავალი სხვა საკითხები სრულებით გაუშუქებელი რჩება, ჯერჯერობით მაინც.

XIV საუკუნის მეორე ნახევარიდან მახლობელ აღმოსავლეთში დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა. ამ ცვლილების მიზეზი თემურლენგის. საისტორიო და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა იყო.

## თემურლევის გამოჩენა პოლიტიკურ სარგიელზე

თემურლევი ნები თავდაპირველად თემურად წოდებული, ვითარცა ყაჩაღების ბრძოს მეთაური, ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაჭრის გამო, დაკოჭლდა და ამის შემდეგ მის საკუთარ სახელს კოტლობის გამომხატველი სიტყვა ლენგიც დაერთო და იმდროიდან მოყოლებული თემურლენგად ანდა ლანგთე მურად არის ცნობილი.

1360 წლიდან მოყოლებული, თემურლენგმა ათი წლის განმავლობაში დიდი საბრძანებელი შექმნა. თავის საჯდომ ქალაქად მან სამარყანი და იქიდან თავისი სამფლობელოს გასაფართოებლად და ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობად თოთქმის შეუნელებლივ სამხედრო მოქმედებას აწარმოებდა. თავისი სიცოცხლის განმავლობაში მას სხვა არავითარი ამოცანა და მიზანი არ ჰქონდა, ქვეყნების ხელში ჩაგდებისა და სიმდიდრის მოპოვების გარდა. ის, რამაც თემურლენგი პირველად ვითარცა ყაჩაღების ბრძოს მეთაურად თავის სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა, არსებითად შემდეგში მის მთავარ მიზანს შეაღენდა.

1384 წელს მან ავღანისტანი დაიპყრო, შემდეგ ერანის ილხნების ყოფილი სახელმწიფოს ხელში ჩაგდებაც მოიწადინა და ვურგანისა და მაზანი ან არანის დასაპყრობად გამოემგზავრა. ან თრით თემის მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობისძა მოჰედავად, თემურლენგმა, თავისი ჯარის მრავალრიცხევიანობის წყალობით, მაინც გურგანელებსა და მაზანდარანელებს სძლია. შემდეგ თემურლენგა თავრიზის აკენაც-კა გამოემგზავრა. 1385 წელს მან ჯელაირების შთამომავლებს რეი და სულტანია წაართვა, შემდეგ ტაბარისტანის ხელში ჩაგდება მოისურვა, რომ თავისი თავი მომავალში შესაძლებელი განსაკუდელისაგან დაეცვა. აქ მან საქმის მოგვარება და ქვეყნის ხელში ჩაგდება უბრძოლველადაც-კა მოახერხა.

თემურლენგის ასეთი სწრაფი გაძლიერება, რასაკვირველია, ყველა იმდროინდელი პოლიტიკური ერთეულებისათვის, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, ისევე ჩრდილოეთშიც, კერძოდ ჩრდილოეთის ოქროს ულუსისათვის, ძალიან სახიფათო ციუ. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება თოხთა მიშნაც, რომელმაც გადასწუვიტა, თემურლენგის წინსვლის შესახერებლად, მისთვის დაესწრო და ქალაქი თავრიზი დაეპყრა.

1385 წელს ზამთარში თავისი 90 ათასი მოლაშქრიანი ჯარი თოხთა-მიშმა თავრეულის ასაღებად წარმოგზავნა. ცხადია, რომ ამ სამხედრო ოპერაციის მოწყობა მას მხოლოდ კავკასიონის ქედის გადმოლახვის შემდგომ შეეძლო: დარიალანისა და დარუბანდის კარები მისთვის ღია უნდა ყოფილიყო და თემურლენგის ისტორიული მოგვითხრობს კიდეც, რომ მის ჯარში „ურწმუნონიც“ მრავლად იყვნენ. როდესაც თოხთამცშის ჯარი ერანის აზერბაჯანს შეესრა და თავრეული აიღო, მონღოლური ჩვე-

ულების თანახმად, დიდქალი ხალხი იქნა დახოცილ-დაწილებული. აუარებელი ნადავლით დატვირთული ჩრდილოეთის ულუსის მოლაშქრენი უკან გაუშრენეს და შინისაკენ მიმავლებმა ნახშევანის და სიენიეთის 12 თემიც ააოხრეს.

თემურლენგი ამ აბავშა საშინლად განარისხა, მაგრამ, პოლიტიკური შორსგამშერეტელობითა და საიდუმლოების დაცვის მიზნით, მას ეს გარემოება არ გამოუმყენებია. თემურმა გადაწყვიტა, ჯერ ერანში მოეკიდა მტკიცედ ფეხი, ხოლო შემდეგ გათამამებული თოხთამიშისა-თვის გაეცა პასუხი.

1386 წელს თემურლენგმა თავრევი აიღო, რაც უკვე მისი ერანის აზერბაიჯანშიც დაკვიდრების მიზნის გამომყდარენებელი იყო. შესაძლებელია, ადამიანს ეფიქრა, რომ ამის შემდგომ ის თოხთამიშის წინააღმდეგ გაიღლაშქრებდა, მაგრამ ამის მაგიერ მონღოლთა მბრძანებელმა საქართველოსკენ იბრუნა პირი.

## თემურლენგის პირველი შემოსვა საქართველოში

თემურლენგის ისტორიკოსს თუ დავუჯერებთ, თემურლენგს ვითომშვისება არავითარი მიზანი არ ჰქონდა, იმის გარდა, რომ საქართველოში მას მაშადიანობის გაფრცელება ჰსურდა. ნამდვილად-კი მისი შემოსვეის მიზეზიცა და მისგან დასახული მიზანიც სულ სხვა იყო: მიზეზი თოხთა-მიშის გამოლაშქრება იყო. თოხთამიში, რასაკირველია, არ შეეძლო ჩრდილოეთითან ერანში შეკრილიყო, საქართველოს მთავრობასთან რომ წინასწარ რაიმე შეთანხმება არ ჰქონდა. ამგვარად, საქართველო და თოხთამიში მოკავშირები გამოდიოდნენ. მომავალში რომ ასეთივე რამ არ გამორებულიყო და მას ჩრდილოეთის საზღვარი ოქროს ულუ-სის შემოსვეის საშიშროებისაგან უზრუნველყოფილი ჰქონდა, თემურლენგს, რასაკირველა, უნდა კავკასიონის ქედის, ყველა თუ არა, აღმოსავლეთით მდებარე ორი უდიდესი გადმოსავალი, ან თითონ უნდა შეექრა, ანდა მათი მფლობელები ისეთს მდგომარეობაში უნდა ჩაეყენებინა, რომ მის მოკავშირებად და ყმადნაფიცებად ქცეულიყვნენ. სწორედ ეს შეადგენდა მისი შემოსვეის მიზეზისაც და დასახულ ამოცანასაც.

ჩვეულებისამებრ, თემურლენგი საქართველოს წინააღმდეგ მოულოდნელად დაირჩა. თავრევის მართვა-გამგეობა მან სულტან-შაპს ჩაბარა და თავისი სამსედრო ძალითურთ ნახშევანის ასაღებად გამოემართა. აქელან გარნისის ციხის დასაბურობად გამოეშურა და თავის მიზანს მიაღწია კიდევ. მერმე არეზე მდებარე სურმალუც აიღო, იქ ჩვეულებისამებრ ციხე დაანგრია და ააოხრა.

ამის შემდგომ, იმის მაგიერ, რომ თემურს ისევ ჩრდილოეთისაკენ გა-ნეგრძო წინსვლა, კარის, ანუ ყარსის ციხე-ქალაქის ხელში ჩა-

საგდებად გაეშურა. კარის ციხე, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობის სიმაგრეს წარმოადგენს, რომლის მფლობელობა მტერს საშუალებას აძლევდა თავის თავიც უზრუნველყო სამხრეთიდან და ჩრდილოეთისაკენაც განვითარა სამხედრო მოქმედება. ცხადად ჩანს, რომ თემურლენგს თავის ბანჯში აღილობრივი ვითარების კარგი მცოდნებრევლები უნდა ჰყოლოდა, რომელთაც გზის ჩვენებაც შეეძლოთ და იმს აღნიშვნაც, თუ რისთვის უნდა მიექცია მას მთავარი ყურადღება. კარის ციხის მტკცე სიმაგრეებისდა მიუხედავად, თემურლენგის ჯარმა, სიმრავლის წყალობით, აღება შესძლო და მისი ზღუდეებიც დაანგრია.

კარის აღების შემდეგ, თემურლენგი არ შეჩერებულა, თუმცა კი, მკაცრი ზამთარის გამო, მისი წინსვლისათვის ხელსაყრელი პირობები არ იყო. მაინც ის დაიძრა და საქართველოს შემოსია. პირველად თემურლენგმა აღბულა ათაბაგის სამფლობელოს ხელში ჩაგდება მოიწადინა. ჯერ ჯავახე თ ში შემოიჭრა, ხოლო შემდეგ, დიდი ყინვებისდა მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებელი ქაითუ გზით, რომელიც ანისის ჩრდილოეთი მდებარეობდა, საქართველოს დედაქალაქ თბილისისაკენ გამოემგზავრა. თბილის, მართალია, ბუნებრივადაც მაგრა ციხე იყო და ხელოვნურადაც კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ თემურლენგმა თავისი საკუთარი ხელმძღვანელობითა და ყველა საბრძოლველი იარაღების გამოყენებით თბილისის აღება მოახერხა.

როგორც ჩანს, თბილისზე თავდასხმა ბაგრატ მეფისათვის მოულოდნელი ყოფილა: ამით უნდა აისწნებოდეს, რომ ბაგრატი გამარჯვებულ თემურლენგს 1386 წ. 21 ნოემბერს თავის მეულლით ანათი და ვაჟიშვილი დავითითურთ ჩაუვარდა ტკვედ.

თავისი ჩვეულებრივი წესისდა მიუხედავად თემურლენგს თბილისი არ გაუნადგურებდა. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ მას გარკვეული მიზანი ჰქონდა დასახული: საფიქრებელია, რომ მას საქართველოს მთავრობის სათავეში მდგომ პირთან პოლიტიკური შეთანხმება ჰქონდა მიზნად დასახული. თბილისი რომ აიღო, თემურლენგი აქ არ დარჩენილა, არამედ აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა. მისთვის სწორედ ამ აღმოსავლეთის საზღვრის ხელში ჩაგდებას ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც, თოხთამცშის წინააღმდეგ დასახული გეგმისათვის, ეს სრულებით აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

მონღოლთა მბრძანებელმა თავისი ჯარი რამდენიმე ნაწილად გაჰყო, კრთი მათგანი შაქში გაგზავნა და იქაური ციხე-ქალაქები აღებინა. ამ თემებში მაშინ ჯერ კადევ ლეკების მოდგმის ტომი ცხოვრობდა, რომელიც ჯერ გამაჭმალიანებული არ იყო; ამიტომაც ამ მთიანეთის დაპყრობას და თავისთვის მომტკიცებას მან განსაკუთრებული ყურადღება მაქცია. სხვა რაზმები ყუბისა და შუბის სანახებში გაგზავნა სათარეშოდ, თვითონ-კი პირადად კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ-სამხრეთის ზოლის „უსჯულოების“ დასაბყრობად გაეშურა. როგორც ვიცით, სწო-

რედ იქ კასპის ზღვის ხანაპირობაზე მდებარეობდა ის მთავარი კარი, რომლითაც, დარიალის კარს გარდა და უფრო მეტად, ჩრდილოეთის ულუსის ხანები ჩვეულებრივ სარგებლობდნენ ხოლმე, როდესაც მათ მიწნადერანის სამფლობელოს წინააღმდეგ გამოლაშქრება ჰქონდათ ხოლმე დასახული.

შემდეგ თემურლენგი ქალაქ ბარდაცს მიაღდა, რომელიც მას უბრძოლებელად დაეჭირა ჩილა. ყარაბაღში მოვიდა თუ არა, თემურლენგმა ბაგრატ მეფე, რომელიც თავისთან ტყვედ ჰყავდა, მოიხმო და გამაპმადიანება მოსთხოვა. ბაგრატი დიდი ყოყმანის შემდგომ, გარეგნულად დათანხმდა. უეპელია, თემურლენგის წინადადება მან მხოლოდ იმ მიწნით შიორო, რომ ამ მტარგალის ტყვეობისათვის როგორმე თავი დაეღწია.

ბაგრატ V-მ მონოლოთა ხანს ძერიფასი საჩუქრები მიუძღვნა, მათ შორის, თემურლენგის ისტორიკოსის ცნობით, ერთი ჯაჭვის პერანგიც, რომელიც ვითომც დავით ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის სახელოსნოში ყოფილიყოს გაეთებული. მონოლოთა მბრძანებელს ეს საჩუქრები და ძლვენი ძალიან მოეწონა და თვით ბაგრატიც, უხვად დასაჩუქრებული, საქართველოში დაბრუნა. ამის შემდგომ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში ბაგრატის ხსენება ქრება. საისტორიო ასპარეზზე ის უკვე აღარ ჩანს. შეთანხმება თემურლენგსა და ბაგრატ V-ს შორის 1387 წელს მოხდა.

იმ დღიდან მოყოლებული 1393 წლამდე საქართველოს საშუალება ჰქონდა ცოტათი მაცნც დაწყარებულიყო, რაღაც თემურლენგს ჩვენი ქვეყანა მერმე აღარ შეუწუხებია. საქართველოს შეეძლო მოყენებულ ზიანისა და ზარალის გამოსწორება დაწყებული 1393 წლის მეორეებისთვის შემოსევა საქართველოში მომხდარი ჯანენებით იყო გამოწვეული. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე, ბაგრატის მაგიერ, უკვე მისი ვაჟიშვილი გიორგი იჯდა, რომელის გამეფების ნამდვილი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის. ჯანენება, როგორც ჩანს, პირველად მესხეთში უნდა ყოფილიყო ამტყდარი, რათაც თემურლენგი სწორედ ამ თემს შეესრა და თავისი ჯარიც ყველაზე უწინარეს ახალცხისაკენ გაგზავნა. ჩვეულებისამებრ, მისი ლაშქარი ამ თემს მოედო და თავისი თარუში დაიწყო, მაგრამ რამდენად გაიმარჯვა და რა პოლიტიკურ შეღებს მიაღწია, არ ჩანს. მცირ ისტორიკოსს მოთხოვანაში, ზოგად ცნობას გარდა, რომ ციხეები ჩაიგდო ხელში და დაანგრიათ, კონკრეტული არაფერი მოპოვება. ყველგან თემურლენგის ჯარს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ: გზის გაკაფვა მას მხოლოდ ბრძოლით შეეძლო.

## მევე გიორგი VI და თემურლენგის მეორე უმაღლევა

მონოლოთა მბრძანებლის 1393 წლის მეორეებისთვის შემოსევა საქართველოში მომხდარი ჯანენებით იყო გამოწვეული. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე, ბაგრატის მაგიერ, უკვე მისი ვაჟიშვილი გიორგი იჯდა, რომელის გამეფების ნამდვილი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის. ჯანენება, როგორც ჩანს, პირველად მესხეთში უნდა ყოფილიყო ამტყდარი, რათაც თემურლენგი სწორედ ამ თემს შეესრა და თავისი ჯარიც ყველაზე უწინარეს ახალცხისაკენ გაგზავნა. ჩვეულებისამებრ, მისი ლაშქარი ამ თემს მოედო და თავისი თარუში დაიწყო, მაგრამ რამდენად გაიმარჯვა და რა პოლიტიკურ შეღებს მიაღწია, არ ჩანს. მცირ ისტორიკოსს მოთხოვანაში, ზოგად ცნობას გარდა, რომ ციხეები ჩაიგდო ხელში და დაანგრიათ, კონკრეტული არაფერი მოპოვება. ყველგან თემურლენგის ჯარს ჯარს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ: გზის გაკაფვა მას მხოლოდ ბრძოლით შეეძლო.

ს ამ ციდან მონლოლთა მზრდანებელი ყარსისაკენ გაემ-  
გზავრა და იქ ქალაქ გარეთ მოეწყო, საღაც მას საშუალება ჰქონდა სა-  
უცხოვო საძოვრებით, მშვენიერი ჰაერითა და წყლით ესარგებლა. მერმე  
კოლის მთაზე გადავიდა და იქითგან სხვადასხვა მიმართულებით  
თარეში გაგზავნა. მოთარეშეებმა ციხეების აღებაცა და მოსახლეობის  
გაძარცვაც მოახერხეს. შემდეგ იქითგან თემურლენგი ბარად ჩამოვიდა  
და საქართველოს დედაქალაქ თბილისი ის აკენ გამოემგზავრა, მაგ-  
რამ აქაც დიდხანს არ დარჩენილა, არამედ შაქისაკენ წავიდა და შემდეგ  
შექს აღმოსავლეთით მდებარე მთიანეთის მოსახლეობას დაუწყო დაწო-  
კება, როგორც ჩანს, დასახული მიზნის მოულწევლობის გამო.

## თემურლენგის გასახვა უმომსეპა

ერთი წლის შემდეგ, თემურლენგს მესამეჯერ მოუხდა საქართველოში  
შემოსევა: 1394 წელს მან კვლავ საქართველოსაკენ გამოილაშერა. ამ მე-  
სამე შემოსევის მიზეზიც ჩრდილოეთის ულუსის სამხედრო მოქმედებას-  
თან იყო დაკავშირებული. თემურლენგს შირვანიდან ამზავი მოუვიდა,  
რომ თოხთამიში თავის საბრძანებელში კვლავ განტკიცდა და თავისი  
ლაშეარი 4 ნოინის წინამდოლობით დარუბანდის გზით შირვანს შემო-  
უსია, ზოგი დღიოლების აოხრებაც-კი მოახერხა.

უეპველია, თოხთამიშ ხანს, დალისტრინის შეთაურებთანა და საქართვე-  
ლოსთან შეუთანხმებლივ, არც ამ მოქმედების დაწყება შეეძლო. თემურ-  
ლენგს, რომელსაც მრავალი ჯაშუში ჰყავდა, რასაკვირველია, საშუალე-  
ბა ჰქონდა ამ საიდუმლო მოლაპარაკების გარემოება გაეგო, ამიტომ  
დასწრება ამჯობინა. თოხთამიშისათვის რომ შემდეგშიც შემოსევის სა-  
შუალება მოესპო, დარიალის კარის ხელში ჩაგდებას თემურლენგისა-  
თვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ მან არაგვის ხეობისაკენ გა-  
შორილაშერა. მაგრამ იმ დროს, როდესაც თემურლენგის ჯარი აჩავეს  
ხეობაში იბრძოდა, თოხთამიშ ხანმა თავისი სამხედრო ძალა უფრო აღვი-  
ლი გზით, დარუბანდის გზით, წარმოგზავნა.

მათალია, თემურლენგის ჯარმა არაგვის ხეობაში ციხეე-  
ბიცა და სხვა სიმაგრეებიც ჩაიგდო ხელში, მაგრამ მარც მთავარი მიზანი,  
რომელიც მას დასახული ჰქონდა, დარიალის ხელში ჩაგდება, განუხორციელებელი დარჩა. თემურს რომ ოქროს ულუსის ჯა-  
რის დარღბანდის გზით შემოსევის ამბავი მოუვიდა, თავისი სამხედრო  
ძალა მაშინვე ცითკენ გაგზავნა, მაგრამ ამ ჯარმა გაიგო, რომ თოხთა-  
მიშის მოლაშერენი უკვე გაბრუნებულიყვნენ.

თემურლენგმა ეხლა-კი საბოლოოდ გადაწყვიტა, თოხთამიში ისე დაე-  
მარცებინა, რომ მას შემდეგშიც ყოველგვარი შესაძლებლობა. ჰქონო-  
და მოსპობილი მისთვის რაოდე ვნება მიეყენებინა. 1395 წელს ეს შესძლო

კიდევ თემურლენგმა; თერგის პირას საშინლად დაამარცხა თოხთამიში და მის სატახტო ქალაქ სარაი-ბერქემდისაც-კი მიაღწია, ქალაქი იღო, მთლიანად გაძარცვა, დაანგრია და გადასწვა კიდევ. მომდევნო წლებში თემური უკვე სხვა პოლიტიკური ამოცანებით იყო გართული. 1398 წელს მან ინდოეთის ლაშქრობა დაიწყო, რომელიც აგრეთვე მცირ გა- მარჯვებით დამთავრდა: ინდოეთის ჩრდილო ნაწილი დაიპყრა და ქალაქი დელაც ამ წლის დამლევისათვის უკვე ხელში ჩადებული ჰქონდა.

იმ დროს, როდესაც მონოლოთა მბრძანებელი აღმოსავლეთის ლაშქრო- ბით ასე გატაცებული იყო, მახლობელ აღმოსავლეთში ყველამ ვინც კი მის ყმაღნაფიც, ან დაპყრობილ ქვეყნად იქცა, ამ შემთხვევით ისარ- გებლეს, რომ წინანდებურად დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. ამ მც- წრაფებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მისი ვაჟიშვილი მირან- შაპი, რომელსაც მანერანი სამართველოდ ჩაბარა, ვითომც-და ცხენი- დან ჩამოვარდნის გამო, თითქმის გვესა დაემსგავსა. მისი მოქმედება ყო- ველ შემთხვევაში ნორმალური აღამინის მოქმედებას არ მოაგადა.

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველომაც სცადა თავისი წინანდელი პოზიციები გაემაგრებინა და, არამც თუ თემურლენგის ბატონობისაგან თავის დაცვა მოიწადინა, არამც აქტიური პოლიტიკის წარმოებასაც-კი შეუდგა. ალინჯას ციხეში, მონოლოთა ჯარისაგან ალყა შემორტყმულში, შემწყვდეული იყო სულტან აშმედ ჯალაირის შეილი ტაპერი. სულტან ტაპერმა მიმართა საქართველოს დახმარებისა და მფარველობის გასწე- ვად. საქართველოს მეფებ გიორგიმ ეს მოწოდება შეწყნარა და მის გა- დასარჩენად გაიღლაშერა. სეიდ ალი შაქისელიც, იმისდა მიუხედავად, რომ მაკმაღიანი იყო, საქართველოს მიემზრო, რადგან თემურლენგის დაპყრო- ბითი პოლიტიკის წყალობით ისიც განსაცდელში იყო. ქართველები და მისი მოკავშირენი ალინჯის ციხეს მიაღწენ და მონოლოთა ჯარი დაა- მარცხეს, ალყა-შემორტყმული ტაპერი გამოიყვანეს, ხოლო ალინჯის ციხე ჰაჯი სალეხს სეიდ აშმედს და სამ ქართველ აზნაურ მეციხოვნეს გადასცეს.

რაყი მიზანი მიღწეული იყო, გიორგი მეფემ უკან დაბრუნება გადას- წყვიტა. ამ დროს მირან-შაპის დატრიალებული უბედურების შესახებ აბბაეთ მოუტანეს და მან ამ საქმის გამოსაწორებლად თავისი ვაჟიშვი- ლი აბუბექრი გაგზავნა მონოლოთა ლაშქროთურთ. მაგრამ უკვე გვიან იყო: ქართველები და მათი მოკავშირები თემურლენგის ამ ლაშქარსაც შეებრძოლნენ და გამარჯვება მათ ხედათ. აბუბექრი დამარცხებულ იქნა და ლტოლევით დააღწია თავი განსაცდელს.

ამრიგად, საქართველოს მთავრობამ და მეფე გიორგიმ აქტიური პო- ლიტიკის წარმოება დაიწყო და თავისი წინანდელი ყმაღნაფიცი სამფლო- ბელოების მომტკიცებას შეუდგა.

თემურლენგი რომ ინდოეთიდან დაბრუნდა და ეს ამბავი გაიგო, რა- საკვირველა, საშინლად განრიცსხდა: არდაველის გზით ყარაბაღისაკენ წა-

პოვიდა და ყარაბალში დაბანაკუდა. აქ მას ალი შაქისელის შეინდ შეიძი  
იბრაჰიმი ეახლა და მორჩილება განუცხადა. ეს გარემოება საქართველო-  
სათვის ძალიან უსიიმოვნა იყო, რადგან წინათ შაქი მის მოკავშირედ და  
ყმაღნაფიცად ითვლებოდა, ეხლა-კი მის მტერს მიემხრო.

თემურლენგს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ კარისირებისათვის საქართველო-  
ლი სამაგალოთოდ დაესუჯა. მიზნის მისაღწევად მან საქართველოში შე-  
მოსახული უველაბზე უფრო მარჯვე გზა აირჩია. ცნობილია, რომ სა-  
ქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი ბუნებრივი ზღუდით დაცული არ  
არის, ისე, როგორც ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები. არცერთია  
ისეთი ბუნებრივი დაბრულება აქ არ ასებობს, რომლის გამოყენებაც  
შემოსეული მტრის შესაკავებლად შესაძლებელი იყოს. რაყი აღმოსავ-  
ლეთის საზღვარი საქართველოსათვის ისედაც ძნელი დასაცავი იყო და  
შაქის მფლობელიც თემურლენგს მიემხრო, მონლოლთა მბრძანებელს  
სრული საფუძველი ჰქონდა გადაწყვიტა, რომ საქმე უკვე კარგად იყო  
მოგვარებული და საქართველოში შემოსახუად დაიძრა კიდეც.

ის თემი, რომელსაც თემურლენგი პირველად თავს დაესხა, ჰერე-  
თი იყო. მის მმართველს ხიმშია ეწოდებოდა. თემურლენგს იმე-  
დი ჰქონდა, რომ ამ ლაშქრობას ორი კვირის განმავლობაში დაამთავრებ-  
და. ამიტომ მან ბრძანება გასცა, რომ ტყით დაბურულ საქართველოს ამ  
თემში სამხედრო მოქმედების გასაღვილებლად წინასწარ გზები გაეკ-  
ფათ. ხეები მოეჭრათ და ჯარის მოძრაობისათვის შესაფერისი პირობები  
შეექმნათ. ოცა დღის განმავლობაში განუწყვეტილი თოვდა და დიდძლი  
თოვლი იყო დაღებული. საქართველოს ჯარი გააფთრებულ წინააღმდე-  
გობას უწევდა. მაგრამ, ამ ორი დაბრკოლებისდა მოუხედავად; თემურ-  
ლენგმა წინააღმდეგობის დაძლევა მაინც მოახერხა და ხიმშია თავის ჯა-  
რითურთ ძძულებული იყო, აღსუმდის, ანუ თეთრ წყარომდე, დაეხია,  
საღაც მაშინ საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი იყო. მიტოვებულ  
ქვეყანას მტრის ლაშქარი მოედო, რომელსაც საშუალება ჰქონდა მრა-  
ვალრიცხვან მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს დაპატრონებოდა  
და ხალხისაგან მიტოვებული სახლები და საცხოვრებელი ბინები გაე-  
ძარცვა.

## თემურლენგისაგან ეკონომიური რეის დაწევება საქართველოში

შემოსეული მტრის ჯარი მარტო ზემო აღწერილით არ დაკმაყოფი-  
ლებულა: გაძარცვის შემდეგ ყველაფერი, ან გადამწვარი, ანდა განადგუ-  
რებული იყო ხოლმე. თემურლენგის მრისხანებას საზღვარი, არ ჰქონდა,  
რათგან, ასეთი გააფთრებული დაუნდობელი ბრძოლისდა. მიუხედავად,  
სასტიქს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ თემურლენგმა წინააღმდე-

გაბის დასაძლევად და ქართველ ხალხში სასოწარკუეთილების გრძნობის გამოსაწვევია, ეკონომიური ობის წარმოება დაიწყო. ოქურმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ქართველები საერთო ჟამა-სმის გარკვეულ წესს იყვნენ მიჩვეული, რომ მწვანილი და ხილი, ღვინოც მათი კვების აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენდა. მათვეის რომ ეს საშუალებაც მოესპო, თავის ჯარს უბრძანა, რომ სადაც-კი ხელი მიუწვდებათ, ვენახები, ბალები, ბოსტნები გაეჩეხათ. მერმე ბრძანება გასცა, რომ ნაგებობათა დანგრევასაც-კი შესდგომონენ. ეკლესიები, სამლოცველოები, სასახლეები, მცირდი შენობები, რის დანგრევაც შესაძლებელი იყო, რომ დანგრეული ყოფილიყო. მისი ისტორიკოსი თავისი მბრძანებლის საქებრად გაიძახის კიდეც, რომ თემურ ლენგს ინდოეთის ლაშქრობაში დაუნიდან შენობა არ დაუნგრევია, რამდენიც საქართველოში გაანადგურა.

მაინც მონლოლთა მბრძანებლის ანგარიში ვერ გამართლდა: ბრძოლის ფაზთავრება ისე სწრაფად ვერ მოხერხდა და მთელი თვის განმავლობაში ამ თემში ბრძოლა მიმდინარეობდა, ხალხიც ბევრი დაიხოცა, ეს თემც აოხრდა, მაგრამ მაინც ვერც ამ თემის მთავარსარდალი ხიტშია ჩაიგდო ჟელში, ვერც სხვა კონტე, რომ ზაგის პირობებზე ხელი მოეწერინებინა. ხოლო, რაკი ძალიან მქაცრი ზამთარი იყო, დიდი მეღვარი წინააღმდეგობის გამოც, მის ლაშქარს ზარალიც დადი ჰქონდა, ცხენებსაც საჭმელ აღარ მოეპოვებოდათ, ისე რომ იძულებული იყვნენ ხის ქერქით გამოეკვებათ, თემურლევის ჯარსაც ამისგან დიდძალი საქონელი დაეხოცა. მონლოლთა მბრძანებელი იძულებული იყო საქართველოდან უკან. და ესია და ისევ ყარაბაღში დაბრუნებულიყო.

ოგის გამოცემება და განვითარება

რავი ამ ლაშქრობითაც თემურმა თავის მძღვანელობა მიაღწია, იძულებული იყო 1400 წელს საქართველოს ისევ შემოპევოდა. ამ დროს იგი ყარაბაღიდან საქართველოს შუაგულში შემოიჭრა: ჯერ ბარ და ვაში მივიღნენ, შემდეგ იქიდან-კი უკვე საქართველოს საზღვანი მეფეს ელჩი მოადგინენ. საქართველოს საზღვრიდან თემურმა გიორგი მეფეს ელჩი წარუვლინა და გადაჭრით მოითხოვა სულთან აქმედ ჯალაირის შეიღრუავის ტაჰიერი გაეცა, რომელიც საქართველოში იყო შეხინული და საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. გიორგი მეფემ ამაზე მცვალე უარყოფით პასუხი შეუთვალა. ამით განრისებულმა თემურლენგმა თავის ლაშქარს უბრანა, რომ საქართველოს დაუნდობელი აოხრება დაწყო.

ჰერეთში ნაწარმოები ბრძოლის გამოცდილების შემდეგ, ომურმა უკვე კარგად იცოდა, რომ მარტო სამხედრო მოქმედების საშუალებრი

ქართველების წინააღმდეგობის დაძლევა ისეთი აღვილი საქმე არ იყო, ამიტომ აქც თავიდანვე ეკონომიური ომის წარმოებას მიჰმართა: თავის ჯარს მნ უბრახანა, რომ მარტო ხალხი კი არ ეხოცათ, არამედ შენობები, ნათესები, მოსავალი, ვენახები და ხეხრლებიც გაენადგურებინათ. ასეთ პირობებში ბარად მტერთან ბრძოლა საქართველოს გაუჭირდა და საქართველოს მთავარსარდლობამაც გადაწყვიტა. ბრძოლის წესი შეეცვალა: ბარილან დაიხიეს და მთიანეთში დაწყეს გამაგრება, რაოგან ვიწრო ხეობებში მცირე ლაშების საშუალებითაც შესაძლებელი იყო დიდი მტრი-სათვის გზის შეკრაცა და დიდი ზიანის მიყენებაც. იმ ხეობებში ქართველებს სახიზნარებიც ჰქონდათ: იქ გამოქვაბულებში შედიოდნენ და შემოსეულ მტერს იქითგან ესროლნენ მშვილდ-ისარს და მუსრს ავლებდნენ.

თემურლენგი ვერც ბრძოლის წესის ასეთმა შეცვლამ შეაფიქრიანა: მან გადასწყვიტა ისეთი საშუალებისათვის მიემართა, რომ გამოქვაბულებში და სახიზნარებში თავშეფარებულები მოესპო: დიდი კალათები დაწრევინა, თავისი მოლაშქრები ზანდუკებში ჩასხა და ამ გამოქვაბულების გასწვრივ საბლებით ჩამოუშვა, რომ მათ შეხიზული ქართველი მოლაშქრებისათვის იქიდან აეტეხათ სროლა. სადაც წინააღმდეგობის დაძლევა ამითაც ვერ მოხერხდა, მან ბრძანება გამცა, იქ ისრის პირებზე ნაძნძი დაეხვრათ, ნავთში ამოევლოთ და გამოქვაბულებში მყოფ ქართველ მებრძოლთათვის ცეცხლმოკიდებული ესროლათ, რომ ან მათ ცეცხლი მოჰკიდებოდა, ანდა კვამლით დამტრიგალიყვნენ შეიგ.

ამნაირი ულმობელი ბრძოლის საშუალებით, თემურლენგის ჯარმა დღიძალი ხალხის გაწყვეტა მოახერხა. ისტორიკოსის ცნობით 15 ციხეცკი იქნა აღებული, თუმცა არც ერთი სახელი მას აღნიშნული არა აქვს. ასეთი სიმკაცრით წარმოებულმა ბრძოლამაც თემურლენგს არაგვის ხეობაში საბოლოო გამარჯვება ვერ მისცა და მონოლოზ ბატონი ძულებული გახდა იქითგან უფრო დასავლეთისაკენ ებრუნებინა პირი და თავის ბრძოლის ასპარეზი მუხრანის ველზე გადაეტანა. მუხრანში ყოფნისას თემურლენგს მოუტანეს ცნობა, ვითომც გორგი მეფე დასავლეთ საქართველოში გადასულიყოს. მუხრანის ველზე ბრძოლისა და თარეშის შემდგომ, ადგილობრივი აზნაურები იძულებული იყვნენ მორჩილება გამოეცხადებინათ.

თემურლენგს ეხლა უკვე მიზნად გიორგი მეფის ხელში ჩაგდება ჰქონდა დასახული: მას ალბათ იძელი ექნებოდა, რომ, თუ გიორგი მეფეს ჩაიგდებდა, მასაც ისევე დაატანდა ძალასა და ისევე დაიმორჩილებდა, როგორც ბაგრატ V-ს უყო მან. მაგრამ გიორგი მეფე ხელიდან გაუსხლტა მისი სამდეოფობის ამბავი ვერას გზით ვერ გაიგო. არაგვის ხეობაში თემურმა ბოლომდე გზა ვერ გაიკაფა, ბრძოლამაც ვერ დააკმაყოფილა. ამტომ თემურლენგმა გადასწყვიტა აქეთგანაც აყრილიყო და ჯანიბეგ ქართველის ხეობაში შეჭრილიყო. ჯანიბეგ ზევდგინდე მუხრანის ველის დასავლეთით მდებარე ხეობის მმართველი იყო. თუმცა თემურლენგის

სტორიენსი ამბობს, ვთომც ჯანიბეგი მონლოლთა მბრძანებელს დაჲ-მორჩილებოდეს, მაგრამ თემურლენგის მოქმედებითგან ჩანს, რომ ეს ცნობა სწორი არ უნდა იყოს, რათვან ის ჯანიბეგ ქართველის სამფლ-ბელოს ოხრებას შეუდგა.

შემდეგ მონლოლთა მჭარევალში თავისი მარბიელი ლაშექარი აქედან უფრო დასავლეთითაც წარგზავნა და ბრძოლის უფრო მეცრად წარმოე-ბაც დაავალა: ეკონომიური საშუალებით ხალხის განადგურებასაც მიპყო კვლავ ხელი. აქედან ბრძოლის ასპარეზი შემდეგ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის თემშიც გადაიტანა, ისე რომ თექმისა და სხვა ხეო-ბებშიც შეიქრა და, სადაც-კი მისვლა შესძლო, ყველგან ყველაფრის გა-ნადგურებას შეუღება. მერმე შედა ქართლსაც მიუსი თავისი ლაშექარი. თავის სამხედრო ძალის ერთი ნაწილი-კი სხვადასხვა მიმართულებით გა-გზავნა და დაავალა, რომ, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, გორგი მე-ფე უნდა ხელში ჩაეგდოთ. მაგრამ მათ ამ დავლებული საქმის შესრუ-ლება ვერ შესძლეს: იმისდა მიუხედავად, რომ გიორგი მეფის ამალისა და ხელისუფალთაგან ზოგის შეპყრობა მოახერხეს, მანც ვერას გზით ისინი ვერ გამოტეხეს და ვერ ათქმევინეს, სად იყო გიორგი მეფის სადგომი და საიდან უწევედა ის მტკრის წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობას. ამი-ტომ ეს წარგზავნილი ჯარიც იძულებული იყო თავის მბრძანებელთაწ სელცარიელი დაბრუნებულიყო.

ბოლოს, როგორც იყო, თემურლენგს აცნობეს, სადაც გიორგი მეფი იყო დაბანაკებული. მაშინვე მან ყველა გზების შეკვრის ბრძანება გასცა და მთელი თავისი სამხედრო ძალის ნახევარი ნაწილი საქართველოს მე-ფის შესაპყრობად წარგზავნა. მაგრამ ეს ცდაც სრულებით უშედეგოდ დამთავრდა: ვერას გზით ვერსად მისი დაჭრა ვერ მოახერხეს და გიორგი მეფემ დასავლეთ საქართველოში შესძლო გადასვლა.

თუმცა თემურლენგის ისტორიენსი ამბობს, ვთომც გიორგი მეფის დასავლეთ საქართველოში გადასვლის მერმე მონლოლთა წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოში ბრძოლა შეწყვეტილიყოს, მაგრამ ეს ცნო-ბა ქართული წყაროებით არ მტკიცდება. პირიქით, პარტიანული ბრძო-ლა წინანდებურად გრძელდებოდა, იმისდა მიუხედავად, რომ იმ დროს უკვე ქართველთა შორისაც აღმოჩნდენ ისეთი პირები, რომელნიც თა-ვიანთი უკულმართი მოქმედებით საქართველოს ბრძოლას უძნელებდნენ და შემოსეულ მტკრს თავისთი სამშობლოს განადგურებას უადგილებ-ლნენ. ერთი მათგანი ბური დიშვილი ვირშე ელი ყოფილა, რო-მელიც თურმე თემურლენგს ამ შემთხვევაში წინ მოუძღვდა, მაგრამ თა-ვისუფლებისათვის ბრძოლა ვერც. ამ ღალატს შეუწყვეტინებია.

ამ ხანაში თემობრივა შეულმაც იჩინა თავი და დგალთა თემმაც ისარ-გებლა იმ უთანასმოებით, რომელიც მათ მეზობელ თემთან ჰქონდათ. მაგ-რამ აქაც მოლალატენი სასტიკად დასჯილნი იყვნენ, როცა-კი თემურ-ლენგი ცოტახნით საქართველოს მოვამორდა და გიორგი მეფეს საშუალე-

ბა პქონდა აღმოსავლეთ საქართველოში ისეც გადმოსულიყო და ქვეყნის მართვა-გამგეობას შესდგომოდა.

შაინც 1400 წლის თემურლენგის შემოსევის შემდეგ საქართველო სა-შინელ სურათს წარმოადგენდა. იმის გასათვალისწინებლად, თუ რაოდენი ცოდვა და უბედურება იყო მონლოლთა მბრძანებლის მიერ დატრიალებული, საკმარისისა ადამიანმა მარტო 1400 წლის თანამედროვეს მიერ დაწერილი ერთი ცნობაც გადაიკითხოს. გრიგოლ ავგაროზის ძე ბანდაიძე ჩივის, რომ ამ წელიწადის ხუთი ძმა დაეხოცა, შემდეგ ექვსი შეილი, სამი ვაჟი და სამი ქალი, და მათი დედაც გამოისამნენ წუთისოფელს და მთელ ამ მრავალრიცხოვან ჯვარიდან მარტოდ-მარტო-და დარჩა. სახლები, ნაგებობანი გადაბუგული და დანგრეული ჰქონდა. მარტო მას პირადად ხუთი სახლი ჰქონია მტრისაგან აობრებული და დანგრეული. ასე-თვე მდგომარეობა იყო, რასაკვირველია, სხვაგანაც, ბარად, სადაც მონლოლებს ხელი მოუწვდებოდათ. მაგრამ მაინც დამახასიათებელია, რომ ამ პირის ცნობილანაც ჩანს, რომ გაწამებული ხალხი, რა წამს ცოტაონდნად გაიც მშვიდობიანი ყოფაცხოვრების საშუალება გაჩნდებოდა, უმაღ მოყენებული ზიანის გამოსწორებას და ცხოვრების განახლებას. იწყებდა.

## დაზავების უშედეგო ცდა

გიორგი მეფე რომ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, შეეძლო აღმოსავლეთ საქართველოში იმ ღროს დამყარებულ ვითარებას უფრო გულდასმით ჩაკვირებოდა: ქვეყანა საშინელ მდგომარეობაში იყო, აოხრებული, განადგურებული საქართველო მტრის სათარეშოდ იქცა. მეფეს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ წინააღმდეგობას, ზანის მეტი უკვე აღარაფერი მოქმინდა. ამიტომ მან თემურლენგს მოკიქული გაუგზავნა და დამორჩილებისა და ხარჯის გადახდაზე თანხმობა შეუთვალი. თუმცა მონლოლთა მბრძანებელი შეკირდა, რომ მის თხოვნას შეასრულებდა და სამხედრო მოქმედებას შესწყვეტდა, მაგრამ ეს თავისი დაპირება არ შეუსრულებდა: ის დაიძრა და მეს ხეთს, ცვანე ჯაყელის სამფლობელოს, შეესია. აქ მონლოლთათვის ჩვეულებრივი მოქმედების შემდეგ იმის მაგიერ, რომ თემურლენგს ბრძოლა უფრო სამხრეთით განევთარებინა, მან თავის ლაშქარს მოულოდნელად აქედან დანხევინა და არაგის ხეობისაკენ გაგზავნა.

ა რაგვის ხეობის მოსახლეობა ბრძოლას კარგად იყო მიჩვეული და შემოსეულ მტერს მამაცურად დაუხვდა. მაგრამ მაინც ქვეყნის განადგურებას ვერც ეს თემი გადაუჩნა, თუმცა-კი თემურლენგმა დასახული. მიზნის მიღწევა მთლიანად ვერც აქ მოახერხა.

ამ ღროს თემურლენგს საქართველო უკვე დამორჩილებულად მიაჩნდა და დასასვენებლად ჭოლის მთებისაკენ სამოვრებზე წავიდა,

რომ აქ მას ქართველთაგან ფანასკერტის ციხეში ქართველთა თავმოყრის ამბავი მოუტანეს. ამიტომ მონლოლთა მბრძანებელმა ფანასკერტისაკენ ჯარი გაგზავნა და ფანას კერტის ციხე ააღმინა შეხინული ქართველები დახოცა და სიმაგრე გაანადგურა.

ამის შემდგომ თემურლენგმა შუაგულ საქართველოს თავი დაანება და ვანშორდა. კვეყანას საშუალება ჰქონდა ცოტათი მაინც დაესვენა: გორგი მეფეც ლიხთ-იშერეთიდან აღმასავლეთ საქართველოში გადმოვიდა და იმათ დასჯას შეუდგა, რომელთაც თავიანთი ღალატით საქართველოს ხელი შეუშალეს მტერთან მთელი თავისი ძალობრივი ბრძოლა ეწარმოებინა.

თემურლენგი რომ საქართველოს გასცილდა, გორგი მეფემ უმაღლადაშვილია, რომ მონლოლთა მბრძანებლის დამორჩილება და ხარჯის ძლევა საჭირო აღარ იყო: არც ხარჯი გადაუხდია, არც მორჩილების არაეთარი დამამტკიცებელი საბუთი მიუცია. ამიტომაც თემურლენგმაც 1400 წელს ეს თავის ჯარი უბრძანა, რომ ალინჯისაკენ დაძრულიყო და საქართველოს შექსერიდა. ათი წლის განმავლობაში თემურლენგის სამხედრო ძალას ალინჯის ციხის აღება ვერ მოეხერხებინა და ამ ციხე-ქალაქის მოსახლეობა მხოლოდ შიმშილმა აიძულა, რომ მონლოლთა მბრძანებელს დაპორჩილებოდა. ალინჯის ციხე რომ მის ხელში გადავიდა, თემურლენგის სამხედრო ძალა მთლიანად საქართველოსკენ იყო წარმოგზავნილი და თავისი ჩეულებრივი წესით კველაფრის, რაც-კი გზაზე შეხვდა მის ლაშქრის, განადგურებას შეუდგა.

## გიორგი VI-ის გეორგიგისი ცდა თემურლენგთან დასაზავებლად, ამის ჩაშლა და ომის განაცლება

გიორგი მეფემ ისევ გადასწყვიტა, რომ მონლოლთა მბრძანებელს დაპზავებოდა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ პირადად თემურლენგისათვის მცმართა, მან სარღლებს სთხოვა, მასსა და თემურლენგს შორის შუამავლობა ეკისრათ. დაზავება ვერ მოხერხდა, და მხოლოდ 1400 წელს ივლისში, თემურლენგის ჯარი რომ- საქართველოს მოუახლოვდა, შემსწერის შესაძლებლობით შეშინებულმა გორგი მეფემ თემურლენგს დიდშალი განძეულობით, ძვირფასი ქვებითა და იშვიათი ნივთების მიძღვნით თავისი მოციქულები მიუგზავნა: გიორგი მეფემ თავისი დესპანების ხელით სანადირო ცხოველები და სხვა იშვიათი საჩუქრები მიართვა. მის დესპანად კონსტანტინე ბატონიშვილი იყო. თავისი ძმის პირით მან მოღლოთა მბრძანებელს დანაშაულის შენდობა სთხოვა.

რასაკვირველია, თემურლენგს გიორგი მეფის თხოვნაცა და დამორჩილების აღთქმაც ესიამოგნა. კონსტანტინე ბატონიშვილის პირით მან გიორგი მეფეს შეუთვალა და მოსთხოვა, რომ მასთან პირადად თითონ ვამოცხადებულიყო და თავისი შეპირებაც პირნათლად აესრულებინა,

მაპმადიანებსაც თავდა სამეფოში კარგად მოპეტყრობოდა და მეშვეობა ჯარიც გამოიყვანა.

1401 წელს დადებული ზავისდა მიუხედავად, თემურლენგმა სამხედრო მოქმედება მაინც განახლა, რანიდან, ყარაბაღიდან. წამოსული საქართველოს საზოგადო მოადგა, ხოლო შემდეგ თავისი სამხედრო ძალა თორ თუ მისა და იქ გამაგრებულ აჯანყებულ 200 ქართველი მეობარის დასაჭერად გაგზავნა. ისინი არც ხარჯს იხდილნენ, მაპმადიანებსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. წარგზავნილმა ლაშქარმა დავალებული საქმე შეასრულა: თორთუმის ციხე ალებულ იქმნა და 200-ვე მებრძოლი და ხოცეს.

რაյი 1402 წელს გიორგი მეფემ დადებული ხელშეკრულების ასრულება აღარ მოისურვა, თემურლენგმა გადაწყვიტა, ცევ საქართველოს შემოსეოდა. ამ დროს ის პირველად კოლის მთიანეთის მიადგა. გიორგი მეფის პოლიტიკურმა მოქმედებამ თვით საქართველოშიც განხეთქილება ჩამოაგდო: მესხეთის მთავარი ითანე აღ ბულას და თვით გიორგი მეფის ღვიძლი ძმა. კონტანტინე ბატონიშვილი, გადაუდგნენ, როგორც ჩანს, ზავის დადებული პირობების აუსრულებლობის გამო. ამასთანავე ორივე თემურლენგს წარუდგნენ და საჩუქრები მიართვეს. ამით, რასაკირველია, გომომულავნდა ცხადად, რომ ისინი გიორგი მეფის ასეთ მოქმედებას და ზავის პირობების აუსრულებლობას არ თანაუგრძნობდნენ.

გიორგი მეფისათვის ამ გარემოებას, რა იქმა უნდა, ძალიან დიდი ზიანი უნდა მოეტანა: შინაური უთანმოება და განხეთქილება უკვე ცხადად იყო გამომულავნებული. შესაძლებელია აღამიანს ეფიქრა, რომ თემურლენგი ამ შემთხვევით ისარგებლებდა და კონტანტინე ბატონიშვილს მასი ძმის გიორგი მეფის წინააღმდეგ იარაღად გამოიყენებდა. მაგრამ კონსტანტინე ბატონიშვილს თავისი თავი მტრის იარაღად არ უქცევა და არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ მას, ან გიორგი მეფის, ანდა საქართველოს საწინააღმდეგოდ რაიმე ჩაედინოს.

კოლის მთიანეთის კომიტეტი რომ ყარსში მივიღა, შემდეგ თემურლენგი საქართველოს მოუხალოვდა. მაგრამ სანამ ბრძოლას შეუდგებოდა, შირვანის მმართველს უბრძანა აღმოსავლეთიდან შექსეოდა საქართველოს. ამით სამხედრო მოქმედება მისთვის გაადვილებული უნდა ყოფილოყო, რამდენადც საქართველოს ორმხრივ ბრძოლის წარმოება მოუხდებოდა. გიორგი მეფე დარწმუნდა, რომ ასეთ პირობებში წინააღმდეგობის გწევა სრული უგნურება იქნებოდა და თემურლენგს ცევ თავისი დესპანები მიუგზავნა და მორჩილება შეუთვალა.

მრავალჯერ მოტყუებულმა თემურლენგმა არც ელჩების განცადების მოსმენა და არც საჩუქრების შილება, რომელიც მას მიძღვნილი ჰქონდა, აღარ მოისურვა. მან საქართველოს მეფის დესპანებს შეუთვალა, რომ გიორგი მეფისათვის მოეხსენებინათ, რომ, თუ მას მონოლოთა მზრდანე-

ბელთან დაზავება სწადდა, თვითონ უნდა გამოცხადებულიყო და ზავის პირობებით ნაკისრი ვალდებულებაც აესრულებინა. ასეთ შემთხვევაში ის უვნებლობასაც და კარგ დამკარდებულებასაც პირდებოდა. მაგრამ თემურლენგი ამ შემთხვევაშიც დარწმუნებული არ იყო, რომ ასეთი დიპლომატიური მოლაპარაკებით რაიმე გამოვიდოდა. ამიტომ, ჯერ გიორგი მეფის დესპანები საქართველოში დაბრუნებული არც-კი იყვნენ, რომ თემურლენგის განკარგულების თანახმად მონღლოლთა ჯარი საქართველოში მოსახლეობის მონაცემების მონაცემები მდგრადი გამოვიდოდა. რომ საშუალებას მონღლოლთა მბრძანებელმა იმ მიზნით მიშმართა, რომ ქართველებისათვის ბრძოლის წარმოების ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპონ. რაკი სურსათ-სანოვაგე მათ ხელში აღარ იქნებოდა, ისინი იძულებული განდებოდნენ თემურს დაპირის მიუღიარების მიზნით.

გიორგი მეფემ რომ ეს ამბავი გაიგო, ზავის პირობების დადგებაშე ყოველგვარი ხალის დაეკარგა, რათვან ჰყიქრობდა, რომ თემურლენგი თავის პირობებს არ აასრულებდა. ამგვარად, ამ შემთხვევაშიც არათერი გამოვიდა: დაზავება ვერ მოხერხდა, გიორგი მეფის შეპყრობაც მოუღწეველ ოცნებად იქცა. ამის გამო თემურლენგმა 1403 წელს თავისი ლაშქარი ისევ საქართველოს მიუსია. ამ შემთხვევაში მიზნად მას დასახული ჰქონდა, შუაგულ ქართლში ერთი მიუვალად ცნობილი ციხე აეღო, რომელიც 75 მეტრის სიმაღლეზე მჟონებელ მთაზე იყო აგებული და ორ ღრმა ხეობას შუა მდგებარეობდა. ვიწრო და ციცაბო ბილიების გარდა, ამ ციხეს არსაიდან მისავალი არ ჰქონდა, შიგნილანც ძალიან კარგად იყო გამარტებული, წყალსადენის წყალობით წყლის მარაგც ჰქონდა, სურსათიცა და ღვინოც-კი ჰქონდათ იქ.

ამ მიუვალად ცნობილს ქართლის ციხეს 30 დღიდგარისანი აზნაური და ჭიზრდილი მეციხოვნე ჯარი იცავდა, მაგრამ, ქართველთა მეციხოვნეთა დაუდევრობის წყალობით, თემურლენგმა განსაკუთრებული ღონისძიებების საშუალებით, ამ მიუვალი ციხის აღებაც მოახერხა.

ამ ციხის ხელში ჩაგდება თემურლენგისათვის დღი გამარჯვებას წარმოადგენდა. მონღლოლთა მბრძანებელმა შიგ ხეარასნელი მეციხოვნენი ჩააყინა, რომელთაც უბრძანა ქართველთა ქრისტიანი მოსახლეობა, ან დაეხოცათ, ანდა განედევნათ და არცერთი ქართველისათვის ამეურიდან იქ დასახლების უფლება აღარ მიეცათ.

## თემურლენგისაგან სამხედრო მოქმედების დასაცლეთ საჩართველოშიც დაწევბა

ეხლა თემურლენგმა გადასწყვიტა, რომ თავისი სამხედრო მოქმედება უექველად დასავლეთ საქართველოშიც გადაეტანა, რომ ამ გზით გიორგი მეფისათვის ზავის დასადებად ძალა დაეტანებინა. მისი ჯარი დაბურულ ტყეში გზას ჰკაფავდა და ასე ბრძოლით მიდიოდა წინ. თემურლენგის

ლაშეჟარმა ქუთაისა მდე მოახერხა მიღწევა. თუმცა გააფირებული ბრძოლა წარმოებდა, მაგრამ დასუსტებულ ქვეყანას უკვე აღარ შეეძლო ისე ხანგრძლივ-ღა ებრძოლა, როგორც აქამდე. თემურლენგმა ამ შემთხვევაშიც ისეთსავე საშუალებას მიკმართა, რა საშუალებითაც ის აღმოსავლეთ საქართველოში ვიწრო ხეობებში სახიზნარებსა და გამოქვაბულებში თავშეფარებულ ქართველ მებრძოლთ ებრძოდა: აქაც საბლების საშუალებით ზანდუები ჩამოაშვებინა და ქართველი ჯარისკაცები შიგ ჩასხმულ თავის მოლაშქრეებს ნავთში ამოვლებულ ნაძენით დახვეული ანთებული ისრის სროლით ამოახოცინა.

თემურლენგი ისეთი მრისხანებით აწარმოებდა ბრძოლას, რომ მარტო დასავლეთ საქართველოში განადგურებულ სოფლებს რცხევი 700-ს აღემატებოდა, იმას გარდა, რომ ქვეთი ჩამონი ნაგებობანი, ეკლესიები, მნინასტრები და სხვა ცალკეული შენობებიც იყო განადგურებული და მიწასთან გასწორებული.

## თემურისაგან ბრძოლის შეჯვალა და საზავო მოლაპარაკების დაწყება

ასეთი დაუნდობელი ომისდა მოუხედავად, 1403 წელს 12 დეკემბერს თემურლენგმა უეცრად ბრძოლა შეაქერა და დასავლეთ საქართველოთ გან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა. მრავალრიცხოვანებისდა მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებლის ლაშქრისათვისაც ადგილი არ იყო იმ მძიმე პირობებში ომის გაგრძელება, რომელშიც დასავლეთ საქართველოში წარმოებდა: დაბურული ტყეები, ვიწრო ხეობები, ხალხის მედგარი წინააღმდეგობა ამ ჯარს დიდ ზარალს აყენებდა. ბრძოლას დასასრული არ უჩანდა, ამიტომაც მონღოლთა ჯარში უქმაყოფილებამა და მოუთმენლობამ იჩინა თავი. თვითონ თემურლენგსაც, როგორც ეტყობა, გორგი მეფის ხელში ჩაგდების იმედი აღარ ჰქონდა, ხოლო ისევე ბრძოლით უფრო შორს შეკრა სახიფათოდ მიაჩნდა. ამით უნდა იისნებოდეს, რომ თემურლენგმა სამხედრო მოქმედება შესწყვიტა და თუმც გამარჯვებული, მაგრამ ძალზე დაზარალებული ჯარი აღმოსავლეთ საქართველოში გაძმოყვანა დასასვენებლად.

ამისთან ერთად საყურადღებო ამბავიც დატრიალდა. თემურლენგს თავის ბანაქში გამოჩენილი ქართველი სარდლები ჰყავდა დატყვევებული. ამ სარდლებმა გორგი მეფეს მისწერეს, რომ, დამორჩილებას გარდა, მშვიდობანობის დასამყარებლად სხვა არავითარი საშუალება აღარ არის და, თუ გორგი მეფე მონღოლთა მბრძანებელს არ დაეზავება, მას გადაწყვეტილი აქვს მთელი სომხეთი და სომხები გაწყვიტოსო. შესაძლებელია შეუმცდარად ოქვას, რომ ეს წერილი თვით თემურლენგის მიერ ნაკარისხევი უნდა ყოფილიყო, რათგან ძნელი დასაჯერებელია, რომ მას დატყვევებულ ქართველ სარდლებისათვის თავისუფალი მიწერ-მოწე-

რის უფლება მიეცა, თუ რომ მისთვის ეს ხელსაყრელი არ იქნებოდა და თუ ეს მისი თანხმობით არ მოხდებოდა.

გორგი მეფეს თვითონაც კარგად ესმოდა, რომ ბრძოლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ თემურლენგს დესპანები გაუგზავნა, ესლა უკვე საბოლოოდ შესათანხმებლად. დესპანები ცდილობდნენ ჯერ საქმე თემურლენგის ამალის საშუალებით მოეგარებინათ. მათ საჩუქრები მიართვეს და შეამდგომლობის გაწევის სთხოვდნენ. თემურლენგი ვითომც ამის წინააღმდეგი იყო და არ უნდოდა, რომ დათანხმებულიყო, მაგრამ ბოლოს, კითომც, სიც დაიყოლიყ. ცყველაფერი ეს თემურლენგს იმ მიზნით ჰქონდა მოწყობილი, რომ უიორგი მეფისა და ქართველებისათვის გვარმდინობა და გვარმდინობა, რომ მას პირადად ბრძოლის გაგრძელება ადვილად შეეძლო და თვით ქართველებისათვის იყო აუცილებლად საჭირო დაზვება. ნამდვილად-კი ისევე, როგორც ქართველებისათვის იმ პირობებში ზავის შეკვრა, რასაკერძოველია, შეიძლება აუცილებელ საჭიროებად ყოფილიყო მიჩნეული. თემურლენგისათვისაც ბრძოლის გაგრძელებას მნიშვნელობა ეკარგებოდა, რადგან დასახული მიზანი განუხორციელებელი რჩებოდა: გორგი მეფის შეპყრობა და მტკიცე ზავის დადგებაც კერძებოდა.

### ზავის პირობები

თემურლენგმა რომ საქართველოს დესპანებს თავისი თანხმობა გახუცხადა და ვორგი მეფისათვის თანხმობის შესატყობინებლად უკნ გააბრუნა, რომელიც მალევე დასავლეთ საქართველოდან დიდი საჩუქრებით უკან დაბრუნდნენ, გორგი მეფე პირადად თემურლენგს არ ჰქლებია- ამრიგად, პირველი პირობა, რომელსაც თემურლენგი საქართველოს მეფეს. უდებდა და ურომლისოდაც დაზვებაზე არ თანხმდებოდა, აუსრულებელი დარჩა. ამისდა მიუხედავად თემურლენგი ამასაც შეჩინებილა. გორგი მეფეშ მონილოთა ძლევამოსილ მბრძანებელს მრავალგვარი საჩუქრები აახლა, მათ შორის თემურლენგის სახელით შემუშავდნენ ათასი ოქროს თანგა (ფული), ათასი ცხენი, ბევრი ძვირფასი ქსოვილი, სხვადა- სხვა ძვრიფასი ძლევნი, ოქროს, ვერცხლისა და ბროლის ფიალები და 18-მისხლიანი ლამაზი, მანათობელი ლალი და სხვაც ამის მსგავსი ნივთები იყო. ამით გახარებული თემურლენგი აცყარა და თბილისში მივიდა. შეპირებისა და დადებული ზავისდა მიუხედავად, მონილოთა მბრძანებელმა თბილისს მიდამოებში ცველა ცელესიები და მონასტრები დაანგრევინა, ხოლო შემდეგ ყარაბალის გზით საქართველოდან წავიდა.

საქმეთა მერმინდელმა მიმდინარეობამ ცხადჰყო, რომ თუნდაც დაზავება არ ყოფილიყო, თემურლენგს საქართველოში შემოსევის საშუალება უკვე აღარ ექნებოდა: 18 თებერვალს 1405 წელს ის ცხელებისაგან გარდაიცვალა. აღმოსავლეთი და დასავლეთი ეკრობის ქვეყნებს საშუალება ჰქონდათ ამის შემდგომ თავისუფლად ამოესუნთქათ.

## თემურლენგის ზოგადი დახასიათება

თემურლენგი მსოფლიო ისტორიაშიც-კი იშვიათს სისხლის მღვრელს მტარვალს წარმოადგენს. უცილობელი ღიდი სამხედრო ნიჭისდა მიუ- ხედავად, მას მეტად მცირე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი ჰქონდა. მისი მთავარი, შესაძლებელია თქვებას, ერთადერთიც-კი, ამოცა- ნა ქვეყნების დაპყრობა იყო. განადგურების მეტი მას მსოფლიოსათვის არაფერი მოუტანია. მისი ხანმოქლე ბატონობას იმ არაპირდაპირი სარ- გებლობის მოტანაც-კი არ შეეძლო, რომელიც მაშინდელ მსოფლიოს მონლოლთა პირველმა ბატონობამ მოუტანა.

### საქართველოში დატიალებული ამჩხის ზოგადი შევასება

საქართველოში საქმეთა მაშინდელ მიდინარეობის დაკვირვებული გან- ხილვის შემდგომ, შესაძლებელია თქვებას, რომ საქართველოს ის მრავალ- გზისი აოხრება, რომელიც ქვეყანას თავს დაატყდა, მარტო თემურლენ- გის ბრალი არ იყო. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ბრძოლა სრუ- ლებრივ კანონიერიცა და ბუნებრივიც იყო საქართველოსათვის, მაგრამ გიორგი მეფეს გათვალისწინებული არ ჰქონდა, რა პირობებში იყო აქ- ტიური პოლიტიკის წარმოება შესაძლებელი და რა პირობებში უკვე ასეთი მოქმედება მიზანშეწონილ ნაბიჯად არ შეიძლება მიჩნეული ყო- ფილიყო. სანამ ისეთი დროი სამფლობელოს, როგორიც ჩრდილოეთის ულუსი იყო, დამარცხებით არ გამოირკვა, რომ თემურლენგს მაშინდელ მთელს აღმოსავლეთში და აღმოსავლეთ ევროპაში არც ერთი ღირსეუ- ლი მოწინააღმდეგ არ ჰყავდა, თემურლენგთან ბრძოლის მოგების შე- საჩუქრებლობა კლევ დასაჯერებელი იყო, მაგრამ მას შემდგომ, რაც ეს გამოირკვა, საქართველოს იმდრინილელს მთავრობას უნდა შეეგნო, რომ, მოგერიებითი პოლიტიკის გარდა, მისთვის სხვა არავითარი პოლიტიკის გეზი მიზანშეწონლი არ შეიძლება ყოფილიყო.

თემურლენგის საქართველოსადმი პირველი შემოსევის დროს შედარე- ბით „ლმობიერი“ მოქმედება ცხადჰყოფს, რომ საქართველოს მთავრობას რომ ხელშეკრულებით ნაკისრა ვალდებულება ესრულებინა, ის საქართ- ველოს თავისი შემოსევით აღარ შეაწუხებდა. ამივე დროს გამომწვევი აქ- ტიური წარმოებით გიორგი მეფემ ეს მრაბანე მტარვალი გააღიზიანა და თავისი ქვეყანა დაუნდობელი ბრძოლის ასპარეზზად აქცევინა. ქვეყნის აოხრებას გარდა, დიდძლი ხალხის დაღუპვები საქართველო ისე დაასუს- ტა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ამ სისხლის დენის შედეგისაგან გა- მოკეთება ვეღარ შეეძლო. იმ დროს გაოხრებული მრავალი ადგილები XV და XVI საუკუნეებშიც-კი, საქმა მოსახლეობის უკონლობის გა- მო, გაუკაცრიელებელი დარჩა.

თემურლენგის სცევდილმა-კი ცხადჰყო, რომ ფრთხილი პოლიტიკის სა-

შუალებით საქართველოს შეეძლო ის საშინელი უბედურებაც თავიდან აყცილებინა, რომელიც მას თემურლენგის მრავალგზისი შემოსევის დროს თავს დაატყვდა, და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენაც გაცილებით უფრო აღვილად და სწრაფად მოხერხდებოდა. საქართველო რომ თემურლენგთან უსწორო ბრძოლაში ასე არ დასუსტებულიყო, მას XV და XVI საუკუნეში გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ისე არ გაუმჯნელდებოდა, როგორც მას, ხალხის სიმკრისისა და ქვეყნის განადგურების გამო, ჰქონდა განხელებული ამრიცად, ისევე, როგორც ბაგრატ V, გორგი მეფეც გულადი მებრძოლი იყო, მაგრამ პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა და მიზანშეწონილი საგარეო პოლიტიკის ხელშეძლვანელობის უნარი გორგი მეფეს აკლდა.

### საქართველოს მდგომარეობა თევზარის მდგრადი შემთხვევა

თემურლენგის სიკედილის შემდგომ საქართველოს საშუალება ჰქონდა თავისი კრილობების მოშუშეს შესდგომოდა. მართალია, ჯერ კიდევ დარჩენილი ცყვნენ მონღოლთა ჯარის ნაშთები, რომელთა საქართველოს საზღვრებიდან განდევნა იყო საჭირო. უბრძოლებულად, რასაკირეველია, ამის განხორციელება შეუძლებელი იყო და გორგი მეფეც სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას შეუდგა.

საქართველო თემურლენგის მრავალგზისი შემოსევის დროს იმდენად ზანგრძლივ იყო განსაკულტობი, რომ, ბუნებრივა, ამის შედეგად საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა შეცვლილიყო და საქართველოს სამეფოს ის, რაც წინათ მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცილობლად ეკუთვნოდა, დაეკარგა; შესაძლებელია, პოლიტიკური მთლიანობაც-კი დაპროტეკტოდა და ქვეყანა ისევე დაღუპვის გზას დასდგომოდა. როგორც XIII საუკუნეში მოხდა, მაგრამ იმდროინდელი წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მთლიანობა შეუნარჩუნებია: ყველა ამ თავდამტყდარი უბედურების ამბების მთელს აღწერილობაში მხოლოდ ერთი მეფე ჩანს.

სამაგრერაც სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე სანაპირო თემები, რომლებიც წინათ საქართველოს ეკუთვნოდნენ, თემურლენგის შემთხვევის დროის საქართველოს ხელიდან გამოიცალა. აღმოსავლეთმა საქართველომ არამც თუ შან ქორი დაკარგა, რომელიც წინათ საქართველოს ეკუთვნოდა, არამედ გაჩიანი, ანუ ხაჩენიც-კი: იქ უკვე გაპარადინი მმართველი იჯდა. მართალია, საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული ამ თემის მმართველის შთამომავალთ რამდენიმე წნის შემდგომ შეუძლოთ უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ მხოლოდ როგორც ეკრძო პირებს. საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრის ასე შეკიშროებს, რასაკირეველია, საბედისწერო შედეგი უნდა მოპყოლოდა, მეტადრე მომავალში, რადგან ეს ისედიც ძნელია დასაცავი მხარე ეხლა: თითქმის სრულებით მოშიშვლებული აღმოჩნდა.

## ბრძოლა თეაურის საგვლობელოს გამო და გიორგი VI-ის სიკავშირი

თემურლენგის მექვიდრეთა შორის ატეხილი ბრძოლით თურქენთა ტომების მეთაურებმა ისარგებლეს, მათ შორის შავბატქნინთა (ყარა-ყოინლუ) ტომების უფროსმა ყარა-იუსუფმაც, თავისი პოლიტიკური ბარონობის განსამტკცებლად. მოწინააღმდეგედ მას ჰყავდა აპმედ იბნოვეის ჯელაირი. ამ ორ მოქიშპ პრეტენდენტს შორის ატეხილი ბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ყარა-იუსუფმა, როგორც თავისი მოწინააღმდეგის, ისევე თემურლენგის შვილის მირან-შაჰის მოკვლა და შვილიშვილის აბუბექრის დამარცხება მოახერხა, რის შემდგომაც მას საშუალება ჰქონდა ერანის აზერბაიჯანს მფლობელად ქცეულიყო.

ეს გარემოება საქართველოსათვის ფრიც საშიშ მოვლენას წარმოადგნდა, რათგან ყარა-იუსუფის დამპყრობელობითი მაღა მარტო იმით არ დაკმაყოფილდებოდა, რაც მას უკვე ჩაყლაბული ჰქონდა. საქართველო ამ ბრძოლაში უნდებლიერ უნდა ჩათრეული ყოფილიყო და მართლაც 1407 წელს დიდი ომი მოხდა, რომელშიც ვიორგი მეფე მოკლულ იქნა და საქართველოს ჯარის უდიდესი ნაწილი ამოწყდა. უეჭველია, ეს დიდი ომი უნდა იმავე ყარა-იუსუფის სამხედრო მოლვაწეობასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

### კონსტანტინე ევფე (1407—1411 წ.)

ბრძოლაში მოკლული გიორგი მეფის შავიერ, საქართველოს მეფედ მისი ძმა, კონსტანტინე ევფე დაჯდა, რომელიც თემურლენგის შემოსევის, დროს, გორგის დესპანადაც-კი იყო. მას, რასაკვირველია, იგივე საზრუნავი უნდა ჰქონდა, რაც მის ძმის: ოხტებული ქვეყნის აღდგენა და მტრის ნაშთების გაძევება საქართველოდან. ასეთი ამოცანის განსახორციელებლად შინაურობაში სრული მშვიდობანობა და პოლიტიკური სიმტკიცე იყო საპირო. მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი ამათგანი არ ყოვილა იმდროინდელ საქართველოში. თვით კონსტანტინე მეფის ოჯახშიც-კი განხეთქილება იყო. 1407 წელს კონსტანტინე მეფესა და მის შვილს ალექსანდრეს შორის ისეთი უთანხმება და უსიამოვნება ჩამოვარდა, რომ უკანასკნელი იძულებული იყო თავისი მამის ოჯახი მიეტოვებინა და სამცხის ათაბაგ რვანე ციხისჯვრელთან წასულიყო.

ივანე ათაბაგი ალექსანდრეს მამის, კონსტანტინე მეფის, მოკავშირე იყო თემურლენგის შემოსევის დროს, მაგრამ მას შემდგომ, როგორც ჩანს, კონსტანტინესა და ივანე ათაბაგს შორის დამოკიდებულება გაუძრესებულა და გამწვავებულა. შვილსა და მამას შორის ატეხილი უთანხმება იმდენად დიდი ყოფილა, რომ ეს მწყრალობა კარგა ხანს გაგრძელ-

და: სანამ მისი მამა კონსტანტინე ცოცხალი იყო, ალექსანდრე ბატონია შეკლი თავის მამის ოჯახში ოლარ დაბრუნებულა და თავისი მამა ოლარც უნახავს.

სამეფო ოჯახში ატეხილი ასეთი უთანხმოების გარემოებაში, საქართველოს მახლობლად დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა. ატყუდა კვლავ ბრძოლა ყარა-იუსუფისა და ჯელაირს შორის. ჯელაირისათვის ყარა-იუსუფის ყოველი წარმატება ფრიად უსიამოვნო გარემოებას წარმოადგენდა და ამიტომ ის ყოველნაირად ცდილობდა, რომ მისი გაძლიერება შეეჩერებინა.

1410 წელს აპტედ ჯელაირის შეჭრის საბასუხოდ, ყარა-იუსუფი მოშინააღმდეგეს თავს დაესხა და გაიმარჯვა. მან აპტედ იბნ-ოვეის ჯელაირი და მისი შევილი ხელთ იგდო და დაახოცინა. ესლა უკვე ყარა-იუსუფის არც ერთი ანგარიშგასაჭევი მოწინააღმდეგე აღა ჰყავდა. ამის შემდგომ მან შირვანის ხელში ჩაგდებაც მოიწყინა: შემოიჭრა თრჯერ და მის დაბყრიბას შეუდგა.

შირვანის მფლობელმა საქართველოს მთავრობას სთხოვა დახმარება. ვითარცა წინააღმდელს ყმდნათოცს, მას იმედი ჰქონდა, რომ ასეთ პოლიტიკურ დახმარებას მიიღებდა, და ეს იმედი არც გაუმტკუნდა: კონსტანტინე მეფე ორი ათასი მხედრითურთ დაიძრა და შირვანის მმართველს მიეშველა. ყარა-იუსუფი ამ დროს ჩალაღანამდის იყო შემოჭრილი. სასტრიქი ბრძოლა სწორედ ჩალაღანთან მოხდა 1411 წელს. თავგანწირული ბრძოლისა და გამაცვიფრებელი სიმიაცისდა მიუხდავად, რომელიც სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, საქართველოს ჯარსა და თვით კონსტანტინე მეფეს გამოუჩენია, გამარჯვება მაინც ყარა-იუსუფს უჩივო. კონსტანტინე მეფე და სხვა ქართველი გამოჩენილი სარდლები ტავედ ჩაუგარდნენ. ტავებაშიც მათ თავიანთი თავი დამოუკიდებლად და მედიდურად ეჭირათ და ამით განრსხებულმა ყარა-იუსუფმა საქართველოს მეფე პირადად თავისი ხელთ მოჰკლა, ხოლო დანარჩენი ქართველი სარდლები თავის მახლობელს მოაკვლევინა.

### ალექსანდრე პირველი დიდი (1412—1442 წ.)

კონსტანტინე მეფე რომ ჩალაღანში მსხვერპლად შეეწირა, ივანე ათა-ბაგრათ შეხიზნული მისი ვაჟიშვილი ალექსანდრე ქართლში დაბრუნდა და 1412 წელს 20 თებერვალს და 21 მარტს შუა საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა. ალექსანდრე თავისი მამის მხოლოდ უფროსი ვაჟიშვილი იყო. მას ძმებიც ჰყავდა, ბაგრატი და გიორგი გიორგი მცირედავად, რომ ალექსანდრე 1412 წელს ჯერ კიდევ ჰაბუკი იყო, გამეფებისას ის უკვე დაკოლშვალიანებული იყო. თანამეცხედრები გულანდუ სტი ჰყავდა, რომლისგანაც ორი ვაჟიშვილი, ვახტანე გიორგი და დემეტრე რე, შეეძინა. 1414 წელს რომ გულანდუ ტელ-15. ი. ჯავახიშვილი.

ფარლი გარდაიცვალა, ერთი წლის შემდგომ ცოლად თაშარი შეირთო, რომლისგანაც კადევ ორი ვაჟიშვილი, გიორგი და დავითი, ყოვლა. ამრიგად, ალექსანდრე პირველს მრავალრიცხოვანი ჯუახობა ჰყავდა, რამაც შემდეგში საქართველოს სახელმწიფო საქმეებზედაც იქნია გავღენა.

ალექსანდრეს საქართველოში ისეთ პირობებში მოუხდა გამეფება, როდესაც ჩალადანში მეფე და ქართველთა ლაშქარი დამარცხდა. სარდლებიც ამ ბრძოლას შეეწირნენ მსხვერპლად. ცხადია, რომ საქართველოში მწერხარება და სასოწარკვეთილება უნდა ყოფილიყო გამეფებული. მის მეფობამდის, აგვარად, საქართველო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა: მტერთან ბრძოლა და დროგამოშვებით საქართველოს ჩბევა ჩეცულებივ მოვლენას წარმოადგენდა. ამის გამო ახალი ადგრლებიც კონტრებული იყო და წინანდელი, თემურლენგის შემოსევების დროს განადგურებული, ნაოხარი აღიღების აღდგნაც ძნელდებოდა. ალექსანდრე I-ს უნდა გადაეწყვიტა, რა დაესახა თავის უპირველეს მიწნად.

მან სცადა ყველაზე უწინარეს საქართველო უზრუნველეყო. გარეშე მტრის შემოსევისაგან. თავის არა ერთს სიგელში მას აღნიშნული აქვა, რომ ის იმრძოდა „ურჯულოა“ წინაღმდეგ და საქართველოს საზღვრებიდან გააძევა. და ამის წყალობით მის მეფობაში მშევიდობა და მყუდროება დამყარდა. სამწუხაროდ, ამ ხანის მოღაწეობის შესახებ კონტრეტული ცნობები იძახე, თუ რა და რა ბრძოლა, სად და როდის მოხდა, არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ 1416 წელს, თვით ქართველთავე ჭინდაუხედავი და გამალიზანებელი ქცევით, სამაგიროს გადასახდელად საქართველოს მტერი შემოესია.

თაბაგ ივანე აღმულს ძის სამფლობელოს სამცემში გაქრისტიანებულ სპახუელ, ჭართველ და სომებს ყმაწვილებს ღორისხორცი უჭიშმითა და ძელები მაჰმადინთა სამლოცველოში შეუყრითა. ამ გამაწმილებლად მაჩეულ საქციელს ახალციხელი მაჰმადინები აუდელვებია, რათვან ყურანით მართლმორწმუნე მუსლიმანს ღორის ხორცის ჭამა არ შეუძლია, რათვან ღორი უწმინდურ ცხოველად როვლება. განრისხებული მაჰმადინები წავიდნენ ყარა-იუსუფთან და ქრისტიანეთაგან მაჰმადინთა დევნა შესჩივლეს. ყარა-იუსუფმაც ისარგებლა ასეთი შემთხვევით და სამაგიროს გადასახდელად საქართველოს შემოესია. რასაკვირველია, ამავე ღორის, შემოსეულ მტრებს ადგილობრივ მაჰმადინებიც უწევდნენ დახმარებას და ასეთი გამცემლიბის წყალობით წალაქი ა წ ა ლ ც ი ხ ე ც მარბოლი ლაშერის მსხვერპლად იქცა, მიღამოებიც მთლიანად გაძარცული იყო. მაგრამ ამაზე მეტი ყარა-იუსუფს არაფერი გაუკეთება.

ალექსანდრე მეფეს სრულადი საქართველო ემორჩილებოდა: ის თავის თავს სრულებით სამართლიანად „აფხაზთა და ქართველთა მეფეთმეფეს“ უწოდებს და, როგორც თბილისი, ისევე ქუთაისი ერთიერთმანეთან პირვაპირი გზით იყო შეერთებული და მათ საქარავნო-საცარი

კუთხით პერიოდია. მაინც ალექსანდრე პირველის დროინდელი სრულიადა საქართველო, იმათან შედარებითაც, რაც ბაგრატ დიდის დროს იყო, უკუკე გაცილებით ჩამომცრობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. აღმოსავლეთით, როგორც ვიცით, ძველი გა ჩიანი, ანუ მერმინდელი ხახნა საქართველოს საზღვრებს გარეშე იყო დარჩენილი. საქართველოს სამხრეთის საზღვრის სანაპიროც ძალზე შემცირებული იყო. ამ დროს ან ის ი ც-კი უკვე საქართველოს აღარ ეყუთვნოდა. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. საქართველოს დაცვის თვალსაზრისით ისეთი აუცილებელი ციხე-ქალაქიც-კი, როგორიც ლორეა, მტერს ჰქონდა ხელში ჩაგდებული. ეს უკვე ორი-სამი თაობის წინათ მომხდარი ამბავი იყო და ლორის ველზე წინანდელი მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ როდესაც შემდეგში ალექსანდრე პირველმა ამ თემის საქართველოსთან კალავ შემოერთება მოასხრება, რომა მოხუცებულებს გარდა და საბუთების გამოყენების გრძელება. მფლობელობის საკოთხის გამორკვევა შეუძლებელი შეიქნა.

ჩაერთო ლორის ველზე ჯერ კიდევ იყო დარჩენილი, ცხადია, რომ მას ყოველთვის საშუალება ექნებოდა საქართველოს უფრო სწრაფად და უფრო ადვილად შემოჰქონდა. სამაგიეროდ საქართველოსათვის თავის დაცვაცა და მისი უკან დაბრუნებაც გაცილებით უფრო გაძნელებული იყო იმის გამო, რომ ლორის ველი მაღალ მთიანეთს წარმოადგენდა და სამხედრო მოქმედება უნდა დაბლობიდან მაღლობისაკენ ყოფილიყო მი-მართული. მხოლოდ 20 წლის მეფობის შემდეგ, 1431 წელს, ალექსანდრე მეფემ, ხანგრძლევი სამზადისის შემდგომ, ამ ლაშქრობის დაწყება გაბედა და ლორის ველი კალავ საქართველოს შემოუერთდა.. რასაკირველია, ამ გამარჯვებას საქართველოსათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პილიტიკური და სამხედრო, ისევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რათგან ლორის ველი ისეთს აუცილებლად საჭირო მაღალსაძოვრიან აღგილს წარმოადგენს, ურომლისოდაც საქართველოს მესაქონლეობას წესიერი განვითარება და დაწინაურება არ შეეძლო.

1431 წელს ლორის ველის საქართველოსთან შემოერთების შემდგრმ, საქართველომ თავისი საზღვრის ბუნებრივ ზღუდეს მიაღწია. მაღალი ზეგები მის სამეფოს კარგად იცავდნენ. საქართველოს სამეფოს საზღვრების ასეთმა უშიშროებმ, ალექსანდრე მეფესა და საქართველოს მთავრობას საშუალება მისცა წინათ საქართველოს საკუთრებად მყოფი, მახლობლად მდებარე, თემებიც დაებრუნებინა. ალექსანდრე მეფემ ისარგებლა შემთხვევით, რომ შაპტურსა და ჯეპან-შაპს შორის ერანში ბრძოლა იყო მმტყდარი, და მისი ნებართვით ბე შე ე ნ თ რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე სივნეეთის თემები შემოუერთა. ალექსანდრემ ბეშენ ორბელიანს ამ გამარჯვებისათვის ლორის ციხე უწყალობა, ას სიმაგრე, რომელიც მის საგვარეულოს დემნას აჯანყების მოწყობის გამო გიორგი მესამისაგან ჰქონდა ჩამორთმეული.

სიგნიფიცისა და მახლობელი თემების შემოქრებამ საქართველოს შეთხელებულ მოსახლეობას 60 ათასზე მეტი მცხოვრები კომლი შესძინა და აგასაც, რასაცვარველია, ღიღი მნიშვნელობა ჰქონდა.

რაკი საქართველომ ასე გაძლიერება დაიწყო, საქართველოს საზღვრებს გარეშე მცხოვრებ სომხების ლოროლვილთა ტალღა მოაწყდა, ისინი მაპ-მაღანანთა საბრძანებლებიდან გადმოღილდნენ, რომ საქართველოში და სახლებულიყვნენ და მყუდრო ცხოვრებისა და შრომის საშუალება ჰქონდათ.

## ალექსანდრე I-ის შვეიცარი აღმშენებლობითი მოღვაწეობა

როცა ალექსანდრე პირველმა საქართველო გარეშე მტრის შემოსევი-საგან უზრუნველპყო და სახელმწიფო განამტკიცა, ის განადგურებული და აოხრებული ქვეყნების განახლებასაც შეუდგა. ალექსანდრე პირველი გამეფებისას 22 წლის ჭაბუკი იყო. ბავშვობიდან მოყოლებული 17 წლამდის ის თავის ბებია ქუცნა ამირეჯიბის შეულლე რუსას თან ისრდებოდა, იმ შესანიშნავ ქართველ მანდილოსანთან, რომლის სახელი საქართველოს ისტორიაშიც აღიბეჭდა. რუსამ გასაოცარი მხნეობა და თაოსნობა გამოიჩინა: იმ საერთო გაჭირვებისა და მწუხარების დროს რუსამ თემურლენგისაგან განადგურებული სვეტიცხოველის აღდენასა და განახლებას მიჰყო ხელი. ეს იმდენად დღიდ და რედენად ძნელად გადა-საწყვეტი ამოცანა იყო, რომ მისი დაძლევა ერთი ადამიანისათვის გასა-ოცარიც-კა. მაგრამ ის ამას არ შექმინებია და ამ მნიშვნელოვან მოღ-ვაწეობას შეუდგა.

ბებიის მაგალითს ნორჩ ალექსანდრე უ ღრმა შთაბეჭდილება მოუხ-დენდა და შემდეგში, როდესაც რუსა ისე გარდაცცალა, რომ მას დაწ-ყებული საქმის რამთავრება არ დასცალდა, ალექსანდრე შეფერ თავისი ბებიის თაოსნობის ბოლომდის მიყვანა თავის უშუალოდ და წმინდა მოვალეობად მიჩინნა. ალექსანდრე მეცეს თავის სიგელებში ბებიის მას-ზე ჭირიანულობაც და ის ღვაწლიც, რომელიც მას ალექსანდრეს წინაშე აღზრდისა და მისთვის მაღალი ზნეობრივი მოვალეობის შთაგონებით მიუძღვს, არა ერთხელ აქვს აღნიშნული.

ალექსანდრემ, იმას გარდა, რომ ბებიისაგან დაწყებული სვეტიცხოვ-ლის განახლება განაცრო, ამავე დროს უფრო ფართო ამოცანა და უფრო რთული გეგმაც დაისახა. რასაცვარველია, ის, რაც რუსამ დაიწყო, ერთი ადამიანისათვის დიდი და გაბედული ნაბიჯი იყო, მაგრამ განა საქართ-ველოში მარტო სვეტიცხოველი იყო დანგრეული. თითქმის არც ერთი ღიღი და მნიშვნელოვანი ნაგებობა, საყდრები, ეკლესიები, ციხეები, ქა-ლაქის ზღუდეები არ მოიპოვებოდა, რომლებიც თემურლენგის ურდოებს არ დაეზიანებინათ და არ დაენგრიათ. ვის უნდა ეკისრა კველა ამას გა-ნახლება-აღზენა და, თუ ეს ნაკისრი არ იქნებოდა, როგორ შეიძლებო-

და, რომ საქართველო პოლიტიკურად გამაგრებულიყო? ამის სათანადოდ მოგვარება მხოლოდ მთელს სამეფოს, მთელ ქართველ ერს შეეძლო. ამი-ტომ ალექსანდრე პირველმა გადაწყვიტა, რომ ეს საქმე თვით ეთავა და საქართველოში თერმილენგის მიერ დანგრეული ციხეების, ეკლესიების, საყდრებისა და სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანაშნულების ნაგებობათა აღდგენას შესდგომიდა.

ცხადია, რომ ასეთი ფართო ამოცანის განხორციელება, წინასწარ კარგად შემუშავებული გეგმისა და საჭირო სახსრების წყაროს გაუთვალისწინებლივ, სრულებით შეუძლებელი იყო. ამ ყველა საკითხების განხილვა ალექსანდრე პირველს მოუხდა. რაკი თემურლენგის შემოსევის შემდგომ იმდროინდელი აონებული საქართველო გაღატავებულიც იყო, ისეთი სახსრები, რომლის დასახული მიზნის განსახორციელებლად გამოყოფაც შესაძლებელი ყოფილიყო, სახელმწიფო ხაზინას არ მოეპოვებოდა. მაშა-სადამე, უნდა სხვა რაიმე წყარო გამოიხახათ. ალექსანდრე მეფეება და საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ გადაწყვიტს, საქართველოს განახლებისათვის საგანგებო დროებითი გადასახადები დაეწესებინათ, რომელიც სანამ დასახული ამოცანა მიღწეული და გეგმა შესრულებული არ იქნებოდა ყოველწლიურად უნდა იყრიბათ. ცხადია, რომ ასეთს ფართო განახლებითს მშენებლობას დიდი დროუა და დრდი თანხაც უნდა დასჭირებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ძეგლის, სყეტიცხოვლის, განახლება რესამ ჯერ კიდევ თავის სიცოცხლის დროს დაწყო, როდესაც ალექსანდრე ჯერ გამეფებული არ იყო, და ამ სამუშაოს დამთავრება მხოლოდ 1431 წლისათვის გახდა შესაძლებელი, მაშინ ცხადი შეიქმნება, თუ რამდენად ძნელი იყო იმ დროს ასეთი სამუშაოს წარმოება, მით უშეტეს დიდი სიძნელე უნდა ყოფილიყო გადასალახავი იმ შეუდარებლივ დადადი გეგმის განსახორციელებლად, რომელიც ალექსანდრე მეფეს ჰქონდა დასახული. ალექსანდრე I-მა ამ საგანგებო გადასახადად კომლზე 40 თეთრი შემოიღო: თითოეულ მეკომურს ამ სააღმშენებლო სათავენოს შესაძგენად მაშინდელ საქართველოში 40 თეთრი (ე. ი. ვერცხლის ფული) უნდა გამოელო.

ალექსანდრე მეფემ ეს დროებითი საგანგებო გადასახადი 1425 წელს დააწესა და ამ წლიდან მოყოლებული საქართველოს თითოეული სრულფუძიანი მეკომური 40 თეთრს იხდიდა, რომ განადგურებული ქვეყანა აღდგენილი ყოფილიყო. ხოლო 1440 წლისათვის მიზანიცა და ვეგმაც მთლიანად განხორციელებული აღმოჩნდა: ალექსანდრე მეფეს თავის სიგელში აღნიშნული აქვს, რომ, რამდენიც-კი საქართველოში ცხე, საყდარი, მონასტერი და სხვა შენობა იყო, ყოველივე სრულიად ახლად აღვაშენე და შევამეო.

რაკი მიზანი უკვე მღლწეული იყო, ალექსანდრე მეფემ განკარგულება გასცა, რომ 1440 წლიდან მოყოლებული საგანგებო სააღმშენებლო გადასახადი კომლზე 40 თეთრი ამოეკვეთათ და მოესპოთ.

ცხადია, რომ 15 წლის განმავლობაში, რა დიდი თანხაც აჩ უნდა ყოფილიყო შეგროვებული, სრულებით შეუძლებელი იყო, რომ ყველაფერი აღედგინათ: ამისათვის მაშინდელ საქართველოს არც საკმაო ქონებრივი სახსრები ჰქონდა და არც ფიზიკური საშუალება იყო იმდროინდელ საქროველოში, რომ 15 წლის განმავლობაში ასეთი უზარბაზარი ამოცანა განხორციელებული ყოფილიყო. ამიტომაც, ცხადია, რომ ალექსანდრე I-სა და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულს გეგმაში განსახლებლად მხოლოდ ისეთ უმთავრეს ნაგებობათა აღდგენა იქნებოდა შეტანილი, რომელთა აღუდგენლობა საშიშროებას წარმოადგენდა და რომელთა განახლება კულტურული მოთხოვნილებისათვისაც აუცილებლად საჭირო იყო. რა თქმა უნდა, რომ მრავალი ნაოხარი სოფელი ისევ ისევ დარჩებოდა: ასეთი განადგურებული, გაპარტახებული სოფლებისათვის. ხომ უპირველესად მოსახლეობა იყო საჭირო. თემურლენგის მრავალგზისმა შემოსევამ-კი იმდენი ხალხი იმსხვერპლა საქართველოში, რომ არამც თუ სრულიად განადგურებული სოფლებისათვის მოახალშენებალხი აჩ იყო, არამედ შეთხელებული სოფლების მოსახლეობის შევსებისთვისაც-კი ხალხი, ტყვეობიდან დაბრუნებულთ გარდა, ძნელად თუ საღმე მოიპოვებოდა. ალექსანდრე მეფემ ამ საშუალებასაც მიმართა და, რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო, ცდილობდა, გაუკაცრებელებელი აღგილები კვლავ ჟენად გაეხადა. მაგრამ ფართოდ ამ გეგმის განხორცელება იმდენად დიდ თანხას მოითხოვდა, რომ ისევ საქართველოს სამეფოს შერჩენილი მოსახლეობის ხელმეორედ ზედმეტად დატვირთვა სრულებით შეუძლებელი იყო. ამიტომაც ამ ამოცანის გადაწყვეტა უფრო კერძო თაოსნობას ჰქონდა მინდობილი. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ თემურლენგის შემოსევის დროს განადგურებული ბევრი სოფელი სამუდამოდ ნასოფლარად დარჩა, დროთა განმავლობაში ტყითაც დაიბურა და მის შემდგომ ველარც აღსდგა.

ალექსანდრე პირველის აღმშენებლობითი შუშაობა იმდენად დიადა იყო და მისი შედეგი იმდენად ყველასათვის თვალსაჩინო აღმოჩენა, რომ თანამედროვეებმაცა და მომდევნო თაობამაც მას მეფეთა შორის წარჩენებული სახელი უწოდა და საქართველოს ისტორიაში დ ი დ ი ა ლ ე ქ-ს ა ნ დ რ ე ს წოლებულებაც-კი მიაკუთვნა.

## სოციალური ვითარება საქართველოში ალექსანდრე პირველის გეზობაში

რასაკვირველა, ალექსანდრე I-ს ამაზე უფრო ფართო გეგმის განხორციელებაც შეეძლებოდა, რომ მაშინდელი საქართველოს სოციალურ წესწყობილებას ჰასთვის გადაულახავი დაბრკოლება აჩ შეექმნა.

მეფის ხელისუფლების გავლენა ხანგრძლივი ომის განმავლობაში, უნდა შესუსტებულიყო. ამავე დროს დიდგვარდან აწნაურთა-

გაძლიერება იმ არეულობის ხანაში, რომელშიც საქართველო მაშინ იმ-ყოფებოდა ამნაირადვე ბუნებრივი შედეგი იყო. ალექსანდრეს საკუთარ ოჯახშიც-კე, მოცილეები თუ არა, ყოველ შემთხვევაში თანამონაწილენა უკვე აღმოჩნდნენ. თავის მთავრობასა და ვაზირებთან მას აღარ შეძლო ისევე თავისუფლად ემოქმედა, როგორც წინათ, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ მეფეები განაცხდნენ და მთხა და ვაზირთა ნებისყოფაზე იყო ყველაფერი დამოკიდებული და სხვას არავას ჰქონდა უფლება ჩარეულიყო.

ალექსანდრე მეფე უკვე იძულებული იყო თავისი ქმებისა და ცოლშვილისათვისაც გაეწია ანგარიში: მათი აზრი და სურვილი უმნიშვნელო აღარ იყო. ხოლო, რაკი საქართველოს მეფე ცოლად წინანდებურად უცხო სამეფოების ასულს ველარ ირთავდა, არამედ რომელიმე თავისივე ქვეშევრღომის ასული მოჰყავდა ხოლმე ცოლად, ცოლის ნათესავებიც, ვითარუა მეფესთან უფრო დაახლოვებულნი, სხვებზე მეტად გავლენიანი ხი ხუცბორნენ. პატონიშვილებიც ადგილობრივები ირაული ცოლებს, მათი ნათესაური კავშირიც სამეფო სიგვარულოს და სახლობას დიდ-გვარიან აზნაურთა გარევეულ წრეს უახლოვებდა ხოლმე. ეს დიდგვარიან აზნაურთა დანარჩენ წრეებში ბუნებრივად შურსა და უქმაყიფილებას იწვევდა. მათ ის არ მოსწონდათ, რომ წრდებრივად მათი თანასწორი საგვარულოების წარმომადგენლები მათზე უფრო გავლენიანი ხდებოდნენ. ეს გარემოებავე საქართველოს მეფეს საშუალებას უსაბოდა და თავის ყველა ქვეშევრღომთან პირუთვნელობა და მიუკრძებლობა დაცუა: ნათესაობის გავლენის ანარეკლი მის მოქმედებაში უნდებლივდ ჩანდა ხოლმე და მისი მოქმედების თავისუფლება ამ მხრივ შეზღუდული-იყო.

რასაცირეველია, ყველაფერი ეს საქართველოს მეფის ხელისუფლების დასუსტებასა და გავლენიანობის შემცირებას უწყობდა ხელს. ეს გარემოება იმდროინდელ ძეგლებში გარეგნულადც-კე არის აღბეჭდილი. ალექსანდრე მეფის ხელიან მოყოლებული, საქართველოს მეფეები თავიანთ სიგელებს წინანდებურად მარტო თავიანთი სახელით-კე აღარ აწერინებდნენ, არამედ შიგ თანამეცხედრული, ძმებიცა და შვილებიც არიან დასახელებულნი, რომელთაც, რასაცირეველია, არაფითარი უფლება არ ჰქონდათ, რომ საქმეებში ჩარეულიყვნენ, მაგრამ რომელთა ჩარევის უცოლებელ საბუთს სიგელში მათი მოხსენების გარემოება წარმოადგეს.

ასეთ პირობებში განა გასაცირეველია, რომ თვით მეფის ოჯახშიც, მის შვილთა შორის ისეთები აღმოჩენილიყვნენ, რომელთა ესეც აღარ და-აქმაყიფილებდა და რომელიც ამასე მეტი ხელისუფლების ჩაგდებას მოიწადინებდნენ. ალექსანდრე I-ს სიგელში თავისი უფროსი ვაჟიშვილი ვა ბრა გი თავისი სიცოცხლის დროსგვე მეფეთ-მეფედ ჰყავდა დასახელებული. შემდეგში ალექსანდრე პირველის საბუთებში ვახტანგი მეფედ აღარ იხსენიება, მაგრამ ის გარემოება, რომ ალექსანდრე რატომ-

ლაპც იძულებული იყო თავისი ვაჟიშვილი ვახტანგი მეფედ მოეხსენებინა, ამერიკანებს იმ გარემოებას, რომ მეფის ოჯახში რაღაც ისეთი განხეთქილება მომხდარა, რომელმაც აიძულა ასე არაჩვეულებრივად მოქცეულა ყო და თავისი სიცოცხლის დროსაც თავისი ვაჟიშვილი მეფედ მოეხსენებინა.

აშგარალვე შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, რომ 1442 წელს საქართველოს მეფემ ალექსანდრემ ქვეყნის მესაჭიობას თავი დანება და ბერად აღიკვეცა და, ა თან ასე და სახელდებული, ის ამის შემდგვე სვეტიცხოვლის ეკვდერში ცხოვრიბდა. სამეფო ტახტზე—კი მის მაგიერ სწორედ მისი ვაჟიშვილი ბაგრატი ავიდა, რომელიც ალექსანდრეს თავის სიცოცხლის დროს რამდენიმე წლის წინათ მეფედ ჰყავდა მოხსენებული. 1442 წელს ალექსანდრე 62 წლის იყო და მას, რასაკვირველია, ჯერ კიდევ კარგა ხანს შეეძლო სამეფო საქმეებს გასძლოლოდა: ფიზიკურიცა და გონებრივი ძალაც ამისათვის მას ექნებოდა. მისი ენერგიული ბუნებაც უმოქმედო ბერმონაზონად ძნელი წარმოსადგენია, ამიტომაც საფიქრებელია, რომ, თავის საკუთრი თუაშვილი ჩამოვარდნილი უთანხმოების გამწვავების ასაცილებლად, მან ამჯობინა თავის პატივმოყვარე შეიღლისათვის მეფობა თვითონვე დაეთმო, ვიდრე განხეთქილება ჩამოეგდო და საქართველო განსაცდელში გაეხვია.

#### ვახტანგ IV ალექსანდრეს ძე (1442—1446 წ.)

\* ვახტანგ IV-ს დიდხანს არ მოუხდა სამეფო ტახტზე ყოფნა. 1442 წელს გამეფებული, რომი წლის შემდგომ ის უკვე მკვდარი ჩანს. მისი მეფობას შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება და ისიც, რაც არის, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, რამდენად მის მეფობას ეხება. ეს ჯეპან-შაპის შემოსევის ამბავია. ვახტანგ IV-ს ქართლის ღრღვევარია აწნაურ მოხელეებთან ბრძოლა ჰქონია, მათი მოღალატური ქცევის გამო, კერძოდ ამილახორი ზე ვდგინდე მას ასეთი ქცევისათვის შეუპყრია კიდეც. რაღაც მძიმე დანაშაული უნდა სდებოდა მას ბრალად, რათგან დაჭერილს ამილახორს ზევდგინდეს მეფემ მთელი მეფიოდის მამული ჩამოართვა და უშებიც წაართვა. ამას გარდა დაუჭერია და დასამწყვდევად ლიხთ-იმერეთში წაუყვანია. ეს ერთი გარემოებაც უკვე იმ აშლილობის დასაწყისის მომასწავებელია, რომელმაც შემდეგში საქართველოს სახელმწიფო გრიგორია მთლიანობა იმსხურპლა.

## ბრძოლა საქართველოს მთლიანობის დარღვევის შინააღმდეგ

გიორგი VII ალექსანდრეს ძე (1446—1466 წ.)

ვახტანგ IV-ის მაგიერ სამეფო ტახტზე საქართველოში 1446 წელს შინა ძმა გიორგი ავიდა. გამეფებისას ის 31—32 წლისა იყო და ქვეყნის მესაჭურაბისათვის თითქოს საკმაო გამოცდილება უნდა ქონილა. მას ორი ცოლი ჰყავდა. მეორე ცოლის, ნესტან-დარეჯანისაგან, გიორგი შეფერ 1457 წელს ვაჟაშვილი ალექსანდრე შესძენია. მას ორი ქალიშვილიც ჰყავდა, რომელთაგან ერთი 1452 წელს ბიზანტიის კეისარ კონსტანტინებზე იყო დანიშნული, მაგრამ, თურქებისაგან კონსტანტინეპოლის 1453 წელს აღებისა და კეისრის სიკვდილის გამო, ქორწინება ჩაიშალა.

გიორგი VII-მ მთელი თავისი მეფობა ხელისუფლებისა და ბატონობის გამო მტკუდარს ბრძოლას შეალია. ამ ხანში მთავრებმა წამოყვეს თავი, რასაკვირველია, უპირველესად მესხეთის მართველმა, რომელმაც, როგორც ვიცით, უკვე XIII საუკუნეში საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. მართალია, გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ეს გამდგარი თემი დაუბრუნა, მაგრამ თემურლენგის შემოსევის შემდეგ მომხდარმა საქართველოს დასუსტებამ შესხეთის მთავარს აღბუღას კვლავ საბორლელი აღუძრა, რომ თავისი საბრძანებელი საქართველოს სამეფოსაგან გამოეცალებინა.

ბრძოლა მესევთის მთავარს უპარჩარასა და  
გიორგი მეუეს შორის

უთანხმოება ჯერ თვით მესხეთის მთავრების, ჯაყელთა ოჯახში დაიწყო: გილვავდა ურთიერთობა აღბუღასა და მის ბიძას ყვარეყვარას შორის, რომელთაგან უკანასკნელმა ხელისუფლების ხელში ჩატდება მოიწადინა და მესხებს თავისიკენ გადაბირება დაუწყო. აღბუღამ, თავისი ბიძას შეპყრობა გადაწყვიტა, მაგრამ ყვარეყვარამ დაასწრო, 1447 წელს აღბუღას წინააღმდეგ გაილაშვრა და გაიმარჯვა კიდეც.

დამარცხებული აღბუღა გორგი მეფესთან წავიდა დაბმარების სათხოვნელად, მაგრამ ყვარყვარამ აქაც დასწრო: გიორგი მეფე რომ დაბმარების აღმოსახენად მესხეთში მივიდა, ყვარყვარა მეფეს არ შებრძოლებია, არამედ გზაშივე დაუხვდა და მისი გულის მოგება მოიწადნა: უდინაშაულობა შეპურცა. მას იმედი ჰქონდა, რომ გიორგი VII ასეთი ქცევისათვის მას დაუმატებდა და დასაჯილდოვებლად მისცემდა იმას, ჩაც სწადდა. მაგრამ მისი იმედი ტუული გმოლგა: გიორგი VII-მ აღბუღას დაუჭირა მხარი და ათაბაგი ისევ აღბუღა დასტოვა, ყვარყვარა-კი თავის კაზზე წამოიყანა და იქ ჰყავდა.

ყვარყვარა საქმის ასეთ დასასრულით ძალზე უქმაყოფილო იყო და უსიამოვნება, რომელიც თვდაბირველად ბიძა-ძმისწულს შორის იყო ჩამოვარდნილი, ეხლა უკვე ყვარყვარასა და გიორგი მეფის უთანწმოებად იქცა.

1451 წელს რომ აღბუღა ათაბაგი გარდაიცვალა, კვლავ საკითხი დაიბარა იმს შესახებ, თუ შესხეთის ათაბაგობა ვისთვის მოეცათ, საქეონ დარბაზის დაახლოვებულ წევრთა რჩევით, გიორგი მეფემ ათაბაგობა წინდაუხედავად ყვარყვარას უწყალობა, რომ ამით მოემშვილობიანებინა და მისი გული მოეგო. მაგრამ ყვარყვარა ათაბაგი სრულებით სხვა გუნებაზე იყო დამდგარი: მას მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება ჰსურდა. იმს თავისი თავი ისე ეკირა, რომ საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებასაც-კი ლამობდა. მაგალითად, 1459 წელს, როდესაც დასავლეთ ევროპაში საქართველოდან საერთო პოლიტიკური გეგმის შესახებ მოსალპარაკებლად დესპანი უნდა ყოფილიყო გაგზავნილი, ყვარყვარა ათაბაგმა საქართველოს მეფის გიორგი VII-ის დესპანით დაკამიყოფილება არ მოისურვა, არამედ თავის საკუთარი დესპანიც გააყოლა და ეს, რასაკვირველია, მისი დამოუკიდებელი პოლიტიკის გეგმის ცხადი გამომშეღავნებული იყო.

### შვარვარა ათაბაგის ფართო გეგმა მესხეთის საქართველოს სამეცნიერო გამოსახულებად და ამის საფინანსოდებელი გრძელება

მას ამაზე უფრო ფართო გეგმაც ჰქონდა განსრახული. ათაბაგმა თავისი სამფლობელოს საქართველოსაგან მარტო პოლიტიკურად ჩამოშორება-კი არ მოისურვა, არამედ უნდოდა მესხეთის მთელი სამწყსოც ქართული ეკლესიისაგან გამოეყო. ამ მიზნით მან მარტ უ კ უ რ ე ლ ი ე ბისკოპისის განდიდება მოიწადინა, რომ მისთვის თავის სამფლობელოს ყველა სხვა ეკლესიები დაექვემდებარებინა. რასაკვირველია, ყვარყვარას შთელი მოქმედება საქართველოს პოლიტიკური დანაწილებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას უდრიდა და მთელი ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოღალატური ნაბიჯი იყო,

საეკლესიო ქანონების თანახმად ეპისკოპოსად არჩეული პირი უეჭველად უნდა მცხოვრიში წასულიყო და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ სვეტიცხოველში ყოფილიყო სელდასხმული. მესხეთის მთა-გარმა სწორედ ამის მოსპობა მოისურვა. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მესხეთის მთავრის განკურ-ძმებითს პოლიტიკას მოელი თავის ძალობრივ გრძელდა და ყველა მს საეპისკოპოსოდ არჩეულ პირებს, რომელნც მესხეთიდან ჩამოდიოდნენ, კურთხევამდის კატეგორიულად ფიცს და აღთქმას აღებინებდა, რომ ის საქართველოს მწყემსმთავრის ერთგული და საქართველოს მეფის მომხ-სენებელი და მღლოცველი ოქნებოდა. წირვა-ლოცვის ღროს საქართველოს მეფის მოხსენება საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის გამოხატუ-ლებას წარმოადგენდა და ყვარყვარა ათაბაგსაც სწორედ ამის მოსპობა. ჰსურდა.

### საჩართველოს ეკლესიის მეთაურის პრეზიდენტის უძღვიშვილი უზარჩვარა ათაბაგის კოლეგიის წილადმიღება

როდესაც ყვარყვარა დარწმუნდა, რომ საქართველოს ეკლესიის სა-შეთმპრობელი მისი პოლიტიკური გეგმების ჩაშლას ლამობს, მაშინ მან გადაწყვიტა, რომ მაწყვერელობა და ეპისკოპოსების ხელისუფ-ლება უმცხეთოთ აღგილობრივე მიენიჭებინა. მაგრამ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრმა ამის საპასუხოდ საეკლესიო კანონებით მის-თვის მინიჭებული უფლება გამოიყენა. როგორც მაწყვერელი, ისევე ის საეკლესიო პირებიც, რომელთაც ამ გზით საეკლესიო თანამდებობისა ხელში ჩაგდება იყალრეს, შეაჩვენა, საქეცენოდ შეჩვენებულ პირს სა-ეკლესიო კანონთა მღვდელმსახურებს ასრულება,—წირვა-ლოცვა, ზია-რება, მონათვლა, ჯვარის წერა და დასაფლავება აკრძალული ჰქინდა; ეს იმას ნიშნავდა, რომ ამისათვის განკუთვნილი გასამრჯველოც მას აღარ შემოუვიდოდა და, რასაკირველად, განკერძოების გუნებაზე დამდგარი-ნებსხეთის საეკლესიო დიდ მოხელეებისათვის ამ სასჯელის ასეთი ეკონო-მიურ-ფინანსური მხარე გაცილებით უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე სსვა-ყოველგვარი სასჯელის საშუალება. მიტომაც ამ საშუალებამ ძლიერი გავლენა მოახდინა და უნდღილებ გაჭირებულ მდგომარეობაში. ჩაგრძ-ნილი ეს პირები იძულებული გახდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის საქართმშეცხმების გუნებაზე დამდგარიყვნენ.

გეგმა რომ არ ჩატლოდა, ყვარყვარა ათაბაგმა ამაზე უფრო უკადრის-საქციელს მიჰმართა თავისი დასახული ამოცანის განსახირციელებლად. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ საქართველოში მახლობელი აღმოსავ-ლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი დიდი სამღვდელო პირთაგანი მოვიდა, რომელსაც მიზნად საქართველოში შემოწირულების შეგროვება ჰქინდა. დასახული. ეს სამღვდელო პირი ბერძნი მიზრო-პოლიტი იყო. ის საქმაოდ ცბიერი აღმოჩნდა: რასაკირველია, ყვარყვა-

რასთან წინასწარ შეთანხმებითა და სამაგიეროდ შესაფერისი კარგი ქონებრივი ჯილდოს მიღების შემდგომ, ამ უცხოეთიდან მოსულმა ბერძენმა მიტროპოლიტმა სწორედ იმის ქადაგებავე დაწყო, რაც თვითონ ყვარყვარა ათაბაგს სწადდა, ე. ი. რომ მღვდელისა და დიაკონის კურთხევა უმცრეოთაც იყო შესაძლებელი და რომ საქართველოს საპატრიარქო ეკლესის მოჩილება სრულებრივ მათთვის სავალდებულო არ იყო.

როცა საქალმასოდ მოსულმა ამ ბერძენმა მიტროპოლიტმა ჯიბები საკმოიდ გაისჭელა და საქართველოდან წავიდა, მესხეთის სამღვდელო პირები ისევ ისეთსავე მღვდომარეობაში ჩავარდნენ, რა მღვდომარეობაშიც წინათ იყვნენ. სანამ მაღალი უცხო სამღვდელო პირი მესხეთში იყო, შეჩვენებულ მესხ ეპისკოპოსებსა და სამღვდელო პირებს ზურგი ასე-თუ-ცე გამაგრებული ჰქონდათ, მაგრამ, როდესაც ის უკვე საქართველოს მოშორდა, მათ დამკველიც მრავლდათ და, ან უნდა საქართველოს ეკლესის მწყემსმთავარს დამორჩილებოდნენ, ანდა უნდა იმ გარე-მოებას შეპრიგებოდნენ, რომ მათ სამწყსლან ქონებრივი შემთხვევალი აღარ ექნებოდათ.

## შვარჩვარა ათაბაგის გეგმის ჩაშლა და ჩართული ეკლესის მთლიანობის შენარჩუნება

უკანასკნელმა გარემოებამ, ქონებრივმა გაჭირვებამ, აიძულა ისინი, ლაპმორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესის მაშინდელ კათალიკოს და იმ იკოს და ვითს, რომელიც ალექსანდრე პირველის შველი იყო და რომელიც ქართული ეკლესის მთლიანობის დაცვასთან ერთად საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დაცვასაც თავის მოვალეობად სთვლიდა.

გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მესხეთის შეჩვენებული სამღვდელი პირები რომ მცხეთაში ჩავიდნენ და კათალიკოსს ვეღრება დაუწყეს, მათთვის წინანდელი მათი შეცოდება და დანაშაული შეენდო, მან ამ პირების თხოვნა არ შეისმინა, სანამ ფიცის წიგნზე ხელი არ მოაწერინა, რომელშიც ისინი აღთქმას სდებოდნენ, რომ საქართველოს ეკლესის კათალიკოს-პატრიარქის ყოველ ბრძანებას დაემორჩილებოდნენ, საქართველოს ეკლესის საჭირობელოს ერთგული და საქართველოს მეფეთა მღლოცა იქნებოდნენ ყოველი წირვა-ლოცვის დროს. ვისც კათალიკოს-პატრიარქი შერისხავდა, ისინი ვალდებული იყვნენ, რომ იმასთან კავშირი შეეწყვიტათ: შეჩვენებულ ეპისკოპოსებთან ერთად წირვა არ ეწირათ და, სანამ შენდობას არ მიიღებდნენ, მათთან საერთო არაფერი ჰქონიდათ. ამსვე აღთქმაში იყო აღნიშნული, რომ, თუნდაც ყვარყვარამ მაწყვერელობა ან სსვა ეპისკოპოსება შემოგვთავაზოს, სანამ ყვარყვარა და მისი შეჩვენებული ეპისკოპოსები თქვენს განკარგულებას არ დაემორჩილებიან, მანამდის ყვარყვარასაგან შემოძლეული ხელისუფლება არ მივიღოთ და უარვყოთ.

ამ აღთქმის წიგნის პოლიტიკური შინაარსი და მნიშვნელობა სრულებით ცხადდა ჩანს. დავით კათალიკოსი თავის მოვალეობად სთვლიდა, მის განკარგულებაში მყოფი ყოველი საწუალებით ს დამლუპეველი შიგნართულება შეეჩერებინა, რომელსაც მესხეთის მთავარი დააღვა და რომელსაც მიზნად საქართველოს მეფისაგნ სრული პოლიტიკური და სუელესით დამოუკიდებლობის მოპოვება ჰქონდა დასახული. ასეთი ენერგიული საშუალებით და ბრძოლის წარმოების წესით, დავით კათალიკოსმა ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ ყვარყვარს ათაბაგმა თავისი წარდილის მიღწევა ვერ შესძლო.

რასაკვირველაა, ასეთი განკარგულებისა და მთლიანობის დარღვევი-სადმი მისწრაფება გულში მარტო მესხეთის მთავარს არ ექნებოდა. სხვებს, ეგების, ისე მძლავრად არ ჰქონდათ იგი გამოხატული, მაგრავ მესხეთის მთავრის თანამგრძნობნი რომ შესაძლებელია სხვებიც ყოფილიყვნენ, ამის არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს.

## საქართველოს სამეფოს კოლიტიკური ვითარება და სამთავროებად დანაწილება

ამ დროს საქართველო უკვე მკვეთრად იყო სამთავროებად დაყოფილი, თუმცა მთლიანობა ჯერ დარღვეული არ იყო: აფხაზეთი და სამეგრელო ერთ სამთავროს წარმოადგენდა. ამ სამთავროს სათავეში ბედიანი იღვა ჯერ კიდევ XV საუკუნის პირველ წლებში აფხაზეთი და სამეგრელოც ერთ სამთავროდ არ იყო ქცეული, არამედ აფხაზეთი და სამეგრელო ცალ-ცალკე საგამგეო ერთეულებს წარმოადგენდნენ. აფხაზეთის მთავარ ქალაქად მაშინ ცხენი ითვლებოდა, სამეგრელოს მთავარი ქალაქი კი ბათომი იყო და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავარს მაშინ გურია და აჭარაც სტერია. მას შემდგომ ცვლილება მომხდარა: 1459 წლისათვის გურია სამეგრელოს ჩამოჭმორებია. ის ცალკე სამთავროს წარმოადგენდა. აფხაზეთი და სამეგრელო კი ერთ სამთავროდ ქცეულა და მისი მართვა-გამგეობა ბედიანს ჩაუგდია ხელში.

აფხაზეთ-სამეგრელოს მთავარი, ასეთი გაძლიერებისდა მიუხედავად, მანც საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში დაეტია და ჩამოშორების მიზანი ამ ხანაში მანც მას დასახული არ ჰქონდა. მას არც თავისი განსაკუთრებული რომელიმე რწმუნებული გაუყოლებია დასავლეთ ეკროპაში და საქართველოს დესპანით დაკმაყოფილებულა.

ამზიად, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა, შართალია ჯერ დარღვეული არ იყო, მაგრამ რღვევის ბროცესის დასაწყისი უკვე საკმარის მკაფიოდ მოჩანს. ყველაზე ძლიერად ეს მესხეთის მთავართა პოლიტიკაში იყო გამოხატული.

საერთაშორისო კოლეგიკაში მოგვდანი დღი  
ცვლილება, ოსეალტაგან ბიზანტიის მოსვლა და  
ასე შედეგი

საქართველოს ასეთი შინაური კითარებამ მეტად სახიფათო იყო და საერთაშორისო პირობების გამო, რომლებიც მასლობელ აღმოსავლეთში ამ დღროისათვის შეიქნა: საქართველოს ორაცე მხრით, სამხრეთ-აღმოსავლეთითაცა და სამხრეთ-დასავლეთითაც, საქართველოს ძლიერი ახალი პოლიტიკური მეზობლები გაჩნდნენ.

შაპროვი რომ გარდაიცვალა, 1451 წელს, ერანის მბრძანებლად ჯეპან-შაპი გახდა. ქირმანიდან მოყოლებული საქართველოს საზღვრამდე მას უკვე მთელი მიწა-წყალი ეჭირა ხელში.

სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს უფრო საშიში მეზობელი ასეა-  
ლეთი გუეჩინდა. ამ ხანაში, თურქებმა მცირე-აზიაში იმდენად სწრაფად  
მოახერხეს გაძლიერება, რომ სულტანმა მუჰამედმა 1453 წელს თავისი  
უშველებელი ზარბაზნების მარჯვედ გამოყენებისა და 70 ათასი ჯარის-  
კაცის იერაშის მიტანით ბაზანტიის სახელმწიფოს დედაქალაქი კონსტან-  
ტინეპოლის-კი აიღო და მთელს მაშინდელ მსოფლიოში მჩავალ საკუუ-  
ნეთა გამავლობაში ცნობილი ბაზანტიის იმპერია, ამგვარად, დედამიწის  
ზურგიდან აღიგევა. საქართველოსათვის ეს ისეთი უბედურება იყო,  
რომლის მსგავსი მის წარსულში ბევრი არ მოიპოვება.

ମିଳା ଗାରିଦା, କୁନ୍ତ ନେମାଲୁଗୁଡ଼ିକ ମାଥିଲୁବେଲୁ ଏହିମରାଜସାଙ୍ଗରେତ୍ତି ଉପଦ୍ରିଷ୍ଟରେ  
କାନ୍ଦେଲମର୍ମିତ୍ତିଫୁଲରେ ଏହିପା, ସାହୀରତ୍ତବେଲୁଙ୍କ ଅନ୍ତରୀଳରାବ ରାଶାଙ୍ଗରେତ୍ତିଲେ  
ହାତ ରାଖିଲୁବେଲୁଗୁଡ଼ିକରାବ ପ୍ରାଣିରୀଳ ପ୍ରାଣିରୀଳଗୁଡ଼ାରି ଶ୍ରେଷ୍ଠାଙ୍ଗରେବଲୁବୁ  
ମିଳେବାନ୍ତିରେ ତା ପ୍ରାଣିରୀଳ ମେଳିବାନ୍ତିରେ ପ୍ରାଣିରୀଳ ଧିନ୍ଦାନ୍ତିରୀଳ ପ୍ରାଣିରୀଳରୁ  
ଏହିପାଇଁ ପ୍ରାଣିରୀଳ ମେଳିବାନ୍ତିରେ ପ୍ରାଣିରୀଳ ଧିନ୍ଦାନ୍ତିରୀଳ ପ୍ରାଣିରୀଳରୁ  
ଏହିପାଇଁ ପ୍ରାଣିରୀଳ ମେଳିବାନ୍ତିରେ ପ୍ରାଣିରୀଳ ଧିନ୍ଦାନ୍ତିରୀଳ ପ୍ରାଣିରୀଳରୁ  
ଏହିପାଇଁ ପ୍ରାଣିରୀଳ ମେଳିବାନ୍ତିରେ ପ୍ରାଣିରୀଳ ଧିନ୍ଦାନ୍ତିରୀଳ ପ୍ରାଣିରୀଳରୁ

ლება მოესპო, რომ ამ ნაყოფიერს შემოქმედების წყაროს გასცნობოდა და თვითონაც ამ მოძრაოს მის მიზარება გამოპარვია: თურქთა მახლობელ აღმოსავლეთში და მცირე აზიაში ყოფნა იმდენად ხანგრძლივი ისტორიული ამშავი იყო, რომ ას ცვლილება, რომელიც თანდათან ხდებოდა, ქართველებისათვის ისე საგრძნობი არ აღმოჩნდა, როგორც დასავლეთ ეკრიპტისათვის, რომელიც დაც მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა.

## სამხედრო კოლეგიუმი გეგმა ისეალტა კონსტანტინევოლიტგან განსაღებელ

დამახასიათებელია, რომ კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან აღებას ყველაზე უწინარეს სწორედ დასავლეთ ევროპაში მიაქციეს ყურადღება: რომის პაპმა ნიკოლოზ V-მ მაშინვე სცადა ბიზანტიის დედაქალაქის თურქეთს მახლოთაგან განსათავისუფლებლად ჯვარისანთა ომი მოწყონ, მაგრამ ვერას გახდა: მისი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. მისმა მოადგილებ კალისტ III-მაც ევრაფერი მოახერხა. მაშინ ჯვარისანთა ომის მოწყობისათვის ევროპაში უკვე შესაფერისი პირობები აღარ არსებობდა, არც რომის პაპის ქადაგებას-ღა ჰქონდა ისეთი ყოვლად ვადაწყვეტი გავლენა, როგორიც წინათ. ბიზანტიის დედაქალაქისათვის თავის შეწუხება ევროპაში არავის პეტრი, რამდენადაც ეს მათთვის უშუალო საშიშროებას არ წარმოადგენდა. ორგზისი ცდის უნაყოფობისდა მიუხედავად რომის პაპმა პიონ გადასწყვიტა დასახული მიზნისათვის ისეთი გეგმა შევღინა, რომ მის განსახორციელებლად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა სახელმწიფოებს მიეღოთ მონაწილეობა: ოსმალეთის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპიდან უნდა წამოსულიყო მხედრობა და აღმოსავლეთის ქრისტიანებსაც, ოსმალთა საბრძნებლის სათანადო თემებში თურქთა მრავალრიცხვოვანი ჯარის დასაბანდებლად აღმოსავლეთიდან უნდა დაეწყო შეტევა; ოსმალებს მაშინ საშუალება არ ექნებოდათ მთელი თავისი სამხედრო ძალა ევროპაში გადაეტანათ.

რომის პაპი პიონ რომ საეკლესიო კრებაზე თავის გეგმის წარსადეგნადა და თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობის მოსაწყობად მანტუაში გაემგზავრა, ამავე ღრის მახლობელ აღმოსავლეთში მან თავის დესპანად ლუდი გიკო ბოლონიელი გამოგზავნა მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოების განზრახულ გეგმაში მხურვალე მონაწილეობის მიღებაზე დასაყოლიერლად.

## რომის პაპის დესპანის საქართველოში გიუშება და ჩართვებ კოლიტიკოსთა ფასთო გეგმა

რომის პაპის დესპანი უპირველესად საქართველოს ესტუმრა, რათან მისი გეგმის მთავარი ნაწილი ამ საქმეში სწორედ საქართველოს პოლიტიკურსა და სამხედრო მონაწილეობას გულისხმობდა. 1459 წელს ლუდვიგი ბოლონიელმა გორგაზი შეფეს თავისი ეკლესიის უფროსის გეგმა გადაუშალა ოსმალთა ხელიდან კონსტანტინეპოლის გამოსაცდებულად. ამ განზრახვის საქართველოს პოლიტიკის მესვეურნი მეტად მოხიბლა და ისე გაიტაცა, რომ მათ ამაზე მეტის განხორციელებაც-კი გადაწყვეტის.

მართალია, რომის პაპის დესპანის მოსვლისას, საქართველოში მეფე-მთავრებს შორის შინაური უთანხმოება იყო, მაგრამ ლუდოვიკი ბილონიელმა სცადა .ისინი ერთი-ერთმანეთთან შეერიგებინა. დასახული გეგმის მიმმინდველობით, ყვარცყარა ათაბაგა და საქართველოს შეფეს შორის შეთანხმება მოხერხდა: 1459 წელსვე გორგაზი მეფესა და მთავართა შორის ზავი დაცდო და განზრახული გეგმის განსახორციელებლად მსჯელობა დაიწყო.

რომის პაპა და დასავლეთის პოლიტიკოსებს უპირველესად კონსტანტინეპოლის თურქთა ხელიდან გამოგდება აინტერესებდათ, ქართველებისათვის-კი მარტო ეს საკითხი არ იყო საჭირობოროტო. ამ დროისათვის მათ უკვე თურქ-ოსმალთა გაძლიერების მთელი საშიშროება იგრძნეს, ამიტომ უნდოდათ ამ შემთხვევით ესარგებლათ და მცირე პასაში თურქთა პოლიტიკური ძალა მოესპონთ, რომ მომავლისათვისაც მათი საშიშროება სამუდამოდ ჰქონდათ თავიდან აცილებული.

ამრიგად, ქართველ პოლიტიკოსთა აზრით გეგმა გაცილებით უფრო ფართო უნდა ყოფილიყო. ფართო გეგმის განხორციელებას-ჴი, რასაკვირველია, უფრო მეტი მონაწილენიცა და უფრო მრავალრიცხოვანი სამსედორ ძალაც სჭირდებოდა, თუ რომის პაპი უმთავრესად ქრისტიანთა შინაწილეობას გულისხმობდა. რაც ქართველები დასახულ ამოცანას ასე აფართოვებდნენ და მიზნად თურქ-ოსმალთა განადგურება ჰქონდათ დასხული, ის სამხედრო ძალა, რომლის გამოყვნა საქართველოს შეეძლო,— 70 ათასი ჯარისკაცი, რასაკვირველია, სრულებით საქმარი არ იყო. ამრომ საქართველოს პოლიტიკოსებმა გადასწყვიტეს, რომ უნდა მეზობელ ბერძნებისათვის, ტრაპიზონის სამეფოს კეისრისათვისაც და მცირე სომხეთის მმართველისათვისაც მიემართათ. მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილნენ: მათ გადასწყვიტეს, რომ შესაძლებელი იყო ოსმალთა წინააღმდეგ თვით მახლობელი აღმოსავლეთის იმ მაქმადიან მმართველთა ძალაც-კეყოფილიყო გამოყენებული, რომელთაც ოსმალებთან დაუძინებელი მეტოქეობა და შტრობა ჰქონდათ.

საქართველოს პოლიტიკური მოქადაგები სახალხო

## წიცალმდეგ განზრახულს ბრძოლაში

ამ გეგმის თანახმად მათ მოლაპარაკება დაიწყეს კიდეც ტრაპიზონის კეისართან, მცირე სომხეთის პატრონთანა და ერანის მბრძანებელთან. და ვით ტრაპაზონის მცირე 30 ათასი ჯარისაცისა და 30 კატარის გამოყვანას შეპირდა. მცირე სომხეთის პატრონმა 20 ათასი მოლაშერის გამოყვანა იყისრა თვის თავზე და უკვე ამის წყალობით მარტო მახლობელ აღმოსავლეთის ქრისტიან სამფლობელოების ჯარის ჩა-ოდენობა 120 ათასს მებრძოლამდე ვიდა და 30 სამხედრო კატარიაც შესაძლებელია ჰყოლოდათ.

ცხადია, იმ ფართო გეგმისათვის, რომელიც ქართველებს ჰქონდათ და-სახული, მებრძოლთა არც ეს. ოდენობა იყო საკვარისი. ერანის მბრძანე-ბელს უზუნ-ჰასანს უნდოდა თავისი სამფლობელოები ისევე გაედიდები-ნა, როგორც იმსალებმა მოახერხეს. ამის ვამო, რასაკვირველია, ის შურის თვალით უყურებდა ოსმალთა გაძლიერებას და. მათ შორის მეტოქეობა უაღრესად იყო გამწვავებული. ამით ისარგებლეს ქართველმა პოლიტი-კუსებმა და უზუნ-ჰასანს წინადადება მისცეს ოსმალთა წინააღმდეგ გან-ზრახულ ლაშერინობაში მონაწილეობა მიეღო. იმისდა მიუხედავად, რომ ისიც მაჰმადიანი იყო, მან მონაწილეობის მიღება სიხარულით ცისრა, რასაკვირველია, იმ იმედით, რომ სამაგიროდ შესაფერისს ტერიტორი-ულ ჯილდოს მიღებდა.

გეგმის ასეთი გაფართოება ცხადყოფდა, რომ საქართველოს მაშინდელ პოლიტიკოსებს ქარგად არ ჰქონდათ წარმოდგენილი დასავლეთ ეპრი-პის იმდროინდელი მდგომარეობაცა და ოსმალეთის მთელი ძლიერებაც მახლობელ აღმოსავლეთში ასეთი ღიალობატიური გამარჯვებით აღ-ფრთოვნებულმა, ქართველმა პოლიტიკოსებმა დასავლეთ ევროპაში თავიანთი დესპანები გაგზავნეს იქაურ ქრისტიან სახელმწიფოების წარ-მომადგენლებთან ერთად ამ გეგმის განხორციელების შესახებ საბოლოოდ მოსალაპარაკებლად.

საქართველოს და მის მოქადაგების დასახლების  
გაშგავრება დასავლეთ მდგრადი საბოლოო გეგმის  
შესაღვევად და შესათანხმებლად

ლუდოვიკო ბოლონიელის წინამდლოლობით ისტორი საქართველოდან ჩიდოლოეთის გზით გაემგზავრნენ, რადგან იმ დროს ასეთი მიზნის დამ-სახველი თავისებური კოალიციის წარმომადგენლებს კონსტანტინეპოლ-ის მგზავრობა ხიდათის მეტს ასაფერს უქადდა.

საქართველოს მეფის დესპანს ნიკოლოზ ზესაბადიან გასადა.

ამ დესპანობაში მონაწილეობას იღებდა ყუარყუარა ათაბაგის ელჩი, კოლაც ქასა და ნი, დავით ტრაპიზონის კეისრისა—მი ხეილი, მცირე სომხეთის მთავრისა—მორი ალო და უზუნ-ჰასანისა—მაჲ მედი.

ჩრდილოეთის გზით მიმავლებმა უნგრეთამდის რომ მთალწიეს, იქითგან ჯერ გერმანიაში მივიღნენ და ფრედერიკი იმპერატორს წარუდგნენ სადარბაზოდ, რომელსაც საქართველოს შეფე-მთავრების სალიმი მოახსენეს. გერმანიდან იტალიაში გაემგზავრნენ და ქალაქ ვენეციაში ჩავიდნენ თუ არა, ამ რესპუბლიკის სენატმა ისინი დიდი ზეიმით მიიღო. 1460 წელს-კი ყველა ეს პირები უკვე რომში იმყოფებოდნენ.

## გეგმის ჩაულა

საქართველოდან ჩასულ დესპან-ელჩებს რომშიც საზეიმოდ დაუხვდნენ: საგანგებოდ დანიშნული პირები, სასულიერო დასწიც მოაგებეს, სამთავროს სასახლეში შესაფერის სადგომიც დაუშადეს, მაგრამ მაინც რომში ყოფნისას დესპანებს სასიხარულო არაფერი დაჭხვედრით. ამ დროისათვის უკვე გამორკვეული იყო, რომ რომის პაპის ყოველივე ცდა ამაო გამოიდგა და გეგმა სრულებით უნიადაგო აღმოჩნდა. არც საეკლესიო კრებამ, არც დასვლეთ ევროპის პოლიტიკოსებმა ამ გეგმას არავთარი ყურადღება არ მიაქციეს: განზრაახული ომის მოწყობა შეუძლებელი შეიძნა და საქმე უნდა მთლიანად ჩაშლილიყო. რასაკვირველია, საქართველოდან და მახლობელ აღმოსავლეთიდან ჩამოსულ დესპანების კალიციაშე ამ ამბავს თავზარდამცემი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. მაინც რომ გული მთლიანად არ გაეტეხათ, რომის პაპმა ურჩია: დასავლეთ ეპროპის ქრისტიან სახელმწიფოების მესვეურთ თქვენ თვითონ მიმართეთ და. სთხოვეთ, რომ ამ გეგმის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ.

მართალია, ქართველები და მათი მოყავშირეები სწორედ დასავლეთ ეპროპის ქრისტიანეთა და რომის პაპის თაოსნობით და წინადადებით იყვნენ ჩასული, ახლა-კი საქმე ისე დატრიალდა, რომ საქმე თვითონვე გაუხადეს სახვეწნად, მაგრამ, რაფი სხვა გამოსავალი არ იყო და სამშობლოში და ქვეყანაში უკან ისე დაბრუნება, რომ ერთხელ მაინც განზრაახული გეგმის განხორციელების შესაძლებლობის გამორკვევა არ ეცადათ, მიუტევებელი დანაშაულება იქნებოდა, ამიტომ მათ რომის პაპის ამ ჩერვი-სათვის უნდა ყური ეგღოთ. 1460 წელს საქართველოს დესპანები საფანგეთის მეფეს კარლოს VIII-ს წარუდგნენ კიდეც და ოსმალეთის წინააღმდევ თმში მონაწილეობა სთხოვეს. რასაკვირველია, ამ თხოვნითაც არა გამოსულა რა: დესპანები ჯერ კიდევ საფრანგეთიდან წამოსული არ იყვნენ, რომ კარლოს VII გარდაიცვალა და მათ საშუალება ჰქონდათ მისი შეილძლის ლუდოვიკოს მეფედ კურთხევას დასწრებოდნენ. საქართველოს დესპანებმა მასაც სთხოვეს ხელახლა, მაგრამ არც ამით გამოსულა რამე.

რაკი მათი მოგზაურობა დასავლეთ ევროპაში ასე უნაყოფო გამოდგა, ისინი ხელცარიელები უნდა დაბრუნებულიყვნენ. ყველაზე მეტად ამ საქართველოს ჩაშლილ უნდა საქართველო ყოფილი შეშფოთებული, რამდენადაც პოლიტიკური გეგმის ფართო დასახვა საქართველოს თაოსნობით მოხდა და ამ ფართო გეგმის ჩაშლაც მახლობელ აღმოსავლეთში იმდენად დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთა მარტივად არ შეძლება ყოფილიყო მიჩნეული, რათგან ისინი მახლობელ აღმოსავლეთს ძალშე დაშორებულნიც ბყვნენ, რამდენადაც საქართველოსათვის, რომელც მახლობელ აღმოსავლეთში მათი მეზობელი იყო და რომლის პოლიტიკური ზრახვები თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ეხლა უკვე აღარავითარ სპილენძებას აღარ წარმოადგენდა.

### შინაური ზავის ჩაშლა საქართველოში; გიორგი მეფესა და უცარებარა ათაბაგს შორის ბრძოლის განახლება

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანეთა შეერთებული ლაშქრობის გეგმის ჩაშლასთან ერთად, დღემოკლე აღმოჩნდა აგრეთვე საქართველოს მეფე-მთავრებს შორის დადებული 1459 წლის ზავის ხელშეკრულებაც. ამაზე უფრო უარესი ის იყო, რომ, გარეშე მჭრის დიდი განსაცდელისადა მიუხედავად, საქართველოს შინაურობაში ისეთი დაუნდობელი მტრობა ატყდა, რომელიც საქართველოს საზღვრებზე მოზღვავებული მტრის მოქმედებას ყოველნაირად უწყობდა ხელს.

სწორედ ის პირი, რომელმაც საჭიროდ დაინახა, დასავლეთ ევროპაში გაგზავნილს დელეგაციაში თავისი დესპანიც აუცილებლად გაერია, ყუარყუარა ათაბაგი, ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელმაც საქართველოში შინაური ბრძოლის კოცონი კვლავ დაანთო: განახლდა ბრძოლა გიორგი VII-სა და ყუარყუარა ათაბაგს შორის. მათი დამოკიდებულება იმდენად გამწვადა, რომ საშედრო ბრძოლითაც-კი დამთავრდა. შესხეოს მთავარს თავის თავისთვის ნება მიუცია, რომ საქართველოს მეზობლად მყოფი ერანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანიც-კი გამოეყენებინა. თუ წინათ უზუნ-ჰასანი საქართველოს მეფის მოკავშირე იყო ოსმალთა წინააღმდეგ განზრახულ ბრძოლაში, ეხლა, ყუარყუარა ათაბაგის წყალობით, უზუნ-ჰასანი უნდა მას ღაპხმარებოდა თვით საქართველოს მეფის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ერანის მფლობელისათვის სულერთი იყო, საღ შესძლებდა ის და რა გზით მოახერხდა თავის სამფლობელოს გადადებას. უზუნ-ჰასანი 1462 წელს მოვიდა სამცხეში და ყუარყუარა ათაბაგს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მიეშველა. ამის წყალობით ყუარყუარა ათაბაგმა გამარჯვებაც მოიპოვა.

ბაზრატის აჯანელება გიორგი მეურის  
ჭირააღმდეგ და მისი გამარჯვება ჩიხორთან

ათაბაგის გამარჯვება საკმარისი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე მდგომარეობა წინანდელზე უფრო გართულებულიყო. მებრძოლთა შორის ბაგრატიც გამოჩნდა, რომლის ვინაობის შესახებ მანამდე ცნობები არ მოვცემოვება; მაგრამ რომელიც, ყოველ შემთხვევაში, მეფეური შთამომავლობისა არ ყოფილა. ქუთაისის სანახებში, ე. ი. სამოქალაქოში, მას საქეცყნოდ გამრიგის თანამდებობა ჰქონდა და ამიტომ ქუთაისიც მას ექვემდებარებოდა. გიორგი მეფემ ამ ბაგრატის ორ ჭოთული ქცევისათვის ქუთაისი წაართვა. მაშინ ბაგრატი გიორგი მეფეს უკვე ცხადად აუჯანყდა და ისეთ მდგომარეობაში ჩააგდი, რომ ან სამხედრო ძალით უნდა დაემორჩილებინა, ან და ასპარეზი მისთვის დაეთმო.

მეფესა და აჯანყებულ ბაგრატს შორის სკანდალი ციხისა და ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქ. ჩიხორთან 1463 წელს დიდი ბრძოლა მოხდა. სასტიკი სისხლის ღვრის შემდგომ, გიორგი მეფე დამარცხდა. მოწინააღმდეგთა შორის იმდენად დაუნდობელი ბრძოლა იყო, რომ ამ ბრძოლის ერთი მონაწილეთაგანის სიტყვით ისრისა, ხმლისა და შუბისა გან 24 ჭრილობა მქონდა. როდესაც ბრძოლის ველიდან თავის დაწევა მოვახერხეო.

დილგვანიან აზნაურთა პოლიტიკური განაწილება  
და ჩუარჩუარა ათაბაგის ღალატი

რასკვირველია, ბაგრატს ასეთი გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ზოგიერთი დიდგვარიანი აზნაურის მოღალატური ქცევის წყალობით შეეძლო. მაშინდელ დიდგვარიანთა საგვარეულოებში იმდენად იყო შეპარული ბოლოტიყური გახერმილება, რომ ცალ-ცალკე ჯვანის წევრებიც-კი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ: ზოგი ბაგრატის მომხრე იყო, ზოგი გიორგი მეფეს იცავდა. ბაგრატს გამარჯვების დროს გიორგი მეფის არა ერთი ერთგული აზნაური ჩახვარდნია ხელში.

ოღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლისას გიორგი მეფემ ბაგრატის მომხრე დიდგვარიან აზნაურებს შავი დღე დღე დააყენა. ყველანი დააჭირინა და გამოუცხადა: თუ ბაგრატს ჩემს ერთგულ დაჭერილ აზნაურებს არ გამოაშვებინებთ, არც ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო. თუმცა ჯგუფის ერთმა მეთაურობაგანმა, ზევდგინძემ, პირობა მისცა, რომ ამას მოახერხებდა. ჩითაც თავისი ცხადი ორჭოფობა და ბაგრატის მოკავშირეობა გამოამუდავნა, მაგრამ შეპირების ასრულება ვერ მოახერხა, ბაგრატს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, შეესრულებინა ას, რაც გიორგი მეფემ ამ აზნაურს ძალით დასტყუა.

თუმცა ბაგრატმა ჩიხორთან გაიმარჯვდა, მაგრამ ქუთაისის დაპყრობა მაინც ვერ შესძლო; ვერც აღმოსავლეთ საქართველოში მოიკიდა ფეხი; გორი ყოველ შემთხვევაში ხელში ვერ ჩაიდო. მრიგად, ბრძოლის საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ გამოუჩვეველი იყო. და მხოლოდ ოფითონ გორიგი VII-ის დაბეჭულობაში შეუწყო ხელი. მის მოწინააღმდეგეს, რომ მოპოვებული უპირატესობა სრულ გამარჯვებად ექციათ. ამგვარი მარჯვე შემთხვევა ბაგრატს ყუარყუარა ათაბაგმა 1465 წელს ჩადენილი ღალატის საშუალებით მისცა: ამ წელს ათაბაგმა გიორგი მეფეს უღალატა და ტყვედ ჩაიგდო ხელში.

შეთქმულება წინასწარ იყო მოფიქრებული და მოწყობილი. ეს ამბავი ამგვარად მოხდა: 1465 წელს გიორგი მეფე თავისი ჯარითურთ ურჩი ყუარყუარა ათაბაგმა ღამასჯელად სამცხეში გაემართა. მაგრამ, სანამ განზრახულ ადგილს მცვიდოდა, ფარავანზე იყო დაბანაებული. ათაბაგმა შებრძოლება არ მოისურვა, არამედ გამარჯვების მოპოვება ვერაგობით სცადა და მეფის შესაბურობად და მოსაკლავად საიდუმლო შეთქმულება მოაწყო. გიორგი მეფეს ამ შეთქმულების ამბავი ერთმა განლობილმა კარის კაცმა, იოთამ ზე ვდგინ იძე მ ცნობა. თუმცა მეფემ ეს ცნობა არ ღაიჯერა, მაგრამ მაინც თვითონ, იოთამ ზევდგინიბის რჩევით, იმ ღამეს გაეცალა, იოთამ ზევდგინიძე-კი მეფის კარავში დაწევა. ყუარყუარა ათაბაგის თავსდამსხმელმა მოლალატებმა, რომელთაც იქ საქართველოს მეფე ეგულებოდათ, სამეფო კარავში მწოლარე იოთამ ზევდგინიძე სასიკვდილოდ დასჭრეს.

### გიორგი მეფის უშარქუარა ათაბაგისაგან შეართობა და გაბრატის გამეცვება

მეფეს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ მოტანილი ცნობა სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა და ამიტომ მან გადასწყვეტა, ყუარყუარა ათაბაგი სასტიკად დაესაჯა. დაიწყო ამ საქმის გამოძიება, რამაც ბუნებრივად მღელავრება გამოიწვია. ყუარყუარა ათაბაგმა ამ არევ-დარევით ისარგებლა. მეფეს 1465 წელს უეცრად თავს დაეცა, ტყვედ ჩაიგდო და სამცხეში წაცყანა.

კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც იქვე იმყოფებოდა, ამავე ბედი-ილბალს ძლიერ გადაურჩა: მან იქიდან გამოქცევა მოახერხა და ჯერ გორის ციხეში გამაგრდა. მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ყუარყუარა ათაბაგი მას კვალდაკვალ სდევდა და გორის ციხეს მოადგა, კონსტანტინემ გადასწყვეტა რომ კორში დარჩენა მისთვის უკვე სახითაო იყო, ლიხთ-იქერეთში. გადავიდა და ქუთაისის ციხეში გამაგრდა.

ბაგრატმა უმაღლ. ამ ატეხილი შინაური ბრძოლით ისარგებლა და, რაკი გიორგი მეფე დატყვევებული იყო, ხოლო კონსტანტინე ბატონიშვილი ჭართლიდან წასული აღმოჩნდა, ბაგრატი ქართლში გადმოვიდა და 1466

წელს თავისი თავი სრულიადი საქართველოს მეფეთ-მეფედ გამოაცხადა. ამსათვის ბაგრატის წინასწარვე ჰქონდა მოშზალებული ნიადაგი: მომხერე დიდგვარიანი აზნაურები დაფუცურდნენ და დავით ბატონიშვილს, რომელსაც დატრიალებული ამბებით გონება სრულებით დაბნეული ჰქონდა, შეუჩნდნენ, რომ მას ახალი პოლიტიკური მდგომარეობა ეცნო და ბაგრატი მეფედ ელიარებინა. იმ დიდგვარიან აზნაურებსაც და თვით დაკით ბატონიშვილსაც ამ შემახვევაში მხოლოდ საკუთარი საპატრიონებმა მამულების დაკარგვის შიში ამოქმედებდა. დიდგვარიანმა აზნაურებმა დავით ბატონიშვილი თავიანთ ნებაზე დაიყოლეს: ის ბაგრატის მიემხრო და ბაგრატი მეფეთ-მეფედ აღიარა.

საკი დავით ბატონიშვილი ბაგრატის დაემორჩილა, მას ქართლში მოწინააღმდეგ პრეტენდენტი უკვე აღარავინ აღმოუჩნდა, რათგან კონსტანტინე ბატონიშვილი დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში იყო გამაგრებული. ხოლო, საკი დასავლეთი საქართველოს დანარჩენი ნაწილი, ქუთაისს გარდა, იმსვე ბაგრატის ჰქონდა დაპყრობილი, ამიტომ კონსტანტინე ბატონიშვილსაც, რომელიც ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა, დიდანს წინააღმდეგობის გაწევა, ცხადია, აღარ შეეძლო. ამცტომ 1468 წელს ნოემბრიმდე ბაგრატისა და კონსტანტინეს შორის შშვილობიანი მოლაპარაკების გზით შეთანხმება მოხდა და ზავი იქნა დადებული: კონსტანტინე ბატონიშვილმა ბაგრატის მეფეთ-მეფობა სცნო და ბაგრატმა კონსტანტინე ბატონიშვილი თავის სიგელში თავის ძმადაც-კი გამოაცხადა.

## გიორგი მეფის შეასრულა ათაბავისაგან განთავისუფლება და გაგრატის წინააღმდეგ ბრძოლის ამაო ცდა

ყვარლყვარა ათაბაგი დარწმუნდა, რომ მისგან ატენილი არეულობით კველაზე მეტად სხვამ ისარგებლა: მას არაფერი შერჩა იმის გარდა, რაც წინათაც ჰქონდა: ქართლში მან გორის ციხის აღებაც-კი ვერ შესძლო, ბაგრატი-კი აღმოსავლეთ საქართველოში გაღმოვიდა და თავისი. თავი მეფედ აღიარა. იმ პოლიტიკური ზრაცხვებისათვის, რომელიც ყვარლყვარას ჰქონდა, მისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, რომ მოწინააღმდეგდ უფრო სუსტი ნებისყოფის პატრიონი, გორგი VII, ჰყოლოდა, ვიდრე ისეთი ენერგიული პიროვნება, როგორიც ბაგრატი გამოდგა. ამ გარემოებამ ყვარლყვარა ათაბაგი იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ მისი მოქმედების უკიდურესობა მცდარი აღმოჩნდა და მიზანშეწონილი არ იყო. მაშინ ყვარლყვარამ გორგი შეფე ტყვეობიდან გამოუშვა, რომ გიორგისა და ბაგრატს შორის ბრძოლა ატენილიყო. ეს ამბავი მალევე უნდა მომხდარიყო, ყოველ შემთხვევაში 1468 წლამდის, როდესაც კონსტანტი, ნე ბაგრატს შეურიგდა და მისი მეფეთ-მეფობა სცნო.

განთავისუფლდა, თუ არა, გიორგი მეფე ტყვეობიდან, მან თავის ხელისუფლების დასაბრუნებლად ქართლში ბრძოლა დაიწყო, მაგრამ დრღ-

გვარიან აზხაურთა წრეში ბაგრატს უკვე ბლობად ჰყავდნენ მომხრები გიორგი მეფეს-კი ისუთი დაბნეულობა ეტყობოდა, რომ მისი დროშის ქვეშ ამოდგომასა და მასთან ერთად თავგმოდებული ბრძოლის წარმოებას ველარავინ გაბედავდა:

გიორგი მეფემ არ იცოდა დიდგვარიან აზნაურთა შორის ვის მიპნდობიდა და ზოგიერთ შემთხვევაში თავისავე ერთგულ ყმებსაც არ ეხმარებოდა, როდესაც ბაგრატი მათ წინააღმდეგ მოქმედებას იწყებდა ხოლმე: ცხადად ჩანდა, რომ გიორგის მეფეთ-მეფობა აღარ შეეძლო და წინანდელი ხელისუფლების დასაბრუნებლად უკვე ყოველგვარი საშუალება დაკარგული ჰქონდა. ისიც შექმნილ ვითარებას შეურიგდა და კახეთმი გადავიდა.

### ბაგრატ VI (1466—1478 წ.)

ბაგრატ VI იქცა იმიერ-ამიერ საქართველოს მეფეთ-მეფედ 1466 წელს, მაგრამ ბრძოლა მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მთლად დამთავრებული არ იყო, რათგან კონსტანტინე ბატონიშვილი მას მხოლოდ 1468. წლისათვის შეურიგდა. ამ დროს-კი მას თავისი ხელისუფლების განმტკიცების სრული საშუალება ჰქონდა.

როდესაც ბაგრატმა საქართველოს მეფეთ-მეფის ხელისუფლება ჩაიგდო, ის 27 წლის კაცი იყო. მაშინდელი უცხოელი ავტორების ცნობით, ბაგრატი ლამაზი, ტანადი, მაგრამ ასირებული ქცევისა და ზრდილობის პიროვნება ყოფილა. საუბარიც შეუფერებელი სკოლნია: მას სიღინჯე ჰქლებია. ამასთანავე უაღრესად მკაცრი და დაუზოგავი მმართველიც გამოდგა.

### ბაგრატ VI-ის საბრძანებელის ვითარები და საზღვრები

ბაგრატი თავის თავს სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფედ სცნობადა და ასევე არის დაწერილი მისი სახელით ნაბოძები სიგელებიც: აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომხეთა მეფედ, შარვანშად და შაპანშად, ყოვლისა აღმოსავლეთ-დასავლეთის მბყრობელ ხელმწიფედ ასახელებდა ის თავის თავს. ნამდვილად-კი უკვე კარგა ხანია, რაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერების დროს, ისტორიულად შექმნილი ეს წოდებულება რეალურ პოლიტიკურ ვითარებას აღარ შეეფერებოდა: არც შაპანშას და არც შარვანშას წოდებულობა საქართველოს მეფეს აღარ ეკუთვნოდა: არც ერთი ამ სამფლობელოთაგანი საქართველოს კაზლვარში. აღარ იყო მოქცეული; ვიწროდ შემოფარგლული საქართველოს კველი ნაწილიც-კი იმ დროს ბაგრატის ხელთ არ იყო.

ბაგრატ მეფის უშუალო მფლობელობაში მყოფი ტერიტორია და აფლეთით ბედიანს საგამეეოს საზღვრით იყო შემოფარგლული, შავი

ზღვის სანაპიროდას მოყოლებული მდინარე ცხენიშვილამდე სწორებ ბედიანის საგამგეოს შეადგესდა. ამ საგამგეოში, ან სამთავროში აფხა ჟეთი, სამეგრელო, გურია და აჭარა შედიოდა. ჩრდილოეთით მას კავკა სიონის ქედი საზღვრავდა, სამხრეთით მდინარე ჭოროხი; ჭოროხს იქით უკვე ოსმალეთი იყო გაბატონებული; მას ჰქონდა ჩაგდებული საქართველოს ამაზე უფრო სამხრეთით მდებარე ყველა თემები.

ბათომი, იმ დროს პატარა ციხე-ქალაქი, საბედინოს ეკუთვნოდა. ამგარად, ბაგრატ მეფის უშუალო მფლობელობაში მყოფი მიწაწყლის დასავლეთის საზღვრაო ცხენის წყლიდან იწყებოდა, მთელი დანარჩენი ლიხთ-იმერეთი შედიოდა და აღმოსავლეთ საქართველოში კახთა მეფის საზღვრამდე, ღრწველა.

## ს ა გ მ დ ი ა ნ ო

საბედინოს მთავარს, ბათომს გარდა, კიდევ სამი ქალაქი ეკუთვნოდა: აფხაზეთში მდებარე სებასტონი, შავი ზღვის სანაპიროზე აგრეთვე ფირთი და შემდევ ჭადევ ერთი (Caltichea), აბრეშუმის ტილოსი და თაფლის საგვრო ცენტრი, სადაც საგარეო ვაჭრობა წარმოებდა ხოლმე. საბედინოს სამთავროს სათავეში ბერი დიანი იდგა, რომელ-საც ქართულ ძეგლებში და დანგური რიელი იყო ეწოდება იმის გამო, რომ ამ ხანაში გურიაც მას ეკუთვნოდა. ბედიანი, იგივე დადიან-გურიელი, ქართულ წყაროებში დიდი ერისთავთ-ერისთავის წოდებულობით არის ხოლმე მოხსენებული და ამაზე მეტს არც თვითონ და არც მისი თანამედროვენი ამ ხანაში ხმარობდნენ. 1470 წლითვან მოყოლებული 1474 წლამდის შამაღლა იყო ბედიანად, რომელიც თანამედროვეთა ცნობით 50 წლის შნოიანი აღაშიანი ყოფილა.

თუმცა ბაგრატ VI-ს სამფლობელო დასავლეთით ცხენის წყლიდან იწყებოდა, მაგრამ საბედინო მაინც მას ემორჩილებოდა, როგორც უზენაეს საჭეთმცყრობელს.

## 8 მ 6 6 6 0 7 0

საქართველოს სამხრეთ დასავლეთ თემს მესხეთი წარმოადგენდა, რომელიც ყვარცვარა ათაბაგს ჰქონდა ხელთ, ჯაყელთა საგვარეულოს ამ წარმომადგენელს, რომელიც გამუღმებით საქართველოსაგან გამოყოფის დაუცხრომელი წაღილით იყო შეპყრობილი. საათაბაგო ამ დროს დიდი სამფლობელო იყო: ჭოროხის იქით მდებარე მიწა-წყალი, მართალია; უკვე მას აღარ ეკუთვნოდა, არამედ ოსმალეთის სახელმწიფოს ჰქონდა ჩაგდებული ხელში; ამგვარად, შავშეთ-ქლარჯეთი და ტაოც, თავისთავად ცხადია, უკვე ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. მაგრამ დანარჩენი მესხეთი ყვარცვარა ათაბაგის ხელში იყო. მისი სამფლობელოს საქმიან დია-

და სივრცის გაძინ და მისი ენერგოული ხასიათის წყვილობით ყვარცყვარა  
ათაბაეს მეზობელთა შორის ძლიერი მბრძანებლის სახელი ჰქონდა დამ-  
ჭახურებული, მას კველანი უნებლიერ უშეცლნენ ანგარიშს. ყვარცყვარა  
ათაბაგიც, დამოკიდებლობის მოსაპოვებლად გამოყენებულ ყოველგვარ  
საშუალებათა მიუხედავად, არასდროს თავის თავისითვის სხვა წოდებუ-  
ლობას, საქართველოს ათაბაგისა და სამცხის სპასალარის ვარდა, არ  
ხმარობდა, ასევე უწოდებდნენ მას სხვა თანამედროვენიც. ვენედიკის  
აესპუბლიფის დესპანი-კი მას ახალცხის მთავრის უწოდებს და, რო-  
გორც ჩანს, ამ ხანაში მას მოკლედ ასე ეძახდნენ ხოლმე.

## ბაზრატ VI-ის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი ლოქის მთის გასწვრივ იყო, ლორის ველი და მთელი მთიანეთი-კი უზუნ-პასანს ეჭირა, ე. ი. ერანის მფლობელის ხელში იყო. მას ლორის ციხეში თავი- სი თურქი მეციხოვნენი ჰყავდა, რომელნიც ამგვარად ამ ძლიერ ციხეს ქართველთა შესაძლებელი თავდასხმისაგან ცცავდნენ. ამრიგად, ქვეყნის დასაცავად ესოდენ მნიშვნელოვანი ციხე საქართველოს დაკარგული ჰქონდა. უეჭველია, ლორის ველი მტერის იმ ღროს უნდა ჰქონოდა ჩა- ვარდნილი ხელში, როდესაც უზუნ-პასანი მესხეთში ყვარცყვარა ათაბა- გის საშველად მოვიდა.

ბაგრატის საბრძანებელში ორი დიდი ქალაქი, ქუთაისი და  
თბილისი იყო. თბილისი ისევე, როგორც წინათ, დედაქალაქიდ  
ითვლებოდა, ბაგრატიც იქ იმყოფებოდა. ქუთაისი უკვე ძალში დაპატა-  
რავებული იყო. იქ გორაქე ბაგრატ მესამის ტაძარი იდგა და ციხე-ქა-  
ლაქი-კი რიონის გამომავალი იყო მოთავსებული. ციხესა და ქალაქს  
ქვის ხიდი აერთებდა ერამანეთთან. სამეფო სასახლე რიონის პირას იყო  
აშენებული. დასავლეთ საქართველოში ქუთაისის ციხეს გარდა ბაგრატ  
VI-ის ძლიერ ციხედ სკანდალი ჰქონდა მიჩნეული, სადაც ბაგრატ VI-ის  
საზაფხულო სასახლე იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის შუა გულში, სხვებზე უფრო  
მნიშვნელოვანი გორის ციხე იყო, მაგრამ ამ ღროს გორის ცახე  
სის ნაგებობას წარმოადგენდა, ქვითურის ზღუდეები მაშინ მას არ  
ჰქონდა.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც ძევლად თავის სი-  
დიდითაც და სიმდიდრითაც იყო განთქმული, ამ ხანისათვის უკვე მტრის  
შრავალგზისი შემოსვის წყალობით წინადელთა შედარებით აგრეთვე  
შემცირებული იყო, მაგრამ ქალაქის ის უნები, რომელთავისაც მჯერს  
თავისი მსახურელი ხელი არ ჰქონდა დადგებული, იმ ხანაშიც კარგა მჭიდ-

როდ იყო დასახლებული. ქალგვი ლამაზი იყო, მხოლოდ მცხოვრებთა ნაკლებობა იყო საგრძნობი. თბილისის ზღუდეს ისნის ციხე წარმოადგენდა, რომელიც მთაზე იყო აგებული. ისნის ციხე იმ დროისათვისაც კარგ და მაგარ ზღუდედ ითვლებოდა.

## ბაგრატ VI-ის უგუნიური პოლიტიკა და საქართველოს მკლების მთლიანობის დარღვევის გცდელობა

ბაგრატ VI-ს ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ის სრულიადი საქართველოს მეფეთ-მეფედ არ იყო ქცეული და გიორგი მეფეს ხელისუფლების გამო ებრძოდა, გადადგმული ჰქონდა სეთი ნაბიჯი, რომელიც მის სრულ პოლიტიკურ სიბეჭეს ამჟღავნებდა. საქართველოში ანტიოკიელი რუსები და რუს ალექსე ლი პატრიარქი მის ხეილი ჩამოვიდა: როგორც წინათაც არა ერთხელ მოსულნი, ისცც, რასაკირველია, უმთავრესად, შეწირულებისა და ფულის შესაგრძოვებლად იყო გარჯილი მაგრამ ბაგრატმა მისი საქართველოში ყოფნით ცარგებლა და „მცნება საჯულო“ დაწერინა, რომელშიც საეკლესიო საფარველ ქვეშ სანტერესო პოლიტიკურ-ეროვნული დებულებები არის წამოყენებული. მას აღნიშნული აქვს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებულნი და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა. ქართული ეკლესიის მერმინდელი თვითმწყსობა და საეკლესიო თვითმმართველობა ანტიოქიელ-ერუსალიმელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული. იმ საფუძველით, რომ ის ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქად ითვლებოდა, მან, რასაკირველია, ბაგრატ მეფესთან შეთანხმებით და სათანადო ჯილდოს მიღების შემდეგ, აფხ ხ ა დ ქ თ ა ლ ი კ ი ს ა დ აკურთხა იოვანემე; რომელიც საქართველოს ეკლესიის კათალიკოს პატრიარქისაგან სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ ანტიოქელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა აფხაზეთის კათალიკოსი „საყდარსა ზედა ანდრია მოციქულისასა“ დასმულად აღიარა. ამავე დროს „საჯულო მცნებაში“ ნათქვამია, რომ ნინო ქართველთა განმანათლებელმა მხოლოდ ქართლი მოაცია, ანდრია მოციქულმა-კი დასავლეთი საქართველო გააქრისტიანა. ამით ანტიოქიელი იერუსალიმელ პატრიარქს მიხეილს საქართველოს საეკლესიო მთლიანობის დაშლა, [ჩაც] ბაგრატ მეფეს იმ დროს პოლიტიკური მიზნით სწადდა, უნდოდა, რომ ისტორიული საბუთით დაემტკუცებინა.

რავი იღმინსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობის სხვადასხვა მქადაგებლები ჰყავდა, ამით მას უნდოდა დაესაბუთებინა, რომ, მაშასადამე, აფხაზეთის კათალიკოსს დამოუკიდებლად არსებობისა და

თვითმწესობის უფლება პქრხდა: ის მცხეთის კათალიკოსისაგან არ უნდა ყოფილიყო ხელასხმული.

ამრიგად, ბაგრატ მეფის უგუნური ქცევისა და პოლიტიკის წყალობით, ანტიოქიელ-იერუსალიმელ ანგარ პატრიარქის დახმარებით ბოლო უნდა პოპლებოდა საქართველოს საეკლესიო მთლიანობაზე იერიში მესხეთის სამთავროდან იყო მიტანილი, ეხლა უკვე დასავლეთი საქართველოც უნდა ჩამოჰშორებოდა და პოლიტიკურ დაშლასთან ერთად პარალელურად საეკლესიო მთლიანობის რღვევაც დაიწყო.

დამახასიათებელია, რომ ამ მიხეილ პატრიარქმა აფხაზეთის კათალიკოსს მთელი იმერეთის, გურია-ოდიშის, აფხაზეთის, აჭარის, შავშეთის და კლარჯეთის ყველა ეკლესიები დაუკვემდებარა. ამგვარად, ქართველი ეკლესია სამ ნაწილად უნდა გაყოფილიყო. მხოლოდ საქართველოს დაუძინებელ მტერს შეეძლო ამისთანა საქციელი ჩაედინა და ესეც საქმაოდ ცხადყოფის, თუ რამდენად პოლიტიკურად ბეცი და საშუალებათა გაურჩეველი იყო ბაგრატ მეფე, შემდეგში მეფეთ-მეფედ წოდებული.

## ბრძოლა ეჩანსა და ოსმალეთის შორის და უზუნ-ჰასანის საქართველოში ზემოსვევის სამჯადისი

უზუნ-ჰასანი, როგორც უკვე დავრწმუნდით, მზად იყო ქართველებთან ერთად ეომნა ომმალეთის წინააღმდეგ, ოღონდ-კი ამისთვის შესაფერი-სი ტერიტორიული ჯილდო მიეღო და ის საბრძანებელი ჩაეგდო ხელში, რომელზედაც ასე გაფაციცებით ეჭირა თვალი. მაგრამ, როდესაც ეს ოცნება უნიადავი გამოდგა, ის მათც ცდილობდა, ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოსა და საქართველოს მოკავშირეობით ოსმალეთს შეკმიბოლობდა.

უზუნ-ჰასანი ამ დროითგან მოყოლებული განზრას ეხმარებოდა თითოეულ ისეთ პირს, რომელიც ოსმალებს აუჯანყდებოდა და განსაკლელისაგან თავის დასახცევად მათ გამოექცეოდა. 1471 წელს ოსმალებმა ყარამანის ამირას აპმედს სამფლობელო წაართვა. იგი, რასაკვირველია, მაშინვე უზუნ-ჰასანთან გამოიქცა, რომელმაც ამ შემთხვევით ისახებდა და თავისი მრავალრიცხვები ლაშქრითურთ ისმალეთს შეესია. ერავნის მბრძანებელმა ოსმალების დამარცხება მოახერხა და ყარამანის სამფლობელოს დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდო. უმაღლ უზუნ-ჰასანმა იქ თავის ყმადნათცეად ამირა აპმედი დასცა. ერანის მბრძანებელი ამ დროს მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა და იმის იქით უკვე აღარ დაძრულა. დაპყრობილ ქვეყანაში მან თავისი ათი ათასი მოლაშქრე დასტოვა, თვითონ კი ერანში წამოვიდა.

ოსმალებმა, რასაკვირველია, 1472 წელს ამ ათი. ათასი ჯარისკაცის განადგურება აღვილად შესძლეს. ერანის მბრძანებელის დასასჯელად მრავ-

ვალრაცესფინქ ჯარითურთ თვითონ ისმალეთის სულტანი მუჰამედი წამოვიდა. მაშინ-კი უზუნ-ჰასანშა იგრძნო, რომ ხემჩობა საქმე არ იყო, ამიტომ საქართველოს სოხოვა დახმარება გაუწია ისმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს მთავრობამ უარი შეუთვალა.

საქართველოს უარი იმით იყო გამოწვევული, რომ 1459 წელს შემდგომ პოლიტიკური ეკითარება უდივ შეცვლილი იყო, თვითონ ერანის მფლობელმაც საქართველოს ერთი თემის ხელში ჩაგდება იყადრა და, ამგარად, მტრული მოქმედებით თავისი ზრახვები გამოამჟღავნა. მეორე მხრით, ისმალეთის სახელმწიფოს საზღვარი საქართველოს დასავლეთით უკვე ჭოროხამდის იყო მოსული. საქართველოს მთავრობისთვის ცხადი შეიქმნა, რომ საქართველოსათვის არც უზუნ-ჰასანის გამარჯვება იყო ხელსაყრელი. პირიქით, ორი ძლიერი მაპმადიანი სამფლობელოს სამხედრო შეხელა და ძლიერი ბრძოლა საქართველოსთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, რამდენადაც ერთ-ერთი მათგანი უეჭველად უნდა დასუსტებულიყო.

უზუნ-ჰასანისა და სულტან მუჰამედის სამხედრო ძალებს შორის თერჯანის გახლობლად დიდი ბრძოლა მოხდა. ისმალებმა გაიმარჯვეს და დამარცხებული უზუნ-ჰასანი იძულებული იყო უკან დაეხია. კვალდაკვალ დადევნებულმა ისმალებმა ერანის მბრძანებელი ისეთ მდგომარეობაში ჩაგდეს, რომ მას მოს გაგრძელება აღირ შეეძლო. უზუნ-ჰასანი თავის სამფლობელოში დაბრუნდა და მეზობლებს, რასაკირველია, უპრველესად, საქართველოს, რომელმაც დახმარება არ გაუწია ისმალებმის წინააღმდეგ, მუჰარას მუქარაზე უთვლილა. მაგრამ შემდეგ პოლოტიკური მოსაზრებით მან თავისი ვნებათა-დელვა დაიმორჩილა და დაწყნარდა.

## უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსვა

ერანის ბატონის იდუმალად გადაწყვეტილი ჰერონდა ქართველები და საქართველო დაუშმარებლობისათვის სამაგალითოდ დაესაჯა, მაგრამ, ის დიდი სამშადიის, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ გამოსალაშექრებლად აწარმოებდა, ისეთი საცდუმლოებით ჰერონდა მოწყობილი, რომ საქართველოს წინააღმდეგ მისი ამხედრების შესახებ არავის ფიქრად არ მოსვლია. საქართველოს მთავრობის შესაცდენად მაშინაც, როდესაც ის 1477 წელს თავის მრავალრიცხვანი ჯარითურთ დაიძრა, საქართველოზე მომავალმა პირდაპირი გზა-კი არ აირჩია, პრამედ თავისი ლაშექარი, რომელიც 40 ათასი ცხენოსანი და ქვეთი ჯარისკაცისაგან შესდგებოდა, შვიდად. დღის განმავლობაში სულ სხვა გზაზე დაყენა. მხოლოდ შვიდი ღღის ამ სხვა მიმართულებით სიარულის შემდგომ, მან თავის საშედრო ძალას უკრად პირი საქართველოსაც აბრუნებინა და დიდი სისწრაფით შემოესდა.

სამხედრო საიდუმლოების ამგვარად დაცვის საშუალებით, ერანის მბრძანებელს შექმნო სრულებით მოუმზადებელს ბაგრატ VI-ს თავს დასხმოდა. უზუნ-ჰასანის ლაშქარმა თბილისამდე მოაღწია. ქართველებმა მაინც ამბის გაეგბისთანავე აყრა და გახიზნვა მოასწრეს თბილისისა და მისი მთელი სანახების მოსახლეობა აყრილი იყო. ერანის ლაშქარს საშუალება ჰქონდა მხოლოდ სოფლები და ნაგებობანი გაენაღურებინა, აქციდან მან თავისი სამხედრო ძალა გორისაკენ დასტრა, მაგრამ იქც ისეთსავე მდგომარეობას წაწყიდა: ხალხა ყველგან გახიზნული დახვდა. უზუნ-ჰასანმა ამ შემთხვევით ისარგებლა და თბილისიცა და გორიც უბრძოლველად ჩაიგდო ხელში. ცხადია ერანისთვის ეს ხელსაყრელი იყო.

### გაგრატ VI-ის უმორგა და დაზავების ცდა

ბაგრატს არც გამპედაობა, არც საჭირო თაოსნობა არ აღმოაჩნდა, რომ მას შემდგომ მაინც, რაც მტერი შემოესია, ძალა მოეკრიფა და უზუნ-ჰასანის ლაშქრისათვის სადმე წინააღმდეგობა გაეწია. პირიქით, ბაგრატს მალე სურვეილი აღეძრა უზუნ-ჰასანს დაწავებოდა უზუნ-ჰასანმა ზავის საფასურად საქართველოს 16 ათასი დუკატი (ე. ი. ოქროს ფული) ყოველწლიური ხარჯის გადახდა მოსთხოვა. ამასთანავე თბილისის, ვითარება მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის, ხელში ჩაგდებაც ჰქონდა გადაწყვეტილი. თუმცა ბაგრატ VI-მ თანხმობა შემოუთვალი უზუნ-ჰასანს ფულის გადახდაზე, მაგრამ, როდესაც ამ 16 ათასი დუკატის დათვლა იყო საჭირო, სამაგიროდ თანაბარ ღირებულებად ოთხი დორი მონოლოური ოქროს ბალიში (ბალიში ფულის სახელი) შეაძლია, რაც უარყოფილ იქნა უზუნ-ჰასანის მიერ და საზაფო მოლაპარაკება ამის გამო შეწყდა.

უზუნ-ჰასანმა მაშინვე განაახლა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ და ქართლიდან დასავლეთ საქართველოში-კი არ გადავიდა, არამედ მოქმედების აპარეზად სამცხე აქცია.

### უზუნ-ჰასანთან დადებული ზაგის პირობები და უმდები

ყვარყვარა ათაბაგი, რომელიც საქართველოს მეფესთან ბრძოლაში ასე დახელოვნებული იყო, ერანის მფლობელს, თავის წინანდელ მოკავშირეს, მაინც ვერ გაუმქლავდა: უზუნ-ჰასანს შექმლო ქვეყანა აეოსრებინა და ნაღავლი წაელო. ბაგრატ VI და ყვარყვარა ათაბაგი ამ გარემოებამ ისეთ დასკნელდე მიიყვნეს, რომ ისევ დაზავება იყო უყენესი, რათგან, რაკი მათ წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ქვეყნის აოხრების მეტი, ბრძოლის გაგრძელების არაფერი შეეძლო მოეტანა. 16 ათასი დუ-

კატის გადახდას დათანხმდნენ და ყოველწლიური ხარჯის მიცემაც იქის-  
რეს, უზუნ-ჰასანი ამის შემდგომ საქართველოს საზოგადოებიდან გავიდა,  
მაგრამ ლორის ველი მანიც წინანდებურად თავისად დაიჭირა, არც თბი-  
ლისი დასცალა, 6 ათასი ტყვეც წაიყვანა საქართველოდან.

## საქართველოს დამარცხების მიზანი

ამგვარად, საქართველო უზუნ-ჰასანის მოქმედებით და ბაგრატ VI-ის  
ტარული უმოქმედობის წყალიბით, ძალიან მძიმე მღვიმარეობაში იყო ჩა-  
გდებული: შინაური შუღლისა და დამლუპველი ბრძოლის შედეგი მთელი  
თავისი სამიზნელებით გამომჟღვნდა. ბაგრატ VI-მ და ყველყველა  
ათა-  
ბაგმა, რომლებმაც საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დაზღვევას  
ასე გაშემაგებით შეუწყეს ხელი, თავიანთვე უგუნური პოლიტიკის  
მსხვერპლი თვითონვე შეიქმნენ, მაგრამ ამაზე სამწუხარო ის ცუ, რომ  
ამ მსხვერპლის მოელი საშინელების ატანა იმდენად მათ არა, რამდე-  
ნადაც ხალხს უხდებოდა. საქართველოს ჯერ კილევ გიორგი მეფის დროს  
70 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო, უზუნ-ჰასანს-კი 40 ათასზე მე-  
ტი მოლაშქრე არ მოუყვანას თან, როდესაც საქართველოს შემოესია. სა-  
ქართველოში რომ თანხმობა ყოფილიყო, ცხადია, საქართველოს არამც  
თუ მტრის მოგერიება შეეძლო, არამედ თვითონაც სამაგიეროს გადახ-  
დის საშუალება ექნებოდა და უზუნ-ჰასანის დამარცხებასაც შესძლებდა,  
მაგრამ შინაური ბრძოლით და ქვეყნის ოხრებით გაწამებული ხალხი  
და პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველო მტრის თარეშის ასპა-  
რეზად უნდა ქცეულოყო.

## ქოცეტანტივე მეფე

ბაგრატი VI გარდაიცვალა თუ არა, სამეფო ტახტზე ასვლა. მისმა შეიღმა ალექსანდრე მ სცადა, მაგრამ ეს ხელისუფლება ვერ შეინარჩუნა და იძულებული იყო ოაჭა-ლეჩესუმში გამაგრებით დაქმა-ყოფილებულიყო. ბაგრატ VI-ის მაგივრ 1479 წ. კონსტანტინე ბატონი შევილი იყო გამეფდა, რომელიც გიორგი VII მეფეთ-მეფის ძმის დამიტრის შეიღმა იყო. თნამეცხელრედ მას თამარი ჰყავდა, რომ-ლისგანაც სამხ ვაჟიშვილი, დავითი, გიორგი და ბაგრატი ა შეეძინა.

## ქოცეტანტივეს საბაზის მიმღები

თუმცა კონსტანტინე თავის თავს საბუთებში წინანდებურად მეფეთ-მეფესა და ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის ორისავე სამეფოს გამიერ-თიანებლად უწოდებდა, მაგრამ მასაც ლიხთ-ამერეთის ისეთი თემი, რო-გორიც ჰერეთ-კახეთი იყო, არ ემორჩილებოდა. ჰერეთ-კახეთს უკვი-თავისი მეფე ჰყავდა: 1476 წლიდან იქ გიორგი მეფეთ-მეფის ძე ალექ-სანდრე მეფობს, რომელიც თავის თავს მხოლოდ მეფეს უწოდებდა და. როგორც ჩანს, მეფეთ-მეფობის პრეტენზიები არ ჰქონდა. ეს გარემოება ადასტურებს ვახუშტის ცნობას, რომ კონსტანტინე მეფეთ-მეფე და ალექ-სანდრე კახთა მეფე ერთმანეთს დაეზავნენ და თავიანთი სამფლობელოე-ბის საზღვრებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ.

## არადეთის ბრძოლა და ალექსანდრეს გამფრინა იმპრეზი

კონსტანტინემ მეფეთ-მეფობა დიდი წნით ვერ შეინარჩუნა. რათგან კვლავ განხლდა ბრძოლა საქართველოს მეფესა და სამცხის ათაბაგს ყვარყვარას შორის, რომელიც 1483, წ. აგვისტოში არ ადგით ან მიმსდარი სამხედრო შეტაკებითაც-კი დამთავრდა. ამ ბრძოლაში, ყვარ-ყვარა ათაბაგმა გაიმარჯვა. კონსტანტინე მეფის დამარცხებით მაშინვე რაჭა-ლეჩესუმში გამაგრებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაგრატ VI-ის ძემ ისარგებლა, თავის სამეფოდ აღიარა და ლიხთ-იმერეთი ჩაიგ-დო ხელში. ამნაირად, ლიხთ-ამერეთისა და ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ

მთლიანობას უკანასკნელი საყრდენიც-კი გამოეცალა: ამერეთი ხომ უკვე ისედაც იმდენად იყო შემცირებული, რომ კახეთ-ჰერეთი ცალკეულ კახუ სამეფოდ იქცა. ეხლა ლიხთ-იმერეთის უმთავრესი ნაწილიც იმერეთის სამეფოდ გამოეყო.

## კონსტანტინეს ამაღლება და საკუთარი ძალით გთლიანობის აღსაღებად

კონსტანტინე შეცვე ამ ამბავს, გულერელდაკრებით არ შეხვედრია, არა მედ, ალექსანდრეს ქუთაისიდან განსაღებუნად დას. საქართველოში გადავიდა და შეებრძოლა. სამეგრელოს მთავარი ლიპარიტ დადიანი კონსტანტინე მეფეებს მიემზრო და ალექსანდრე იძულებული იყო ჭუთაისიდან გასცლოდა. მაგრამ გარეშე მტრის, ერანის მბრძანებლის, აღმ. საქართველოში შემოსევამ კონსტანტინეს ლიხთ-იმერეთი მთატოვებინა ისე, რომ ალექსანდრემ, ბაგრატის ძემ, 1489 წ. ქუთაისის კვლავ ხელში ჩაგდება მოახერხა.

იმერეთში გამეფებულს ალექსანდრე ბაგრატის ძესაც თანამეცხედრედ თამარი ჰყავდა. მისგან ორი ვაჟი შეეძინა, რომელთაგან უფროსის 1495 წ. დაბალებულს, ბაგრატი ერქვა, მეორეს-კი დავითი.

## კონსტანტინეს გეგმა დასაცული მიზნის საგარეო კოლიტიკის საშუალებით მისაღწევად

რავი კონსტანტინე მეფე დარწმუნდა, რომ საყუთარი ძალობნით მას საქართველოს უკვე დარღვეული მთლიანობის აღდგენა არ შეეძლო, საქმის გამოსწორება მან გარეშე მოკავშირეების დახმარების მარჯვედ გამოყენებით მოისურგა. ამ მიზნით 1492—1496 წ. შუა კონსტანტინე მეფემ თავისი დესპანი ხუცესი ნიღლოსი ეგვიპტის მბრძანებელთან მამლუკ ხალიფა აშრაფ სეიფ-ად-დინ კატბეისთან (1468—1496 წ.) გაგზავნა, რომელმაც საქართველოს მეფის მოციქული ქაიროში კარგად მიიღო. ქაიროდან იერუსალემში მოსურმა დესპანმა ნილოსმა იქ ესპანიის დელფინის იზაბელლას დესპანებისაგან არაბთა ესპანიიდან საბოლოოდ განდევნის ამბავი შეიტყო. ამით გახარებულს კონსტანტინე მეფის დესპანს ხუცეს ნილოსმ იმედი მოეცა და ამიტომ ესპანიის დელფინის დესპანი მან საქართველოში მოიცვანა თავის მბრძანებელთან.

## კონსტანტინე გეგმის ეპისტოლე მსახიობის დედოფლის იზაბელლასადან

კონსტანტინე მეფესა და მის მრჩეველთ ესპანის მბრძანებლის ძლევა-მოსილებამ აფიქსებინა, რომ ასეთ გამარჯვებულს სახელმწიფოს საქართველოსთვის შველა შეეძლო ამიტომ ისევე, როგორც კონსტანტინე-პოლის თურქთაგან დაპყრობის შემდეგ ქართველ პოლიტიკოსებს დას.

ევროპის ქრისტიანთა სამხედრო ძალის თავიანთი გაჭირვებული პოლი ტიკური შდგომარეობის გამოსასწორებლად გამოყენება ჰსურდათ, ეხლაც გონიათ, რომ ხსნის ერთადერთი იმედი დას. ევროპის ძლევამოსილი სახელმწიფო იყო. ამიტომ კონსტანტინე მეფემ იზაბელლა ჯედოფლის დესანს თავისი მოცემული ხუცესი ნილოსი გაყოლა, რომელსაც თან რომის პაპისა და ესპანიის მმრდანებლისადმი მიწერილი ეპისტოლეები გაატანა. ამ წერილობითს მიმართვას გარდა, ნილოს უფრო მეტად სიტყვიერად ჰქონდა საიდუმლო მოლაპარაკება დავალებული.

1495 წ. 10 მარტს კონსტანტინე მეფემ ესპანეთის დედოფალს იზაბელლას შემდეგი შინაარსის ეპისტოლე მისწერა: არაბეთის დამარცხება-განდევნის გამო სიხარულით ავსებულს, მას აგონდება ამის საწინაღმდეგო შემაძრწუნებელი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიც აღმოსავლეთის ქრისტიანობა ჩავარდა: კონსტანტინებოლი და ბიზანტია ისევე, როგორც ტრაპიზონის საკეისრო, მოისპნენ და ოსმალთ ეპურათ ხელში. ასეთი ბედი ეწია სერბთა სამეფოსაც. საქართველოშიც ჩვენს თავს დიდი განსაკულელი დაგვტრიალებს: ჩვენ მტრებს ჩვენთვის ბევრი უბედურება მოუყენებით და ყოველთვის სამი პირობის ასრულებას გვთხოვენ ხოლმე: დიდი ხარჯი გადაიხადეთ, ჩვენთან ერთად იბრძოლეთ და გამაპმანდიათო. ჩვენი მტრები მაპმადიანნი მრავალრიცხოვანნი არიან, ჩვენ კი, კონსტანტინებოლისა და ტრაპიზონის ქრისტიან სამეფოების გაქრობის შემდეგ, მახლობელ აღმოსავლეთში მარტოდ-მარტონი-ღა დავრჩით და ამის გამო ჩვენც დამდაბლებულნი ვართო. მაგრამ ისევე, როგორც თქვენმა არაბებზე მანდაურმა გამარჯვებამ მაპმადიანი სპარსი, თურქენი და არაბი შეაშფოთა, ასევე თქვენმა გამარჯვებამ ჩვენ გაგვახარა, მეტადრე როცა გავიგეთ, რომ წოგიერთი მანდაური მეფეებიც თქვენი მოქავშირენი არიან და ქრისტიანეთა ასეთი სიყვარულითა და თანხმობით უზრუნველყოფელი ხართო. გვედრებით, ნუ დააყოვნებთ და პირდაპირ კონსტანტინებოლზე გამოილაშექრეთ და მაცხოვარი თქვენს წადილს ხელს შეუწყობს. მეც პირადად, ჩემი დესანი დაბრუნდება, თუ არა, და შესაფერის ამბავს მომიტანს, შეილითა და მთელი ჩემი ლაშქრით თურთ თქვენთან ერთად საბრძოლველად წამოსელისათვის განმზადებულ ვიქენებით.

### კონსტანტინე მეფის გთავარი მიზანი

ოსმალთა შიშით ესპანიისა და საქართველოს მეფეთა დესპანები უნდა ჩრდილოეთის გზით პოლონეთზე გავლით გასულიყვნენ როგორც მაშინ მოგზაური გვიმდინენ ხოლმე. ამავე პოლიტიკური სიფრთხილით, კონსტანტინეს თავის ეპისტოლეში მთავარს გულისნადებზე არაფერი აქვს ნათევიმი, რათგან მას ეშინოდა, რომ გზაში მისი ეპისტოლე ხელში არ ჩაეგდოთ და საიდუმლო გეგმა არ შეეტყოთ. ცხადია, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შემსუბუქებას მარტო კონსტან-

ტირებოლის ოსმალთა ხელიდან გამოგლეჯით ვერ ელირსებოდა. მას სხვა შხრიდანაც ჰყავდა მტერი. როდესაც კონსტანტინე მეფემ ეცვისტის ხალიფისაგან თავისი მოციქულის პირით პოლიტიკური შეთანხმება მოისურვა, ცხადია, მიზნად კონსტანტინეპოლის განთავისუფლება არ ექმნებოდა დასახული, არამედ უპირველესად მოსაზღვრე მცირე აზისა, უმთავრესად ერანის მბრძანებლის წინააღმდეგ მოკავშირის მოპოვება. ვინ ეგულებოდა აქ საქართველოს მეფეს მოკავშირედ და რა მონაწილეობის მიღება ჰქონდა მას დას. ევროპის ქრისტიანეთი მხრით ამ გეგმით ნაგულისხმევი, არა ჩანს.

### კონსტანტინე მეფის იმპერის გაცემება და ამის მიზანი

ისევე, როგორც გიორგი VII-ის დასავლეთ ქრისტიანთა და საქართველოსა და მისი მოკავშირების შეერთებული სამხედრო მოქმედების ფართო გეგმა თავიდანვე ჩაიშალა, ამნაირადვე და ამაზე უფრო მტერ უწადავა პოლიტიკურ კუნებას წარმოადგენდა კონსტანტინე მეფის გეგმაც. მისი ეპისტოლიდან ჩანს, რომ მას მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების მთელი საშინელება საქართველოსთვის კარგად ჰქონია გათვალისწინებული, მაგრამ მას ავიწყდებოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივობის სასუსტის მრავალი მიზეზი მაინც მარტო გარეშე ძალა არ იყო, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური შეგნების დაქვეითებას შედეგად მომხდარი პოლიტიკური მთლიანობის რღვევა და მასთან დაკავშირებული ქიშინავა-შულლიანობა. შორეული ევროპელი ქრისტიანები რისთვის ჩააგდებდნენ თავიანთ თავს საქართველოს გასაძლიერებლად ომის ცეცხლში, როდესაც თვით ქართველებიცე, პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისთვის ზრუნვის მაგიერს ერთმანეთს ქმათაშორისი სისისლის ღვრით აუქლურებდნენ. წინანდელთან შედარებით, კონსტანტინე მეფის დროს საქართველოს შინაური მდგომარეობა იმდენად გაუარესებული იყო, რომ თუ გიორგი VII-ს შეეძლო დას. ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთა მესვეურებისათვის მიეწერა და დაეჯერებინა, რომ მათთან ერთად საბრძოლველად მთელი საქართველო ყველა თავისი ნაწილებით გამოვიდოდა, კონსტანტინე მეფეს თავის შვილისა და თავისი საკუთარი ძალისას გამოყავანის გარდა ველარავის პპირდებოდა. თუ რამდენიმე თეულის წლის წინათ საქართველოს მთლიანი და მოკავშირეთა დამხმარე სამხედრო ძალის შეპირებითაც არა გამოვიდა რა, როგორ შეიძლებოდა კონსტანტინეს დროინდელს ვითარებას ვისთვისმედას. ევროპაში ასეთი ომის ატეხა გაებეღინებინა? დასასრულ, აღსანიშავია, რომ საქართველოს პოლიტიკოსებს ესპანის სამხედრო ძალა ძლიერებაზედაც გადაჭრაბებული წარმოდგენა ჰქონიათ, ვერც ის გარემოება გაუთვალისწინებათ, თუ რა დიდი მანძილისა და, მაშასა-დამე, რამდენი დაბრკოლების დაძლევა იყო საჭირო, რომ ესპანიიდან კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ დაეწყოთ ბრძოლა.

## ქვეარქობას ათაბაგისა და კაიხოსროს სიკვდილი და მზეჭაბუკის გაგატონება მესეთში

ძალზე მოხუცებული ყვარლებისა ათაბაგი რომ 1498 წ. გარდაიცვალა, მის მაგიერ მესხეთის მთავრად მისი უფროსი ვაჟიშვილი ქართველი ქახდა, მაგრამ ბეღმა მას მეტად ხანმოქლე დროის განმავლობაში არღუნა მთავრობაცა და სიცოცხლითაც მას ბევრი დრო არ მოუჭამია. ქაიხოსრო ათაბაგი 1500 წელს, როცა ორმოცდათ წელსაც ძლიერი იყო ჯერ გადაცილებული, უკვე გარდაიცვალა, მის მაგიერ მესხეთის პატრიონად ქაიხოსროს მომდევნო ძმა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი დაჯდა. თუმცა მოელ მესხეთს ის განაგებდა, მაგრამ ამირსპასალარად და ათაბაგად მზეჭაბუკი-კი არა, არამედ ქაიხოსროს შვილი ყვარეც არ ა ითვლებოდა.

## მზეჭაბუკის გვივილობიანი გონიერი კოლიტიკა

მზეჭაბუკს კონსტრაქტინგ შეფესა და საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქთან წესიერი და მშვიდობიანი დამიკიდებულება ჰქონდა. იმ განკურძოებითს პოლიტიკას, რომელსაც ყვარლებისა ათაბაგი აწარმოებდა და მიზნად მესხეთის საქართველოთვან სრული ჩამოშორება ჰქონდა დასახული, მზეჭაბუკი არ მისდევდა. პირიქით, კუმურდოს საეპისკოპოსოს მღვდელმთავრის თანამდებობის განთავისუფლების შემდეგ, მზეჭაბუკმა კუ მ უ რ დ ო ე ლ ა დ არჩეული გერასიმე საკურთხევლად აფხაზეთის კათალიკოსთან-კი არ გაზავნა, არამედ მცხეთაში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ევაგრესთან. გერასიმე კუმურდოელმა ეპისკოპოსად კურთხევის წინ ქართული ეკლესიის საჭეომპრობელს წერილობითი აღთქმა მიართვა, რომელშიც ნათქვამია: „დღესით გან წაღმას ჩემად დღედ სიკუდილამდე კიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული და მეფეთა მღლოცველი“. ამით მეფის უზენაესობაც იყო ცნობილი და ქართული ეკლესიის განუყოფელობაც.

## მზეჭაბუკისა და კონსტანტინე მეფის გადამტერება და მესეთის გატონის უკუღვართს კოლიტიკურ გზაზე დადგომა

სამწუხაროდ, კონსტრაქტინგ-მზეჭაბუკს შორის დამყარებული კარგი დამკიდებულებაც ხანგრძლივი ვერ გამოდგა: მეფე კონსტრაქტინგ და პატრიონი მზეჭაბუკი „შემდურდეს“ და მესხეთის მესაჭეო თავისი მამის პოლიტიკის განხორციელებას მიპყო ხელი. მზეჭაბუკის პატივმოყვარეობას უკვე საზღვარი აღარ უჩანდა: მის ხელში შემყურე და მისი ქონებრივი წყალობის მიმედე ანტიოქიის პატრიარქი დოროთე ეონი, რომელიც იმ ხანებში მესხეთს იყო საკალმასობოდ მოსული, მზეჭაბუკისათვის არც ერთს მაღალ წოდებულებას არ იშურებს და მას „დიდი პატრიონის“, „დიდი მეფისა“ და „ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელშიფის“ სახელითაც-კი ამჟობს. რასაკვირველია, ყველა ეს მესხეთის ბატონ-პატრიო-

ნის განუსაზღვრელი პატივმოყვარეობის პრეტენზიების გამომშუღავნებელია. მას და მის მადიდებელს უნდა ყველასთვის, უპირველესად-კი კონსტანტინესთვის, ეგრძნობინებინა, რომ მეფობის ღირსიცა და ნამდვილადაც მეფე სწორედ ის არის და არა კონსტანტინე.

## გზებაზურისა და ღორითონის პატივისადმის ღონისძიება საჭარივოს მკლების მთლიანობის დასახლვევად

მოკალმას ანტიოქიის პატრიარქი დოროთე იოსე იმდენად იყო მზეჭაბუკის წადილითა და ქცევით წაქეზებული, რომ საჭიროდ სცნო აღნიშნა მზეჭაბუკის ვითომცდა „ღვთისმოშიშობა და მართლმადიდებლობა“ და დაეგმო „უსჯულობა მეფეთა (ე. ი. კონსტანტინესი) და ერისა მათისა“. ჩასაკვირველია, მზეჭაბუკის „ღვთისმოშიშობა“ ანტიოქიის პატრიარქის თვალში იძაში მოჩანდა, რომ მესხეთის პატრიონი მის შეთხელებულ საფულეს უხვად აესებდა, მაგრამ მუქთად და ტყუილად ხომარა. პატიოსან მწყემსთმთავარს უნდა სამაგიეროდ ყველა ის გაეკეთებინა, რაც მზეჭაბუკს ჰსურდა. პატრიარქი ღორითონის სრული გულაზდილობით თვითონვე აღიარებს „ბრძანებითა ვიიძულენით თქმად ამას ღიღისა პატრიონის მზეჭაბუკის მიერ“-ი. ანტიოქიის პატრიარქი გვიმულავნებს მზეჭაბუკის პოლიტიკურ ზრახვას, თავის გმოთქმულს დალოცვა-სურგილში, რომ კონსტანტინე მეფის საბრძანებელი მას ხელში „თვინიერ ბრძოლისა“ ჩავარდნოდა, ჩასაკვირველია, იმ საშუალებით, რომ მისი ჯარი წინასწარ „თვინიერ კუეთებისა“, ე. ი. უბრძოლველად გაქცეულიყო „ღვთისმოშიში“ და „ღვთისმოუარე“ მზეჭაბუკის წინაშე ამრიგად, მესხეთის მესვეური ქართლის მეფის ხელში ჩაგდებასაც კი ოცნებობდა.

მაგრამ ეს უფრო შორეული მიზანი იყო ჯერჯერობით-კი მას მესხეთის ყველა სამწყსობისა და ეკლესიის ჩამოშორება პეტონდა გადაწყვეტილი, რომ ამით შეწყვეტილიყო ის მცირედი კავშირიც, რომელიც, მცხოვარი ხელდასხმისა და მეფეთა წირების დროს მოხსენების სახით, საქართველოს წინაძელი პოლიტიკური მთლიანობისა და ეროვნული ერთობის გამომხატველი იყო. დასახული მიზნის მისაღწევად მზეჭაბუკმა ანტიოქიის პატრიარქს ღორითონის აწყურის ეპისკოპოსი მესხეთის ეკლესიის უფროსად გამოაცხადებინა და მესხეთის ყველა ეპისკოპოსების ეკლესიის უფლება მიანიჭებინა. მოყალმასე პატრიარქმაც თავისი უხვი მწყალობელის წადილი ასრულა, თუმცა საეკლესიო კანონებით ამის არაეითარებულება არ პეტონდა. ამრიგად, არამც თუ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, კონსტანტინე მეფის ოცნებისდა მიუხედავად, არ გამოსწორებულა, არამედ ის კავშირიც-კი, რომელც მანამდე ოდნავ მაინც კი-დევ იყო შერჩენილი, შესწყდა და მესხეთის მთავარმა სრული დამოუკიდებლობაც-კი მოიპოვა.

## საქანითველოს პირარება მეთხუთმეტე საუკუნეში სამართველოს ეკონომიკი მდგრადირობა xv საუკუნეში

როგორც დავრწმუნდით, თითქმის მთელი შეთხუთმეტე საუკუნის გან-  
შევლობაში ბრძოლა წარმოებდა საქართველოს განმაახლებელსა და და-  
მაქვეითებელს ძალას შორის. თემურლენგთან უთანასწორო ხანგრძლივ-  
სა და გამანადგურებელს ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა იმდენად აოსტრდა და  
ეკონომიკურად დაზარალდა, ხალხი იმდენი დაიხოცა, რომ მხოლოდ საგან-  
გებოდ ხელშემწყობი პირობების წყალობით, თანაც დიდი დროის განმავ-  
ლობაში შეეძლო ქართველ ერს იმ საშინელი მდგომარეობისათვის და-  
ელწია თავი, რომელშიც ის ჩავარდა.

წლობის განმავლობაში მიმდინარე ომმა, მეტადრე თემურლენგისაგან  
ბრძოლის წარმოების წესად ეკონომიკური ომის გამოყენებამ საქართვე-  
ლოს ქრისტიანობის კეთილდღეობის თვით საფუძველიც-კი მოუსავო. რაღა  
ალადგენდა გაყაფულ ბალვენახებს და მტრის ხელით განადგურებულს  
სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებს... რამდენი დრო და რამდენი ძალა,  
მუშა-ხელი იყო ამისათვის საჭირო. ბრძოლის დროს გაწყვეტილი და  
ომის მსხვერპლად ქცეული მოსახლეობა-კი იმდენად შეთხელდა და შემ-  
ცირდა, რომ არამცთუ გაუკაცრიელებული სოფლების აღდგენა ძნელი  
იყო, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელიც-კი შეიქმნა, არამედ გადარჩე-  
ნილ დაბა-სოფლებშიც-კი გაპარტახებული მიწების წინანდებურად დასა-  
მუშავებლად აღარც მუშა-ხელი იყო და აღარც სხვაფრივ შესწევდათ  
ძალ-ლონე. XVI ს. საბუთებიდანაც-კი ჩანს, რომ ბარად ქვეყანა სანა-  
ხევრიდ, ზოგან ნახევარზე მეტადაც-კი აოხრებულ-გაპარტახებული ყო-  
ფილა.

კვიპის აოსტრებულობა და სასოფლო მიუხეობის დამვითება

ცხადია, რომ XIV ს-ში, თემურლენგის შემოსევისა და ველურობის  
მთელი ეს შედეგი ამაზე უფრო მეტი საშინელებით წარმოუდგებოდა  
ადამიანს და გავერანებული ადგილების რაოდენობა ზემოაღნიშნულზე  
უფრო დიდი იქნებოდა. ამიტომაც არის, რომ XV-ს-ცოგან ქართულ ძეგ-

ლებში ასე ხშირად შეხვდება მკითხველი წინათ ასეთს იშვიათსა, ანდა სრულებით უცნობსაც-კი ტერმინებს, როგორიც ნაფუზარი, ნასა სახლარი, ნასოფლარი, ნადარების შედეგად. დას. საქართველოშიც-კი, რომელიც მტრის შემოსევისაგან, აღმოსავლეთთან შედარებით, ნაკლებ დაზარალდა, კულტურული დაქვეითება ცხადად საგრძნობი გახდა. მაგან მიზეზის გამო XV საუკუნეში მევენასეობა-მელგინეობა იმდენად გაუარესდა, რომ სამეგრელოში ადგილობრივ ღვინოსაც-კი ხეირიანს ვეღარ აყენებდნენ და იქაური ღვინო ტრაბიზონიდან შემოტანილსაც-კი ჩამოუვარდებოდა ლირსებით.

ამგვარადვე წინათ უძველეს დროიდან თავისი სელის ქსოვილებით, ტილოთი, განთქმული კოლხეთი, ეხლა ამ დარღშიც დაქვეითებული იყო ქსოვილები აქ დაბალხარისხვენი-ლა იშოვებოდა. ამიტომაც აქაური ტილოებიც უცხოეთში უკვე გაცილებით ნაკლებ გაჭირდათ.

თუმცა აღმ. საქართველოში სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა ასე დაქვეითებული არ იყო, მაგრამ აქაც ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის ხალხს ძალა აღარ შესწევდა და სასოფლო მეურნეობის დარღიდან სხვებშე ნაკლებ უფრო ადგილად გასაძლოლი მესაქონლეობის დარღი იყო დაზარალებულ-ჩამორჩენილი.

### საპართველოს კულტურული დაკვირვება

ხანგრძლივმა ომება და მტრის მტარეალობამ მოსახლეობის გაბოროტებასა და გავვებას, მის გონიერივ-ზნეობრივს დაქვეითებასაც შეუწყოხელო, რათაც, მშეიღობიანი ნაყოფიერი მუშაობის შაგორ, აღამანი მაშინ უნებლიერ უნდა იარაღის გამუდმებით ტრაპლსა და სისხლის ღვრას მისჩვეოდა. ომის საშინელება და ქვეყნის მწარე სინამდვილე აიძულებდა ველურებას შეგვებოდა და, წინანდელი კულტურული ყოფა-ცხოვრების მაგიერ, გამოქვებულებსა და სახიზნარებში ყოფნას შეპრივებოდა. სწავლისა და განათლებისათვის, მწერლობისა და ხელოვნებისათვის ასეთს პირობებში ვის შეეძლო მოეცალა, ანდა ვის ექნებოდა ამისათვის გული და ხალისი.

აღმავებლობითი მოღვაწობისა, და განახლების შეჩრდება  
შეინაური გრძოლის გამჯგავიბის გამო.

ალექსანდრე დიდი, როგორც ვიცით განაღგურებული საქართველოს აღორძინებისათვის თავგამოდებით იბრძოდა და ჩევნ სამშობლოს წინაშე მას ამ მხრივ დაუკიდებარი ღვაწლი მიუძღვის. საფიქრებელი იყო, რომ თანდათანობით საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტუ-

რული მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ XV ს. უკვე ორმოცაინ-ორმოცათიან წლებიდან მოყოლებული შინაურობაში მეფე-მთავართა შორის ამტყდარმა ბრძოლამ არამცოთ საქართველოს გამოკეთება შეაჩერა, არამედ თანდათანობით მას პოლიტიკური მთლიანობაც-კი მოუსპო და სამ სამეფოდა და სამთავროებად აქცია. საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენი ვნებაც მთავრებისა და დადგარის აზნაურების თავგასულობამ, უგუნირმა ქცევმა და ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა. ყოველი დიდი თეშის მმართველი გამთავრების დაუშრეტელი პატივმოყვარეობის სენი-თა და ბორგნეულობით (მანიით) აღმოჩნდა შეპყრობილი. თითოეულს მათგანს საქართველოში გაბატონების იმედი ჰქონდა და დაუცხრომელი წალილი უღვიოდა გულში.

### საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოსაობის ეკონომიკური ზედეგი

განკერძოება-გაბატონების გზაზე დამდგარი ყოველი მთავარი ცდი-ლობდა თავისი კარი საქართველოს სამეფო კარის მსგავსად მოეწყო: სა-თანაღო მოხელეები გაეჩინა და გარეგნული ბრწყინვალება მოეპოვა. ამ-რიგად, წინანდელი გაერთიანებული სრულიადი საქართველოს ერთი სა-ხელმწიფო დარბაზის და სამეფო სასახლის და დარბაზის კარსა მყოფი მოხელეების განსაზღვრული რიცხვის მაფიერ, ესლა ქართველ ხალხს სამი სამეფო და ამდენივე კარ-დარბაზი მრავალრიცხვოვნ მოხელეები-თურთ უნდა შეენახა. აღვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა მას მთავრებისა და დიდებულ აზნაურების ქვეყნის დამღუპველი ეს პოლიტიკა.

### საქართველოს გადარიგება.

ეკონომიკურად განადგურებისა და მოსახლეობის ძალზე შემცირების გამო, საქართველო ქონებრიცვადაც გალარიბდა. ეს გალარიბების პროცე-სი მეთხუთმეტე სასუკნეში ამტყდარი შინაური ბრძოლისა და პოლიტი-კური მთლიანობის დაშლის შედეგად უფრო გაძლიერდა. რამდენიმე ათე-ული წლების შანძილზეც-კი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ, თუ გიორგი მეფე, ალექსანდრეს ძე, მარტო თავის ასულს, რომელიც ბიზანტიის კეისარს უნდა მისთხოვებოდა, ყოველწლიურად 3.000 ოქროს ფულის ძლევას პპირდებოდა, ბაგრატ VI-ის დროს მთელ სამეფო ხაზი-ნასაც 16.000 დუქატის გამოლება უკვე ეძნელებოდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევასა და სამ სამეფო-სა და სამთავროების შექმნის შედეგად ხარჯები გადიდდა. სამ სამეფოდ და სამთავროებად დაყოფილსა და ქცეულს საქართველოს მესვეურთ ხარჯები თავიანთი სასახლე დარბაზებისა და კარის მოხელეთა შესანახა-ვად არამცოთ არ შექმცირებით, არამედ უფრო მოემატა კიდეც.

## შოთავლის სოციალური განვითარების პროცესი

ამავე ხანში დიდგვარიან აზნაურთა სოციალურს მდგომარეობაში, მათ წიაღშიც თანდათანობით დიდი ცვლილება მოხდა. უკვე XIV ს. ვითარების დახასიათებისას აღნიშნული გვეონდა, რომ აზნაურთა წოდება ამ ხანში უმაღლეს წოდებრივ ფენას აღარ წარმოადგენდა, არამედ უკვე და და ებულ ნი ჩანან. ისინი დიდგვარიან აზნაურთა საგარეულოების უფროს შტოს ეკუთვნილნენ, „დიღვართ თავადნი“ იყვნენ. მათი უფროსობა მარტო ხნიერებაზე-კი აღარ იყო დამოკიდებული, არამედ დაღს მოხელეობაზე, დიდებულებაზედაც. როდესაც ამ დიდგვარიან აზნაურთა საგარეულოების თავადთ თავიანთი აღწევების მემკვიდრეობით კუთვნილებად გადაქცევა შესძლეს, ამ დროითგან მოყოლებული თავადობა უკვე წოდებრიობად იქცა და თავადობამ აზნაურთა წოდებაზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა. მირიგად, ტერმინი თავადი მოსახლეობის სოციალური განშრეების უმაღლესი წოდების წარმომადგენლის სახელად და ტერმინად გახდა. აზნაურთა წოდების წილიდან თავადობის წარმოშობის პროცესი XV ს. მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ XVI ს. დამთავრდა.

## შემოიჩინებული შემოსავლის გასაღიღებლად სახსრების ძეგნა

ცხადია, რომ ამ ახალ სოციალურ ფენასაცა და აზნაურთა წოდებასაც, ისევე, როგორც მეფე-მთავრებს თავიანთი ძალზე შეთხელებული სახსრების გადიდებაზე უნდა ეზრუნათ იმიტომ, რომ ახალ-ძრზევებულ უფლებრივება და სოციალურ მდგომარეობასაც მეტი ქონებრივი დონის ძაგება სჭირდებოდა. მაშინდელ ვითარებაში მმართველსა და ზემდგომ წრეებს ამ მიზნის მისაღწევად უპირველესად მშრომელი, გადასახადების გამომლები, მოსახლეობის გამოყენების აზრი და წადილი გაუჩნდათ.

## შემოსავლის გასაღიღების ორგვარი შესაძლებლება

სამეფო-სამთავროებისა და კერძო-მესაკუთრეთა შეთხელებული ქონებრივი ავლა-დიდების გაძლიერება, ან მეურნეობის განტენსივებით შეძლებოდა; ანდა გადასახადების გადიდებით. ორივე ამ პირობის შესრულება უფლებრივი იძულების გარეშე შეუძლებელი იყო, რაოგან, ცხადია, თვითონაც, გაჭირვებული მშრომელი ხალხი ზედმეტ ტვირთს ნებაყოფლობით არ იყიდებოდა. მეურნეობის გაინტენსივებისათვის მშერდობიანი სამოქალაქო ყოფაცხოვრების პირობები და მოსახლეობის გამრავლება იყო საჭირო, რაც ამ ხანში არც არსებობდა და არც იყო შესაძლებელი, ამიტომაც მეორე საშუალება იქმნა გამოყენებული.

მართლი ხალხის მდგრადობის გაუარესება  
და გატოცებობის ჩასახვა

იძულებითი უფლების გასაძლიერებლად სოციალური ურთიერთობის შეცვლა იყო აუცილებლივ საჭირო. ამცტომაც სოციალურის ურთიერთობაში XV საუკუნის განმავლობაში საქართველოში, წინანდელთან შედარებით, ახალი მოვლენა ჩნდება. მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე საქართველოში პატონი გვედრება მხოლოდ: სოციალური ურთიერთობის ამ მოვლენის ერთს წარმომადგენელს პატონი ექოდებოდა, მეორეს კატ. ხოლო პატონის სახელი მთელი იმ ხეთი საუკუნის განმავლობაში წერილობით ძეგლებში არსად გვხვდება. პატონი მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება. ამიტომაც ამ წინა საუკუნების განმავლობაში პატონი მოვლენი არ მოგვეპოვება და ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ პატრინუმობაზე ღმძყარებული ურთიერთობა მაშინ ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

პატრიცებობის გვერდით გატოცებობის გაჩენა და გაგათოვება

სოციალური მოვლენა მხოლოდ მაშინ იპყრობს ხოლმე განსაკუთრებულ ყურადღებას, როდესაც წმირ და ზოგად მოვლენად იქცევა ხოლმე. ასეთი პროცესი არც უცერად ჩნდება და არც სწრაფად ჩამოინკუთხება ხოლმე: ჩანასახი ხანიდან მოყოლებული საბოლოო ჩამოყალიბებამდე: ჩვეულებრივ, ღროის გარევეული მსნდომი სწირდება. ასევე იყო ბატონი მობის ჩასახვა-ჩამოყალიბების პროცესშიც.

პატრინუმობის ურთიერთობას უკვე XIV ს. ისეთი ცვლილება დაქტუო, რომ მის აღსანიშნავად ხალხის მეტყველებას ახალი სახელის აუცილებლობა აგრძნობანა: წინანდელისაგან განსხვავებული მოვლენის გამოსახატავად სახელის განსხვავება მაინც იყო საჭირო, რომ ძევლი და ახალის ერთმანერთისაგან განრჩევა შესაძლებელი გამხდარიყო.

XIV ს. მეორე ნახევრის ქართულს ძეგლებში პატონის მაგიერა და მის გერედით პატონი ჩნდება, ახალი ფორმა, რომელსაც, წინანდელ ფორმასთან შედარებით, შუაში რ თანხმოვანი აქვს გამერალი. ამ ოდინდელი ფორმის მეორე ხმოვან-შენაცვლებული ნაშთი მეგრულს პატონისა, პატონისა-და პატონის სახით ღლევანდლამდის აქვს შენარჩუნებული.

პატრინისაგან განსხვავებული ახალი სოციალური მოვლენის გამოსახატავად ქართული ენა მარტო ზემომოვყანილი ბერითი ცვლილებით არ ღავამდებულია, არამედ შეორენაირი ბერითი სახესხვაობაც გაჩნდა, რომელმაც გაიმარჯვა და ახალი სოციალური მოვლენის აღმნიშვნელ საბოლოო ტერმინად იქცა.

პატრონისაგან ბევრითი ცვლილებით წარმომდგარი მეორე ფორმა პირველი თანხმოვანის გამულერებით დაიწყო და ამ გზით პატრონის გვერდით ბატრონი გაჩნდა. XV ს. მეორე ნახევრის ქართულ ძეგლებში ასეთი ტერმინი უკვე ჩვეულებრივია.

„პატრონის“ გამულერებული ფორმის ბატრონისაგან იმავე ბევრითი ცვლილებით რს-გვარისთვის, რომელმაც XIV ს. პატრონი პატრონად აქცია, ახალი სოციალური მოვლენის გამომხატველი ტერმინი ბატრონიც შექმნა, რომელიც XVI ს. ძეგლებში უკვე საბოლოოდ განმტკიცებულია. ეს უარემოება ცხადშეკრის, რომ ფორმა ბატრონი XV საუკუნის მეორე ნახევრშია გაჩენილი.

რამდენადც ტერმინ ბატრონის ძველ ქართულ საბუთებში საბოლოოდ დამკვიდრება და მეტყველებაშიც ჩვეულებრივ სიტყვად ქცევა XVI ს. მთავლენას წარმოადგენს, ბატრონ კუმობის გვერდით, ბატრონ კუმობის გაჩენით გამომულავნებული ახალი სოციალური ურთიერთობის რაობის განსაზღვრა XVI ს. ისტორიას ეხება და იქ უნდა იყოს ამაზე საუბარი; აქ-კი უნდა ზოგადად აღინიშნოს ის ძირითადი საფუძველი, რომელმაც პატრონისაგან წარმოშვა [„ბატონებობა“].

### გათოვებობის თარიღობობი საუცხველი

ამ ორი სოციალური ურთიერთობის გამომხატველი ტერმინის პატრონ კუმობისა და ბატრონ კუმობის ერთმანეთთან შედარება ცხადშეკრის, რომ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილების უმთავრესი შარმომადგენელი ამ ურთიერთობის პირველი მონაწილე პატრონ ნი უნდა ყოფილიყო: წინანდელი პატრონი კუმის პატრონად-კი აღარ მოევლინა, არამედ ბატრონად. ხოლო, რაკი პატრონი ძირითადად შზრუნველისა და მხოლოდ შემდეგში მესაჟურნალს აღმნი შვენელი იყო და ასეთივე მნიშვნელობა ამ ტერმინს შემდეგშიც შეკრის, ბატრონი-კუ. უმთავრესად მბრძანებლობის ცნების ცაგების გამომხატველად იქცა, ეს უარემოება ამულავნებს, რომ პატრონ კუმობის გვითარებაში მომხდარმა ცვლილებამ, როგორც თავის აღვილას აღნიშნული ცყო, გლეხთა და ყმების უფლების შეზღუდვითა და მასზე მბრძანებლობის უფლების ხელში ჩაგდებით წარმოიშვა. XIV ს. სოციალურს ვითარებაში მომხდარმა ცვლილებამ, როგორც თავის აღვილას აღნიშნული ცყო, გლეხთა და ყმების უფლებითი მდგომარეობა ძალზე გააუარესა. ეს პროცესი XV ს. არც შეჩერებულა და არც შენელებულა, არამედ თანდათან უფრო გამწვავდა და ბოლოს ბატრონ კუმობის გვითარებაში.

გადასახად-გამოსაღებების გადიღება და მჯრობელი ხალხის და უათა-  
მინე მკონიშვილი გდგომარეობა

უმების მარტო უფლების შეზღუდვა ვერც სამხეფო სამთავროებისა და ვერც კერძო მესაუეთრე „ბატრონების“ ქონებრივ მდგომარეობას, რა-საკვირველია, ვერ გააუმჯობესებდა: შემოსავალს საგრძნობლად მაინც ვერ გაუდიდებდა. ამიტომ მეტი შემოსავლის მისაღებად რაიმე სხვა სა-შუალება იყო საჭირო. ჩვეულებრივ ასეთ საშუალებად ან ახალი გადა-სახადების შემოღება, ანდა ძველის გადიდება თუ და არის ხოლმე მი-ლებული. ქართულ საფინანსო პოლიტიკის იმდროონდელს არც მესვეუ-რებსა და არც ყმათა მფლობელ კერძო მემამულებს ამ ორი გზით დასა-ხული მიზნის მიღწევა არ უცდიათ, არამედ სულ სხვა გამოუნახავთ: ამის მაგიერ მათ საზომ-საწყაოები გაუდიდებიათ. რაკი სულადი გადასახადე-ბი, მარცვლეულისა და ღვინის მოსავალზე, კაბიწითა (=კოდს) და კოკით-იყო განსაზღვრული, თუნდაც რომ გადასახადების ნოჩიები პურისა, ქრთილისა და ქერის ისევე როგორც ლვინის გამოსაღებზე ძველებურად უცვლელი დარჩენილიყო, რაკი საზომ-საწყაო გადიდებული იყო, გადა-სახადები სამუქო და სამთავრო სალაროებსაცა და ყმათა მფლობელ კერძო მემამულებსაც, ცხადია, წინანდებაზე მეტი შეუვიდოდათ.

ამნაირი ოსტატურად მოფიქრებული საშუალებით ახალი საზომები გაჩნდა XV საუკუნეში. ძეგლებშიც ძველ საზომ-საწყაოთა გარდა, ახლე-ბიც არის მოხსენებული. თავდაპირველს საზომებს საბუთებში ერთი მხრით პირ ველი საწყაო, ანუ საზომი ეწოდებოდა, ანდა მეორე მხრით ცოტა (ე. ი. პატარა) საწყაო; ახალ საზომ-საწყაოებს-კი და-დი ლიტრა, კოკა და კაბიწი (=კოდს) ერქვა. საზომ-საწ-ყაოების გადიდებაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ მეფე-მთავრებისა და მებატონებებს ერთბაშად გაეცემათ, არამედ, ცხოვრების გაძვირებასა და ფასების ზრდასთან დაკავშირებით, საზომებიც თანდათანობით დიდ-დებოდა. ამასთანავე საწყაოებისა და საწონის ყველა საზომების გადიდე-ბა არც იყო საჭირო: საკურისი იქნებოდა, თუ მათი ძირითადი ერთეული გადიდებოდა, რაკი კაბიწისა და კოკის სიდიდე მათა ლიტ-რიანობის რაოდენობით იყო ხოლმე განსაზღვრული, ლიტრის გა-დიდება თავისდათავად კაბიწსაცა და კოკსაც გააღიდებდა, ასეც მოქა-ულან.

საზომების გადიდება უკვე XII—XIII ს-შივე დაუწყიათ, მაგრამ შემ-დეგში, რაც უფრო მეტად და სწრაფად უარესდებოდა ეკონომიური მდგომარეობა, საზომების შეუჩერებელ გადიდებას მიჰყვეს ხელი, XVI ს. დამდეგასათვის-კი ლიტრა, ამ საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, უკვე ექვსჯერ იყო გადიდებული. მაშასადა-მე, მშრომელ ხალხსაც ამ დროს სულადი გადასახადები წინანდელთან შედარებით ექვსჯერ უფრო მეტი უნდა გადაეხადა. მარტო ეს გარემოებაც

საქმარისია, სხვას ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მძიმე იყო ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებსა და მიწის დამშტავებელ მოსახლეობას ჰქონდათ საზიდი, და რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ისინი ამის გამო ჩაცვინულნი.

რასაკვირეულია, წინააღმდეგობის გაუწევლიც, ყმები თავისთ ასეთს დატვირთულობას ვერ შეუტიგდებოდნენ და ბრძოლაც, უეჭველია, იქნებოდა, მაგრამ, იმდროინდელი გადარჩენილი ძეგლების სიმცირის გამო, ცნონბები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. მაინც ზოგიერთი მაშინდელი საბუთებიდანაც ჩანს, რომ მომავალში საზომების მებატონეთაგან თვითნებურად გაღიღების საშიშროების თავიდან ასაცილებლად ყმებს მათ-თვის წერილობითი ვალდებულება ჩამოურთმევიათ საზომების გამოუცვლელობისა და გაუდიდებლობის შესახებ. ეს მაინც, უეჭველია, ამ ნიადაგზე იმტყდარი უქმაყოფილებისა და წინააღმდეგობის ანარეკლია.

### საქართველოს ეკონომიკური დაცვითობა: ფულის განვითარებისა და აღმაცემისას უმცირესობის უმცირესობა

ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გამო, ცხადია, რომ მაშინდელს საქართველოში მოსახლეობის ქონებრივ-კულტურულ დაქვეითებასთან დაკავშირებოთ მისი ნაყოფიერებაც და მყიდველობითი ძალაც საყრდნობლად შემცირებულიყო. ამის გამო, რასაკვირეულია, აღებმიცემობაც უნდა დაქვეითებული ყოფილიყო. საგარეო ვაჭრობა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ძალაშე დაკანინდა. როცა აოხრებულ-დაზარალებულ ქვეყანას თავის-თვისაც-კა ყველაფერი სამყოფი აღარ ჰქონდა და კულტურაც დაქვეითებული იყო, უცხოეთში გასატანს ბევრსა და კარგს ვერაფერს-ღა დამზადებდა. შინაგანი აღებმიცემობაც სახარბილოს ცოტას-ღა შეიცავდა.

მართლია, როგორც უკანასკნელი ითეულის წლების მონაპოვარ გაუძებმა ცხად-ჰქონდა, ფულის მოჭრა საქართველოში, იმდროინდელი საშინელი ეკონომიკური ვითარებისდა მიუხედავად, თურმე მაინც მთელი XV ს. ვანმივლობაში არ შეჩერებულა. ეს გარემოება მაინც ფრიად საყურადღებო გრძელებაა, რათვაც საქართველოს დაქვეითებული სახელმწიფო გერბის გარემოებისა და ქართველი ხალხის მაინც ეკონომიკური ბრძოლის უნარსა და კულტურულ ცხოვრების მონაპოვართა შენარჩუნების ნებისყოფას ცხადად ამჟღავნებს. მსარაშ მაშინდელი საბუთებიდან ჩანს, რომ ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა, თუ სხვა სავაჭრო ცენტრებსა და შარაგზების მახლობლად მდებარე აღგილებში ყოფილა გავრცელებული; სხვა მოშორებულ თემებში-კა ფული იშვიათი იყო და იქ ვაჭრობა სულადობაშე, გაცვლა-გამოცვლის წესით უწარმოებიათ. ამასთანავე XV ს. მოჭრილი ვერცხლის ფული მეტად მდარე ლირსებისა და მცირე ზომისაც არის. მისი ეს თვისებებიც მაშინდელი საქართველოს გაღარიბება-დაქვეითებისთვის დამახასიათებელია.

კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან დაპყრობამ და დასავლეთის ზღვის საეჭრო გზის შეკვრამ ეკროპასთან აღმოსავლეთის გაჭრობისა და მომოსვლების გზების და ცენტრების შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების ნავთსაღვურებში გადატანამაც ხომ საქართველოს ისედაც სავალალო მდგომარეობა საბედისწერო გახდა... .

### საჩართველოს კულტურული და კულტურული ძალებითი ნიმუში

პოლიტიკურად დანაწილებული და სამხედრო თვალსაწირისით დასუსტებული, ორს ძლიერს, მტრულად განწყობილ, მაჰმადიან სახელმწიფოს შუა მომწყვდეული საქართველო დამალონებელს სანახაობას წარმოადგენდა: ქვეყნის მესვეურთ თითქოს გონიერება დაკარგეს და თავიანთ ქვეყნისა და პირადს. კეთილდღეობასაც თავალანთივე მოქმედებით აცლიდნენ ნიადაგს.

აღამიანის ეგოისტურმა გრძნობამა და მხოლოდ პირად გადარჩენა-კეთილდღეობაზე ზრუნვამ სძლია და თემობრივმა განკერძოებამაც სახელმწიფოებრივისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას აკობა.

მაშინდელი საქართველოს კულტურული დაქვეითების მთელი სიღრმე იმაშიც ნათლად მოჩანს, რომ XV საუკუნისა და უფრო ადრინდელი ხელნაწერების ანდერძებასა და მინაწერებში წერისაცა და მართლწერის დიდი უკიცობაა საგრძნობის: ზოგიერთს მაშინდელს უცხოეთში გამგზავრებულს პირსაც-კი თავისი სახელისა და გვარის სწორად დაწერაც-კი აღარ შესძლებია. რა გასაკვირველა, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართველი მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დაღუმტბული იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი, არამედ უფრო ის გარემოება, რომ, ამ ჯოჯოხეთური პირობებისდა მოუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუპა და მაშინაც ცდლობდნენ დამტყდარი უბედურებისათვის თავი დაეღწიათ, რომ ქართული ხელოვნების ზოგიერთ დარგებში მაშინაც ყოფილან კიდევ ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი მაღალხარისხოვანი შემოქმედების ნიმუშები დაგვიტოვეს. ამის დასაჩრდმუნებლად თუნდაც უ ლ უ მ ბ ო ს ეკლესის საჩრდმუნებრივი და საერთ შინაარსის იმდროინდელი კედლის მხატვრობისა და ალექსანდრე I დიდის ბრძანებით გაკეთებული ნაჭერი სურათებით შემცული დიდი ოქროს ჯვარის დასახელებაც კმარა, რომელნიც მათ შემქმნელ ხელოვანთა იშვიათ ნიჭისა და თავისი დარგის მაღალ ცოდნას უცილობლად ცხად-ჰყოფენ.

### საჩართველოს იმდროინდელი მდგრადიობა უცხო კვებითი

იგივე უნდა ითქვას საქართველოს იმდროინდელს საგარეო მდგომარეობაზე. ყველა იმის შემდგომ, [რაც] საქართველოს გარეშე და შინაური მტრებისაგან XIII საუკუნიდან მოყოლებული გამოვლილი ჰქონ-

და, მისი სამხედრო ძლიერების შესუსტება და სახელმწიფო ბრივიბის დაკანინება ბუნებრივს შედეგს წარმოადგენს და ესეც, რასაცარებელია, განმაციფრებელი არ არის. პირიქით, გასაკვირველია, რომ ასე დაქუც-მაცებულ-დაკანინებულმა საქართველომ შეინარჩუნა მაინც საერთო მორი-სო დამოკრებულებაში ზოგი ის უპირატესობანი, რომელიც მას წინა საუკუნეებში და ხანაში ჰქონდა მოპოვებული, თუ აღდგენილი დასავ-ლეთ ეგროპის იმდროინდელი მოგზაურების თხზულებებში. ქართველთა მაშინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში კარგად არის აღმეცდილი და იქითგან ირკვევა, რომ ამ ხანაშიცა და ისეთ შორეულ ქვეყნებშიც, რო-გორიც საქართველოსთვის ეგვიპტე და პალესტინა იყო, ქართველებს პა-ტივისცემით ეპყრობოდნენ და ყველა ის უპირატესობანი, რომელიც-კი მათ წინა ჰქონდათ, შეუნარჩუნებიათ. ბართოლომე დე სა-ლინ და გო მოგვითხოვ რობს: იერუსალემში სალოცავად მისელის დაროს ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქ-ლემებზე სხედან და გაშლილ-აფრიკალებული ეროვნული დროშებით თა-ვისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სხვებივთ სულტანს ამისთვის და-წესებულს გადასახადს არ აძლევენ. სალინ და გო ამასთანავე უმატებს, რომ ეგვიპტისა და ოსმალეთის სულტნებს ქართველებისა ეში-ნიათო.

დაცულია იმდროინდელი არაბული საბუთიც, რომლითაც ეგვიპტის მამლუკებს განკარგულება ჰქონდათ გაცემული და ქართველთა იერუსა-ლემის ჯვარის მონასტრის უზრუნველსაყოფად საგანგებო არაბი მოხე-ლე იყო დანიშნული. ის ვალდებული იყო საქართველოდან მომავალ მლოცვებს ალაბშივე (ალეპოში) და პეტერბოლდა, იქიდან იერუსალემმ-დის მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევ ნავთსაღურამდე გამოჰ-ყოლოდა. XV ს. მეორე, უკვე სომხური ცნობაც მოგვეპოვება, რო-მელშიც ქართველთა პოლიტიკური გავლენის მთელი ძალა აგრეთვე ნათ-ლად მოჩანს. რა თქმა უნდა, ყველა ესეც უმთავრესად წარსული საუკუ-ნეების საქართველოს სახელმწიფო ბრივიბის ანარეკლს წარმოადგენდა. თავის ადგილას, გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში, უკვე გვქონდა აღ-ნიშნული, რომ საქართველოს საგარეო მდგომარეობა და წინანდელი უპირატესობანიც სწორედ მან აღადგინა. სახელმწიფო ბრივი ძლიერების ძველი მარაგის მდიდარმა მემკვიდრეობამა და ქართველი ხალხის გან-თქმულმა მამაცობამ საქართველოს პოლიტიკური დაკინების ხანაშიც მას საერთაშორისო ურთიერთობაში წინანდელი აღვილი და პატივისცე-მია შეუნარჩუნა.

ქ რ თ ხ ი ლ მ გ ი ა

- 974—75 წ.წ.—დავით დიდი კურაპალატი ჯარით ქართლში მივიღა და  
ექ ბაგრატ III მიყვენა.
- 978 წ.—ბაგრატ III დასავლეთ საქართველოში მივიღა.
- 980 წ.—ბაგრატ III აფხაზეთს გამეფდა.
- 1001 წ.—დავით დიდი კურაპალატი გარდაიცვალა.
- 1008 წ.—გურგენ შეფე გარდაიცვალა.
- 1010 წ.—ბაგრატ III კახეთში შევიდა ჯარით.
- 1011—1012 წ.წ.—ბაგრატ III სუმბატი და გურგენი კლარჯენი და-  
მყვევა.
- 1011—1012 წ.წ.—ბაგრატ III განძაზე გაილაშქრა.
- 1014 წ.—ბაგრატ III გარდაიცვალა.
- 1014 წ.—გორგი I გამეფდა.
- 1014—1016 წ.—გორგი პირველმა ტაო დაიპყრო.
- 1021 წ.—ბასილი II ბულგართა მმუსკრელმა გამოილაშქრა საქართ-  
ველოში.
- 1023 წ.—ბიზანტიასა და საქართველოს შორის ზავი დაიღო.
- 1025 წ.—ბაგრატ IV ბიზანტიიდან საქართველოში დაბრუნდა.
- 1027 წ.—გორგი I გარდაიცვალა.
- 1027 წ.—ბაგრატ IV გამეფდა.
- 1027 წ.—ტაოელმა აზნაურებმა ბიზანტიას გადასცეს მათ ხელში  
შყოფი ციხეები.
- 1028 წ.—საქართველოს ბიზანტიის სარდალი შემოასია.
- 1028 წ.—კონსტანტინე კეისარი გარდაიცვალა.
- 1030—31 წ.წ.—ბაგრატის დედა, მარიამ დედოფლალი, ბიზანტიაში გა-  
ემგზავრა.
- 1032 წ.—ბიზანტიამ მოაწყო დემეტრე უფლისწულის აჯანყება.
- 1032 წ.—ლიპარიტმა და იუანე აბასასძემ შეიპყრეს ამირა ჯაფარი  
და მას ბირთვისი ჩამოართვეს.
- 1044—45 წ.წ.—ლიპარიტსა და ბაგრატ IV შორის ბრძოლა ატყდა.

- 1045 წ. — ბაგრატ IV ანისში შევიდა.
- 1046—47 წ.წ. — გრძელდება ბრძოლა ლიპარიტსა და ბაგრატ IV შორის.
- 1048 წ. — თურქებმა დაატყვევეს ლიპარიტი.
- 1051 წ. — ლიპარიტიც განთავისუფლდა ტყვეობიდან.
- 1054 წ. — ბაგრატ IV ბიზანტიიში გაემგზავრა.
- 1057 წ. — ბაგრატ IV საქართველოში დაბრუნდა.
- 1059 წ. — ბიზანტიიდან საქართველოში დაბრუნდა ივანე ძე ლიპარიტისა.
- 1060 წ. — ბაგრატ IV კახეთს იპყრობს.
- 1060 წ. — საქართველოში გიორგი მთაწმიდელი ჩამოდის.
- 1065 წ. — საქართველოს ალფარსლან სულტანი შემოესია.
- 1065 წ. — ბაგრატ IV ასული მართა ცოლად გაჰყვა ბერძენთა შეფეხი.
- 1068 წ. — ბაგრატ IV კვლავ კახეთს შეესია.
- 1068 წ. — სულტანმა ააოხრა ქართლი და არგვეთი.
- 1072 წ. — გარდაცვალა ბაგრატ IV.
- 1072 წ. — გიორგი II გამეფდა.
- 1073 წ. — გიორგი II-ს განუდგნენ დიდი აზნაურები: ნიანდა ქვაბულის-ძე, ივანე ლიპარიტის-ძე და ვარდან სეანთა ერისთავი.
- 1073 წ. — სულთანმა მელიქ-შავი საქართველოსაკენ გამოილაშერა.
- 1073 — 74 წ.წ. — სულტანისა და ქართველ ჯარებს შორის ფარცხისს დიდი ბრძოლა მოხდა.
- 1074 წ. — ბიზანტიელები და თურქები დაზავდნენ.
- 1080 წ. — თურქთა დიდი შემოსევა საქართველოში („დიდი თურქობა“).
- 1088 წ. — დიდი მიწისძერა დაიწყო.
- 1089 წ. — დავით აღმაშენებელი გამეფდა.
- 1092 წ. — სულთანი მელიქ-შავი გარდაცვალა.
- 1093 წ. — ლიპარიტ ამირამ შეთქმულება მოაწყო დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ.
- 1094—95 წ.წ. — დავით აღმაშენებელმა დაატუსაღა ლიპარიტი.
- 1097 წ. — დავით აღმაშენებელმა ლიპარიტი საქართველოდან გააძევა.
- 1097 წ. — ჯვარისნებმა იერუსალიმი აიღეს.
- 1101 წ. — დავით აღმაშენებელმა კახთა მეფეს ზედაზენის ციხე წართვა.
- 1102 წ. — კახთა მეფე კეირიკე გარდაიცვალა.
- 1103 წ. — დავით აღმაშენებელმა რუს-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია.
- 1104—1105 წ.წ. — დავით აღმაშენებელმა დაამარცხა განძის ათაბაგი და საბოლოოდ შემოირთა კახეთი.
- 1106 წ. — გელათის მონასტრის აგება დაიწყო.
- 1110 წ. — დავით აღმაშენებელმა გაილაშერა სამშვილდეზე.

- 1115 წ. — დავით აღმაშენებელმა რუსთავი დაიპყრო.
- 1116 წ. — დავით აღმაშენებელმა გაილაშქრა დასავლეთ საქართველოსაკენ თურქების წინააღმდეგ.
- 1117 წ. — დავით აღმაშენებელმა ციხე გიში დაიპყრო.
- 1118 წ. — დავით აღმაშენებელმა აიღო სიმაგრენი: ლორის ციხე და აგარანი.
- 1119 წ. — დავით აღმაშენებელი მწიგობაროუცესის გიორგის თანხლებით ჩრდილო-კავკასიაში გაემგზავრა ყიფჩაყთა გადმოსახლების საქმის მოსაგვარებლად.
- 1120 წ. — დავით აღმაშენებელმა შირვანში გაილაშქრა და ქალაქი კაბალი დაიპყრო.
- 1121 წ. — მახლობელ აღმოსავლეთის მაჰმადიან სულტან-მთავრების 300 ათასიანმა ჯარმა გამოილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ.
- 1122 წ. — დავით აღმაშენებელმა თბილისს ალყა შემოარტყა.
- 1122 წ. — დავით აღმაშენებელმა თბილისი კვლავ საქართველოს დეკალაქად ქცია.
- 1123 წ. — სულტანმა შირვანშე გაილაშქრა და შირვანშაჰი შეიძყრო, აიღო შამახია.
- 1123 წ. — დავით აღმაშენებელმა. სულტანშე გაილაშქრა, აიღო შამახია და შირვანი დაიპყრო.
- 1123 წ. — დავით აღმაშენებელმა სომხეთის მრავალი ციხე-ქალაქები დაიპყრო.
- 1123 წ. — დავით აღმაშენებელმა ანისი აიღო.
- 1125 წ. — 24 იანვარს დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა.
- 1125 წ. — დემეტრე I გამეფდა.
- 1130 წ. — დავით უფლისწულმა და ივანე აბულეთის ქემ შეთქმულება მოაწყეს დემეტრე I წინააღმდეგ.
- 1131 წ. — დემეტრე I-მა განათავისუფლა ცვანე აბულეთის ქე დმანისის ციხიდან.
- 1131 წ. — ივანე აბულეთის ქემ გარნისი დაიპყრო.
- 1138—1139 წ.წ. — რანში კატასტროფული მიწისძვრა მოხდა.
- 1145 წ. — დავით უფლისწულმა და ივანე აბულეთის ქემ კვლავ შეთქმულება მოაწყეს დემეტრე I-ის წინააღმდეგ.
- 1153—54 წ. წ.—აჩზრუმის ამირა სალდუხმა იერიში მოიტანა ანისშე.
- 1154—55 წ. წ.—დემეტრე I მეფობას თავი დაანება და ბერად შედგა.
- 1156 წ. — გორგი III სამეფო ტახტზე ავიდა.
- 1161 წ. — ანისი ქართველთა ლაშქარმა დაიპყრო.
- 1161 წ. — ანისთან გაიმართა დიდი ბრძოლა მაჰმადიანთა გაერთიანებულ ჯარსა და ქართველ მხედრობას შორის.
- 1162 წ. — ქართველთა ლაშქარმა ქალაქი დვინი დაიპყრო.

1163 წ. — მაპმალიანთა შეერთებული მხედრობა საქართველოს შემოქადაცია.

1166 წ. — სსვალასხვა მიმართულებით იშვება სამხედრო მოქმედება სამაპმალიანო სამყაროს წინააღმდეგ.

1167 წ. — ქართველთა ლაშქარმა დარუბანდი დაიბყრო.

1173 წ. — ანისი საბოლოოდ შემოუერთდა საქართველოს.

1177 წ. — დემნამ და ივანე ორბელმა აჯანყება დაიწყეს.

1178 წ. — მოწვევულ იქნა სახელმწიფო დარბაზი თამარის გამეფების საკითხის გადასაწყვეტად.

1178 წ. — თამარი გიორგი III-ის თანამოსაყდრედ გამოაცხადეს.

1184 წ. — გიორგი III გარდაიცვალა.

1184 წ. — თამარმა დამოუკიდებელი მეფობა დაიწყო.

1185—86 წ.წ. — უფლისწული გიორგი რუსი დაქორწინდა თამარ შეფეხე.

1186—1187 წ.წ. — გიორგი რუსი საქართველოდან გაძევება.

1189 წ. — თამარისათვის საქმროდ ასახელებენ დავით სოსლანს.

1190—91 წ.წ. — გიორგი რუსი შეეცადა კვლავ დაებრუნებინა ხელისუფლება.

1192—93 წ.წ. — გიორგი-ლაშა დაიბადა.

1195 წ. — ზანქორის ომი მოხდა.

1196 წ. — ქართველთა ლაშქარმა გელაქუნი და ამბერდი აიღო.

1201 წ. — საქართველომ ბიჯნისი შემოიერთა.

1203—1204 წ.წ. — სამხრეთ-დასავლეთისაკენ დვინსა და მის სანახებ-ში მოეწყო ლაშქრობა.

1204 წ. — თამარ მეფემ ტრაპიზონის საკეთირო დააპისა.

1204—05 წ.წ. — ქართველთა ლაშქარმა დაიბყრო ხლათი, მანასკერტი, არჭვში და კარნუ-ქალაქი.

1206 წ. — საქართველოს მხედრობა იგზავნება რუმის სულტნის რუპ-ეადინისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ და ამარცებს მათ.

1207 წ. — დავით სოსლანი გარდაიცვალა.

1208 წ. — საქართველოს ქ. ანისში არდაველის სულტანი შემოესია.

1208—09 წ.წ. — ქართველთა ლაშქარმა არჭვში აიღო.

1210 წ. — ქართველთა მხედრობის დიდი ლაშქრობა ერანში.

1212 წ. — ზაქარია ამირსპასალარი გარდაიცვალა. ამირსპასალარიად დაინიშნა მისი ძმა ირანე ათაბაგი.

1212 წ. — ექსპედიცია იგზავნება ფხოველთა და დიდოელთა აჯანყე-შის ჩასაქრობად.

1213 წ. — თამარ მეფე გარდაიცვალა.

1213 წ. — გიორგი IV ლაშა გამეფდა.

1218 წ. — დაიწყო ეკონომიური კრიზისი.

- 1477 წ. — უზუნ-ჰასანი საჭართველოს შემოქმედა.
- 1478 წ. — კონსტანტინე ბატიონიშვილი გამჟღვდა.
- 1483 წ. — არაღეთში მოხდა ბრძოლა კონსტანტინესა და მესხეთის ათაბაგს ყუარყუარას მორის.
- 1484 წ. — ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაგრატ VI-ს ძეშ, ქუთაი-სი დაიპყრო.
- 1492—96 წ.წ. — კონსტანტინე მეფემ დესპანები გაგზავნა ეცვიპტის სულტანთან.
- 1495 წ. — კონსტანტინემ წერილი გაუგზავნა ესპანეთის დელოფალს იზაბელლას.
- 1498 წ. — ყუარყუარა ათაბაგი გარდაიცვალა.
- 1500 წ. — ქაიხოსრო ათაბაგი დარდაიცვალა.

## ს ა რ ჩ ი ბ ი

83.

|  |     |
|--|-----|
| საქართველოს სამეფოს პოლიტიკური და კულტურული გაძლიერების ხანა . . . . .   | 5   |
| ბაგრატ III (975, 980—1014) და საქართველოს საბილოო გაერთიანება . . . . .  | 5   |
| გიორგი I (1014—1027) . . . . .   | 9   |
| ბაგრატ IV (1027—1072) . . . . .  | 12  |
| გიორგი II (1072—1089) . . . . .  | 19  |
| საქართველოს სოციალურ და კულტურული ვითარება XI—XII საუკუნეში . . . . .  | 24  |
| საქართველო, ვითარება მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე და უძლიერესი სახელ-შწიფო . . . . .  | 39  |
| დავით II აღმაშენებელი (1089—1125) . . . . .  | 39  |
| დავით აღმაშენებელის პიროვნება, მისი საშანაო და საგარეო პოლიტიკა . . . . .  | 53  |
| დემეტრე I (1125—1155) . . . . .  | 57  |
| გიორგი III (1156—1184) . . . . .   | 60  |
| თამარ მეფე (1184—1213) . . . . .   | 69  |
| საქართველოს კულტურული ვითარება XII საუკუნეში . . . . .   | 86  |
| შონდლობის შემთხვევა . . . . .  |     |
| გიორგი IV ლაშა (1213—1222) და მონღოლთა პირველი გამოჩენა . . . . .  | 97  |
| რუსული მეფე (1222—1246) . . . . .  | 102 |
| მონღოლთა გაბატონება საქართველოში, ბრძოლა მათ წინააღმდეგ, მათი ბა-ტონობის ანარეკლი საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილებაში და მითი გვალენის შედეგი სოციალ-ეკონომიკურ სფეროში . . . . . | 116 |
| ორთა მეფობა საქართველოში . . . . .   | 123 |
| დავით V, გიორგი ლაშას ძე, ულუ-დავითად წოდებული, და დავით IV, რუ-სუანის ძე, ნარინ-დავითად სახელდებული . . . . .   | 123 |
| საქართველოს მდგომარეობა მონღოლთა ბატონობის ხანაში . . . . .  | 124 |
| საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შერჩევა მონღოლთა ბატონობისა და ორთა მეფობის ხანაში. მესტუმრე ჯიერის აზზევება და დამშობა . . . . .   | 130 |
| საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მონღოლთა ბატონობის ხანაში . . . . .  | 134 |
| მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება საქართველოში . . . . .  | 135 |
| ორივე დავით მეფის დასაცლეთ საქართველოში გადასცლით შექმნილი მდგრ-მარეობა . . . . .  | 139 |
| დავით V-ის მონღოლებთან შეთანაბება და აღმოსავლეთ საქართველოში გად-მოსცლა . . . . .  | 140 |
| ეკონომიკური კრიზისის უკიდურესად გაძლიერება საქართველოში. მისი შენე-ლებისათვის მთავრობის მიერ ნახმარი ღონისძიების გამო ატებილი ბრძოლა ეკლესიასა და მთავრობას შორის . . . . .          | 142 |
| დავით V-ის მაღამერწენობის და უმაღლერობის პოლიტიკური შედეგი:  |     |
| მესნეთის ულუსიანად ტცევა . . . . .   | 144 |
| ბრძოლის განახლება ოქროს ულუსსა და ერანის ილხანს შორის და მისი ანარეკლი საქართველოში . . . . .  | 146 |
| დავით IV, რუსულანის ძე, და მისი პოლიტიკა დასაცლეთ საქართველოში . . . . .   | 147 |

|   |     |
|---|-----|
| დავით I-ის ლონისძება ტრაპიულის საკეისროში საქართველოს პოლ-  | 151 |
| ტიკური ინტერესების დასაცავად . . . . .  | 155 |
| დემეტრე II თავდადებული (1272—1289 წ.) . . . . .   | 156 |
| მეფროვეობის ხანი აღმოსავლეთ საქართველოში და საღუნ მანქაბერდელი . . . . .  | 161 |
| აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა დემეტრე II-ის მეფობაში . . . . .   | 165 |
| ერანის მონლოლთა შმართველი წრეების შინაური ბრძოლა, მისი ანარეკლი   |     |
| საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და დემეტრე II-ის ბედის ტრა-  |     |
| გიული დასასრული . . . . .   | 168 |
| დემეტრე II თავდადებულის ზოგადი დახასიათება . . . . .  | 171 |
| სრულიად საქართველოს მთლიანობის აღდგენა . . . . .  | 171 |
| გახტანგ II. დავით ნარინის-ძე (1289—1292 წ.) . . . . .   | 174 |
| სრულიად საქართველოს მთლიანობის კვლავ ჩაშლა. დავით VI-ე, დემეტრეს-ძე,  |     |
| და კონსტანტინე დავით-ნარინის ძე . . . . .   | 176 |
| ყაზან ყავნის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა თავის საბრძანებელში . . . . .  | 178 |
| ბრძოლა დავით VI-სა და ყაზან ყავნის შორის და მისი შედეგი . . . . .   | 182 |
| მესხეთი და მისი შმართველი სარგის სამცირისა სპასალარი, და მანდატურთ-   |     |
| უშუცესი ბექა ჯაველ-ციზისჯვარელი . . . . .   | 187 |
| გახტანგ III (1302—1308) . . . . .   | 190 |
| ერანის მონლოლთა ხელისუფლების დასუსტება, მათი დამჩობა და საქართველოს   |     |
| მთლიანობისა და დამოუკადებლობის აღდგენა. გიორგი V ბრწყინვალე . . . . .   | 190 |
| საქართველოს დარდინობის XIII ს. დამლევს და XIV ს. დამდგეს. მონ-  |     |
| ლოლთა ბატონობის ანარეკლი და შედეგი . . . . .  | 194 |
| გიორგი ბრწყინვალის შინაური და საგარეო პოლიტიკა . . . . .  | 197 |
| საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა . . . . .   | 198 |
| გიორგი ბრწყინვალის ზრუნვა სამართლისა და ფინანსებისათვის . . . . .   | 200 |
| საქართველოს სერთაშორისო მნიშვნელობის გაძლიერების გარეგანი გამო-   |     |
| ხატულება . . . . .  | 202 |
| გიორგი ბრწყინვალის ზრუნვა საქართველოს წინანდელ საერთაშორისო უფ-<br>ლებათა და პოზიციების დასაბრუნებლად . . . . . | 204 |
| ბრძოლა საქართველოს და ბიზანტიას შორის ტრაპიულის საკეისროში პო-  |     |
| ლიტიკურთა გავლენის გამო . . . . .   | 204 |
| დავით VII, გიორგი ბრწყინვალის ძე . . . . .  | 206 |
| ბაგრატ V-ე დიდი, დავითის ძე . . . . .   | 207 |
| თემურლენგის შემსევები საქართველოში  |     |
| თემურლენგის გამოქანის პოლიტიკურ სარბიელზე . . . . .   | 209 |
| თემურლენგის პირველი შემოსევა საქართველოში . . . . .   | 210 |
| მეფე გიორგი VI და თემურლენგის მეორე შემოსევა . . . . .  | 212 |
| თემურლენგის შესახე შემოსევა . . . . .   | 213 |
| ომის გაგრძელება და გამწვევება . . . . .   | 216 |
| დაბავების უშედევო ცდა . . . . .   | 217 |
| გიორგი VII-ის მეორეგნისი ცდა თემურლენგთან დასაზევბლად, ამის ჩაშლა   |     |
| და ომის განაბლება . . . . .   | 219 |
| თემურლენგისაგან სამხედრო მოქმედების დასავლეთ საქართველოშიც დაწყება . . . . .                                    | 220 |
| თემურისაგან ბრძოლის შეწყვეტა და სახაფო მოლაპარაკების დაწყება . . . . .  | 221 |
| თემურლენგის ზოგადი დახასიათება . . . . .  | 222 |
| საქართველოში დატრიალებული ამბების ზოგადი შეფასება . . . . .   | 222 |

|  |     |
|--|-----|
| საქართველოს მდგომარეობა თემურთან ოშის 'შემდგომ' . . . . .  | 223 |
| ბრძოლა თემურის სამყლობელოს გამო და ვიტოგი VI-ის სიყვლილი . . . . .   | 224 |
| კონსტანტინე მეფე (1407—1411) . . . . .   | 224 |
| ალექსანდრე პირველი დიდი (1412—1442) . . . . .  | 225 |
| ალექსანდრე პირველის ქვეყნის აღმშენებლამბითი მოლვაშეობა . . . . .   | 228 |
| სოცეალური ვითარება საქართველოში ალექსანდრე პირველის მეფობაში . . . . .   | 230 |
| ვაზტავა IV ალექსანდრეს ძე (1442—1461) . . . . .  | 232 |
| <b>ბრძოლა საქართველოს მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგ</b> . . . . .  | 233 |
| გიორგი VII ალექსანდრეს ძე (1445—1465) . . . . .  | 233 |
| ბრძოლა მესხეთის მთვარს ყვარლყარასა და გიორგი მეფეს შორის . . . . .   | 233 |
| ყვარლყარა ათაბაგის უართო გეგმა მესხეთის საქართველოს სამეფოთან გა-<br>მოსაყოფად და ამის საწინააღმდეგოდ ბრძოლა . . . . .   | 234 |
| საქართველოს ეკლესიის მეთაურის ბრძოლის შეფეგი ყვარლყარა ათაბაგის<br>პილიტიკის წინააღმდეგ . . . . .  | 235 |
| ყვარლყარა ათაბაგის გეგმის ჩაშლა და ქართული ეკლესიის მთლიანობის<br>შენარჩუნება . . . . .  | 236 |
| საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ვითარება და სამთავროებად დანაშილება . . . . .   | 237 |
| <b>საერთაშორისო პოლიტიკური მოშპური დიდი ცელილება, ოსმალთაგან ბიჭანითის<br/>მოსპობა და ამის შედევი</b> . . . . .  | 238 |
| სამხედრო პოლიტიკური გეგმა ოსმალთა კონსტანტინეპოლითან განსაღევნად . . . . .   | 239 |
| რომის პაპის დესპანის საქართველოში მოსელა და ქართველ პოლიტიკოსთა<br>ფართო გეგმა . . . . .   | 240 |
| საქართველოს პოლიტიკური მოკავშირეები ისმალთა წინააღმდეგ განშრანტულს<br>ბრძოლაში . . . . .   | 241 |
| საქართველოს და მის მოკავშირეების დესპანების გამგზავრება დასაცლეთ ევ-<br>როპაში საბოლოო გეგმის შესადგენად და შესათანხმებლად . . . . .                             | 241 |
| გეგმის ჩაშლა . . . . .   | 242 |
| შინაური ზავის ჩაშლა საქართველოში; გიორგი მეფესა და ყვარლყარა ათაბაგის<br>შორის ბრძოლის განახლება . . . . .   | 243 |
| ბაგრატის აჯანყება გიორგი მეფის წინააღმდეგ და მისი გამარჯვება ჩიხორთან 244<br>დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკური გახრწილება და ყვარლყარა ათაბაგის<br>დალატი . . . . . | 244 |
| გიორგი მეფის ყვარლყარა ათაბაგისაგან შეპყრობა და ბაგრატის გამეობა . . . . .   | 245 |
| გიორგი მეფის ყვარლყარა ათაბაგისგან განთავისუფლება და ბაგრატის წინა-<br>აღმდეგ ბრძოლის ამაო ცდა . . . . .   | 246 |
| ბაგრატ VI (1466—1478) . . . . .  | 247 |
| ბაგრატ VII-ის საბოძანებელის ფართობი და საზღვრები . . . . .   | 247 |
| საბედიანო . . . . .  | 248 |
| მესხეთი . . . . .  | 248 |
| ბაგრატ VI-ის სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი . . . . .   | 249 |
| ბაგრატ VI-ის უვუნური პოლიტიკა და საქართველოს ეკლესიის მთლიანობის<br>დარღვევის მცდელობა . . . . .   | 250 |
| ბრძოლა ერანსა და ოსმალეთს შორის და უზუნ-ჰასანის საქართველოში შე-<br>მოსევის სამზადისი . . . . .  | 251 |
| უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა . . . . .   | 252 |
| ბაგრატ VI-ის უშტომბა და დაზავების ცდა . . . . .  | 253 |
| უზუნ-ჰასანთან დადგებული ზავის პირობები და შედევი . . . . .   | 253 |
| საქართველოს დამარცხების მიზეზი . . . . .   | 254 |

|  |     |
|--|-----|
| კონსტანტიანე მეფე  | 255 |
| კონსტანტინეს საბრძანებელი  | 255 |
| არადეთის ბრძოლა და ალექსანდრეს გამეფება იმპერეტში                      | 255 |
| კონსტანტინეს ამამ ცდა საკუთარი ძალით მთლიანობის აღსაფენად              | 256 |
| კონსტანტინეს გეგმა დასახული მიზნის საგარეო პოლიტიკის საშუალებით მი-    | 256 |
| სალწევად   | 256 |
| კონსტანტინე მეცის ეპისტოლე ესპანიის დედოფლის იზაბელლასადმი             | 256 |
| კონსტანტინე მეფის მთავარი მიზანი                                       | 257 |
| კონსტანტინე მეფის იმედის გაცრუება და ამის მიზეზი                       | 258 |
| ყვარყვარა ათაბაგისა და ქართველის სიკვდილი და მზგაბუკის გაბატონება-შეს- | 259 |
| ბერთში   | 259 |
| მზეჭაბუკის მშვიდობიანი გონიერი პოლიტიკა                                | 259 |
| მზეჭაბუკისა და კონსტანტინე მეფის გადამტერება და მესხეთის ბატონის უკულ- | 259 |
| მართს პოლიტიკურ გზაზე დადგომა  | 259 |
| მზეჭაბუკისა და ღორიოთეოს პატრიარქის ღონისძიება საქართველოს ეკ-         | 260 |
| ლესიის მთლიანობის დასარღვევად  | 260 |
| საქართველოს ვითარება მეთხოვთშეტე საუკუნეში                             | 261 |
| საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XV საუკუნეში                       | 261 |
| ძველის აოხრებულობა და სასიფლო მეურნეობის დაქვეითება                    | 261 |
| საქართველოს კულტურული დაქვეითება                                       | 262 |
| აღმშენებლობითი მოღვაწეობისა და განახლების შეჩერება შინაური ბრძოლის     | 262 |
| გამწვავების გამო   | 262 |
| საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოსპობის ეკონომიკური შედეგი          | 263 |
| საქართველოს გადარიბება   | 263 |
| მოსახლეობის სოციალური განურებების პროცესი                              | 264 |
| შემცირებული შემოსავლის გასადიდებლად სახსრების ძებნა                    | 264 |
| შემოსავლის გადიდების ორგვარი შესაძლებლობა                              | 264 |
| შშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუარესებას და ბატონების ჩასახვა          | 265 |
| პატრიონების გვერდით ბატონების გაჩენა და გაბატონება                     | 265 |
| ბატონების წარმოშობის საფუძველი   | 266 |
| გადასახად-გამოსალებების გადიდება და შშრომელი ხალხის და ამათა მძიმე     | 267 |
| ეკონომიკური მდგომარეობა  | 267 |
| საქართველოს ეკონომიკური დაქვეითება: ფულის გაცრცელებისა და აღებმიცე-    | 268 |
| მობის შემცირება  | 268 |
| საქართველოს კულტურული დაქვეითების ნიშნები                              | 269 |
| საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში                     | 269 |
| კრისოლოგია   | 271 |

რეგუსტორი ს: ყაუხჩიშვილი  
ტექნიკური ე. ტოროტაძე

გამომშვები გ. დონაძე  
კონტროლ-კორ. ვ. ხოშტარია  
კორექტორი შ. იაშანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XI—49 წ. სე 04384. შეკვ. № 1022. ანაზიფობის ზომა  
6,5×10,5. ქაღალდის ზომა 60×92. ნაბეჭდ ფურმათა რაოდენობა 17,75.  
ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის  
საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯვანიშვილის ქ. № 5-

Комбинат Печати Управления по делам Полиграфии и Издательств при  
Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

3560 13 8. \$0 6.

ИВАНА АДЗАВАХИШВИЛИ  
ИСТОРИЯ ГРУЗИИ  
XI—XV в.  
(На грузинском языке).

Государство Грузинской ССР

Тбилиси — 1949